

K 1666
3

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

I

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ

ОПИСАНИЕ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ

КОЛЛЕКЦИИ (S)—БЫВШЕГО ОБЩЕСТВА РАСПРОСТРАНЕНИЯ
ГРАМОТНОСТИ СРЕДИ ГРУЗИНСКОГО НАСЕЛЕНИЯ

ТОМ I

Составили и подготовили к печати:

Т. М. БРЕГАДЗЕ, Т. П. ЕНУКИДЗЕ, Н. Э. КАСРАДЗЕ, А. И. КУТАТЕЛАДЗЕ и
Хр. Г. ШАРАШИДЗЕ

Под редакцией Е. П. МЕТРЕВЕЛИ

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ — 1959

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ქოფილი ქართველთა უორის წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების (S) კოლექციისა
ტომი I

შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული:

თ. ბრეგვაძის, თ. ვნუშიძის, ნ. კასრაძის, ლ. ძუთათელაძისა და
ძრ. შარაშიძის მიერ

მ. მებრველის რედაქციით

წინასიტყვაობა

წინამდებარე ტომით იწყება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ყოფ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციის (S) აღწერილობა.

თავდაპირველად ამ საზოგადოებას ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების აღრიცხვა ერთად უწარმოებია. მათი საერთო რაოდენობა შეადგენდა 5338 ერთეულს. ერთმანეთისაგან მათი გამოყოფა მოხდა მხოლოდ 1914 წელს, ხელნაწერთა პირვანდელი რიგითი სათვალავი კი ამის შემდეგაც არ შეცვლილა. ამიტომაც, რომ ამ კოლექციის ხელნაწერთა სათვალავში დიდ ხარვეზებს ვხვდავთ.

ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციაში 2222 ხელნაწერია. პირველ ტომში შევიდა 500 ხელნაწერის აღწერილობა. აღწერილობაში ძველი ნომრის გასწვრივ კიდევ ფრჩხილებში ჩაწერილია ახალი რიგითი ნომერიც.

ტომში შესული მასალა აღწერეს ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა:

1. ლ. ქუთათელაძემ №№ 1 — 40 და 966 — 1110 (1—40 და 475—500)
2. ნ. კასრაძემ — №№ 41 — 90 (41—90)
3. თ. ენუქიძემ — №№ 91 — 173 და 314 — 400 (91—173 და 312—393)
4. ქრ. შარაშიძემ — №№ 174 — 313 (174—311)
5. თ. ბრეგაძემ — №№ 401 — 964 (394—474)

მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული (№ 425) აღწერილია ელ. მეტრეველისა, ხოლო „მესხური დავითნი“ — (№ 947) — ქრ. შარაშიძის მიერ.

ანტონ I, წყობილსიტყვაობა. 1745

107 ფ.; 17,8×11: ქალაღი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათურები სინგურით, მთავრულად); 1745 წ. (107 რ); გადამწერი — ნეოფიტე (107 რ); დაუწერელია 8 v — 9 v.

„წიგნი წყობილსიტყუაობა. ნაწილი პირუტლი ღისმეტყუტლები-სათუს, თავი ა. თუს სამობისა და ერთობისა. —

ერთი არს ზესთა დაუსაბამო კეთილ,
ზესთნათლოვანი ერთობა სამპირობით...“ 10 რ — 105 v.

შენიშვნა: 1. უძღვრის: ა. „წინასიტყუაობაა წინამდებარისა წიგნისა ხუთტაქობანთა სტიხთა ანუ შაირთა, ქმნილი გაიფის მიერ არხიდიაკონისა. —

წინასიტყუაობით შეყუანილებათა რა,
ვაწინმდებარებთ ანტონი ყდ ბრძნისთა
შეწნიერ თქმათა, სტიხთა წყობილ სიტყუათა...“ (1რ—3v).

ბ. „პინაქსი წყობილსიტყუაობისა“ (4 რ — 8 რ).

2. ერთვის: „ქმნილი მცირისა ტრიფილესგან დიაკონ-მონაზონისა. —

ა. ეს წყობილსიტყუა განკარგულ ქმნილ, თხულ ლექსულ არს ანტონისგან ყდ ბრძნის ბრძნეთ უბრძნისის, ფქუტმდებარნეთ, ვაჩუწნოთ შესმენილად...“ (106 რ — v).

ბ. [მისივე]. „თუს სახელწოდებისა მისის უწმიდესობისა. — დღე ესე მჰსგავს არს დღისა მეერგასისა, ჩწთუს ანტონი ახალ მეტაფისიკოს...“ (106 v).

3. ანტონ I წყობილსიტყვაობა გამოცემულია 1853 წელს, პლატონ ეგნატესძე ოსეელიანის წინასიტყვაობით.

4. ეს ნუსხა აღწერილი აქვს პროფ. ექვთიმე თაყაიშვილს, იხ. Е. Такашвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», ტ. 1, 1902—1904, გვ. 1—2.

ანდერძი: „ნაწილთა შუდთა შემპყრობეი წიგნი ესე,
ესფერ უდარესდ არს დატყფრულ ქელითა,
ოდესმე მქონვის წვერთ არ განნსუწნებლობის,
ფილოსოფებრის ქმნილის ამისდ მიმთხუწვად,
იწნისა ეს ჩემდ ყოვლთა საჭეშმარიტმ.

თთუშსა მარტსა 21, წელსა 1745“ (107 რ).

შინაწერები: ა. „დავით და ტარიჭანისთვის იძიე ქელწერილ სადღესასწაულაშო 18 მაისს;“ ბ. „პეტრე მაიმუსის თუს დგეგმბრის“ 2-სა“

გ. „ბიძინა, შალვასთვის და სხ[ვ]. — უან[ში], 14 სკვდ.; პეტრე — 8“
(ქვედა ყდაზე).
აქვეა მიწერილი: „ვანტანგ ორბელიანს“ (წიგნის მფლობელია?).

(2)

2.

გილიარევსკი პეტრე, ფიზიკის სახელმძღვანელო. 1813 — 1814

(ტომი I)

01 + 181 ფ.; 21 × 17,2; ლურჯი ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; 1813 — 1814 წწ. (01 r; 181 r. კვირნიშანი 1810).

„ფისიკა, § 1. ფისიკა არს სწავლა, რომელიცა აჩვენებს თვსებათა ნივთთა სოფელსა შინა მყოფთასა და წარმოადგინებს მიზეზთა ხილუათა მას შინა დაკუთვებულთასა...“ 6 r — 151 v.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. თავფურცელი, „ხელმძღვანელობა ფისიკისადმი შეთხზული პეტრეს მიერ დილაროვსკისა, მოძღურისა მათემატიკისა და ფისიკისა სამოძღუროსა შინა ღიმნაზიასა, ფისიკისა საზოგადოებასა შინა, კეთილშობილთა ქალთასა, როსსიულისა სიტყუერებისა და ლათინურისა ენისა საკეთილშობილთა პაუთ[ა] კარპუსსა შინა“ (01^აr).

ბ. წერილი პეტრე ვასილის ძე ზავადოვსკისადმი (რომელსაც უძღვნის ავტორი თავის ამ ნაშრომს) „მის აღმატებულებას, ტაინი სოვეტნიკს, სენატორს... პეტრე ვასილის ძეს ზავადოვსკის, მოწყალეს ჯელმწიფეს. თქვენო აღმატებულებაჲ, მოწყალეო ხელმწიფეჲ! მოითხრობის ისტორიასა შინა, ვითარმედ ოდესმე შევრდომილნი სვიპტრისადმი რომაულისა ერნი მისცემდენ კეისართა ხარკსა...“ (1 r — 2 v).

გ. წინასიტყვაობა (3 r-v).

დ. „პინაქსი ნივთთა მჭირვულთა ფისიკასა შინა“ (4 r).

ე. „შესავალი“ (4 v — 5 v).

2. ერთვის: ა. „დამატება მათემატიკურთა აღმოჩინებათა და გამოწულილუათა სხუდასხუათადმი პარალაფთა. § 35-დმი. — 1. თანასწორობიერ აჩქარებულსა შინა ძრუასა სიმწრაფლენი იპყრობინ ესრეთ, ვითარცა დრონი...“ (152 r — 176 r).

ბ. საგნობრივი საძიებელი «ტომარი ნივთთა ფისიკასა შინა მჭირვულთა» (176 ფ — 181 r).

ანდერძი მთარგმნელ-დამწერისა: „Начал 1-го сентяб. 1813 г. (01r), кончил 15-го апреля 1814-го“ (181 r).

(3)

3

გილიარევსკი პეტრე, ფიზიკის სახელმძღვანელო. 1811 — 1812.

(ტომი II)

01+231 ფ.; 22×17; ლურჯი ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; 1811 — 1812 წწ. (230 v. კვირნიშანი 1809); დაუწერელია 231 r-v.

„დასაბამობითნი საფუძველნი მცნობელობითისა ფისიკისანი. — თავი ი. შეუდრეკელთათჳს თხელთა ჰაერის სახეთა ნივთებათა.

587. თხელნი ესე სხეულნი არიან ყოველნი იგი, რომელნიცა შეიქმნებიან მსგავსად ჰაერისა ატმოსფერებრისა და მექონ არიან გარეგანსა სახესა მისსა...“ 1 r — 230 v.

ანდერძი: „ვიწყე თარგმანება მეორისა ამის ტომისა იუნისის 4-სა დღესა], 1811 წელსა, და სრულ ვჰყავ ფებერვლის 20-ს[ა] დღესა, 1812 წელსა“ (230 v).

(4)

4

გილიარევსკი პეტრე, ფიზიკის სახელმძღვანელო. 1812

(ტომი III)

01 + 177 ფ.; 22×17; მოლურჯო ქალაღდი; ქალაღდის ყდა; მხედრული; 1812 წ. (177 r. ჰვირნიშანი 1807, 1809).

„დასაბამობითნი საფუძველნი გამოცდილებითისა ფიზიკისანი. თავი ივ. ფისიკურისათჳს ასტრონომიისა. — 1678. ასტრონომია სარს სწავლა ვარსკულავეათჳს. საშუალობითა მისითა იცნობებიან მოძრაობანი სხეულთა ზეციერთანი, განგრძნობაჲ მოქცევათა მათთა სანამდღლოთაგინა საგონებელთა, მდებარეობანი და ნაცუალ-ცემითნი სიშორენი მათნი და ხუანი...“ 1 r — 177 r.

ანდერძი: „თარგმანება მესამისა ამის ტომისა დაწყებული მარტის 1-ს, სრულ იქმნა ნოემბრის 7-ს დღესა, 1812 წელსა“ (177 r).

შენიშვნა: ფიზიკის სახელმძღვანელოს თარგმანის სამივე ტომი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს. იხ. „Описание“, ტ. I, გვ. 2 — 4.

(5)

5

ტროადის ღაცემა. XVIII

130 ფ.; 20,5×16,5; ქალაღდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათურები სინგურით); [XVIII ს.]; გაღანწერი — დავით რექტორი (13 r, 130 r).

„ღარღვევა ქალაქისა ტროადისა“. „მეფისა პელეისათვის, რომელმან გაღზავნა იაზონ შოენად ოქროს მატყლოანისა მის ვერძისა. — თესალონიკისა სამეფოსა შინა, რომლისა ქვეყანისა კაცი მირმიადონხედ იწოდებოდენ, მეფობღა მეფე ვინმე გვარიანი და მართალი, სახელით პელეი, მეუღლითა თვისითა ფეთიღა დედოფლითურთ, რომელთაგან იშვა კაცი ეგოდენ ძლიერ და ეგოდენ კადნიერ, სახელით ახილეს...“ 2 r — 130 r.

შენიშვნა: 1. უძღვის წინასიტყვაობა: „მატიანე, რომელსა შინა წერილ არს დარღვევა ქალაქისა ტროადისა, ფრილის საველმწიფოსა და აღშენებაჲ მისი და დიდნი ამვედრებულნი ბრძოლანი...“ (1 r-v).

2. ბოლოში მოწერილია გაღანწერის სახელი დავით, ხვეულად, სინგურით (130 r).

3. 13 r-ზე დავით რექტორის მიერ განმარტებულია სიტყვა „იღმღავი“.

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთ. თაყაიშვილს, იხ. „Описание“, ტ. I, გვ. 4 — 5.

ანდერძი: „აღექსის ძემან დავითმან აღღწერე მათიანე ტროადის ბრძოლისა. გამართულია, დავით“ (130 r).

მინაწერი: „ეს ტროადის დარღვევა ეკუთვნის კოლექციკის ასესორს იერონიმეს აღექსიევეს-მესხიეეს“ (ფორზაცხე).

(6)

6

კრებული. XIX

38 ფ.; 21,5×17,5; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.].

1. „ანბანთქება თქმულ ბრძნისა და მეცნიერისა, ლუთივ გვირგვინოსნისა, მეფეთ-მეფისა, დავით ჯელმწიფისა [ძისა], პატრონისა თეიმურაზ პირველისა მიერ. —

აღვახვენ ჩემნი ბავენი, ღმერთო, სამებით თქმულო[!],
აერსა ზედან საყდარსა დიდებით დამკვიდრებულო...“ 1 r — 4 v.

შენიშვნა: ა. ტექსტი ნასწორებია ფანქრით.

ბ. ანბანთქებას ერთვის ორსტროფიანი ლექსი. —

ეს არის სიბრძნე ბერძენთა, პირველ ფილოსოფოსობა,
მკურნალობა, რიტორება, მერმე ღრამატიკოსობა...“ (4 v).

2. „სრული და უნაკლულო სსუა ანბანთქება თეიმურაზ პირველისა კახთბატონისაგან ნაბრძანები, რომელ არს ენა რიტორი. —

აღმართა ჯვარი გოლგოთას, სისხლი დასთხია ადამის ძვალსა,
აღმოსავლეთით მისცა მამული, პირველ იქიდან გამომავალსა...“

5 r — 8 v.

შენიშვნა: 1. ერთვის ორი ოთხტეპიანი ანბანთქება.

ა. „ადამ ბადა, გვერდით დახსნა, ევა ვრცელ ზის ჰაერია...“

ბ. „ახარა ბერწსა გაბრიელ დღესა, ეს ვინა ზის შესრეთ თუთ იახოველსა...“ (8 v)

2. თეიმურაზ I-ის ზემოთ მოტანილი ანბანთქებანი (1,2) დაბეჭდილია (იხ. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934, გვ. გვ. 149 — 159).

3. [თეიმურაზ II]. „ანი და ში კუალად თეიმურაზისაგან თქმული ფისტიკურად. —

აღმეძრა ბაგე გულის დიდებით (!), ეუწყა ვის ზედ შესრეთ თქმულება...“ 9 r.

შენიშვნა: ანბანთქება გამოქვეყნებულია (იხ. თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით, 1939, გვ. 125).

4. „მეფის თქმულიად (!) დავითისა ფისტიკურად, რომელსა უწოდნენ მამეული-ხანად [! იმამ-ყული-ხან]. —

ადამ ბრძანების განგებულებით დაბადა ევა, ვინ ზმნა შერს თანად...“ 9 r.

5. [თუმანიშვილი გივი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფია]. „ეს მეფის ვახტანგისაგან ნაბრძანებია, საუკუნოდ იყავ სახსენებელი მისი სუფევით. —

მე, უმცირესმან ძმათაგან, ვახტანგმან სახელდებულად,
ვკმენ ოთხ წელ მცხეთა, უქრბნისი, სადგურ კამარა გებულად...“

9 r — v.

შენიშვნა: ეპიტაფია გამოქვეყნებულია (იხ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები ალ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით, 1947, თბილისი, გვ. 64; ე. მეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 43, 1951).

6. [ანბანთქება]. „ჭი და ანი რუსთველის ნიკოლოზისაგან თქმული ფისტიკაურად.—

ჭყისნი. ჰაფხაზნი, ჯიქ-ჰადელები, ხედავთ ქართალელთ? წირდალს ძრავსცა ცა...“ 9 v.

7. [ყაფლანიშვილ-ობელიშვილი ვახტანგ]. „ანბანთქება ჩახრიხულად თქმული.—

არს კაცთა ტომი, დიდებით მხდომი, შორით ჰაერთა ცასამყაროსაჲ. ბეთლემს შობილსა, ლტად შემკობილსა, ნებავეს ქუშსკენლსა არა დამყარსა...“ 9 v — 10 v.

8. „ესეც ვახტანგ ყაფლანიშვილისაგან არის ნათქვამი, ოთხტაეპო ჩახრიხულად.—

ალალებს ბაგებს გულს დასადაგებს, ელვარებს, ვფუცავ, ზე შეთერულად...“ 10 v.

შენიშვნა: ეს ლექსი შეცდომით შეტანილია ბესიკის სადავო ლექსების რიგში. იხ. ბესიკი, 1932 წლის გამოცემა ალ. ბარამიძისა და ე. თოფურის რედაქციით.

9. [შაირი]. —

ლექსნი შაირნი იწერნეს სხუათადმი შესაქცევარად,
ჯავრთა და ფიქრთა უჩუყრად, ჯავრისა დასაქცევარად...“ 10 r.

10. «თეიმურაზ I». [სოფლის სამდურავი] „სხუა გუარნი ლექსნი დაიწყებინ, რომელ არს შაირნი. ვგონებ რომ დიდის მეფის თეიმურაზისაგან იყოს ნაბრძანები.—

ღმერთო, რომელი შენ ჰსუფევე ჰაერთა თანა ცაშიგან,
შენ ხარ სავსება ყოველთა, რაც არის ქვეყანაშიგან...“ 11 r—13 r.
(იხ. თეიმურაზ I-ის დასახელებული გამოცემა, გვ. 138 — 141).

11. [არჩილ II, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა]. „პირველის მეფის თეიმურაზის თქმული, გლოვა დედოფლისათჳს.—

ჟამი გარდახდა შენებისა (!), მოვიდა გლოვა, წუხილი,
ლხინმან მიმრიდა, შემექნა გულს ურვა, თვალთ[ა] წუხილი...“

13 v — 14 v.

შენიშვნა: გადამწერი ამ თხზულებას შეცდომით მიაწერს თეიმურაზ I-ს (იხ. არჩილიანი, ტ. II, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, 1937, გვ. 45 — 46).

12. „ეს ანბანთქება ყაფლანისშვილის ვახტანგის ნათქვამია იმერელთ მეფის სოლომონის დედის დედოფლის თამარის ქებად, მსმენელთა გასინჯეთ გუარი ლექსთა, ვითარი ჰაზრი და ლექსი გაწყობილია.—

აჰა ამბად აღვამალლოთ აწ ალვისა ანაგება,
ბეწვ-ბნელობა, ბროლ-ბადრობა ბაგეების ბადარშობა (!) 14 r — 15 v.

13. „ქება და წაბეზა წმიდისა მარინასი. —

დასაწყისია პირუშლი წმიდის მარინას ქებისა,
თვთ უშენიერი ბრწყინვალე იყო უფლისა ნებისა...“ 16 r — 22 v.

14. „დავითის რტოდ აღმოუფრუნელსა და სოლომონის ტომად სიბრძნით საჩინოსა და ღთისმეტყუშლისა მადლისა ღირსქმნილისა და ღთიეგვირგვინოსანისა მეფეთ-მეფისა და თვთ კელმწიფისა თეიმურაზის მიერ აღმოთქმული ქება ანბანზედ ლექსად თქმული. —

ადამ ვახსენოთ პირველად, თვთ ღმერთმა შეჰქმნა რომელი,
აბელ და სეით მოყესითურთ, მთასა წმიდასა მდგომელი...“

23 r — 27 r.

(იხ. თეიმურაზ I, დასახელებული გამოცემა, გვ. 145 — 149).

15. [თეიმურაზ II]. „სხვათა და სხვათა ხილთა ქება. —

უყურეთ ხილთა ქცევასა, რისა ამბისა [მ]თქმელია,
ფერ-შუშნიერი, ძირ-წვრილი ცოტაჲხან მდგომელია...“ 28r — 30v

წყდება:

„...და ჩემდამო მსმელთა ზენანი ვეჰე არა გაიგარესა“...

შენიშვნა: შეიცავს 27 სტროფს. იგი თეიმურაზ II „ხილთა ბაასის“ გამოქვეყნებულ ტექსტთან შედარებით განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს. სტროფები 1 — 12. 15 იგივეა (ზოგ შემთხვევაში ვარიანტული ტაყებით). სტროფები: 13, 14, 16, 19 — 26 და 37 რედაქციულად სხვაობს, ხოლო — 17, 18, 27 — 36. 38 — 40 ამ ნუსხაში არ მოიპოვება. აღსანიშნავია, რომ „ხილთა ქების“ ამ რედაქციის პირველი სტროფი და „წაბლმა თქვა: ტურფა ხილი ვარ“ გამოცემულში არ არის (იხ. თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, 1939, თბილისი, გვ. 109 — 113).

16. [გურამიშვილი დავით]. „გოდება დავითისა და სოფლის გამოტირილი. —

გული ღონდება, ვიწყო გოდება,
ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება,
ვჲა საწუთო, ცრუო სოფელო!“ (31 r — 33 r).

შენიშვნა: ა. იხ. დავით გურამიშვილი, დავითიანი, 1955, თბილისი, გვ. 226—230.
ბ. ნაბეჭდთან შედარებით ეს ტექსტი საგრძნობ ვარიანტულ სხვაობებს იძლევა.
გ. რეფრენი „ვჲა საწუთო, ცრუო სოფელო“ ყოველი გვერდის კიდებზე თითოჯერ მეორდება.

17. „სომხურის ენითგან გადმოთარგმნილი ლექსი. —

მიიღო გულმან ეს ვნება,
ორნი რა სჭვრეტლით ჯვარცმულსა...“ 33 v.

18. [გურამიშვილი დავით]. „სწავლა ყრმათაჲს მოსწავლეთა და ათთა სახმართა საქმეთა შეგონება. —

ისმინე სწავლა(!) მძებნელო, მიჰყევ დავითის მცნებასა,
ჯერ ჰამე მწარე, კულავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა...“

34 r — 36 v.

წყდება:

„...ჩემსავით სიცხით ნუ იწვით, მონახეთ ნიავ-ჩრდილობა“...

(იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 20 — 29).

19. [ფირალიშვილი გოდერძი]. „თუ შთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვაჲ სანატრელისა და ღთისადმი განსვენებულისა საქართულშლოს მეფის ირაკლი მეორისა. —

აღსდევ გმირთ-გმირო, ნუ გძანავს, მტერთა ისმიან ჳმანია,
გრძლად ძილის ჩვეულ როდის ხარ, ნიგვიწმე უნჯი ყმანია...“

37 r — 38 r.

შენიშვნა: 1. დაბეჭდილია (იხ. ტრ. რუხაძის „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“. 1954, გვ. 255 — 256).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს (იხ. „Описание“ ტ. I, გვ. 5—7).

(7)

7

ბაუმეისტერი ქრისტოან, „ფილოსოფია ყოფაქცევათა მოძღვრებისა“. XIX

160 ფ.; 21 × 18,5; მოლურჯო ქალაღი; ტყავადაკრული ხის ყდა; მხედრული (სათურები მთავრულით); XIX საუკუნის დამდეგი (კვირნიშანი 1805).

[ბაუმეისტერი ქრ.] „საყოფაქცეო ფილოსოფია“. „ათავი პირუშლი, საქმეთათჳს კაცობრივთა და განყოფილებისა მათისა. § 5. — ოდეს ფილოსოფიასა შინა ითიკასა მჩვენებელსა ვითართამე ნივთთა მწადუნელ-ყოფად და რომელთაგანმე განშორებად ჯერ-აზს, რათა პირუშლ დადებულ ვჳყოთ საზოგადონი მოგონებანი საფუძველისა წილ...“ 7 r — 159 v.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. თავუურცელი — „ფილოსოფია ყოფაქცევათა მოძღვრებისა ხედდადგინებანი, რომელნი შეიცუნ ბუნებითა სამარსალსა, ითიკასა და პოლექტიკასა“ (1 r).

ბ. „პინაქსი“ (1 r — 3 r).

გ. „წინასიტყუარობა საითიკოსადმი ფილოსოფიისა“ (4 r — 6 v).

2. თარგმნილია ანტონ I-ის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 351).

3. თხზულების კიდებზე გატანილია მთარგმნელის განმარტებანი.

4. აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს (იხ. „Описание“, ტ. I, გვ. 7).

მინაწერები: 1. „დაიწერა 1757 წელს, ანტონ კათალიკოსი...“ (მინაწერი დაუმთავრებელია, თანაც გადახზულია. 159 v).

2. წიგნების სია: „ღრამატიკა: წიგნი მეტაფიზიკა: ითიკა: ქართლის ცხოვრება; კატილორია: რიტორება: საეკლესიო (!) სადღესასწაულო დიდი: სადღესასწაულო ორი თვე: მხედრული: სამოციქულო; სახარება; ფარაკლიტონი (!); დაბადების ფურცლები; სომხური წიგნები; სჯულის კანონი; დავითნი; ვამნი; ლოცვები; ძლიაპირი“ (160 r).

3. „ზაქარია კიკინაძის ბიბლიოთეკისა ეს ფილოსოფია“ (1 r).

(8)

8

მხითარ სებასტიელი, რიტორიკა. XIX

93 ფ.; 21,3×16,5; ლურჯი ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; თავნაკლული (აკლია თავფურცელი და პირველი რვეული მთლიანად); მხედრული; XIX ს. (ჰვირნიშანი 1813).

[რიტორიკა]. „...თვს პირუტლისა ნაწილისა სამკვერმეთქოესა, ესე იგი პოვნისა. წიგნი ბ. თვს მრჩობლისა მსახურებისა სამკვერმეთქოესა, რომელი არს პოვნასა შინა და რომელთამე თხოვილთა პოვნისაგან. თავი ა.—ორნი არიან პოვნასა შინა მსახურებანი სამკვერმეთქონი. პირუტლი უკულ მსახურება იგი არს ესევითართა ჰაზრთა და მიზეზთა, რომელნიცა შესაძლებელ არიან თნებად მსმენელთა...“ 1 r — 92 r.

შენიშვნა: 1. თხზულებას ერთვის ნაკლული «პინაქსიტყუაობა სარიტორიკისა ექლოვნებისა» (92 v — 93 v).

2. ხელნაწერში გვხვდება ზოგიერთი სიტყვის განმარტება შესრულებული რიტორიკის მთარგმნელის ანტონ I-ის მიერ.

3. რიტორიკის ეს ნუსხა აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს, „Описание“, ტ. I, გვ. 7—8.

მინაწერი: „ეს წიგნი ეკუთვნის კაპიტანს რაჟდენ შალიკოვს, 1825 წ., 30. III“ (ქვ. ყდა).

(9)

9

დადიანი ნიკო I, ქართველთ ცხოვრება. XIX

01+134 ფ.; 21×16,5; ლურჯი და თეთრი ქალაღი; ქსოვილგადაკრული ხის ყდა მხედრული; XIX საუკუნის 20-იანი წლები (ჰვირნიშანი 1820); გადამწერი—მღვდელი ლაზარე ლომია (1 v).

«ნიკო დადიანი I — ქართველთ ცხოვრება». „თვის სამეფოესა ქართლისათა, წიგნი I, თავი I. — ქართველთ ისტორია იპყრობს თვის შორის ორსა ცვალებასა, პირველსა — მთავრობისასა, ხოლო მეორესა — მეფობისასა. და ესეცა მეფობა განყოფილ იქმნა ოთხად...“ 2 r — 133 v.

შენიშვნა: ა. უძღვის „წინასიტყვაობაჲ წინამდებარისა ამის წიგნისა ქართველთ ცხოვრებად ზედწოდებულისა.—ვინათგან სჯული ბუნებითი ასწავებს ყოველთ თავისა თვისისა უმჯობესისა აღრჩევასა, ამისთვის მეცა უმჯობესად ვრაცხე შრომაჲ ესე...“ (1 r-v).

ბ. ნაწილი «ქართველთ ცხოვრებისა» გამოცემული აქვს პროფ. ე. თაყაიშვილს, სახელდობრ იქედან, სადაც იწყება სოლომონ I-ის მემკვიდრეთა ამბავი. — „...იქმნა მეფედ იმერთა ზედა დავით გიორგისძე...“ იხ. „Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», ტ. I, 1902 — 1904, გვ. 14 — 56.

ანდერძი (ავტორისა): „თუმცაღა განმეორებით ახლად შევსთხვენ ესე ქართველთ ცხოვრებად დაბოიათა ფრასითა, და ლექსნი განვაშენებ, და წინა-უკმო დავსდევ, და უმჯობეს სასმენლად და საგულ[ის]ზმოდ გავჰკარგენ, გარნა ძალნი საქმეთანი და მოთხრობანი არცაღა დამიმცირებთეს და არცა დამიმატებთეს მის უწინდელთა ქართველთ მესტორიეთაგან, და ნანდვილნი იგი დამიღვიეს, ვითარ ვიხილე მას შინა.

ხოლო პირველის სოლომონ მეფიდან წყებული, ვიდრე იქამომდე, და ესე შემდგომნი ამისა წარწერილნი ისტორიანი ანუ მოთხრობანი ქართველთა და შემდგომთა მისთანი, ჯერეთ არღა აღწერილ არიან არცა ძველსა და არცაღა ახალსა ქართველთ ისტორიასა შინა, ვინათგან არა იყო ჯერეთ საქმენი ესე ნამყო სრულად. ამისთვის მე თანამდებად შევრაცხე თავი ჩემი, ვითარცა შვილმან მამულისამან, და ესე შემდგომნი მოთხრობანი ანუ ისტორიანი, რომელნიმე სმენილნი და რომელნიმე თვით ჩემგან ხილულნი აღესწერე სახსოვრად და სასარგებლოდ ყოველთა მოყვარეთა მესტორიეთასა. და მე, ვალად დაესდებ ყოველთა შვილთა მოყვარეთა მამულისა ჩვენისათა, ოდეს მე არღა ვიქმნები სოფელსა, მაშინ ნუ დაუტყვებთ შემდგომთა ქმნილთა სახსოვართა საქმეთა, რომელ არა აღწეროთ, რათა ჩვენსაცა ქვეყანასა ჰქონდეს ხსოვნაჲ სხვათა ქვეყანათა თან[ა] და იცოდენ განათლებულთა შვილთა ნამყონი საქმენი მამულთა თვისთანი, რათა მით უმჯობეს მართონ თავი თვისი და ჩვენცა გვექონდეს ხსოვნაჲ.

აწ მოვიქცევი თქვენდამო და უმორჩილესად გთხოვთ და გემოქენებით და თხოვასა და მოქენობასა თანა გაფიცებთ მას ურომელოსა ღთაებასა, უკეთუ სათნო გექმნასთ და ინებოთ ვინმემ გარდაწერა ამა ჩემ მიერ ქმნილისა ანუ თხზულისა წიგნისა, ნუცა ჩემგან აღწერილსა წინასიტყვაობასა წინამდებარისა ამის წიგნისასა და ნურცა ამას, რომელნი აქა აღწერილ არიან, ნუ დაუტყვებთ, რომელ არა აღწეროთ სახსოვრად ჩემისა ვინაობისა და მქონდეს ხსოვნაჲ შენდობითა, რათა თქვენცა მოგმადლოს ღმერთ-მამა-კაცმან (!) ყოველნი თხოვანი თქვენნი.

უმორჩილესი მოსამსახურე თქვენი თა ნიკოლოზ დადიანი ოვი პირველი“ (103 r-v).

ანდერძი (გადამწერისა): „აღწერე მე, ბალოჩინმან მღვდელმან ლაზარე ოლიაიძე და გვედრები მხილველთა მოხსენებასა.“ (1 v).

მინაწერები: ა. წიგნი ესე ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეს ზაალ ზურაბის ძეს ზაალ ოვს (01,134 r. ზაალ ზურაბის ძე ზაალოვი განმეორებითა დაწერილი ხვეულად).

ბ. „ქ. ეს საქართველოს მდინარე წყალი პირველი, მტკვარი აღიდდა საშინლათ ამ ჩემ, რუსების დროში. ამისთანათ არ აღიდებულა, და მრავალი ზარალი ქნა. წისკვილები წაიღო ქალაქისა, და ნემცებს მისცა ზარალი და ბალები წალეკა; ასეთი აღიდდა, რომ შადინათ ქარვასლას რომ წაკიდებული, კუნჭულში რომ დიდი ქვა აქვს, იმის პირდაპირ ფანჯრები დამალა და წყლით აიძსო სამივე ქარვასლა, და დიდი ზარალი ქნა წელსა ჩყლთ (!), მაისის კდ. ოთხშაბათს დღეს, დილით მოკიდებულნი ვახშობამდინ იმატა. და მას იქით დაიკლო ნაშვალამეცქს (134 r).

გ. „ქმნილი წიგნი ესე თა ნიკოლოზ დადიანი ოვისა მიერ“ (134 r).

(10)

10

მითოლოგია (ლექსიკონი). 1833

106 ფ: 22×16,7; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1833 წ. (101 v); გადამწერი— იონან იოსების ძე ლარაბე (101 v).

[მითოლოგია, ლექსიკონი]. „სახელნი განკარგულნი ანბანსა ზედა. —

ა

ავარდიოს ზესთა კაცი, ჩრდილოელი, ხოლო ზესთა ჩრდილოელ არიან უშინაგანესნი იგი ჩრდილოელთა და სკითელთასა, რომელმანცა მოჰკლა ელლიდა და ჰსტყორცა სიტყვებითა რათამე გრძნებისათა...“ 2 r — 101 r.

შენიშვნა: ლექსიკონს უძღვის: 1. „შეყუანილება მეტალოლიისა საზოგადოდ, თავი პირუშლი. — მეტალოლია ანუ ძულ ზღაპარსიტყუაობა არს მოთხრობა ერთათესანივითა და ბუნებითთა მოქმედებათა, ღმრთად აღსაარებულთა ძულთა წარმართაგან...“ (1 r). 2. „დასაწყისი მეტალოლიისა. — მეტალოლია დაწყებულ იქმნა მოგონებითა მწერალთათა, დამოწმებითა დაბადებისათა ასსირიასა შინა წელსა ცდ, ვიდრე შობადმდე ქესსა...“ (1 r-v).

3. „საზოგადოდ განყოფისათს ღმერთთასა. — ღმერთნი განყოფებიან ექუსად: ა. ცისად, ბ. ჰაერისად, გ. მიწისად, დ. წყლისად ე. ჯოჯოხეთისად, ვ. ნახევარღმერთებად ანუ გმირებად...“ (1 v — 2 r).

4. ხელნაწერი აღწერილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ (იხ. „Описание“. ტ. 1. გვ. 105 — 106).

ანდერძი: „სრულ იქმნა მეტალოლია ესე კეთილშობილის იოანე იოსების ძის ლარაძისა მიერ წელსა ჩყლგ, იანვრას კვ დღესა“ (101 v).

(11)

11

სუმაროკვი ა., დრამატიულ თხზულებათა კრებული. 1794

(კომედიები)

109 ფ.: 21,4×16; ქალაღი: მუყაოს ყდა; ოდნავ დაზიანებული; მხედრული; 1794 წ. (1 r); ადგილი — გიორგიევსკის ციხე (1 r); რუსულიდან მთარგმნელი — გიორგი ავალიშვილი (1 r, 35 r).

1. „რქის მატარებლის მიერ გამოსახვა კომედიისა. მოქმედება პირველი, გამოცხადება პირველი.“

ნისა მარტო: ვისგან არის ის გამოგზავნილი იეგორი? ჰგავს ჩვენთან სტუმრები მოვლენ და ბატონს კი ისევე სძინავს...“ 1 v — 34 r.

შენიშვნა: ა. „რქის მატარებლის მიერ გამოსახვა კომედიისა“ სამ მოქმედებანი. ბ. უძღვის მოქმედ პირთა სია — «სახის მოქმედება» (1 r).

2. „დედა რაყიფი ქალისა, კომედია. მოქმედება პირველი, გამოცხადება პირველი. ოლიმპია და პალესტრა.“

ოლიმპიამ: არა პალესტრავ, ნუ ნუგეშ მცემ მე უბრალოდ, ყოვლისფრითა ჩანს, რომ მე იმას არ უყვარვარ...“ 36 r — 64 r.

შენიშვნა: ა. ეს კომედია სამ მოქმედებანი. ბ. უძღვის «სახის მოქმედება» (35 v).

გ. „დედა რაყიფი ქალისა“ დაუდგამთ მოსკოვში: „იმოქმედა მოსკოვსა შინა“ (35 v).

3. საჩხუბარი კომედია. მოქმედება პირველი, გამოცხადება პირველი. ბურდა, როზმარინ და ფინეტტა.

ბურდამ: ფინეტტა, როზმარინ, ფინეტტა... ანუ დახოცილან ისინი, ანუ ქკუიდამ შეშლილან...“ 66 r — 95 v.

შენიშვნა: ა. „საჩხუბარი კომედია“ სამ მოქმედებანი. ბ. უძღვის «სახის მოქმედება» (65 v).

4. უბნობა მკუდართა. უბნობა პირველი. ძვირი და უხვი.

უხვი: რასათეს ოხრავ შენ?

ძვირმა: არ შეიძლება არ ამოვიოხრო...“ 97 r — 109 r

შენიშვნა: ა. „უბნობა მკვდართა“ სამ „უბნობას“ შეიცავს.

ბ. ამ კომედიას მოქმედ პირთა სია არ გააჩნია.

გ. ა. სუმაროკოვის ზემოთ დასახელებული კომედიები უთარგმნია გიორგი ავალიშვილს.

დ. მოხეულია და დაკარგული პირველი კომედიის თავფურცელი. ცნობა მთარგმნელისა და თარგმნის თარიღის შესახებ მოთავსებულია კომედიის მოქმედ პირთა სიის შემდეგ: „ითარგმნა რუსულით ქართულსა ენასა ზედა თავადის გიორგი ავალოვისაგან ფებერვალს კზ, ოცდაშვიდს, წელსა ჩუჟდ ათას შვიდას ოთხმოცდა ოთხნეტს, ქკს უბზ, ოთხას ოცნმოცდაორს, იგგორვესკის კრეპოსტს“ (1 r).

ე. ამ ხელნაწერში შესული სხვა კომედიების თავფურცელზედაც აღნიშნულია: „ესეცა გარდმოღებულ არს რუსულით ქართულსა ენასა ზედა ზემოხსენებულისა მისვე გიორგი ავალოვისაგან“ (35r, 65r).

ვ. ხელნაწერი აღწერილია ექვ. თაყაიშვილის მიერ (იხ. „Описание“, ტ. I, გვ. 106 — 107).

ზ. ა. სუმაროკოვის თხზულებათა ეს კრებული განხილული და ტექსტები დაბეჭდილი აქვს დოც. ტრ. რუზაძეს წიგნში: „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“ 1949, გვ. გვ. 211 — 231; 334 — 490.

(12)

12

კრებული. 1833 — 1836

(აბოკრიფები ძველი და ახალი აღთქმიდან)

135 ფ.; 20,8×17,3; ქალაღი; მუყაოს ყდა; ნაკლული (ფ. ფ 44 -სა და 45 -ს შორის აკლია ერთი ფურცელი); დაზიანებულია პირველი ფურცელი; მხედრული (სხვადასხვა ხელით); [1833 — 1836 წ.] (კვირნიშანი: 1832, 1833. კრებულში ერთი წერილი თარიღდება 1836 წლით).

1. [თხრობანი იესო ქრისტეს იერუსალემს მისვლისა, მისი გასამართლებისა და ჯვარცმის შესახებ]. — „ქ. მოახლა (!) იესოსი ელუსალემის (!) ვირითა, ქრისტიანობისთვის მოთმინების...“ 1r — 40v.

2. „სიკვდილი აბელისა და კაენისა, თავი. — ესე იყო სწავლა და დარიგება ადამისა, რომ დაქარიგა შვილი თავისნი (!) და უთხრა: თუ როცა გამოველ სამოთხიდგან...“ 40 v — 49 r.

3. „წასვლა ყოვლათ წმინდის ქანწულის (!) მისირის ქვეყანასა, თავი. — აბა, მარიამმქან და იოსებმან რომ ნახეს ყმარწვილი (!), განცხადა (!), წაიღინენ მისირის ქვეყანას...“ 49r — 50v.

შენიშვნა: ერთვის [ზედარება მარიამისა და ევასი და მარიამის შესხმა]. „... აბა მოზობელი გამჩენისა და დედა დამბადებელისა. იმან რომ იქ ევა დასაჯა, იმანვე ევა მისი (!) ასული მარიამ გაქაპატოსნა. ევა დაწყევით და მარიამ კურთხევით, ევა ვაგლახებითა, მარიამ ნეტარებითა ... ევა ზეციდგან ქვეყანაზედ გარდმოაგდო და მარიამ ქვეყნიდან ზეცაში აიყვანა...“ (50 v — 52 v).

4. „გამოსკვლა იოვანესი უდაბნოსაგან და მოსვლა იორდანესა ნათლისმცემელათ, თავი. — ექვსი თვის რომ გახდა იოვანე, მაშინ იშობა ქრისტე ბედლეშა (!) წმინდა ქანწული (!) მარიამისაგან...“ 52 v — 54 v.

5. [ქრისტეს მონათვლა]. „თავი. — ...წინ წამოღვა იოვანე და იესო შიშველი ჩამოვიდა წყალში, და იოვანემ მტკით წყალი დაქაქსა და მონათლა...“ 54 v — 57 v.

2. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I

შენიშვნა: „ნათლობას“ ერთვის დავით გურამიშვილის [„სიტყვა ესე ღვთისა“]. —

[ვო] „მეო, აქეთ მომხედო,
როს (!) მოგიბოვო (!) სიყვარულით (!)
ყური მომიგდო...“ (57 r — 59 v).

(იხ. დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955, გვ. 126—129).

6. [თხრობა აბრაამისა და ისაკის შესახებ, გალექსილი]. —

„ქ. აბრამ იყო ღვთის მლოცავი, მაგრამ ძენი ენატრება,
საქონელი ბევრი ჰქონდა, არვინ იცის ვის დარჩება...“ 60 r — 61 v.

7. [თხრობა იოზის შესახებ, გალექსილი]. —

„ქ. იოზ იყო ღვთის მლოცავი, აქა ჰყვანდა მართლის გზისა.
მეტისმეტი ღვთის მლოცავთა (!) მუხლზე ტყავი არ შერჩისა...“ 62 r — 66 r.

8. [თხრობა განრღვეულის განკურნების შესახებ]. —
„მარტოს (!) ხარება] დღესა არის დღეობა ანდამალუწისა [განრღვეულისა],
როგორათაც განკურნ[ნ]ა ქრისტემან კაცი ვინმე...“ 66 v — 73 r.

9. «მელიქოვი გიქო», [გოდება ძმის გარდაცვალების გამო-
მო]. — „ჩყლგ-სა წელსა, ზაისის კვ-სა დღესა ესე წერილი. — თვალი არა
მაქვს, რომ ვიხილო მხსნელი ჩემი უფალი იესო ქრისტე, ყური არა მაქვს,
რომ ვისმინო სახარებისა სიტყვა... დღეს განმეყარა და წავიდა მაცოცხლე-
ბელი ძმა ჩემი. ზ, მიმაბარეთ გა[უ]მადღერსა (!) შავსა [მიწასა]...“ 74 r — 77 v.

10. [აპოკრიფული თხრობა იოანეს თავის სახარებისა].
„სახარება იოვანესი, თავი პირველი. — პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა
იგი იყო ღვთისა თან[ა] და ღმერთი იყო ღვთისა თან[ა]. ყოველივე მის მიერ
შეიქმნა...“ 78 r — 135 v.

წყდება: „...რომელსა რწმენეს ძე, აქვდეს ცხოვრება საუკუნო“...

შენიშვნა: ა. ტექსტს ახასიათებს „ა“-მეტობა, მარცვალთა დაკლება და გრამა-
ტიკული შეუსაბამობანი.

გადაწერილია ქართული ენის ცუდად მცოდნეთა მიერ.

ბ. ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს. იხ. „Описан-
ие“, ტ. I, გვ. 107 — 108.

(13)

13

კრებული. 1811

119 ფ.; 20,5×17,5; მოლურჯო ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნაკლული (აკლია 6 ფურცელი ფ. ფ. 107-სა და 108-ს შორის; ხელნაწერს აქვს ძველი ანბანური პაგინაცია); დაზიანებული; მხედრული; 1811 წ. (61 v); გადაწერილი — პავლე მოხდოკელი (61 v); ადგილი — დუშეთი (61 v); 62 r-v დაუწერელია.

1. [თიმსარიანი]. „ჰარი პირველი, დასაწყისი, ჰინდოთ ჩელმ-
წიფის ამბავი მეფისა პატრონისა თეიმურაზისაგან სპარსთა წიგნ-
თაგან ქართულად გადმოთარგმნილი. — იყო ერთი ხელმწიფე ჰინდოეთის
სამეფოსა შინა, ნათესავად ჩინგთა ძველთა გვართა, კელმწიფეთა შვილი, და
ერქვა ს[ა]ხელად თაყაიზან...“ 4 r — 32 r.

წყდება: „...მეფემ ნება მისცა: თქვიო. ვეზირმან მოახსენა: დიაცის ბოზობაზე და არაწმინდობაზე ერთს არაკს მოგახსენებ...“

(თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაკობიას რედაქციით, 1939, გვ. 171₂₂).

2. [ორბელიანი სულხან-საბა, სიბრძნე სიცრუისა].— „იყო ერთი დიდი, მაღალი ჯელმწიფე და ერქვა სახელათ მას ფინეზ, და იყო მეფე იგი უდიდეს და აურაცხელ ქონებითა და სიბრძნითა...“ 32₁ — 59₁.

წყდება: „...იმას ერთი გამოსაცოხნი ხორცი არ მივეცა და ახლა შენ ერთის წვერის ნაგლეჯი ბეწვით ცხურის ფეშხო უნდა მოგცეო. შენც ნუსტრუობ იმასაეფო“... (იხ. სულხან-საბა ორბელიანი. — სიბრძნე სიცრუისა, გ. ლეონიძის წინასიტყვაობით და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1938, გვ. 161₁₈₋₂₂).

შენიშვნა: 1. გადამწერი „თიმსარიანა“ და „სიბრძნე სიცრუისას“ ვერ არჩევს ერთუთრისაგან, ორივე თხზულებას იწერს გაბმით, გამოუყოფლად. თუმცა უხერხულობას მაინც გრძნობს და იქ, სადაც „თიმსარიანი“ მთავრდება და „სიბრძნე სიცრუისა“ იწყება, შენიშნავს: „ესე არა უწუი, ვითარ იწყო. ქ. აქა კარი მეორე, დასაწყისი იყო“ (32₁).

2. დედანი, რომლითაც გადამწერს უსარგებლია, ნაკლული და არეული ყოფილა, მაგალითად „სიბრძნე სიცრუის წიგნში“ ერთი არაკი „თიმსარიანიდანა“ ჩართული.

3. „სიბრძნე სიცრუისა“, შედარებული დაბეჭდილთან, შემდეგ სურათს იძლევა:

ფ. ფ. ხელნაწერის მიხედვით:	გვ. გვ. გამოცემის მიხედვით:
32 ₁ — 38 ₁₃	3 ₁₋₆ — 14 ₂₇
38 ₁₉ — 43 ₁₉	19 ₂₀ — 28 ₂₃
43 ₁₉ — 44 ₉	32 ₂₅ — 33 ₇
44 ₉ — 45 ₁₅	49 ₇ — 51 ₈
45 ₁₅ — 46 ₁₁	53 _{1...}
46 ₁₁ — 46 ₉	57 ₁ — 57 ₁₆
46 ₉ — 50 ₆	58 ₃ — 63 ₁₂
50 ₆ — 52 ₁₇	64 ₅ — 68 ₁₇
52 ₁₇ — 53 ₁₃	72 ₂₃ — 73 ₉
53 ₁₃ — 53 ₁₆	76 ₁ — 76 ₂₈
53 ₁₆ — 54 ₁₃	141 ₂₅ — 142 ₁₆
54 ₁₃ — 57 ₂₀	150 ₂₅ — 157 ₁₁
57 ₂₁ — 58 ₁₃ («თიმსარიანი-დან») 207 ₁₁ — 208 ₂₃ (თეიმურაზ II-ის თხზულებათა დასახ. გამოცემა).	
58 ₁₃ — 59 ₁₅	161 ₈ — 161 ₁₈₋₂₂

4. აქვე დართულია რვა თავი ამირნასარიანიდან:

ა. [ამანათის შენახვისათვის].— „თქვა არაკი: ერთი კაცი დილას, ღამიან, აბანოში მივიდოდა. თავის მოყვარე კაცი ნახა და უთხრა: იარე, აბანოში წავიდეთო...“ (59₁-₇). გვ. 362.

ბ. [მწე შურნეობისათვის].— „შვილო, შურით უბრალოთ კაცს ნუ გადავიდები და ნურც წაანდენ, რაგინდ დიდად შეგცოდოს კაცმა, შეუნდე, დათმობა კარგია...“ (59₇ — 60₁). გვ. 362.

გ. [სიკეთისათვის].— „კაცს უბრალოთ ნუ ედავები, თორემ დღემოკლე იქნები...“ (60₁) გვ. 363.

დ. [ანუშირვანის შეგონებანი].— „ვინც ერთხელ ასეთს დააშავებს, რომ თავის ეამში სანანელაუ ექნება, ის მეორეთ რალათა იქმსუ...“ (60₁ — 60₇). გვ. 355 — 356.

ვ. 1. [სიბერისა და ქაბუჯობის შესახებ.— შვილო! ვაჟკაცობასა და ბერიკაცობას ეს განყოფილება აქუს: ვაჟკაცს შეუძლიან, ბერს კაცს არ შეუძლიან. წესია, ბერს კაცს უღონობაზე აიგდებენ...“ (60 v).

2. [ამბავი მშვილდით მოხრილი ბერიკაცისა და ქაბუჯისა]. —

„ერთი ასის წლის ბერიკაცი იყო და წელში მოხრილიყო, ჯოხით ძლივ იარებოდა. ერთმა ვაჟმა ნახა და გაიცინა...“ (60 v). გვ. 356.

3. [სპასალართათვის]. — „შვილო! სპასალარობაში პურად ძვირი ნუ იქნები, ამისთვის რომ, თუ მოლაშქრეს შენთვის თავი და გული დაუძს, შენ წყალობას როგორ დაიშურებ...“ (60 v — 61 r). გვ. 360.

ზ. [სტუმართათვის]. — სტუმარს თავაზით დახდომა უნდა, რა გინდ შენი ყმა-იყოს...“ (161 r). გვ. 360.

შ. [სიყვარულისათვის]. — „საყვარელი თუ გიყვარს, ნიდაგ ხუმრობას ნუ აჰყვები და ნურც ნიდაგ დასწვები...“ [61 r-v]. გვ. 361.

5. ა. „ამირნასარიანის“ ტექსტი ამ ნუსხაში წარმოდგენილია გამოკრებით.

ბ. ეს თხზულება გამოკვლევით გამოცემულია, იხ. გ. იმედაშვილი, ყაბუს—ნამეს ქართული ვერსია ამირნასარიანი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. IX, 1955, გვ. 325 — 375.

გ. აქ კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული სათაურები აღებულია დასახელებული გამოცეიდან.

დ. გამოცემის შესატყვის გვერდებს ვათავსებთ ფრჩხილებში ჩასმულ ხელნაწერის-ფურცლების გარეთ.

ანდერძი: „ქ. აღიწერა წიგნი ესე, რომელსა ეწოდების სიბრძნე სიცრუვე, ხელითა პავლე დავითას შვილისათა მოხდოკელისა, საარაგოსა იდნალსა(!) შინა დუშეთსა. და ვინც აღმოიკითხოთ წერილი ესე, და რომელიმე სიტყვა შეცდომილი ან ნაკლები ნახოთ, ნუ საგინებთ და ნურც მწყევთ, დედანჯდა სწორეთ არს გადაწერილი და შემოწმებული; არამედ აღმოიკითხველნი შენდობას ბრძანებდეთ და ღმერთმან თქვენც შეგინდოსთ ბრალი. წელს ჩყია (1811), მარტის ა (1) დამდეგს“ (61 v).

3. „მოკლედ სიტყვის-გება სოგრატიისი, სწავლა პირველი, თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანის შვილისაგან.—კეთილის კაცის წესი არ არის—კაცს პირში აქებდეს და უკან ზრახვიდეს...“ 63 — 105 v.

შენიშვნა: ა. უძღვის ოთხტაეპიანი ლექსი. —

„ეს წიგნი ვინც იხილოთ, უქეთ მოთხრობა კეთილი, ბრძენებრ ენა-მკვერობა, კეთილისად მიდრეკილი, ვინც ალასრულოს, ქება ხამს, თუმცა იქმნს ბოროტ კეთილი, და ნურვინ ენდობით საწუთოს, რომ მსწრაფლ იქმნებით
წელ-ხრილი“ (63 r).

ერთვის თორმეტსტროფიანი ლექსი:

„ფილასოფოსთ უწერია სწორე არის მათი მცნება.

ათასის წლით უწინ იკუნენ, მაშინ იყო კკვა და ვრცნება(!)...“ 105 v — 106 v.

ბ. ლექსი გამოქვეყნებულია (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია. ტ. I, 1957, გვ. 185).

4. „კვიმეტი. — კვიმეტი, რომელი ითარგმნების უბედურ დღედ ღრთისმეტყველთაგან და ფილასოფოსთა მიერ დაწერილი, რომლისა ძალსა ამას ქვემოთ აცხადებს თვეში ორი დღე:

სეკდენბრის სამს და ოცდაათს გ და კდ,
ოკდომბერს სამს და ოცდაერთს გ და კა...

ამ დღეებში შობილი მოკუდეს მალე, ვინც ავთ გახდეს, ვერ მორჩეს...“ 107 r-v.

შენიშვნა: ა. უ ძ ღ ე ი ს: „საფილოსოფოსო მცნებაში სწერია:

ვიდრე ნათლისღებამდენ თუ ბრწყინვალე და ნათელი დღეები არის, ის წელიწადი უსწეულო და კეთილი წელიწადი იქნება...“ (106 v).

ერ თ ვ ი ს: ოთხტაეპიანი ლექსი. —

„ძმანო, კარგად მოიხსენეთ, ამ ცრუს სოფლის საქმე ნახეთ...“ (107 v).

ბ. ეს ლექსიც გამოქვეყნებულია, იხ. დასახელებული აღწერილობა, გვ. 186.

5. [გ ა ბ ა შ ე ი ლ ი ბ ე ს ა რ ი ო ნ]. — „რ ძ ა ლ-დ ე დ ა მ თ ი ლ ი ს შ უ ლ-ლი და ბ რ კ ო ბ ა.

ამბავსა ქველს[ა] მოგიოხრობ, გულისა ამოდ მლხენელსა,
გახარებთ, დია შეგაქცევთ ამა საქმისა მსმენელსა...“ 108 r.

წყ დ ე ბ ა: „... ნეტაე იმ დღესა, როს გამილიმდეს,
ბროლის მკლავზედან ვიხილო ძილად...“

(იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, 1932, გვ. 60₃₀).

შენიშვნა: 1. კრებულს გადამწერი ურთავს ავტობიოგრაფიულ ცნობებს: „მენება ცნობა ვითარებისა ჩვენისა და ვერა გულსავე იქმნა გონება ჩემი, და რაიცა მამესმინა სიტყვით, აღეწურევა, რათა მომავალთა ჩვენთა უწყოდეთ, ვითარმედ ვინ საით და სად [...] ესრეთ იტყოდა მამაჩემი დავით: არა მახსოვს და არცა ვიცო გვარი ჩვენიო, მამასა ჩემსა ერქვა თ ა მ ა ზ ა ო და ვართ ახალ-ციხით ლტოლვილინი, აკლებისა გამო ფაშისა...“ (117 r — 118 v).

2. დასახელებული ცნობები, ამ კრებულის აღწერილობასთან ერთად. გამოქვეყნებული აქვს ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს თავის „Описание“-ში, ტ. I, გვ. 112 — 114.

მინაწერები: 1. (ტექსტის ხელით, პავლე მოხდოკელისა):

„ჩყვ წელს, დეკნბრის კო დაგვებადა პირველი შვილი ეს ტ ა ტ ვ; მონათლა იანვრის კო, ჩყვ, მთვარის ორს დაიბადა; მთვარე ორის იყო“ (118 v).

„ჩყი წელს, დეკნბრის C დაგვებადა მეორე შვილი აღექსანდრე; მონათლა დეკნბერსვე კვ. ჩყო. მთვარისა იყო დღე კვ, ოცდახუთის მთვარეში.

ჩყიე წელს, აპრილის თ, პარასკევი დღე, სადილობა, მთვარე იყო დღის იგ, დარიბადა მესამეთ ქალი და ეწოდა ა ნ ა ს ტ ა ს ი ა.

ჩყივ წელს, ივლისის იშ ოთხშაბათს ...დაშეების ხანს დაიბადა ვაჟი ისაკ, მთვარისაც იყო იშ. მონათლა აგვისტოს კე, და აღესრულა ჩყმბ, მაისის გ-სა“
(ეს უკანასკნელი შემდეგაა ჩაწერილი).

„ჩყვ წელს, მარტის კდ, განთიად[ისას], დღე ოთხშაბათი იყო, დაიბადა მეხუთეთ ქალი და უწოდეთ პ ე ლ ა გ ი ა“ (119 r).

2. მინაწერები პ. მ ო ზ დ ო კ ე ლ ი ს მეორე თაობისა:

„ჩყმგ წელსა, ივნისის ივ დღესა, მთვარე იყო ბ, დღე ოთხშაბათი, დაგვებადა ჩვენი პირველი შვილი ფ ე ფ რ ო ნ ი ა, და მონათლა ამავე თვის იშ-სა პარასკევსა.

ჩყმგ წელსა, ნოემბრის კდ-სა დღესა დაიბადა მეორე შვილი პ ა ვ ლ ე. მთვარე იყო ზ-შვიდი, დღე ოთხშაბათი, და მონათლა თებერვლის თ-სა.

ჩყმშ წელსა, იანვრის დ-სა დაიბადა მესამე ვაჟი დ ა ვ ი თ, დღე იყო კვირა, განთიადი; მთვარე იყო იგ, და მონათლა თებერვლის თ-სა.

ჩყმთ წელსა, აპრილის კ-სა დ[ღ]ესა დაიბადა [მეოთხე ვაჟი?] ხუთშაბათ დი-ლითა, მთვარე იყო იბ დღისა.

ჩენა წელსა, აბრილის კვ-სა დაიბადა მეხუთე ვაჟი ისააკ, პარასკევს განთიადისას, მთვარე იყო თ დღისა.

ჩენდ წელსა, თიბათვის (ა) პირველსა დღესა დაიბადა მეექვსეთე ქალი ე მ ა ლ ი ა დღესა სამშაბათსა, მთვარე იყო იშ-სა.

ჩენთ წელსა, მაისის კთ დღესა დაიბადა ტ ა ტ ო, დღე იყო სამშაბათსა (2 r-v)

ჩყვგ წელსა, მაისის ზ-სა დღესა დაიბადა ვაჟი მ ი ხ ე ი ლ, მთვარე იყო გ-სა, დღისა* (3 r).

(14)

14

კრებული. 1826

90 ფ.: 25×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; ნაკლული დაზიანებული; მხედრული (სათაურები სინგურით); ტექსტი ჩასმულია სინგურით შემოხაზულ ჩარჩოში; თავბოლო სამკაულებად გამოყენებულია შავი და წითელი მელნით შესრულებული პატარ-პატარა რგოლები; 1826 წ. (46 v).

1. „აქა იწყების თარბიათა ცხენისა და კარაბადინი და წალი მისის ყოვლის გუარის სნეულებისა და კვალად, რასაც მიზეზით მეცნიერთა და ბრძენთ კაცთა სცნეს, მრავალი მისი სახმაროვნობა კაცთათვის და შემატება; და მეცნიერებით გამოესხმნენ ზღვის პირით ზღვაში მყოფს ცხენსა, ვითარ გამოიყვანეს აქა, გაიმბობს ყოველსა. დაღათუ სიტყუითა და გამოლაპარაკებით არის მოხსენებული, მაგრა ამგუარი საქმეები დაანახვეს მრავლის ცდითა, რომ ხმელზედ გამოსულა მოანდომეს.

პირველიად (!) — უწმიდური და ფინთი კაცი არ შენჯდესო, მეოვედ—ჩემზედ უწმიდური დედაკაცი არ შემსვათო, მესამედ—საპალნე არ ამკიდოთო...“ 1 v—43 r.

შენიშვნა: ა. უძღვის წინასიტყვაობა: „ძლიერებითა და შეწვევითა ყოველთ შემოქმედისა და ღმთისა ერთა-არსისაჲ(!) და სამ თვისთებისათა(!) და თანდაგომით ყოველთა მისთა წმიდათათა მცირესა რასმე სწავლასა მოვიღებთ სამცნებელად თქვენდა, ჭი კაცნო...“ (1 r).

ბ. ერთვის სარჩევი (44 r — 46 v).

გ. ცხენის კარაბადინი შედგება 114 კარისგან. იგი თითქოს უთარგმნია სპარსულიდან ქართულ ენაზე ვახტანგ VI-ს: „წიგნი ესე იყო პირველ თქმული სპარსთა და არაბთ შინა და უფროსად ქვეყანასა ამას შინა კედარისასა, რომელსა უწოდებენ ქართულად. გამოცხადნა თარგმანებითა და შეკრიბნა ერთად ღმთივ დიდებულმან ძემან მეფეთამან, თვით გამგებულმან, ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ მ ა ნ ვ ა ხ ტ ა ნ გ“ (1 v).

2. [ს ა ე ტ ლ ო], „ეტლი მართალი და ქეშმარტი. მარტისა ვერძი.

ა ვერძსა ზედა რომელი იშვას, შეიქმნას ტანად და პირად კარგი, გულოვანი და უსმენარი, კაცთმოყვარე და გონებად კარგი...“ 47 r — 56 r.

3. „ადამიანის ტომის მკურნალობა კუჭისა, ნაცადი. — კაცს რომ კუჭი დასუსტებული ჰქონდეს და საქმელს ველარ ინელებდეს, მოიტანე კოჭი სანელებელი, კარგად, წმინდათ დანაყე, ზედ უცეცხლო თაფლი დაასხი...“ 56 r-v.

4. „ასოთსამღერელისა, ვისაც რა ასო ემღერდეს.— თუ მარცხენა წარბი ემღერდეს, კეთილი არა მოაკლდეს. თუ წარბთა შუა ემღერდეს მოყვარეთა თავთა დაჯდეს...“ 57 r — 59 v.

5. [ანტონ I, ექსცერპტები საქართველოს ისტორიიდან]. „მოსე და ყოველნი წინასწარმეტყველნი. ვიდრე ჟამადმდე ალექსანდრესა, შეფისა მაკედონელსა.—რამეთუ ესეოდენნი მეფეს მათ ჟამნი, ვითარმედ ყოველნი მამათმთავარნი და წინასწარმეტყველნი და მეფობანი სირელთა, სპარსთა და მაკედონთანი...“ 60 r — 62 v.

შენიშვნა: ა. კრებულის ამ მონაკვეთს ზაქარია კიკინაძის ხელით აწერია: «სიტყვა ანტონ კათალიკოზის. ზ. კიკინაძე» (60 r).

ბ. ექ. თაყაიშვილი მას თვლის ყიზლარის კომენდანტის ივანე დარონდორფისათვის შედგენილ საქართველოს მოკლე ისტორიად, რომელიც გადაწერილია ნაკლული ნუსხიდან (იხ. „Описание“, ტ. I, გვ. 118).

6. [სიზმრისა და სხვადასხვა შემთხვევათა ცრუმორწმუნოებრივი ახსნანი].— „უკეთუ ფხჩხილთა მოიკვეთდე, პირველად საშუალი, ზეორედ ცერი, ძესამედ ნეკი... მოიკვეთდე კვირ[ი]აკესა, ორშაბათსა და პარასკევსა; სხვათა დღეთა ნუ მოიკვეთ დაყოველი საქმე შენი კეთილად წარემართოს... უკეთუ გინდეს ცნობა და მეცნიერება, დახსნა სიზმრისა...“ 63 r — 66 v.

7. „კალანდრა, თქმული ეზდრა წინასწარმეტყველისა.— უკეთუ დადგეს იანვარი დღესა კვირ[ი]აკესა: ზამთარი იყოს ნოტიო, ზაფხული და არე ქარიანი და ხმელი, ნაყოფი კეთილ, სთველი მცირედ, თაფლი ფრიად...“ (81 v; 67 r).

შენიშვნა: «კალანდრა», როგორც მითითებულია, ამ კრებულში იწყება 81 v-დან, მისი გაგრძელება კი მოთავსებულია 67 r-ზე.

8. „მთვარისა (!) და ქუხილისათვის.— იანვარს თუ იქუხნეს, იფქვლისა და ღვინისა სავსება იყოს და იძრას ერთობით, ყოველსა ქვეყანასა სიკვდილი იყოს. თებერვალს თუ იქუხნეს...“ 57 v — 68 r.

შენიშვნა: უნდა იყოს „ძრვისა“ და არა „მთვარისა“.

9. „სიცოცხლისა და სიკვდილისათვის.— უკეთუ ვინმე იშვეს დღეთა შინა ნათლისა მქონებელისათა, ბედნიერ იყოს ყოვლითურთ, ხოლო უკეთუ იშვეს ნათლისა არ მქონებელისათა შინა, უბადო იყოს...“ 68 v — 69 r.

შენიშვნა: ერთვის: „ნათლისა მქონებელნი დღენი მთვარისანი: 1, 2, 3, 7, 9, 11..., ნათლისა არა მქონებელნი დღენი მთვარისანი: 4, 5, 6, 8, 12...“ (69 r).

10. „სამთვარიო მართალი და ქეშმარიტი.— ა. მთვარისასა დღე, კეთილი თესვა, ნერგვა, ცხოვართ რისვა. წარწყმედული იპოვოს და სწრაფად წასრული უქმოიქცეს; რომელი იშვეს, ბედნიერი იყოს. თარგმანი: ღმერთმან შექმნა ადამი ჯელითა თვისითა და გაბრიელ მთავარანგელოზმან ახარა ქალწულსა მარიამს...“ 69 v — 76 r.

შენიშვნა: მთვარის კალენდარში (სამთვარიო) ამგვარად დახასიათებულია თვის ყოველი დღე (ა—ლ). თვითეულს ერთვის «თარგმანი» ბიბლიიდან.

11. „ლექსი არს.—

მელექსესა სამს საქმეში ერთი მაშინც უნდა სჭირდეს:

ან ვინ ნიკით ათქმევინოს, საუბარი არ მისჭირდეს,

ან მდიდარი, ნებიერი საწუთროსა ჯელსა (!) ჰყიდდეს,

ან მიჯნური ჯელი იყოს, სიყვარული გულსა სჭირდეს...“ 77 v.

შენიშვნა: ლექსი 15-ტაეპიანია. პირველი სტროფი შეიცავს ოთხს, მეორე ექვსსა და მესამე ხუთ ტაეპს.

12. [კვიმატი დღეები ყოველი თვისა]. „კვიმატი არის.— სეკ-დემბერს 3 სამსა და ოცდაოთხსა 24; ოქტომბერს 3 სამსა და 21 ოცდაერთსა... ამათ დღეთა შინა შობილი მოკვდეს არა სნეული...“ 78 r.

13. „მოთხრობა მცირე ვასილი ღრაფისაგან რიცხვთათვის დასაბამითგან გარდასრულთა წელთასა. — აღამითგან წყლით რღვნამდე გარდახდეს წელნი 2242; წყლით რღვნითგან ვიდრე გოდოლის შენებამდე—525..“ 78 v.

14. „სიბრძნითგან ფილოსოფოსთასა აღწერილი წინასწარმეტყველებად ჟამთა და ბუნებათა წელიწადსათა მოწვევადთათვის, თუ ვითარი იქმნებიან. — უკეთუ იყოს ზედნადები, რომელ არს 45-ეული, ესრეთ არს, მას წელიწადს იყოს თივა ძვირად... უკეთუ იყოს ზედნადები 44, მას წელს ზამთარი იყოს თბილი, გრძელი და თოვლიანი, გაზაფხული წვიმიანი...“ 79r—82r.

15. „ესე სასწაულნი არიან ძვირისა და ქუხილისა, მნათობთ დაბნელებისა, მზისა და მთოვარისა, ცის სარტყელისა, ელვისა და ვარსკვლავით (!) აფრენისა. — თვესა იანვარსა თუ მთოვარე დაბნელდეს, ყოველმან ნაშრომ[მ]ან იკეთოს და საჩინოთა კაცთა სიკვდილი იყოს, და ხვასტაგი გაიფედეს. თუ მზე დაბნელდეს, ბრძენთა კაცთა სიკვდილი იყოს...“ 83r—86r.

16. [მთვარის შეყრა და გაცილება შვიდ მთავარ პლანეტასთან, ამ დღეთა ავკარგობა]. — „აღლის მთოვარე შემოეყრების ზოჰალს, ეს დღე უბედურია. ბატონთან მისვლა, გზას წასვლა, მუშაობა, ანგარიში არ ვარგა... ლ[-ს] გასცილდება მთოვარე ოტარიდს. სამართალში მისვლა, ელჩის გაგზავნა, მგზავრობა, ვაჭრობა, წიგნის წერა—ყველა კარგია...“ 87r—89r.

შენიშვნა: აღწერილია ექვ. თაყაიშვილის მიერ („Описание“, ტ. I, გვ. 115—120).

მინაწერები: ა. „ზაქარია კიკინაძის ბიბლიოთეკისა“ (ზაქარია კიკინაძის ხელით).

ბ. „ამ წიგნში 179 გვერდ[ია] მ. ჯ.“ [მოსე ჯანაშვილი] (1r).

(15)

15

იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი. XVII

03+62 ფ.; 27,5×20; ქალღი; მუყაოს დაზიანებული ყდა; კალიგრაფიული მხედრულით (სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით); [XVII ს.]; ავტოგრაფი; ხელნაწერის დასაწყისში ჩაკრულია გრაფიკული გამოსახულება ღვთისმშობლისა ყრმით (02r).

„დიდი მოურავიანი, თქმული სააკაძის ძეს იოსებ თბილელისაგან. —

ქრცილევანს იდგა მეფე შებებით, მას გვერც (!) ახლდა მოურავი, იშვებენ და იხარებენ, ქარი უქრის მათ არ ავი...“ 1r—123r.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. [პროლოგი]. —

„მეფესა ქართლისა ცხორება ებძანა გალექსულობით, ზოგი რუსთვლისა ბაასი, კაბთ მეფის საქმე სრულობით...“ (1r).

ბ. [მეფის არჩილისადმი]. —

„მეფე, სიბრძნით აღსავსეო. ქელმწიფეთა პირმშოვ შვილო, ღრმთის სიტყვისა ამომცნობო და ძნელისა გამადილო...“ (1r).

გ. თაფურცელი: „დიდი მოურავიანი, თქმული სააკაძის ძის იოსებ თბილელის საგან“ (დაწერილია არა ტექსტის, გვიანდელი ხელით).

2. ტექსტი გამოცემულია ამ ნუსხის მიხედვით. გამომცემლის აზრით ეს ნუსხა ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს (იხ. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გორგილენიძის რედაქციით, 1939 წ.).

3. პირველად „დიდმოურავიანი“ გამოსცა პლატონ იოსელიანი 1851 წელს.

4. ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს, იხ. „Описание“, ტ. I, გვ. 120—121.

5. პოემა შეიცავს 482 სტროფს. სტრ. სტრ. 475—481 წარმოადგენენ ეპილოგს, უკანასკნელი კი მიმართულია კვლავ [მეფის არჩილისადმი] (იხ. დასახელებული 1939 წლის გამოცემა).

მინაწერები: (სხვა, მოგვიანო მხედრულით) ა. „ქიაზ იაგორ ავალის შვილი ისაგან ასტრახანს ნაყიდი ხუთ აბაზათ შეუკრავი, და შესაკრავათ მისცა სამი აბაზი“ (01).

ბ. „ღმერთ, შემოსა (!) თანაშემწეს და თან მღვდელმონაზონს ლავრენტის“ (61v).

გ. „ღთნ ბედნიერის ხელმწიფის ჰირი და სატკივარი“... (61v).

დ. თურქული ლექსი (ქართული ტრანსკრიბციით).—

„სამრამ დაღსინამ ჩაქვრან დაღსინამადა

გუნ და იუზ მალამ ვერსან ეჩგვთ მასდაღ სინამადა...“ (62r).

(16)

16

ოთხთავი სპარსულ ენაზე (ქართული დაწერილობით). XVII

358 ფ.; 29,5×19,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა (გარდა ორ-ნამენტებისა, ყდის ცენტრში ამოტვიფრულია ჯვარცმა, კიდევბზე მახარებლები): ნაკლული (აკლია ერთი ფურცელი ფ. ფ. 172—173-ს შორის, სახელდობრ მარჯოხის სახარების ბოლო ნაწილი); მხედრული (სათაურები სინგურით; ზოგიერთი სპარსული ბგერის გამოსახატავად გამოყენებულია სპარსული ასოები: [XVII ს.] (ჭვირნიშანი: მხედარი მახელით, ზოგან მხოლოდ ცხენი); ხელნაწერის ფურცლები დაწინწკლულია ოქრომელნიით, კიდევბზე წინწკლები უფრო ხშირია, რაც ტექსტისათვის ქმნის ჩარჩოს. ჩარჩოებში შესამკობად რომბის ფორმის ოქროს ფიგურებია გაფანტული; 2r—v დაუწერელია.

[სახარება მათესი]. „ქ. ინჯილი იასუფი. მასიიში მუყადღას. ჩინანჩი ნეიშთა მარ მათთაა ისტააღი ავეალ ქითაბი. — ნასაბი იასუფი მასიიშ ქარზანდი, დაავულ ქარზანდი...“ 3r—358r.

შენიშვნა: ა. 1 r-ზე ასეთი სათაურია: „სახარება დაწერილი სპარსულ ენაზედ ქართული ასოებით“. აქვეა მიწვრილი „И. Андроников“ (ხელნაწერის მფლობელი?).

ბ. აღნიშნული ნუსხა აღწერილი აქვთ ნ. მარსა და ექვთიმე თაყაიშვილს (იხ. ე. თაყაიშვილის „Описание“. ტ. I, 121—122; ნ. მარსა, „Описание персидского четвероевангелия, Зап. Вост. Отд. Имп. Русск. Арх. Общ. т. III, გვ. 377—381).

(17)

17

ვისრამიანი. XVIII

188 ფ.; 32,5×22; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა, მორღვეული და გატეხილი; დაზიანებული და ნაკლული (აქვს ძველი რვეულებრივი აღრიცხვა. შეიცავს 26 (კე) რვეულს, ზოგი მათგანი ნაკლულია: ა რვეულს აკლია ერთი ფურცელი, ბოლოში ფ.ფ. 7—8-ის შორის; ზ რვეულს — ერთი ფურცელი დასაწყისში ფ.ფ. 47—48-ის შორის, და ერთი ბოლოში ფ. ფ. 53—54-ის შორის; კ რვეულს აკლია ერთი ფურცელი ბოლოში ფ. ფ. 156—157 შორის; კა რვეულს — ერთი ფურცელი დასაწყისში ფ. 157-ის წინ; კბ რვეული არ არის მთლიანად ფ.ფ. 163—164-ის შორის; კე რვეულს აკლია 2 ფურცელი ბოლოში ფ. 185-ის შემდეგ; კვ რვეულიდან გადარჩენილია 2 ფურცელი და ბოლოს ზანდუკის ერთი დაზიანებული ფურცელი. ხელნაწერი დაშლილია და დასაწყისში ფურცლები დაზიანებულია); მხედრული (სათაურები სინგურით; ფ.ფ. 143—144 ტექსტის ხელისგან განსხვავებული, სხვა ხელითაა ნაწერი); [XVIII ს.]

„ქარი პირველი, დასაწყისი ვისისა და რამინისა. — იყო დიდი და მალალი სულტანი [ტულუბრებე ქუეყან]ასა ხუარასნისასა და აღრაბადაგან[ისა, ლაშქარ-მრავალი], მოვლენილი და მორკმული, და აღსრულებული ყოველსა სპარსეთსა] ზედა...“ 1r—187v.

წყდება: „... ოთხმოცდასამი წელიწადია, რომე სვიანი ველ[მწიფე]“... „ვისრამიანი“ (ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. ქეკელიძის რედაქციით, 1938. გვ. 324₁₂).

შენიშვნა: 1. ერთვის ნაკლული ზანდუკი (188r-v).

2. კე რვეული წყდება: „... ესრე დიდი ველმწიფე, ვითა შაჰი მოაბად...“ (318₁₃, იხ. დასახელებული გამოცემა).

კვ რვეული იწყება: „... [ქალაქი იყო ასრე შეკახ]მული, გა[რნა]... მისტირდებოდა ქუეყანასა და მისითა სიკ[უდილითა ყუელა დაქსნილ იყო კირთაგან...“ (იგივე გამოცემა, გვ. 321₄)

3. ამ ნუსხის ბოლოს, კიდევ პ. უმიკაშვილის ხელით მიწერილია: „სხელნაწერი ეგზემპლარი ვისრამიანისა რედაქტორობის დროს, 1884 წელს, დასაბეჭდის ტექსტისათვის შესადარებლად ხელში ჰქონდა რედაქციას (რომელშიაც იყენებოდა ქავქავაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი და მე, პეტრე უმიკაშვილი). ეს ეგზემპლარი აღმოჩნდა შეურყენელი და უფრო მცირედ შეცვლილი გადამწერთაგან“ (185v).

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს („Описание“, ტ. 1, გვ. 122—123). იხ. აგრეთვე, „ვისრამიანი“ 1938 წლის დასახელებული გამოცემა, გვ. XVI.

5. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი აღდგენილია ამ ხელნაწერის დედნის S—27-ის მიხედვით.

(18)

18

რუსულ-ქართული ლექსიკონი. 1791—1792

294 ფ.; 35,4×21; მოლურჯო ქალაღი; მუყაოს სქელი ყდა; დაზიანებული (ფ.ფ. 25,26 დაზიანებულია; ლექსიკონის ქართული თარგმანი აქა-იქ გადასულია და ზოგან ძნელად, ზოგან სრულიად არ იკითხება, მაგ.: 2r—4r, 132v—133r, 169r, 180v—181 და სხვ.); მხედრული; 1791—1792 წწ. (294v; ქვირნიშანი 1790).

[რუსულ-ქართული ლექსიკონი]. —

*A

Ангел № 2 ანგელოზი

Адам, М. 2 ადამი

адамовый, адамий, прил. ადამიანი, ადამის, საადამო

Ад, М. 2 ჯოჯოხეთი...“ 1r—294v.

შენიშვნა: 1 ლექსიკონის რუსული ნაწილი გადმოწერილია წინასწარ ერთი ხელითა და მეორით რომელიღაც ლექსიკონიდან; ქართული თარგმანი განსხვავებული, მკრთალი ნელნით შემდეგაა მიწერილი. ზოგიერთი რუსული სიტყვა აუხსნელია.

2. ზოგან რუსულ სიტყვათა ქართული თარგმანი რუსული ასოებითაა დაწერილი, ასეთებია მაგ.: 11v—26v, 95r—100r—149r. 169v, 261v და სხვ.

3. პირველსა და უკანასკნელ გვერდზე (1r, 294r) დასმულია ბეჭედი, რომელიც შავი საღებავითაა დახშული და სრულიად არ იკითხება.

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. „Описание“, ტ. 1, გვ. 123).

ანდერძი: „განსრულდა სადიდებლად წრის დავითისად 1792. ფებ[რ]ვალს 5, დანიწყო წელსა 1791 დეკემბერს“ (294v).

19

კარაბადინი. 1832 — 1843

532 ფ.; 32×20,4; ქალაღი: ტყავგადაკრული მუყაოს მორღვეული ყდა; მხედრული; კვირნიშანი 1832; გადამწერისაგან ახალი საძიებელი შედგენილ-გადაწერილია 1843 წელს (514v); გადამწერი—მიხეილ იოანეს ძე სარაჯიშვილი (19v, 66r, 502r); დაუწერელია: 01v—02r; 488v—489v; 515r; 581v—523v.

«შ არ ი ფ-ზ ა დ ე».—კ არ ა ბ ა დ ი ნ ი, რომელსა ჰქვიან მუნთახაბ შაქი... გამორჩეული მკურნალობა.—წინასიტყვაობა, თავი ა. აპა, დიდება-დაუსაბამოსა, დაუსრულებელსა მალალსა ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა...“ 02v—477v.

შენიშვნა: 1. ეს კარაბადინი სხვადასხვა სამკურნალო წიგნთაგან შერჩეულ-გამოკრებილია შ არ ი ფ-ზ ა დ ე ს მიერ (17r); თარგმნილია დაუთხანისაგან (17v).

2. კარაბადინს ერთვის: ა. უცხო სიტყვათა (არაბულისა, სპარსულისა და თურქულს) ახსნა (486r—488r).

ბ. საგნობრივი საძიებელი დალაგებული ანბანზე, თავებისა და გვერდების ჩვენებით (490r—496v).

გ. საძიებელი თავთა (497r—501v).

დ. ანბანური საძიებელი სწეულბათა (502r—514v).

3. ეს უკანასკნელი შედგენილია მიხეილ სარაჯიშვილის (გადამწერის) მიერ კარაბადინის გადაწერის შემდეგ (1843 წელს). საძიებელი დაწერილია სხვა ზომისა და ზარისხის ქალაღზე (ხმარებისაგან საკმაოდ გაცვეთილია) და შემდეგაა ჩადებული ხელნაწერში. საძიებლის წინასიტყვაობაში იგი წერს; „მრავალჯერ ამ კარაბადინში ვეცადე პოვნად წამლობანი (!) და დარიგებანი (!) სხუათა და სხუათა გვართანეულობისასა, გარნა თავისის ზანდუკით ვერ იპოვებოდა გამორჩევით, რადგან წინაპარ შემდგენელსა არ ეზრუნვა, გააკეთოს (!) ანბანის გვარზედ, ადვილათ საპოვნელად ყველა რიგის სწეულობისა და მკურნალობისა მისისა; და მე, ამის გამკეთებელს კოლლეჟსკი სეკრეტარ მიხეილ სარაჯოვმა შევადგინე და ვთხოვე ყოველს კეთილ-გამზილველს, რათა, რაცა ნაკლებლობა იხილოს, სულგრძელობით მომიტეოს“ (502r).

4. ხელნაწერში კარაბადინს მოსდევს [სამთვარიო]: „საქმისათვის მგზავრობა ბედნიერი ზღვასა და ხმელეთსა, კეთილი ხენა, ნერგვა...“ (478r—485v); ბოლო თავისუფალ ფურცლებზე კი საოჯახო მოხმარების საგანთა შეზადების რეცეპტებია.

შეტანილი: ა „ჩრთხხელის გაკეთება“ (515v), ბ. „ვაქსის გაკეთება“ (515r), გ. „რომის გამობდა“ (516r).

5. ბოლო ფურცლებზე დამატებით მოიპოვება სხვადასხვა სატიკვართა წამლების შემზადება (516v—518r).

6. კარაბადინის შედგენილობის დაწვრილებით გასაცნობად იხ. ე. თაყაიშვილის „Описание“, ტ. 1, გვ. 123—194.

7. დაუთხანის კარაბადინი გამოცემულია ლადო კოტეტიშვილის მიერ (იადგარდაუდი, თბ., 1938 წ.).

ანდერძი: „აწე. ვისაც ამა წიგნითა და ამა წამლებითა უაქიმოთ, და ძალითა და შეწვენითა ლთისათა. ამა წამლების მიხეზითა იგი კაცი შორჩეს და ელხინოს, მე, ცოდვილსა და უღირსსა იოვანეს ძე მიხეილ სარაჯოვს ნუ დამივიწყებთ, ვინც შენდობა მიბძანოთ, ღმერთმან თქვენც შეგინდოსთ თქვენი ცოდვანი და ამა უხანოსა სოფელსაც უჭირველად გამოყოფოსთ და გადღეგრძელოსთ და შეგარგოსთ და თქვენზედ ალაღად ჰქმნას სარჯულნი და ჭირნახულნი ჩემნი“ (19r).

მინაწერი: „კარაბადინი შემოწირული ჭერივის სარაჯოვისაგან“ (01r).

(20)

20

ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი. XIX

(ვრცელი რედაქცია)

142 ფ. (284 გვ.); 35×70.5; ლურჯი ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიტრული, ხის დაზიანებული ყდა; ნაკლული (აკლია ლექსიკონის წინა დანართი და თითო ფურცელი 266-სა და 282-ის შემდეგ); მხედრული (სიტყვათა დასაწყისი ასოები სინგურით. სათაური ასოები ა—დ დაწერილია მხედრულით, ე—დან კი — მთავრულით და სრული სახელწოდებით: ვნი, ვინი და სხვ.); XIX ს-ის 20-იანი წწ. (ჭვირნიშანი 1821).

ა. ლექსის კონა ქართული. —

ანი არს პირველი ასო და წმოვანი და ართრონი, მრავალრიგად და თავად მოვალს ყოველთა სიტყუათა და ბოლოდცა, ვითარცა ზემო დამიწერია.

აა. 18 კავშირში. იხილე აქა თუ ვითარ განჰყოფს აობასა და მყოფსა...

აადვილებ ადვილ ჰყოფ

აავლინე ზე აგზანე

ააზიზინე ზრზენილ ჰყავ...“ გვ. 1—280.

შენიშვნა ერთის: 1. [Curriculum vitae] „ამა წიგნისა მოღუაწებელსა სულხან ორბელიანსა ლოცვით მოიხსენებდეთ“ (გვ. 280).

2. „იესო ქრისტეს სამეოცდაათთორმეტი მოწაფეთ სახელები, ვინ იყუნენ და ან სად ეპისკოპოს იქმნენ“ (გვ. 281—282).

3. ლექსები: ა. „მეფის ვახტანგისა. —

სიყრმიდგან იყო მუდამად სიბრძნის სწაველისა მსახველი...“ (გვ. 283).

ბ. „მისივე. —

რადგან დაშვრა ასრე საბა, ჰება მმართებს აწყა მეცა...“ (გვ. 283).

გ. „საბას ნათქვამი. —

ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენთა დამიწუნოთა...“ (გვ. 283).

დ. [ონიკაშვილი ნიკოლოზ — ს. ს. ორბელიანს]. —

„სულხან-საბა არს საქებელ ისტორიკოს გინა ბრძენად, ფილასოფოსთ ყოფაქცევით სრული იყო გინა ბრძენად...“ (გვ. 283).

(იხ. აღ. ლლონტი. „ნარკვევები“. 1955, გვ. 133—134).

4. მოტანილი ლექსები (მთავსებული 283 გვერდზე) არ არის დაწერილი ტექსტის ხელით. ამავე გვერდზე მთავსებულია ანდერძი: „ადწერილ არს წიგნი ესე ერისთვის მდივნის პაატასაგან წელსა ჩყ (!), დეკემბრის კ“.

ის ანდერძი ლექსიკონის გადაწერის არ გვუთვნის. იგი ამ ნუსხაში ლექსების ჩამწერის ხელითაა შეტანილი. ანდერძის დამწერი ლექსიკონის გადაწერის თარიღში შეცდომას უშვებს. ქალაქის ჰვირნიშანი 1821 წელს მიუთითებს (იხ. ექვ. თაყაიშვილის „Описание“, ტ. I, გვ. 194—196).

მინაწერება: 1. „თ. ა. დ. ე რ ი ს თ ა ვ ი“ (გვ. გვ. 01,1 დავით ერისთავი ლექსიკონის მფლობელია, რომელსაც შეუწირავს იგი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისათვის).
2. „პარლის კდ-ს 24 იწყეს მუშაობა თათრებმა, დღესა ხუთშაბათსა“ (გვ. 284. ლექსებისა და ანდერძის დამწერის ხელით).

(21)

21

ქილილა და დამანა. 1839

(ბებუთაშვილიყული ნუსხა)

248 ფ. (496 გვ.). 34.5×21,5; ქალაქი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1839 წ. (გვ. 488); გადაწერ-შემმოკლებელი—მელიგზარ აშხარბეგის ძე ბებუთაშვილი (გვ. 488); დაუწერელია გვ. გვ. 490, 493—496.

„კარი პირველი. — რომელსაც ყმათაგანსა და ხელქვეშეთთა თავი გამოეჩინოს, სიტყვით მისის სახელის დამცრობას ნუ უჯერებ, ამისთვის, რომ ვინც მებატონეთაგან გადიდდება, ყოველი კაცი მას გაუქიშპდება...“
გვ. 1—487.

შენიშვნა 1. უძღვის: საბას ანდერძის ბებუთაშვილიყული პერიფრაზი. —

„წიგნსა ამას ეწოდების ქილილა და [დ]ამანა. — დღესცა საქართველოს მეფე ვახტანგ ცვილიღებისა გამოდ სოფლისა ინდოეთში გარდასულიყო, მაშინ მას ეს წიგნი ხელად ეგდო ფარსულის ენით დაწერილი ფილასოფლის ბარამად სახელდებულისაგან. თვით მეფეს, ფარსულის ენის უცოდინარობით, მოეძებნა კაცი ერთი და ქართულს ენაზედ ეთარგმნინებინა, მაგრამ თავის გონებისათ ვერ ეთარგმნა, მირფე-მორვეით ეთარგმნა. სხვა ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არს კაის მცოდინარისაგან, ძნელია (!). რა ენაზეა მეფეს, რომ ყოველი გაკვირვებული რჩევა, ერთგულთა წყალობა, ორგულთა მისაგებელი, ჯელმწიფეთა და ხელისუფალთა წესნი აქედგან მიიმხედარების, მაშინ გული აღსძრენოდა (!) და მუნითგან ქაროლში სულხან ორბელიანისთვის გამოეგზავნა, ესე სულხან მამიდასშვილი ყოფილიყო მეფისა. და მოეწერა მალაღსა მდაბალი:

წუთის სოფლისა სურვილი უგუნურება მგონია,

მოყვარე კეთილს ჰყვარობდეს, ბრძენთაგან გამოგონია,

აწ მოიგონე შენ ჩემი პირველი სიყვარულია,

ეს საქმე კარგად მისაქმე, თვალთ ნუ მოგივა ჭულია.

ებრძანა: ეს ჩემი პირიანული გაჩაღზე გემოვანად, სადაცა ლექსები ჩართულ იყოს, აკრეთვე ლექსები ჩაურთეთ. რა ეს ბრძანება მოსწლოდა, უარა არ შეიძლებოდა და თოთხმეტ კარად დაეწყო ტკბილად და გემოვანად...“ გვ. 1—487.

ერთვის: თავთა საქმეებელი (გვ. 488—489).

ანდერძი: „1839-სა წელსა. თიბათვის კასა დღესა ჩემს სოფლად ყოფნის და ცუდობის გამოდ მრავალჯერ გარდმეკითხა ესე ქილილა და [დ]ამანას ისტორია, და ენაზე, რომ მას შიგან მრავალნი ლექსნი და იგაგნი ღრმა-სიტყვაობის გამოდ მკითხველნი (!) გაუგებლად დარჩებოდნენ; და რა ისტორიისა ამის კითხვით სარგებლობა მრავალი შეეძინება მკითხველთა. გინა ლაპარაკში და გინა მოქმედებაში, ამისთვის მე, თავადმა მელიგზარად აშხარბეგის ძემ ბებუთაშვილად დავიღ შეტყობისათვის ზოგიერთნი ღრმა-მეტყველობით ლექსნი ჩნს დაბიურს ენაზედ შევსცვალე. ესე მხოლოდ ამისთვის, რათგან მას შიგან ურცულად იყო და ზოგიერთის იგაგის კითხვით. რა მოეგზავნა მეორე საგანზედ ლაპარაკი, მკითხველნი შეუგებლად და შეუტყობრად დარჩებოდნენ. აქედგან ვიგულისხმობთ, უკეთუ ფრინველნი, მხეცნი და თევზნი ამ სახით იმოქმედებენ, მაშასადამე, ჭკუათმყოფნი

და პირმეტყველნი უკეთესად, და რა სადა საჭირო სახმარ არს, მოიხმარებენ. ამის გამოდ არა დავხარდი და ჩემის ხელით გარდმოვსწერე.

ვინცა სთხოვოთ [პატრონს ეს ხელნაწერი], გარდმოკითხეთ და თვისსა პატრონსა დაუბრუნეთ. თა მელიგზად ბებუდოვი“ (გვ. 488—489).

შენაშენა 2: ა. ხელნაწერის თავისუფალ ფურცელზე ტექსტის ხელით, შეტანილია ლექსი: „თქმული გორის მოქალაქის სტეფანე ფერშანგოვისაგან ქალაქის [თბილისის] აოხრებაზედ აღამამათხანისაგან, სიმღერად.—

ქალაქი, რომელთაც გინახამთ ყოვლით ქებული,

ხალხი მორთული, კვლავც, ნაჩი ალაღებული,

აწ მიდით, ნახეთ, როგორ არის აოხრებული,

მისი მშვენიერ ქალ-ვეყაცანი დატყვევებული.“ (გვ. 491—492).

ლექსი ათსტროფიანია. ბოლოს ბებუდოვი აღნიშნავს: „ეს ამისთვის ამ ქილილა და [და]მანაზედ გარდმოვსწერე, რომ არ იქნას დაკარგული, რადგანც ფერშანგოვის თქმულნი აღსრულებულ იქმნენ შემდგომ ორმოცის წლისა, და ის დამართეს ყიზილბაშთ, რაც ინატრა“.

ბ. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს (იხ. „Описание“, ტ. I გვ. 196—198).

(22)

22

ბაგრატიონი იოანე, რუსულ-ქართული ლექსიკონი. 1819—1820

161 ფ.; 32,5 × 21,3; ქალღი; ტყავგადაკრული დაზიანებული მუყაოს ყდა; ნაკლული (ფ.ფ. 38, 47, 54, 57, 76, 89 და 156-ის წინ ამოხეულია ფურცლები); მხედრული (ყოველი სიტყვის დასაწყისი ასომთავრულით); [1819—1820 წწ.]; ავტორადი: ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეუწირავს ილია ჭავჭავაძეს.

[ბაგრატიონი იოანე], რუსულ-ქართული ლექსიკონი.—

ატნიმაიუტ სთხოვს (!), ართმევს

ახპის იასპი

ავრორა ღთა ანუ განთიადის ვარსკულავი

ამვროზია ღთთა საქმელია, რომელ ძველად ასე აღმსარებლობდენ

აკი, ხოლო...“ 1r—160v.

შენიშვნა: 1. სიტყვარი დალაგებულია მხოლოდ პირველ ასოზე, დაწერილია ქართული ტრანსკრიპციით.

2. ლექსიკონი შედგენილია იოანე ბაგრატიონის მიერ. მას წინ უსწრებდა, სხვადასხვა რუსული წიგნებიდან იოანეს ხელით ამოკრებილი და მისგანვე თარგმნილი (1819 წ.) სალექსიკონო მასალა. ამ მასალის შემცველი ნუსხა დაცულია საქართველოს ცსა-ში, ფონდ. 1446 № 122.

4. პროფ. ექვ. თაყაიშვილის აზრით ამ ლექსიკონის შემდგენელი სოლომონ დოდაშვილია (იხ. „Описание“ ტ. I, გვ. 198—200). დავით კარიკაშვილს იგი იონა ხელაშვილისად მიაჩნია (იხ. „საქართველოს არქივი“, წიგნი II, 1927, გვ. 39).

5. 1842 წლის მინაწერი—„Милостью божиею отверзлись очи ума моего...“ (02v)—მთლიანად დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის დასახელებულ აღწერილობაში, (გვ. 198—199) და ვკუთვნის სოლომონის ძმას სფირიდონ დოდაშვილს და არა სოლომონს.

6. ამ ლექსიკონის ავტორად ს. დოდაშვილის აღიარება გამოწვეულია ამავე ნუსხაზე მოთავსებული დოდაშვილების გენეალოგიით, ამ ოჯახის წევრთა სხვადასხვა ხასიათის მინაწერებით, განსაკუთრებით კი ვინმე მიხეილ სიფრავეის გვიანდელი მინაწერით (იხ. აქვე, მინაწერი ი).

მინაწერებო: ა. „ხანი ქართულე ქონგურების შუა დარჩომილი ცარიელთა დგლია“ (01, ტექსტის ხელით).

ბ. „გორიჩის სოფელი. ვიტები (!) ლუბერნიაში, ველისკის იეზდში (!), ლესონინსკი ჩასტი“ (01, ესეც ტექსტის ხელით, იოანე ბატონიშვილის ავტოგრაფი).

გ. „ლანბარდის (!) სარგებელი მისაცემი წელიწადში ათს თუმანზედ ცხრა მიწალთუნი და სამი აბაზი“ (01, ტექსტის ხელით).

დ. ს. დოდაშვილის გენეალოგია:

„აოსებ, შვილინი $\left\{ \begin{array}{l} \text{იოანე — მღვდელი, მეუღლე ბარბარე} \\ \text{იოსებ — ერისკაცი, სამი ცოლი ყვანდა.} \end{array} \right.$

იოანეს შვილინი: სოლომონ, სტეფანე, (მიხეილ, ნიკოლოზ გარდაიცვალენ მცირეწლოვანნი), იასე (...). სფირიდონ. ქალნი: ალათია, მელანია, ნინო.

სოლომონ დაიბადა 1805 (მაისს, ანდრონიკეს დღეობას), ამის შვილინი: იოანე დაიბადა 1829-ს, სეკდემბრის 21-ს (ქალი ნინო — 1831-ს, აგვისტოს 1-ს), კონსტანტინე — 1832 დეკემბრის... ელენა, მეუღლე სოლომონის.

11 დეკემბერს 1832 (გადახაზულია, დაპატიმრების თარიღი).

6 სექტემბერი 1833 (ესეც გადახაზულია). გარდაწყვეტილობა 1834, აპრილის 20-ს (შეთქმულთათვის განაჩენის გამოტანის თარიღი).

გამოცხადება — [1834], ივნისის 3-ს“ (განაჩენისა. 01).

ე. „სოლომონ დოდაევი“ (შეთქმულების მონაწილე სოლომონის შვილი-შვილი. 01).

ვ. „მის მალაქეთილშობილებას სფირიდონ დოდაევის; უფალს გრიბოედოვს“ (01. ეს მინაწერი მეტად მკრთალადა ჩანს).

ზ. ლექსიკონის პირველ გვერდზე იონახელაშვილის ხელით მიწერილია: „მიცვლებულს სურდა დაბეჭვდა ამისი მამულისათვის, აღმზრდელს ჩემსა — მეფის ძეს იოანეს. მე მსურს, რათა მის სახელზე დაიბეჭდოს. იონა მღვდელმონაზონი“ (1r).

შ. „ღვთის შეწვევითა გავათავე კურსი მე, იასე დოდაევა, წელსა ჩემგ 1843 ივნისის, მდაბიურ ლექსით, ად-სა რიცხვსა“ (161r)

თ. „ეს წიგნი ეკუთნის რაფიელ დოდაევის; იაკინ თე დოდაევის (!) ვწერ“ (161r).

ი. „ბძანება ესე ლექსიკონი სოლომონ დოდაევისა გამოთქმული არის რუსულათ და ქართულად. ენასა ზედა ყოველივე სიტყვაობა არიან: თუ რომელიცა კაცი შიბტყობს, დაისწავლის ენას, ძალიან მოუხდება და ყველაში მალე გაიმართება, რომელ უნდა იკითხავს და ისწავლის, მალე ეშველება.

როსისკია (!) ღრამატიკა განიყოფების სამად ორხმოვანად, მიხეილმა დასწერა ქართულად ენასა სიფრაევმა დიაროქმა დოდაშვილთან [სოლომონის მამისთან, მღვდელ იოანე დოდაშვილთან] ნასწავლებთან (!), რომელიცა იმისი წლოვანება (!) არის, იქ ყოფნისა ჩემ წელსა. იანგარიშეთ რამდენი იქნება ჩემგ-სა წელიწადი. მიხეილი“ (161r).

შენიშვნა: 1. ამ მინაწერის სტრიქონთა შორის ჩაწერილია სიტყვები: „ვაჟი ორისა წლისა; ვაჟი, ქალი რამდენს (!) იყო, როდის იყო, ვინ იყო, დაიბადა, წელიწადი“.

ეს ჩანართი სიტყვები ე. თაყაიშვილს ი მინაწერის ტექსტში აქვს შეტანილი (იხ. „Описание“, გვ. 199).

2. სხვა უმნიშვნელო მინაწერები მოთაესებულია: 61 v, 159v, 160v-სა და 161v-ზე.

(23)

23

რუსულდანიანი. XIX

01+265 ფ. (530 გვ.); 32.5×21; ლურჯი და თეთრი ქალღი; ტყავადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; დაუშავრებელი; მხედრული (სათურები სინგურით); პირველი გვერდის თავკაზმულობას შეადგენს წიგნის სათაურის გრებილი ასოებით გაფორმება, ტუშით და ფრინველის თავებით დამთავრებული ორი ტოტისაგან შეკრული კამარა. საცავ ფურცელზე იგივე სათაური მოკვიანებით ფანქრითაა გადმოტანილი და მისკვემით ფანქრითვე დახატულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტი; XIX საუკუნის 30-იანი წწ. (ქვირნიშანი 1833, თეთრი ქალღისა); ოთხი უკანასკნელი ფურცელი დაუწერელია; შემოწირულია ილია ჭავჭავაძისაგან.

„აქა ამბავი ქართული რუსულდანიისა. აქა ამბავი [ი] რუსულდანიისა და ცხრათა ძმათაგან მის ამბის მბობა. კარი პირველი, თქვა უფროსმან ძმამან ანბავი [ი]. — იყო ჩინეთის ხემწიფე, ყვანდა შვილი, რომელსა სახელად ერქვა ზავა. ერთსა დღესა შევიდა თავის მამის სალაროში და არა მრავალი საუნჯე იყო...“ გვ. 1—522.

წყდება: „... ისეთსა ამბავს მოგახსენებთ, დაო და ძმანო, და ბევრსკი ნუ იცინებთო. აქა“... (იხ. რუსულდანიანი, 1956, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, გვ. 587).

შენიშვნა: 1. თხზულება შეწყვეტილია მეთერთმეტე კარზე. სიტყვა „აქა“ XII კარის სათაურიდანაა.

2. თავფურცელზე დ. კარიკაშვილის ხელით წერია: „რუსულდანიანი, შემოწირული თ. ილია ჭავჭავაძისაგან“.

3. იხ. ე. თაყაიშვილის დასახელებული აღწერილობა, გვ. 200.

(24)

24

ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი, 1811

(გადამუშავებული რედაქცია)

06+285 ფ. (გვ. 570); 35,5×21; მოლურჯო ქალღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (განსამართავ სიტყვათა დასაწყისი ასოები სინგურით; სათაური ასოები ლექსიკონში არ არის, მათ დასაბამად აღდიდება დატოვებული); 1811 წ. (გვ. 564; ქვირნიშანი 1808, 1809); დაუწერელია ფ.ფ. 05—06, გვ. გვ. 565—569; შემოწირულია ილ. ჭავჭავაძისაგან.

[სულხან-საბა ორბელიანი, ქართული განმარტებითი ლექსიკონი]. —

„ანი არს პლი ასო და გმიანი...“

აბადონ ებრაულებრ და ბერძულეებ აპოლიონ და ლათინურად ექსტერ-

მინანს, რომელი წერილ არს იოანეს გამოცხადების 9,11, მომსპოლველად გამოითარგმანების

აბაჯანა სააბანოე დიდი ტაშტი

აბაჯი ოთხი შაური

აბანო სახლი დასაბანელი...“ გვ. 1—563

შენიშვნა 1. ერთვის: 1. [Curriculum vitae] (გვ. 563—564).

2. ლექსები: ა. „მეფის ვახტანგის ნათქვამი. — სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის ჰსწავლისა მსახველი“... ბ [მისივე]. —

„რადგან დაშვრან ასრე საბა, ქება მმართებს აწვა მეცა“... (გვ. 564).

გ. „საბასნათქვამი.“

ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმან დამიწუნოთა“... (გვ. 564).

ანდერძი: „რაც დედანში იყო, მეც ის დაეწერე, მაგრამ სიჩქარით აენუსხა და მრავალი ასო საცილობელი იყო. რაც შემოდლო, ვეცადე გამართვას, და რაც ვერ შევიძლე, ამისთვის ნუ მწყევთ წიგნისა ამის აღმომკითხველნი. წელთა ჩყია, იანვარს ლა“ (გვ. 564).

მინაწერები: 1. „თავადის განსვენებულის შერმაზან აფხაზოვის ძე დაიბად[ა] წელსა ჩულა-სა, იანვრის თ-სა დღესა, მთავარესა თ-სა, დღესა პარასკევსა, სადილთ გვიან ორს საათზედ“ (01r).

2. „თავ[ა]დი (!) ილია აფხაზოვმან იქორწილა ჩუშთ-სა, ოკდონბრის იგ-სა დღესა“.

3. „1854 წელსა, იენისის 4 დღესა მოვიდა შამილ ოცდაათიათასი კაცით და ცამეტი სოფელი წა[ხ]დინა თელავის უჩასტკა(!). მრავალი საქონელი და დავლა წაიღო; ათასორასი ტყვე წაიყვანა და ამით შორის თავადი დავით ჭავჭავაძის ცოლ-შვილი, ილია ორბელიანის ცოლი და შვილი და მელიტონის გასათხოვარი ქალი. სახლები დაუწვეს და დავლა წაიღეს. ცამეტს სოფელ[ს] არღარა დარჩა რა, საქონელი არა ოთაფხ[!ოთხფეხი]. ილია ორბელიანი“ (02r)

4. „თავადმა აღექსანდრე ზაქარიას ძე ვახვახოვმა იქორწილა კანონიერი[ის] ჯვარი[ის]წვრითა თავადი დავით აფხაზის(!) ასულზედ, ნინაზედ, 1861, ოკდონბრის 21 დღესა, შუადღიდგან მეხუთეს სა[ა]თზედ, დღესა შაბათსა. ღმერთო, შენ ყავ ბედნიერ“ (03r).

5. „1849 წელსა, 13 ოკდონბრსა იქორწინა თავადმა ილია აფხაზოვმა დავით ანდრონიკოვი[ც]ის ასულს ტასიანზედ. ღმერთო, შენის შეწვევით მიეცი ბედნიერება შენდა სადიდებელათა თავად ილია აფხაზოვის(!) ცოლითურთ“ (04r).

6. [დავით აღმაშენებლის ეპიტაფია]. —

„უბის[ს] ავაგე ქალაქი. უწყალოს წ[ყ]ალი ვადინე, ისპანს დავდე ბეგარა, სტანბოლს ხარაჯა ავიღე...“ (გვ. 570).

7. „ლექსიკონი საბა ორბელიანის, შემოწირული თ. ილია ჭავჭავაძისგან“ (01r, დ. კარტიკაშვილის ხელით).

შენიშვნა I: ა. ეს ნუსხა მისდევს კონსტანტინოპოლურ (1715/16 წლის) ნუსხას (H—1658). შდრ. H—616-ა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. II.

ბ. ხელნაწერთა აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს (იხ. „Описание“, ტ. I, გვ. 201).

(25)

25

ქართლის ცხოვრება (ბართაშვილისეული). 1760—1761

343 ფ. (686 გვ.); 32×20,5; ქალღი; ტყავგადაკრული ტვიფრული, მუყაოს მორღვეული ყდა; ნაკლული; ხელნაწერს აქვს ძველი — რვეულებრივი, და ახალი — გვერდობლივი აღრიცხვა შეიცავს 44 რვეულს (რვეულების მიხედვით აკლია I-ს—2ფ., 25-ეს—5 ფ., ხოლო 38-ესა და 44-ეს თითო ფურცელი); ლამაზი მხედრული (სათაურები სინგურით); ხელნაწერის მორთულობას შეადგენს სინგურითა და შავი მელნით შესრულებული მარტივი, დიდი ზომის მთავრული ასოები სათაურებისა და აბზაცთა დასაწყისში; 1760—1761 წწ. (გვ. 192,685); გადამწერი—მღვდ. იოანე (გვ. 192,685); თბილისი, ჯვარის საყდარი (გვ. 685); ხელნაწერი ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეუწირავს ილია ჭავჭავაძეს (გვ. 1).

1. [სწავლულ კაცთა წინასიტყვაობა]. „პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყენილყო რომელიმე მწერალთა მიერ, და რომელი ჟამთა ვითარებათაგან არღა-

3. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I

რა წერებულყო, ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმის წულმან სახელოვანის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, და კვალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი...“ გვ. 1.

2. [ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა]. „პირველად ვახსენოთ ესრეთ, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა, ამათ ყოველთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისა, ძისა ავანანისა, ძისა იაფეთისა, ძისა ნოესა...“ გვ. 1—116.

მთავრდება: „... ხოლო ნათესავნი მეფეთანი დარჩეს ჳევსა კახეთისასა და სუმონ ეპისკოპოსი მათთანვე. ხოლო მირდატ წარიყუანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა“.

3. [ჯუანშერი]. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. მშობელ და შემდგომად თვთ წისი დიდისა მის და ღწის მსახურისა მეფისა, რომელი უმეტესად კაცთაგან განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართველთასა.“

ვითარ-იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ სპარსთა წყობასა შინა, წარიყუანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა, და დაიპყრნეს ქართლი სპარსთა, განრყუნეს ეკლესიანი, დამალეს ჳვარები ქართველთა და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა...“ გვ. 117—213.

მთავრდება: „... ხოლო ესხნეს არჩილს ძენი ორნი: იოანე და ჳუანშერ, ასულნი ოთხნი: გუარანდუხტ, მარიამ, მირანდუხტ და შუშან“.

4. „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი-ესე იყო მეფე ქართლისა ხოსროიანი, და ვითარ გარდაცდეს ამას შინა წელიწადნი ორმეოცდაათნი, კვალად მოვიდა ჳიქუმ, ნათესავი მოჰმედიისა, მოაოხრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა და მიმართა შესლვად კახეთად...“ გვ. 213—217.

მთავრდება: „... და ამიერითგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ, და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ განბრძობილსა“.

5. [მატიანე ქართლისა].

„მეორემეოცდახუთე მთავარნი ქართლისანი იოანე და ძმა მისი ჳუანშერ, ძენი წიწ მოწამის არჩილ მეფისანი ხოსროიანნი. — შემდგომად ამისა, რაჟამს-იგი აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ მეფე, დარჩეს შვილნი მისნი იოანე და ჳუანშერ. წარვიდა იოანე ეგრისად და წარიტანნა თანა დედა და ორნი დანი თჳსნი...“ გვ. 217—273.

მთავრდება: „... აღილო კარის ციხე, ჳვეყანა და სიმაგრენი ვანადისა და კარნიფორისანი, და იოტნა თურქნი მის ჳვეყანისაგან“.

6. [დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი]. „ცხოვრება მეფეთმეფის დავითისი, გიორგის ძისა, რომელი იყო სამეოცდამეათერთმეტე შვილი შვილთაგანი დავით წინასწარმეტყველისა, რომელსა ეწოდა დავით აღმაშენებელი. ესე იყო მეფე ქართლისა და აფხაზეთისა მეორემეოცდაეჭვესე. —

ამისა შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქშა, მოადგა სამშვილდესა და წაილო, და ივანე, ძე ლიპარიტისი, ტყვეყო, და მოაოჯრა სომხითი და წარივიდა...“ გვ. 273—3.2.

7. ცხოვრება დიმიტრი მეფისა, დავითის ძისა, რომელი იყო მეორემეოცდაშვიდე მეფე ქართლისა ბაგრატიონი. — სრულყო რა დავით

სრბა მეფობისა ქკს ტკე და მივიდა დაუსრულებელსა სუფევასა სიცოცხლე-სავე შინა თუსსა, დასვა მეფედ ძე თუსი დიმიტრი და დაადგა გვირგვინი თვთ მისითა კელითა. დაიპყრა სამეფო ტახტი და საჯდომი მკლავითა ლომებრივითა, მისათბობელად ბრძენთა და ქების მოყუარეთათუს...“ გვ. 312—333.

მთავრდება: „... და არწმუნეს აღსლვად და ამალგებად საყდართა და საჯდომთა მამა-პაპურთა“.

8. [თამარ მეფის ისტორია].

„დაჯდა ნებითა ღთისათა მეფე თამარ დასაბამითგან წელთა ექუსითას ექვსას ოთხმოცდაექუსსა, ქეს აქეთ ათას ას ორმოცდაათექუსმეტსა. იყო მეფე ქართლისა თამარ მეორმოცდაათე.—

ხოლო აწ, ამიერიტგან ვიწყო და მივითხრა, და დაფარული იგი ცეცხლი, ვითარცა საღრტილსა შორის კვეთებითა რეინისათა გამოკრთის, ეგრეთვე აღმობრწყინებდად ამბავთა თამარისთა...“ გვ. 333—416.

მთავრდება: „... და ამისთვს ჩვენ მიერ ღუმელით პატივცემით დავიდუმოთ“.

9. [ყამთაღმწერელი],

„მესამეოცე მეფე ლაშა გიორგი, რომელი ითარგმანების აფსართა ენითა ქვეყანისა მანათობელად, ძე თამარ მეფეთ-მეფისა ბაგრატიანი.—ამას სანატრელსა სიცოცხლესა შინა თუსსა დაედგა გვირგვინი ძისა მისისა გიორგის, და რომელსა ლაშობითცა უწოდა. იყო წლისა ათცამეტისა, რაჟამს დაიდგა გვირგვინი მეფობისა, და მეფემან თამარ მიულოცა მეფობა. ხოლო რაჟამს მიიცვალა თამარ, იყო ლაშა ათრვამეტისა წლისა...“ გვ. 416—575.

მთავრდება: „... და დაიწყო მთიებმან აღმოკვირობად, ხოლო მენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელისა თქმად“.

10. [ქართლის ცხოვრების“ პირველი გაგრძელება].

„დაჯდა მეფე ადარნასე და განაგებდა სამეფოსა ქართლისასა. მას ჟამსა უკვე მოკვდა ქსანთა ერისთავი ვირშელი, და დაშთა ძე მისი შალვა სამისა წლისა, და აღზარდა იგი მეფემან პატივითა მამათათა...“ გვ. 577—614.

მთავრდება: „... შეიყარა ლაშქარი, შთავიდა კახეთს, დაიძორჩილა კახნი და განაძო ძმისწული მისი და დაიპყრა კახეთი“.

11. [ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელება].

„სახელითა ღწისათა აწ ვიწყოთ ცხოვრება ბაგრატიონიანთა მეფობისაჲ, ქკს რმბ. — დაჯდა მეფედ ძე გიორგისა ბაგრატი და ძმა ალექსანდრესი, და ჰყუნდა ცოლად დედოფალი ელენე, და ესხნეს ამით ძენი ორნი: ალექსანდრე და დავით...“ გვ. 615—683.

მთავრდება: „... დღესა ერთსა განაზრახნა სპანი იგი შირვანელნი და განიგულა წარწყმედა სულისა თუსისა, და სიკუდილი ნამისა და ძმისა თუსისა. მაშინ მიუწოდა ალექსანდრეს და გიორგის“....

ანდერძი 1 (გადამწერისა): ა. „მდელი უღირსი იოანე შენდობისა მთხოველ ვარ. ოკდონბერს ივ, ქეს აქათ ჩღჲ“ [1760] (გვ. 192).

ბ. „წყალობითა ღთისათა სრულ იქმნა ქართლისა ცხოვრება ესე გელითა ჩემ უღირსისა მდღლისა, ქალაქსა ტფილისისასა, ჯვარის საყდრის დეკანოზის იოანესითა. დედასა ზედა სვეტის ცხოვლისასა. რამეთუ ვიღრე აქამომდე აღეწერათ და ამისგან უსრულესი ქართლის ცხოვრება არსად იპოვებოდა.

ვითხოვ მხილველთაგან შენდობით მოხსენებასა, რამეთუ ფრიად დავუშერ და

ვეცადე სიმართლესა, ვითარცა თქვენცა იხილავთ. აპრილის თთვის 24, ქვეს აქეთ 1761, ქართულს ქვს უმთ (გვ. 685).

ანდერძი 2 (ხელნაწერის მფლობელისა): „ღმერთო, მშვიდობაში მოახმარე ესე ქართლის ცხოვრება მის ბრწყინვალეებას ზაქარიას ბართოვს და აღუზარდე ბედნიერებით ოთხნი ძენი: ტიტო, დავით, ვანო და გიორგი; და უცოცხლე ბატონი და კნენა, და მიეც ბედნიერებით და მშვიდობით და სიხარულით და კეთილცხოვრებით სიცოცხლე და დღეგრძელობა მრავალყამიერ, ამინ“ (გვ. 684),

მინაწერები: 1. „ლოცვამან ანა. —

მოვეცილე ახია, პონტო, თრაკიაპოლი,

ადა ქალაქი ზღუსა, არხიპელაგი,

კიპრის კანდია, ფილიკი პალესტინით,

დამასკ არაბი, წიად იორდანია...“ (გვ. 684 და 686. აქ ეს ლექსი

ორ სტროფადაა წარმოდგენილი. ჰგავს იონა გედევანიშვილის „ნიმოსვლამი“ ჩართულს ლექსს).

2. [გამოცანები]:

ა. „ზურმუხტის ტახტზედ მჯდომელმან გვირგვინოსანმან მეფემან,

მწვანით მოსილმან უებროძ, თითითა ქალმან სეფემან,

ეკალთა შინა მყოფელმან, სურნელთა მოიეფემან,

ბადანშის პოვნა ლალისა ქანი ქნას მისგან მკრეფელმან“

ბ. „ბაღჩაშია გადვიხედე, ხე რომა დგას, რსი მინდა,

მრავალფერი კაბა ეცვა, გასახდელათ ისი მინდა,

მარგალიტათ ჩაწყობილი ჯალოსანათ(!) ისიმინდა,

და ვინცა ამას გამოიცნობს მეცნიერად ისი მინდა“.

გ. „შავ მიწას დაუფენია, მწვანეთ ამოუა ძირი,

შტო მრავალი გაეხდება, ფოთოლი აქვს მეტად ხშირი,

ყვავილი ნარგისს მიუგავს, უფროც არის გარდაშლილი,

მწვანე, მკვახე ხილი იცის, საჭმელია მეტად გრილი“.

დ. „გაღმდამა მოვდიოდი, გამაკვირვა ერთმან ბაღმან,

მისმან მქნელმან მებაღემან და მინდობმა ყარაბაღმან,

თავი ჰქონდა ტატლისა, ბოლო აღმა, ძირი დაღმან

და სხვანი სჭამდნენ, მეც ავიღე, მამეწონა სუფრიდაღმან“ (გვ. 684—685).

3. „მამამან გფაროს, ძემან დაგცვაროს, სულმან სასვებით გცეს ვარდის კონა,

გატრფოს ზენასა, სულთ მაღბენასა, მას აღემსკვალო, სხვა]ს—არას მგონი-

გიკურნეს ძენი, ღვთივ ნაბოძენი, პალესტინისა ვახთ მინაწონა,

ცხოვრება ბევრად, კეთილი ტევრად გარე მოგადგეს, მტერი გყვეს მონა“

(გვ. 686).

შენიშვნა: ა. „ქართლის ცხოვრების“ ამ ნუსხას კიდევბზე ტექსტის ხელით მიწერილი აქვს სხვადასხვა ხასიათის ცნობები.

ბ. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს (იხ. „Описание“, ტ. 1, გვ. 202—269).

(26)

26

კრებული. XVIII

48 ფ. (96 გვ.); 19×16; ქალაღდი; მუყაოს ყდა; ნაკლული: მხედრული (სამი სხვადასხვა ხელით; სათაურები სინგურით, დასაწყისი ასოები შთავრულით); [XVIII ს.]; სათაურების მხატვრულად გაფორმებისათვის დატოვებულია თავისუფალი ადგილები.

1. [ალექსანდრიანი]. — „ცხოვრებასა და საქმესა ალექსანდრესსა, სპარსეთისა სამეფოსა საბერძნეთისად დამმორჩილებელისასა, მრავალნი ბერძენნი აღსწერდნენ...“ გვ. 1—30.

წყდება: „...მსმენელმან მამამან არა ერთჯერ ესეგუართა სიტყუათა-მან ჰკითხა რისხვით: თუ რად საღმე შეურაცხყოფ, შენ, ესეგუარისათვის-

შაკმისა, რომლისა წარმართებად შენ თვით არ შემძლებელ ხარ, უგამოცდი-
ლესთა შენთა უხუცესთა. უპასუხა ალექსანდრემან: მშობელო საყუარელო...
(IV თავიდან).

2. [ფრინველთა კარაბადინი].— „... ნახავს და არგებს. თბილს
ალაგს ჯდომა და თბილის საძღების კმევა კარგია. თუ ფრინველს სიგრი-
ლისაგან ჩინჩახვი გაებეროს, პირველ ნემსით მოუჩხვლიტე...“ გვ. 31—78.

3. [იერუსალიმის დარღვევა ვესპასიანეს ძის ტიტესგან].—
[ო]დეს მიიღო პატივი და ღირსება კეისრობისა უესპასიანემა, და იქმნა და-
შტკიცებულ მბრძანებელად ყოვლისა სოფლისად, მყის პირველსავე წელსა მბრძა-
ნებელობისა თვისისასა იყო გამოძიებად დაშთომილთა მათ იუდიანთათვის,
რომელთაცა არ ენებად (!) დამორჩილებად ქუშე მისთა...“ გვ. 79—95.

წყდება: „... უქადაგა მათ ტიტემან, რათა ყოვლით ძალით მათით
ჯანგზადნენ ფიცხელისა მიმართ იუდიანელთა ზედა საბრძოლად, რომ-
ლისაცა ქადაგებასა მხედარნი სიხარულით ალავსებდეს, მოსურნენი მსწრაფლ
დაწყებისა იუდიანთა მიმართ ომისა. მივიდა რა...“

შენიშვნა: 1. ამ თხზულებას აბზაცთა დასაწყისი სახედო ასოები აკლია. რო-
გორც ჩანს, მსგავსად კრებულის პირველი სტატიისა. უნდა გაეფორმებიათ სინგუ-
რით, რაც არ შესრულებულა.

2. იერუსალიმის დარღვევის ისტორია თარგმნილია რუსულიდან არქიმანდრიტ
პორფირე ბაგრატიონის მიერ 1792 წ. (იხ. ექვ. თაყაიშვილის „Опи-
сание“ ტ. I. გვ. 270—276).

(27)

27

ვისრამიანი. XVII

258 ფ. 27,5×20; ქალღი; ტყავადაკრული ხის ყდა; ოდნავ დაზიანებული (და-
საწყისი ფურცლები აღდგენილია); ხელნაწერი შეიცავს 32 რვეულს. რვეულებრივი აღ-
რიცხვა მხედრულით გაკეთებული აქვს ქვემო კიდზე, ზოგი მათგანი (რვეულების
სათვალავი) დაკაზმვის დროს, ძველადვე, შემოუჭრიათ; მხედრული (სათაურები სინგუ-
რით); [XVII ს.]; გადამწერი — [აღმურანთ ბაღდასარას შვილი გასპარა].

„კარი პირველი, დასაწყისი ვისისა და რამინისა. — იყო დიდი და
მაღალი სულტანი ტულღურბეგ ქუეყანასა ხვარასნისასა და ადრაბადგანისა,
ლაშქარ-მრავალი, მოვლენილი და მორჭმული, და აღსრულებული ყოველსა
სპარსეთსა ზედა...“ ir—256r.

შენიშვნა: 1. ტექსტის დასასრულს, „ვისრამიანის“ 1884 წლის ერთ-ერთი გა-
ნომცემლის პ. უმიკაშვილის ხელით მიწერილია: „ამ ხელნაწერის დედნიდამ დაი-
ბეჭდა პირველად ეს წიგნი ვისრამიანი 1884 წელსა. რედაქციითა ილია ჭავჭა-
ვაძისა, აღექსანდრე სარაჯიშვილისა და ჩემითა, პეტრე უმიკა-
შვილისათა სრულად, მხოლოდ ერთის სტრიქონის გამოშვებით ცენზურისაგან,
რომელიც ამ ხელნაწერში აღნიშნულია და დაბეჭდილში 80 გვერდზე“ (256r).

2. ტექსტში, ფანქრით, პ. უმიკაშვილისგანვე შეტანილია სხვადასხვა
სახის ცვლილებანი: ბევრგან წაშლილია კავშირი და, შესწორებულია ზოგიერთი
სიტყვა, გახსნილია ზოგიერთი ქარაგმა, ქვედა კიდზე ჩამოტანილია ვარიანტები,
შესწორებულია სასვენი ნიშნები. აღნიშნული სამუშაო პ. უმიკაშვილს დაუ-
მთავრებია „26 ნოემბერს, 1883“, მისივე მინაწერის მიხედვით (256r).

3. ამ ნუსხის გადამწერის ვინაობის შესახებ იხ. „ვისრამიანი“, 1938, აღ. ბა-
რამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, გვ. XVI.

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს, იხ. „Описание“, ტ. I,
გვ. 276.

5. ერთვის უცნობ ავტორთა ლექსები, ჩაწერილი თავისუფალ ფურცელზე მკვინებით:

ა. „რად მილალატე სიკვდილო, რას გინდივარ ავთმყოფი, აქ ვინ მყავს, იცი მომგლელი, შორა მაქვს სახლ-სამყოფელი...“ (257r).

ბ. „წიგნი გებოქათ, შეგემკვე, ვეჭ, ვერ გიდ[ა]რო აროსა, პირი მზის[ა]გ[ა]ნ უნ[ა]თლე, ტანი მიგიგ[ა]ვთ ს[ა]ქროსა, დილ[ა]ხედ რომ ვერ გაიხლო, სალ[ა]მო გ[ა]მემწ[ა]როსა, და ნუმც მიცოცხლია უთქვენთ, ბალში არ წ[ა]მეაროსა“ (257v).

6. ტექსტის უკანასკნელი ფურცლის თავისუფალ გვერდზე (256v) სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირთ, სხვადასხვა ხასიათის მინაწერები უკეთებიათ. ამ გვერდზე, ცენტრში, მთავრული ხვეულით, ლამაზად გამოყვანილი, დაქარაგმებული მინაწერია (ამოუკითხავია); მის ქვემოთ უცდიათ მსგავსი ასოების გადახლართვა, რის შესახებაც აქვე ვკითხულობთ: „ეს ქვეითი გ ი ვ მ ა ნ ს ხ ა, და წ ა [ა] კ დ ი ნ ა“.

მინაწერები: 1. ლექსი [ნებროთისაებრ ისრაელთ].— „ნებროთისებრ ისრაელთა ცოდვამ ენა შეურთია, ნომ დადგა კიდობანი, დაძრა, ნიჩბით დაურია, ნეტარ რა ქნა პილატემა, მსხვერპლსა სისხლი შეურია, და ნუმც ვიქნები მოუქცევლად სულა შენდა მე, ურია“ (პირველი ორი ტეპი ნუსხურითაა ნაწერი, ორი უკანასკნელი—ტექსტის მხედრული ხელით).

2. „ქ. ამ ლექს[ს] უწერ პირმზეს ლხთ, მზისებრივ ელვარესა“... (256v).
ამავე ხელით 15r-ს კიდებზე მიწერილია: „ქ. ესე წიგნი იმ დღეს დავწერე, მ[თ]ბრობელი მოვიდა: მამულეზიო უბოძესა“.

3. „ლომო და გვირო ტარიელ, ვით გვიოქვამს, ვით გვიბარია“... (256v).

(28)

28

პლატონი, მოსკოვის მიტროპოლიტი, მართლმადიდებლობითი ქრისტიანებრი ღვთისმეტყველება. 1792

40 ფ. (გვ. 80); 31,8×20,6; ქაღალდი; უყდო; დაზიანებული (დასაწყისი და ბოლო ფურცლების ქვედა კიდე სინესტისაგან შემომპალი აქვს); ნაკლული (გვ. გვ. 64—65-ს შორის ამოხეულია რამდენიმე ფურცელი); მხედრული (სათაურები და თავების აღნიშვნა ასომთავრულით); მთარგმნელი რუსულიდან—გაიოს არქიმანდრიტი (1r); გადამწერი—იგივე გაიოსი (1r); ადგილი—იასსა (1r).

[პლატონი, მოსკოვის მიტროპოლიტი], „მართლმადიდებლობითი ქრისტიანებრი ღვთისმეტყველება. ტ. V. თვს სოფლის. შექმნისა, თავი ა.—მისთვის, თუ ვითარსა შინა ჰაზრსა ჯერ-არს შემეცნებულექსისა ამის, შექმნა განსაზღვრებისათვს მისისა და განყოფისა და კდ მისთვისვე, ვითარმედ სოფელი ესე ნამდულ შექმნილ არს დროთი და არა საუკუნოდ...“ გვ. 1—73.

შენიშვნა: 1. უკანასკნელი თავი თხზულებისა [ბოროტანგელოსთათვის] გაიოს არქიმანდრიტს რუსულად დაუწერია. ცალ სვეტად. II სვეტი დატოვებულია თარგმანისათვის. რუსული ტექსტი იწყება შემდეგი სიტყვებით. Выше помянутая-же выдумка не справедлива, что бьдето ангел...“ (გვ. 73—80).
წყდება: „... Сие видно из следующих примеров: Иаков пророчествуя о потомках... своих, тем предвеща[ет] разные приключения...“

2. თხზულება თარგმნილია რუსულიდან მოსკოვის მიტროპოლიტის პლატონის „ღვთისმეტყველებიდან“ (იხ. კ. ქეკელიძე. ძველი ქართული-მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951, გვ. 363).

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს (იხ. „Описание“, ტ. 1, გვ. 277—278).

ანდერძი (მთარგმნელ-მნუსხველისა): „სახელითა მამისათა... ვიწყე წელსა 1792, ნოემბერსა კდ, მოლდავიასა იასში, გაიოს“ (1r. ხელნაწერის კიდების დახიანების გამო ეს ანდერძი მთლიანად, განსაკუთრებით კი სახელი გაიოს, ძლივს იკითხება).

(29)

29

კრებული. 1788—1790

08+190 ფ. (379 გვ.); 30,5×19,8; ქალაღი; ტყავადაკრული მუყაოს ყდა (ჭიისაგან ოდნავ დახიანებული); მხედრული (სათურები ასომთავრულით); 1788 წ. (08r) 1789 (გვ. 306), 1790 წ. (გვ. 365); [მთარგმნელ-დამწერი—გაიოს არქიმანდრიტი; კრემენუკი (08r), იასსა (გვ. 369); დაუწერელია: 06r—07v, 08v. გვ. გვ. 310, 319, 320, 334, 349, 350, 354—356, 364, 375—377.

1. [გაიოს არქიმანდრიტი]. „ქრისტიანებრი სწავლა ანუ ქეშმარიტი სიტყუა ღისა. თავი ა. § 1.—რომელსაცა შინა ცხად იქმნების: რად არს სარწმუნოება და ანუ სადაჲთ ჯერ-არს აღმოგსება ცნობისა მისისა, რამეთუ თუნიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნო-ყოფა ღისა“... გვ. 1—298.

შენიშვნა: 1. „ქრისტიანებრი სწავლა“ უძღვის: ა. „მოკლე სწავლა, თუ ვითარ ჯერ-არს კითხუა საღმრთოსა წერილისა აღსაშენებელად თავისა თვისსა.—1. ყოვლითურთ სიფრთხილვ სათანადო არს, რათა არა აქუნდეს გულსა შინა თვისსა სიიდუმლოდ ვითარიმე ცრუ განდჳება კითხვადმი საღმრთოსა წერილისა...“ (02r—06r).

ბ. „სახელითა მამისათა... ვიწყე წელსა 1788, თთჳსა ოკდომბერსა ნ, კრემენჩუკს, გაიოს. ქრისტიანებრი სწავლა ანუ ქეშმარიტი სიტყუა ღისა, გამოკრებული საღმრთოსა წერილისაგან საგმარად ყთა მოძღუართა ანუ მქადავებელთა ეკლესიისათა, მოკიდულებითა სხოლასტიკურთა ღისმეტყულებითა ჰაზრთათა ყმათათს აღმოსავლეთისა ეკლესიურთა მოცემათა“ (08r).

ერთვის: თავთა და პარაგრაფთა „ბინაქსი“ (გვ. 299—305).

2. გაიოსის „ქრისტიანებრი სწავლა“ შედგება 11 თავისა და 136 პარაგრაფისგან.

2. „სარკე, რომელსაცა შინა იხილავს ყლი ქეშმარიტი ქრისტიანე ყოულისა მდგომარეობისა თანამდებობასა თვისსა.—1). მიართუ განთიადისა და მწუხრისა მსხუტრპალი უღღ შენსა მართლითა კრძალულებითა და სულთ ითქუენ დავითის თანა... (ტსალ. 140,2)“... გვ. 306—307.

შენიშვნა ა. უძღვის გაიოსის მითითება იმაზე. თუ სად და როდის დაიწერა აღნიშნული «სარკე»: „წელსა 1789, თებერვალს 18, კრემენჩუკს“ (გვ. 306).

ბ. აქ წარმოდგენილია «ქეშმარიტი ქრისტიანისა მოვალუობანი, შემდგარი 24 მუხლისაგან.

გ. ანვე ხასიათის „დარიგებანი“ და „განმარტებანი“, ასევე მუხლებად დაყოფილი, მოცემულია შემდეგ თავებში:

1. „ღროჯსათუს.—ყთავე ყამი, და ყამი ყა ცსა ქუტუე. ყამი შობად და ყამი სიკუდილად, ყამი დანერგუად და ყამი აღმოფხურად დანერგულისა... (ეკკლ. 3. 1. 2)“... გვ. 311—313.

2. „ქეშმარიტი სარკე კაცისა, რომელსაცა შინა ცხადდ იხილავს ნამდულსა კრებასა კაცისასა. ჰრქუა ვიეთთამე მიმართ. რომელნიცა ესუენ თავთა, თვისთა, ვითარმედ მართალ არიან... (ლუკა 18,9), გვ. 314—318.

3. „თქს აღსარებისა ცოდუათასა.—უკეთუ აწინდელთა სიცოცხლეთა აღვიარებთ ცოდუბათა ჩუშნთა და ვინანით მათთჳს, მაშინ წმიდითა სჯინდისითა გარდვიცუალებით მეორედ სოფლად... (ოქროპირი)...“ გვ. 318.

3. „ლიტურღია წმიდის[ა] მამისა ჩუშნისა იოანნე ოქროპირი-სა.—ღო, ღო ჩნო, რომელმან ზეცისა პური საზრდელად ყრისა სოფლისა, უფალი ჩნი იესუ ქრისტე მოავლინე მაცხოვრად და მცსნელად...“ გვ. 321—333.

4. [კურთხევეანიდან]. „წესი დადგინებასა ზედა წიგნის მკითხუშლისა და მგალობელისასა.—ველდასხმული იგი მოიყუანების ორთა იპოლიაკონთა მიერ საშუალ ეკლესიისა და ჰყოფს სამსა თაყუანისცემასა აღმოსავალით...“ გვ. 335—336.

შენიშვნა: გარდა ამისა, აქ არის შემდეგი თავები იმავე წიგნიდან:

ა. „წესი იპოლიაკონისა ველისდასხმისა.—შემდგომად სტიხრის შემოსისა წიგნის მკითხვათთვისა, ღართმევენ იპოლიაკონნი მღუდელ-მთავარსა ორარსა, და იგი ჯუარისა გამომსახუშლი, შემოარტყმენ ველდასხმადსა...“ გვ. 337.

ბ. „წესი ველდასხმასა ზედა დიაკონისასა.—შემდგომად თქმისა ამისა: «და იყუნენ წყალობანი დიდისა», მოიყუანენ ორნი იპოლიაკონნი ველდასხმადს წინაშე აღსავლის კარისა...“ გვ. 338—340.

გ. „წესი ველდასხმასა ზედა ხუცისასა.—ოდესცა სრულ იქმნების „რომელი ქერუბითა», მოიყუანების ველდასხმადი არხიდიაკონისა ანუ სხუათა დიაკონთა მიერ სამეუფოს კარით წმიდისა ტრაპეზისადმი წინაშე მღუდელ-მთავრისა...“ გვ. 341—343.

5. [თეოლოგიურ-ფილოსოფიური მსჯელობანი]. „თ. 11. ვითარმედ შექმნა ღმერთმან კაცი მსურველად კეთილმსახურებისა და სიბრძნისა, ცხად არს საზოგადოსა ძლით თანჭმობისა კაცობრივთა გუართასა, ვითარმედ კეთილმსახურება ანუ სარწმუნოება სათანადო არს შეწყყარებად...“ გვ. 344—346.

6. [ასეთივე მსჯელობა სულისა და ხორცის ბრძოლის შესახებ] „თ. 12. ორი ბრძოლა სულისა და ჯორცისა და ორთავე მტერთათჳს და კუალად სათნოება არა მისთჳს ოდენ წადნოვად სათანადო არს...“ გვ. 246—348.

7. [ცნობები ეკლესიათა აგების შესახებ] „ღროსა დევნულებისასა აშენებდიან ეკლესიათა სასაფლაოთა ზედა ანუ განშორებულთა ქუაბთა და უდაბნოთა, ვითარცა შორად ქალაქთაგან და უფროსად სამარხთა ზედა მოწამეთასა...“ გვ. 351—353.

8. [ცნობები (ამონაწერები) რომაელ იმპერატორთა ცხოვრების შესახებ, ძველ ფილოსოფოსთა გამონათქვამები და სხვა]. „ანდრიანე კეისარი იტყოდა: ესრეთ ვიმეფებ ჰრომსა ზედა, რათა ყრნივთი იყოს საზოგადო და არა საკუთრად ჩემდა...“ გვ. 357—363.

შენიშვნა: ამ თავის ბოლოს გაიოზ არქიმანდრიტი შენიშნავს: „ესენი გამოფსყურე ექუსთა ისტორიის მწერალთაგან ავლუსტათჳს, წელსა 1789, იანვარს 15. გაიოს“ (გვ. 361).

9. [სიტყვანი ეკატერინოსლავისა და სხვ. არხიეპისკოპოსის ანბროსისა გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტემკინის მიმართ].

„უგანათლებულესო კნიაზო! თუმცა კეთილმოქმედება არს სული ყდ უზესთაესისა სოფლისა და ყოვლად უზესთაესობა არს შესაბამი მისისა პატივისა, გარნა ვინათგან არს იგი ქუშყანასა ზედა...“ გვ. 366—371.

შენიშვნა: 1. სულ სამი სიტყვაა, რომელთაც უძღვის თავფურცელი: „სიტყუანი მისის უგანათლებულესობისა კნიაზ გრიგორი ალექსანდრიჩის პოტემკინ თავრისა, მაღალ მბრძანებელისა უფლისა, ღენარალ-ფერდმარშალისა სხუათა და სხუათა ორდენთა კავალერისადმი.“

პირუშლი დროსა მას ზედა დადგომისა ლავრისა გვრგვინისა ეკკლესიასა შინა ამაღლებისა უფლისა მონასტერსა შინა გ-ლსა.

მეორე — ოდესცა უწოდეს მას დიდს ლეთმანად იმპერატორის ყაზახთა ეკატერინოსლავის და შვიი ზღვის მკედართასა.

მასუშ ეკკლესიასა და მონასტერსა შინა თქმულნი უწმიდისა მმართებლისა სინოდის წევრისა არხიეპისკოპოსისა ეკატერინოსლავისა და ხერსონისა ტავრიისა და მოლდოვლანისისა ექსარხიის ადგილის მცუშლისა ამბროსის მიერ. იანუარს 15, ფებრვალს 15, წელსა 1790, იასს⁴. (გვ. 365)

2. სიტყვები თარგმნილია გაიოზ არქიმიანდრიტიის მიერ. პირველი — „ითარგმნა ქართულებერ მასუშ [1790] წელსა, და თთუშსა იანუარსა 30 დღესა იასს, არქიმიანდრიტი] გ[აიოს] (გვ. 367). მეორე — „ითარგმნა მასუშ წელსა და მასუშ თთუშსა, იასს, ა. გ.“ (გვ. 369; მესამე სიტყვას ასეთი მინაწერი არა აქვს).

10. „მოგზაურობა წმიდათა შინა ადგილთა... იერუსალიმის კნიაზის ნიკოლარადზივილასი წელსა 1582. — ადგილსა მას ზედა, სადაცა იდგა ჯუარი უფლისა, გეორგიანთა ოცდათორმეტი კანდელი, რომელთაგანნი ზუთანი ოდენ ანთიან...“ გვ. 371.

11. [ამონაწერები]. „დიმიტრი როსტოველისა ჩეტი მინეი, აგვისტოს 15. — შემდგომად ამაღლებისა უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესა ცათა შინა, შეკრებულ რა იყუნენ მოწაფენი სიონად მარიამითურთ...“ გვ. 372—374.

12. [მოკლე ისტორია შაჰმადისა]. — „მახმედ იშუა წელსა შ. ქ. 570, მაისს 5. დარჩა მცირე ობოლი...“ გვ. 378—379.

შენიშვნა: 1. ზედა ყდის v-ზე მოთავსებულია მინაწერები ლათინურად. იმავე ხელითა და მელნით ქვევით წერია: „Из книг царевны Миряна Грүзинского“.

2. ხელნაწერს დასმული აქვს რვაკუთხა ბეჭედი. რომლის შუაში მოთავსებულია ინიციალები: ბ. პ. ჯ., რაც ნიშნავს: ბიბლიოთეკა პეტერბურგის ქართველ ხტუდენტთა.

ბეჭედი აქ და სხვა ხელნაწერებზეც მურიითა დახშული. აღნიშნული ინიციალები მაინც იკითხება.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ეჭვ. თაყაიშვილს (იხ. „Описание“, ტ. I, გვ. 278—282).

(30)

ქართლის ცხოვრება (მარიამისეული). 1633—1646

470 ფ. (932 გვ.) 32,5×23; ქალაღი; ტყავადაკრული ხის მორღვეული ყდა (ყდაზე ამოტვიფრულია ჯვრის გამოსახულება კვარცხლბეკზე, შესრულებული წნული ორნამენტით); ნაკლული, ხელნაწერი შეიცავს 59 რვეულს, პირველს—აკლია 1 ფურცელი, უკანასკნელისაგან კი დარჩენილია ერთი ფურცლის ფრაგმენტი. თორმეტ რვეულს, ტექსტის ხელით, გაკეთებული აქვს ანბანური სათვალავი (ა—იბ), რომელიც შემდეგ აღარ გოქლდება. მოგვიანებით (XIX ს.) რვეულები ვიდაცას აღურიცხავს სომხური ანბანით; მხედრული (სხვადასხვა ხელით. სათაურები სინგურით); გადანწერი წიგნის ზოგიერთ გვერდს აფორმებს პირველი და უკანასკნელი სტრიქონის შესაბამისი ასოების ზედმეტად აზიდვით ან ჩამოზიდვით და მათი ბოლოების დახუჭუქებით; 1633—1646 წწ. (იხ. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 115); დამკვეთი — მარიამ დედოფალი (ქართლის მეფის როსტომის მეუღლე); ამ ხელნაწერის ფურცლები სხვადასხვა ჰვირნიშანია. ხშირია გვირგვინის გამოსახულება. და ღუზა წრები, ქვემოთ მიმაგრებული სამყურათი, იშვიათად გვხვდება გვირგვინი ვარსკვლავითა და მასზე მობმული ნახევარმთვარით (ფ.ფ. 464, 465, 468, 469), არის, აგრეთვე, ერთ მწკრივში სამი სხვადასხვა ზომის ნახევარმთვარე (ფ. 455).

„ქართლის ცხოვრების“ ამ (მარიამისეულ) ნუსხაში მოთავსებულია შემდეგი თხზულებები:

1. [აპოკრიფული მოთხრობანი]. „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი, თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისთვის, ვითარ მისცულას გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცუალე-

ბა ნათესავთა, ვითარ ვპოვეთ ნათესაობა ქრისტესი ჯორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა, და ადამისითგან ყოველთა მამათა ვიდრე ქრისტესამდე უფლისა და ღთისა ჩუენისა პირველად. ხოლო ესე თარგმანა (!) წმიდამან მამა[მან] ჩუენმან ეფრემ, შობა მამათ-მთავართა ადამისიდგან ვიდრე ქრისტესამდე მაცხოვრისა და ღთისა, გ. მ.—იყო დღესა პირველსა, რომელ არს თავი ყოველთა დღეთა—კვირიაკე, რაჟამს დაბადა ღმერთმან ცა და ქუეყანა და ყოველი რა არს მას შინა...“ 1r—52r.

მთავრდება: „... და არა ეწოდებოდა მონასტრები, არამედ და შენებად და პატიოსნებად, ვინაცა აშას ცხად ყოფს ეგესევი“.

2. [ლეონტი მროველი]. ა. „სახელითა მამისათა... ვიწყო მითხრობად ცხორებასა ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა.—პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართუელთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, და მეგრელთა ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგმავს (!). ესე თარგმავს (!) იყო ძე თარბისი, ძისწული იაფეთისი...“ 52r—100r.

მთავრდება: „... და ჳმამლლად იწყო ქადაგებად ქრისტეს სჯულითა ჳეშმარტისა მის ქრისტეს ღთისა ჩუენისა“.

ბ. მისივე, „მოქცევა მირიან მეფისა და მისთანა ყოვლისა ქართლისა, წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა.—პირველად უკუე ვახსენოთ ცხორება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა და ყოვლისა ქართლისა განმანათლებელისა ნინო მოციქულისა, რომელი ესე, თჳთ მანვე ნეტარმან მოგვიოხრა ჟამსა აღსრულებისა მისისასა...“ 100r—151r.

მთავრდება: „... ხოლო მირდატ წარიყუანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა“.

3. [ჯუანშერი], „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა მეფისა მშობელთა და შემდგომად თჳთ მის დიდისა და ღთის მსახურისა მეფისა, რომელი უშეტესად სხუათა განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა.—ვითარ-იგი შეიპყრეს ქართუელთა მეფე მრდატ სპარსთა წყობასა შინა, წარიყუანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა. დაიპყრეს ქართლი სპარსთა...“ 151r—220v.

მთავრდება: „... და ესხნეს არჩილს ძენი ორნი: ჯუმბერ და იოვანე, ასულნი ოთხნი: გორანდუხტ, მარიამ, მირანდუხტ და შუშან“.

4. [ლეონტი მროველი]. „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი-ესე იყო მეფე ქართუელთა.—და ვითარ გარდაცდეს აშას შინა წელიწადნი ორმეოცდაათნი, კუალად მოვიდა ჳიკუჳამ, ძე მოაჳმადისი, მოაოხრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა და მიმართა შესულად კახეთად, რათამცა მოაოგრა, ყოველითურთ უშკუიდრო ყო. და იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა და ყოვლისა ერისა...“ 220v—223v.

მთავრდება: „... და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღთიე განბრძნობილსა“.

შენიშვნა: ამ თავს წამძღვარებული აქვს შემდგომ ცნობა: „არჩილის წამება და მეფეთა ცხორება და ნინოს ქართლის მოქცევა [აღწერა] ლეონტი მროველმან. დედასა ასეთნი ეწერა“.

5. [მატიანე ქართლისა]. „შემდგომად ამისსა, რაჟამს-იგი აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, დარჩეს შვილნი მისნი იოვანე და ჯუანბერ(!)

წარვიდა იოვანე ეგრიხად და წარიტანნა ღთისა (!) დედა და ორნი დანი მათნი, ხოლო ჯუანბერ და ორნი დანი მისნი დაშეთს ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისასა...“ 223v—260v.

მთავრდება: „...ადილო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა და კარმიფორასიანი და იოტნა თურქუნი (!) მის ქუეყნისანი“.

6. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა [დავითისი]. — შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქაშ, მოადგა სამშვილდესა და წაიღო, და ივანე ძე ლიპარიტისი ტყუე ყო და მოაოჯრა სომხითი და წარვიდა...“ 260v—288r.

მთავრდება: „...რამეთუ ნამდვილ მუნ არს ბუნება, რომელსა არა აქუს მწუხარება და სიმდიდრე, რომელსა არა აქუს სიგლახაკე და სიხარული, რომელსა ვაჰკრთეს ურვად მეფეება, რომლისა არა არს აღსასრული და მუნ არს ცხოვრება, რომელსა არა შეამღურვეს სიკუდილი“.

7. «სუმბატ დავითის ძე»: „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწიენეს ამას ქუეყანასა იგინი ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისმან. — ადამ შვა სეით, სეით შვა ენოს, ენოს შვა კაინან, კაინან შვა ზალელ; მალელ შვა იარედ, იარედ შვა ენოქ, ენოქ შვა მათუსალა...“ 288r—300v.

მთავრდება: „...დაწყნარებულ და მყუდრო იყუნენ და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თვისსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახელისა“.

8. [თამარის პირველი ისტორიკოსი, ისტორიკოსი და აზმანი შარავანდედთანი]. „რომელმან წყლისა მოაბადნი რიტორთა სძლე, ყოველთა ენა უტყუე-მეტყუელ ჰყავ ანგელოზთა მთავრისა, აწცა განმარტე ენა-ბრგუნილი ესტორთა (!) და აზმათა მეტყუელებასა შინა შარავანდედთასა. — ვინათგან მოსე, მხილველი ღთისა და წინასწარ მეცნი ყოფადთა, ეურჩა განმგზავნასა ისრაელთამდე. მათდა მომღები ენამძიმობისა...“ 301r—365v.

მთავრდება: „...დავით თქვა: ზესთა განდიდეს მით რკმალი ჯორცსა ჭამს მათ/და აქლემისებრ ძალით მპყრობელად გეთსა (?) ჭამს ის დიდება ღთისა“.

9. [ქამთაღმწერელი]. „ამას სანატრელსა სიცოცხლეშიგან დაედგა გვირგვინი ძეს მათსა გიორგის, რომელსა ლაშორიც უწოდა. იყო წლისა ათცამეტისა რაქამს დაიდგა გვირგვინი მეფობისა და მეფემან თამარ მიულოცა მეფობა. ხოლო რაქამს მი[ი]ცვალა თამარ, იყო თანა ლაშა ათვრამეტისა წლისა...“ 365r—470v.

წყდება: „...სთხოვა შვილი, რათა მეფე ყოს, მაშინ მცირე იყო გიორგი, იგიცა მოსცეს და წარმოგზავნეს ურდოსა... ჩოფანისა თანა წარ... შეკრბონ მეფობასა...“

ანდერძები: 1. „ცოდვილს დედოფალს მარიამს დღეგრძელობით ღმერთმან შეუნდოს ცოდვანი მისნი, ამინ“ (52r; მსგავსი ანდერძები მოთავსებულია: 55v, 68v, 90r, 94r, 100r, 118v, 120r, 365v, 372v).

2. „ღმერთო და წმიდაო ღთისმშობელო, ორსავე ცხოვრებას შინა მისსა დიცივე ქართლისა დედოფალი მარიამ, რომლისა ბრძანებით აიწერა ცხოვრება ქართლისა, ღმერთმან აკურთხოს, ამინ“ (129v; მსგავსი ანდერძები—151v, 288r).

3. „ღმერთო, წარმართე დედოფალთ-დედოფალი მარიამ და ცოდვანი მისნი შეუნდვენ. ღმერთო, შეიწყალე მწერალი ამისი გიორგი“ (142v).

4. „ღმერთო, დაიცევ ორსავე ცხოვრებასა შინა დედოფალთა დედოფალი მარიამ და ძე მისი პირშუო ოტიკა, რომლისა ბრძანებითა იწერება წმიდა ესე წიგნი“ (406v; მსგავსი ანდერძები—400r, 469v).

მინაწერები: 1. ტექსტთან დაკავშირებული მითითებანი (მინაწერები): 53v, 77r, 95r, 136v, 173v, 193r, 204v, 204r, 211v, 216v, 245v, 317r, 350v.

2. „ცრუმან სოფელმან ჩემი დღე სინწარით დამალევიან, არც მომღლა, არც დამარჩინა, არც სული დამალევიან“ (27r).

3. „ცხოვრებაო საუკუნესაო, შეიწყალე ყოვლად ცოდვილი მონაჲ შენი გობრონ-მიხაილ საბინინი, სახელისათჳს შენისა ყოველთაგან მოძულებული, ჩჳპგ წელსა, ტფილისი, ე ჟამი, პარასკევი“ (338r).

ამავე ხასიათის მინაწერები: 343r, 359r-v 379v, 434r, 442r.

4. „სიყრმისა კელით წერილი სიბერეს ნახეთ სადა რა. რომანოზ ცოდვილი (360r).

5. „სახელი ღმრთისა მალღისა მე დიდებითა მიქია,

აქა ჯორცითა ვადიდებ, სულითა ვმონებ იქია,

ჩენზედა შემწედ ამყოფოს. წმიდა გაბრიელ მიქია,

და მძღაერსა არ მიმცეს ბოროტსა, არა მტანჯვიდეს იქია“ (300v).

შენიშვნა: 1. ქართლის ცხოვრების მარიამისეული ნუსხა პირველად ცნობილი გახდა 1884 წელს დიმიტრი ბაქრაძის მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვით („ივერია“, 1884 წ. № VI—VIII; ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ გამოცემის წინასიტყვაობა). იგი პირველი ნუსხაა. რომლითაც ჩვენმა საისტორიო მეცნიერებამ გაიცნო ვახტანგ VI-ის წინადროინდელი ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი (მეორე იყო 1913 წელს აღმოჩენილი „ანასეული ნუსხა“, მესამე—1923 წელს აღმოჩენილი „ქალაშვილისეული ნუსხა“, მეოთხე—1942 წელს ხმარებაში შემოსული „მაჩაბლისეული ნუსხა“).

2. ეს ხელნაწერი ხელთ ჰქონია ვახტანგ VI-ს ჯერ კიდევ ბატონიშვილობის დროს; ამას მოწმობს მისი ხელით კიდევ მიწერილი შემდეგი სიტყვები: „ქ. ეპ, ყოვლისა დაზადებულისა შემოქმედო, რომელი მისცემ მოსავთ და თაყვანისმცემელთა შენთა სიმაღლესა და სიკეთეს.

აწც გვედრები უნდო და უღირსი მონა ესე შენი შებღ[ა]ლული ცოდვითა ბატონის შეილი ვახტანგ, რათა მომივლინო ანგელოზი წმინდა შენი განსაწმედ[ვ]ლად ცოდვათა ჩემთა შესანდობელათ, ცოდვათა ჩემთა, უფალო, უფალო ჩემო! არვინ უწყი სხვა ღმრთი შენსა გარეშე. და შეზინდევ, ძლიერო, ცოდვანი ჩემნი მრავალნი კაცთმოკვარებისა შენისათვის. ვინცა შენდობა გვიბძანოთ, ღმრთან თქვენც შეგიწოდოს“ (359 r-v; ამ მინაწერს ახასიათებს ა-მეტობა).

3. მარიამისეული ნუსხა აღწერილია ექვ. თაყაიშვილის მიერ („Описание“) II, 27—114, 1906 წ.) და მის მიერვეა გამოცემული (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი 1906 წ. გვ. 993).

4. მარიამისეული ნუსხა იმით არის საყურადღებო, რომ: ა. იგი შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ტექსტს, ვახტანგ VI-ის წინადროინდელს, ბ. მასში შეტანილია თამარის ისტორია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც არ მოიპოვებოდა მანამდე ცნობილ არც ერთ ნუსხაში (შემდგომის აღმოჩნდა მაჩაბლისეულ ნუსხაშიც). გ. მარიამისეულში შედის, აგრეთვე, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მანამდე ცნობილ ნუსხებში ასე მთლიანად და ცალკე თხზულების სახით არ არის მოთავსებული (შემდგომში იგი ამავე სახით, აღმოჩნდა მაჩაბლისეულ ნუსხაშიც).

5. მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ საუფველად დაედო შემდგომ გამოცემებს: ა. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა... რომელი აღწერა სუმბატ ქმან დავითისმან (სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 41—79). 1949 წელს ექვ. თაყაიშვილმა ხელახლა გამოსცა იგივე ტექსტი გამოკვლევითა და ტაბულებით: სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. თბილისი, 1949, გვ. 94.

ბ. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (კდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კორნელი კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941.

გ. ქართლის ცხოვრება, ტომი I, გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955; ტომი II, თბილისი 1959.

(31)

31

ქილილა და დამანა. 1717—1721

189 ფ.: 31×20; ქალღმერთი; მუყაოს ყდა (ტყავის დაზიანებული ყდა ამჟამად შეცვლილია. ხელნაწერი ახლად რესტავირებულია. პირველად არეული ფურცლები მეორედ დაკანონების დროს გასწორებულია). მხედრული; დასახატავად თავისუფალი ადგილები თუმცა არ არის დატოვებული, მაგრამ არსებობს მათზე მითითებანი: «დასახატავი». [1717—1721 წწ.]; სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფი. ხელნაწერი სახლთუბუცესის ზურაბ წერეთლის ოჯახიდანაა.

«ქილილა და დამანა». «ამას უკან ამ შემოკრებულს არაკებს რომ საქებარის სიტყუებით შეთხზნილა და მითვე ღოიკაზმის და ისიტყვის. — ვიწყევით პირველი არაკი იგავთა, თუალ-მარგალიტთა მებზრეთა და სიტყვა-ველოვნებათა გამომჩხრეკელთა და უცხოთა არაკებთათუის პირის ამღებთა და საკვირველთა შემქვერებითა თქმულთა შემწყობელთა. ამა ამბისა თავი ჰაი, ჰაი ასე მოურთავთ, ქებულისა და გამოჩენილის კაბადონთა დასაწყისი უცხოთ რამ შეუწყვიათ, რომე პირველსა ჟამთა და დროთა ჩინეთისა ქუეყანათა ერთი მეფე ყოფილა, რომე მისი ბედ-სვიანობა და მისისა სახელ-დიდობის ქმა ყოელთა ადგილთა განფენილ იყო...» 4v—186v.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. «შესავალი», „დასაწყისი პირველი წიგნისა ამის შესავლად თქმული ბრძნისა ანგარი სოილისა. — სრული სიბრძნე ამისად შესგავსებულად საფუძველად დაუტ, და ყოველთა წიგნებთა შინა მთქმელისა სახელი დიდად უსახელოვნებია. სიბრძნეთა იგავთა მიერ სწავლისა აღმატებათა ქილილა დამანას წიგნია...“ (2r—4r).

ბ. „ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა. — ეს წიგნი ქირმანსა და ისპანს შექიოვებაში მყოფსა და უსაქმო მზრუნავს გონების ურვის წამლად მოემუშავა, ქართველთა მეფე ვახტანგს სპარსულისაგან ქართულად ეთარგმნინა...“ (4v—5r).

გ. [ქართა საძიებელი]. — «ა. კარი რიდი ორენა და მიუნდობელისაგან;

ბ კარი, ავის მოქმედის მისაგებელისა და ბოლო მათ...“ (5v, საძიებელი სულა 14 (იღ) კარს შეიცავს).

2. შესავლის დასასრულს სულხან-საბა აღნიშნავს: „ანდერძი ვახტანგ მეფისა აქუნდა დაიწეროს“ (4r). ასეთივე მითითება აქვს მას საკუთარი ანდერძის შემდეგაც: „აქ ბატონის ანდერძი უნდა დაიწეროს“ (5v). ამ ნუსხაში ვახტანგ VI ანდერძი არ მოიპოვება.

3. ხელნაწერის კიდევებზე გატანილია საბას მიერ ზოგიერთი სიტყვის განმარტება.

4. საბას ქილილა და დამანა სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაც «გაუჩაღხავს». ერთგან კიდევ იგი წერს: «სადაც რჯულის წინააღმდეგად ჩნდა, ცოტა რამ ჩაღხიკარ» (25r).

5. ქილილა და დამანას ეს ნუსხა გამოყენებული აქვს მის პირველ გამომცემელს ი. ჯეჯეიძეს (ქილილა და დამანა. ილია ჭყონიას რედაქციით, 1886). ხელნაწერის შიგნით და ბოლოში არის ცენზორის დიმიტრი ბაქრაძის წარწერა: «Дозволено цензурою, Тифлис, 14 октября, 1874 года. И. Д. цензора Дм. Бахрадзе». (186v). ეს ხელნაწერი საფუძველად დაედვა მეორე გამომცემსაც (იხ. ქილილა და დამანა აღ. ბარამიძისა და ბ. ინგოროყვას რედაქციით, 1949 წ.). ეს ხელნაწერი აღწე-

რილი და შესწავლილი აქვს ალ. ბარამიძეს (იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. 1, 1945, გვ. 237—358).

6. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს, იხ. „Описание“, ტ. 1, გვ. 285—287.

მინაწერები: 1. „რადგან აქამდე მოვიდა ეს ჩემი სიტყვა კიდესა,

სჯობს გასრულება სიტყვისა, ვირე დღე წამეკიდოსა“ (186v, საბას ხელით).

2. საცავ ფურცელზე მოთავსებულია რვა სტროფიანი ლექსი, რომელიც ხელნაწერილია: „თა გრიგოლ წერეთელი“. პროფ. ექვ. თაყაიშვილს თავის აღწერილობაში ამ ლექსის მხოლოდ უკანასკნელი სტროფი აქვს დაბეჭდილი. იგი იწყება ასე:

„არანცა დასცდე საქმესა მუხთალთა მოცთუნებითა.

მათი ნათქვამი ხრიკია, ავის ბუნების თნებითა...“ (1r-v).

3. იმერეთის მეფის [...] წერილის ნიმუში კოსტანტინეპოლის პატრიარქთან. — „ყოვლად უწმიდესსა და უსანატრელესსა მეუფესა, ახალსა რომისა, კოსტანტინიპოლისა და ყოვლისა სოფლისა პატრიარქსა, ზენათა განგებითა ღირსებისათვის განწმენდილს, წინათ გამორჩეულსა დიდსა მწყემსსა და ყრდ ნეტარსა და ყრდ ბრწყინვალეს უფალს, უფალს მეფე იმერეთის ქრისტეს მიერსა შენსა ვეგსავთ მწყემს-მთავრობასა ცოდვათა მოტევებისა თანად, განათლებისა და კურთხევისა მოცემისა და ლოცვითურთ წმიდით შენით ჳელთა საცოურთაგან ჳსნის მოფენას, პირველ მნათობთა მისა მზებრთა ჳელთა შენთა შეგსწირავთ თაყუანის-ცემასა და შევრდომით ვითხოვთ ამბორის-ყოფის ღირსებასა“... (186v. იგივე ტექსტი მეორდება ამავე გვერდზე).

4. ხველისა და სხვა ავადმყოფობათა წამლობანი.—

„ქათმის ქონი წაისვი გულზე, ბამბა დაიკარ, გადისურე.

ქოთანში საკმელი ჩაყარე, იორთქლე...“ (186v—187r).

5. გრიგოლ წერეთლის (სახლიუხუცესის ზურაბის ძის) მინაწერი: „ჩყიე სა წელს სვიმონის ჩემი ძმის წიგნი მივიღე ქუთაისს[ს], ივლისის კვ-სა. კაცი ეხმო. გავგზანე ტრაპიზოთა გაზაბარა, მივე ქირათ ორასი მარჩილი.

ამავე ივლისშიღ გაუგზანე ბარბარე სიმონივიჩის მეუღლეს“ (188r. ბარბარე გრიგოლის ძმის... ცოლია).

6. „ჩყთ-სა წელს, აგვისტოში წავიდა იეროსალიმის ეკეილი ჯვარის მამა ვენედიქტე არხიმანდრიტი იერუსალიმს იმერეთით, ამას გაყვა ავალოვი გიორგი იქით“ (188r).

7. 188r-ზე მოცემულია კრიპტოგრამული მინაწერი. ქვემოთ, იმავე ხელით ნაწერი, შემდეგი ლექსი იკითხება:

„ერთი ვაება ვიხილე, ზარისა უზარესია,

გზა გავლე, სხვანი მომიხდა ზედიზედ უარესია,

უძნელესი და უავე, თან გაყვა ბავთთა წესია,

და ესოდენ ჳირსა ვინ გასძლებს, დიდი თუ უმცირესია.

მე მოყვარემა გამწირა, დამაგდო უკურნებელად,

ფეელი პირობა გატეხა, ვნებულმა მან სავენებელად“.

8. „ეს ქილ[ილა] დამანას წიგნი სამენგრელოს მთავრის ლეონ დადიანის მეუღლის, ზურაბ წერეთლის და თამარ დადიანის ასულ[ი]ს მართასი არის“ (188v).

9. „მიიცვალა მიტროპოლიტი ჯუმათისა მაქსიმე ნიჟარაძე ქუთაისს[ს] ჩყი-სა წელსა, სექტემბრის ია-სა“ (189r).

10. „მიიცვალა წინამძღვარი სოხასტრისა არხიმანდრიტი დავით იოსელიანი ჩყზ წელს“ (189r).

11. „საქართველოს სარდლის იოანე ორბელიანის მეუღლე ანასტასია მიიცვალა ჩყთ-სა წელს, სექტემბერშიდ“ (189r).

12. „მიიცვალა საქართველოს მეფის გიორგის ძე დავით პეტრებურხს ჩყთ წელს“ (189r).

13. ამავე პერიოდის (1810—1819 წწ.) მინაწერი (ხელნაწერის დამწერის დალოცვა) მოიპოვება Oir-ზეც.

(32)

32

ქილილა და დამანა. 1810

273 ფ. (გვ. 546); 35×21; ლურჯი ქალღი; მწვანე ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მცირედ დაზიანებული (2 ფურცელი ამოვარდნილია და გაკვეთილი, ყდა ყუაში დახეულია); მხედრული (სათურები, შაირთა და ტაეპთა დასაწყისი სიტყვები სინგურით); ტექსტში დასახატავად თავისუფალი ადგილებია დატოვებული: 1810 წ. (გვ. 543); გადამწერი — სპირიდონ ია... თვი (გვ. 543); დამკვეთი — იოანე აფხაზი (გვ. 543); გვ. გვ. 545—546 დაუწერელია. ეს ნუსხა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისათვის შეუწირავს ილია ჭავჭავაძეს (01r).

«ქილილა და დამანა». «ვიწყევით პირველი არაკი. — იგავთა თვალმარგალიტთა მეზაზრეთა და სიტყუა-ველოვნებათ გამომჩხრეკელთა და უცხოთა არაკებთათვის პირის ამღებთა და საკვირველთა შემქმერებითა თქმულთა შემაწყობელთა. ამა ამბისა თავი ჰაი, ჰაი, ასე, მოურთავთ, ქებულისა და გამოჩენილის კაბადონთა დასაწყისი უცხოთ რამ შეუწყვიდა. რომელსა პირველთა ღამთა და დროთა ჩინეთისა ქუშყანათა ერთი მეფე ყოფილა, რომე მისი ბედ-სვიანობა და მისისა სახელ-დიდობის ჯმა ყოველთა ადგილთა განფენილიყო...» გვ. გვ. 12—543.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. «შესავალი». „დასაწყისი პირველი წიგნისა ამის, შესავალად თქმული, ბრძნისა ანვარი სოილისა. — სრული სიბრძნე ამისად შემსგავსებულად საფუძველად დაუტ, და ყოველთა წიგნებთა შინა მთქმელისა სახელი დიდად უსახელოვნებია...“ (გვ. 1—8).

ბ. ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა.—

„ეს წიგნი ქირმანს, ისპაანს შეპირებებაში მყოფსა და უსაქმო მზრუნავს განების ურვის წამლად მოგმუშავა მეფეს ვახტანგს ქართველთასა, სპარსულისაგან ქართულად ეთარგმნინა...“ გვ. 9—11).

გ. [ქართა საძიებელი] (გვ. 12).

2. ვახტანგ VI ანდერძი ამ ნუსხაში არ არის. მის ჩასაწერად ადგილია დატოვებული და აღნიშნულია: „აქ ბატონის ანდერძი უნდა დაიწეროს“ (გვ. 11).

3. კიდევზე გატანილია ზოგიერთი სიტყვის ასხნა, იგი მომდინარეობს საბას ავტოგრაფიდან (შდ. S-31).

4. ეს ნუსხა იმეორებს საბას ავტოგრაფს (შდ. S-31).

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს პროფ. ე. თაყაიშვილს იხ. დასახელებული აღწერილობა გვ. 288.

ანდერძი: „აღიწერა წიგნი ესე ქილილა [და] დამანასი თვადის აფხაზის იოანე სთვის.“

აღმწერი წიგნისა ამის სპირიდონ ია... თვი. სრულ იქმნა სეკდენბრის ოცდაცხრას, წელსა ჩყი, ქქს უფშ“ (გვ. 543).

მინაწერა: „წიგნი ესე ქილილა და მანანა (!) თემცა ეკუთნოდა თვადს იოვანე აფხაზოვსა, ხოლო ახლა ეკუთვნის, წილში რგებით, თვადს დიმიტრი იოვანეს ძეს აფხაზოვს. ჩემს-ს. წელსა, იანერის კო-ს დღესა“ (გვ. 544).

(33)

33

ქილილა და დამანა. XVIII

01+404 ფ.; 30×20; ქალღი; ყვითელ ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; ნაკლული (ნაკლული ადგილების აღსადგენად შიგა და შიგ ჩაყინძულია თავისუფალი ფურცლები, ერთი მათგანი შევსებულია (ფ. 22), სხვები კი არა. ბოლოშიაც დანაკლისი სხვა ხელითაა დართული, მაგრამ არა სრულად); კალიგრაფიული მხედრული (სათურები, შაირთა და აბზატა დასაწყისები სინგურით); XVIII საუკუნის I ნახევარი. ხელნაწერი შეადგენდა პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკის კუთვნილებას.

[ქილილა და დამანა]. «ვიწყევით პირველი არაკი იგავთა თვალმარგალიტთა მეზაზრეთა და სიტყუა-ველოვნებათა გამომჩხრეკელთა და უცხო-

თა არაკებთათვის პირის ამღებთა და საკვირველთა შემქვერებითა თქმულთა შემაწყობელთა. ამა ამბის თავი ჰაი, ჰაი, ასრე მოურთავთ, ქებულისა და გამოჩენილის კაბადონთა დასაწყისი ფურცელი უცხოთ რამ შეუწყვიათ. რომელსა პირველთა ჟამთა და დროთა ჩინეთისა ქვეყანათა ერთი მეფე ყოფილა...“ 11v—404r.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. „ქარი პირველი ქილილა დამანასი, სპარსულსაგან ქართულად ნათარგმანები მეფის ვახტანგისაგან. —

მეც მივეყვ სპარსთა ზღაპრისა თარგმანებისა მგებართა,
არავინ მიშვებს გარეგან მთათა და გინა მე ბართა... (1r).

ბ. „დასაწყისი პირველი წიგნისა ამის, შესავლად თქმული ბრძნისა ანგარი სოილისა. — სრული სიბრძნე ამისად შემსგავსებულად საფუძველად დაუც და ყოველთა წიგნებთა შინა მთქმელისა სახელი დიდად უსახელებია...“ (1r—9v).

გ. „ანდერძი დიდსა ჭირსა შინა მყოფისა მეფის ვახტანგისა. — ჟამსა მას პატიოსნისა და ამაღლებულისა დედათ-შეგნიერებისა, თვითმპყრობელისა და ღთივ გვირგვინოსნის მეფეთ-მეფისა თამარისა, ესე წიგნი ეთარგმნათ, რომელი ცხოვრებასა ქართლისასაც წერილ არს...“ (9r—11r).

დ. [კართა საძიებელი] (11r—v).

ერთვის: „მეფის ვახტანგის ნაბძანები. —

კულავ მივმეს ისევ ისპანს, დამრჩა ეს შეუსრულები,

მამცეს პატივი მრავალი, ვა, თუ დავები სულები!...“ (403r—404r.)

ამ ლექსის V სტროფის შემდეგ ნათქვამია: „ვით წინა ლექსი აჩენს, მე დამრჩა გაულექსავი და სულხან გალექსა ყაფლანის შვილმან, რომელი ბოლოდ მონაზონ იქნა და ეწოდა საბა. რასა ლექსს აშიაზე მანი უხის, მეფისა არის“.

2. აქ არ არის სულხან-საბა ორბელიანის ანდერძი. თვით ვახტანგისა — შესავალს მოსდევს. დანაკლისის აღმდგენელს ეს მხედველობიდან გაუშვია და ახლად დაუწვია ვახტანგის ანდერძის წერა, მაგრამ შეუწყვეტია სიტყვებზე: „ანდერძი დიდს ჭირსა შინა“...

3. კიდებზე გატანილია ზოგიერთი სიტყვის განმარტება, რაც მომდინარეობს საბას ავტოგრაფიდან (S—31-დან).

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს, იხ. „Описание“, ტ. 1, გვ. 289—290.

შინაწერები: ა. „სადაც სჯულის წინააღმდეგობად ჩნდა, ცოტა-რამ ჩალხი ვკარ“ (53r. ტექსტის ხელით. გადმოსულია საბას ავტოგრაფული ნუსხიდან).

ბ. „გოგია და მისი ძე არს ესე“ (01r. სახელი გოგია მეორეჯერაცაა განმეორებული).

გ. „Снателство Димитрий Гуманов“ (01r).

დ. „ეს ქილილა დიმიტრი მდივნისა [თუმანიშვილის?], ვინც ეს მაიპაროს, ღმერთი გაუწყრეს“ (01v).

ე. „იოსებ დაიბადა ქალაქს მარიამობისთვის იო, გასულს ხუთშაფ[ა]თს, შუადლისას, ქკს ულდ“ (01v).

ვ. „იოსებ მონა ყოვლისა, გვართა შაჰ ყუბათისა,
სარწმუნებითა სომხისა, ყმა მყოლე (?) მეფობისა,

ამჟამად აოსამეტისა გიორგი, იოაკლის ძისა „(1r. იოსებიც თუმანიშვილი უნდა იყოს, გიორგი XIII-ის მდივანი).

(34)

34

ქილილა და დამანა. 1829

285 ფ.; 33,5×21; ქალაღი; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; თაენაკლოღრ (აკლია რვეული ა, და გ რვეულს ორი ფურცელი ფ. ფ. 13—14-ს შორის); ხელნაწერს აქვს რვეულგბრივი აღრიცხვა ძველი (37-ლზ) და ახალი—ფურცლობლივი; მხედრული (სათაურები და დასაწყისი სიტყვები სინგურით), დასახატავად ტექსტში დატოვებულა თავისუფალი ადგილები; 1829 წ. (284v); გადამწერი—სფირიღონ ბიავეი (284v); დაუწერელია 1v—2v და 285r-v; ხელნაწერი ზაქარია კიკინაძისეულია.

[ქილილა და დამანა]. „ვიწყევით პირველი არაკი იგავთა თუალ-მარგალიტთა მებაზრეთა და სიტყუა ჴელოვნებათა გამომჩრჩველთა და უცხოთა არაკებთათჳს პირის ამღებთა და საკვრველითა შემქერვებითა თქმულთა შემაწყობელთა...“ 3v—284r.

შენიშვნა: 1. უძღვის [ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა] 3r-v.

ერთვის: ა. „მეფის ვახტანგის ნაბრძანები ლექსები.—

კულავ მიხმეს ისევ ისპაანს, დამრჩა ეს შეუსრულები, მომცეს პატივი მრავალი, ვა თუ დავები სულები...“ (284r-v).

ამ ლექსის ბოლოს ვახტანგის შენიშვნის განსხვავებული რედაქციაა მოცემული (შდრ. S-33-ს):

„ეით წინა ლექსი აჩენს, მე დამრჩა გაულექსავი და სულხან-საბამ გალექსა, ორბელის ძემან:

დიდის ცდით ჩემგან ნაღუაწნი, თუცა გაავლით გულები,
გულო, ნუ ზრუნავ მტერისა მოგონებულსა ნებასა,
ნუთუ სხუა კარი განგელოს, მით მორჩე ძნელსა სნებასა“.

ბ. „ეს ბოლოს ლექსი ყმაწვილს ვისმე უთქვამს.—

დაეკლიფოთ თვალი ლალები და მალგალიტი მალები,
გული ავივსოთ სულვილით. ულვილით დანამალები,
სულ შემოვკლიფოთ შაილნი და მიცნი ლექსთა ძალები
და კაკბულათ მოვინადილოთ ბოლო კალკახნი ქალები“ (284v).

2. იხ. ე. თაყაიშვილის დასახელებული აღწერილობა, გვ. გვ. 290—291.

ანდერძი: „სრულ იქნა ივლისის ე-სა დღესა სფირიღონ ბიავეისა გან, ჩყკთ-სა წელსა“ (284v).

(35)

35

კრებული. 1787

144 ფ.; 33,5×22,5; ქალაღი (სხვადასხვა); მუყაოს დაზიანებული ყდა; დეფექტური (დიდი რაოდენობითაა ამოხეული ფურცლები. დასაწყისში რამდენიმე, ბოლოში—23, შიგადაშიგ კი—9. მაგ.: ფ. ფ. 40-ის, 48-ისა, 49-ისა და 82-ის შემდეგ); კრებული დაწერილია ქართულსა და რუსულ ენებზე სხვადასხვა ხელით; შეკინძულია შემდეგ: ფ. ფ. 1—23 და 83—144 წარმოადგენს გაიოზ არქიმანდრიტის ავტოგრაფს, ფ. ფ. 24—82 დაწერილია რუსული, ორი სხვადასხვა, XVIII საუკუნის კანცელარული, კალიგრაფიული ხელით; რუსული ტექსტის კვირნიშანი 1784-ს არევენებს; გაიოზ არქიმანდრიტის ნაწილი დაწერილია 1787 წ. (82r); ადგილი—კრემენჩუკი (83r).

1. «გაიოზ არქიმანდრიტი, ქართლის გრამატიკა» (რუსულ ენაზე).— „...Означающия мужеский род имена подлежат сему правилу.

4. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I

Женский мдედრობითი — მდედრობითი, ნაპრ. დედა დედა — мать; და და — сестра; ცოლი ცოლი — жена и все имена та[к]же естественно означающая суть женского рода...“ 1r—23v.

შენიშვნა: ყდას შიგნიდან რუსული ტექსტის ხელით აწერია: „Карталинская грамматика“.

2. «О некоторых в особлявостях (!) мнениях Алкорана» 24r—40v.

შენიშვნა: ამ სტატიას სათაურს ხეშოთ, გაიოზის ხელით, აწერია: „Подарил сам автор архиепископ Амвросий Екатеринославский“

3. «Исповедание веры армянских церквей» 41r—82v.

4. „ბ რ ო კ ა ტ ე ი ლ ის ანუ წ ი ნ ა თ მ ო წ ო დ ე ბ ა სწავლასა ზედა საკათაქმეველოსა, წმიდათა შორის მამისა ჩწნისა კირილე იერუსალიმის არხიეპისკოპოსისა. ახალ განათლებადთა მდგომარეობა და ნეტარება. — ა. სუნნელება უკუწ ნეტარებისა არს თქუწ შორის ჭი, განათლებადნო! გონიერსა უკუწ ყუავეილსა ჰკრებთ შეთხზუსათუს ზეციურთა გვრგვანთასა...“

წყდება: „... კაცობრივთა მეფეთა უზიარებელ აქუსთ სახელი მეფობისა თვისისა კაცთადმი; ხოლო იესუ ქრისტემან, ძემან ღწისამან, ინება ქრისტეანად წოდება“...

შენიშვნა: 1. ამ ნაკლული სტატიიდან დარჩენილია 7 „სწავლა საკათაქმეველო განათლებადთადმი, ჰადაგებული იერუსალიმწ შინა“.

2. იგი თარგმნილი უნდა იყოს გაიოზ არქიმანდრიტისაგან. დასაწყისში მას გაიოზის ხელით წარწერილი აქვს: „ვიწყე მაისს 20, წელსა ჩღპ, კრემწჩუქს, გაიოს“ (83r).

3. ხელწერილი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს. იხ. „Описание“, ტ. I, გვ. 282—285.

(36)

36

გაბაშვილი ტიმოთე, მიმოხლვა. XIX

46 ფ.; 31×19; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [XIX ს.].

„მთაწმინდისა და წმინდისა იერუსალიმისა მიმოხილვა ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოსისაგან.“

მიზეზი მოგზაურობისა და წარსულა საქართველოდ. — მარადის სასურვოდ და საწადად დავიდე თუალითა გონებისა ჩემისათა უღირსად ცხოვრებულისა ამის თავისა ჩემისათუს ლტოლვა, ვინაიმე და რათა ტვრთ-მძიმეობა ბრალეულებათა ჩემთა სამარად-ხსენებად მომივიდოდეს, ამისთვის ვიწსწრაფდი მწირობად...“ 2r—45r.

შენიშვნა: 1. უძღვის: „შესავალი. — სამარადსაგონებელ ჩემდა იყო, თუ არასაზღვეო იყოს ზენაძისთვის მორფუა სიტყვათა, და კვალად დახსნილობითა და უდებად ცხოვრებულთაგან არაშესამგზავს არს დიდების მოყვარებით მოსწრაფება საღწოთათა რათმე...“ 1r-v.

2. თავგვრცელი: „მთავარეპისკოპოსის ტიმოთეს მოგზაურობა“ (01r).

3. ხელწერის თავსა და ბოლოში დასმული აქვს პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკის ბეჭედი.

4. ყდაზე ბეჭდურად. ოქროს ასოებით წარწერილია: „Путешествіи грузинскаго первосвещеннаго“

5. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (იხ. „Описание“, ტ. I, გვ. 292—294), იხ. აგრეთვე „მიმოსვლა“, ტექსტი გამოკვლევიტ, ლექსიკონითა და საიხებლებით გამოსცა ელ. მეტრეველმა. 1956, გვ. 069—070.

(37)

37

ჩხეიძე სეხნია, ორბელიანი პაპუნა, ქართლის ცხოვრება, 1846

158 ფ.; 33,5×21; ქაღალდი; მუყაოს ყდა (ტყავის ტვიფრული ყუით); მხედრული; 1846 წ. (158r); გადამწერი — გიორგი სამეგრელოელი (158r); დამკვეთი — ფარნაოზ ბატონიშვილი (158r); პეტერბურგი (158r).

1. [სეხნია ჩხეიძე]. „ქართლის ცხოვრება. ძლიერებითა ღვთისათა ვიწყე ცხოვრება მეფეთა, მსმენელთათჳს არა უნდომითა ანბითა, უცხოთა ქუშყანათა, არა მარტივად ქართლისა ჩვენისა, ჩემის თუალით ნახული და ზოგიერთი მნახავთაგან სმენითა. — იყო მეფე ესე სახელ-ღიდებული, სვე ამღლებული, ჳელმწიფობითა სფადარი, ამიღბარობითა სპასპეტი. ლაშქარცხოვრებითა ზე აღმატებული ოთხთავე კიდეთა ქუშყანისათა...“

იყო მეფე ესე ძირისაგან იესესა და თესლისაგან დავითისა აღმოცენებული, სოლომონისა ნაყოფისა შესადარებელი, ბაგრატიონად წოდებული ვახტანგ, სპარსთა ენითა შანაპოზ წოდებული, თჳთ მდიდარი, განძრიეღებული, უხვი და მოწყალე...“ 1r—33r.

წყდებ: „... ამავ ქკსა [უკჳ — 427], მარტისა, ინდოეთზედ გაემარჯვა ამავ ყაენსა და დამორჩილდა ინდოეთის ხემწიფე და მოართვა მრავალი. დასასრული სეხნია ჩხეიძის ისტორიისა“.

2. «პაპუნა ორბელიანი, ქართლის ცხოვრება» — „ქკსა უკჳ, ხოლო აქეთ თვესა ივლისსა მოიშველა ერისთავმან შანშემ ჯარი ლეკისა. პირველ მიუბდნენ ხაშმის ციხესა და შემოადგნენ, აიღეს ციხე, აიკლეს ციხე და საქონელი იავარ ჰყვეს...“ 34r—158r,

დამთავრებულია: „... დაუხვდა მეფე ერეკლე ლეკის ჯარსა. ამოსწყვიტეს ლეკნი, წაართვეს ნაშოვარი. წამოვიდა კიდევ დაღისტინიდან ქვევითი და ცხენოსანი ლეკის ჯარი და აივსო ზემო ქართლი ლეკის ჯარითა. აოხრებდნენ და მიჰქონდათ ურიცხვი ტყვე და საქონელი“.

შენიშვნა: 1. პაპუნა ორბელიანი თავის ისტორიას ასეთი შესავლით იწყებს: „წინადგან, ვიდრე აქამომდე აღწერილ იყო ანბანი ესე ქართლისანი, აღწერის ამისა ჩხერისძე [! ჩხეიძე] სეხნისაგან, და ველარ აღწერა შემდგომად ანბანი და მომკედარიყო. მე, პაპუნა ორბელიანი, ხელგჳყავ პირველად, რათა არა დავიწყებული იქმნას ესე ვითარნი ანბანი, და მეორედ — შემდგომნი ჩვენნი მოიხსენებდნენ ოდეს უამისა ვითარებასა და ქცეულებათა, რომელიცა კინადა და რაოდეს ყოფილ არიან, ესე ვითარნი იწროებანი ქართლისანი, და ძალიადნი ცვლილებანი მპერიმბათაგან (!) გამგებულობანი ქუშყანისა ჩუშნისათანი მწარედნი და ძინად მოოხრებანი; და თვით თვალითა ჩემითა რომელი მინახამს და რომელიცა სხვანი ანბანი მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთაგან, და ესენი არა უდებ ვჳყავ ხელ-ჳყოფად ამის გამო ძალისა ჩემისა, რათა მოხარდულნი ქართულნი განეკრძალნენ ქუშყანათა თვისთა სიმტკიცისათვის, ვინაჲთგან ესწოდენნი ტირნი და იწროებანი დაიწყებოდეს თუ ვისგან და ვითა, რომლისა მიზეზითა იქმნეს ესე ყოფილი“ (34r).

2. თავფურცელი: „ქართლის ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანისა“.

ანდერძი: „სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა წიგნი ესე—მცირედი ქართლის ცხოვრება—ხელითა გიორგი სამეგრელი სათა, რომელი გთხოვთ უმდაბლესად პატოსანთა მკითხველთა, უკეთუ ნაწერსა ამასა შინა ცდომილება რამე იხილოთ, ნუ მწყევით, ვინაიდგან წიგნისა ამის დედანსა შინა ესრედ ეწერა, ვითარცა მე აღმიწერია. სრულ იქმნა წელსა 1846-სა, თვესა ნოემბრისა, რიცხვით მეათვრამეტესა დღესა, პეტრებუღსა შინა.“

ღმერთმან მშვიდობით, სიცოცხლით, დღეგრძელობით და მრავალმკითხველობით ახმაროს წიგნი ესე საქართველოს მეფის ირაკლის ძეს ფარნაოზს“ (158r).

შენიშვნა:

ა. ხელნაწერს თავსა და ბოლოში უხის პეტრებუღის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკის ბეჭედი.

ბ. ტექსტი განოცემული აქვს პროფ. დ. ჩუბინაშვილს. იხ. ქართლის ცხოვრება. ტ. II, 1854, პეტრებუღი, გვ. 307—474.

გ. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს, იხ. „Описание“, ტ. II, გვ. 684—686.

(38)

38

ყარამანიანი. XIX

295 ფ.; 34×21; ქალღი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხას ყდა; დაშლილი; თავნაკლული (აკლია ერთი ფურცელი); ხელნაწერს აქვს ძველი, ანბანური გვერდობლივი აღრიცხვა; მხედრული (სათაურები სინგურით); თავკახშულობიანი (ყოველი კარის დასაწყისში მოიპოვება წითელი მელნით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტი); XIX ს. (პეირნიშანი 1824); გადაწერილი—იოსებ დავითის ძე ჩხეიძე (295v); დამკვეთი — თაღია გიორგის ძე ჩოლოყაშვილი (295v); სოფ. სართიქალა (295v).

[ყარამანიანი] ... „უწყეთ, რით ჩაზოვარდი მე თქვენს ველში. მე თქვენ არა გგევარ და აქ თქვენს სამყოფში რად ვარო. როგორც იყო თავის საქმე გამოიკითხა, რომ კაცთა ნათესავი იყო და დევთა მოპარვით მიეყვანათ...“ 1r—291v.

შენიშვნა: 1. ყარამანიანი შედგება ექვსი კარისაგან.

2. ტექსტის ბოლოს მოიპოვება ამ ხელნაწერის დედნის გადამწერის ანდერძი: „ესეც იცოდეთ, რომ იტყვიან: ამისა შემდგომად რამდენიმე კარი ყარამანიანი კიდევ იყოს, მაგრამ ვგონებ, რომ საქართველოში ამის მეტი არ იყო, თორე იმის შოვნასაც ვეცდებოდი; და არც ამას გარდა შემდგომის ყარამანის ამბავი ზეპირათაც აღარა გამიგონია რა, და ამაზედ უფრო გული დავაჯერე. ან დაკარგულა იქვე არაბში და, ან ამის მთარგმნელს ამაზედ მეტი არ უთარგმნია. მწერალი ამისი: დიაჩოქი იოსებ სულხანოვიჩი“ (291v).

3. ტექსტს ბოლოში დართული აქვს სხვა დედნიდან გადმოწერილი „ხოსროვ შირისაგან მვეციის სიკვდილის ამბავი“. — „ქ. ხოსროვ შირმა შეიტყო, რომ ეს გულნინ არისო, იმ წამს თავს შუბი შემოვიღო, დაატრიალა და რაში იმისკენ მიქუსლა...“ (292r—295r).

ამის შესახებ გადამწერი სულხანოვიჩი წერს: „ესრეთ იცოდეთ ყოველთა მკითხველთა ამის წიგნისათა, რომ რომელიც ამ ფურცელს უკან წერილი ხოსროვ შირისაგან მვეციის სიკვდილის ამბავი არის, საცა ადგილია, იქაცა სწერია სხვა, მაგრამ ამ წიგნის პოვნაში და გამოძიებაში რომ ვიყავე, მეორე დედანიც ვიშოვე იმავე მოთხრობისა. პირველ ნაშოვნს დედანში წერილი თავის ადგილს დავსწერე, მართალია, ის მცირე მოთხრობაა და ეს უფრო გავრცელებული. მაგრამ აზრით არ არიან განყოფილნი, ერთი აზრი აქვსთ, და, მკითხველნო, თუ გინდოდესთ, ის წაიკითხეთ, თუ გინდოდესთ,—ესე...“ (292r).

ანდერძი: „მებრძანა მე, ამათის ბრწყინვალეების თავადის თაღია გიორგის ძის ჩოლოყაშვილისაგან ამ ყარამანიანის გარდმოწერა, და მეც ვიშრომე და“

გარდმოვსწერე დიაჩოქის იოსებ სულხანოვიჩის დაწერილის დედნიდამ სრულიად; მე, სართისკალას მცხოვრებელმა იოსებ დავითის ძემ ჩხეიძემ მარტის კვ-სა დღესა“ (295v).

მინაწერი: „ზაქარია ჭიჭინაძის ბიბლიოტეკისა“ (1r).

შენიშვნა: 2. ეს ნუსხა აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს, იხ. „Описание“, ტ. II, გვ. 610—611.

(39)

39

ანტონ I, კატეხიზმო. 1772

122 ფ.; 19,7×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათურები სინგურით); 1772 წ. (122v); გადამწერი—ტრიფილე ხუცეს-მონაზონი(122v); ასტრახანი (122v); დაუწერელია 3r-v, 107r.

„წიგნი კატეხისმოს, ანუ მოწოდება, რომელიცა თანა არს ქრისტე-ანეთა კეთილმსახურთა აღსარებად და შეწყნარებად, რომლისა შორის სიმელოიონ აღიხსნების 123 შინა კითხვა მიგებათა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყრისა ზემოისა საქართუშლოისა. — კითხუა: რაჲ არს სათანადო ქრისტეანისა მიმართ, რათა ჰრწმენეს? მიგება: სიმელოიონ, რომელი არს ათორმეტი ტაეპი, ქმნილი მეორისაგან ჰსოფლიოჲსა კრებისა...“ 5r—107v.

შენიშვნა: უძღვის: 1. თავფურცელი „სადიდებელად ცხოველსმყოფელისა თან-არისისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმინდისა, ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ზემოისა საქართუშლოისა, დავითიან ბატონიანისა წიგნი კატეხისმოს, რომელ არს მოწოდება თვსთა მოწაფეთა ქეშმარიტისა მიმართ სარწმუნოებისა და საქმისა, რომელიცა სათანადოსა ქრისტეანეთასა აღმოჩინებითა ღმრთეცულებითითა და ფილოსოფოსობითითა იპყრობს შორის კითხუ-მიგებითად დროსა უკეთილმსახურებისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა მეფისა ყრისა საქართუშლოისასა და მამათ-მოავერობისა თვისისასა ყთა ქართუშლოთა ზედა, წელსა დასაბამითგან სოფლისა ვსოზ, განჯორციელებითგან სიტყუსა ღრისა—ჩადო, თთუშსა მესამესა, რიცხუსა კ“ (2r-v).

2. „შეყუანილება ანუ წინასიტყუაობა წიგნისა კატეხისმოსისა.—

არ მომწყინდების თქუშნთაზ საუბარი,
ჰ ქართუშლონო, სიბრძნის შემყვარებელნო,
აღტეხილება მაქუს ნიქად თქუშნდა მომართ,
შრომად, უბნობად, წერად, მეშაირობად...“ (4r-v).

ერთვის: „პინაქს-სიტყუაობა ჩუშნ მიერ ქმნილისა წიგნისა კატეხისმოსისა, რომლისა შორის სიმელოიონ აღიხსნების 123 კითხუ-მიგებათა შინა, ქართულსა აღფავიტასა ზედა“ (108r—122v).

ანდრო: „აღუსწერე ხუცეს-მონაზონმან ტრიფილე ქალაქსა ასტრახანს, წელსა 1772, ნოემბერს 26“ (122v).

(40)

40

კრებული. 1816

118 ფ.; 20,5×16; ლურჯი ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული (სხვადასხვა ხელით) 1816 წ. (117r); დაუწერელია ფ. ფ. 38—40,118.

1. „მისის იმპერატორების დიდებულების საზოგადო რეგლამენტი ანუ კანონისდება, რომლისაებრცა სახელმწიფო კოლლეგიანი, ეგრეთვე ყო-

ველნიცა მათ შესახედრთა მათდამი კანცელარიათა და კანტორათა მსახურნი...“ 1r—29r.

შენიშვნა: ერთის „რეესტრი საზოგადოება რელამენტისა“ (29v—31r).

2. „თარგმანი სამთა უქაზთა, რომელნიცა წარმოდგინებულ არიან ზერცალთა ზედა ყოველთავე შინა სამსაჯულთა ადგილთა.— ჩვენ, პეტრე პირველი, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად როსსიისა და სხუათა და სხუათა განვაცხადებთ: ვინაფთგან არა რაჲმე ესრეთ განსაგებელად სახელმწიფოებასა საჭირო არს...“ 32r—37v.

შენიშვნა: უძღვის: 1. „უბნობანი შორის გამომცდელისა და დარწმუნებულისა მართლმადიდებლობისათვის ქრისტიანებრისა...“ (41r).

2. „წინასწარ უწყება“ (42r—43r).

(41)

41

ანტონ I, კათიგორია სიმეტნე. 1767

120 ფ.; 21×15,5; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა, მოძველებული; მხედრული (სათურები მთავრულით) დამკვეთი—ირაკლი II (3r); 1767 წ. (1v); დაუწერელია: 3v—4v, 94v—95v.

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა კათილორიათა არისტოტელითად შეყუანილება. § 1.—საჭირო ვიდრემე არს სიბრძნის მოყუარებისად მოწაფე-ქმნილთა ცნობაჲ, რაოდენ გუარობს ზედმიწევნილებაჲ კაცობრივი...“ 5r—94r.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. თავფურცელი: „სადიდებელად ცხოველსმყოფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა ანტონისგან არხიეპისკოპოსისა, დავითიან-ბაგრატიონისა, ქმნილი ანუ თქმული წიგნი კათილორიაჲ სიმეტნეჲ, დაჰსჯილი მისგან ჯმასა ზედა არისტოტელისა შედგომითავე მისითა, მაგრა სხუათაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფოსთა განსაზღურებათაგან და გარდამოცემათა მოღებული, ხოლო წინადადებულნი თვისისა სხოლისა მოწაფეთად დროსა ყოვლად ბრწყინვალისა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა ზემოებასა საქართუშლოებასა, ხოლო მამათ-მთავრობისა თვისისა წელსა დასაბამითგან სოფლისა 7275, ჯორციელითგან შობითგან სიტყუსა ღრისა 1767, მთუშსა მერუშსა, რიცხუსა 9. დაიწერა აპრილსა გნოსისა შინა სამეფოსა მისისა მეფობის უმაღლესობისასა“ 1r—v.

ბ. „წინასიტყუება წინამდებარისა წიგნისა ხუთ-ტაეპოვანთა სტიხთა, ანუ დასდებულთა ზედა ცხრა რიცხუთა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა.—1. არ სილაღითმან კადრომან გუათანადა ჩნ ახლად ჯელყოფად ქუშთქმულობანი ძუშლნი...“ 2r—3r.

2. ერთის—„პინაქს-სიტყუობაჲ ჩნ მიერთა შეყუანილებათა კათილორიათა სიმეტნეთა და რომელთამე ჰსჯილთა ჩნ მიერ ქართულსა აღქავეტასა ზედა...“ 96r—120v.

ანდერძი: „სრულ იქმნა, იყავნ სადიდებელად ემმანუილისა და უბიწოდ მშობელისა მისისა, ამინ“ 120v.

მინაწერი: 1. ბერძნული—ზედა ყდის v-ზე; 2. „ამ წიგნში არის ასოცი ფურცელი. [მოსე] ჯ[ანაშვილი] „პირველი საცავი ფ-ის r. 3.“ ეს კათილორია ტრიფილესია“ 121v.

მეტაფიზიკა. XVIII

145 ფ.; 21×15.7; ქალაღი (მოლოურჯო); ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა. XVIII ს. (კვირნიშანი: 1790); მხედრული (სათურები მთავრულით); გადამწერი—იოსტოს არხიდაკონი (141v); დაუწერელია მეორე საცავი ფურცლის r—v, 142r—145v;

«მეტაფიზიკა»: „თავი პირუშლი პირუშლთათუხ დასაბამთა კაცობრივისა ცნობისათა.—§ 9. ონტოლოლიასა თანა-აცს დადგინებად უპირუშლესნი დასაბამნი კაცობრივისა ცნობისანი...“ 4r—141v.

შენიშვნა: 1. უძღვის—ა. „ზედდადგინებანი მეტაფიზიკისანი, წინასიტყუაობა...“ 1r—2v; ბ. „ზედდადგინებანი ონტოლოლიისანი, წინასიტყუაობა...“ 3r—4r.

2. ერთვის—ა. ანტონ I-ის შენიშვნები სქოლიოებში; ბ. „იგავ. კ. ნეტარ არს კაცი, რომელმან ბოვა სიბრძნე...“ (შდრ. A—1302 ხელნაწერს).

ანდერძი: „ალიწერა უღირსის მონის მისის უწმიდესობის არხიდაკუნის იოსტოსისგან, დიდება ღმერთსა ყოვლისა მკურთხელა აწ და უყუნიამდე. ამინ.“ 141v (იქვე, ხელრთვით „იოსტოს“).

მინაწერი: „ამ წიგნში არის ასორმოცდაერთი ფურცელი (141 ფ.). მ[ოსე] ჯ[ანა-შვილი]“, ხემო საცავი ფ-ის r.

(43)

43

სვიმონ ჯულფელი, დიალექტიკა. XVIII

79 ფ.; 21×16,5; ქალაღი (მოლოურჯო); ტყავადაკრული ტვიფრული მუქაოს ყდა; თავ-ბოლონაკლული; მხედრული (სათურები სინგურით); XVIII ს. (კვირნიშანი: 1796).

[სვიმონ ჯულფელი], «დიალექტიკა»—... „შარშაკუნი, რომელ არიან უპირუშლესთაგანი, ითქმიან ნათესავად და ესევეთარნი სახელნი: კიოსიან, საულიან, დავითიან, რომელ არიან მშობელთაგან, ითქმიან ნათესავად...“ 1r—79v

წყდება: „... ყოველი არს თანმოსახელისაებრ, ვითარ ქაჩაჩოვანი ცხენისად იყოს, რათა იქმნების...“ (თავიდან: „განრემშომობისა საცთურთათუხ, თავი 7“)

შენიშვნა: ერთვის სქოლიოები ანტონის შენიშვნებითა და ხელმოწერით მინაწერი: „№ 43, ამ წიგნში არის 79 ფურცელი. მ[ოსე] ჯ[ანა-შვილი]“. ხედა ყდის v.

(44)

44

ბაუმეისტერი, ფიზიკა XVIII

119 ფ.; 21:3×15,8; ქალაღი (სხვადასხვა); ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათურები მთავრულით); XVIII ს. (კვირნიშანი: 1728). დაუწერელია: 1r—6v, 20v, 84v.

„შემოკლებული ფიზიკა თეორეტიკებრი. შესავალი ანუ წინასიტყუაობა.—§ 1. ძალოსოქია ბუნებითა, ანუ ძისიკა, არს ცნობა ბუნებითა ნივთთა, ესე იგი ყოვლისა მის, რაეცაღა არსებისაგან და თუხებისა სხეულთასა ყოფად შესაძლებელ არს...“ 1r—119v

შენიშვნა: ტექსტი კომენტირებულია ანტონ I-ის მიერ.

მინაწერი: „ამ წიგნში არის 119 ფურცელი. მ[ოსე] ჯ[ანაშვილი]“, 1 საცავი ფურცლის r.

(45)

45

მარკ ავრელი, საყოფაქცევო სჯა. XVIII

94 ფ.; 20,3×17,3; ქალაღი (ლურჯი); ხის ყდა (ქვედა გატეხილი); დაზიანებული; XVIII ს. (პვირნიშანი: 1798); მხედრული. დაუწერელია: 94r.

[საყოფაქცევო ჰსჯა], „თქმული მარკ ავრილისა, რომის კეისრისა; წიგნი პირველი, § 1. — პაპისა ჩემისა ვერუსისგან ვისწავლე სიმდაბლე და უშურველობა...“ 1r—93r.

მინაწერები: 1. „ესრეთ ერისაგან ჩემისა მოიწია ჩემ ზედა უსამართლობა ესე.

ესრეთ მშვენიერი იქნება, რომ არაოდეს

არ იქნას მოსვლა მათი საზღვარსა ამას ზვისა (!)

გარეშემოდგომითა, რომელ არს მუცელ ამისა მოწამისა,

გარნა ბაკითა, არამედ იბრძანება შუამდგომლობითა ერისა მისისათა“ 94v.

2. „შენ სჯავრობ ესრეთსა კაცსა ზედა, რომელმან თვით ააყროლა, ვითარცა თხამან, და კდ ამასთანა აქეს სურავანდიანი პირი. რასათვის სჯავრობ მას ზედა? სტომაქი სნეული აქეს და ყელი არს მიზუნი.

ოჰ, რა საკვირველობს სიბრძნესა შინა და გელოვნობს უსაკუთრეს თვისისა, გონიერებითა ხუროვნობს გულმოდგინებითა უცვალებელი ფიქრითა და დაუზარებლობითა მცადინობითა. მოიღებს მიუწთომელისა მისად არსებისა ქებასა და მისითვე მოწყალეობითა განიკუთვნის და აღირჩევის ყოელსა სწავლასა. და სიბრძნესა შინა კმა არს ესრეთი, ქება მის ავქსონისა ამისა წიგნისა. ვითარმედ ყოველივე სიბრძნე და გონიერება მისგან წარმოებს და აქვსთ ესევეითართა მსოფლიერთა მეცნიერთა, კავშირითა სწორითა მის დანოკიდულედა აქეს გაუწყვედელი ნეტარება, გულმოდგინებითი მორბედობასა მისისა უკეთილმორწმუნეობის უკეთილმსაჯულობისა“ 94v.

3. „ყოველი იგი გულსმოდგინედ განიხილე, რაიცა თქვენდა შესაბამ იქმნების“ (ზემო1 საცავი ფ-ის r).

4. „ამ წიგნში არის 94 ფურცელი. მ[ოსე] ჯ[ანაშვილი]“, იქვე.

(46)

46

სამთვარიო და საეტლო. 1875

134 ფ.; 21×17; ქალაღი; მუყაოს ყდა; თანაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); 1875 წ. (134r); გადანწერი — დაკით ამირიძე (ორბელიანთ მოურავი, 134r); დაუწერელია: 6v—7r, 28v, 132v-133 v, 134v.

[სამთვარიო და საეტლო]... „რვა ას ოცდა ცხრაჯერ ასი ათას და სამოცი ალაჯი, სივანე მისი არს სამოცდა ცხრაჯერ ასი ათას ექუსას და ოთხმოცდა ათი ალაჯი, ქუეყანით იქიმდე არს ასოცდა თხუთმეტჯერ ასი ათას სამას და ორმოცდაათი ალაჯი, მრავალნი შეიცილებიან მთოვარის სიდიდეზე...“ 1r—132r.

შენიშვნა: 1. ტექსტში ჩართულია ნახატები. 2. საგანგებო ყურადღებას იპყრობს: „... რაც ამას ზემოთ დაგვიწერია, მართლა არ შეიტყობის, თუ რომელს ქუეყანასა რომ ვართ, იმის სიმაღლისა და სიდაღის ზომას არ შევიტყობთ, მაგრამ ეს წიგნი მართო საქართველოსი, კახეთისა, იმერეთისა და ოდიშისას შეგვა-

ტყობინებს. საქართველოს სიმაღლე სამოცდა თექვსმეტი მართაბა არის, სიგანე ორმოცდა ოთხი მართაბა და ორმოცი ნაწილი არის. კახეთის სიმაღლე სამოც და ათი მართაბა არის. სიგანე მისი ოცდა თხუთმეტი მართაბა და ოცდა ორმეტი ნაწილი. იმერეთის სიმაღლე ორმოცდა თვრამეტი მართაბა არის. სიგანე ოც და რვა მართაბა და ორმეტი ნაწილი. ოდიშის სიმაღლე სამოცდა ორმეტი მართაბაა და ოცდაათი ნაწილი. სიგანე ორმოცდა ორი მართაბა არის და ორმოცდა ხუთი ნაწილი, და ზემოთ წერილი კუთხებით ესები ადვილ შევიტყობთ“ 44r-v.

3. „ზანდუკი სადგომებისა მათაბაებისა და ზემოური ცის კამარისა, რომელსა ჭკვიან მუნაჯიბურად პოლო და ამას აქეს მართაბა ოცდაცხრამეტი; ვინც ამას სიბრძნით იანგარიშებს. მოიხმარებს საქართველოსაკენ, კახეთისკენ, იმერეთისკენ, ოდიშისკენ. აზრუმისკენ და ყიზილბაშისკენ.“ 45r—50v.

ანდერძი: „ესე საფილასოფოსო წიგნი გადმოვწერე. მე, დავით ივანეს ძემ ამ ი რ ი ძემ, ორბელიანთ სარდლის ოჯახის მოურავმან, ძველის ხელნაწერის წიგნისაგან, რომელიც იყო ამისი დედანი, სამას ექვსის წლისა ქორონიკონი უჯდა ასე: ქქს სნ ხ. ამის დედანი ყოფილა გადმოწერილი ამ ქორონიკონის ანგარიშით ქრისტეს აქეთ ჩქ მ თ-სა. თუ რამ შეცდომით იყოს, შემინდევით. წელსა ჩ ყ თ ე-სა იანგრის ი ა-სა დასრულდა“ 134r.

მიწაწერები: 1. „ამ წიგნში არის 268 გვერდი მ[ოსე] ჯ[ანაშვილი]“ ზედაყდის v.

2. „ზოჰარის ამბავი აკლდა დედანს“ 3v.

(47)

47

სიტყვისგება სოკრატისა და არისტოტელისა. 1813

66 ფ.; 21×16.6; ქალაქი (მოლურჯო): ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1813 წ. (65v); გადამწერი — იოსებ მაღალოვი (65v); მთარგმნელი — ერასტი თურქისტანიშვილი (3r); ადგილი — მოსკოვი (ქვედა საცავი ფ-ის r). დაუწერელია: 4r—v, 43v—44v.

„მოკლედ სიტყვისგება სოკრატისა და არისტოტელისა, სწავლა პირველი, თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანის შვილისაგან. — კეთილი კაცის წესი არ არის, კაცს პირში კი აქებდე და უკან ზრახვიდეს...“ 3r—65v.

ანდერძები: 1. „ესე წერილი სამეფოსა დიდსა სასაყდროსა ქალაქსა მოსკოვს გარდმოვწერე ხი თარაშვილის გოგოას წერილსა ზედა. თუ მეტ-ნაკლები ამაში მომივიდა რამე, გთხოვთ წამკითხველნო წიგნი (!) ამის, შემინდოთ, თუ მეტ ნაკლები მომივიდა რამე. კალესკის სეკრატარი (!) თავადი იოსებ მაღალოვი. კათოვის იბ წელსა ჩყოგ“ 65v.

2. „ესე წიგნი არის სწავლა კაცისათვის ყოვლად საჭირო, არისტოტელისა და სოკრატ ფილისოზოფისაგან (!) თქმული დარიგება. ყოველა (!) დროს უნდა მოაგონდეს ჰაზრი ზოგერთი. დაიწერა მოსკოვს წელსა ჩყოგ-სა თიბათვის იბ-სა, იოსებ თულაევისა არის. ვინც ითხოვოს ან მოიპაროს, მისი ხელი აღარ მოემართოს, ამისთვის — ეს ანდერძი: ვინც ითხოვოს ან წაიღოს, ისე პატრონს დაუბრუნოს“ (ქვედა საცავი ფ-ის r).

მიწაწერები: 1. „ამ წიგნში არის 64 ფურცელი, მ[ოსე] ჯ[ანაშვილი]“ 1 საცავი ფ-ის r.

2. „1834-года წამკითხავს მ... თ...“ ამავე ფ-ის v.

3. „Январь, Февраль, Март, Апрель, Май, Июнь, Июль, Август, Сентябрь, Октябрь Ноябрь, Декабрь (რუსული თვეების სახელი არს ზემორე), იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, თიბათვე. კათათვე. მარიაშობისთვე, ენკენისთვე, ლეინობისთვე, გიორგობა, ქრისტიშობა (ქართული თვეების სახელი არი ზემორე), январь, февраль, март, апрель, май, июнь, июль, август, сентябрь, октябрь, ноябрь, декабрь (ესე სიტყვა ქართული, წერა რუსულად არს)“ 1r.

4. „და მე ვეგები მარად თქვენდამო კეშმარიტის პატივის დებით, მდაბლათ მოსამსახურე მონა იოსებ ტულაევი“ 2r.

5. „ესე სამეცნიერო წიგნი არის სხვა წიგნების სარკე, ჩასახედავი ჰაზრთა. პირველი ფილოსოფოსებისაგან—პლატონი, სოკრატის და არისტოტელისა და დიაგონისაგან კეთილნი დარიგებანი, კაცის გონებისა გასაწმენდი გახლავსო, თუ კი დაისწავლებთ. ლუბერკის სეკლეტარი იოსებ ტულაევისაგან, ვინ მონა ერთგულესია“ 2 v.

6. „ზაქარია კიკინაძის ბიბლიოტეკისა“ 3r.

(48)

48

მხითარ სებასტიელი, რიტორიკა. [1774]

148 ფ.; 17,5×10,5; ქალაღდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [1774]—9r. დაუწერელია 2r, 3r-v.

„მხითარ სევასტიელი“. „თუხ საზღურისა სამჭევრმეთქუოდასა და წვალებისა ნაწილთა მისთასა. თავი ა.—მჭევრმეთქუობა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს ჯელოვნებათა საკეთილმეთქუო, ითქმის ხელოვნებად, რომლითა ეზიარების სხვათა ყოველთა ჯელოვნებათა, ითქმის საკეთილმეთქუოდ, რომლითა სხვაობს სხუათაგან ყოველთა ხელოვნებათა...“ 9v—145v.

შენიშვნა: უძღვის—1. თავფურცელი: „მხითარ ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა სევასტიელის ქმნილი წიგნი რიტორიკა სარგებელად ყრმათა სხოლის შინათა ქართულსა ხმასა ზედა, გარდმოღებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართუშლოდასა დავითიან ბაგრატოვანისა, დროსა უკეთილმსახურესისა, ყოვლად უბრწყინვალესისა და უმაღლესისა მეფისა ირაკლი მეორის ყოვლისა საქართუშლოდასა, მამათ მთავრობისა ანტონისსა წელსა დასაბამითგან სოფლისა 3322—ხორციელად შობითგან სიტყუისა ლთისსა 1764, თთუშა მეშვიდესა, რიცხუსა 10-სა“ 4r (გვერდზე: „ესე წელთა რიცხუობა არ არს მართალ“).

2. „წინასიტყვაობა-ეპისტოლე, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართუშლოდასა დავითიან ბაგრატოვანისა ირაკლის მიმართ მეორისა, ძმისა თუსისა, მეფისა ყოვლისა საქართუშლოდასა დავითიან ბაგრატოვანისა, ირაკლი დავითიან ბაგრატოვანისა მეფესა ყოვლისა საქართუშლოდასა, მისს მეფობის სიმაღლეს ჩემს ყოვლად სატრფიალს ძმას.—იცის საზოგადოვან ჩუშულებამან. ვითარმედ ყოველნი უმჯობესისადმი მიმართებენ თავთა თუსთაჟს, ვითარ-იგი ბრძანებს ჰსჯულიცა ბუნებითი...“ 4r—9r.

ერთვის: „პინაქსი-სიტყუაობა სარიტოროდასა ჯელოვნებისა. ესე იგი სამჭევრმეთქუოდას...“ 146r—148r.

მინაწერიები: 1. „ამ წიგნში არის ას ორმოცდა ხუთი ფურცელი (145 ფ.). მ[ოსე] ჯ[ანაშვილი]“, 1 საცავი ფ-ის r.

2. „ზაქარია კიკინაძის ხელნაწერი წიგნები. № 10, რიტორიკა“ 1r.

3. სია: „ზაქარია კიკინაძე, ხელნაწერი წიგნები: 1. გეომეტრია, 2. ფილოსოფია, 3. მეტაფიზიკა. 4. კატელორია, 5. რიტორება, 6. საზიარო, 7. რელამენტი. 8 ლექსები, 9. მოკმედება დღესასწაულობით, 10. ხილთა ქება, 11. პატარა ლოცვა-ნი, 12. სარიდონიანი, 13 სახარება“ 1v.

3. „ფრიად კარგი არს, ჭეშმარიტი არის ეს მუხლი“ 69r.

4. „ჩემო გრიგოლ! ხშირად მოიხსენებდე მაგალითსა ამას. შ. გ. დ. მ“ 92v.

5. „ჩემო გრიგოლ! ეს მაგალითი ფრიად მშვენიერი არის და ერთგვის წარკითხვთა მისითა ნუ აკმაყოფილებ თავსა შენსა, არამედ დაღათუმცა შესაძლებელ იყოს. ზებირმცა აღმოიღე იგი და განუშორებელად იმეჟიანი იგი ცხალუსა მესხიერებასა შინა შენსა დასაცულად(!) შენდა მანქანებათაგან გულისა მის სულიერი-საცა. შ. დ. მ.“ 104v.

6. „გრიგოლ ჩემო! აჰა ფრიად მშვენიერი მაგალითი, რომელიცა განარინებს გულისათ აღმოშკითხველთა თუსთა მრავალთაგან ბოროტთა დ. მ.“ 106v.

7. „Мой Григорий, часто читай эти примеры“, 106v—107r.

8. „განსრულდა დიდება და ქება სასარგებლოდ ყოველთა მოსწავლეთა, ამინ“
148v.

(49)

49

კრებული. 1820

77 ფ.; 21,5×16,7; ქალღი (ლურჯი); მუყაოს ყდა; მხედრული; 1820 წ. (67r);
გადამწერი—იოელ ალექსიევი (67r); ადგილი—ტფილისი (67r). დაუწერელია დასაწყისი.
ში 2 ფ.; 67v—69r, 77v.

1. „წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა ან დ რ ი ა მთავარ-ეპისკოპოსისა-
კესარიისა კაბბად უქიელისა თარგმანება გამოცხადებისა.
წისა იოანე ღის მეტყუშლისა და მახარებლისა, რომელი სთხოვა სხუა-
მან ეპისკოპოსმან და მან მიუწერა ესე: უფალსა ჩემსა და ძმასა და ჩემ თანა-
მლუდელსა უფლისა მიერ განარებ.—მრავალთა მიმართ მრავალ გზის ვიძულე,
რომელთა-იგი აქუნდა ჩემდა მომართ იქვ, უხესთაესი ძალისა ჩემისა, რა-
თამცა ვჰსთარგმნე ღის მეტყუშლისა იოანეს გამოცხადება...“ 1r—67r.

2. „ჰურიათა მიერ განჰსჯა ქრისტეს ზედა. — ქეშმარიტი სახე უსჯუ-
ლოსა მის სასჯელისა წინააღმდეგ ქრისტესა, რომელიცა ჰყუშს იერუსალიმს-
შინა ჰურიათა, და ესე პოვნილ იქმნა ვიენის ქალაქსა შინა...“ 70r—71r.

3. „პილატეს მიერ განჰსჯა ჯუარცმისათჳს ქრისტესა. ქრისტეს
აქეთ ჩქნ-სა წელსა, ხოლო დროსა კოსტანტინეპოლის პატრიარხოზისა უფ-
ლისა იერემიასსა მოსრულ იქმნა განჩინება ესე პონტოელისა პილატეს მიერ
მიცემული...“ 71r—72v.

4. „ეპისტოლენი წმიდისა ეგნატი ღმერთ-შემოსილისად. ეპისტოლენ
კასოვოლელისა მის ეპისკოპოსისა ღის ქალაქისა ანტიოხიისა. — მარიამ
მწირი იესო ქრისტესი ეგნატი ღმერთ-შემოსილსა, ნეტარსა ეპისკოპოსსა,
ანტიოხელთა სამოციქულო ეკლესიასა ღისა მამისა და იესო ქრისტეს შე-
ყუარებულსა მარადის გილოცავთ...“ 73r—74v.

5. „ეპისტოლენი წმიდისა მლუდელ-მოწამისა ეგნატი მთავარეპისკოპოსისა,
ღისა ქალაქისა ანტიოხიისა, მარიამის მიმართ. — ეგნატი ღმერთ-შემოსილი,
შეწყალებულსა მამისა მადლისა მიერ და უფლისა იესო ქრისტესა, რომელი
იგი ჩუშნთჳს მოკუდა...“ 74v—76r.

6. ლექსი—„ხარებისათჳს:

მოვა ნაზარეთს ქალაქად ერის მთავარი ღთისა და...“ 76r-v.

7. ლექსი.—„შობისათჳს:

მარიამ იოსებითურთ ბეთლემის იქმნა მწვეველი... 76v.

8. ლექსი.—„აღდგომისათჳს:

ვინ ჳართ მოყუარე ქრისტესი, ანუ სარწმუნო კურნების...“ 77r.

ანდერძი: „სრულ იქმნა წიგნი ესე აღწვრითა ტფილისს, წელსა 1820-ს ნოენ-
ბრის 10-სა დღესა, გაპართულია თჳსსა დედასა ზედა—იოელ ალექსიე-
ვი“ 67r.

მინაწერები: 1. „ამ წიგნში არის სამოცდა ჩვიდმეტი ფურცელი (77 ფურცელი)-
მ[ოსე] ჯ[ანაშვილი]“. 1 საცავი ფ-ის r.

2. აკროსტიხად: „იამბიკო:

იოანესგან მოთხოზობის თარგმანება.

ორ-ბუნებისა სიტყჳს კილვა, განგება.

ემმაკთ დასთ ტყუშნვა, ანტეს სასჯელის გება,

ლახუართ ჳმარება, გოგ-მაგოგის გარება,

ისართა სროლა, მათთა დღეთა წარგება.“

67r (გვერდზე: „ჰშთახდა იონა სამ-სახებო“).

3. „ეს გამოცხადების თარგმანი არის ეს ცხრა რვეული, და ეს მეათე რვეული ამ წიგნისა არ არის და სხუა არის. თუ გნებავსთ, ამ წიგნის შეკრვასა თანა თან შეაერთეთ და თუ გნებავსთ, განაშორეთ“ 69ვ.

4. „თანაჲსწორ არს გარდმოწერილ თჳსსა დედასა ზედა“ 72ვ.

5. „არცა რვეული ესე დაჲშთა უქმად“ 77რ.

(50)

50

კრებული. XVIII—XIX

80 ფ.; 20,8×16,5; ქალაღი (სხვადასხვა); მუყაოს ყდა; ბოლონაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); XVIII—XIX ს. (კვირინიშანი: 1791, 1804). დაუწერელია: 7ვ—11ვ, 17ვ, 32ვ—34ვ, 35ვ.

1. [სოლომონ ლეონიძე]. „მოთქმით ტირილი საქართულოს მეფის ღერკულეს ღირსისა.—დღეს ქვეყანა აღსრული გულისწყრომისა ტახტსა ზედა, ცხებული სისხლითა ცესარიისა დიდისა ეკატერინასითა, დღეს იცხებეს კულად უფასოსა სისხლსა სახსარსა ივერიელთა გვარისასა...“ 1რ—6რ.

2. [პისტოლე]. „ყოვლად უგანათლებულესსა, უდიდებულესსა და უთვითმპყრობელესსა დიდსა იმპერატორსა პავლე პეტროვიჩსა, მპყრობელს ყოვლისა რუსიისასა და სხუათა და სხუათა და სხუათა, ყოვლად უმოწყალებსა კელმწიფესა.—საუკუნემან ამან სახსოვრად საგლოველმან სიტყვიერთ ბუნებათა დიდებისა მის კელმწიფისა დიდისა ქვეყანისაგან წიაღთა ზეცისათა მესაუნჯემან და დიდისა იმპერატორცა ეკატერინასაგან უბედნიერესითა ყუავილოვნებითა დატკობილმან როსიისამან, ვრცელმან იმპერიამან მოჰფინა ცის ქვეშეთა ნისლი მწუხარებისა...“ 6რ—7რ.

3. „შესხმა შემდგომად მისის დიდებულების უაღუსტესობითის და გვირგვინებისა. და ესრეთ ღირს გეყო ჩუქნ ღმერთმან ხილუად მეფისა თვისისა გვრგვინისისა და ყოვლად ამალღებულისა, რაჲ ვთქუათ ჩუქნ აწ...“ 12რ—16ვ.

4. „1801 წელთა სექტემბრის 15, დღესა მისის უდიდებულესობის სრულიად როსიის იმპერატორის ალექსანდრეს კურთხევის დღესა. შესხმა ანუ მილოცუად მოსკოვის მიტრაპოლიტის პლატონისაგან, ესრეთ:—და ესრეთ ღირს გეყო ჩუქნ ღმერთმან ხილუად მეფისა თვისისა გვრგვინისისა და ყოვლად ამალღებულისა, რაჲ ვჰსთქუათ ჩუქნ აწ, ზეი ძენო რუსეთისანო...“ 18რ—23ვ.

5. „უბნობა სიყუარულისა და გონიერებისა შორის. გონიერებამ:—ფრიად ძნელ იქმნებოდაცა, საყუარელო განრემზომო, შემთხუშვად ჩუქნი სხუაგან, გარდა გონიერაჲსა და შუქნიერაჲსა სიმპლიციისას, თქუქნ ხართ ესოდენ დანიკებულნი მით, რამეთუ ივლტით ჩემ მიერ მარად...“ 24რ—32რ.

6. [დავრიშიანი]. „კოსტანტინე ხელმწიფის ამბავი და უშვილობისათვის როგორ შეწუხებული იყო.—იყო ხელმწიფე კოსტანტინეპოლის ქვეყანასა მორქპული, გამდიდრებული, ყოველს ქვეყანასა სახელგათქმული, არ იყო გულსა მისსა შეჭირვება...“ 36რ—80ვ.

წყდება: „...თუ იმათ ასეთი მოწყალება ქნეს, მე ხომ უფრო შენიძლია, მე...“

მინაწერები: 1 „ამ წიგნში არის ოთხმოცი ფურცელი (80 ფურც.) მ[ოსე] ჯ[ანა-შვილი]“, 1 საცავი ფ-ის 1.

2. „რუსულიდამ ქართულს ენაზედ თარგმნილი და გადმოღებული ყოვლად-სამღუღელსა ეპისკოპოსის ევლოლი სიგანა“ 23v (ტექსტის ხელით).

(51)

51

ვახტანგის სამართლის წიგნი. 1794

60 ფ.; (120 გვ.); 21,5×16,5; ქალაღი (მოლურჯო); ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1794 წ. (117 გვ.); გადამწერი—სოლომონ დეკანოზი (117 გვ.). დაუწერელია გვ. გვ.: 106, 118, 119, 120.

[ვახტანგ VI, სამართლის წიგნი.]—„ა. ჯერ ეს გკადროთ და მოგახსენოთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოველთავე სამართალში მჯდომთ კაცთ, ეს იცოდეთ, დამარხვით გონებაში გქონდესთ, რომ ღმერთი, ყოვლისა დამბადებელი, თქვენგან სამართლისა უფროსსა არას ითხოვს...“ 6—84 გვ.

შენიშვნა: 1 ტექსტი შეიცავს 270 მუხლს. ტექსტს აკლია სკვ—ს ლ ზ, ს მ—ს მ ა. მუხლები.

2. ტექსტს წინ უძღვის „სამართლის წიგნის“ შესავალი 1—6 გვ.

3. ტექსტს ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის“ 107—117 გვ.

4. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ, იხ. „Описание“ ტ. II, გვ. 623.

ანდერძი: „დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, უკუნისა-მდე. მისი 3, კჳს უპა, უღირსი დეკანოზი სოლომონ შენდობის მოქენე“ 117 გვ.

(52)

52

ანტონ I, კატეგორია სიმეტნე. 1769

05+151 ფ. (302 გვ.); 15,3×10; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1769 წ. (298 გვ.); გადამწერი—მიხაილ ალექსევი (298, 299 გვ.). დაუწერელია: 01v—05v; 240, 300—302 გვ.

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა კატელორიათა არისტოტელითთად შეყუან იღებაჲ, § 1. საჭირო ვიდრემე არს სიბრძნის მოყუარებისად მოწაფე-ქმნილთა ცნობაჲ, რაოდენ გუარობს ზედმიწევნილ-ბაჲ კაცობრივი...“ 1—239 გვ.

შენიშვნა: 1. უძღვის—ა. თავფურცელი (იხ. ხელნაწერი S—41-ის აღწერილობა, შენ. 1 ა); ბ. „წინასიტყუაობა“ 03r—04r (იხ. S—41-ის აღწერილობა, შენ. 1 ბ).

2. ერთვის—„პინაქს-სიტყუაობა“ 241—298 გვ.

ანდერძი: „სრულ იქმნა 1769. 8.10. იყავნ სადიდებელად ემმანუილისა და უბიწოდ მშობელისა მისისა, აღუსწერე მიხაილ მან“ 298 გვ.

მინაწერები: 1. „1881 წელს, დეკემბრის 18-ს, ესე ძვირფასი ნაშთი ოდესმე ბრწყინვალე ლიტერატურისა ქართველთა ერისა მოპოვებულა. იცით, ბატონებო, სადაჲ—ი არ მუკახედ. ვისგანჲ—მეწერი მალესგან. როგორჲ—შვიდკაპეიკად. გრცხვენოდეთ ამისთანა წიგნების უარმყოფელთა მემკვიდრეებო!..

პოლიევეკტოს გრიგორის ძე კარბელოვი“ 01r.

2. „ბ. კარბელოვი, 1881 წ. XII. 8“ 02r.

3. „ამა წიგნისა აღმწერი მიხაილი იყო დეკანოზი (ასაფლავია ანჩისხატის ახალ სამრევლოს ქვეშე, ქვა დღესაც ჰსჩანს) ტფილისის ანჩისხატის სობოროსი, გვართ ალექსისძე (ალექსიე-მესხიევი). პ. კარბელოვი“ 299 გვ.

(53)

53

ლოცვა ვნების კვირისასა. 1820

41 ფ.; 23×17,5; ქალაღი (ლურჯი); მუყაოს ყდა; მხედრული 1820 წ. (39ვ); გადა-
მწერი—ჩიქოვანი ალექსანდრე (39ვ); დაუწერელია: 1v—2v, 40r—41v.

„ჟამის ლოცუა ვნების კვირისა დიდხუთშაბათისა იესოს სა-
ტანჯულზედ.—ა. საველითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა,
ამენ...“ 3r—18v.

ანდერძი: „აღმწერი ამა წიგნისა თავადი ალექსანდრე ჩიქოვანი, თუშა
მარტისასა, წელსა ჩყკ-სა. და ნუცა ეკიხვით რომელთამე შეცდომილებათა, მკი-
თხველნო, ჯელმწიფენო და ჯელმწიფიანო, ვინაჲთგან თუთ ასლში იპოვებოდა მრავა-
ლი შეცდომა და სიჩქარისა გამო ვერცა მე შევასწორე“ 39v.

მინაწერები: 1. „თა ალექსანდრე გიორგისძე ჩიქოვანი, მწერალი
მრავალთა ლექსთა, აწ დაკარგულთა (იყო დაბეჭდილი „ცისკარში“ მცირე 1858 წ.)
დაიბადა ტფილისს 1805 წელსა 27 აგვისტოსა და გარდაიცვალა ტფილისსავე
1858 წელსა 26 მაისსა, დასაფლავებულია სოლოლაკის კათოლიკეთ სასაფლაოზედ.
1887 წ. პეტრე უმიკაშვილი“ 1r.

2. „9-го апр[еля] 1859 г., პირველათ მე და ფანცომ ვსთქვით ანტიფონები
დიდხუთშაბათს—ქვედა ყდის რ.“

(54)

54

კრებული. XVIII

140 ფ. (280 გვ.); 16,3×10,8; ქალაღი (ლურჯი); მუყაოს ყდა; მხედრული (სათა-
ურები სინგურით); XVIII ს. (პეირნიშანი: 1798).

1. „წმიდათა შორის მამისა ჩრისა დიდისა ვასილისა კესარია კაბზა-
დუკიისა არხიეპის[კ]ოპოსისა თქმულთაგან ღვი შუშნიერნი სწავლანი, რო-
მელსა ეწოდების სუფევა; სწავლა ა. სარწმუნოებისათჳს წისა სამებისა.—
ღრისა ხსენება, მარადის კეთილ არს და განუძღომელ სულისა მის ღრის მო-
ყუარისა...“ 1—252 გვ.

შენიშვნა: 1. სუფევა 12 სწავლისაგან შედგება (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართუ-
ლი ლიტერატურა, 1 2, გვ. 582).

2. სუფევა შედგენილია გაბრიელ მცირის მიერ.

2. „ეპისტოლე წისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩრისა დიდისა
ვასილისა ღრისმეტყველისა გრიგორის მიმართ.—ვიცან ეპისტოლე
შენი, ვითარცა ვინ შვილი საყვარელისა მეგობრისა...“ 253—265 გვ.

3. „გრიგორის მიერ ღრისმეტყველისა დიდისა ვასილის საფლავსა
ზედა წარწერილნი სიტყვანი, რომელსა ეწოდების ეპიტაქია.—ეპა,
ქრისტეს მოყუარეო და მსახურო და მნეო, მისო ერთგულო ვასილი, ვგო-
ნებდი ნუუქუშ კორცნი თჳნიერ სულის[ა] სცხოხდენ, ვიდრეღა მე თჳნიერ
შენსა...“ 266—271 გვ.

შენიშვნა: 1. უძღვის გალობა: „გმა დ, რომელი იწოდე სეხნად სუფევისა“ (ზედა
საკავი ფ-ის წ).

2. ერთვის: ა. ბეჟედი ღრივ სულიერი და პატრიარქისანი. ესე წიგნი წრისა ღმერთ-შემოსილისა ვასილი დიდისა მრავალთა და ვრცელთა სწავლათაგან რჩევით აღმოწერილ არს, ვითარ-იგი კაცი ბრძენი და ჯელოვანი შთავიდის რა სიღრმესა და სივრცესა ზღვისასა და პოვის კეთილნი მარგალიტნი, აღნიოდის და განჰკარგის და შეაწყვს, ვითარცა ფარღული შევნიერი, სამკაული იგი ვოროცთა, და ესე სულისა ეწოდების ამას სუფიევა...“ 272—273 გვ. (შდრ H კოლექციის აღწერილობის ტომი II, № 906, შენიშვნა 3—გ).

ბ. „ზანდუკი წიგნისა ამის“ 274 გვ.

მინაწერები: 1. „უფალი ზაქარია კიკინაძეს ბიბლიოტეკიდან ხელნაწერი“ 275 გვ.

2. „კიკინაძის ბიბლიოტეკისა“, 1 საცავი ფურცლის v.

55

(55)

კრებული. 1840

77 ფ. (154 გვ.); 21×16,5; ქალღი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1840 წ. (95 გვ.); გადამწერი—სოლომონ ბულუჯოვი, დიაკონი (89,95 გვ.); ადგილი—დავით გარეჯის უდაბნო (95 გვ.). დაუწერელი გვერდებია: 96, 126, 147, 154.

1. „კანონი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩვენისა იოვანეს მიერ კოსტანტინეპოლელ მთავარ-ეფისკოპოსისა, რომელს მარხველი ეწოდა.— უწყებულ იყავნ, ვითარმედ ესე ნეტარი იოვანე მარხველი უკანასკნელი იყო უფროს ყოველთა მათ, რომელთა სჯულის კანონისა წესნი აღსწერნეს...“ 1—34 გვ.

2. „კანონი შეცოდებულთანი, განწესებულნი ნეტარისა მამისა ჩვენისა იოვანე მმარხველისა მიერ კოსტანტინეპოლელ პატრიარქისა.— უკეთუ ვისმე შექმთხვიენენ ბუნებითნი ცოდვანი...“ 35—77 გვ.

3. „კანონი დღითი-ღღეთა ცთონათა, ვითარცა წმინდამან მამამან ჩვენმან ვასილი განაწესა.—პირველი მოსვლა გულის სიტყვისა, რომელი მოუხდეს და გონებამან მსწრაფლ განიოტოს, რომელსა ეწოდების ბერძულეზრ (პროსავლიონ), უცოდველთ არს და არა შეირაცხების ბრალ, არამედ რამეთუ მტერისაგან მოუხდების...“ 78—89 გვ.

შენიშვნა: ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის“, 90—95 გვ.

4. [მანუილ ქსანთინოს]. „ქოჯრ წინებისა თავისათჳს. სჳა მატესი.— ხარისხნი ქორწინებისანი აბად, ვიდრე მოიწოდებინ ხარისხად, რამეთუ ვითარ-იგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად...“ 97—125 გვ.

5. [მანუილ ქსანთინოს]. „აჰა მაგალითნიცა ქორწინებისანი, რომელნიცა დასხნა უბრძენსმან და უსიტყვიერსმან დიდმან პარატოფილაქსმან(!) (ესე იგი) წიგნთა მცველმან, უწმინდესისა ქრისტეს დიდისა ეკლესისა კოსტანტინუპოლისამან, იეროდიაკონთა შორის უფალმან მანუილ ქსანთუს...“ 127—146 გვ.

6. [დავით გურამიშვილი].—„სწავლა ყრმათათვის მოსწავლეთა და ათთა სახმართა საქმეთა შეგონება:

ისმინე სწავლ[ის] მძებნელო, შიპყევ დავითის მცნებასა

ჯერ მწარე ქამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებას...“

148—153 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ, იხ. Описание, ტ. II, 479 გვ.

ანდროძე (ავტორისა): „აწ უკუშ ზემოხსენებულნი რომელნიმე აღწერილნი სჯულ-ლის კანონსა შინა და რომელნიმე უწერილნი ცოდვანი და თუ ვითარ განწესებულ არს პირველთა მამათაგან თვითთვეულისა ცოდვისა კანონნი ესერა აღმიწერიეს მე, გლახაკსა ამას და უღირსსა, ხოლო რაჲ იგი მე, უდებსა ამას და კანდიერსა, ვითარცა შემდგომთა მათ ჩემ ზედა უპირატესცა, ჩემსა გამოჩინებულთა წმინდათა მამათაგან მასწავიეს და მადლითა სახიერისა და მრავალმოწყალისა ღთისათა გულსავესე ქმნილ ვარ და განმიწესებია კანონნი სიმრავლისათვის ერის კაცთათვის, გლახაკთა და მდიდართათვის, მრთელთა და უძღურთათვის და სიკვდილისაცა ჟამსა სინანულად მომავლთათვის (!) და ყოველისა კაცისათვის, ვითარცა დამიწესებიეს, აღვსწერო და გაუწყო ძალითა და შეწვევითა კაცთმოყვარისა და კეთილ მომნიჭებელისა უფლისა ჩვენი ა იესო ქრისტესითა, რომელსა ნებავეს ყოველთა კაცთა ცხოვრება და შეცნირებასა მას ჰეშმარიტებისასა მოსვლა; და მას შვევის ყოველი დიდება, პატივი და თავყანისცემა თანა მანით და სულით წმინდითურთ აწ და მარადის, უკუნითი, უკუნისამდე. ამინ“ 33—34 გვ.

2. (გადამწერისა): „რომელნიცა ამას სჯულის კანონს იკითხ[ვ]იდეთ, ლოცვით მომიხსენებდეთ. უკუთუ შეცდომა იხილოთ, მსწრაფლათ აღვწერე, ნუ გეწყევთ, ლოცვით მომიხსენებდეთ. აღვწერე მე სლომან ბულუჯოვიმან“ 89 გვ.

3. „აღიწერა წიგნი ესე სჯულის კანონი, ღირსისა და ნეტარისა წმიდისა დავით გარეჯისსა უდაბნოსა შინა სლომან დიაკვნისაგან აღიწერა. აღიწერა მაისის თ, წელსა ჩემ.“ 95 გვ.

(56)

56

კითხვა-მიგებანი ფილოსოფიურ საკითხებზე, 1807

65 ფ. (130 გვ.); 17,6×10,5; ქალაღი (ლურჯი); მუყაოს ყდა; თაე-ბოლონაკლული. მხედრული; 1807 წ. (126 გვ.). დაუწერელია; 84 გვ.

[კითხვა-მიგებანი ფილოსოფიურ საკითხებზე]. „... რომელთაც ჩუქულება აქუს, რომ ნივთის თის(!)კმა მიზეზი გამოიძიოს და განახილოს, იმას ძილოსოფოსი ეწოდების...“ 1—127 გვ.

წყდება: „... პირისპირ ესევითარისა წინააღმდეგომისა“.

მინაწერები: 1. „ზაქარია ჰიკინაძის ხელნაწერი ბიბლიოტეკისა № 138, შექმნილი 1875 წ. ქ. თბილისს, მაისის თორმეტს, იარმუკაში“ 1 გვ.

2. „ესე წიგნი წინადადება საფილოსოფო ეკუთვნის მათე ხარისხს“, ქვედა ყდის რ.

(57)

57

ანტონ I, კატიგორია სიმეტნე, 1767

191 ფ.: 17,6×11; ქალაღი (მოლურჯო); ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები ასომთავრული სინგურით); 1767 წ. (17). დაუწერელია: 4რ—7, 5ა—7ა, 154ა.

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა კატილორიათა არისტოტელითად შეყუანილება. § 1. საპირო ვიდრემე არს სიბრძნის მო-

ყუარებისად მოწაფე ქმნილთა ცნობაჲ, რაოდენ გუარობს ზედმიწევნილებაჲ კაცობრივი...“ 8r—154r.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. თავფურცელი 1r—v (იხ. S—41 ხელნაწერის აღწერილობა, შენ. 1). ბ. „წინასიტყუაობა წინამდებარისა წიგნისა...“ 2r—3v (იხ. S—41 ხელნაწერის აღწერილობა, შენ. 1).

2. ერთვის: „ბინაქსიტყუაობა...“ 155r—191v. (იხ. S—41 ხელნაწერის აღწერილობა, შენ. 2).

გინაწერები: 1. „ზაქარია კვიპინაძის ბიბლიოტეკისა“ 1r; 2. „მაქუს ტრფიალება თხზულთა არისტოტელეჲ. არისტოტელი მოგვითხრობს სწავლასა ხუთთა ხნობითა პორფირთა. არად გვიჩნს ჩვენ ქართველთა“ 5r.

(58)

58

კრებული. 1796

151 ფ.: 16,6×10,5; ქალღი (ლურჯი); ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები ასომთავრული, სინგურით); 1795 წ. (151v); გადამწერი—გერონტი უღირსი (151v); ადგილი—ტფილისი (თავფურცელი).

1. [დავით ბატონიშვილი, გრამატიკა]. — „კითხუა: პლსა დაწყებასა ღრამმატიკისასა რაჲ საწმარ არს ცნობად...“ 3r—114v.

2. „თუ სხუთთა მარტივთა წმითა პორფირიოსისთა. — კი: ვინაჲთგან საზღუარსა შინა ჯერ-იყო სამისა რაჲსამე გამოძიება, ე. ი. ნათესავისა, სახისა და განყოფილებისა, რაჲსათუ არა მასწავე მე, თუ რა იყო ნათესავი, რაჲ სახე და რაჲ განყოფილება?...“ 115r—122v.

3. „დავითის მიერ, მეფისა მეორისა ირაკლისა პირმშოს ძის გიორგის პირმშოს ძისა. ქმნილი კატილორიისა შემოკლებული, სარგებელად სწავლის შინათა სხუათა კატილორიათა შორის, მხოლოდ ესრეთ კითხუა-მიგებთა. — კი.: ოდეს ველ-ჰყავ და შესთხზე ღრამმატიკაჲ მცირე და შემდგომად დასასრულსა ღრამმატიკისასა აღმოაჩინენ ხუთნი იგი მარტივნი წმანი, უკეთუ გაქუნდა კმაჲ მიზეზი აღმოჩინებად სრულებით მარტივთა წმათას...“ 124r—151r.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. თავფურცელი—„დავითის მიერ დავითიან ბაგრა-ტოვანისა, ირაკლი მეორისა პირმშო გიორგის პირმშოს ძისაგან, ხელხება წელსა ჩღუ, ხოლო ქართულსა ზედა უოჲ, სამეფოსა ქალაქს ტფილისს“, პირველი საცავი ფ-ის r.

ბ. [დავით ბატონიშვილი]—„მისს უმაღლესობას სრულიად ზემოესა საქართველოს მეფესა მეორესა ირაკლის, ყოვლად უმაღლესს და უმოწყალებს ველ-მწიფეს.—ვინაჲთგან კმაჲ მიზეზი შრომისა ჩნისა ესე არს, რათა კარისა მიმართ სიბრძნისა იყოსცა გზაჲ სღვისა ჩნისა...“ 1r—2v.

2. ერთვის—წინასიტყუაობა: „უგანათლებულესო მეფის ძეო ფარნავაზ. ჩემო მწყალობელო ველმწიფეჲ და სულითა თანაშეკრულო მეგობარო.— აჲ სადაჲმე კმაჲ მიზეზი შრომისა ჩემისა ესე არს, რათა ნათესავიცა ჩნი არა დაკლებულ იქნამცა ესეგუარისაგან საჭიროებისა, რომელითამცა ვიხმარე-ყე სიმეონისი ესე კატილო-რია...“ 123r—124r.

ანდერძი. „სრულ იქმნა შეწვევითა ღრისათა წიგნი ესე, რომელ არს მცირე ღრამმატიკაჲ, თთუჲსა მარტსა კბ, წელთა 1795, ქკს უზგ. უღირსი გერონტი“ 151v (ხელრთვა).

5. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ.1

სახალღობლები. XIX

87 ფ. (174 გვ.); 22×15,5; ქალაღი (სხვადასხვა); ტყავგადაკრული მუყაოს ყდა: მღდრული (სათურები სინგურით); XIX ს. (კვირნიშანი: 1808); დაუწერელია; 173—174 გვ.

1. „საზიარო ათორმეტთა წმიდათა მოციქულთა, ოდესცა ჯსენებასა მათსა აღვასრულებდეთ, უფალო ღყსსა ზედა, დასდებელი, მუჭლი ვ. ჯ. დ.—განბრწყინდი, მოციქულო, ელვარედ, ვითარცა მზის თუალი ნათლითა მით სულისათა და ყოველი სოფელი ღვი მეცნიერებით განაბრწყინვე ნეტარო...“ 1—19 გვ.

2. „საზიარო წმიდათა სამეოცდა ათთა მოციქულთა, რომლისაცა ხსენებასა აღვასრულებდეთ, უფალო ღყსსა ზედა დასდებელი ჯმა ა.—მნათობმან ცისკიდეთამან პავლე მოციქულმან, ვითარცა მცხინვარება სივრცესა სოფლისასა მიგფინა მოციქულო...“ 19—37 გვ.

3. „საზიარო წმიდათა მღუდელთ-მოძღუართა, რომელთაცა ხსენებასა აღვასრულებდეთ, უფალო ღყსა ზედა დასდებელი ხმისა, მუხლი გ, და უკეთუ დღესასწაული გენებოს, ყოველივე ჩვეულებრისაებრ აღასრულე ჯმა დ.—გონება თვთმფლობელი და გულის სიტყუა თვთმპყრობელი ვნებათა განიკუთნე შენ, ნეტარო...“ 38—52 გვ.

4. „საზიარო მღუდელ-მოწამეთა, ოდესცა ჯსენებასა აღვასრულებდეთ. უკეთუ გენებოს დღესასწაული, უფალო ღყსსა ზედა, ჩვეულებრისაებრ მ მუჭლად, დასდებელი ჯმა ა.—სიტყუათა შენთა ძალითა დაამხვე, სანატრლო, კერპთა ამოება და გულნი შერყეულნი სარწმუნოებითა დაამტკიცენ...“ 53—68 გვ.

5. „საზიარო წმიდათა მოწამეთა, ოდესცა ხსენებასა მათსა აღვასრულებდეთ, უფალო ღყსსა ზედა, უკეთუ დღესასწაულისა გენებოს, აღსრულება მუჭლი მ, ხმა დ.—რბამ შვენიერ არიან ფერხნი შენნი, ღუაწლისა მძლეო მოწამეო...“ 68—84 გვ.

6. „საზიარო წმიდათა ქალწულ-მოწამეთა, ოდესცა ხსენებასა მათსა აღვასრულებდეთ, უფალო ღალატყავსა ზედა, უკეთუ გენებოს დღესასწაული, მუჭლი მ, ჯ. ა.—ვითარცა კლდესა ზედა სიმტკიცისასა ქრისტეს აღსარებისა ხარისხსა ზედა დამტკიცე, ქალწულ-მოწამეო ყოვლად ქებულო, სახე და მტერი დაეც მოშურნე...“ 85—101 გვ.

7. „საზოგადო ღირსთა მამათა, რომელთაცა ხსენებასა აღვასრულებთ, უკეთუ გენებოს დღესასწაული, უფალო ღალატყავსა ზედა ჩვეულებრისაებრ მუჭლი მ, და უკეთუ არა, ექვს მუხლად ჯმა ე.—საბა, ნეტარო, გზნ, სახელი ნეტარო, შემკულო საიდუმლოთა ხედვათა მიერ“. 102—119 გვ.

8. „საზოგადო აღმსარებელთა, ოდესცა ხსენებასა აღვასრულებდეთ, უკეთუ გენებოს დღესასწაული, უფალო ღალადყავსა ზედა მუხლი მ, ჯმა მ.—რამე გიწოდო, ბრძენო მამაო, სახელი, მოძღურებათა სამღრთოთა წინამძღუარო, ყოვლად შევნიერ თვე მართლმადიდებელთა სწავლისა, ყოვლად უტყუელ ქეშარიტად...“ 120—138 გვ.

9. „საზოგადო წმიდათა წინასწარმეტყუელთა, ოდესცა ხსენებასა მათსა აღვასრულებდეთ, უკეთუ გენებოს დღესასწაული, მწუხრად დასდებელი მ

მუხლად, ხმა ა. — სული ყოვლად წა, რომელი მამისაგან გამოვალს, იტყოდო ყოფადისა მისთს, აღსასრულსა ჟამთასა ქრისტეს გორცთ შესხმისა...“ 138—153 გვ.

10. „საზიარო ღირსთა დედათა, ოდესცა ხსენებასა მათსა აღვასრულებდეთ, უკეთუ გენებოსთ დღესასწაული, მ მუხლად დასდებელი წარუკითხე, ჟმა დ.—გუამითა მით უძღურითა, დედათა თანა სანატრელო, ხოლო სახითა მამაკაცობრივითა სრბა კეთილი აღასრულე..“ 154—172 გვ.

მინაწერი: „ქიქინაძის ბიბლიოტეკისა“, 1 გვ.

(60)

60

კრებული. XVIII

294 ფ. (588 გვ); 20,8×14; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; დაზიანებული; თავ-ბილონაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); [XVIII ს].

1. [აპოკრიფები ახალი აღთქმიდან]. — „... თისა მის სულისა წმიდისა მონიჭებულნი და შემზადებულნი ესრეთ აღესრულა ტაძრად მიყვანებაჲ ქალწულისაჲ...“ 1—115 გვ.

2. „საკითხავი განცხადებისათჳს. — ხოლო ჩნ განცხადებისა მის და ნათლისღებისა უფლისაჲ სიტყუაჲ ვისმინოთ...“ 115—163 გვ.

3. „ჯრცმის საკითხავი. — ხოლო ოდეს-იგი ლალად ყო ჟმითა დიდითა იესჳ და განუტევა სული...“ 163—206 გვ.

4. „საკითხავი მიცვალებისა. — ხოლო აწ მიცვალებისა მისისათჳს და ამიერ სოფლით სასუფევლად საუკუნოდ მიწვენისათჳს ვიტყოდით მადლითავე მისითაჲ...“ 206—237 გვ.

5. „საკითხავი სარტყლის დადებისაჲ. — ჟამთა მათ ლეონ დიდისა, მეფისა მის მორწმუნისა ბერძენთასა, რომელი-იგი შემდგომად მარკიანესა მეფობდა, იყვნეს ორნი ერისთავნი...“ 237—276 გვ.

6. „ცხორებაჲ და ქადაგებანი წმიდისაჲ და ყოვლად ქებულისა იოანე ღრსმეტყუელისაჲ, აღწერილი პროხოლეს(!) მიერ, მოწაფისა მისისა ერთისა შჯდთავანისა, ძმისწულისა წრისა სტეფანე პირველ მოწამისა. — ესე კაცი ღმერთშემოსილი, უზეშთაესი ანგელოზთა, შეყუარებული მეფისაჲ, განმანათლებელი დაბნელებულთა...“ 277—450 გვ.

7. „წმიდისა მამისა ჩრისა ანდრია მთავარებისკოპოსისა კესარი-აკაბადუციელისა თარგმანებაჲ გამოცხადებისა წრისა იოანე მახარებელისა, რომელი სთხოაჲ სხმანებისკოპოსმან და მან მიუწერა ესე მას: უფალსა ჩემსა და ძმასა და ჩემ თანამღდელსაჲ უფლისაჲ მიერ გახარებ. — მრავალთა მიერ მრავალგზის ვიძულე, რომელთაჲ იგი აქუნდა ჩემდა მართ იქჳ უზეშთაესი ძალისა ჩემისა...“ 450—588 გვ.

წყდება: „... რათა ამას საქმესა ვეკრძალნეთ და უპატიონესს შევრაცხ“.

შენიშვნა: ტექსტის თავებად და რიცხვებად დაყოფა, ამოკრეფილ წინადადებათა კიდებზე გამოტანა, განმარტებანი და ხელი, რაც ვახტანგ VI ახასიათებს, გვაფიქრებინებს, რომ მას უმუშავნია ამ ხელნაწერზე: იხ. გვ. 67, 71, 86, 94, 282.

283, 288, 291, 292, 298, 300, 302, 304, 305, 308, 314, 315, 316, 324, 327, 328, 329, 336, 364, 369, 378, 399, 452—588.

ანდერძი (არა ტექსტის ხელით, მხედრულად).

1. „ყოვლა[დ] წმინდაო მღთისმშობელო და წმინდაო იოვანე მახარებელო, თქვენ, მეოხ ექმენით ნეორედ მოსლვასა მცხეთის კანდელაკს გრიგოლს. სამს დღეს გავათავე და შევქელ კეთილი ესე მოსაძოვარი, ამინ კირალესუნ“ 43 გვ.

2. „ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი გრიგოლ, ქკს უობ“ 276 გვ.

3. „ქრისტე, შეიწყალე ეფთვიმე წინამძღვარი, ამინ“ 276, 450 გვ.

4. „ქ. ღმერთო, შეიწყალე მცხეთის კანდელაკის შვილი ისიდორე“ 340 გვ. (ხელრთვა).

5. „შეყვარებულო ქრისტესო მოციქულო იოანე, მეოხ ეყავ გრიგოლს, ქკს უობ“ 354 გვ.

6. „ქ. ცოდვილი ბერი ნიკოლოზ მიწობლიძე გედრივარ ყოველთა, შენ-დობ[ას] მიბძ[ანებდეთ, უფალნო ჩემნო“ 588 გვ.

მინაწერები: 1—„ქიკინაძის ბიბლიოტეკისა“ 2 გვ.

2. „წმინდაო ლთებე (?) უცოვლებელო (?), შეეწი ცოდვილს რამაზსა, ამინ“ 115 გვ.

3. „იოვანე, საყუარელო მოწაფეო ქრისტესო, შემიწყალე ცოდვილი იესე“ 264 გვ.

4. „ქრისტე იესო. ღთისა სიბრძნეო, მშვიდობით დაიფარე ცხოვრება მიტროპოლიტის იოვაკიმესი“ 276 გვ.

5. „იოანე მოსავი ჯვარისა. მამა დავით გარეჯისა“ 277 გვ. (ლევანდა ბეჭდისა).

6. „ეს წიგნი წმინდის დავითისა არის, ცოდვილი იოანე შეიწყალე, იოანე ღთისმეტყველ“ 277 გვ.

7. „წმინდაო იოვანე მახარებელო, შეიწყალე იესე.“ 280 გვ.

8. „ღთისმეტყულება წმიდათა მამათა და წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე დამასკელისა, ერთარსებისათვის და სამთვითებისა. — კურთხეულ არს ღმერთი, მამა უშობელი და დაუსაბამო და დაუარსებელი, მიუწოთმელი და გამოუთქმელი, ღმერთი—მე მამისაგან დაუსაბამოდ პირველ ყოველთა საუკუნეთა შობილი, და ღმერთი სული წა, რომელი მამისაგან განსოვალს და ძესა ზედა განისვენებს, და ძისა მიერ მოგვიცემის ჩვენ, არა სამნი ღმერთნი, არამედ ერთი ღმერთი, ერთი ნება, ერთი ძალი, ერთი ჯელმწიფება, როპელი განიყოფის განუშორებელად და შეიერთების შეურწყმელად. ხოლო სამთვითება სახელთა ესრეთ იცნობების და ღთისმეტყუელნი ესრეთ იტყუიან სახელთა სამთვითებისათა და ესრეთ გამოაჩენენ სამთვთებასა, რამეთუ მამისასა არა იტყუიან შობასა, არამედ უშობელობასა, და ძისა არა იტყუიან უშობელობასა, არამედ შობასა, და არცა იტყუიან ძესა ძედ სულისა წმიდისად, არამედ ძედ მამისად იტყუიან. და სულსა წმიდასა არა იტყუიან ძისაგან გამოსრულად, არამედ მამისაგან გამოსრულად და ძესა ზედა განსვენებულად—სულად ქრისტესად, სულად ძისა ღთისა, ვითარცა შებერა წმიდათა მოციქულთა. და კვლად წმიდა მოციქული პავლე იტყუის: გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თვისისაო და სამთვითებასა გამოაჩინებენ, ხოლო ერთარსებასა, რამეთუ ერთ არს ბუნება მათი, და სადაცა არს მამა, მუნ არს ძეცა და სულიცა. და სადაცა არს ძე, მუნ არს მამაცა და სული წმიდაცა. და სადაცა არს სული წმიდა, მუნ არს მამაცა და ძეცა. და არა არს მათ შორის პირველობა და უკანასკნელობა, არამედ ოდესცა იყო მამა. იყო ძეცა და სული წმიდაცა, და ოდეს იყო ძე, იყო მამა და სული წმიდაცა, და ოდეს იყო სული წმიდა, იყო მამა და ძეცა, რომელი განუყოფელ არიან. და ერთ არს ბუნება მათი, და სამგვამოვანი არს და სამთვითება და ერთღთება; ერთნება, ერთსიტყუა, ერთუფლება; და ამისთვის თქუეს ღთისმეტყუელთა სამთვითებად და ერთღთებად. რამეთუ ერთ არს ბუნება და არსება მათი და სამთვითებად: რამეთუ მამამან უშობელმან შვა ძე და სული წა გამოავლინა, და თუ რა არს შობა და რა არს გამოსვლა, მან მხოლომან უწყის. ხოლო ჩვენ ესრეთ გვისწავიგეს წერილთაგან საღთოთა და კაცთაგან ღთისმეტყუელთა და ესრეთ აღვიარებთ, ვითარმედ: მამა უშობელი და ძე შობილი და სული წა მამისაგან გამოსრული და

მამისა და ძისა თანა თაყუანისცემელი და დიდებული—ესე არიან თუითებანი ერთარსებად მის ღთაებისანი და ესრეთ იყო და არს და იყოს საუკუნოთა და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ესრეთ ქადაგეს მოციქულთა და ესრეთ ღთისმეტყველეს, მღვდელთ-მოძღვართა და მამათა. და ამის უმეტეს ნუ ვინ ეძიებს და გამოიკვლევს რამეთუ, რომელიცა იყო გამოსაძიებელი და მისაწდომელი, მათ გამოიძიეს და რომელი მათ დაუტევეს გამოუძიებელად, არცა ჩვენგან ჯერ არს გამოძიება, და რომელი ეძიებდეს უმეტესსა ამისსა, მან პოოს დანთქმა და დარბევა წვალებითა, ღმერთთა, შვიწყალე ამისი დამწერი, ამინ“. 388,397 გვ.

9. „იწერა, ასვთ ასეთი—ითესა თავსა. ამის დამწერელსა, ღთისმადლით ნურავინ დასწყევლით“ 587 გვ.

(61)

61

ჩარღავრიშინი, 1780

103 ფ. (206 გვ.); 19,2×13,5; ქალაღი; ტყავადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1780 წ. (206 გვ.); გადამწერი — დავით ალექსის ძე [მესხიშვილი]—206 გვ.

„ქარი პირველი ბახტიარ ჯელმწიფის ამბავი, ტკბილად და ამოდ გასაგონი მსმენელთათვის, რომელსაცა ეწოდების წიგნსა ამას სახელად ჩარღავრიშინი.—იყო ჯელმწიფე კოსტანტინეპოლეს შინა მორკმული, გამდიდრებული და ყოველსა ქვეყანასა ზედა სახელგანთქმული...“ 1—206 გვ.

ანდრძი: „წარმოთხველნი ამას ზედანი ნუ გამიცხავთ, რომელ ესე მისი წესი არ იყო და რად ჰსწერდათ. თუცა მართალ არს, რომ ამისთანას ამოსა და ბედითს საქმეზედ ჯელი არ უნდა დააშროს კაცმან და არცა მეცნიერთა წესია ამისი წერა. რა ვყო, რომელთაჲმ ჩემთა კეთილთა მეგობართა ძმათა მაწიეეს ამ წიგნის დაწერადი დად მევედრენენ, მე ველარ ურჩ ვექმენ და გარდაუნსხე. ოდესმე კაცს შეატყვევს ამათ უკუშ მომესვენებელ ვარ ყოველთადმი უმდაბლესად ალექსის ძე დავით თთვესა ოკდომბერსა რიცხუსა 8, წელსა 1780 გამართულა. დავით“ 206 გვ. (ხელრთვა).

მიწერი: „წიგნებისაგან კოლექსიის ასესორის იერონიმე ალექსიევისა“ პირველი საცავი ფ-ის რ.

(62)

62

კრებული. 1823

104 ფ.: 21×16,5; ქალაღი (ლურჯი); ტყავადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა—დაზიანებული; მხედრული (სათაურები სინგურით); 1823 წ. (65წ, 76წ); გადამწერი—კონი ბებურავი (65წ, 76წ). დაუწერელია: 66წ—ვ, 95წ—97წ, 99წ—101წ.

1. [მირიანი].—„ამბავი დასაწყისი მაშრიყის ჯელმწიფისა.—იყო ჯელმწიფე ხოსროვ-შაჰ, ჩინეთს დგებოდა, იმისთანა ძლიერი და მაღალი ჯელმწიფე უშვილობას ასე შეეწუხებინა, რომ ყოველი თავისი სახელმწიფო და დიდება ჩალად მიაჩნდა...“ 1რ—65წ.

2. [ალექსიანი].—„კოსტანტინეპოლსა იყო კაცი ერთი, დიახ მდიდარი, აშენებული, სახელათ ერქვა ეფრემ, ცოლს ერქვა ანნა, შვილი არა ჰყვანდა, ღმერთს ეხვეწებოდნენ შვილის ბოძებისათვის...“ 67რ—76რ.

3. [თეიმურაზ II. ხილთაბასი].—„1. ქ. მარწყმა თქვა: მოვალ პირველათ, მე ვერ მომისწრობს ხილია...“ 77რ—79რ.

4. [ჯ ა ა მ ვ ე ზ ი რ ი ს ა მ ბ ა ვ ე]. — „კარი პირუშლი. ამბავი ბრძნისა ჯამ ვაზირისა. — იყო ვინმე მეფე დიდი, ძლიერი სახელით, და ჰყვანდა კაცი ფრიად მეცნიერი და იყო სახელი მისი ჯაჰამ...“ 79v—81v.

5. „ანბანთ ქება თქმული ბრძნისა და მეცნიერისა გვრვეინოსნისა მეფეთ-მეფისა და თვთველმწიფისა პატრონის თემურაზ, პირველისა მიერ. — აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულს...“ 82r—86v.

6. „მაშაო ჩვენო გალექსილი, ოთხტაეპოვანი. — რომელი მყოფ ხარ მაღალთა, სახელწმინდაო მამაო ჩვენო...“ 86v.

7. „სხვა ანბანთ ქება სრული და უნაკლულთ თემურაზ კახთ ბატონისაგან ნაბრძანები, რომელი არს პირუშლი თემურაზ, ენა რიტორი, სასმენად საამო და შვენიერი:

აღმართა მკსნელმან ჯვარი გოლგოთას, სისხლი დასთხია ადამის ძვალ-
[თა]...“ 87r—91v.

8. [არაკები]. — ა. „სამნი ამხანაკნი შეიყარნენ გზასა მიმავალი, ერთი ქილა თეთრი პოვეს და შუდილი მოუხდათ...“ 103r.

ბ. „ერთი მდიდარი ხელმწიფე სანადიროთ გავიდა. ნადირობას თავის მეჯინიბეს უთხრა, ცხენი გავ[ა]ჰქენოთო...“ 103v.

გ. „ერთს მეცნიარს უთქვამს, სამთა საქმეთა არ უნდა კაცი შეეხას...“ 103v.

9. [რეცეპტი წამლის მომზადებისა]. „მაჯუმი, რომ კაცი გასუქოს და წელი გაუმაგროს...“ 104r.

10. [იგავი]. — „ქრისტე რომ ქვეყნათ მოვიდა, ერთი ცოდვილი დედაკაცი მოიყვანეს, რომ ჩაქვავონ...“ 104v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ, იხ. „Описание“, ტ. II; გვ. 301.

2. ხელნაწერი გრიგოლ ქავჭავაძის (ილიას მამის) ოჯახის საკუთრება ყოფილა (იხ. ხელნაწერის მინაწერები).

ანდერძი: 1. „დაიწერა ესე მირიანი კონი ბებურთ ვისაგან წელს ჩუკა კათათვის ე“. 65v.

2. „ესე აღექსანესი გადაწერე მე, კონი ბებურთვი, წელს ჩუკა, მარიამობისთვის ე. მაშ, ეს ვიცოდეთ და ნულარავინ მიქვენდობით ამ წუთისოფელსა“ 76r.

მინაწერი: 1. „ღმერთმან მშვიდობაში მოახმაროს პატრონს თა გიორგი ანდრონიკოსს“ 65v.

2. „წელსა ჩუმს-ს მარტის იმ დღესა.

უსაყვარლესო ძალუა, კნინა მაგდან ქავჭავაძისა, წავიკითხე ესე თქვენი წიგნი, რომელიც არიან ბოლოსა და ბოლოს უმეტესად სამო და შესაქცევნი ამბავნი და ეს თან, რომ ამისი წამითხაზნი არც ცოლი და არც ქმ. რი არ იქმნებით უგრძობელნი. მაშასადამე, ჰსჩანს, რომელ მეცა გრძობაში შემიყვანა ამ წიგნმა, უმეტეს ამან, რომ სოფლიურს კაცსა თუ ქალსა უნდა ჰქონდეს ფიქრი, რომ საწუთრო, ესე სოფელი განიყვანს კაცთა ლხინთაგან, პირსა შეურთავს გულწყრელად (?) და ლხინს აწანებს პირთაგან, მოაყვლებს დღეთა ვრცელობას და საყვარელთა ტრფობასა, და წყეულია ღვთისაგან, ვინცა არ მიენდოს ძმობასა.

გთხოვთ, მომიგონოთ, ძმაო და ძალუავ, ოდესცა აღმოიკითხოთ მცირედნი ესე აღწერილნი ხელითა ჩემითა. უკეთუ განვერო სოფელსა ამას ოხერსა და მეტადრე ჩემთვის შეუსვენებელს, მომიგონებდეთ შენდობით. დაი თქვენი საღოთმე მელქისედედოკონა ანდრონიკოსისა“ 92v—93r.

3. „წელსა ჩვენ, ივლისის იდ, პარასკევს დილით ექვს სათხედ შემოვიდა ყვარელში ჯარი და იდგა ბაზარში, იდგა ნახევარ სათი. ქართველი მოკვდა სული თოთხმეტი და ლევი ცამეტი. ადგილობრივი დარჩა ცამეტი მკვდარი, რომელთაგან ერთი აღმოჩნდა ადალანაიბი“ 93v.

4. „წელსა ჩყა, თებერვლის 11 დღესა ასულმა ჩემა ნინო უცამ იქორწინა თავად ნიკოლოზო აბხაზედ, თავადი გრიგოლ ქავჭავაძე“ 93v, 94r.

5. [ილია ქავჭავაძის ყრმობის ლექსი. აქტოვრაფი].

„ჩემს საყვარელს და სასურველს ნინას
წიგნსა მიუწერ, თუ ყურს მისცემ სმენას.

შენის ლოცვისთვის ვსტანჯამ მე ვნას,
შენთვის ღმერთსა ვთხოვ შეებას და ლხენას.

ღმერთმან ისმინოს ჩემი ზრახვანი,

რომე გიქარვოს შენი ტანჯვანი,

მაშინ მაღირსოს შენი ნახვანი.

აი, რა არის ჩემი ნატვრანი!

იყავ მშვიდობით, საესე ბედით, ყოვლის სიკეთით,
ტკებოდე ლხინით, სიამოვნით, ყოლისა შევბით,
მაშინ აღტაცებული ვისიამოვნებ შენთან ხლებით,
და ღმერთსაც მაღლობას შევწირამ დიდისა ქებით.

ამ წიგნთან გიდღენით ჩალაუბნის ქებას,

თუ წარკითხვისთვის დართობთ თქვენ ნებას,

მრავალსა პოეზთ მუნ შეცოდებას,

და რად-ლა ვიფიქრებ მის მოწონებას.

შენსა შეილსა, ჩემს დისწულსა გიგოსა,

მაგ ვარდის კონას, დრამის წონას გვრიტლას,

ათასფრთა ჩაუტყლოშნი მის თვალგზას ცქვიტლას,

და მისთვის შემწობას ვსთხოვ მასა, ვისთვის თეთრი იმოსა.

ბევრსა მოგწერდი, ბარამა ენა არა მაქვს ტკბილია.

ჩემი ლექსი და სიტყვები გულისთვის მეტად ლბილია.

მისთვის ვასრულებ ამ წიგნსა, ხელიც მაქვს დაღალულთა.

დავშები შენივე ძმამ, მე, ქავჭავაძე ილია.

გათავდა ეს ლექსი“ 94v—95r.

(ამ ლექსის მეორე ვარიანტი დაცულია ხელნაწერ S—5028. იხ. ილ. ქავჭავაძის ავტოგრაფები. აღწერილობა. შედგენილი შ. გოხალიშვილას მიერ, 1951, გვ. 26).

6. „წელსა ჩყლ ხ-სა ღვინობისთჳს 8-სა დღესა, ოთხს სათხედ შენობრძანდა დიდებული და ყოვლად მოწყალე ხელმწიფე და მოფინა მოწყალეობა თჳს საქართველოს.—შესხმა ექსარხოსისაგან. როდესაც ხელმწიფეს მიახსენა: ყოვლად მოწყალეო ჳელმწიფეო! ძველიცა ივერია ღირს იქმნა, რომელ გიხილა შენ პირველი გვირგვინოსანთაგანი რუსეთისა, ვითარ სახარულევან არს ესე და რაოდენ შემაკრთობელ ჩუშნთჳს მოსვლაჲ შენი, შემაკრთობელ ამისთჳს, რომელ განვლი ზღუასა მღელვარესა ზურგთა მთათასა უმაღლესათა სოფელსაზედ და უფსკრულთა ქვეყანისათა... სახარულევან არს ამისთჳს, რომელ რასა ნიშნავს მოსვლაჲ შენი?—მამობრივისა შენს ჩვენდა სიყვარულსა—სიყვარულსა, რომლისა არცა სიმაღლეს, არცა სიღრმესა, არცა სიძნელესა, არცა საშიშროებასა გზისასა არა ძალუჳსთ შეყენება მისგან, რათა იხილოს ტომნი და ერნი უშორესთა საზღვართაცა შინა, ტკბილად განსვენებულნი მფარველობისა კვეშჳ სკიპტრასა შენისა, და მრავალთა ენათა მექონით, გარნა ერთითა გულითა მოდიდებულნი (?) მეუფებისა შენისა, ჳელმწიფეო!

გული შენი განჭვრცა, მას შინა ყოველი და თუთელი ჩვენგანი არა იწროდ დაიტევიან, ნუ უმე ჩუშნ. არა განვრცელდეთ ნაცვლადსა მოგებას (2 კორნე.) ოჲ, უკეთუმცა ძეგბირივმან სიყვარულმან ჩვენმან განატკბოს ყოველნი ტკივილნი და შრომანი შენნი ჩუშნთჳს. უკეთუმცა დაუღალველმან მეცადინობამან საზოგადოასა კეთილისადმი და სრულმან შევედრებამან ჩვენმა ტახტისადმი შეამსუბუჳოს მძიმე ტვირთი სამეფოთა უთვალავთა ზრუნვითა შენთა კეთილდღეობისათჳს ჩვენისა.

ზოლო უფალმან ძალთა აღსრულებითა აღასრულნეს წადილნი გულისა შენისანი და დაცვი[თ]ა დაიცუმნეს განგებითი ჩვენთჳს შემოსვლა და განსლვა შენი ამიერთგან და უჳუნისამდე“ 98r—99r.

(63)

63

კრებული. XVIII

110 ფ.; 15,3×10,5; ქალღი; ტყავადაკრული ხის დაზიანებული ყდა; თავ-ბოლო-
ნაკლული; მხედრული, კალიგრაფიული ხელით; XVIII ს. დაუწერელია: 46v; 94v, 97v.

1. [ლოგიკიდან]. „... ამისთვის თქვა: სხვისა არა არს ვისიმეო, ესე
იგი სხვის მაარსებელი არა არსო...“ 1r—40v.

2. „უცილებელი ღვთისმეტყუელებად იოანე დამასკელისა. —
ღმერთი არავინ იხილა, ოდესცა მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი იყო
წიაღთა მანისათა...“ 41r—46r.

3. „მოკლედ წყობილნი მუხლები, მრავალთა წიგნთაგან აღმობუტყენილი
გულსმოდგინებითა დავით ახალნორჩის და სიბრძნის ქურად მზადებულის,
ჯიმშერ ერისთვის ძისათა, ღვაწლდებულობით შრომილი, მისის
უერთგულსულების მეგობრის ზაქარია ფილასოფოსისათა. — მოყუარე ღუმი-
ლისა მიეახლების ღმერთსა და რაზომცა მიეახლოს მას, განათლებულ იქმნების
მის მიერ...“ 47r—110v.

წყდება: „... მიზეზი ზეწარწერისა. იცოდეს რას მიზეზისათვის არს
აღწერი...“

მინაწერები: 1. „Книга эта куплена на Тифл[исской] ярмарке 2 Мая 1879.
Н. Гамрекели“ 1r.

2. „ხეობრივი სენტენციები თქმულნი ბრძენთაგან“ 1r.

(64)

64

სვინაქსარი. 1757

458 ფ. (916 გვ.); 16×10; ქალღი; ტყავადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; და-
ზიანებული; ნუსხური (სათაურები სინგურით); 1757 წ. (912 გვ.); გადამწერი—იოანე დე-
კანოზი (912 გვ.); ადგილი—თბილისი, ჯვრის საყდარი (912 გვ.).

„სვინაქსარი, ძალითა ღმერთისათა მოძღუარი სოფლისა და სამკაული
წმიდისა კათოლიკე ეკკლესიისა. სეკდენბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს
ჟამი იბ და ლამეთა ჟამი იბ. თუესა სეკდენბერსა ა. გვრგვინი წელიწდისა
და დაწყება ინდიკტიონისა და ჟენება წმიდისა ღმრთობელისა მასიანეს
შინა...“ 1—911 გვ.

ანდერძი: „დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოველთასა, რომლისა შეწვენითა
აღწერე წჳ ესე სვინაქსარი, გვირგვინი წელიწადისა, ნე, უღირსმან მღვდელმან
ტფილისის ქალაქის ჯრის საყდრის დეკანოზმან იოანემ, გვედრები ყოველთა
მხილველთა შენდობისა ყოფად ჩემ ცოდვილისათს.“

სრულ იქმნა ოკდონბერის თოვს კზ, ქკ, უჟე“ 912 გვ.

მინაწერები: 1. „1757 წელსა ჯვარის მამის ეკკლესიის დეკანოზს იოანეს
დაუწერია“ 912 გვ.

2. „ეს წიგნი ვიციდღე 1867-ს წ. ლევან კიასაშვილისგან; ამასთანავე ვი-
ციდღე მისგან „გრამატიკა“ ქართული, თხზული საქართველოს ბატონიშვილის
დავითისაგან 1796-ს, რომელსაც უძღვნის თავის პაპას მეფე ირაკლი II-ს.“

ეს გრამატიკა წაიღო თბილისით ბატ. დავით იესეს ძე ჩუბინოვი
1875 წელს პეტერბურგში.

ამ სვინაქსარს ესწირავ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიო-თეკას, ბოლივეტოსკარბელოვი, 1882-ს წ. მაისის 30“, 913 გვ.

3. „წლის სათვალავი: სეკდემბერი, ოკდომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, ფებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, ავისტო. წელიწადი გასრულდა“, 916 გვ.

(65)

65

კრებული. XVIII

17 ფ. (34 გვ.): 17,5×11; ქალაღი; ქალაღისავე ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [XVIII ს.]; გაღამწერი—ღავით რექტორი (34 გვ.).

1. „აქა წერილნი ღთივ ცნობიერნი ათნი მცნებანი, რომელნი მოეცნეს მოსეს ღთისმხილველსა თითითა ღრისათა. წერილნი, რომელნი თანა-გვადს ყოველთა ქრისტეანეთა დამარხვად...“ 1—12 გვ.

2. „წიგნი აღსარებისა.— მოძღვარმან სიტკობებით და კეთილად მიიყვანოს მოწაფე და თქვას: კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი...“ 13—34 გვ.

მინაწერები: 1. აღექსის ძის დავით რექტორისა“, 34 გვ. (ხელრთვა).

2. „აღსარების წიგნი ესე ეკუთვნის კოლლექსის სეკრეტარს იერონიმე აღექსიევს“, 1 საცავი ფ-ის რ.

(66)

66

ლოცვები. XIX

165 ფ.; 17,7×10,7; ქალაღი; ტყავგაღაკრული ტვიფრული მუყაოს დანიანებული ყდა; დაშლილი; ნაღული (ძველი პაგინაციის მიხედვით დასაწყისში 8 ფ. აკლია) მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. (კვირნიშანი: 1821); დაწურღლია: 142v—143v, 146r—161v, 162v—164r.

[ლოცვები] „... სინანული. — მონანული ყოველი ცოღვებსა შენსა ზეღა, თქუი ესღერ: ზ ი, ჩემო ტკბილო იესო ქრისტეო...“ 1r—135r.

შენიშვნა: 1. ლოცვების წიგნი კათოლიკური რიგისა;

2. ბოლოშია „ქართული წირუის გაღობა“ 136r—142r.

3. ზოგი ლოცვა გაღექსიღია: ა. „გაღობა ყოღვღად წშიღა მარღამისა“ 138r—139r; ბ. „აღღგომის კვირის წირვის სათქმელი გაღობა“ 141r—142r.

მინაწერება: 1. „ტიკინაძის ბიბლიოტეკისა“ 2r.

2. „ხელნაწერი წიგნები უფ. ზაქარია ტიკინაძესი:

1) გეომეტრღია, ნათარგმნი მიხაიღ ეღვიჩისაგან და მეფე ვახტანგის გასწო-რებული წღელს 17...

2) არისტოტელის კატეღორღია. დაწერიღი 1767 წღელს.

3) მეტაფიზღიკა, გაღაწერიღი წღელს 1783.

4) არისტოტელის სწავღა, ნათარგმნი ერასტი თურქისტანოვისა მიერ.

5) იობისა და სამხთო ისტორღია და საზარება, ერთ წიგნათ.

6) საზოგადო ათთორმეტთა მოციქულთა საზღარო.

7) ანტონ კათალიკოზის ფიღოსოფღია, წღელს 1785.

9) ლექსები სხვადასხვა მწერიღებისა.

10) სარღღონიანი ლექსათ.

11) საზარება, ხელნაწერი.

- 12) დავრიშიანი, ხელნაწერი.
- 13) მ ხ ი თ ა რ ი ს რ ი ტ ო რ ბ ა.
- 14) რელამენტი.
- 15) შემოკლებული კატეხიზმოსი.
- 16) ხილთა ქება.
- 17) მეფე ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ლექსები.
- 18) მოხსენებულთათვის გარდაცვალებულთასა.
- 19) ლექსები სხვადასხვა მწერლებისა.
- 20) მოქმედება დღესასწაულობით, 1783, გ ა ი ო ს ი ს ა.
- 21) ლოცვანი ძველი.
- 22) კიდევ ლოცვანი, ძველი.
- 23) ლოცვანი, კიდევ ძველი.
- 24) ისტორია საქართველოსი, ერთი რვეული.
- 25) თავად-ახნაურების ახწერა მეფე ერეკლეს ბრძანებით.
- 26) არაკები, ძველი წიგნი.
- 27) დამტკიცება კათოლიკე სარწმუნოებისა საქართველოში.
- 28) სახმარებელი ლოდიკისა.
- 29) ეწერ კვირავესი (!)“ 144r—145v.
3. „1809-სა წელსა, მაისის 5-სა დღესა დაიბადა გ ი ო რ გ ი ს ტ ე ფ ა ნ ა ს ძ ე ხ ა რ ა ფ ო ვ ი, ნათლია იყო ი ო ს ე ბ ლ ა რ ი ბ ო ვ ი“. 162r.
4. „Господина Георгия Зарапова“ 164v.
5. „Бонифачио Исарлов“ 165r.
6. „1865 წელსა 16 июня“ 165v.

(67)

67

კრებული. XVIII

287 ფ. (574 გვ.); 16,7×10; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნაკ-
ლული (322—323 და 538—539 შორის); მხედრული (კალიგრაფიული ხელით. სათაურე-
ბი სინგურით); [XVIII ს.]; გადამწერი—ნიკოლოზ ორბელიშვილი, მატროპოლიტი
(557 გვ.). დაუწერელია: 465—466, 468 გვ.

1. „ჟამნი ძალითა ღთისათა, რაჟამს აღსდგე ძილისაგან, განეშორე
სარეცელსა და ბრძანეთ ლოცვითა წმინდათა მამათა ჩვენთათა.—უფალო იესო
ქრისტე, ღმერთო ჩვენი, შეგვიწყალენ ჩვენ...“ 7—217 გვ.

2. [საწელიწდო თვენი]. — „თვესა სეკდებერს აქვს დღე ლ, დღეთა
აქვს ჟამი იზ და ლამეთა ჟამი იზ.—ა წმიდისა მამისა სვიმეონ მესვეტისა
და წსენება წისა ღთისმშობელისა და წისა აითალასი...“ 218—318 გვ.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „განსრულდა ძალითა ღთისათა თორმეტივე თვე
ოხითა იბაკო“.

3. „მარხვათა და ზატკითანი. კორციელის კუირიაკესა მეორედ
მოსლვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ოხითა.—ოდეს იგი მიგიყუანებდენ
შენ, სულო ჩემო, ყოვლისა სოფლისა განკითხვისა მას სამშუავროსა და
გასწრაფობდენ საშინელებით...“ 319—378 გვ.

4. „სახარებანი აღდგომისანი. ათერთმეტნი აღდგომისანი.
სახარება მათესი.—ა. მას ჟამსა შინა ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი
წარვიდეს გალილიასა მათასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესო...“ 379—420 გვ.

5. [გამოკრებილი საკითხავები ახალი აღთქმიდან].—„რომაელთა მიმართ ებისტოლე: ძმანო, რომლითა-ესე ნათელ ვილეთ ქრისტეს იესოს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ ვილეთ...“ 421—464 გვ.

შენიშვნა: ერთვის „ხელთა“. 467 გვ.

6. „იბაკონი წმიდისა ლთისმშობლისანი, რომელსა დაუჯდომელი იწოდების.—ზეშთა მრძოლისა (!) ჩემისათვის და მოღვაწისა უძლუელისა(!), ვითარცა შენ მიერ ქსნილნი განსაცდელთაგან სამადლობელსა აღვწერთ...“ 469—517 გვ.

7. ლოცვები: ა. „ლოცვა წმიდისა იოვანე დამასკელისა“ 517—524 გვ.

ბ. „ლოცვა მგზავრობისათვის“ 524—525 გვ.

გ. „ლოცვა მტერთა მიმართ შებმისა“ 525—526 გვ.

დ. „ლოცვა წრისა მამისა ჩვენისა ბასილისა, კესარის მთავარ ეფისკოპოსისა“ 527—534 გვ.

ე. „აღვიარება მართლმადიდებელთა. მწამს და აღვიარებ წრისა სამებასა“ 534—538 გვ.

წყდება: „... ესრეთ აღვიარებ მართლმადიდებლობისა წესითა...“

8. „ესე არს შვიდთა მათ მომაკუდიანებელთა ცოდვათა უპირველესი—ამპარტავნება. ამპარტავნება ეს არის, ვისაც თავისი ნაქმარი და ნათქვამი დიდად მოსწონდეს...“ 539—557 გვ.

9. „სარწმუნოება წამოკლებით, აღწერილი ტფილელ მიტროპოლიტისა ნიკოლოზისა მიერ[რ], რომელსაცა ენებოს, და სწავლა ამითი მიღონ. კითხვა: რა არს სჯული?...“ 559—574 გვ.

შენიშვნა: უძღვის—„შეკრება საქმე და ჭურიათა იესო ნაზარეველისა. ოდეს ჯვარს აცვეს, პილატეს ცოლმან თქვა: ა. არარა ძეს შენი და მართლისა მაგის კაცი-სა, რამეთუ მრავალი მევენო მე დღეს...“ 1—6 გვ.

ანდრძი: „ღმერთო, შეიწყალე მიტრაპოლიტი ნიკოლოზ ორბელი შვილი, ამის გამკეთებელი, და ვინც გარდასწერდეს და ჩემი მოხსენება დააგდოს, ღმერთმან ორსავე შინა სოფელსა კეთილის უნაწილო დააგდოს. კეთილად მომკნებელნი ღმერთმან კეთილად მოგიკნენოს. ამისი მწერალი ნიკოლოზ“ 557—558 გვ.

(68)

68

ძლისპირნი. 1786.

149 ფ.; 16X9,5; ქაღალდი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა, მხედრული (სათურები მთავრულით, სინფურით); 1786 წ. (143r); გადანწერილი—იოსებ მცირე (143r); დაუწერელია: 36v.

„სძლისპირი და ლთისმშობლისანი, ჯა ა.—სასწაულითა იხსნა ერთი უფალმან და ზღუა მღელვარე სიტყვთ განახმო პირველ, და დღეს უხრწნელად იშვა ქალწულისაგან და წარმიძღვა ჩუენ ზეცად...“ 3r—143r.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „განსრულდა სძლისპირნი რვა ხმათანი, დიდება ღმერთსა ჩვენსა, ამინ“.

2. ზედა ყდის v-სა, 1r—2v, 148r—149r და ქვედა ყდის r-ზე სხვა ხელით მიწერილია საგალობლები.

ანდერძი: 1. „აღსწერე სძლისპირი ესე მცირე მანოსებ მოსახსენებელად და შესაწევნელად სულის ჩემისა კალმითა ერთის გამოჭრილითა დეკემბერს და, ქკს უოდ, ქრისტეს აქეთ ათასშვიდას ოთხმოცდა ექუსსა“ 143r.

2. „ღმერთო, აცხოვე იოსებ დიაკონი სასუფეველსა ზენსა, ამინ“ 143r (სხვა ხელით, აშინაზე).

მინაწერები: 1. „ესე წიგნი აბრაჰამისა ეკუთნების, ნურავინ ხელყოფს პარვად ამისა, რაისათა დაისაჯონ“ 1r.

2. „ზაქარია ჭიჭინაძის ბიბლიოტეკისა“ 2v.

3. „რომელ სძლისპირსაც წითელი სათაური აქეს, იმის ხმაზედ იგალობების მისი მიმყოლი სძლისპირი, რომელსაც შვა სათაური აქეს. ა. რ. ვ. რ. ქუთათელაძე, 1895 წელი 29 აგვისტო“ 88r.

4. „იბაკონი ანუ კონდაკნი იგალობებიან თავის „წარდგომის“ ხმაზე. ა. რ. ქუთათელაძე, 1895 წ.“ 129v.

5. „ეს ძლისპირი იმე, საბამ, ვიყიდე ფასით, ასე იცოდეთ ფებერვლის ოთ, დღესა პარასკევსა ჩყო“ 144v.

6. „ჩუკო-სა წელსა ენკენისთვის კო-სა პატა ჯავაშვილმა უნდა მომცეს პური ხუთი კოდი და ოთხი ლიტრა, რომელიც გასახებულია (!) იმისი, ანუ ფული ხუთი და ათი შუარი. ამას გარდა, ჩემი პური აბარია ოცდა თუთხმეტი ლიტრა, თუ არ დაათესვინა, პური უნდა მომბაროს“ 149v (ხაზგადასმულია).

7. „ჩყოვ-სა იენისის კბ-სა პატარა იოთამ მოიყვანა თავისმა ძმამ მარკოზმა ოდიში და მ ჩემთან ქიზიყს“, ქვედა ყდის v

(69)

69

ანტონ I, კატეხიზმო. 1769

64 ფ. (128 გვ.); 21,2×16; ქაღალდი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები მთავრულით, სინგურით); 1769 წ. (127 გვ.); გადაწერილი—ზაქარია, ხუცესი სიონისა (127 გვ.).

„წიგნი კატეხიზმოს, ანუ მოწოდება, რომელიცა თანა-აძს ქრისტე-ანეთა კეთილმსახურთა აღსარებად და შეწყნარებად, რომლისა შორის სიმ-ვოლიონ აღიქსნების 123 შინა კითხვსა-მიგებათა, ქმნილი ანტონის მიერ არ-ხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოხსა საქართულოხსა.— 1. კითხუა: რაჲ არს სათანადო ქრისტეანისა მიმართ, რათა ჰრწმენეს?“ 3—108 გვ.

შენიშვნა: 1 უძღვის: ა. თავფურცელი: „სადიდებელად ცხოველსმყოფელისა თან-არსისა და განუყოფელისა სამებისა—მამისა და ძისა და სულისა წისა—ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ზემოხსა საქართულოხსა, დავითიან ბაგრატიონისა წიგნი კატეხიზმოს, რომელ არს მოწოდება თვსთა მოწაფეთა ქეშმარტისა მიმართ სარწმუნოებისა და საქმისა, რომელიცა სათანადოსა ქრისტეანეთასა აღმოჩინებითა ღისმეტყულებითითა და ფილოსოფოსობითითა იპყრობს თვს შორის კითხუა-მი-გებდეთად დროსა უკეთილმსახურისისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა საქართულოხსასა და მამათმთავრობისა თვისისასა ყოველთა ქართულოთა-ზედა, წელსა დასაბამითგან სოფლია... ჭსოზ, განჯორციელებითგან სიტყუსა ღისა... ჩლოთ, თთუშსა მესამესა, რიცხუსა... კ.“ 1 გვ.

ბ. „შეუქანილება, ანუ წინასიტყუაობა წიგნისა კატეხიზმოსისა—

არ მომწყინდების თქნთანა საუბარი

ჟ, ქართულნო, სიბრძნის შემუქარებელნო,

აღტეხილება მაქუს ნიჰად, თქნდა მომოთ

შრომად, უბნობად, წერად, მეშაირობად,

ამად, ვითარმედ მიყუართ ქეშმარტებით.

ნამდულ ქეშმარტთ ზესთა მყო ისმენს ამას,

ვითარმედ თქნთვს შეჩუწნებულ ვაყო თავი.

არაა მჭამის, არად შემირაცხის
 არცა თქნათა სიკდილი, არცა ტანჯუა!
 ვაშურები სურვილით, არ დავცსცრე, ვირე ვიყო.
 ვაქმენ კატეხიზნოს სარგებლად თქუშნდა, ძმანო,
 ჩემთან ნერგულთად შჯლთა თქნთა ძმათადმი,
 მომწოდებელმან სათანადოისადმი
 ქრისტეანეთად კეთილმსახურ მცხოვრებთა,
 მიერთეთ სარგებელ, ჰყავთ ჩემთს თქნ ლოცუაი.
 ეს აღაქსნის ტაეპთ სიმვოლისათ ათ-ორთა,
 ღისმეტყუშლურად აღმოაჩინებს იმათ,
 ხოლო სხუთაცა საღმრთოთა საიდუმლოთ
 ეგ სახედ მათსა ჰყოფს აღმოჩინებასა
 ძილოსოქოსებრ, ყოვლად დაურღუშველად.
 რაცა საჭიროდ თანა-გუაძს ქრისტიანეთ,
 რაჲსაცა მიგჰსწუშთ, არაა დაუტევე
 დაუდებელად კატეხიზნოსსა შინა
 თეორეტიკა ანუ საპრაქტიკოი
 ღისმეტყუშლება, ამისთს ვაშურ უეებნი“ 2 გვ.

2. ე რ თ ე ი ს : „პინაქს-სიტყუაობა ჩნ მიერ ქმნილისა წიგნისა კატეხიზნოსისა რომლისა შორის სიმვოლიონ აღიქსნების 123 კითხუა-მიგებათა შინა ქართულსა აღქავეიტას ზედა“ 109—127 გვ.

ანდერძი: „სრულ იქმნა 1769. 3. 23: იყაენ სადიდებელად შენდა, მხოლოდ შობილო სიტყუაო მამისაო, ღმერთო კეშმარტო და უბიწოდ მშობელისა შენისა აღუსწურე უღირსმა ხუცესმა ზაქარია სიონისამან, ძემან დეკანოზისმა“. 127 გვ.

მინაწერები: 1. „ესე „ძუშლ-მშუშნიერება“—კატეხიზნო, ქმნილი ან ტონის მიერ 1, არის პოლიეკტოს გრიგორის ძის კარბელოვისა; 1882 წ. აპრილის 20-ს.“ 1 გვ.

2. „ამ წიგნს ვსწირავ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ პ. კარბელოვი. 1882-ს წ. მაისის 30-ს“ 1 გვ.

(70)

70

პარაკლიტონი. XVIII

464 ფ.: 14.3×10.5; ქალაღი; ტყავადაქრული ტვიფრული ხის ყდა; (ცალი ყდა მოცილებულია); დაზიანებული; ნაკლული (თავ-ბოლოსა და შივადაშიგ); ნუსხური (სათაურები სინგური); [XVIII ს.]; გადამწერი—ზაქარია ცოდვილი (411v). დაუწერელია 343r.

[პარაკლიტონი]. — „გალობანი... ვმა ა. სამწუხრონი ლოცვა ჩნნი შეიწირენ, წო უფალო, და შოგან... ცოდვილთა, რამეთუ შენ მწ..., რომელმან უწნე საფლავსა აღდგომით...“ 1r—464v.

წყდებდა: „...უხრწნელო, ზეშთა სიტყუსა ვორცნი ავა“...

შენიშვნა: აშიებზე გადამწერის მინაწერებია: 103r, 139v, 162v, 271r, 326v, 329r, 347r, 368r, 369v, 378r, 380r, 392v, 401r, 437v, 457v.

ანდერძი: „უფალო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ზაქარია ღისმშობლისა მეოხებითა“ 411v

მინაწერი: „ქრთლდამე, ელიოზ გედავანის შვილი, და აზყასიმისი წა. ქალაქად მივიდენ“ 392v.

(71)

71

ალაპიტ დიაკონი, სამეფო ტომარი. XVIII

33 ფ. (66 გვ.); 21×16,8; ქალაღი (მოლურჯო); მუყაოს ყდა; მხედრული (სათურები მთავრულად); XVIII ს. (კვირისიშანი: 1789); გადამწერი—გაბრიელ რატის ძე (65 გვ.). დაუწერელია: 66 გვ.

„სამეფო ტომარი. უსამღვდელოესსა და უკეთილმსახურესსა მეფესა ჩუქნსა იმპერატორსა იუსტინიანეს ალაპიტ უმცირესი დიაკონი კრძალვით შრომასა ამას უძღვნი, თავი ა.—ღმერთი არს ყოველთა მეფობათა შემოქმედი, მყოფი უმაღლესსა ღირსებასა შინა, ჭი იმპერატორო, უმაღლეს ყოველთა ღირსებათა ალგიყვანა შენ ქრისტემან...“ 6—63 გვ.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. მთარგმნელის, გაიოსის მიმართვა ირაკლი მეფისადმი (უდრ. H-70, შენ. ბ; 1—3 გვ.); ბ. [ავტორების შესახებ დამოწმებული ცნობები], (3—5 გვ.).

2. ერთვის: [გაიოსის ლოცვა მეფის ირაკლისა და მისი სახლუელობისათვის]; 63—65 გვ.

ანდერძი: „რატის ძის გაბრიელის არის, რომელ აღწერა ჟამსა სიკაბუკისასა თუსისასა, ამინ“ 65 გვ.

(72)

72

წიგნი სიბრძნისა და კეთილმოქმედებისა. XVIII

133 ფ.; (266 გვ.); 20×15; ქალაღი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული. XVIII ს. (კვირისიშანი: 1791). დაუწერელია დასაწყისში 6 ფ. და 246—266 გვ.

„წიგნი სიბრძნისა და კეთილმოქმედებისა, ანუ მღგომარეობა კაცობრივისა ცხოვრებისა. შესავალი.—დასდრიკეთ თავნი თუსნი ქვედ, ჭი თქვენ, მცხოვრებნო ქვეყანად! სდუმენით და მიიღეთ კეთილკრძალულებითა მოძღვრებად მაღლით...“ 1—240 გვ.

შენიშვნა: ერთვის—„პყრობა ანაწილისა შვიდთა წიგნთა გამო შემდგარისა...“ 241—245 გვ.

(73)

73

ლოცვები. 1778

235 ფ. (470 გვ.); 15×9,5; ქალაღი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; თაენაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); 1778 წ. (470 გვ.); გადამწერი—სოლომონ უღირსი (470 გვ.). დაუწერელია: 234 გვ.

[ლოცვები]. „...ხოლო აწ გახარებ შენ სიხარულსა, და ეგო უწრწენლად და ჰშუტ ღმერთი, ყოვლად წმიდაო...“ 1—470 გვ.

შენიშვნა: ზოგი ლოცვა და გალობა ხელნაწერში არის ავტორის დასახელებით: ა. „ლოცვა სავდრებელი ყოვლად წისა ღისმშობელისა მიმართ, თქმული წისა მამისა ჩნისა მარკოზ მონაზონისა“ 160—177 გვ.; 283—287 გვ.

ბ. „გალობა ყოვლად წისა ღისმშობელისა, თქმული იოსებისა, ემა დ“ 180 გვ.

- გ. „ლოცვა ყდ წრისა ღრისმშობელისა მიმართ, თქმული ღირსისა ფილთეოს კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა“ 181—197 გვ.
- დ. „ლოცვა განთიად და მიმწუხრი სათქმელი წრისა იოანე დამასკელი-სა“ 215—222 გვ.
- ე. „ლოცვა, თქმული წრისა მაკარიისა“ 223—233 გვ.
- ვ. „სზღ ლოცვა წრისა დიდისა ბასილისა“ 287—290 გვ.
- ზ. „ლოცვა წრისა მამისა ჩრისა იოანე ოქროპირისა“ 290—297 გვ.
- ძ. „ლოცვა წრისა ზიარებისა წრისა დიდისა ეასილისა“ 337—445 გვ.
- თ. „ლოცვა სზღ წრისა მამისა ჩრისა იოანე ოქროპირისა“ 345—350 გვ.
- ი. „ლოცვა სზღ სიმეონ მეტაფრასისა“ 350—354 გვ., 355—366 გვ.
- ია. „საღთისა დანაკელისა“ 366—369 გვ.
- იბ. „დიდისა ეასილისა“ 369—371 გვ.
- იგ. „ლოცვა სზღ წრისა ზიარებისა სიმეონ ახლისა ღრისმეტყულისა“ 372—383 გვ.
- იდ. „ლოცვა სზღ ოქროპირისა“ 383—388 გვ.
- იე. „ლოცვა სზღ იოანე დამასკელისა“ 389—391 გვ.
- ივ. „სზღ ლოცვა იოანე ოქროპირისა“ 391—392 გვ.
- იზ. „დიდისა ეასილისა“ 402—404 გვ.
- იძ. „ოხითა ოქროპირი“ 412 გვ.
- იო. „ოხითა ეასილისა“ 415 გვ.
- იკ. „გალობა სავედრებელი ყოვლად წრისა ღრისმშობელისა, ითქმის ყოვლისა ვნებისათს სულიერისა, თქმული თეოსტირიკტა მონაზონისა“ 419—422 გვ.
- ანდერძი: „... და ღამე მოსწრაფედ მოქმედებად და ამის უკუშ ძლით. აჰა, უწყობნი მარცვალნი ჩანედ და იქმნების რაოდენნიმე შეცქ მიღება, გარნა გვედრები შენდობასა ყოველთა, უღირსი სოლომონ, ქკს უაზ“ 470 გვ. (მხედრულად, სხვა ხელით).

(74)

74

კრებული. XVIII

256 ფ. (512 გვ.); 20×16; ქალღი (სხვადასხვა); ტყეგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სხვადასხვა ხელი; სათაურები სინგურით); XVIII ს. (ჭვირნიშანი: 1780, 1788, 1789, 1792, 1799). დაუწერელია: 346, 509, 510, 512 გვ.

1. „თქმული წრისა და ნეტარისა მამისა ჩრისა იოანე ოქროპირისა იგავისა მისთს მეზუშრისა და ფარისევლისა, მ. გ.—საყუარელნო, ორნი კაცნი აღვიდოდეს ტაძრად ლოცვად, ერთი ფარისეველი და ერთი მეზუშრე...“ 1—5 გვ.

შენიშვნა: თავფურცლის რ-ზე დაკრულია ნაბეჭდი წიგნიდან აღებული ილუსტრაცია: „მეზუშრე და ფარისეველი“ წარწერით: „ტრიოდონი“, ქვემოთ კი: „ნუმცა ვილოცავთ ქარისევლებრ, ძმანო, რამეთუ რამელმან აღიმაღლოს თავი თსი, დამდაბლდეს. მოვედით, დამდაბლდეთ წინაშე ღრისა მარხუთა და მეზვერისა, გმასა ვლადდებდეთ სულთქმით და ლმობიერად. ღმერთო გკლბინე ჩრ ცოდვლთა ამათ და მოგვანიტე ბრალთა შენდობა მრავალმოწყალეო და გვხსენ მწარეთა მათგან სატანჯველთა საუკუნეთა“.

2. „წმიდათა შორის მამისა ჩრისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუა უძღვებისათს შვილისა, მ. გ.—მარადის თანამდებ ვართ ქადაგებად კაცთმოყუარებასა ღრისასა...“ 6—14 გვ.

3. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა ანასტასი სინაელისა ქრისტეს მიერ შესვენებულთა და სარწმუნოებით დაძინებულთათს, მ. გ.—რად არს ესე ღღეს, მ საყუარელნო, ვითარ მოსწრაფებით და ღირსე-

ჩით შემოკრებულ ვართ, რაზეთუ მომიწოდს ჩნ ხსენება ძმათა ჩუშნთა...“ 14—22 გვ.

4. „წმიდისა და ღწიგ განბრძნობილისა მამისა ჩუშნისა იოანე დამასკელისა სიტყუა ქრისტეს მიერ შესუშნებულთათჳს და რათა სამარადისოდ აღვასრულებდეთ ჳსენებასა მათსა, მ. გ.—საზრდელთა გემოვანთა წინადაგებანი მრავალგზის არა ხოლო მშიერთა ჳამად თვისსა მიიზიდუშნ, არამედ ოდესმე თუთ მათ განმაძღართაცა აღსძრუშნ...“ 23—44 გვ.

5. „კვირიაკესა ჳორცთა აღებასა საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა ეფრემ ასურისა მეორედ მოსლვისათჳს უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესსა, მ. გ.—საყვარელნო, ნურარას პატივს სცემთ უფროს შეუორგულებულისა სიყუარულისა, რამეთუ ფრიად ვსცთებით დღითი დღე...“ 45—57 გვ.

6. „შაბათსა ყუელიერისასა ჳსენებასა წმიდათა მამათასა სიტყუა წმიდისა მამისა ჩუშნისა ეფრემ ასურისა მამათათჳს შესვენებულთა, მ. გ.—გული ჩემი მელმის, შემდობელ (!) მექმნენით მე, ძმანო და მონანო კურთხეულნო, მოვედით და ისმინეთ რამეთუ ტკივნეულ არს სული ჩემი და ელმის თირკმელთა ჩემთა, სადა არიან ცრემლნი...“ 57—67 გვ.

7. „წმიდათაგანისა მამისა ჩუშნისა ვასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია კაბადუკიელისა მარხვისათჳს, სიტყუა ა, მ. გ.—დანესტუშთ, იტყვის, ახალთა თთუშსა შინა ნესტესა კეთილ შესწავებულსა დღესადღესასწაულსა თქუშნისასა...“ 67—77 გვ.

8. „წმიდათაგანისა მამისა ჩნისა ვასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია კაბადუკიისა მარხვისათჳსვე, სიტყუა მეორე, მ. გ.—ნუგეშინისცემდით, იტყვის, მლუდელნი ერსა, იტყოდეთ ყურთა მიმართ იერუსალიმისათა, კმა არს ბუნება სიტყვისა მოსწრაფეთა მიმართებისა, ვიდრემე წარმატებულ ყოფად...“ 77—84 გვ.

9. „თქმული ანასტასი მონაზონისა სინელისა შემოსლვისათვის მარხვათასა და მეექვსისათჳს ფსალმუნისა, მ. გ.—შემსგავსებული მარხვათა დაწყებისა და ჯეროანისა სინანულისა მიზეზი მიუღლებიეს ეკლესიასა მეექვსე ფსალმუნი, და რამეთუ არს იგი ნამდული სწავლა სულისა...“ 84—100 გვ.

10. „თთუშსა მარტსა თ, წამება წმიდათა ორბეოცთა სევასტიანს წამებულთა. სახელები მათი ესე არს: დომენტიანე, ვალენტი, ევსუქი...—ჟამთა მათ ლიკინიოზ მეფისათა იყო დევნულება დიდი ქრისტიანეთა ზედა...“ 101—107 გვ.

11. „წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა ვასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია კაბადუკიელისა შესხმა წმიდათა ორბეოცთა მოწამეთა, მ. გ.—მარტულთა ჳსენებითა ოდესმე იქმნა განძლომაჲ მოყვარისა მათისა...“ 107—116 გვ.

12. „წამება წმიდისა მოწამისა თეოდორესი, მ. გ.—ტკბილ არს და საწადელ ჳსენება მოწამეთა და საესე საღთოთა მადლითა...“ 117—126 გვ.

13. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა ნეკტარი კოსტანტინოპოლით მამათ-მთავრისა საკითხავი, რომელი-ესე აღწერა სასწაულისა მისთჳს წმიდისა თეოდორეს მიერ აღსრულებულისა, რომელი-იგი აღასრულა ყოვლად ქებულმან და უძლეველმან მოწამემან ჟამთა ივლიანე განდგომილისათა, რომელი-ესე იკითხების პლსა შაბათსა წმიდათა მარხუ-

თასა, მ. გ.—ბრწყინულე არს და შუშნიერ დღეს მგალობელთა მთავრისა დავითის თანა გალობად ჩუშნდა... 127—140 გვ.

14. „თხრობა სულთა სარგებელი სასწაულისა მისთჲს, რომელი იქმნა ხალკიპატრიას პატიოსნისაგან და წმიდისა ხატისა ქრისტესისა, რომლისა მიზეზისათჲს ეწოდა მას თავსმდებ, და თეოდორასთჲს მენავისა და აბრაჰამ ჰურიისა, მ. გ.—სამეფოთა სასწაულთა სახსენებელი წარმოგვდგა დღეს და უხმობს მას გულსმოდგინებით მსმენელთაგან ღირსად დიდებულებისა თქმულთასა განმზადებად სასმენელთა...“ 141—162 გვ.

15. „პირუშლსა კვრიაკესა წმიდათა მარხუათასა თხრობა სასწაულისა მის, რომელი აღესრულა ბივრიტიას ხატისა მიერ უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესსა, და სიტყუა სწავლისა მარხუასთჲს და მოწყალებისა, მ. გ.—ბივრიტია არს ქალაქი რომელიმე მყოფი საზღუართა ტვროსისა და სიდონისათა...“ 163—175 გვ.

16. „თხრობა დიდებ[უ]ლისა სასწაულისა, რომელი იქმნა წმიდასა მას ზედა ჯურღმულსა დიდისა ეკკლესიისასა სოფია წმიდასა საუფლოსაგან და პატიოსნისა ხატისა უფლისა და ღრისა და მაცხოვრისა ჩუშნისა იესუ ქრისტესსა და მუნ მისრულისა მისთჲს პატრიკისა და ქრისტეს მოყუარისა მწიგნობრისა მისისა, მ. გ.—არარა არს ესრეთ მახარებელ სულთა ღრის მოყუარეთა, ვითარ საქმეთა ღრის მიერ საკვრველებით აღსრულებულთა...“ 175—184 გვ.

17. „წმიდათა შორის მამის ჩუშნის და ნეტარებით მოხსენებულისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, სიტყუა ხატთათჲს, თავი მეორე, მ. გ.—მეცით მე შენდობა მეძიებელსა შენდობისასა, მეუფენო ჩემნო...“ 185—200 გვ.

18. „თხრობა, მოღებული წათა და სამსახურებელთა ხატთათჲს, და თუ ვითარ, ანუ რომლისა მიზეზისათჲს განეწესა დღესასწაული მართლმადიდებლობისა, რომელი მიიღო წლით-წლად წმიდამან და დიდმან კათოლიკე ეკკლესიამან პლსა კვრიაკესა წმიდათა მარხუათასა, მ. გ.—მეფესა თეოფილეს მის ჟამისა, რომელი იგი თვთმპრობელობისა ბერძენთასა დაეპყრა მთავრობა მიშუშბითა ღრისათა...“ 201—206 გვ.

19. „მეთოდის დღეთა საღმრთოსა მიერ განბრწინებებისა მოუხდა წასა და დიდსა იოვანიკეს, რომელი-იგი სიბრძნის მოყუარებდა მათ ზედა ულუმბოსით, წა არსაკ, რჩეული იგი მონა ღრისა და დიდი მოღუაწე...“ 207—215 გვ.

20. „წათა შორის მამისა ჩუშნისა იოვანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა ქება ეკკლესიად მიმავალთა და კეთილწესიერებისათჲს დიდებისმეტყულებათა შინა და სიტყუსა მისთჲს, ვითარმედ ვიხილე უფალი მჯდომარე საყდარსა ზედა მაღალსა და აღმატებულსა, მ. გ.—მრავლისა მოსწრაფებისა მჩუშნებელად გხედავთ თქნ...“ 215—229 გვ.

21. „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა დედისა ჩუშნისა მარიამ მეგვკტელასი, აღწერილი სოფრონის მიერ იეროსალიმელ მთავარეფისკოპოსისა, მ. გ.—საიდუმლოთა მეფისათა დაფარუა კეთილ არს, ხოლო საქმეთა ღრისათა ქადაგება დიდებულ...“ 229—255 გვ.

22. „თხრობა მარგებელი თხრობათაგან, შეკრებილი მაუწყებელად, სახსენებელად საკვრუშლებით ქმნილისა სასწაულისასა, რაჟამს სპარსნი და ბარბაროსნი დეკოფალსა ამას ქალაქთასა ბრძოლად მოადგეს და წ[ა]რწყმ-6. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I.

დესცა სამლოთოთა ბქობითა განსჯილინი, ხოლო ქალაქი ესე, უვნებელად დაცული მეოხებითა ღისმშობელისათა, მიერთგან წლითი-წლადსა გალობასა სამადლობელსა და უჯდომელ სახელდებულ დღისა ამის, მ. გ. — წელთა ირაკლის ბერძენთა მეფობისათა, ხუასრო სპარსთა სამთავროსა მქონებელმან წარმოავლინა სარვან მხედართმძღუანელი...“ 255—265 გვ.

23. „ნეტარისა ევსუქი ხუცისა იეროსალიმელისა შესხმა ცხოვრებისათს ყოვლად წმიდისა ღისმშობელისა, მ. გ. — ყოველი, ვინ კეთილ ცნობიერი ენა სამართლად მოიკითხავს ქალწულსა ღისმშობელსა და ჭეშმარიტად ძალისაებრ მიემსგავსების სთავარანგელოსსა გაბრიილს, რამეთუ იგი გიხაროდენ ეტყვის მას...“ 265—269 გვ.

24. „იოვანე მთავარეპისკოპოსისა თესალონიკელისა სიტყუა განკაცებისათს უფლისა იესუ ქრისტესსა და ხარებისათს ყოვლად წმიდისა ღისმშობელისა, მ. გ. — ლამე წარხდა, ხოლო დღე მოგვახლა...“ 270—273 გვ.

25. „წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა სოფრონი იეროსალიმელ პატრიარხისა სიტყუა ხარებისათს ყოვლად წმიდისა უხრწნელისა დედოფლისა ჩუშნისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, მ. გ. — მარტს კე. ხარება არს, ძმანო, ხარება, და კდ ვთქუა ხარება არა ხოლო, რომელ ყოველთა ხარებათა უმალღეს არს, უსამლოვს და უაპაროვენს(!) და შეუსწორებელითა აღმატებითა აღმატებულ...“ 273—307 გვ.

26. „წმიდათა შორის მამის ჩუშნისა იოვანე ოქროპირისა სიტყუა ხარებისათს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუშნისა ღისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, მ. გ. — კდ სიხარულისა ხარება, კდ განთავისუფლებისა უწყება, კდ აღმოწოდება, კდ აღმოსულა, კდ მხიარულებისა ვმამ, კდ მონებისა წილ აზნაურება, ანგელოსი ქალწულსა ჰზრახავს...“ 307—312 გვ.

27. „წინა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა ანდრია იერუსალიმელის, კრიტელ მთავარეპისკოპოსისა, სიტყუა ლაზარისთს ოთხ დღე მომკუდრისა, რომელი აღადგინა უფალმან, მ. გ. — ლაზარე შემოკრიბა აწინდელი ესე შესაკრებელი და ეგულების სერობისა ყოფად და ტაბლასა განმზადებს ღირსებით ტრფიალთათს სათნოებისათა...“ 312—334 გვ.

28. „წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა იოვანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა თქმული ბზობისათს, მ. გ. — საკურუსლებათაგან საკურუსლებად და სასწაულთაგან სასწაულთა მიმართ უფლისათა ვიდოდიოთ, ძმანო...“ 334—345 გვ.

29. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა ანდრია იერუსალიმელ მთავარეფისკოპოსისა სიტყუა ბზობისა და იეროსალიმს შესულისათს უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესსა, მ. გ. — გუშინ მეუფისათანა ლაზარე მისტუმრნა ჩუშნ...“ 347—370 გვ.

30. „იოვანე მდაბლისა ხუცეს-მონაზონისა და დამასკელისა სიტყუა ლელსათს განხმობილისა და ივანისა მისთს ვენახისა, რომელი აღმოთქუა დიდისა ორშაბათისათს. მ. გ. — აღმძრავს მე სიტყუად ერთარსი ღისა მამისა, რომელი-იგი მამულთა წიაღთა არაოდეს განეშორა საშოსა ქალწულისასა...“ 370—380 გვ.

31. „თარგმანება მატ[თ]ეს თავისა, წმიდათაგანისა მამისა ჩუშნისა იოვანე ოქროპირისა სიტყუა ათთა ქალწულთათს, რომელი იკო-

თხვების ორშაბათსა ვნებისასა. მ. გ. თავი კე.—არამედ საყუარელნო, შესაძრწუნებელთა იგავთა წარმოიტყვს უფალი, რომელნი-ესე გულსკმის-ყოფით ყურად ვიხუნეთ, და გონებათა შინა ჩუშნთა გაქუნდინ სახსენებელად...“ 380—395 გვ.

32. „თარგმანი მათეს თავისა, რომელი იკითხუშბის დიდსა სამშაბათსა, თავი კე, მ. გ.—ხოლო იესუ იყო რა ბეთანისას სახლსა სიმონ კეთროვნისასა, მოუხდა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალბასტრი ნელსაცხებელისა მრავალ სასყიდლისა და დაასხა თავსა მისსა...“ 396—403 გვ.

33. „წმიდათა შორის ნეტარისა მამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა სიტყუა დიდისა ხუთშაბათისა განცემისათს იუდასგან და მიცემისათს წმიდათა საიდუმლოთასა და რათა არა ვიხსენებდეთ ძვრსა, მ.გ.—მცირედ საჭირო არს დღეს თქუშნისა მიმართ სიყვარულისა თქმად, ხოლო მცირედ საჭიროება ვთქუ...“ 404—415 გვ.

34. წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა საკითხავი დიდისა ხუთშაბათისა, განცემისათს უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესსა, მ. გ.—მკმუნვარედ ვხედავ დღეს ეკკლესიასა სახითა და ფრიადცა შეწუხებულად...“ 415—418 გვ.

35. „თარგმანება მათეს თავისა წმიდისა მამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა, თავი კე, მ. გ.—და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოილო იესუ პური, აკურთხა და განსტეხა და მისცა მოწაფეთა თსთა და ჰრქუა: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს გორცი ჩემი...“ 418—426 გვ.

36. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა სწავლა ზიარებისათს წმიდათა საიდუმლოთასა, მ. გ.—ამისთს გევედრები, საყუარელნო, ნუცა ჩუშნ უღებ ვიქმნებით და ვიტყვთ, თუ ღმერთმან გაცხო...“ 426—431 გვ.

37. „დიდსა პარასკევსა საკითხავი ჯუარცმისათს და დაფლუსა უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესსა, თქმული ნეტარისა მამისა ჩუშნისა გრიგორი ნიკომიდელ მთავარეპისკოპოსისა, მ. გ.—მაღალსა და აღმატებ[უ]ლსა სახილველსა აღიწია ჭადავება იგი სახარებისა...“ 431—446 გვ.

38. „წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუა ვნებისათს მაცხოვრისა ჩრნისა იესუ ქრისტესსა, ძისა ღრისა, და ვითარმედ დღესა, რომელსა განივლინა ადამ სამოთხით, მასვე დღესა შევიდა ავაზაკი სამოთხედ, მ. გ.—გუშინ აღთქმულსა მას ვალსა, დღეს მნებავს აღსრულებად, საყუარელნო, და ვეძიებ, თუ სადა დავბეჭდეთ მაშინ სიტყუა...“ 446—452 გვ.

39. „წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა ეპიფანე კიპრელ ეპისკოპოსისა სამლოთოთა გორცთა უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესთა დაფლუსათს და იოსებ და ნიკოდიმოსისთს და ჯოჯოხეთსა შთასულისათს უფლისა, შემდგომად განმაცხოველებისა ვნებისა მისისა, რომელი-ესე იკითხუშბის დიდსა შაბათსა, მ. გ.—რად არს დღეს დუმილი მრავალი ქუშყანასა ზედა...“ 452—496 გვ.

40. „წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა გრიგორი ნოსელიისა მკუდრეთით აღდგომისათს უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესსა, მ. გ.—რაოდენიცა მამათმთავართა კურთხევა სულსა სულისა მიერ დამტკიცებულ არს...“ 469—493 გვ.

41. „წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა სიტყუა ამაღლებისათს უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესსა, მ. გ.—ბრწყინულად

არს ყოველი დღესასწაული უფლისა განგებულებისა და განმაბრწყინებელ გულებსა მორწმუნეთასა. ბრწყინულე არს უკუშ მიზეზიცა წინამდებარისა ამის დღესასწაულისა...“ 493—501 გვ.

42. „მისივე წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუა ამალღებისათს უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესსა, მ. გ.—სამნი განსაკრებელნი საქმენი და არა საცნაური კაცობრივისა ბუნებისაგან თანა შემოათხზნა ბუნებასა ჩუშნისა...“ 502—505 გვ.

43. „წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა სოფრონ იეროსალიმელ პატრიარხისა სიტყუა ცად ამალღებისათს უფლისა და ლუთისა დამაცხოვრისა ჩუშნისა იესუ ქრისტესსა, ითქუა ესე ადგილსა თხემისასა შიშისათს უღთოთა სარკინოსთასა, და სადა-იგი აღასრულებდეს წმიდასა დღესასწაულსა ამალღებისასა, მ. გ.—ვდუმენ, ნუუკუშ მარადის ვდუმენა და თავს ვიდუა, ვითარცა მღმობიერმან ვითმენდ...“ 505—508 გვ.

შენიშვნა: ერთვის — „ხანდუკი წიგნისა ამის“ 511 გვ.

ანდერძი (გადამწერისა): „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი იე“ 44 გვ.

მინაწერები: 1. „შეისწავეთ, რამეთუ დედანსა შინა არლარა იყო ნაშთი ამისი, არამედ დაკლებულ იყო, და სადაც დედანი იშოვოთ, მოაწერეთ, წმიდანო ღრისანო“ 508 გვ. (აშიაზე).

2. „დეკანოზი და ბლალაჩინი ვასილი ადრიანოვი“ 1 საცავი, ფ-ის რ (იქვე, ზემოთ ბერძნულად).

(75)

75

გედევანიშვილი იონა, მოგზაურობა. XIX

60 ფ.; 20,3×16,3; ქალღი; მუყაოს ყდა; მხედრული; XIX ს. (კვირნიშანი: 1805). დაუწერელია: 59v—60v.

[გედევანიშვილი იონა. მოგზაურობა]—„მზადმან მან ნათელმან უსხეულომან ყოველთა არსთა მიზეზმან მიზეზთამან იხილა ქუწყანა განუსაზღვრებელი და განუწყალელებელი, უხილავი და ბნელი, და ჰსთქუა: იქმენინ ნათელი, იანიეჟარბერტყა და განყარა ბნელი...“ 1r—52v.

შენიშვნა: ერთვის — „თქმული იონა მიტროპოლიტის, გედევანის ძისა — ა. ლოცვამან ანა: თიფლის აზიით და მოკლე პონტია ზღვით, ვგროპ-ბიზინტით, აღბიჟელაგ ნისებით...“ 53r—59r.

(76)

76

ლოცვების წიგნი. XIX

73 ფ.; 22,3×16,5; ქალღი; მუყაოს ყდა; მხედრული; XIX ს. (კვირნიშანი: 1824). დაუწერელია: 1v, 2v, 72r—73v.

„დილის ლოცუა.—კდ განვლო ლამემან! მე აღვსდგები ძილისაგან და კდ ვგროპნობ სიაჟოვნესა მყოფობისა ჩემისასა, დაუსრულებელი სახიერებაო...“ 3r—70v.

შენიშვნა: 1. ტექსტის შედგენილობა:

1. „დილის ლოცვა“ 3r—6r.
2. „გრძნობა საკუთარისა მყოფობისა“ 6r—8v.
3. „შეწირვა მადრიელობისა ღმრთისა თანა 8v—13r.
4. „ღმერთი არს სიყვარული“ 13r—16r.
5. „ცნობა საკუთარის განზრახვისა“ 16r—19r.
6. „იმედ-ქონისათჳს ღმრთისაგან ჟამსა ქვეყნიერის უბედურებისასა“ 19r—21r.
7. „ლოცვა კაცთათჳს ძმათა ჩემთა“ 21r—23v.
8. „ლოცვა მტერთათჳს“ 23v—24v.
9. „ნამდვილ ცნობისათჳს მოყვისისა“ 24v—27r.
10. „ვედრება მონიჭებისათჳს სარწმუნოების ცნობისა“ 27r—v.
11. „ლოცვა გამოძიებისათჳს სუნიდისისა თჳსისა“ 27v—28r.
12. „უადვილესი ღონე თჳსის სინიდისის გამოძიებისა“ 28r—29r.
13. „ლოცვა მეგობრისათჳს, გინა კეთილისმყოფისა“ 29r—30r.
14. „ლოცვა მიცვალბულთა ნათესავთა და მეგობართათჳს“ 30r—31r.
15. „მადრიელობა ღმრთისა მონიჭებისათჳს ჩვენდა უკვდავის სულისა“ 31r—32v.
16. „ლოცვა მამისა და სახლელულთათჳს“ 32v—34r.
17. „ლოცვა მამისა ძეთათჳს თჳსთა“ 34r—35r.
18. „ლოცვა ჟამსა უბედურებისასა“ 35r—v.
19. „ლოცვა წინასწარ მოსმენისა სიტყვათა ღმრთისათა“ 36r—v.
20. „ლოცვა შემდგომ მოსმენისა სიტყვათა ღმრთისათა“ 37r—38r.
21. „საღამოს ლოცვა“ 38r—42v.
22. „ლოცვა მოთხოვისათჳს სიბრძნისა ნათლისათჳს“ 43r—v.
23. „შეწირვა ნებისა“ 43v—44v.
24. „ლოცუა იესო ქრისტეს მიმართ მოვლენისათჳს ღვთიურის სულისა“ 44v—46r.
25. „განზრახუა ღმრთიურსა სიბრძნესა ზედა“ 46r—47r.
26. „ლოცვა დღესა შობისა თჳსისასა“ 47r—v.
27. „ლოცუა ძლევისათჳს ცოდვათა ზედა“ 48r—v.
28. „სასაღებისათჳს ღმერთზედა“ 48—49r.
29. „ვიში ღმრთისა“ 49v—51r.
30. „შეურაცყოფისათჳს ღმრთისა“ 51v—53v.
31. „გრძნობა სულისა მიმწოდებელისა ღმრთისა მიმართ“ 53v—55v.
32. „ქმმართველისათჳს და კეთილოვნებისა“ 55v—56v.
33. „სანუგეშო განზრახვა სიკვდილსა ზედა“ 56v—59r.
34. „ღმერთი არს სიყვარული“ 59v—64r.
35. „დახსნისათჳს“ 64r—68r.
36. „განგებულება“ 68v.
37. „ყოველღვთიური განმარტვა ქრისტიანის ცხოვრებისა“ 69r.
38. „მყოფობა ღმრთისა“ 69v—70v.

2. ერთვის „პინაქსი“ 71r—v.

შინაწერები: 1. „წიგნი მაჩვენებელი სულიერის თანამდებობისა“ 1r.

2. „ღმერთი არს სიყვარული უბიწო, ღმერთი სიყვარული არს და რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰკიცხ და იგი ღმრთის თანა. იოანესი თა-ვი დ და რიცხვ ივ; შეთხზული ეკვარტს ღაუ ზენისაგან“ 2r.

(77)

77

სწავლანი «სამასეული». XIX

79 ფ. (158 გვ); 16,5×10,5; ქალაღი (ღურჯი); მუყაოს ყდა (ყუა და კუთხეები—ტყავი, ტვიფრული); მხედრული (სათაურები სინგურით); გადამწერი—იოსტოსი (158 გვ); XIX ს. (ქვირნიშანი: 1862).

1. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩნისა გრიგოლი ღმრთისმეტყულისა.—დასაბა(მა)დ და აღსრულებად ყოველთა საქმეთა შენთა ღმერთი გაქუნდინ, რამეთუ კეთილ არს ღმრთისაგან დაწყებად..“ 1—61 გვ.

2. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩრნისა დიდისა ვასილისნი, 1. ლოცუა უბნობა არს ღრისა მიმართ, აწ უკუშ გულისხმა-ვეოთ, ძმანო, თუ ვითარი საზომი უხმს გონებასა მას...“ 62—106 გვ.

3. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩრნისა მაქსიმე აღმსარებელისნი.—პლი უენებულობა არს, რათა კაცი საქმეთაგან ცოდვასაა უცხო იქმნეს და სრულიად განეშოროს...“ 107—156 გვ.

ანდერძი: „სრულ იქმნა სამასეული ესე სადიდებულად სამებისა წმიდისა“ 157 გვ. (ტექსტის ხელით. სინგურით).

მინაწერები: 1. „ზაქარია ჭიჭინაძის ბიბლიოტეკისა“ 1 საცავი ფ-ის რ.

2. „სამასეული წა გრიგოლისა ღვთისმეტყველისა“ იქვე.

3. „ამას წიგნსა ეწოდების „სამასეული“ 1 საცავი ფ-ის v (სინგურით, ტექსტის ხელით).

4. „ეს სამასეული, იოსტოსის დაწერილი, თავად თადია ჩოლაყოვისა, არს“ 158 გვ. (თადია—ხელრთვა).

5. „ესე წიგნი, საღმთო სწავლა და დარიგება გრიგოლი მღვთისმეტყველისა; ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისა არის, ვინც მოიპაროს, ამის მაღლი გაუწყრეს“ 158 გვ. (სხვა ხელით).

(78)

78

საგალობლები. XVIII

77 ფ. (154 გვ.) 16,6×10,5; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; ბოლონაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); XVIII ს. (ჭვირნიშანი: 1796). დაუწერელია: 54 გვ.

1. „დასდებელი. ჳმა ა.—სამწუხრონი ლოცუანი ჩუშნი შეიწირენ, წმინდაო უფალო, და მოგუმადლე ჩუშნ მოტევება ცოდუათა, რამეთუ შენ მხოლო ხარ...“ 1—50 გვ.

2. „მომიწესენენი, რვა ჳმა. ჳმა ა.—საქმლისა მიერ გამოხადა მტერმანადამი სამოთხით...“ 51—53 გვ.

3. „თთუშსა სეკდენბერსა ა, ოხითა იბაკონი ყოველთა დღესასწაულთანი ჳმა ბ.—ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედო, ჟამთა და წელთა თსითა ჳელმწიფებითა დამსხმელო, აკურთხე. გვრგვნი ამის წელიწადისა...“ 55—111 გვ.

4. „ოხითა იბაკო მარხუათანი და ჳატიკათანი, მეზუშრისა და ძარისეველისა კვრიაკითგან, ნაცულად მოციქულთა ვედრებისა ამათ სამთა მუხლთა ვიდრე ბზობადმდე ვიტყვთ დიდება, ჳმა ვ.—მსწაფლ განუხუშნ სინანულისა ბჳენი სულსა ჩემსა, ცხოვრების მომცემელო...“ 112—128 გვ.

5. „აღღგომის საგალობლები.—„პასექისა ბრწყინუალესა კვრიაკესა პასექისასა, ოხითა ჳმა ე.—ქრისტე აღდგა მკურდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი...“ 129—154 გვ.

შენიშვნა: ჳვედა ყდის რ-ზე დაკრულია დაზიანებული ნაწყვეტი „მეცხრე ჟამის“, ტექსტისავე ხელით ნაწერი.

მინაწერი: „ჭიჭინაძის ბიბლიოტეკისა“, ჳდა საცავი ფ-ის რ.

(79)

79

ოთხთავი. XVIII

48 ფ.; 19×13; ქალღი; რესტავირებული; ნაკლული; მხედრული; XVIII ს. დაუწერელია: 21r-v, 36r-v.

„წმიდა სახარება მათეს თავი პირველი.—წიგნი შობის იესო ქრისტესი, ძისა დავითისაი და ძისა აბრამისი...“ 2r—48v.

წყდება: „რომელი არა არს ჩვენდა მტერი, იგი ჩვენ კერძო არს“ (ლ. 9,50).

შენიშვნა: 1.ოთხთავს აკლია მთლიანად:

იოანეს სახარება;

მათეს თავს: 9,1—9,22; 12,13—12,40; 13,16-დან ბოლომდე.

მარკოზის თავს: 10,29—12,16; 13,22—14,65;

ლუკას თავს: 2,34—6,49; 9,51-დან ბოლომდე.

2. ბოლო საცავი ფ-ის r-ზე კრიპტოგრაფია.

შინაწერი: „ქიქინაძის ბიბლიოტეკისა“ 1r.

(80)

80

კრებულ. 1853

42 ფ. (84 გვ.); 17,5×10,6; ქალღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული; 1853 წ. (74 გვ.); გადამწერი—ნაომ რევაზოვი (28, 59, 74, 83 გვ. გვ.); ადგილი—ხირსის მონასტერი (82 გვ.).

1. „ქანონნი შეცოდებულთანი, აწერილნი ნეტარისა მამისა ჩუქნისა იოანეს მიერ კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა მარხველ ეწოდა.—უწყებულ იყავნ, ვითარმედ ესე ნეტარი იოანე მარხველი უკანასკნელ იყო უფროს ყოველთა მართალთა, ჰსჯულის კანონის წესნი აღსწერნეს...“ 1—28 გვ.

ქორწინებისა თავისათჳს; თავი სჳა მატთესი. ხარისხნი ქორწინებისანი ამად ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარ-იგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად და შთამოვლენ, ეგრეთვე არს ნათესაობაცა ხარისხად...“ 29—74 გვ.

შენიშვნა: ერთის—1. „საძიებელი კანონთათჳს, როგორ მიეცემის და რაოდენ ეპატეების და რომელიმე წელი მიუტევებს“ 75—79 გვ.

2. მსოფლიო კრებათა ნუსხა 80—82 გვ.

ანდერძი: 1. „ესე ჰსჯულის კანონი სრულის კანონიდგან გამომწერე შემოკლებით ცხადნი ცოდვილმან მღუდელმან ნაომ რევაზოვიან“ 28 გვ.

2. „აჳა მაგალითნიცა ქორწინებისანი, რომელნიცა დასხნა უბრძენსმან და უსიტყვიერესმან დიდმან ხარტოფილაქსმან, (ესე იგი) წიგნთა მცველმან უწმინდესისა ქრისტეს დიდის ეკლესისა კონსტანტინეპოლისამან იეროდიაკონთა შორის უფალმან მანუილ ქსანთოს. ამათის მადლის შემწეობითა აღვწერე შემოკლებული კანონი ესე ქორწინებისა ცოდვილმან გლაზაკმან მღუდელმან ნაომ რევაზოვიან მოსახსენებლად ჩემდა, ამინ“ 59 გვ.

3. „წელსა ჩუნგ, 1853, თ-ს ოკდომბერსა 9 შესრულდა ესე ნათესაობისა მაგალითნი და კანონნი ჩემ ცოდვილის მღუდლის ნაომ რევაზოვიან მიერ, უკეთუ

შეცდომა რაიმე იხილოთ, შენდობილი ვიყო, რადგანაც შემოკლებით გადმოვწერე სრულის კანონიდან მარტივად საჭიროებისათვის“ 74 გვ.

4. „მე ვარ კეთილ ჰსჯულისა კანონი, სამღთო კაცისა ჯელთა მძღუანველი, მე-ქორწინეთა ჯვროვნად შემაუღლებელი, მორწმუნეთათვის დამრიგებელი, უფროს ღვთისადმი შეყვარებული, კუთვნილი მღუდლის ნაო მისი, გვარად არის რე-ვაზოვი.

ხოლო დამწერი ამისი მღუდელი ნაო მ. ვინც გულს იღვას პარვა ამისი, იყოს ღვთისადმი შეჩვენებული. ამინ“. 83 გვ.

მინაწერები: 1. „ხირსის მონასტრის მღუდელი ნაო მ რევაზოვი“ 82 გვ.

2. „მოციქულთ საწინასწარმეტყულონი, სამოციქულონი წერილ არიან თვენში სამგან: პირველი გ სევდემბრის—კვ-სა,

მეორე გ ნემბრის—ლ-სა

მესამე გ იუნისსა კთ-სა.

ხოლო ესენი ყოველთა მოციქულთაზე ვისაცა ენებოს, გა დ ი დ ე ბ ს ი ა ნ თ გ არ-დახდა. უკეთუ არა ჰქონდეს რომელსამე მოციქულსა გა დ ი დ ე ბ ს ი, ამ ზემო სა-წინასწარმეტყულოდგან შეიძლება გარდახდა“ 84 გვ.

(81)

81

სიტყვის-გება მაჰმადიანთა მიმართ. 1793

36 ფ.; 17,5×10,5; ქალაღა (ლურჯი); ტყავადაკრული ხის ყდა; მხედრული (სა-თაურები სინგურით): 1793 წ. (34ვ); დამკვეთი—ფარნავაზ, მეფის ირაკლის ძე (34ვ); გადამწერი—დავით რექტორი (34ვ); ადგილი—თელავი (34ვ). დაუწერელია: 1ვ—3ვ, 4ვ, 35რ—36ვ.

„ამბავი მახმადისი თარგმანსა შინა ფსალმუნთასა, მოყუანილი და წიგნ-თაგან მახმადიანთასა გამოღებულრ, და ნათესაობა მათი. გალობა, ფსალმუნი ასაფისი პბ.—ესე ფსალმუნი წინასწარმეტყუელმან აგარიანთა ნათესავისა და ისმაიტელთათს თქუა...“ 5რ—34რ.

ანდერძი: „დავმუშტ ალექსის ძე, თელავის ქალაქს, სემინარიის რექტორი და ვით გარდაწერით, რომელსაცა მისისა უგანათლებულესობისა სრულიად საქართ-ველოს მპყრობელის მეფის ირაკლი მეორის ძის ფარნავაზისაგან მებრძანა ამის უკუშ წიგნაკისა აღწერა, უმაღლესმან მარჯუშენმან ცუა-ფარუა და სიცოცხლესა შინა მოახმარნეს.

აღწერილ იქმნა თვით თელავს ქალაქსავე შინა, სამეფოსა პალატსა, სემინა-რიასა, თთუშსა ნოენბერსა. რიცხუსა 28, წელსა განკორციელებითგან სიტყუსა ღისა 1793, ხოლო ქართულსა ქკსა ზედა უპა. უუქანასკნელესი მონა თქუშნის უგანათლებულესობისა რექტორი დავით“ 34ვ.

მინაწერები: 1. „И. Андраш“ 1რ; 2. „სიტყვის-გება მაჰმადიანთა მიმართ“ 4რ.

(82)

82

სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. 1743

342 ფ. (684 გვ.); 22×16,5; ქალაღი. ტყავადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1743 წ. (368 გვ.); გადამწერი—იოანე მოძღვარი (683 გვ.).

1. „აქა იწყებიან ლექსიკონი ქართული განსამარტებელად ენათა, რო-მელსათანავე ენა თურქთა და სომეხთა უწერია: ა. ანი არს პლი ასო და

ჰმიანი და ართრონი მრავალრიგად და თავად მოვალს ყოველთა სიტყუათასა და ბოლოდაცა, ვითარცა ზედეთ დამიწერია:

აბანო სახლი დასაბანელი. ჰამაზ. ბაღის.

აბა მამა ჩნი უფალი

აბელი ყავ. აფიეთ...“ 16—368 გვ.

შენიშვნა: 1. უძღვის—ა. „[ასონი ხუთთა ჰმიანთა ასოთანი და სწავლა სხვათა ასოთა თავბოლოთანი“ 1—2 გვ.; ბ. „მოჭელენი, რომელნი არიან ქართულნი, რომელთამე არლარა უწოდენ და დავიწყებებს და სხვა თურქთა ენათაგან მოულიესთ მისად ნაცულად“ 3—5 გვ.; გ. „ანბანი პდ სასწავლონი ყრმათანი“ 6 გვ.; დ. „ნულა და ქართული რიცხვი, ვისცა სწავლა ენებოს“ 7—10 გვ.; ე. „საჭვენი ხუთთა ასოთანი და სხვათა თავბოლოთანი“ 10—11 გვ.

ვ. „ანდერძანაჲნი მუშაკისა ფრიად დამაშვრალისა მოსწავლეთათჳს, ხოლო მრავალნი მოსწავლენი მგომობარ და მოკიცხარ ექმნებიან შრომისათჳს და არა სარეწავად მისცემენ შენდობასა“ 11—13 გვ.

ზ. „არიან ქარაგმანიცა ათნი, რომელთა ბერძულად ეწოდებიან პროსოდია-ნი“ 13 გვ.

თ. „ესე ოთხნი ნიშანი ქუჩის მზომელობათა კელავენბანი არიან“ 14 გვ.

თ. „ქ. ეს ნიშნები სადა სხდენ, ყოველთა ადგილთა მიგასწავლის მის მისთასა მცენარეთა ანუ ცხოველთა“ 15 გვ.

2. ე რ თ ვ ი ს—ა. „სახელნი თვეთანი“ 359—360 გვ.

ბ. „რიცხვი ჩინელთა, რომელ ათორმეტსა წელიწადსა ათორმეტთა პირუტყუთა სახელებსა უწოდენ. თვითოს წელიწადს თვითოს ათავისუფლებენ, სახელები რომელთა ესენი არიან“ 361 გვ.

გ. „ათორმეტთა ზოდიაქთა სახელები, რომელსა მიითვალავს თვითოს თვეს თვითო. ხოლო მთოვარე თვითოს თვესა ათორმეტსავე“ 362 გვ.

დ. „შესხმა მდღელისა წმიდისა მატათანისა და მეუღლისა მისისა მარია-მისი, დედის დედისა წმიდისა ღისმშობელისა თქმული.—მოვედინ ცნობიერება და შემოკერბინ გონება, აღეზენ ენა ჩემი მაღალთა და აღმატებულთა საქმეთა ჯელყოფად...“ 363—367 გვ.

2. [ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი].—

„...აბადლონ ებრაელებრ და ბერძულ აპოლიონ და ლათინურად ვესტესმინანს, რომელი წერილ არს იოანეს გამოცხადების 9,11 მომ-სპოლველად გამოითარგმანების;

აბაზანა სააბანოე დიდი ტაშტი კონკა.

აბაზი ოთხი შაური...“ 369—682 გვ.

შენიშვნა: ერთის—1. „ეს ქა ჩნს ენაში ევოდენ საჭმარი არ არის, მაგრამ სხვათა ენის თარგმანებისათ“ დიდად საჭმარია და ამისის ჰმარებით დია გაშვენიერდება სიტყუა, ვითარცა ჯე ვინისა და უნის საშუალია, სათქმელად ჯე ინისა ანისა, აგრევე ესე ვინისა და ფარის საშუალი არს, განიხილე, გულისხმიერო“ 677 გვ.

2. [Curriculum vitae]—„ამა წიგნისა მომღეაწებელსა...“ 678—679 გვ.

3. ლექსი „მეფის ვახტანგის ნათქვამი.—სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი...“ 679 გვ.

4. „საბას ნათქუაში.— ამ ლექსიკონის რიგები, თუ ბრძენმა დამიწუნთა“... 679 გვ.

5. [წელთარციხვანი].—„დასაბამითგან ქრისტეს მოსულადმდე ქართულის რიცხვით გარდაჯდა წელნი...“ 680 გვ.

6. ტექსტები ნარდის ქვევით თამაშისათვის:
„მოურნე მარიამ განსწმედს ვეცხლისაებრ ბერთა (ო);“
„მწენდ არს მიუწვენელი მოსავთა მწედ ერთა (ი);“
„კაცი გ. კენჭი კლ—
ადგე ბეყან, შავი ცხენი ქიტას მიეც“ 680 გვ.

7. „განჯაფისა და მისის თამაშობისა სახელები ქართულის და თათრულსა“ 681 გვ.
8. „რაჯირანგი“ (!) 681—682 გვ.
ანდერძი: 1. „ეჟე წიგნი მე, იოანე მოძღვარს (!) დავწერე, ვინც წაიკითხოს, შენდობა“ (!) 683 გვ. (სხვა ხელით).
2. „ღმერთო, კეთილად წარმართე სწავლა ამისისა მწერლისავე, ამისისა ცოდვილის იოვანე მღდელისა, ამინ“ 358 გვ.
3. „ალესწერე ესე წიგნი აპრილს იდ, ქკს ულა“ 368 გვ.
4. „საცნაურ უკუშ არს, ვითარმედ არა რომელი სიმდიდრე ვორციელი შეესწორების სიმდიდრესა მას სულიერსა და უფროს-ლა რომელი შექსულიყო საღმრთოთა წერილთა კითხუასა და თარგმანებასა იგავით თქმულთა და დაფარულთასა და ვგრძობე ბრძენთა და ღისმეტყულთა სიღრმით გულისათ აღმომეტყულთა, ხენასა არსებისა ნივთთასა ცხადად წარმომაჩინებელთა ამით, ხოლო ფოთოვან იქმნების და ისწრაფის ნავსა სულისა თვისისასა უღრმესსა ადგილსა ზღვისასა შესულად და მუნით აღმოვებად მარგალიტისა ფას-უსაქლდურთა. დაღათუ საწუთოსა სიმდიდრენი მყისად განჰქარებდებინ, გარნა ესე სიმდიდრე არა განიღვივის, არცა წაოპარვის, არცა განირყუნების და არცა წარწყმდების, რამეთუ ამის სიმდიდრისა წუგილი დლითი-დღე აღორძინდების და ნაყოფსა თავწარსხმულსა გამოიღებს განმავრცობელსა საღმრთოსა. ხოლო ვინათგან სხუათა წერილთა წურთა ესოდენ საწუგვარ არს. ჯერ არს, რათა შობილსა თანა მშობელთაცა პატივ-ვსცემდეთ, რამეთუ დედა არს ყოველთა წერილთა სიტყუათა წარმოჩენისა დექსიკონი, რამეთუ ფარნავაზს მეფესა შეემკო და შეესრულებინა ქართულთა ენა და ლექსიკონი შეეწყო.
- მერმე-ლა არაბთა ვითარებათაგან და მრავალჯერ საქართველოსა მოოჯრებისაგან განბნეულ და წარწყმედულ იყო და არა იპოებოდა ქართული ლექსიკონი.
- აწ იწყო მოძიება მრავალ გამოძკულეველმან ამან კაცმან, რომელი იყო დიდთა ტომთა და სახელ მაღალთა საქართველოსა უაღრესთა დიდებულთა ორბელიანთა ძის ძე, სიბრძნე ფრიადი და დიდათ სწავლული და მონაზონ ქმნული საბა. ფრიად მოსურნე იქმნა ქართულის ლექსიკონისა შეწყობასა და სრულ ჰყოცა, დიდად იღვაწა და დიდი შრომა თავს იდვა. სომეხთა და ფრანგთა ლექსიკონთა შემოწმებითა განასრულა, და იხარებს ყოველი საქიროთა წერილთა გამოძკულეველი“. 683 გვ.
- მინაწერები: 1. „ლექსიკონი საბა ორბელიანისა“, თავფურცლის რ.
2. „ქ. ეს ლექსიკონი ქალაქის მოურავის ევსტათისა არის. ღმერთს ვფიცავ, არც ნაპარევი არის, არც წანართმევი არის, არც არახე მოუციათ; ერთმა ჩემამეგობარმა კაცმა მაჩუქა. ვინც მოიპაროს, მასამც რისხავს საუკუნო მამა, ამინ“ 2 გვ.
3. „ქ. ეს ლექსიკონი ქალაქის მოურავმა ევსტატიმ მომცა ტფილისის ქალაქში, მე, მეფის ირაკლის ძეს ფარნავაზს, წელსა ჩუგ—1803, მკათათეს“ 2 გვ.
4. „ეს წიგნი კურთხევის ტანისა იყო და ეს, რაც ამას ზეით სწერია, ექუს ფურცელზედ უნდა მოვიდეს სწორედ, რომ ცარიელი არ დარჩეს, ამასთან მოვიდეს სახელების გვერდი ცარიელი არის და ერთ გვერდზედ მარტოკა ანბანი აბსწერია“ 14 გვ.
5. „მამაჩემი გარსევანი მიიცვალა ნოემბერს კაქკს ულა“. 368 გვ.
6. „ჩემი საყვარელი ელისაბედ მიიცვალა ნოემბერს ით ქკს ულა“ 368 გვ.
7. „მოვიდა იოანე ზედაძნელი მოწაფითურთ თვისით მეფობასა ფარსმანისასა და მღდელთმთავრობასა ევლათისასა ქრისტეს აქათ ქკსა ხუთასოცდასამსა, ხოლო ქართლის მოქცევითგან ორასთა.
- შობითგან ნათლისღებადმდე ლ, ჯვარცმამდე დ, ჯვარცმიდამ ტყვეწვადმდე იერუსალემისა ჩვ, დასაბამითგან აქამდე ვხია“ 368 გვ.

(83)

83

რუსულ-ქართული ლექსიკონი. 1829

276 ფ.; 21×16; ქალაღი (ღურჯი); ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული; 1829 წ. (258რ); ვადამწერი—იონან ბალსაროვი (თავფურცლის რ). დაუწერელია: 1რ—6ვ, 267რ—269ვ, 270ვ—275ვ, 276ვ.

«А союз ხოლო, არამედ, და
Агнец ტარიგი, კრავი...» 7რ—258რ

შენიშვნა: დართულია სალექსიკონო მასალა (258ვ—266ვ).

ანღერძები: 1. „Да хвалится... начал и окончил при бнтности моей в Эриванской крепости, при соборе Покрова пресвятыя богородицы, диакон Б а с х а р о в. 1829. II. 25* 258რ.

2. „Из книги диакона Сионскаго Кафедральнаго собора Иоанна Басхарова. 1831. VI. 11. Переплет безмездно заштатный ключарь оного собора священик О н о ф р и й И ш х е л о в“, თავფურცლის რ.

3. „ესე რუსიული ქართულითურთ ეკუთვნის სიონის სობოროს დიაკონს იოანე ბალსაროვს თვის საკუთარის კელით ნაწერი დროსა მყოფობისა დიაკონად ერევნის ციხის ღუთისმშობლის საფარველის სობოროს შინა. შეკრულ არს უფასოდ სიონის სობოროს კანდელაკის მღუდლის თ ნ ო ფ რ ე ი შ ხ ე ლ ი ს მიერ“, თავფურცლის რ.

მინაწერები რუსულად: 270რ, 276რ.

(84)

84

ანტონ I, კატეხიზმო. 1767

150 ფ. (300 გვ.); 14.4×9.3; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; დახიანებული (კიისაგან ხელნაწერის ყდა, წინა და ბოლო ფურცლები); მხედრული (სათაურები ასომთავრულით, სინგურით); 1767 წ. (თავფურცლის ვ).

„წიგნი კატეხიზმოს ანუ მოწოდება, რომელიცა თანა-აძს ქრისტეანეთა კეთილმსახურთა აღსარებად და შეწყნარებად, რომლისა შორის სიმეოლიონ აღაცხნების 123 შინა კითხვა მიგებათა.—

1. კითხვა: რად არს სათანადო ქრისტეანესა მიმართ, რათა ჰრწმენეს?..

1. მიგება: სიმეოლიონ, რომელი არს ათორმეტი ტაევი, კმნილი მეორისაგან მსოფლიოესა კრებისა, პდ კოსტანტინუპოლის შეკრებულისა...“ 1—299 გვ.

შენიშვნა. უძღვის თავფურცელი: „სადიდებელად ცხოველსმყოფელისა თანარსისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ზემოესა საქართულოესა, დავითიან-ბაგრატოვანისა წიგნი კატეხიზმოს, რომელ არს მოწოდება თვსთა მოწაფეთა კეშმარიტისა მიმართ სარწმუნოებისა და საქმისა, რომელიცა სათანადოსა ქრისტეანეთასა აღმოჩინებითა ღმრისმეტყულებითითა და ფილოსოფოსობითითა იპყრობს თვს შორის კითხვა-მიგებითა, დროსა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა მეფესაყოელისა საქართულოესასა და მამათმთავრობისასა თვისისა ყოველთა ქართუელთა ზედა წელსა დასაბამითან სოფლისა... ესოე; განვტორციელებითან სიტყვსა ღმრისა... ჩლავ, თთუქსა მეხუთესა, რიცხუსა... კ“.

(85)

85

სიტყვანი და სწავლანი. 1814

103 ფ. (206 გვ.); 21,4×16,5; ქალაღი; ტყავგადაკრული ტვიფრული ქალღღის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1814 წ. (204 გვ.); დამკვეთი—იოსებ კალატოზოვი (204 გვ.); გადამწერი—გურგენ წერალოვი (204 გვ.); ადგილი—თბილისი (204 გვ.).

„სიტყუანი და ჰსწავლანი სამეცნიერონი ფრიაღ მარგებელნი სულ სხეულობით ორკერძოვე ძველისა და ახლისა წმინდათა წერილთაგან ჰრჩევით გამოკრებულნი კლემაქსისაგან და დიდისა ვასილისა და გრიგოლი ლთსმეტყუშლისა და უოანე (!) ოქროპირისა და მამისა ეფრემისა და მაქსიმესი და ცხოვრებისაგან მამათასა და სხვათა წმინდათა მღუდელთმოდღუართა მამათა, მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, სოლომონ და ზირაქისა და გარეშე წიგნთა პლატონ და სოგრატი და მენიანდროს და სხვათა ფილოსოფოსთა მიერ თქმულნი.—ყოველთა, რომელთა ენებოს და ეძიებდენ ღმერთსა, ეპოების მათი, რამეთუ იგი არს ყოველთა ღმერთი და ყოველთა ცხოვრება ურწმუნოთა და მორწმუნეთა. და მართალთა და ცოდვილთა ქრისტეანეთა არს მსგავსება ქრისტესი ძალისაებრ კაცობრივისა...“ 1—204 გვ.

შენიშვნა: უძღვის—„კვიმატი, რომელი ითარგმანების უბედურთ დღეთა ღრის-მეტყველთაგან და ფილასოფ[ო]სთა კაცთაგან, რომელიცა ამა თვეებში აცხადებს“, თავფურცლის r-v.

ანდერძი: „სიტყუანი და სწავლანი სასარგებლონი, აღწერილინი ფილასოფოსთაგან მათის მაღალკეთილშობილების პოდპოლკოვნიკის ელისაბედპოლის ოკრუჟენის ნაჩაღნიკის იოსებ ანდრეიჩის კალატოზოვისა ბრძანებითა. მე, განწესებულმან ელისაბედპოლის ოკრუჟენის სუდსა შინა მირზად, აღწერე წიგნი ესე თვესა ნოენბერის თ-სა წელთა ჩყიდ-სა, ტიფლიზისა შინა მცხოვრები გურგენ ძე ზურაბ წერალოვი“ 204 გვ.

მინაწერი: „ეს წიგნი ეკუთნის კნენას ელენეს ამირეჯიბოვისას“ (205 გვ.).

(86)

86

ანტონ I, მეტაფიზიკა. XVIII

238 ფ., 17,5×10,5; ქალაღი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები მთავრულით, სინგურით); [XVIII ს.]; გადამწერი—ოიანე (236r); დაუწერელია: 1v, 4v, 235v, 236v—238v.

„ზედ-ღვინებანი მეტაფიზიკაჲსანი. წინასიტყუაობა ბუნებისათჳს და თჳსებისა მეტაფიზიკაჲსა. § 51.—დაღათუ გულისმსიტყუშლობენ რომელნიმე, ვითარმედ ყრმათამი სხოღათა შინა აზნაურთა სწავლათა მჰსწავლელთა არა სათანადო არს...“ 5r—235r.

შენიშვნა: უძღვის—1. თავფურცელი: „მეტაფიზიკისა ნაწილი პლი, ონტოლოღია ანუ ფილოსოფია პირუშლი“.

2. „პინაქსი მეტაფიზიკისა“... 2r—4r.

ანდერძი: „ინებე სწავლად სწავლანი სასიბრძნონი,
ორნივე თანად-ზედუთნი და საქმიოთანი,
ამისთვის ვშუშრი წერით ყოვლად გლახაკი,
ნეტარ მიიღო, ვითა მნებავს ყოველი,
ესრეთ მახარო მე, მსურავსა ამისსა“ 236r.

მინაწერები: 1. „ლევეან სერებრაკოვის ნაჩუქარი, მ. კერესელიძე“
1 საცავი ფ-ის r.
2. „სახსოვრათ 1879 წელსა ფურცელაძესაგან“ 238v.

(87)

87

კრებული. XVIII—XIX

91 ფ. (182 გვ.); 21,2×16,5; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XVIII—XIX],

1. „ისტორია დარღვევისათჳს უკანასკნელ წისა ქალაქისა იეროსალიმისა ჰრომელთა კეისრისა ტიტესაგან, ძისა უესპასიანესა.—ოდეს მიიღო პატივი და ღირსებაჲ კეისრობისა უესპასიანემან და იქმნა დამტკიცებულ მბრძანებლად ყოვლისა სოფლისა, მყის პირველსავე წელსა მბრძანებლობისა თჳსისასა იწყო გამოძიებად დაშთომილთა მათ იუდიანთათჳს...“ 1—98 გვ.

2. „წმიდათა მოწამეთა ინდისი, დომნასი და სიმრავლისა მის ორთა ბევრთა, რომელნი ნიკომიდიას დაიწვნენ ეკლესიასა შინა მაქსიმიანეს მიერ, რომელთა ხსენებასა ვჰყოფთ დეკენბრის კჳ.—ესე წა დომნა იყო მაქსიმიანეს ზე მეფისა ქალაქსა შინა ნიკომიდიას მსახური ათორმეტთა ღთთა პალატისათა, სწავლული წერილთა...“ 99—103 გვ.

3. „ტყუშობისათჳს დიდებულისა სამეუფოსა ქალაქისა კოსტანტინეპოლისა, რომელსა ახლად ჰრომად უწოდებენ, რომელიცა დაატყუშვა მახმედ მეორემან, სულთანმან თურქთამან, შემდგომად ქრისტესსა, წელსა ქრისტესითა ჩუნგ: 1453.—მაჰმად სულთანმან თურქთამან, რომლისა სახელი მეორე, შემდგომად სიკუდილისა მამისა თჳსისა ამურატისსა, აზიასა შინა სამთავროსა ბითუნისასა და ქალაქსა შინა ბურესსა ღირსებისაებრ აღასრულა დაფლვა მისი...“ 105—179 გვ.

შენიშვნა: დართულია ქრონოლოგიური ცხრილი: „სტანბოლის დარღვევა ჩუნგ—1453; შთამამელოზა ხონთქრისა არს ესრეთ:

თუ რაოდენი წელიწადია	თუ რაოდენი მეფეა	
	ა	მურად მამა მაჰმადისა, ამან მოსტყვენა ცხოში, მოკვდა მურად ჩუნა
27	ბ	დაჯდა მაჰმად მეორე, ძე მისი. ამან აღიღო კოსტანტინეპოლი, მოკდა მაჰმად ჩუპ
30	გ	ბაიაზეთ, ძე მისი. მოკუდა ბაიაზეთ ჩფი, 1510
10	დ	დაჯდა სელიმ, ძე მისი, მოკვდა სელიმ, ამან ჩფკ 1520, ამან გამოგზავნა იმერეთს სარასკარი
46	ე	დაჯდა სულეიმან ძე მისი. ამან აღიღო ერევახი. მოკვდა ჩფგ 1566. კდ ამან მოგზავნა ბაგრატიხედ სარასკარი
9	ვ	დაჯდა სელიმ, ძე მისი. მოკვდა სელიმ ჩფოე, 1575

თუ რაოდენი წელიწადია	თუ რაოდენი მეფეა	
20	ზ	დაჯდა მურად, ძე მისი. ამან წარმოავლინა ლალა ფაშა. ამ მურადისას იტყვიან ძედ ჰურიისა ვისიმე, რომელი ჰყო ვეზირმან სულთანად. მოკულა მურად ჩუყე, 1595
9	ც	დაჯდა მაჰმად, ძე მისი. მოკვდა მაჰმად ჩქვ, 1604
13	თ	დაჯდა აჰმად, ძე მისი. ამან აღიღო ბა ღ და დ ი. გარდაადგინეს აჰმად ჩქიზ, 1617
1	ი	დაჯდა მუსტაფა, ძმა მისი გარდაადგინეს მუსტაფა ჩქიშ, 1618
4	ია	დაჯდა ოსმან, ძმა მისი. გარდაადგინეს ოსმან ჩქკბ, 1622
1	იბ	დაჯდა იგივე მუსტაფა, გარდადგა მუსტაფა ჩქკგ, 1623
17	იგ	დაჯდა მურად. ძმა ოსმანისა. ამანაც აღიღო ერევანი, გარდაადგინეს მურად ჩქმ, 1640.
8	იდ	დაჯდა იბრეიმ, ძმა მურადისა, მოკულა იბრეიმ ჩქმშ, 1648
39	იე	დაჯდა მაჰმად, ძე მისი, მოკვდა მაჰმად ჩქკზ, 1687
4	ივ	დაჯდა სულეიმან ძე მისი. გარდაადგინეს სულეიმან ჩქჟა, 1691
4	იზ	დაჯდა აჰმად, ძმა სულეიმანისა. გარდაადგინეს აჰმად ჩქყე, 1695
8	იძ	დაჯდა მუსტაფა, ძმა აჰმადისა. ამან გამოგზავნა იმერეთს; აწ სარასკარი, გარდაადგინეს მუსტაფა ჩღგ, 1703
27	ით	დაჯდა აჰმად, ძმა მუსტაფასი. ამან წარმოავლინა სარასკარი იბრეიმ ფაშა, გარდაადგინეს აჰმად ჩღდ, 1730
34	იკ	დაჯდა მაჰმად, ძე მუსტაფასი. მოკულა მაჰმად ჩღდ, 1754
	იქ	დაჯდა ოსმან, ძმა მისი ტა 301 გასულა სტამბოლის აღებიდამ 180—181 გვ.

(88)

88

ბარონ დე პოლნიცა. მიმოსვლა ბარონა დე პოლნიცასი. XVIII

73 ფ. (146 გვ.); 21,5×16,2; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული XVIII ს. (კვირნიშანი: 1788); მთარგმნელი—გაიოს არქიდიაკონი (87 გვ.); ადგილი—მოსკოვი (87 გვ.). დაუწერელია: 88 და 124 გვ.

„მიმოსვლა ბარონა დე პოლნიცასი, აღწერილი მისგანვე. წიგნი პირველი უფლისადმი. კელმწიფეო ჩემო, სიცოცხლემან, რომელიცა განვაგრძელებ მე პარიჟსა შინა, შემაწუხა და მრავალთათვის მიზეზთა, რომელთაცა არა მნებავს თქვენდა თვითოეულად მოხსენება, განვიზრახე მგზავრობა...“ 1—145 გვ.

ანდერძი: „მიმოსვლა ბარონა დე პოლნიცასი, აღწერილი ისტორიულისა და ლეოლრაფიულის გვართ თვით მისგანვე. ტომი მეორე, რუსულით ქართულსა ენასა ზედა არხიდიაკონის გაიოსის მიერ მოსკოვს, 1776 წელსა, ივნისს 25“ (87 გვ.)

მინაწერი: 1. „კნიაზ დიმიტრი ბაგრატიონი“, 1 საცავი ფ-ის ვ.

2. „მის მაღალს კეთილს შობილს კნიაზ მიხილს (!) ორბელიანს მოკითხველს მოვახსენებ და თქვენს მშვიდობას ღმერთს ვთხოვ, და თუ ჩემს ამბავს ინებებთ, მშვიდობით გახლავარ...“ 147 გვ.;

მინაწერი რუსულად 145 გვერდზე.

(89)

89

ანდრია სალოსის ცხოვრება. XVIII

147 ფ. (294 გვ.); 14,7×10,3; ქალაღი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [XVIII ს.] დაუწერელია: 288—294 გვ. გვ.

„ცხოვრება და მოქალაქობა ნეტარისა ანდრია სი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთვის, გ. მ.—ძმასო ჩემნო საყუარელნო და მონანო უფლისანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და გაუწყო, რამეთუ არს საქმე ესე ტკბილ, ვითარცა თაფლი და საყნოსელად სუნნელ და ჰამო...“ 1—286 გვ.

შენიშვნა: ერთვის ტროპარი და კონდაკი ანდრია სალოსზე (286—287 გვ.).

(90)

90

გაბაშვილი ტიმოთე, მიმოსვლა. XIX

91 ფ. (182 გვ.); 21,5×16,6; ქალაღი (ღურჯი); ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. (ვერინიშანი: 1813). დაუწერელია გვ. გვ.: 165, 166, 177, 178, 179, 180, 181, 182.

«მთაწმიდისა და წმიდისა იერუსალიმისა მიმოხილვა».—„მარადის სასურველ დასაწყისად დავიდევ თვალთა გონებისა ჩემისათა უღირსიდ ცხოვრებულისა ამის თავისა ჩემისათს ლტოლვა...“ 5—164 გვ.

შენიშვნა: 1. ამ ხელნაწერის შესახებ ცნობები იხ. „მიმოსვლის“ მეორე გამოცემაში (ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი, 1956, გვ. 71).

2. ა. ტექსტს წინ უძღვის: შესავალი „მთაწმიდისა და წრისა იერუსალიმისა მიმოხილვა ტიმოთეს მიერ, ქართველთა მთავარეპისკოპოსისა.—სამარად საგონებელ ჩემდა იყუნეს, თუ ვითარ არა საზღვეო იყოს ზენადათს მორთვა სიტყუათა...“ 1—5 გვ.

ბ. ტექსტს ერთვის: „სიბრძნისაგ[ან] ძილოსოქოსთასა გამოწერილნი.—არა არს სიგრძე ჟამთა ყოველთავე მასწავლე. სიბრძნისა, არამედ ბუნება და ზომით მიღება საზრდელთა...“ 167—176 გვ.

მინაწერი: „კი ბი ნ ა ძ ი ს ბ ი ბ ლ ი ო ტ ე კ ი ს ა“ 1 გვ.

(91)

91

საწელიწდო საგალობლები. XVIII

646 გვ.; 14,7×10,5; ქალაღი; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; ნაკლული; მხედრული: სათაურები სინგურით; დასაწყისი ასოები მთავრულით; [XVIII] დაუწერელია: 88 241, 242 გვ.

1. „სეკედებერსა მ. გალობა, თქმული იოანე დამასკელისა, ემა ბ, გალობა ა. სძლისპირი.—მოვედით, ერნო, უგალობდეთ გალობითა ქრესა, რომელმან სასწაულითა ერი თუსი იხსნა ეგუპტით მონებისაგან ძღვევისა გალობითა, რამეთუ დიდებულ არს...“ 1—21 გვ.

შენიშვნა: ა. სათაურის გასწვრივ კიდევ ტექსტისავე ხელით მიწერილია: „ეს ძილისპირი შევთომით დავსწერე“ 1 გვ.

ბ. 2 და 3 გვერდს შუა აკლია 6 ფურცელი.

2. „თქმსა ნოებერსა კა, ტაძრად მიყუანება ყოვლად წისა ღთისმშობელისა უფალო ღალადყავზე, ჳმა ა. შენ სიტყვა.—უფლისა მიერ მოიღეს ნაყოფი აღთქმისა იოაკიმ და ანნა...“ 21—43 გვ.

3. „თქმსა დეკენბერსა კ სერობასა ზედა სამსაგალობელი ჳჲ ბ, გალობა ა. სძლისპირი.—სულად უჩუშველისა და მღელუარისა ზღვისა სამლოთობა ბრძანებითა თვისითა განმანზობელსა და წიაღმყვანებელსა მას შინა რჩეულისა ისრაილისასა ღთსა დიდებულსა გალობით უგალობდეთ...“ 43—54 გვ.

4. „დეკენბერსა კბ. სამსაგალობელი სერობასა ზედა: ჳჲ ვ გალობა ა. სძლისპირი.—მოკუშთილი კუშთს მიქ]წამულსა და ღელვათა მზრდელი ზღვისა განხმების იგი...“ 54—67 გვ.

5. „დეკებერსა კგ. სერობასა ზედა სამსაგალობელი ჳმაჲ ვ, გალობა ე. სძლისპირი.—შენდა აღვიმსთობთ მოწყალებისათჳს დაცალიერებულისა და დაცემულთა მათ მონათამდე უენებელად შთამოსრულისა...“ გვ. 67—72.

6. „დეკემბერსა კდ. სერობასა კანონი. ჳმაჲ ვ, გალობა ა. სძლისპირი.—რომელმან დაფარა ღელვათა ზღვისათა ოდესმე მძლავრი მდევარი. ბაგასა შინა დაფარულსა მოკულად ეძიებს იროდი...“ 72—87 ფვ.

7. „დეკენბერსა კე. შობის გალობა ჳმაჲ ა. სძლისპირი.—ქრისტიშობასა დახსნა ურჩებით პირულ-ქმნული, მსგავსად ღთაებისა დაბადებული, ხოლო დაბადებულმან მისმან კულად აგო პირველად ნეტარებად...“ 87—105 გვ.

8. „იანვარსა ბ. სამსაგალობელი, ხოლო მისი იგი კიდურწერილობა ჳმაჲ ბ, გალობა ა სძლის.—სლუად უჩუშველისა და მღელვარისა ზღჳსა საღთოთა ბრძანებითა თვისითა განმანზობელსა და წიაღმყვანებელსა...“ 106—120 გვ.

9. „იანვარსა დ სერობასა ზედა, ჳმაჲ ვ, გალობა ა. სძლისპირი.—მოკუშთილი კუშთს მეწამულსა და ღელვათა მზრდელი ზღვისა განხმების...“ 121—144 გვ.

10. „გალობა ნათლისღებისა ჳმაჲ ბ, უგალობსი.—განაპო სიღრმე-ადამ განხრწნილი განაახლა დღეს წყალთა შინა იორდანისათა...“ 145—180 გვ.

11. [მარხვის საგალობლები]. „შაბათს მწუხრად ჳმა ა.—გჳა დიდებული, ნუმცა ვილოცავთ ფარისევლისაებრ ჳ, ძმანო...“ 181—453 გვ.

12. „გალობა აღდგომისა ჳჲ ა, გალობა ა, სძლისპირი.—აღდგომისა დღე არს, განვიწმინდნეთ საცნობელნი და ესრეთ ვიხილოთ ნათელი უხილავი...“ 453—472 გვ.

13. „დაუფდომლის საგალობელი. გალობა ჳმა დ, სძლისპირი. ალაღე წიგნად სიტყვისა ღთისა სულეირად. სულისა მიერ წმინდისა დაბეჭდულად ვიხილა დიდებულმან ძალთა მთავარმან...“ 472—489 გვ.

14. „კვრიაკესა აღვსებისასა, რომელ არს თომას მოციქულისა მიერ, მცირესა მწუხრსა ზედა. დასდებელი, ჳმა ა.—ზეცისა განწესებულთა.—ქრისტე კაცთმოყვარეო, რომელმან დაითმინე გუშრდისა განხილვა...“ 489—542 გვ.

15. „თა ივნისსა კდ. წისა და ყდ ქებულისა ნათლისმცემლისა.—რლი იწოდე.—საშოსაგან უნაყოფოსა იშევ გამხსნელი უნაყოფოებისა გულთა ჩვენთასა...“ 542—561 გვ.

16. „თა იუნისსა კთ. წთა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი მცირესა მწუხრსა ზედა დასდებელი, მოგიცემიეს.— მოსცენ სიქადულად დღეს ეკლესიათა შენთა, ქრისტე, დამწყსად მოწაფენი შენნი...“ 561—579 გვ.

17. „თა აგვისტ[ოს] ვ. ფერისცვალების მწუხრის დიდება აწდა, ჳმა ე. სიბრძნე.—წინასწარ მომასწავებელად აღდგომისა შენისა, ქრისტე, წარიყვანე სამნი მოწაფენი შენნი...“ 579—601 გვ.

18. „თა აგვისტოსა ივ. მიცუალება ყდ წიდის ღთისმშობელისა, დედოფლისა ჩვენისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მცირესა მწუხრსა ზედა დასდებელი, მუხლი დ, ჳმა ა. ზეცისა განწესებული.—უკვდავითა და-ბინებითა ღთისა დედისათა ანგელოსთა კრებული იხარებს, ხოლო იგი წარსრულ სავანესა შინა...“ 602—645 გვ.

(92)

92

მილტონი, დაკარგული სამოთხე. XIX

252 გვ.; 19,5×16; ქაღალდი; ლიდერინგადაკრული მუყაოს ყდა; ნაკლული; მხედ-რული; [XIX ს.].

[მილტონი], „დაკარგული სამოთხე. წიგნი პირუშლი. ვჰგოდებ ურჩებასა კაცისასა, წარმწყმენდელსა, მოქმედებასა აღკრძალულისა ნაყოფისასა, დაკარგუასა სამოთხისასა და ბოროტსა. ქუშყანასა ზედა მედღესასწაულისა სიკუდილისასა, ვიდრემდის მოვიდეს ღმერთ-კაცი განჰსჯად ერთა, და კუალად შემეყვანეს ჩუშნ სანატრელსა შინა საცხოვრებელსა!...“ 1—252 გვ.

წყდება: „ისწრაფე, წარვედ აქაჲთ უშორეს! განჰზურინდი უკუშ წყეულთა ადგილთა შინა შენდა დანიშნულთა! უკეთუ ..“ 252 გვ.

მინაწერები: საცავი ფ. რ-ზე.

(93)

93

ავალიშვილი გიორგი, ჳმა ცოდვილისა. 1838

45 ფ.; 21×13; ქაღალდი; მუყაოს ლიდერინგადაკრული ყდა; მხედრული; 1838 წ. (2რ); ავტოგრაფი; მისკოვი (3რ).

„ჳმა ცოდვილისა ღმრთისადმი, იამბიკოდ თქემული თავადისა გიორგის ავალოვისა მიერ ჩელმ წელსა მოსკოვსა შინა. ჳმა ცოდვილისა ღმრთისადმი. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.—

ა. მოვედინ, სულო, დ[ა] შემოვიროთ გონება,

მოვიგოთ ღმრთისა გულსა შიშის ქონება...“ 3რ—45ვ.

შენიშვნა: 1. საცავი ფურცლის რ-ზე მიწერილია: „Из библиотеки его светлости князя Давида Грузинского в г. Москве, 1874 года, 29 апрель“.

2. 1 ფ. რ-ზე აკრავს სამოცაპიკიანი მარკა საცენზურო წარწერით „14 августа 1884г“.

3. ტექსტის ბოლოს ცენზორის ხელით აწერია: „Читал прот. Г. Хелидзе. 12 Августа 1884 г. м. Боржом“.

4. ეს ხელნაწერი გამოცემულია (იხ. გ. ავალიშვილი, ხმა ცოდვილისა ღმრთისადმი, 1884 წ.).

7. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1

(94)

94

იოანე ოქროპირი, მარგალიტი. 1795

II, 309 გვ.; 15,2×10,5; ქალღმერთი; მუყაოს ხავერდგადაკრული ყდა, დაზიანებული; მხედრული, სათაურები ასომთავრულით, სინკურით: 1795 წ. VIII. 27 (309 გვ.); გადამწერი: იერომონახი გაბრიელი (309 გვ.); ადგილი: მრავალმთის უდაბნო, ნათლისმცემლის მონასტერი (309 გვ.).

„წმიდათა შორის გამოსა ჩინისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ პატრიარხისა თქმულთაგან ღთივ შუშნიერნი[ი] სწავლანი, რომელსა ეწოდების მარგალიტი. თავი ა. მოთმინებისათჳს. — დიდ არს, საყვარელნო, მოთმინებისა მადლი და სულგრძელებისა, რათა არა სულმოკლე და მოწყინე ვიქმნებოდეთ...“ 1—307 გვ.

შენიშვნა: 1. პირველ ფურცელზე ტექსტის ხელით დაწერილია: „მსგავს არს სასუფრველი ცათა კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილთა მარგალიტთა და ჰპოვა ერთი მარგალიტი მრავალ სასყიდლისა. წარვიდა და განჰყიდა, რადცა ედვა, და შოიყიდა იგი“, 1r.

2. ერთვის „ხანდუკი წიგნისა ამის“, 308—309 გვ.

3. წთარგნელი ექვთიმე ათონელი (იხ. კ. კეკელიძე—ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941 წ. 632 გვ.).

ანდერძი: „ნამდვილვე უსასყიდლო მარგალიტი, წმიდასა ამას წერილსა შინა მდებარე სამლო მცნებაჲ, სასუფრველად აღმყვანებელი ჩნი, ყოვლადის სურვილით და ფრადის ტრფილით აღიწერა მრავალმთის უდაბნოსა, მონასტერსა ნათლისმცემლისასა, წელსა განვორციელებითგან სიტყვისა ღისა ჩღუჲ, თუშსა აგვისტოსა, რიცხესა კზ. ყოველთა მხილველთა გვედრები, მომიხსენეთ ყოველად უღირსი იერომონახი გაბრიელი. 1795, VIII. 27“, 309 გვ.

(95)

95

მხითარ სევასტიელი, რიტორიკა. XVIII

143 ფ.; 15,7×10,5; ქალღმერთი; დაზიანებული, თავშიც და ბოლოშიც აკლია ფურცლები; არა აქვს ხეშო ყდა; ქვემო მუყაოს ყდა მოვარდნილია; მხედრული; სათაურები ასომთავრულით; [XVIII ს.].

[მხითარ სევასტიელი, რიტორიკა], „...მსახურება სამეცვერმეთქუო არს შეწყობის ძალისა მიერ და შუშნიერ თქმათა თჳსთასა დამშუდებლად ნათქჳს საქმეჲ მსმენელთა მიმართ...“ 1—141v..

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი ზუსტად მისდევს H 256 ხელნაწერის ტექსტს (იხ. 8v—167v).

2. დართული აქვს: „პინაქს-სიტყუაობა სარიტორიკასა ცელღვნებისა (ესე იგი სამეცვერმეთქუოასა)“, 142r.

წყდება: „თ. თჳს ნაკუშთთა ჰაზრთასა. თჳს მიდმომოღებისა წვერისა და განკუშთილისა...“ 143 v.

(96)

96

ვისრამიანი. 1811

316 გვ.; 21,5×16; ქალაღი მოღურჯო ფერისა: მუყაოს ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; თავკახზულობა (3 გვ.); გადამწერი: იესე თუმანიოვი (1 გვ.); 1811. V. 19 (1 გვ.).

„კარი პირველი, დასაწყისი, ვისისა და რამინისა ამბავი.—იყო დიდი და მალალი სულტანი ტულულიბეგ ქვეყანასა ხვარასანსა და აღრაბაგინისასა, ლაშქარ-მრავალი, მორჭული ყოველსა სპარსეთსა ზედა...“ 3—345 გვ.

შენიშვნა: ეს ხელნაწერი გამოყენებულია „ვისრამიანის“ პირველსა (1884 წლის) და მეორე (1938 წლის) გამოცემებში.

ანდერძი: „ეს ვისრამიანი არის ისტორია ყრმთა კაცთა და ქალთა საკითხავი. აშიკო-თჳს ველოენდა მიმზიდი, ხოლო მოხუცათჳს (!) აუგია ანისი მოსმენა, რომელიცა აღიწერა კელითა თავადისა იესე თუმანიოვისაგან ესე ვისრამიანი სასაყდროსა ტფილისსკა, თვესა მაისსა 19, წელსა 1811. გთხოვთ უმორჩილესად ამის წარმოკთხვაენო, თუ რაიმე შეცდომა ჰყოფთ, ნუ დამგმობთ. რომელ არ არის გამართული და არც ჩაკითხული. იესე“, 1 გვ.

(97)

97

ნიკიფორე ხუცესი, ანდრია სალოსის ცხოვრება. XIX

270 გვ. 20×15; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 5, 6, 267, 268, 269 გვ.

[ნიკიფორე ხუცესი], „ცხოვრება და მოქალაქობა ნეტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთჳსა, გვაკურთხენ მამაო.—მმანო ჩემნო, საყუარელნო და მონანო უფლისანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა, და გაუწყო, რამეთუ არს საქმე ესე ტკბილ, ვითარცა თავლი, და საყნოსელად სუნნელ და ჰამო. და განმზადენით გულნი სმენად, რათა მე უფროს განვძლიერდე და ვიწყო თხრობად კაცისათვის საკვირველისა მოღუაწებათა და შრომათა...“ 7—266 გვ.

შენიშვნა: წინ უძღვის: „ქ. ასოთ-სამღერელი მართალი და ჭეშმარიტი, ნათქვამი დანიელ წინასწარმეტყველისაგან და აღექსანდრესა მაკიდონელისაგან და იმჯაფრისაგან ბრძენთაგან, ექიმების თქმული...“ 1—4 გვ.

მინაწერი: „ესე წიგნი ანდრია სალოსისა ცხოვრებაარის, ივანე მიტრიჩისა“, 266 გვ.

(98)

98

თომა კემფელი, მიბაძვა ქრისტესი. XIX

309 ფ.; 17×11,5; ქალაღი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მხედრული დასაწყისები სინგურით; [XIX ს.]; დაუწერელია: 1, 2, 19rv, 71r, 108v, 249v. თავკახზულობა: 13r, 70v, 72r, 109r, 250r.

„თომა კემფელი, ბერი ეკლესიერი, წესისაგან წმიდის ოქოსტინესი, ქრისტეს თანაშედგომასა ზედა. წიგნი პირველი. სავმარნი და ტუქსვანი

სულიერი ცხოვრებისათვის. თავი პირველი, ქრისტეს თანაშემდგომასა ზედა და ყოველი სოფლისა ამის ამოების გალახვასა ზედა.—რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა (იოანე 8,12), იტყვის უფალი...“ 13r—309v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. „შესაწირავი იესო ქრისტე მხსნელი ჩვენისა მამართ...“ 3r—7v. ბ. „წამკითხავთათვის.—აწუ ქრისტეს მიერ, ძმანო სულიერნო, რადგან ეს წიგნი თითქმის ყოელთ გვართ ენახედ გარდათარგმანებული არის, აწ მე ვიფიქრე, რომ ქართველის გვარი ამ მაღლისაგან არ გამოვარდეს...“ 7v—8v. გ. „ცხოვრება თომა კემფელისა“...“ 8v—11v.

2. ხელნაწერის 71v-ზე დაბატულია თომა კემფელის სურათი.

3. ბოლოს დართული აქვს: „ლოცვა ყოვლად მჭურვალე მამა ღმრთისა მიმართ სათქმელი, რომელი აღმოღებულ არს საქმეთაგან თომა კემფელისა და ამა ადგილსა შინა ჩართული...“ 302v—300r.

4. „წიბაძვა ქრისტესი“ შედგება ოთხი წიგნისაგან.

ანდერძი: „სრულ იქმნა მეოთხე წიგნიცა სადიდებლად იესოსი და მარიამისა“, 309v.

მინაწერი: 108r.

(99)

99

ტიბიკონი. XIX

219 ფ.; 17,5×11; ქაღალდი; დაშლილი, ნაკლული (აკლია თავში, ბოლოში და შიგაც); ხის ტყავადაკრული ყდა; მხედრული, სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით; [XIX ს.]; დაუწერელია: 42rv.

[ტიბიკონი], „...ქეშმარიტად უფალი არს ადგილსა წმიდასა ამას, ხოლო მე არა უწყობი...“ 1r—219v.

წყდება: „...ჰ ი, ღმერთო ჩემო, მითვალე (!) შეწირვა ეგე და შენის სახიერებითა შეასრულე იგი, რაიც აკლია კულავად...“ 219v.

მინაწერები: ქვედა და ზედა ყდის შიდა გვერდებზე, სომხური მინაწერი 187v-ზე.

(100)

100

კრებული. 1787

196 გვ.; 20×16; ქაღალდი; ტყავადაკრული ბუყაოს ყდა; მხედრული: 1787. VI. 17 (172 გვ.).

1. „მიმოსვლა ბარონა დე პოლნიცასი, აღწერილი ისტორიულის და ლეოლრაფიულის გვართ თვით მისგანვე, ტომი პირველი, თარგმნილი რუსულით ქართულსა ენასა ზედა არხიდიაკონის გაიოსის მიერ მოსკოვს 1776 წელსა, ივნისის 25. წიგნი პირველი.—უფლისადმი დე... კელმწიფეო ჩემო, სიცოცხლემან, რომელიცა განვაგრძელე მე პარიჟსა შინა, შენაწუხა...“ 9—172 გვ.

შენიშვნა 1. წინ უძღვის: ა. „მათს უგანათლებულესობას მეფის ვახტანგის ძეს გიორგის, ლენერალ ანშეფს, ალექსანდრე ნეკსის და წინდის ანნას ორდენის კავალერს, უმოწყალეს კელმწიფეს.“

უმოწყალესო კელმწიფეო, არარად არს ესრეთ ტკბილ, ვითა სიყვარული მამულისა. ესრეთ სასურველ, ვითა მსახურება უფალთა, და ესრეთ პატიოსან, ვითა ერთგულობით ჩვენება თანამდებობისა უფალთადმი თვისთა. და ეინადგან ძვირ: ფასობსა მოქმედება საქმისა შესაბამსა დროსა და უფროსლა მაშინ, ოდეს ნიფთ

ითხოვდეს, ამისთვის ველ-ვჭყავ გარდმოღებად წიგნისა ამის სახელსა ზედა თქვენისა უგანათლებულესობისასა, ხოლო უფროსად მიზეზი ჩემისა ამის კანდიერებისა იყო პორფიროვანისა გვარობითისა თქვენისა სიბრძნისმოყვარება და დიდებულისა მამულისა თქვენისა მეცნიერებისა სურვილი, ვინათგან უგანათლებულესობა თქვენი თულად მეორედ სიბრძნისად რაცხს ისტორიასა. გარნა უმწვერვალესი ბედნიერება ჩემისა აჰის შრომის ესე არს, ვინადგან შემძლებელ ვიქმენ სამარადისოსა მსახურებისა ცხად ყოფასა თქვენისადმი უგანათლებულესობისა და უფროსა მაშინ, უკეთუ სათნო იქნება მიღებად მფარველობასა ქვეშე თქვენსა, რომლისათვისცა თქვენის უგანათლებულესობის სამსახურსა და ღთისადმი თქვენის ბედნიერობის ლოცვასა შინა ვეგები საუკუნოდ. უზოწყალესო კელმწიფეო, თქვენის უგანათლებულესობის უკანასკნელთაგანი მონა და მლოცველი გ[იოანისი]“ (3—5 გვ.).

გ. „წინასიტყვაობა“ (7—8 გვ.).

2. „მომოსვლა“ შედგება 2 ტომისაგან. I ტომს, რომელიც შეიცავს 2 წიგნს, ბოლოს მიწერილი აქვს: „გაგრძელებასა ჩემისა სიარულისასა მოგახსენებ მეორესა შინა ტომსა, ესრეთვე დასრულებასა ჩთა შემთხვეულთა საქმეთასა დავეგები, კელმწიფეო ჩემო, თქნს უმდაბლესად და სარწმუნოდ მოსამსახურედ კარლ ლუდოვიკი ბარონ დე პოლნიცი, კორსიკას 1710 წელსა, აგვისტოს 7-რიცხვს“ (104 გვ.). II ტომიც შეიცავს 2 წიგნს. მეორე წიგნის ბოლოს მიწერილია: „კელმწიფეო ჩემო, თქვენი უმდაბლესი მოსამსახურე კარლ ლუდოვიკი ბარონ დე პოლნიცი. თებერვალს 17-დღეს, 1722 წელს“ (172 გვ.).

ანდერძი: „აღსრულდა იენისის 17, წელსა 1787“ (172 გვ.).

2. „გოდება დავით გურამის შვილისაგან, საწუთოს სოფლის გამოტირილი. —

გული ღონდება, ვიწყო ბოდება, ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო.
ბორგვნა, ბოდება, რაც მაგონდება, ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო...“
175—178 გვ.

წყდება: „მისთვის თვის (!) მწუხარე, აწ გამახარე, ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო,
და თვალით მაჩვენე, ნუ შემაჩვენე! ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო“
178 გვ.

შენიშვნა: ლექსი ნაკლულია (იხ. დავით გურამიშვილი. დავითიანი. IX გამოცემა, 1955 წ. გვ. 226—229).

3. [ლექსი]. — „ქ. ღმერთი არს თავი ყოველთა დასაბამ დასაწყისისა, არაარსისა არს მქმნელი, ცხოველად მქმნელი მყისისა...“
179—181 გვ.

4. „თარგმნილი კნიაზ ალექსანდრეს მიერ ქავკავაძისა ქურდ[ის] და ძაღლის ისტორია. — ღამეს ერთსა შეხვდა ქურდი მგლეღი საქურდლად სახლსა მდიდრისა კაცისასა, რომელსაცა ჰყვა ძაღლი, რომელიცა ჰვარვიდა სახლსა მისსა...“ 185 გვ.

შენიშვნა: 1. გამოცემულია, იხ. აღ. კავკავაძე, თხზულებანი ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1946 წ. გვ. 168 („ქურდის და ძაღლის ისტორია. ეზოპიდან“).

2. ხელნაწერი აღწერილია, იხ. Такашвили, Описание рукописей... ტ. II, გვ. 478.

მანაწერები: 106, 173, 183, 186 გვ.

კრებული. XIX

(101)

112 ფ.; 31×20,5; ქაღალდი: დაზიანებული, ნაკლული, დაფურცვლილი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მხედრული, სათაურები და დასაწყისი სიტყვები სინგურით; [XIX ს.]; ქვირნიშანი: 1801, 1804.

1. [ფავლენიშვილი, ვახტანგიანი]. —
... გულმან მითხრა: თუ მწვე მსურის,

მე წასწავლე სიბრძნის გზანი,
გონებისა მონდომებით არ მაქვს სიტყვის უკუთქმანი,
ესწვრთენ მას ღთი, სრულადა სცან სამ ხატოვნად სამებანი
და ამით ყველას აღასრულებ, ვინ მისთვის ქნა წამებანი...“ 1—25 ფ.

შენიშვნა: „ვახტანგის“ ეს ნუსხა საფუძვლად დაედვა გამოცემას (იხ. ს. ყუბანეი-შვილი, ვახტანგის, „ლიტერატურული ძეგანი“ IV, 1948 წ., გვ. 175—219. გამოცემაში ვახტანგის ეს ტექსტი აღნიშნულია B ლიტერით).

2. „ქ. ვიწყო ლექსთა ღარიბთა და მუნასიბთა აღწერად, ნათქვამი ღთივ გვირგვინოსანისა მეფისა პატრონის თეიმურაზისა, კეთილ სასმენელი და ტკბილ საამოვნო, მსმენელთა და მკითხველთათვის საძებარ-სათარგმანებელი, სუფრისა და ლხინისა დიდად შესამკობელი. —

კულავცა მითქვამს სიტყვა უქმისა, პატიემან შექაშინაო.
ყოველნი გავლით სოფელსა, არვინ დარჩების შინაო.
კარი დაგვეხმას საძლოსა, გვესმას: ნუ მოხვალ შინაო
და სულია არ გამსვენებლო მსგავსად პირუტყუთა მშვინაო...“
26r—30v.

შენიშვნა: თეიმურაზ I ეს „მაჯამა“ გამოცემულია (იხ. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფ. 1934 წ., გვ. 113—116 და 125).

3. „ქ. ერთი ქალი იჯდა, თავის შვილს არწევდა და ნანას ეუბნებოდა: მამა შენი—მამაჩემი, პაპა შენი—ქმარი ჩემი, შენ ძე ჩემი, მე და შენი. ეს იგავი ლოთისა არის, რომ სოდომის დაწვას უკან ეს საქმე მოხდა“ 30v.

4. „ენა მწარე, ენა ტკბილი, ენა მოკლე, ენა გრძელი,
ენა სევდის უკუმყრელი. ენა ქვეყნის შე-ცა-მძრველი...“ 30v.

5. [ლექსი].—„ქ. ვევედრები შემოქმედსა, სხვა ვიგონო მე აბა რა, ვინცა შექმნა ზღვა და ხმელი, ერთმანერთსა მიაბარა...“ 31r—35r.

6. „ქ. აქა პირველი დასაწყისი სპილენძის ქალაქისა.—
ბძანეთ, სიავე ვის არგებს, ვინც იყოს ბრძენთა თქმულია,
ნახეთ სპილენძის ქალაქი სოლომონისგან ქმნულია...“ 35r—64v.

შენიშვნა: „სპილენძის ქალაქის“ ამ ხელნაწერის შესახებ იხ. კ. ავალიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II. თბ. 1952 წ., გვ. 340—343.

7. „ქ. წიგნი და ქება დიდის მოურავის გიორგის, თქმული ლექსად ტფილელის იოსებისაგან. ღმერთო, წარმართე ქმნული ხელთა ჩემთანი და ხელი მოუმართე მწერალსა.—

მეფესა ქართლის ცხოვრება ებრძანა გალექსულობით,
ზოგი რუსთელისა ბასი, კახთ მეფის საქმე სრულობით...“
65r—112v.

წყდება: „მეც შევიქმენ ენა ყბედი, სოფლის სიტყვის მას წამთქმელი...“ 212v.

შენიშვნა: თბილელის „დიდმოურავის“ ტექსტი გამოქვეყნებულია გ. ლეონიძის რედაქციით 1939 წ.

ანდერძი: 1. „აღიწერა წიგნი ესე დიდმოურავიანი სრული და უნაკლებო, ას თორმეტი ფურცელი არის, ზედგინიძის ქალის ნინოსაგან“ (ნუსხური). ზემოყდის v.

2. „ქ. დედაო ლთისაო, მარამ ქალწულო, ამის დამწერი ცოდვილი და მბეველი შენი ზედგინიძის ასული ნინო და დედა მისი ივანეძის ასული სოფიო იხსენ. საუკუნოს სატანჯლისაგან და ყოველის გასაცდელისაგან[ნ]. და ყოველთა გვედროით, ვინც წაიკითხოთ ეს წიგნი, შენდობა უბძანეთ მწერელსა, ამინ“, 25v.

მინაწერები: ზედა ყდის v, ქვედა ყდის r, 25v, 30v.

(102)

102

ვისრამიანი. XIX

168 ფ.: 34.5×22; ქალაღი: ტყავადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მხედრული სათაურები სინგურით; [XIX ს.]; დაუწერელია: 2r—6r, 163r—168r.

„კარი პირველი დასაწყისი ვისისა და რამინისა.—იყო დიდი და მაღალი სულტანი ტულულბეგ ქუეყანასა ხეარასნისა და ადრაბაგანისასა, ლაშქარ მრავალი, შორქმული და აღსრულებული ყოველსა სპარსეთსა ზედა...“ 8r—160r.

შენიშვნა: 1. ტექსტს ერთვის: „საძიებელი წიგნისა ამის ვისრამიანისა“ 161r—162v.

2. ხელნაწერში პ. უმიკაშვილის ხელით მიწერილია: „ეს ხელნაწერი ეგზემლარი ვისრამიანისა რედაქციობის დროს, 1884 წელს. დასაბეჭდის ტექსტისათვის შესადარებლად ხელში ჰქონდა რედაქციას, რომელშიც იყვნენ ილია ქავჭავაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი და მე. პეტრე უმიკაშვილი. აღმოჩნდა ეს ეგზემლარი ფრიად შეცვლილი და შერყვნილი. პ. უმიკაშვილი“, 160r.

3. ტექსტის ბოლოს მიწერილია:

„მწერალი ჰმურების ფასისა მორეწუად ასაღებლად.

თუისის თფლითა მომჭირნე ცხოვრების განსაგებლად.

გარნა ზოჯთ არ აქუსთ ჩაკითხუა სიმართლის მოსაგებლად,

და სხუისა შრომისა მიმცემი, ვითა ვჰსთქუა მე საქებულად“ 150v.

4 ეს ხელნაწერი გამოყენებულია „ვისრამიანის“ უკანასკნელი გამოცემისათვის. (იხ. ვისრამიანი. აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ტფ. 1938 წ., გვ. XVIII).

(103)

103

გურამიშვილი დავით, კრებული 1822

170 ფ.: 33×22.5; ქალაღი: ტყავადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მხედრული სათაურები სინგურით; 1822. III. 13 (154r); გადამწერი დავით რექტორი ალექსისძე (154r); დაუწერელია ფ. ფ. 27r—v, 154—170rv;

„დაწყება პირუშლი, თავადის დავით გურამიშვილისაგან თქმული ქართველთა მეგვართომობის იგავი.—

ღმერთო, რომელსა გქონანვე არსის საყდართა ჯდომანი,

რომელმან მოეც მიჯნურთა ტრფილთა სურვის ნდომანი...“

8r—147v

შენიშვნა: 1. ხელნაწერს ერთვის: „საძიებელი წიგნისა ამის“, 149r—154r.

2. ხელნაწერი აწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (Описание рукописей... ტ. II, 175—176 გვ).

3. დ. გურამიშვილის ლექსთა კრებულის ეს ნუსხა ზედმიწევნით მისდევს ავტორგრაფს (S-1598). გამოკემაში (დავით გურამიშვილი, დავითიანი 1955 წ.) იგი შესულია C ლიტერით.

ანდერძი: „მისმან ბრწყინვალეობამ სტატუსის სოვეტნიკმან და კავალერმან თავადმან გიორგი თუმანოვმან მიბრძანა ამ წიგნის გარდაწერა და გარდუწერე. ღმერთმან მშვიდობასა და დღეგრძელობასა შინა მოახმაროს. ამ წიგნს საძიებელიც მე გაუკეთე. მაღალკეთილშობილი ალექსისძე რექტორი დავით მარტს 13, წელსა ჩუკბ, ქკს ფი“, 154r.

(104)

104

მარხვანი. XVII

325 ფ.; 31×28; ქაღალდი; დაზიანებული, თავსა და ბოლოში ნაკული; ხის ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; ნუსხური, სათურები სინგურით; [XVII ს.];

[მარხვანი]. „... ოხითა წიწა ღისმშობლისათა, მაცხოვარ, გცხ (!) ხუთშაბათსა ოხითა წმიდათა ზოციქულთა შენთათა ...“ 1—325r.

წყდება: „და სიტყვაჲ იგი ჯორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩნ შორის, და ვიხილეთ დაბაჲ მისი, ვითა მხოლოდშობილისა მამისა მიერ, სავეს მადლითა და ქეშმარიტებითა. იოანე წამ...“

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტს ბოლოს დართული აქვს 4 ეტრატის ფურცელი, ასომთავრულით ნაწერი, რომელიც წარმოადგენს ძველი ქართული ხელნაწერი ბიბლიის ფრაგმენტს (იხ. ილ. აბულაძე „ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფრაგმენტი. სტალინის სახელობის თბილისის საჯლანაწიფო უნივერსიტეტის შრომები, XVIII თბ. 1941).

მანაწერები: გადამწერის ხელით: 1. „ქობულიძესა გერმანეს ცოდვანი და ბრალნი მისნი შეუნდგნეს ღმერთმან, ამინ“, 53r.

2. „დოფის ძესა ქსენიფორეს შეუნდგნეს ღმერთმან, კარგა, მპატრივჲ“, 216r.

მინაწერები გვხვდება აგრეთვე: 181r, 211v, 236v; 187v-ზე მოთაკებულია ბერძნული მინაწერი.

(105)

105

დავით ალექსიშვილი (რექტორი), კრებული. 1825 წ.

158 ფ.; 32×22; ქაღალდი; ხის ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული, სათურები და დასაწყისი სიტყვები სინგურით; 1825 წ. (143v); ავტორი და დამწერი დავით რექტორი ალექსისძე (143v); დაუშერელია: 1—7 ფფ. 8v, 125v 144 r, 149v—158v;

[კრებული]. 1. „სრულიად საქართველოვანსა ანუ სრულიად გიორგიისა, და ივერიისა ამერ-იმერთა თვთმპყრობელისა დიდისა მცფაჲსა თამარისა დავითიან-პალკრატოვანისა (!), მეფის გიორგის ასულისათჳა შესხმად თქული იროიკონი ესე ოცდაათ მუხლედნი, თითონი ხუთ-ტაეპოვან ათორმეტ მარტულოვანნი სიბრძნის-მოყუარისა, მაღალკეთილშობილის ალექსისძის და სრულიად კახეთის სამეფოს რექტორისა და სამეცნოთა მოძღურად მასწავლელისა დავითის მიერ წელსა ქქესსა 1811. თთჳსა აპრილსა 12-ქმა დ. სამსახეობა. — ანტილატიკოსთა ყოვლადჳ მრუმანთა

პსიხებთა, ორბით მცურულთა პელელოდნი...“ 8r—12v;

2. „იამბიკო მეფის ირაკლის შესხმად.—

ირაკლი მზემან, ყოვლად უძლეველ, მკნემან,
რიტორმან, მქვერმან, შუშნიერ გამომოქმედმან...“

13r—14v.

შენიშვნა: იამბიკოს წინ უძღვის სინგურით ნაწერი დ. რექტორის ცნობა: „როდესაც ლამამატიკას ვკითხულობდი, დია პატარაც ვიყავ და მაშინ დიდმა კათოლიკოსმა, მეფის იესეს ქემან ანტონი მიბრძანა: მისის სიმაღლის მეფის ირაკლის ქება იამბიკოთი ჰსთქვიო, და მაშინ ვჰსთქვი მე, კეთილშობილმან ალექსისის ქემან დავითმან, რომელი ორმოცდახუთისა წლისა განვლისა ვიქმენ სრულიად კახეთის სამეფოსა რექტორად, სახელწოდების დღესა მარტსთ, რომლისა კიდურწერილობა არს ესთა „ირაკლი სიმკნედ ქებული, მეფობით, სახელდებული“. სამსახეობა ჯმა დ“, 13r.

3. „იამბიკო მეფის ირაკლის შესხმად.—

პოვნა ვჰყოთ ქებათ აღმონამორჩის მტილის,
განვჰკარგოთ წესით მებრ თილოსოფოსთ... 14r v.

შენიშვნა: იამბიკოს წინ უძღვის სინგურით ნაწერი დ. რექტორის ცნობა: „თქმული მაღალკეთილშობილის ალექსისის ძის დავითისა განჯამსა სიყრმისასა. როდესაც რატორებს ვჰსწავლობდი, მაშინ ეს შესხმა მეფეს ირაკლი მეორეს მოვახსენე დღესა სახელწოდებისა მისისასა მარტსთ. ჯმა დ. ლოცუამან ანნა“, 14r.

4. „შესხმა მეფის გიორგისა.—ხედუასა შინა უწულილესსა შესრულთა და გონებისა სამყაროთა ფრიად მოაჰაზრეთა ძულთა სხოლასტიკოსთა განსაზღურეს რა გამოჩინებით, ვითარმედ სახენი არიან ვნებისანი...“ 15r—18r.

შენიშვნა: შესხმას წინ უძღვის სინგურით ნაწერი დავით რექტორის ცნობა: „მის უმაღლესობას, სრულიად მეფესა გიორგის მეთასამეტესა, მეფის ირაკლი მეორის ძეს მივართუამ კინისა ამას შესხმასა მილოცვთსა მეფობისასა მაღალკეთილშობილი ალექსისის ძე და კახეთის სამეფოს თელავის ქალაქის სემინარიის რექტორი სიბრძნის მოყუარე დავით თთუშსა ფებერუარსა, რიცხუსა კბ, წელსა ჩღჟს, ხოლო ქართულსა ქორთონიკონსა ზედა უჰვ“, 15r.

5. „ცერემონია, გინა წესი და რიგი მეფის ირაკლის მიცუალეებასა ზედა წარღებასა ცხედრისასა.—ბოლოდამ დაიწყების ტირილი და გლოვა. პირუშლად—წინ თოფხანა, ზარბაზნები თავისის ყუთებით, თავის დროშით და თავისის ამალით გაწყობილნი; აგრეთვე ბალაბანჩიკები და სალამურთა დამკურელნი. წეს-დგომით—წინ აფიცრები, უფროსნი თავს და უმცროსნი ბოლოს, ჯმალ აპოლებულნი და ქვე ჯმალდაშეგებულნი...“ 19r—26r.

შენიშვნა: 1. „ცერემონიის“ ტექსტს წინ უძღვის დ. რექტორის ცნობა: „წელსა განწორციელებითვან სიტყვსა ღისა ჩღჟს. თთუშსა იანუარსა, რიცხუსა ია, დღესა ორშაბათსა, ჯამსა განთიადისასა მაცუალეება სანატრელისა, დიდებულისა და მემკვდრისა სრულიად საქართუშლოვსა და სხუათა და სხუათა მპყრობულისა მეფისა ირაკლი მეორისა, ძისა ცხებულის მეფის თეიმურაზისა, კახეთის სამეფოსა შინა ქალაქსა თელავს. სამეფოსა პალატსა შინა, რომლისა საუკუნო იყავნ სუფევით ნეტარება, ქართულსა ქორთონიკონსა ზედა უჰვ. მისის უმაღლესობის სრულიად ზემოასა საქართუშლოვს მპყრობელის მეფის ირაკლი მეორის ცხედარს ამ კანონით და ცერემონიით უნდა შეუდგნენ სამეფო სამკურთო ხარისხი და სამლუდლო დასი. ესე უჰჟ ცერემონია ქმნილი, დაწერილი, მოგონილი და გაკე-

თებული არს მისის მაღალკეთილშობილების ალექსის ძის, სიბრძნის მოყუარის და სრულიად კახეთის სამეფოს თელავის ქალაქის სემინარიის რექტორის დავითის მიერ“, 22r.

2. „ცერემონიის“ ტექსტს ბოლოს დართული აქვს ანტონ 11-ის ბრძანების პირი: „ამის უკუშ წესთა ცერემონ-მეისტრად დაიდგინა ჩვენ მიერისა ბრძანებითა მისი მაღალკეთილშობილება ალექსოვი ალექსის ძე რექტორი დავით თთუშ-სა იანვარსა, რიცხუსა 14, წელსა ჩლჟს, ქ[ორთინ]ქ[ოქს] ჟავ. გელმოწერილი და ბეჭედი—სრულიად საქართველოს დედოფალი დარეჯან. გელმოწერილი და ბეჭედი—მისი უწმიდესობა კათოლიკოს-პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი“, 25r.

6. „წესი და განგება კურთხევისათჳს მეფისა დროსა, თუ ვითარ დაჰსხდენ მლუდელთ-მთავარნი სრულიად საქართუშლოჲსანი...“ 27r—28v;

7. „იმერეთის მეფის დავითის შესხმა.—

მადლი, რომელი ყოველთა არსთა ზედა

ერთებრ მისრული ერთისა უზადოსგან...“ 29r—30r.

შენიშვნა: 1. „შესხმის“ ტექსტს წინ უძღვის: „მისი სიმაღლეს, სრულიად იმერთა მეფეს დავითს გიორგის ძეს რვა მუხლედთა იამბიკოთა შესხმად თქმულთა მოგართუაჲ თქვენის სიმაღლის მონა, მაღალკეთილშობილი ალექსის შვილი ალექსის ძე, სიბრძნის მოყუარე დავით, რომლისა კიდურწერილობა არს ესთა: „მეფესა დავითს შესხმით უგალობ ალექსისძე დავით“. ჳმა დ. ლოცუჲმან ანნა“, 29r.

8. „ოკდომბერს იჴ. ყოვლისა საქართუშლოჲსა მეფის იესეს ძის ანტონის კათალიკოსის შობისა დღესა შესხმად თქმული სიბრძნისმოყუარის მცირის დავითის ალექსისძისაგან. იამბიკონი რვა მუხლედნი, რომლისა კიდურწერილობა არს ესთა: „დავითთ ბუტკავს ძირებსა, ვინ დღესა განიკურებსა“. სამ-სახეობა ჳმა დ.—

დღეს დაძნობს დავით სულითა ცხოველითა,

ალტყუშლავს, ახალს აებნებს სიხარულსა...“ 30v—31v.

9. „მეფის იესეს-ძის ანტონი კათალიკოსის შესხმა.—

დღეს მქუსელი მექმი შენივ თავს სამეთქუოსა,

ალიგონებებს წინარსა საგონისა...“ 32r.

შენიშვნა „შესხმას“ დართული აქვს დ. რექტორის ცნობა: „ოკდომბერს იჴ, ყოვლისა საქართუშლოს მამათ-მთავრის მეფის იესეს ძის ანტონის კათალიკოსის შობისა დღესა შესხმად თქმული სიბრძნის-მოყუარის მცირის დავითის ალექსის ძისაგან, იამბიკო რვა მუხლედნი, ჳმა დ. ლოცუჲმან ანნა, რომლისა კიდურწერილობა, საშუალწერილობა და აკროსტიხორნი არს ესთა: „დავით მტილს სარნა, ზამბაჲა სცუარნა, ზეს ბუტკაჲ ფარნა, დღეს ძნობით ქნარნა“, 31v.

10. „შესხმა მეფის იესეს ძის ანტონი კათალიკოსის.—

ველჲან კაზმილჲან განიკრთო მოელუარედ

იგურდივად მორთხმით სრულება კეთილობით...“ 33r—34r.

შენიშვნა: 1. „შესხმას“ წინ უძღვის სინგუზით ნაწერი დ. რექტორის ცნობა: „ოკდომბერს იჴ, ყოვლისა საქართუშლოს მეფის იესეს ძის ანტონის შობისა დღესა შესხმად თქმული სიბრძნის-მოყუარის მცირის დავითის ალექსის ძისაგან, იამბიკო ხუთმუხლედნი, რომლისა კიდურწერილობა არს ესთა: „ვინ დასცა ქნარი, მან აკრთო ცუარი“. სამსახეობა, ჳმა დ“, 33r.

2. „შესხმა“ შეიცავს 5 სტროფს.

3. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „წელსა ჩლოვ, 1773, ქკს უად“, 34r.

11. „მეფის ირაკლის ძის ანტონი კათოლიკოსის შესახება. —
უსხეულოთა ყოვლადთა სამყაროსა
უწულილესისა თეორეტიკებრ მკედთა...“ 34r—36v.

შენიშვნა: 1. „შესხმა“ წინ უძღვის სინგურით ნაწერი დ. რექტორის ცნობა: „უწმიდესსა და უნეტარესსა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხს მეფის ირაკლის ძეს ანტონის უმდაბლესი მონა აღექისის ძე დავით შესხით უგალობ ირაკიოთა ამით ხუთ-ტაეპოვან ორ ათეულთა. ჳმა დ, სამსახეობა“, 34r.
2. შესხმა შედგება 20 სტროფისაგან.

12. „მისს უგანათლებულესობას სრულიად საქართველოს მეათცამეტის მეფის გიორგის ძეს. უგანათლებულესო კელმწიფევ, კეშმარიტო მემკვდრევ, ბატონისშვილო დავით.—თვთ შენუშ უგანათლებულესო, ცინადგან მოგცეს ძულთა ელინთა ესეგუარნი ცნობანი, რომელ ნამყოთა ქმნილთა და წარსულთა საქმეთა აწყოთა შინა ძალ-გედუა განახლებად. რომელი ესე ხსწავე გონება მკუჭთრმან და განათლებულმან გულისკმის-ყოფითა...“ 36r—41v.

შენიშვნა: წერილის ბოლოს მიწერილია: „თქუშნის უგანათლებულესობის უკანასკნელი მონა, თქვენი მოძღუარი, სიბრძნისმოყუარე აღექისის ძე დავით. ოკონმბერს 6, წელსა ჩღბთ“, 41v.

13. «დავით რექტორი», „მეფის ძის ვახტანგის შესახება. —
ვინადგან უკუშ სიბრძნისა არარა არს
უსაწადელეს ხედვსა სამყაროსა...“ 42r—45r.

შენიშვნა: 1. „შესხმა“ წინ უძღვის სინგურით ნაწერი დ. რექტორის ცნობა: „მისს უგანათლებულესობას საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ძეს ვახტანგს, რომელსა სხუშბრცა სახელ-ედუა აღმასხან, შესხით უგალობ მალაკეთილშობილი სიბრძნისმოყუარე, სამეფოსა კახეთის სემინარიის რექტორი აღექისის ძე დავით ირაკიოთა ამით ორ ათეულ ერთსა ქალაქსა შინა თელავს, სამეფოსა პალატსა სეპინარიასა შინა, თთუშსა ფებერუალსა. რიცხუსა 16, წელს 1791“, 42r.

14. „გერმანე ბერის ქობულოვისა, სვიმონ მდივნის ძისა. —
განიმკედლარე სულისა ძალთა შინა...“ 45r v

შენიშვნა: 1. ამ იამბიკოს წინ დართული აქვს დ. რექტორის ცნობა სინგურით ნაწერი: „ეს იამბიკონი მე აღექისოვმა აღექისის ძემ, მალაკეთილშობილმან რექტორმან დავითმან ჩემს მოწაფეთ მოვახსენებინე ვახტანგ ბატონის შვილისათჳს თელავს სკოლაში, მარჯუნივ და მარცხნივ თქმითა, თითო-თითოს მიმოგდებით. ახლად იყო ჰსწავლის დაწყება და ესენი გავუყე-თე. ჳმა დ, სამსახეობა“, 45r.

15. „მერაბ ენდრონიკას შვილისა. —

თვით ბუნებითა უგანათლებულესო,
უბრძნესო, ჰვედავ ჩემს-არე უსრულებას...“ 45v.

16. „იოსებ, ალავერდის დეკანოზის ძმისწულისა. —

მეცა მჰკმობელი ლიტონთა გულის-ზრახუათ,
ვინა გვიხილენ სიტყუთნი მცენარენი...“ 45v.

1 დ. რექტორის ეს ცნობა ეხება მომდევნო 11 ლექსს (14 დან 24-ის ჩათვლით).

17. „ნიკოლოს, გიორგი დეკანოზის ძისა.—
უვიც და უსრულ, გარნა მადიდი შენის,
ვითა რა ძალ-მიძს, უგანათლებულესო...“ 46r.
18. „იოელ, გარეჯლის დავით კანდელაკის ძისა.—
მოვედ, იხილენ, მამამან მვნემან ჰყო ეს,
სიბრძნით შემზადნა მეფემან უმაღლესმან...“ 46r.
19. „ვასილი, შიო მღუდლის ძისა.—
დაემტკიცენინ სახლი ეგე სიბრძნისა,
აღშენებული ზროდ, შენადგი ყოვლადი...“ 46r.
20. „იოანესი, დავით რექტორის გასდილის, გესამანიელის გიორგის ძისა.—
უტევი ვინმე მომრთმევი თქუშნისადმი,
გულის ლაკნითა ქებისა მომძლუნანები...“ 46v.
21. დავით მიქელის ძისა.—
ჩუშნ მიერ შესხმა უსრულოჲ, უფერო
მიიღენ ესთა, ვინადგან უმეცარნი,
ჯერეთ უწურთნელნი ვიშიშვით წარმოდგომად...“ 46v.
22. „გიორგი მუხრანბატონის ძისა.—
მიხარის, რომელი თქუშნისა დიდებისა
განვიციდი მრავლად სურვილითა სრულებით...“ 46v—47r.
23. „ბექან თანიას შვილისა.—
აღმღები ჳმათა მეცა ესგუარ მვმობელი,
ვინადგან ბნელნი აქა მოსულით შენითა...“ 47r.
24. „კუალად გერმანე ბერისაგანვე დასასრულ მადლობად თქმული.—
ერთებრ ვმა-ქმნილნი ერთითა-რე პირითა,
სწავლის შინანი ყრმანი გონებითავე...“ 47r.

შენიშვნა: ამ იამბიკოს შემდეგ მიწერილია: „ფებერუალს 16. წელსა 1791“.
ეს თარიღი უნდა ეკუთვნოდეს ყველა იმ იამბიკოებს, რომლებიც დავით რექტორის
მოწაფეებმა შეთხზეს.

25. „ალექსის ძის დავით რექტორის მიერ სიტყუა ძნიად აღმო-
საცნობი.—ვინადგან უკუშ განნაწილდა ორ კერძოდ, ხოლო კერძო იგი
პირუშლისა მეორე იქმნა განწუალულ ორკერძოდუშ...“ 47v.

შენიშვნა: 1. წინ დართული აქვს დ. რექტორის შემდეგი ცნობა: „როდესაც
მეფემან ირაკლი მეორემან სრულიად კახეთის რექტორად დამადგინა, ესე
იგი სამეცნიეროთა მოძღურად ქალაქსა თელავს, სასახლესა შინა პალატსა სამე-
ფოსა, ხოლო სემინარიასა შინა ესე სიტყუა ვიმოდღურე და კედელთა სემინარიისა-
თა ძეგლად დავკიდე, რათა მუნ შემავალთა განემარტათ“, 47v.

დ. რექტორის ამ „სიტყუას“ თარიღად მიწერილი აქვს: „იანვარს ზ, ქ[ორონი]-
კ[ონ]ს უოზ. დავით რექტორი“.

26. „საბას ქებად ნათქუამი ნეკრესლისაგან.—
ვერვინ შეჰკადრებს გიობას, თუმც შეკრბენ ბრძენნი ასეგი,
შეგისომს სავეს სიბრძნისა ფიალნი, გინა თასები...“
47v—48r.

შენიშვნა: „ქებას“ წინ დართული აქვს დ. რექტორის ცნობა: „ნეკრე-
სელს დოსითეოსს ეთქუა ლექსი ოთხი ტაეპი საბა ორბელიანის ქე-
ბად. ლექსიონზედ დაეწერა და ლექსიონის შრომისათვის ექო“, 47v.

27. „ნეკრესლის ქება, ნათქუამი ორბელიანის მშეკაბუკ მდივან-ბეგისაგან.—

ბრძენო დოსითე ჩერქეზო, მცნობო ზენავე აასა,
ვპრცელ-გულო, ენა-მალალო, დამხედო არსთა აასა...“ 48r.

28. „კეთილშობილის დავით რექტორის ალექსიის ძისაგან ნათქუამი დოსითეოს ნეკრესელ ზედ ქებად,—

მინერვისა მეტალთაგან აწთობ გნომით სტიხთა ბრძმედ-სა...“ 48r.

29. „მისს უგანათლებულესობას საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ძის ძეს ბატონის შვილს დავითს შესხმით უგალობ ალექსიის ძე რექტორი დავით იროიკოთა ამათ ორ ათეულთა, ჯმა დ, სამსახეობა.—

აღმცისკამარი ჰაერთა გონებისთა,
რომელი იგი სულითა მობერვილთა...“ 48r--51r.

შენიშვნა: „შესხმას“ ბოლოს მიწერილი აქვს: „მისის უგანათლებულესობის უქვე-ნავის მონა მაღალკეთილშობილი ალექსოვი ალექსიის ძე, თელავის ქალაქის სემინარიის რექტორი დავით. თთუშა აპრილსა, რიცხუსა 2, წელსა 1791“, 51r.

30. „მერაბ ენდრონიკა შვილისა, მეფის ძის დავითის შესხმა.—

აჰა, რომელი ვითა არის შემოსლუა,
ეგრეთ შევნიერ მრავლის ჰაეროვნებით“ 51r.

შენიშვნა: 1. შესხმას წინ დართული აქვს სინგურით ნაწერი დ. რექტორის ცნობა: „მისს უგანათლებულესობას საქართუშლოს ირაკლი მეორის მეფის ძის გიორგის ძეს დავითს შესხმით უგალობთ იროიკოთა ამათ თელავს ქალაქსა შინა, სამეფოსა პალატსა სემინარიასა ზოგად მოწაფენი ალექსიის ძის დავით რექტორისანი. აპრილს ბ, წელსა 1791. ჯმა დ, სამსახეობა“, 51r.

2. „შესხმა“ შედგება 15 სტროფისაგან, თვითეულ სტროფს ყავს ცალკე ავტორი, გარდა ენდრონიკა შვილისა, „შესხმის“ ავტორები არიან: იოსებ ალავერდის დეკანოზის ძე, თავადი სოლომონ ქობულოვი, გერმანე ქობულოვი, ნიკოლაოსი—კარის დეკანოზის გიორგის ძე, თავადი ევგენი ქობულოვი, დავით—მიხაილ მღუდლის ძე, იოელ—გარეჯელი დავითის ძე, ბეჟან თანაის შვილი, ვასილი—ზიო მღუდლის ძე, იოანე—დავით რექტორის გაზრდილი, გიორგი—მუხრან ბატონის ძე, თავადი იოსებ ქობულოვი, ისააკ—ალავერდის დეკანოზის ძე, იოსებ პრეფერტი—ალავერდის დეკანოზის ძე (51r--53v).

31. „მეფის ირაკლის შესხმა დავით რექტორის მოწაფეთაგან თავადის დავით მდივნის ძის სოლომონ ქობულოვისა.—

არა სადამე იქო კადნიერებამ
თავი სილალით შეკადრებად მალალთა...“ 54r.

შენიშვნა: 1. „შესხმას“ წინ დართული აქვს სინგურით ნაწერი დ. რექტორის ცნობა: „მისს უმაღლესობას მეფესა საქართუშლოჲსა და სხუთასა მეორესა ირაკლის, ყოვლად მოწაულესა დიდებულსა ჯილმწიფეს შესხმით უგალობთ იროიკოთა ამათ ათოთხმეტთა ხუთ-ხუთეულად დალექსულთა მონანი უმაღლესობისა მათისანი. ქალაქსა შინა თელავს შეკრებილნი სემინარისტნი და მოწაფენი ალექსიის ძის რექტორის დავითისანი რეთა ნაწილთა ღრამმატიკისა სიტყუსათა, ჯმა დ, სამსახეობა“, 53v--54r.

2. „შესხმა“ შედგება 14 სტროფისაგან. თვითეულ სტროფს ჰყავს ცალკე ავტორი, გარდა სოლომონ ქობულოვისა, „შესხმის“ ავტორები არიან: თავადი მერაბ ენდრო-

ნიკაშვილი, ქობულოვი გერმანე, თავადი ვეგენი დავითის ძე; ქობულოვი იოსები—ალავერდის დეკანოზის ძე ნიკოლაოს—თელავის კარის დეკანოზის გიორგის ძე, ქობულოვი იოსები—სვიმონ მდივნის ძე, იოელ გარეჯელი—დავით კანდელაკის ძე, ვასილი ლაღიზანისშვილი—შო მღვდლის ძე, ბეჟან თანასშვილი, გიორგი—სკმონ მუხრან ბატონის შვილი, დავით—მიხაილ მღვდლის ძე, იოანე—გიორგი გესამანიელის ძე, დავით რექტორის ვაზრდილი, ისაყ—ალავერდის დეკანოზის ძე. 54r—56r.

3. „შესხანას“ ბოლოს მიწერილი აქვს: „ესენი მე, ალექსისის ძემან რექტორმან დავითმან გავუყეთე ჩემს მოწყაეთ თელავს ქალაქსა სემინარიასა შინა, მეფის ირაკლის შესამად. ახლად იკვნენ დამწყებნი პირველის ნაწილის ღრამმატიკისანი. ივნისს იდ, ქორონიკონის უოჲ“, 56r.

32. «დ. რექტორის წერილი», „მისს ბრწყინვალეებას თავადს ქობულოვს, მდივანს, ჩემს უსარწმუნოესს მოწყალეს ველმწიფეს იოანეს.—ვინადგან არარაა არს მზესა ქუტუშე სარწმუნოსა მეგობრისა ბრძნისამებრ ზრახვსა...“ 56r—57r.

33. «დ. რექტორის წერილი», „მისს უგანათლებულესობას სრულიად საქართველოს მეფის ძეს, ყოვლად მოწყალეს ბატონის შვილს იულიონს.—სადა ითქმიან ტრფიალებანი სოფლისა უკუქ ლტოლვილთაგან...“ 57r—58r.

34. «დ. რექტორის წერილი», „მისს უგანათლებულესობას, სრულიად ზემოდას საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ძეს ბატონიშვილს, უმოწყალესს ველმწიფეს ვახტანგს.—ძულთა ბრძენთა დადებული ივი წინადადება შემკრავს მე აქა სურულითა მოჰხსენებად...“ 58r—59r.

35. «დ. რექტორის წერილი», „ნადილთა უწინარეს აღმობდომილსა აღმოსავლით მიდრეკილსა მესამესა მენაკსა მზისა თანა მიმოარსა და ქვენა სფერათა წალკოტთა თანა თავმოხრილსა, ქუფროსილსა სუნნელსა, ყოველთა ჩემთა საგონისთა ზესთა საწყურთა უმწუჟრვალესსა.—ჟი, საცურო, თუ ვითა არაოდეს მომლოდე, გარნა იერლაცსა მივემთხვევ...“ 59r—60r.

36. „თავადს ალექსანდრე ქავქავაძეზედ დავით რექტორისაგან თქმული შაირი.—
მიწათა ივერისათა შენებრ არვინ არს შობილი...“ 60r.

37. „დავით რექტორისაგანვე თქმული იროიკო თავადს ალექსანდრე ქავქავაძეზედ, რომლისა კიდურწერილობა არს ესგვარ: (ალექსანდრე), ჯმა დ, სამსახეობა.—

აცუზრებს უცხოდ გონებისა ხედვასა...“ 60r.

38. „დავით რექტორისაგან თქმული ოთხტაეპოვანი შაირი.—
მთოვარე მაშენებელი საწუთოთ შემომწყურალია...“ 60v.

39. „ესეც არის თქმული დავით რექტორისაგანვე, რომლისა კიდურწერილობა შაირის თავს არს „მაია“:—

მტილთა, ვარჯთა, ნარდიონი ქუფრ შროშანებრ მოელვარე...“ 60v.

40. «დ. რექტორის წერილი», „ველმწიფეო მოწყალეო ანდრონიკოვ პაატა, უგანათლებულესსა მოგონებისა წარმოდგენასა პოვებითა ჰაზრთა უფროს ანთრაკთა უძრფასესთასა...“ 60v—61v.

შენიშვნა: წინ დართული აქვს დ. რექტორის ცნობა: „თოფიბაშს პაატას ღირსი ჰხსოვნისა დაუფურე და ეს ეპისტოლე მიჰსწერე ორის იამბიკოთა, რომელსა აქვს აკროსტიხულად წერილობა: „უსაწადლესსა ხედუასა აღსურვებულთა დაცხლისა საკურველთა მსახურთა მებრძოლთა ბანაკებისა უმთავრესო“, 60v.

41. „ბა[ა]ტას გიქლუნ ალექსის ძემან დავით, ჳმა დ. სამსახეობა.—
პაზიონ საქებ, ძიებით უფროს სარაცხ...“ 62r.

შენიშვნა: „ინაბიკოს“ სტრიქონის დასაწყისი ასოებით გამოდის: „პატას გიქლუნ ალექსის ძემან დავით“.

42. [მარიხ აბაშიძის წერილი], „მოწყალეს დედას და დედამთილს ევეფემიას. — დამწუარი დეირისა საქმილითა და დაუშრეტელისა ეტნისისა ცეცხლითა, კინდა მშვნეიერებათა განშორებული და ხილული შორის არცა მკუდრად და არცა ცხოვლად...“ 62r—64r.

43. «დავით რექტორის წერილი», „მისს ბრწყინვალეობას ანდრონიკოვს ანუ პროვინციათა ვოივოდას ძეს, თოფჩიბაშს, ფრიად საკუთრად მოწყალეს პართენს ანუ სხვას.—ჩემს მოწყალეს ჳელს გაკოცებ...“ 64r—65r.

44. [ლექსი დ. რექტორისა].—

„წარბი უცხოდ მოემახა, ხალნი ვარდით ჳანგს ისროდეს...“ 65r.

45. «დავით რექტორი, სიზმრის განმარტება».—

„რა გონებამან უხორცოდ მოარნის თვალნი არებსა...“ 65rv.

შენიშვნა: წინ დართული აქვს დ. რექტორის ცნობა: „სიზმარი ნახა რომელმანმე, მე დიდად მევედრა: სიზმარი განმიმარტეო ლექსითაო, და მე ამგვარად ის სიზმარი აღვჰსენ და ასე გავლექსე“, 65r.

46. «დავით რექტორი, ლექსი» „საყუარელზედ თქმული. —
წარბთა მეომართ მშჯლდთაებრ სურვილის ისრით მასა-
რეს...“ 66r.

47. «დ. რექტორი, ლექსი» „სინიისეფითზედ.—

ტრფიალებით დანალებსა გული მქონან დალახვრული...“ 66r.

48. «დავით რექტორმან ბეგუმის სახლს დავაწერე.—

მსურველო, აქა სამყოფსა ეახლე საწადილოსა...“ 66rv.

49. „ეს მზექაბუჯ მდივანბეგ ორბელიანმა ჳსთქვა, მანცა კედელზედ დააწერა ჩემად ქებად.—

სიბრძნის ტრფიალო, გნომისა გიქებ სიმდიდრით ქონასა...“ 66r.

50. „ეს იოანე მუხრანბატონის დედას ბარბარას ამ შაირებთან დაეწერა.—

ორთა ბრძენთაგან შემკულა ტურფა სრა, თვალთა ჩინება...“ 66v.

51. «ლექსი დ. რექტორისა».—

ვით ინდისა ხე მწუხარე დღე ნათელთა უჩინარობს...“ 66v.

შენიშვნა: ლექსს წინ დართული აქვს დ. რექტორის ცნობა: „ჩემს მომნათლავს ბეგუმს უხუმრე ჳელაშვილს იოსებზედ“, 66v.

52. «დ. რექტორი», „ფისტიკაური ჳელასშვილს იოსებზედვე.—

„შენთვის მოხუცდა იგი საწყალი, ვნახენ, ვის ჳქონდა შავ-
თეთრ-ჳრელია...“ 66v—67v.

53. „ბარბარეს ბეგუმის მაგიერად ჩემთვის მოეწერა ჳასუხად.—

მვცე შერთულს ჳგიობ, ჳაბუკო, კარგ ენავ, კარგ სახედაო...“ 67r.

54. «დ. რექტორის საგან თქმული», „ბარბარეს პასუხად მივჰსწვრე.—
ნიშნი ერმისა ბუნებით მკვრან ტიალთა დავგარა...“ 67r.

55. «დ. რექტორის საგან თქმული», „ესეც მასვე ბარბარას.—
სოფელი ხვედრთა არ ძვირობს, არა შენ კერძცა იარა...“
67r.

56. «დ. რექტორის საგან თქმული», „ესეც სინეისეფითზედ:—
ზილფნაშალსა დაუშეენდა მანიაკით ბროლი ყელი...“ 67rv.

57. «დ. რექტორი», „ნზეკაბუჯედ თქმული.—
ბექ-მრუდ ფრაკოდ საარაკოდ...“ 67v.

58. «დ. რექტორის საგან თქმული», „ჩახრუხაული, ესეც მზეკა-
ბუჯედ.—
ბრძენ კაბუასა, ბაბაქუასა...“ 67v.

59. «დ. რექტორის საგან თქმული», „სხვას მივსწვრე სხვაზედ ხუმ-
რობა.—

გული ტრფიალი ეწია მათ თვსსა საწადილოსა...“ 67v.

60. «დ. რექტორი, ლექსი». —კადრი მკდართა არა ღალად ბრძენ, ახოვან,
ქველ ლომისა...“ 67v—68r.

შენიშვნა: 1. ლექსს წამძღვარებული აქვს დ. რექტორის ცნობა:

„ბატონი შვილმა გიორგიმ საუცხოვო კადრაკი გამომართო, ცხენს
დამპირდა, აღარ მომცა, ამ შაირით მოვაგონე, მაგრამ ჯერაც მოღის“. 67v.

61. „სიყმის უამს თქმული ალექსის ძის დავით რექტორის სა-
გან ანბანთქება.—აკრობს, ალავს, ასაღარებს, ანთარაკებს, აელვება...“
68r—69r.

62. „დავით რექტორის საგან თქმული ანბანთქება ფისტიკაურად
საყვარელზედ.—

აფროდიტ ბადრებს გავსითა, დისკოთ ელვარებს ვარდი ზე
ცერმულად...“ 69r.

63. «დავით რექტორის წერილი» „მარჯვენის ღიშა ძლიერება მან-
ადამაღლოს სახელი შენი, აფრიკისა ლომო, უგანათლებულესო, ძისა მეფისა
ძეო ბატონის შვილო დავით! —ახალნი ველაკნი ეპპონენ და მინდორნი
ჰამონი ყუავილთაგან პირად-პირადთა...“ 69v—70v.

64. «დ. რექტორის იამბიკო». „დათხზვილს ურანოს ნაზავსა მკო-
ბილებას ვიშრომე...“ 70v.

შენიშვნა: იამბიკოს უძღვის დ. რექტორის ცნობა: „სოლომონ კვალია

შვილს „დაუჯდომელი“ დავუწერე და ეს ანდერძად იამბიკო დაუწერე—ჩემი და
მისი სახელი აკროსტიხულად“, 70v.

65. „მისს უწმიდესობას სრულიად აფხაზ-იმერთა კათოლიკოს-პატრი-
არხს, ყოვლად მოწყალეს მეუფეს, უგანწმედილესსა მაქსიმეს.—

უმწვერვალესის სიტყუსა სიმდაბლითა...“ 70v—71v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „უწმიდესობისა თქვენისა თაყვანისმცე-
მელი ალექსის ძე ალექსოვი დავით“, 71v.

66. «დ. რექტორი», „გაბრიელ ჩემი ძმისწული რომ მიიცუალა, მაშინ
მგლოვიარებმან ეპსთქვი.—

დავბნელდი ხედვთ სოფლისა ვითარებით...“ 71v—72r.

შენიშვნა: ლექსი აკროსტიხულია.

67. «დ. რექტორი», „ჩემს ძმას გიორგის მივქსწერე.—
გლახაკთ შემოსი მდიდარი შიშვეულთა
იგონებს ყოფად ნაქნთაყე საკეთილოდ...“ 72r.

შენიშვნა: ლექსი აკროსტიხულია.

68. «დ. რექტორი», „ბესარიონ გაბაშვილს მივქსწერე.—
საყვარო ძმაო, სულითო მეგობარო...“ 72r.
69. «დ. რექტორი», „იამბიკო.—
არსი, რომელი არა შეზავებულ არს...“ 72r—73v.

შენიშვნა: ლექსს წინ უძღვრს დ. რექტორის ცნობა: „როდესაც მეტაფიზიკა და-
ვასრულე, კათოლიკოსმა მეფის იესუს ძემან დიდმან ანტონიმ მიბრძანა ვნებაზედ
იამბიკოს გაკეთება“, 72r.

70. «დავით რექტორი», „მწუხარებაში სხვას მივქსწერე.—
დღეს თუალთა ცრემლი ჰრწყვიდენ უბეთა ჰჭვირად...“
73v—74r.

შენიშვნა: სტრიქონის დასაწყისი და ბოლო ასოები ქმნიან „დავით“-ს.

71. «დავით რექტორი», „სამეფო ტომარი აღვქსწერე და მისს ბო-
ლოს ეს მოკაწერე აკროსტიხორად.—
დაეპთხენ ჯელოვნებრ საქმენი გარეგანნი
არ შინაობით, ქუა სპეკალი უფრფასეს...“ 74r.

72. «დავით რექტორი», „იამბიკო.—
დედოფალ დედა, ასული დავითისი,
აღმსურ წილ-ხდომილთ ლტოლეილთა სიბოროტის...“ 74r.

შენიშვნა: ლექსს წინ უძღვრს დ. რექტორის ცნობა: „ტიმოთე მთავარეპისკო-
პოსის წიგნი აღვქსწერე «მთაწმიდის მოხილვა მონასტრებისა». იმ წიგნის თავს ლ-ის-
მშობელი დაეხატე პორტიტისა და ეს იამბიკო დაეწერე, ჩემი სახელი დავით“.

73. «დ. რექტორი», „ბატონისშვილებმა დავით და იოანემ ილა-
ჯი გამიწყვიტეს, მზექაბუკ მდივანბეგს ამგვარი იამბიკოები მისწე-
რეო, და ნივქსწერე, წარმკითხველთა ჰსცანიით...“ 74rv.

შენიშვნა: 3 სტროფიანი ლექსი მთლიანად გადაშლილია ავტორისავე ხელით.

74. «დავით რექტორის თქმული. — გული თუ ჩემად იცია, რად-
ლა გწადს ვშირნი ფიცია...“ 75v—76v

75. «დავით რექტორი», „თოფით ქედანი მოვკვალ და ეს შირი
იმაზედა ვჰსთქვი.—
თავთა თხემნი ლურჯს ღრუბელსა, მზე დამტვრეულს
უცხოდ გვანდეს...“ 76v—78r.

76. «დავით რექტორი», „იამბიკო იოანეს მიმართ ოსეს ძისა,
ჩემი თქმული.—
იმეცენ სავედ საგონთა სავესებითად...“ 78rv.

შენიშვნა: კიდურწერილობაში იკითხება: „იოანე“, „დავით“.

77. „იოანეს თქმული.—

იაზროს თუ ვინ იქმნაო ესე მწყემდად
ორფეოსებრად სხვისა წარწერიასა...“ 78v.

შენიშვნა: კიდურწერილობაში იკითხება: „იოანე“ და „დავით“.

79. «დავით რექტორი», „დავითის მიერ ბესარიონის მიმართ.—

სულთა საწყურო, გულისა შენაყვარო,
გიძღუნი თუალთაგან ცრემლსა, ღვარად მოდენით...“ 78v

79. „დავითის მიერ ლეონის მიმართ იამბიკო. ლეონ და დავით.—

ლალისა ელვა ოქროვილსაჲ ნაფუსა,
ლომო, ელვიდა ოტარიდებრსა ნაკუთსა...“ 78v.

80. «დავით რექტორი», „ბესარიონ გაბაონს მივჰსწერე ეს იამბიკო აკროსტიხულად და ამას შინა არს ბესარიონ, ლეონ და დავით.—

ბრძენი ლიმენთა, ნუ ჰსდროებ, მყისად წარვედ...“ 79r.

81. «დავით რექტორი», „ეს იამბიკო კიდურწერილობითი ერისთვის დედას ქეთეონზედ ვჰსთქვი, ოდეს სამნი ძენი დაეხოცნეს: ბეგლარ ერისთავი, დავით და აღაბაბა. ისილე, მჭურეტო, რომლისა კიდურწერილობა არს ესთა: სამთა ტირს ძეთა გოდებით ქეთევიან ეტნისთ მოდებით.—

საბავეთოს ვიტყუ, მისმინე, მჰსმენო, სავსეღ
აჩრდილსა დღეთა მონასიზრმსა წარმავალს...“ 79r—80r.

82. «დავით რექტორი», „მალობელი იესე. საფლავეზედ დავუწერე.—

იქცა ბუნება აღამის ცთუნებისა...“ 80r.

შენიშვნა: კიდურწერილობაში იკითხება: „იესე“.

83. «დავით რექტორი», „შალვას, დავით ერისთვის შვილს მივჰსწერე, წიგნი მოეწერა. მამაზედ შავი ეცვა. კიდურწერილობა არს შალვა და დავით.—

შენი ძაძანი ტანისა ელატთ მფარად...“ 80v.

84. «დავით რექტორი», „დიდს „კათოლიკოსს ანტონის მოვასხენე, სავედრებელი მქონდა.—

სულით მწყურვალთა შემცუარე მადლ საზეოთ...“ 80v.

85. «დავით რექტორი», „ორ სახელიანი ლექსი: იულონ და მიქელ მევედრენ და ვჰსთქვი ჟამსა სიყმისასა.—

ისარს უყორნებ, ლამპართა ორბოზ ნაზარდი მზიანი
80v—81r.

86. «დავით რექტორი», „ფრანგის ქალი ვნახე ბალში და მაზედ ეს ლექსი ვჰსთქვ.—

წალკოტსა ჰსჯდა ქალი ვინჰე, დაწვი ვარდი, პირი მთვარე...“
81r—82r.

87. «დავით რექტორი», „ბარათი.—

ჶე ჩემებრ გულსილამისა მანათო, მთოვარეო, მოი და შენის შავარდნისა თვალთა მიხილე...“ 82rv.

88. «დავით რექტორი», „ბარათი.—

გულისა ჩემისაებრ შავსა ზანგსა თუმბუთურსა, ორ ენისა ქალდიისა ჟაწლობილითა...“ 82v—83r.

89. «დავით რექტორი», [ლექსი].—
„ვის ნაძუს გვიდავს ჩაბანდულნი,
სათად თხზულნი ღვლარქნილ გველნი...“ 83r.
90. «დავით რექტორი», „იოანე მუხრანბატონის დედას ბარბარას მივჰსწერე.—
დათხზუა ათინთა წმასნათა ზავეებით შენდა არესა...“ 83rv.
91. «დავით რექტორი», „საყვარელზედ.—
ზილფი სიტურფით გიშვენის ლულამბრის შეგრეხილოზა...“ 83v.
92. «დავით რექტორი», „ზმად თქმული.—
ნოხდა ვითხოვე ვერ თქმათა, აწ მოგახსენებ ბოდიშით...“ 83v.
93. «დავით რექტორი», „ქაიხოსრო მდივანბეგს უხუმრე მიწერიით ზმად.—
ბაგეთა ლალად გიღიმებს, მისთვის ხარ გაქრილ ხელია...“ 83v.
94. «ქაიხოსრო მდივანბეგი», „ქაიხოსროს მოეწერა პასუხად ზმითვე ჩემთვის:—
შენთა ლალათა სიბრძნესა უქებ შენისა ზრდისათენ...“ 83v—84r.
95. «დავით რექტორი», „ერთს ჰაზრზედან არის თქმული.—
გულისა თეთრმან შუქებმან პირთა მომნათა ელვანი...“ 84r.
96. «დავით რექტორი», „თქმული ერთს ჰაზრზედ.—
ამას სულთქმითა მტირალი ვჰსჩივი ბელთაგან, მაძს თავსა...“ 84rv.
97. «დავით რექტორი», „ხუმრობით მივჰსწერე დაბალი შაირი სხუათა.—
ვის გერიტორნეს, ბედითო, განკაზმით ლექსთა გვარები...“ 84v—86r.
98. «დავით რექტორი», „სხვას მივჰსწერე ეს ლექსი. მოეწერა, მივჰსწერე.—მშულდთა სათურთა მოხრითა მომწყლეს საკუდავად ასერა...“ 85r.
99. «დავით რექტორი», „ლეონ ბატონისშვილს მოეწერა ჩემთვის და პასუხად მივჰსწერე.—ვარდ-რგულევან, ნორჩ-სხმულევან, ბუტკ-ქულევან, კაზმულევან...“ 85rv.
100. «დავით რექტორი», „სხვას მივჰსწერე პასუხად.—
გიშრისა მშვილდმან უწყალოდ გულსა მალახვრა ნასობით...“ 85v.
101. «დავით რექტორი», „სარკეზედ დავაწერე ეს ლექსი.—
ეს სამყარო ვარდთა სიტყვით გამობრძმედავს, ვით იქალი...“ 85v.
102. «დავით რექტორი», „სხვას ვევედრე ამ ლექსით, დამეხსენ შეთქი.—
გიწღრს, ბრძენი შევნიერად უმჰსგავსოსა საქმეს მოკლად...“ 85v.
103. «დავით რექტორი», [ლექსი].—
„დანაკოდარი სევდითა გული რა დილეგს იგება...“ 86r.
- შენაშენა: 1. ლექსს წინ უძღვის დავით რექტორის ცნობა: „მეფე ირაკლი გამიწერა, მტერთ უბრალე შემასმინეს. შემდგომად განათვისუფლებისა „სამეფო ტომარი“ აღვჰსწერე და მისს ბოლოს ეს მოვაწერე ორი შაირი მწუხარებმან“, 86r.
2. ლექსი აკრთხილულია.

104. «დავით რექტორი», „ურვეული საწოლთა ვჰსჯე, გულთა სევდა მილამებდა. საგონებელთა რასამე ვიყავ და ესე ოდენ ვჰსთქვ ფისტიკაური.—

კაცთა გულისა თვალთა მძინართა დედანი თჰსდად გააღვი-
ძებენ...“ 86r—87v.

105. «დავით რექტორი», „სხუანი მოგონებანი წარმომიდგეს. მათ ფიქრთა გული ნაღვლით აღმიშფოთეს და ნალულიანმან ესე-ოდენ მოვიუბენ რეული.—

საყუარელისა პირმთვარეობა, მოხდომით გაშლა, ვით არეობა...“
87v—88v.

106. „დავით რექტორისაგან თქმული ჟამსა სიყმისასა.— მზეო შვენიერო, ეთერის ცათა აღმოხდომილო და ყოველთა განმანათლებლო...“
88v—89v.

107. «დავით რექტორი», „დავით ბატონისშვილს უხუმრე ამ ლექსით. მოეწერა, მივუწერე.— ტანსა მჰვევრსა არონებ, ვით ტატანი აღმო-
სავლით...“ 89v—90r;

108. «დავით რექტორი», „ზმად გამოყვანილი.— სულისა ძალთა
წამლებო...“ 90r.

შენიშვნა: სულ არის სამი ზმა. თვითელი ოთხ-ოთხ ტაგოვანი. პირველი ზმა იძლევა: დარეჯან, მეორე—სალომე, მესამე—ქეთევან.

109 «დავით რექტორი», „დავით ბატონისშვილს მოეწერა ჩემთვის. მე ეს მივსწერე მაგიერი დარეჯანზედ.—

მთიებისა ტბათა გარე მკვირან გულნი რად აგერა...“ 90r v.

110. «დავით რექტორი», [ლექსი].—

„უფრინავს თვალნი, გაჰსჰვირავს ლაღნი, ლაწვთა ზედ ასხედს
ინდურნი ხაღნი...“ 90v.

111. «დავით რექტორი», „საყვარელზედ ვჰსთქვი.—

სურვილისა უთმობლობა, ცეცხლის ალთა მოკიდება...“ 90v.

112. «დავით რექტორი», „ესეც ჩემს საყვარელს მივჰსწერე.—
ოთხთა შინა ერთის სტიხით მაქვს ეთერით ძლეულება...“ 90v.

113. «დავით რექტორი», „ჩემს საყვარელს მივჰსწერე ბარათი და
შიგ ჩავრთე შაირნი.—

არ დაჰსჯერდა ბედი ჩემი, ამას ცრემლით მტირალი ვიგლოვ...“
90v—92r.

114. «დავით რექტორი», „ბარათი საყუარელთან მიწერილი.—აწ მოვედ, ერმისა პირო, და გული ლამიანი შენისა საშროშნისა ელვარისა ლამპრითა განმინათლენ, და შენისა იაგუნდისა ფერთა ბაგეთაგან და-
ნათვრენ...“ 92r—93v.

115. «დავით რექტორი», „საყვარელს მივჰსწერე შაირად.—

ცისა სფერათა სიმგრგულეთა ერთია აღმოსულება...“ 93v—94r.

116. «დავით რექტორი», „დავით ბატონისშვილს მოეწერა ჩემთჰს შაირი ზუმრობით. მაგიერი ეს მ[ი]ვჰსწერე.—სად არე ჯანი მსურავნი,
მუნცა დაგეცნეს ლევანი...“ 94rv.

117. «დავით რექტორი», „ზმად: ნინია, რევაზ, დიმიტრი და გრი-
გოლ.—

წარბნი ნიავეთ რხეულნი გულსა ლახვირედს დაღუბით...“ 94v.

119. „იოვანე მდივანს ქობულოვს მოეწერა პასუხად იგივე სახელნი ზმაღ.—

სიმართლის მშკლდი მოვზიო ან ერთი საქმე მიმფარდეს...“ 94წ.

119. «დავით რექტორი», „დავით ბატონისშვილს პასუხად მივჰსწერე, ხუმრობა მოეწერა.

სად სურვილთა დაუდგრომად გულთა შეჰკრებ საგანთ შინა...“ 94წ.

120. „მუსტაზადი თურქთა ენათა ზედა სათქმელი უცხო და შევნიერი, შესაქცევად საამო ხუთ-ხუთეული, თქმული დავითის ალექსისძისაგან ჟამსა სიჭაბუქისასა მისისასა საყვარელზედ. მუსტაზადი არაბულია, ქართულად—გრძელი, რვა ხმად გაწყობილი.—

შე მოყვარეო, ზილფ-ნარეგო, ნარდიონგველო...“ 95წ.

121. „მუსტაზადივე მისვე დავით ალექსისძისაგანვე თქმული.— გრგვინვით ციურნო, მოით მზიურნო, რა არს სმინება...“

95წ—96წ.

122. „ბატონისშვილი დავით გარდამეკიდა, ხუდიაზედ მუსტაზადი ჰსთქვიო და მისი ვაჟეაცობა აქეო. მუსტაზადი თურქთა ჯმათა ზედა სათქმელი, შესაქცევად საამო, თქმული ალექსისძის დავითისაგან. ქაჩივარი სოფლისა.—

ლახვარ-სობანი, დავმობანი, მეცნეს ტყეებითა...“ 96წ—97წ.

123. „დავით რექტორისაგან თქმული თურქთა ჯმათა ზედა, რომელსა ეწოდებენ თახმისი, ქართულს შაირებრ ათექვსმეტ მარცულოვანია, და ერთი შაირი ხუთი ტაეპია,—ხუთ-ხუთეული იქნება. ხოლო თახმისი არაბული ლექსია, რომელ არს ხუთტრიქონიანი.—

მეოთხესა ცის მენაკსა სიტყვერი მზე რა ახე...“ 97წ—98წ.

124. „მისის მაღალკეთილშობილების ალექსოვის ალექსისძის დავით რექტორისაგან თქმული ხანუმჯან ხანუმზედ, ჰარბახანდა ჩემში მახტუნის ჯმაზედ.—

გიკებ თვალსა, ღაწუად ღალსა, ზედ შეყრილსა ღინღურ ხალსა...“ 98წ.

125. „ალექსისძის დავითისაგან თქმული მუხამბაზი ღათა-იური, ესე იგი გაკიცხვითი, გინა გიობითი, უწოდებენ ევროპელნი კრიტიკას. თათრული ლექსია ღათაია.—

ნეტარ რას ამბობ შენ, ბრძენო, იალალი, იალალი...“ 99წ—100წ.

126. „ოთხ ტაეპი ნინა ზმად გამოყუანილი, დავით რექტორის თქმული.—

მისნი ნარინჯნი კეკელა პერანგს ჰსჭვირს, სადა გველია...“ 100წ—101წ.

127. „შაირი დავით რექტორისაგან თქმული.—

წალკოტით მფშველთა ყვავილთა დაედგნეს ღერად კარავნი...“ 101წ.

შენიშვნა: „შაირს“ წინ უძღვის დავით რექტორის ცნობა: „ჰაბუკსა ვისმე ჰა-ლი უყუარდა. ყმამან წალკოტიდამ ყვავილნი მოკრიფნა, შეკონა და მიართუა, უთხრა: ამათ შენის შვენებდამ მოუპარავსთ ფერებო. მე შევიპყარ, მოგართვი და გარდაახდევინეო, და უთხრა შაირი დავით რექტორისაგან თქმული“, 101წ.

128. [წერილი]. „ნამყოსა ქმნილისა, სამყართა შინა იაკობისთა აღ-მოსრულისა და გაეგებტურებულისა სიტყვერისა მთიებისა აწმყოსა ჟამსა სახისა

შემოსელო და ზეციერისა მემტილისაგან ხატონებითა მისებრითა დატვფრულო, უგანათლებულესო გურიელის ძეო, ყოვლად უმოწყალესო, ხედვასა შინა უსასურველესსა ვახტანგ.—აჰოვანმან ზეფირმან სურვილად განმზადებულისა გულისა იგურდივთა მარაკთა გარდმომცენარისა მალ-მჩქეფარისა წყალთა სიყვარულისათა მობერვილმან...“ 101r—102r.

შენიშვნა: 1. წერილის ბოლოს მიწერილია: „ქსნის ერისთვის გიორგისძე რევაზ“, 102r.

2. წერილის დასაწყისში სინგურით მიწერილია: „დავით რექტორის თქმული“, ეტყობა, რევაზის დაკვეთით დავით რექტორს დაუწერია ეს ბარათი.

129. [წერილი]. „მათს მალად ყოვლად სამღუდლოებას ქუთათელ მიტროპოლიტს, ყოვლად მოწყალეს მეუფეს დოსითეოსს.—ტრფილო უსამღუდლოესო ბუნებაო, რომელმან დაიწერე საღმრთოთა ცეცხლებრივთა უნამდვლესნი დოღბატთა ხედვსა თეორეტიკანი და გამოსახენ პირველსა შინა სხეულსა ნაკვერცხალნი პირველისა სხეულისანი...“ 102r—103r.

შენიშვნა: 1. წერილის დასაწყისში, მარჯვენა კიდეზე მიწერილია: „დავით რექტორის თქმული“, 102r.

2. წერილის ბოლოს მიწერილია: „ქსნის ერისთვის გიორგისძე რევაზ“, 103r.

i30. [წერილი]. „არსთა სიტყუთა პსიხისა მიმოძურათა მწყემსობის კენტროთ შემომსფერავსა და მარტიობისა ოქიმათა შეუზავებელისა არვეობითა გუამის ნათლითა მმართველსა, მარტკლისა კათედრათა მმეუფებელსა ყოვლად სამღუდლოს ჰყონდიდელ მიტროპოლიტს ანტონიოსს.—სადა თითმან ზესთ არსების მმექმისაგან და თვს შორებით სიბრძნისა კალმით სარილის მელანთა აღმოაწუნა...“ 103r—105r.

შენიშვნა: 1. წერილი მიწერილია ქსნის ერისთვის გიორგისძე რევაზის სახელით.

2. წერილი დაწერილია დავით რექტორის მიერ, ალბათ, შეკვეთით.

131. „ალექსისძე დავით.—ბრწყინვალეო ერისთვის ძეო, მოწყალეო ჯელმწიფეო, მდივანბეგო ბეჟან.—შემომნივთარისა ურჩად ნაყოფთა მკულელობის მშულდმან უბადრუკების მარმენთა ორ პიროვანთა ისართა გარდააცუნა...“ 105r—106r.

132. „ალექსისძე დავით.—მისს კეთილშობილებას გაბაონს, მოძლუარის ძეს, საყვარელს ძმას და მეგობარს ბესარიონს.—ძალბერნი თან შეკრულებითისა სურვისა სანუქნი გიანი აღმოძოწდებიან...“ 106r—107r.

133. [წერილი]. „საყვარელთან მიწერილი.—მთოვარსა ცასა ზედა ახლად შობილმან სამფეროვანმან მშვილდმან და შეყრილმან ნარგიზის ტბის ისარმან...“ 107v—108v.

134. „ალექსოვი ალექსისძე დავით რექტორი.—ყოვლად ღირსსა და სანატრელსა იერომონახსა და უსაწყურველესსა ძმასა იუდას იაკობისა იოსტოსს.—მცალს თუცალა მარადის, რათა პირველ განიმზადებოდეს შენთვის შავნი წარწერანი...“ 108v—110r.

135. [წერილი]. „მის კეთილშობილებას გაბაონს, შოძლურის ზაქარიას ძეს, მოწყალეს ჯელმწიფეს და სატრფოს, ძმას ბესარიონს.—მწუხარე“

ბამან (კრემლი, უბადრუკებამან გოდება და განწირულებამან სასოებათა წარ-
კვეთანი დამაკვეთნეს...“ 110r—111v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ზიწერილია: „შენი უსაკუთრესი ძმა და მეგობარო
ალექსისძე დავით“, 111v.

136. «და ვით რეკტორი», „ჰამბავი პირველი. შესავალი შაირთა,
რომელსა უხმობენ ცხოველ დიაკის უბედობასა, გალექსილი მდაბიოთა და
უჯაზმავითა ლექსითა.—

მკსმენნო, მოგიტხრობ რასმე გულითა ამოს მბობასა,
ლექსთა ლიზლობით შემკობას, ოდესმე სხუათა გმობასა...“

111v—115r.

შენიშვნა: 1. „ჰამბავი“ შედგება: ა. „აჰა ხბოს ჩამოვარდნა წყალთა პირსა,
კლდეთ დაცემა და დაბნედა...“ 112r—113r; ბ. „აჰა ხბოს მაღლა კლდეთავე ატანა და
მუნ კჰუნვა და გოდება ჯერეთ სულთმობრძავისა“ 113r—114r; გ. „აჰა მის დიაკისა-
გან თვისის ხბოს გამომეტება და თჳსის ველისაგანვე ყელის გამოჭრა“ 114r—115r.

2. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „მე რეკტორი, როდესაც ეს ვჰსთქვი, მაშინ
ვიყავ წლისა ათ ექვსეტისა, დავით“, 115r.

3. „ჰამბავს“ წინ უძღვის სინგურით ნაწერი დავით რეკტორის ცნობა: „ნაიბის
ქალი ბეგუმ შევედრა, როდესაც ყმაწვილი ვიყავ, მე ალექსისძეს დავითსა,
რადგან მისი მინათლული ვიყავ, უარი ვედარ უთხარ. ჩემის სასახლის პირდაპირ,
მტკერის პირს, ქვრივს დედაკაცს ხბო ჩაშოუვარდა, კლდუხედ დაეცა და მოკვდა-
სასაცილო იყო დედაბრისაგან ხბოსთვის თავში ცემა და ტირილი, ის შაირად
ჰსთქვიო და ვჰსთქვი“. 111 v.

137. „ოთხს ტაეპში რვას ადგილს ზმად ანა გამოყუანილი დავით
რეკტორისაგან.—

საროდ მრხეო ზარიფანავ, კიპაროხო ნორჩო ტანავ...“ 115r.

138. „და ვით რეკტორისაგან თქმული.—

არ სამარადნი იგი მტრთნი სატრფ უცნოსა,

საწყუროისადმი უწოთსა, საღით წარმოშადისა...“ 115v—116v.

139. „ძილისშორისი ხილუა. ფებერვალს იჲ, დღესა ოთხშაბათსა. წელსა
1781.—მიმეძინა მე, მაღალ ღირსსა არხიმანდრიტსა სტეფანეს, და ვინილუ
ხილვა ესე ძილისშორისი...“ 116v—118v.

140. „მისს მაღალ ყოვლად უსამღუდელოესობას, არხიეპისკოპოსსა სა-
მეფოსა კახეთისასა და ორთა სამთავროთა საქართულოესათა და სრულიად
ივერიისა კავკასთა შინა მცხოვრებელთა, პირად-პირადთა უჩიკთა ერთა.
დიდსა მწყემს-მთავარსა მისისა უდიდებულესობისა დიდისა კელმწიფისა, სრუ-
ლიად როსსიისა და სხუათა და სხუათა მპყრობელისა იმპერატორისა ალექ-
სანდრე პირველისა კელმწიფისა, იმპერატორისა პავლე პირველისა
ძისა, პირველისა კავალეროვანსა ანნასასა. უგანწმედილესა მეუფესა დოცი-
თეოსს უვალომ შესხმათა ამათ იროიკოთა დღესა ამას ყოვლად ბრწყინუ-
ლესა აღდგომისასა, რომელსა დღესა აღადგინა დაცემული კაცთა ბუნება
ძემან და სიტყუამან ღისამან ჯორჯქმნილმან, კეთილშობილი, სამეფოსა
კახეთისა მოძღვარი, სიბრძნის-მოყუარე რეკტორი ალექსოვი ალექ-
სისძე, რეკტორი დავით. თითონი სტინხნი ხუთტაეპოვანნი და თუთო-
ეულნი ტაეპნი ათორმეტთა მარცულთა მიერ გარეშეტულნი. ჳმად, სამსა-
ხეობა, სახელითა მამისათა და თისათა და სულისა წმიდისათა ამინ.—

სულისა ძალსა მთავარსა გონებასა...“ 119r—125r

შენიშვნა: 1. „შესხმა“ შედგება ორმოცი სტროფისაგან.

2. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „შესხმა დიდისა არხივისკობოსისა დოსი-თელისის მიმართ ალექსისძის დავით რექტორის მიერ, თქმული ქალაქ-სა ტფილისს, სობორისა შინა ანჩისხატსა, დღესა აღდგომისასა, წელსა 1816, თთუშსა აპრილსა, რიცხუსა თ. დავით რექტორი“, 125r.

141. «დავით რექტორი», „მისის სინაღლის სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ძის ლეონისათვის თქმულნი ათნი სიტყვანი იამბიკოდ. სიტყუა პირუშლი: ვითარ იშუა ძე მეფის ირაკლისა ლეონ.— დასაბამ ღმერთი იყავნ ყოველთა თავად...“ 126r—140v.

შენიშვნა: 1. იამბიკოს წინ დართული აქვს დავით რექტორის ცნობა: „ურვეულ-მან გონებითა და მწუხარებან ფრიად გულითა ვჰქმენ იამბიკონი ასნი ათთა შინა სიტყუათა, უფერადოსა და მდაბიოსა ლექსითა, ყოველთა მიმართ ადვლ საცნოდ და გასაგონად. ყოველთა აღმომკითხულთა უმდაბლესად მოვხსენებ ყოველთა მიმართ უმცირესი მონა ალექსისძე დავით. წელსა 1781, თთუშსა აგვისტოსა 10, ქალაქსა ტფილისს“, 126r.

142. «დავით რექტორი», „დოროქენაია ლეოლრაფია აღვსწერე და მისს ბოლოს ეს მოვაწერე. ანდერძი აღმწერლისა.— ვინადგან არარაჲ არს ჭოფელსა შინა უფროს სიბრძნის მოყუარებისა...“ 142r—143r.

შენიშვნა: დავით რექტორის კრებულს ერთვის საძიებელი, 145r—149r.

ანდერძი: 1. „თუმცალა ამას გარდა მრავალი იყო ჩემგან ზოგი ნუსხები და ზოგი სხვადასხვა თქმული, ზოგი დაკარგული წახდენსა ტფილისისა ალა-მამად ხან ასტარბათელისასა, და ზოგი მწუხარებისაგან შეურეგებულ-სა თავი ჯელთ არა მქონდა და დამზარდა ყოვლისავე ჩემგან თქულისა დაწერა. და რაცა დამიწერია, ეს ვაკმავე, რათა წარმკითხულსა კნიაზ გიორგი თავადს თუ მანოვს განვრცელებითა თავი არა შესწყენოდა. მარტის იე. წელსა ჩუკბ, ქ[ორონი]კ[ონ]ს ფი. მაღალ კეთილშობილი ალექსისძე ალექსოვი, სიბრძ-ნის მოყუარე დავით რექტორი“, 143v.

2. „მისმან ბრწყინვალეობამ სტატისკის სოვეტნიკმან და კავალერმან თავდამან გიორგი თუ მანოვმან მიბრძანა მე, რექტორს დავითს, შენი ნათ-ქომები აღმიწერო. მეცა ბრძანების მისისა მორჩილმან, დაკარგულს გარდა რაცა მქონდა, აღუწერე. ღმერთმან ნმუდობასა და დღევრძელობასა შინა მოახზაროს. ამ ჩემგან თქმულებს საძიებელიც მე გაუკეთე. ყოველთა ამა წიგნისა მხილველთა და წარმითხულთა მომხსენებელ ვარ უმდაბლესი მონა და მოსამსახურე თქვენო რექტორი დავით“, 143v.

(106)

106

თეიმურაზ II, სარკე თქმულთა. 1821

141 ფ.: 32,5X21,5; ქაღალდი; ხის ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული, სათაურები და დასაწყისი სიტყვები სინგურით: 1821 წ. X. 20 (127r); გადამწერი— დავით რექტორი (126r); დაუწერეჲია: 1—16; 130—141 ფფ.

„დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის ერეკლეს ძის მე-ფის თეიმურაზისაგან, რომელი იქმნა ცხებულ შემდგომად წელიწდისა ცხრისა თქმისა ამისსა. აწ წიგნსა ამას ეწოდების სარკე თქმულთა.—

ვით ჯელ-ვჰყო აღძრვად სიტყუათა ვერ სიბრძნის ღირსმან
სწავლობით,

ვერცა ღრმად გამომეტყველი, რიტორებრ ენა მრავლობით...“

17r—126r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერში მრავალგან დატოვებულია ადგილები ილუსტრაციუბისათვის.

2. ხელნაწერი გამოყენებული აქვს თეიმურაზ II თხზულებათა სრული კრებული ს გამომცემელს გ. ჯაკობიას (1939 წ. გამოცემა, გვ. XXV, I-ნუსხა)

3. დართული აქვს: „საძიებელი წიგნისა ამის სარკე თქმულთასა ესე არს...“ 127r—129v.

ანდერძი: 1. „აღვსწერე ესე წიგნი სარკე თქმულთა მე, კეთილშობილმან ალექსოვ მან ალექსის ძემან, სამეფოსა კახეთის თელავის ქალაქის სემინარიის სიბრძნისმოყუარემან დავით რექტორმან თთქსა ოკდონბერსა, რიცხუსა 20, წელსა ჩყკა, ქორონიქონის ფო“, 126r.

2. „მისმან ბრწყინვალეებამ სტატისკის სოვეტნიკმან და კავალერმან თავადმან გიორგი თუმანოვმან მიბრძანა ამა სარკე თქმულთა წიგნისა აღწერა. მეცა, ბრძანებისა მისისა მორჩილმან, აღვსწერე. ღმერთმან მშვიდობასა და დღეგრძელობასა შინა მოახმაროს უწებლობასა შინა მუდღისა, ძეთა და ასულთასა. ამას წიგნსა დაწყებითანვე საძიებელი არა ჰქონდა და მე გაუჟკეთე. კეთილშობილი ალექსოვი ალექსისძე დავით რექტორი“, 129v.

მინაწერი: 126v.

(107)

107-ა

სამართლის წიგნები. XIX

294 ფ.; 33×22; ლურჯი ქალაღი; ტყავადაკრული მუყაოს ტეიფრული ყდა; მხედრული: კვირინიშანი 1819 წლისა (2 ფ.); დაუწერელია: 1—10 ფ., 36v, 37r v, 82r, 138v, 215r—217v, 721v, 221rv, 229rv, 245v—247v; 284v—294v.

1. «სამართალი მოსესი», „ქარი პირველი. დასაწყისი წიგნისა სამართლისა, რომელი მოსცა ღმერთმან მოსეს, რომელი დაწერა მან მოსე წიგნსა მეორ[ე] სჯულისაა და გამოსლვათასა. მცნება ღთისაგან. სამართალი მოსესი.—ა. მცნება ღთისაგან: თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა...“ 73v—81v.

2. «სამართალი ბერძული», „ღევან ბრძენისა და კოსტანტინესი და სხვათა გელმწიფეთა მიერ თქმული და განწესება, სჯულის კანონი მეფეთა და სიმართლისა მოსამართლეთათვის, რათა, რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამასა შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვყოღცა.—ა. რომ მოხდეს და დადგეს კაცი ვინმე მსაჯულად სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად საწელის წოდება, ამა წესითა და რიგითა ნუ განაგდებს...“ 83r—134v.

3. «სამართალი სომხური», „ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედა გაღმოთარგმანებული და ეწოდების სახელი სამართლისა...“ 137r—214v.

4. «სამართალი კათალიკოზისა», „ა. სახელითა ღვთისითა, მე. ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიარქმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან, მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შეეკრაზენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი...“ 218r—220v.

5. «ძეგლის-ღება მეფეთ-მეფის გიორგის შიერ», „ა. ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დავდევით ძეგლი, განიჩენი ესე, მას ჟამსა, ოდეს შევედით მთაჟულთა შიგან...“ 222r—228v.

«სამართალი აღბუღასი», „შევიყარენით ქოლთა მინდნობილნი ლთისაჲ და აწყურისა ლთისმშობლისანი და გაქცევისა, დავიდევით წინ პატრონისა პაპისა ჩემისა მანდატურთ-უხუცესის ბექას განაჩენი და იგი ავრევე სრულებით და უკლებრად დავწერთ...“ 230r—245r.

7. «სამართალი ბატონის შვილის ვახტანგისა», „მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა დამაარსისა მქებნი, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელა და მმონებელი, უდებად მქონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დლითი-დღე მრეველნი ჯელთა მარგალიტთა შინა, და ჰპოვებენ მძივთა რათმე...“ 248r—284r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. E. Такайшвили, Описание рукописей..., ტ. II, Тифлис, 1906—1912 წ., გვ. 616).

2. სამართლის წიგნებს წინ უძღვის: „საძიებელი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა მუხლებისა“, 11r—70v.

(107)

107-ბ

სამართლის წიგნები. XIX

652 გვ.; 33×20; ქალაქი; მუყაოს ყდა; ნხედრული; კვირინიანი—1810 (611 გვ.); დაუწერელია: 40—48, 50, 239—240, 551, 552, 588, 630—652 გვ.

1. «სამართალი მოსესი», „კარი პირველი. დასაწყისი წიგნისა სამართლისა, რომელი მოსცა ღმერთმან მოსეს, რომელი დაწერა მან მოსე წიგნსა მეორე სჯულისასა და გამოვლათასა. მცნება ღთისაგან, სამართალი მოსესი.—ა. მცნება ღთისაგან: თავ უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა გამცნოა შენ უფალმან ღმერთმან...“ 9—39 გვ.

შენიშვნა: მოსეს სამართალს წინ უძღვის: ა. „წიგნი სამართლისა, გამოკრებული მოსეს მიერ აღწერილთა სჯულთაგან და განცემული ქართველთა მეფისა ვახტანგ მეექვსისა მიერ წელთა შორის ჩლდ და ჩლია“ (1 გვ.).

ბ. «შესავალი». „დასაბამიდანვე დამდებელმან საფუძველთა ქვეყანისათამან და დამქესელმან ცათამან, უფსკრულთა გამოკვლეველმან და სივრცეთა სოფლისათა გარეშემცველმან, ყოველთა არსთა და არაარსთა არსებად მომყვანებულმან...“ 3—8 გვ.

2. «სამართალი ბერძული», „ლევან ბრძინისა და კოსტანტინესი და სხუათა ჯელმწიფეთა მიერ თქმული და განწესება სჯულისა, კანონი მეფეთა და სიმართლისა მოსამართლეათვის, რათა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვყოდცა.—რომ მოხდეს და დადგეს მსაჯულად კაცი ვინმე სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად სახელისა წოდება, ამა წესთა და რიგთა ნუ განაგდებს...“ 54—238 გვ.

შენიშვნა: „ბერძულ სამართალს წინ უძღვის ტექსტის ხელით დაწერილი შემდეგი ცნობა: „სამართალი ბერძენთა, გარდღოლებული თვით ენისა ზისგან ქართულსა ზედა ჟამსა ქართველთა მეფის ვახტანგ მეექვსისასა და განცემული მის მიერ ერთადმი ქართველთასა ჟამსა ყოფნისა ნისისა ბატონიშვილად და განმგედ ქართლისა წელთა შორის ჩლდ და ჩლია“; 49 გვ.

3. «სამართალი სომხური», „ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა-სამართლის წიგნთა ზედან გარდმოთარგმული (!) და ეწოდების სახელი სამართლისა...“ 243—551 გვ.

შენიშვნა: სომხურ სამართალს წინ უძღვის: „სამართალი სომხთა გარდმოღებული თვით ენისა მისგან ქართულსა. ზედა ჟამსა ქართველთა მეფისა ვახტანგ მეექვსისა და განცემული მის მიერ ერთად ქართველთასა ჟამსა ყოფნისა მისისა ბატონიშვილად და განმგედ ქართლისა წელთა შორის ჩღგ და ჩღა“, 241 გვ.

4. «სამართალი კათალიკოზისა», „სახელითა ღთისათა მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოველისა საქართველოსა კათალიკოზმან, პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან, მამათმთავარმან ევდემონ დავსხედით და შეეკრიბენით ყოველნი ეფესკოპოზნი აფხაზეთისანი...“ 555—563 გვ.

შენიშვნა: „კათალიკოზის სამართალს“ წინ უძღვის ცნობა: „სჯული, დადებული იმერთა ერთათვის კათალიკოსთა მიერ ქართლისა, მალაქიასა, და აფხაზეთისა—ევდემოსისათა, კრებითა ლუდელმთავართა, ქმნული წელთა შორის 1605 და 1610“; 553 გვ.

5. „ძეგლის დადებო მეფეთ-მეფის გიორგის მიერ.— ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან დავდევით ძეგლი განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან...“ 567—587 გვ.

შენიშვნა: სამართლის ტექსტს წინ უძღვის ცნობა: „საქართველოს მეფისა გიორგისაგან. რომელსა ეწოდა ბრწყინვალეცა, რომელიცა განმეფდა წელსა 1318 და ემეფა ვიდრე 1346-დმდე“ (565 გვ.).

6. «სამართაი აღბულასი», „შევიყარენით ქოლთა მინდობილნი ღთისანი და აწყურისა ღთისმშობელისანი და გაქცევისა.— ა. დავიდევით წინა პატრონისა პაპის ჩემისა მანდატურთ-უხუცესის ბექას განაჩენიდა იგი აგრევე სრულობით, დაუკლებლად დავსწერეთ...“ 591—649 გვ.

შენიშვნა: აღბულას სამართალს წინ უძღვის გადამწერის შემდეგი ცნობა: „სჯული, დადებული სამცხეს ათაბაგისა ბექასი და ხედ დართულ[ი] ძის ძისა მისისა აღბულათაბაგისა მიერ. ათაბაგი ბექა ცხოვრებდა წელსა 1361 ვიდრე 1391-დმდე, ხოლო ათაბაგი აღბულა ცხოვრებდა წელსა 1444 ვიდრე 1491-დმდე, რომელთაცა ქორონიკონ[თა] შორის დადებულ არიან სჯულნი ესე მათ მიერ“, 589 გვ. მინაწერი: 553 გვ.

(107)

107-გ

ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. 1809

119 ფ.; 20×15,5; ქალაღი; მუყაოს ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები და მუხლის დასაწყისი სიტყვები სინგური; 1809 წ. (101v); გადამწერი: ანდრია ალექსიშვილი (101v); მოსკოვი (101v); დაუწერელია: 32v—20r; 162r—119r.

«ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი», „მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა ჩემისაებრ მქებელი და მომნებელი (!), უღებად მქონე მპონელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი-დღედ ნრეველნი ჯელთა მარგალიტთა შინა.

და ჰპოებენ მძივთა რათმე და უხილველობისათვის აღიღებენ და შთაზღებენ საუნჯედ, პატიოსანთა შემკობით უპატიოსნედ მარგალიტად ჰყოფენ...“ 24r—101v.

შენიშვნა: 1. სამართლის მუხლებს აკლია 225 მუხლის დასაწყისიდან 237 მუხლის ჩათვლით, 259 მუხლის ბოლოდან 261 მუხლის ჩათვლით და 248—260 მუხლები.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. E. Такайшвили, Описание рукописей... т. II, Тифлис, 1906—1912 г.г. стр. 629—630).

4. ხელნაწერის დაუწერელ ფურცლებზე დაკრულია სურათები რუსული ნაბეჭდი გამოცემებიდან.

ანდერძი: „წელთა 1809, ენკენისთვის ბ. აღიწერა სამეფოსა ქალაქსა შინა მოსკოვისასა წიგნი ესე სამართლისა, მეფის ვახტანგისაგან გაგებული, ხელითა აღეჭსი შეილის ანდრიასითა. ვითხოვ. მკითხველთ შენდობა მიბრძანოთ. ანდრია (ჩართულით)“, 101v.

(108)

108

ანტონი I, გრამატიკა. XIX

284 გვ.; 34,5×22; ქალაღი; ტყავადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა; მხედრული, სათაურები და დასაწყისი ასოები მთავრულით; [XIX]; დაუწერელია: 1, 2, 9, 10, 20, 281—284 გვ.

[ანტონი I], „თვს ჭელოვნებისა ღრამატიკოსობითისა. ნაწილი პირუღლი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თვთოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამატიკაჲსა მოწაფე-ქმნილთა. თავი პირველი. ბრუნუათათვს სახელთასა. § 1.—რიცხუსა შორის ჩუშნ მიერ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა...“ 11—280 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. „შეყუანილება წიგნისა ღრამატიკაჲსა, მიწერილი მოძღუართად და მოწაფეთად ღრამატიკაჲსათა, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუშლოჲსა“, 3—4 გვ.

ბ. „პინაქსი ღრამატიკისა“, 5—8;

2. გრამატიკის ტექსტი მთლიანად მიჰყვება 1885 წლის გამოცემას (იხ. ქართული ღრამატიკა, შედგენილი ანტონი I მიერ).

(109)

109

მარხვანი. XVI—XVII

431 ფ.; 26,5×17; ქალაღი; დაზიანებული; რესტავირებული; ტყავადაკრული ხის ტვიფრული ყდა; ნუსხური, ორი სხვადასხვა ხელით ნაწერი (სათაურები სინგურით); [XVI—XVII სს].

«მარხვანი». „კვრიაკესა მეზუშრისა და ფარისეველისასა [იწ]ყუბიან მარხვანი. მწუხრად ოზოლყა ზედა დასდებელი აღდგომისა წმისაგან და ყოვლად. ეჰა დბლი.—ნუმცა ვილოცავთ ფარისეველისაებრ, ჰ მძანო, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს...“ 1r—431r.

წყდება: „... გამოუთქმელსა დიდებასა შინა თქსა... საიდუმლოსა-
ახლისა პრქუა ზიარებად მათთა...“ 431r.

შენიშვნა: ხელნაწერში ორი სხვადასხვა ხელი შეიმჩნევა.

მინაწერები: 1. „ქ. ესე მარხვანი წმინდის მღთისმშობლისა არის, ვინც ეს მო-
იბაოს, გაუწყრეს ამისი მადლი, ამინ“, 71v.

2. „ქ. ესე მარხვანი დაშლილი და წამხდარი იყო, მე, დიმიტრი დეკანოზი-
შია შევაკრეინე. ვინც ეს წაიკითხოს, დღეგრძელობა უბრძანეთ“, 38v.

3. „ამა წიგნის წიგნში ავად გავგე. ღმერთო და ბარც[ხ]ანისა ღისმშობლო. მ[ომიტვე]ე
ჩემნი ცოდვანი, ამინ უ[ფალაო]“ (ტექსტის ხელითა); 294v. მინაწერებია აგრეთვე
54v-სა და 358v-ზე.

(110)

110

კრებული. XIX

143 ფ.: 11x16: ქალაღი (ორი სხვადასხვა ფერისა); დაშლილი; კიდევშემოცვე-
თილი; ხის ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით;
[XIX ს.].

1. «ჩარდავრი შიანი», „კონსტანტინუპოლის ჯელმწიფის ამბავი, უშლოებისათჳს თუ როგორ შეწუხებული იყო.—იყო ჯელმწიფე კონსტანტინუ-
პოლის ქვეყანასა, მორკმული და განმდიდრებული, ყოველს ქვეყანას საჯელ-
განთქმული...“ 1r—56v.

2. „დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის ირაკლას ძის მეფისა
თეიმურაზისაგან, რომელი იქმნა ცხებულ შემდგომად წელიწდისა ცხრისა-
თქმისა ამისისა. წიგნსა ამას ეწოდების სარკე თქმულთა.—

ა. ვით ჯელ-ვჰყო აღძრვად სიტყვათა ვერ სიბრძნის ღირსმან სწავ-
ლობით,
ვერცა ღრმაგ (!) გამომეტყველი, რიტორებრ ენა მრავლობით...“
57r—92v..

შენიშვნა: ხელნაწერში მოთავსებული „სარკე თქმულთა“ გამოუყენებია თავის-
გამოცემაში გ. ჯაკობიას (იხ. თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული გიორგი
ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით. თბ. 1939 წ.,
გვ. XXIII).

3. «ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ომანიანი», „[დიდება] შენ-
და, დიდება, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო...“

შენიშვნა: „ომანიანის“ ტექსტი მცირე სხვაობით ემთხვევა გ. ჯაკობიას მიერ
1937 წ. გამოცემულ „ომანიანის“ ტექსტს. ჩვენი ხელნაწერის ტექსტი ნაკლებია,
წყდება XIII თავზე.

2. სათაურებისა და სტროფების დასაწყისი სიტყვების ადგილები დაუწერელია,
ეტყობა, გადამწერს შემდეგ სინგურით სურდა მათი ჩაწერა.

4. [ნაწყვეტები „ქილილა და დამანადან], „არაკი.—ერთი დიდი ვაქარი ✓
იყო მრავლის ქონების პატრონი, მაგრამ დიად ავი და გონჯი სანახავი იყო...“
115r—143r.

წყდება: „...ზოგი საქმეები არის, რომ მტერი მოკეთე შეექნეს კაცსა,
როგორც ვაქრის ცოლმან ქურდის შიშით ვაქარი შეიყვარა. ჯელმწიფემ
ჰკითხა: როგორ ყოფილაო?...“ 143r.

შენიშვნა: 1. „ქილილა და დამანას“ ეს ხელნაწერი რუსულ ენაზე გადათარგმნილი გამოცემული აქვს ალ. ხახანაშვილს (იხ. Грузинский отрывок Калилы и Димны, Древности Восточные, т. I, вып. II, Москва, 1901). ამ ხელნაწერის შესახებ იხ. აგრეთვე: ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, მეორე შეესებული და გადაშუშავებული გამოცემა, თბ. 1945 წ., გვ. 244)“.

2. კრებული აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. (იხ. Описание рукописей, ტ. I, გვ. 299—302).

(111)

111

კრებული. XIX

104 ფ.; 21×16; ლურჯი ფერის ქაღალდი; ტყავდაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული; კვირნიშანი: 1823. წ.; [XIX ს.]; გადამწერი: იაკობ ავალოვი (103r).

1. „ისტორია ალექსანდრეს მეფისა მაკედონიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოვლია სამხრეთისა და თვთმპყრობელისა მეფეთ-მეფისა.—იტყვან ძედ ყოფად მისა მაკედონიისა მეფისა პილიპესა (!), არა არს და ცრუ არს, არამედ ძე არს იგი ეგვიპტის მეფისა ნეფთიანათისა პილიპეს ცოლისა დედოფლის ალიმზიადესაგან...“ 1r—56v.

წყდება: „...ესე რა ესმით მაკედონელთა, ტირილითა ჰრქუეს მას: „მეფეო ალექსანდრე და ძლიერო პატრონო, უკეთუმც შესაძლებელ იყო...“ 56v.

2. «იოსებ ტფილელი», „დიდმოურავიანი. კარი ზ. ამბავი დიდის მოურავისა აქა დაიწყების ლექსსა შინა გამოჩენით გარდასავალი თვისისა ცხოვრებისა.—

მიფესა ქართლის ცხოვრება ებრძანა გალექსულობით,
ზოგი რუსთველის ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით...“
57r—102r.

შენიშვნა: I. ხელნაწერი ზუსტად მისდევს გამოცემულ ტექსტს (იხ. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი. გ. ლენინის რედაქციით, 1939 წ.).

2. ხელნაწერს ერთვის „საძიებელი“, 103rv.
ანდერძი: „დასასრული საძიებლისა. ავალოვი მე იაკობ. განსრულდა, დიდება ღმერთსა“, 103v.

შინაწერები: 1. „1724-სა გადაბანდა ვახტანგ მეფე ასტარხანს, იმავე წელს პეტერბურღს (!). და უკუნ იქცა 1737-სა კიდევ ასტარხანს და გარდაიცვალა იმავე წელსა დიდი ვახტანგ მეფე“, 11r.

2. „მეფე ერეკლე დაიბადა 1716 წელსა. კახეთის მეფობა მიიღო 1744-ს წელსა და ქართლისა ც მიიღო 1762-სა წელსა, და გარდაიცვალა 1798-სა წელსა. გიორგი მეფე დაიბადა 1750 წელსა. მეფობა მიიღო 1798-სა წელსა, გარდაიცვალა 1800-სა წელსა“, 10v.

მინაწერები მოგვიანო ხანისა: 35r, 102v.

(112)

112

ბაუმეისტერი, ლოგიკა. 1797

II+302 გვ.; 18×11,5; ქაღალდი; ქაღალდისავე ყდა; მხედრული; სათაურები მთავრულით; გადამწერი: ალექსისძე რექტორი დავით (298 გვ); 1797 წ. (298 გვ.); დაუწერელია: I, II, 293, 294, 299—302 გვ.

[ბაუმეისტერი], „თავი პირუელი. წინასიტყუა ფილოსოფიისათვის და ნაწილა მისთა, § 1.—ვიწინდგან აწ შრომა ჩუწნი არს ამას შინა, რათა ყო-

ველნი ნაწილნი ფილოსოფიისანი უმჯობეს და შესაბამ აღწერით განვკარგენ-
ნიომცა. .“ 1—292 გვ.

შენიშვნა: 1. ბაუმეისტერის შრომა თარგმნა ქართულ ენაზე ანტონი I.

2. „ლოგიკას“ დართული აქვს: „კინაქსი ლოლიკისა. ნაწილი პირუელი...“
295—297 გვ.

ანდერძი (გადანწერისა): „აღუსწერე ლოლიკა ესე სანეფოსა შინა კახეთისა-
სა, ქალაქსა შინა თელავს, თუთ თელავის ქალაქის სემინარიასა შინა, მე, ალექსის
ის ძემან და თელავის ქალაქის სემინარიის რექტორმან დავით, სამეფოსა
შინა პალატსა დასაბამითგან სოფლისა წელსა ჭტე, წელსა განხორციელდებოდა
სიტყუსა ძისა ღისა ჩღუბ, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა ზედა ოპე, ზედნადებსა
თ, ჭელთას შინა გ. ათცხრამეტურსა დ. მთუარის მოქცევასა თ, მზის მოქცევასა
კ. ალექსის ძე რექტორი დავით“, 298 გვ.

(113)

113

ანდრია კესარიელი, იოანე ლევისმეტყველის გამოცხადების თარგმანება. 1801

53 ფ.; 21 × 17.5; ქალაღდი მოღურჯა ფერის; დაშლილი, დაფურცვლილი, კიდებ-
შემოკვეთილი; ტყავგადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა; მხედრული (სათაურები
და აბზაცის დასაწყისი სიტყვები სინგურით, ზოგ ადვილას მთავრულით); მომგებელი
მღუდელ-მონაზონ. იოსტო ანდრონიკოვი (53r); გადამწერი: დიმიტრი (53r); 1801 წ.
X. 4 (53r).

„წმინდათა შორის მამისა ჩუშნისა ანდრია მთავარეპისკოპოსისა კა-
ბადოკიელიისა თარგმანება გამოცხადებისა წმინდისა იოანე
ლთისმეტყველისა, რომელი ჰსთხოვა სხუამან ეპისკოპოსმან და ნან მიუწერა
ესე: უფალსა ჩემსა და ძმასა და ჩემ თანა-მღუდელსა უფლისა მიერ გაბა-
რებ.—მრავალთა მიერ მრავალგზის ვიგულე, რომელთა-იგი აქვნდა ჩემდა
მომართ იქვი უზესთავსი ძალისა ჩემისა...“ 1r—53r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ექვთიმე ათონელის თარგმანს (იხ. კველიძე,
ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1941 წ., გვ. 577).

ანდერძი გადამწერისა: „სრულ იქმნა წიგნი ესე, რომელ არს გამარტება (!)
გამოცხადებისა, რომელიცა მიბძანა ყოვლად კეთილმან კაცმან და წერილისა ჩუშ-
ნისა ზედმიწევნით გამომეძიებელმა მღუდელ-მონაზონმან იოსტოს, ხოლო გუა-
რით ენდრონიკოვმან, მე ფრიად და ნანდულ-მოყუარესა და სარწმუნოსა მეგობარ-
ს: თუსსა მღუდელ-მონაზონ დიმიტრის აღწერა წიგნისა ამის, თუმცა უამისა
უქამობა მაყენებდა, მაგრამ უმწესრვალესმა სიყუარულმა მაიძულა, და მზილველ-
თა მიერ ლოცვით მოკსენებას ვითხოვ მცნებისათს ღთისა. წელთა 1801, ოკტონ-
ბრის 4“, 53r.

(114)

114

ანტონი I, ფიზიკა. XVIII

IV+290 გვ.; 18×11; ქალაღდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული,
სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები მთავრულით; მთარგმნელი და შემდგენელი:
ანტონი I (1 ფურცელი); [XVIII საუკ. ბოლო]; დაუწერელი: IVr.v.

„ანტონი I“, „შემოკლებული ფიზიკა თეორეტიკებრი. შესა-
ვალი, ანუ წინასიტყუაობა. § 1.—ფილოსოფია ბუნებითი, ანუ ფიზიკა არს

ცნობა ბუნებითა ნივთთა, ესე იგი ყოვლისა მის, რაეცაღა არსებისაგან და თვისებისა სხეულთასა ყოფად შესაძლებელ არს..." 1—289 გვ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს ბოლოს დართული აქვს ორი ნაბეჭდი ტაბულა ნახეზებით.

2. ხელნაწერს წინ ერთვის: „პინაკსი ფისიკისა“, 11r—111r.

3. ტექსტს წინ უძღვის ანტონი I წინასიტყვაობა: „ანტონის მიერ არსებებისკაობისა წინასიტყვაობა ფისიკისა ამის წინამდებარისა.—შემდობელ მექმენინ სურვლნი წერილთმოყუარეთა და უფროსდა სიბრძნისმოყუარეთანი, რამეთუ წინასიტყვაობაჲ შესაბანი აქა დადებად. ვითა დაყენებულმან გარემობათგან საკიროთა, ვერ უქლე. ვინათგან ვჰსთქუ ზემორე, ვითარმედ გარემობათგან საკიროთა ვითა დაყენებულმან წინასიტყვაობაჲ აქა დადებად ვერ უძლე, ამისთვის თანა-მაცს განცხადებად, თუ რამემინ იყუნეს საკირონი იგი დაყენებანი: მგზავრობა მანულისადნი, რომელსაცა მონარხისა ნიშართ დიდითა-რე თხოვითა ნივემთხვე.“

გარდამოვიღე წინამდებარეჲ ესე ბუნებითი ფილოსოფია სავმარად სწავლის მოყუარეთა რუსთა სამოქალაქოჲსა ენისაგან ჩნსა ზედა ენასა ხოლო სავმარად ესთა. გუშინ წელსა 1762, თთუშსა დეკტებერსა 26 შეკრებულ ვიყუშნით სახლსა. ვისმე ნათესავისა ჩნისასა, სადაცა ითქუა ვისგანმე, ვითარმედ ფისიკა გარდააქციესო კაცსა ქემშარბიტებისაგან ცნობისა, ხოლო უგანსწავლულესნან ვინმე და, უდიდესი ვჰსთქუა, უქრისტესმოყუარესმან მიუგო ზას: უმეცარნიო ფისიკისანი მსგავს არიან ბრმათა, მხოლოდ ნივთთა წინამდებარეთა კელითა ოდენ განმზილულშლი და მგრძნობელნი შეხებითა ოდენ ნივთისანი და ვერ სადამე მცნობელნი შესახედავთანი. ხოლო მეცნიერნი ფისიკისანი არიან ვითა მხედულშლი და არა შეხებითა ოდენ მგრძნობელნი ნივთთანი, რომელნიცა არა რამეთა მიხეზითა ფისიკოსობისათა გარდაიქცევან ქემშარბიტისაგან ცნობისა.

არს ფისიკისა ამას შინა ანბანი, რომელიცა გუაცნობებს ჩნ ცნობასა ირისესსა, გვრგვინთა და მაცთურთა ნხეთასა და მიზიდუასა წყლისასა მთოვარის მიშართ. და ესე დაღათუ არა ადვლ არს, მაგრა ნაყუშთნი დახატულნი ბოლოს წიგნისა ადვლად შეგუასწავებენ.

გარდამოვიღე ფისიკაჲ ესე სხუათა და სხუათა ავქსონთაგან შემკრებელმან მით, რამეთუ ვოლფიოსისგანსა სისტემასა სოფლისასა მივრიდე. ხოლო მეუფესა ამას საუკუნეთასა უზრწნელსა, უხილავსა, მხოლოსა, ბრძენსა უფლისაჲ პატივი და დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ“, 11v.

(115)

115

მითოლოგია. XIX

26 გვ.; 21×16,5; ქალღი: დაფურცვლილი; ნაკლული; ტყავადაკრული მუყაოს ტყვიფრული ყდა; მხედრული; [XIX ს.].

„შეეყუანნილება მეტალოლიისა საზოგადოდ. თავი I.—მეტალოლია ანუ ძუშლი ზღაპარსიტყუაობა, არს მოთხრობა ერთათუს ნივთთა და ბუნებითთა მოქმედებათა ლთად აღსარებულთა ძველთა წარმართთაგან...“ 1—26 გვ.

წყდება: „...მ. მავსილოი, რომლისაცა საფლავი არს ერთი შვდთაგანი ღირსი კსოვინისა, რომელნიცა აღაშენა თავისა თვისისათუს საფლავი დიდითა წარსაგებელითა და ნივთთა სიმძიმითა ზედა და უყეთა რომელიცა მდებარე არს შესავალთა მორევთა მიერსა...“ 26 გვ.

შენიშვნა: 1. ნაშრომში ანბანზე დალაგებული და განმარტებულია სხვადასხვა მითოური ანბები. ტექსტი წყდება ასო მ-ზე.

(116)

116

ახალი აღთქმის საკითხავები. XIII—XIV

172 ფ.; 18×14; ეტრატი (შიგ ჩართულია მოგვიანო ხანის ქალაქის 3 ფურცელი (61,116 და 117 ფ.); ნაკლული; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა (შიგნიდან გამოკრული აქვს ძველი ქსოვილი); დაზიანებული; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XIII—XIVსს.];

[ახალი აღთქმის საკითხავები]. „... და ჰრქუა: ავსე! უფალო, ყოვლითა ზაკუვითა და ყოვლითა მანკიერებითა, შვილო ეშმაკისაო, და მტერო ყოვლისა სიმართლისაო, არა დასცხრტ... ქცევად გზათა უფლისათა წრფელთა...“ 1r—10lr.

შენიშვნა: დართული აქვს: „განგებაჲ თუშთა წელიწდისთაჲ საკითხავათჲს დლითი-დღედთა წრთაჲსა და საუფლოთა დღესასწაულთა წდგმისათჲს და აღილუთა ფსალმუნისა“ (10lr—172v).

მინაწერები: 1. „ღმერთო შეიწყალე ფრიად ცოდვილი აბელ, ამენ“. 23r, 64r, 168v.

2. „ღმერთო შეიწყალე მიქელ“, 34r.

3. „[იოანე]სა არაბიძესა...სსა მისა მეუღლეს [გულ]ქანსა შეუნდვენ ღონ“, 40v.

4. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი დავით, მამა მისი იასონ, დედა მისი ტანსუხს, ამენ“. 44r.

5. „სულსა აბრამასა და მისისა მეუღლისა ელ[ი]საბე]დს შეუნდვენს ღმერთმან...“ 46r.

6. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი დონა (!), ამენ“. 63v.

7. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი დავით“, 170r.

8. „ქ. ღმერთო, შეუნდე მისი ცოდვანი ანასტასიას“, 166r.

9. „[სულსა არაბიძესა ესაიას, მისა მეუღლეს აზმიფარს შეუნდვენ ღმერთმან“, 169v.

მინაწერები: 5v, 15v, 16r, 23v, 24r, 27v, 39v, 40r, 61v, 84v, 91v, 92r, 93v, 121v, 133r, 134v, 137r, 138v, 149v—151v, 158v, 170v, 171v.

(117)

117

ფსალმუნი. XVII—XVIII

52 გვ.; 19×13,5; ქალაქი თავნაკლული (აკლია 4 და 5 გვ. შუა.); ტყავის ტვიფრული ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVII—XVIII.].

[ფსალმუნი]. „... შინა შენსა სრულად. ლოცვაჲ სამეამისა. ფსალმუნი დავითისა, 5გ.—ისმინე, უფალო სიმართლისა ჩემისაო, ვედრებასა ჩემსა...“ 1—52 გვ.

(118)

118

კრებული. XIX

32 ფ.; 31,5×16; ქალაქი მოლურჯო ფერისა; ნაკლული; დაშლილი; მუყაოს ყდა; მხედრული; გადაწერილი: დიახოქი ზაქარია (30 v); კვირინიშანი 1820 წლისა.

1. «ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, მიჯნურთ ბადე». —

„ქ. აწ დავიწყით თქმა ამბისა, თუმც[ა] სულნი შემოჩებიან, გითხრა, რაცა გულსა ჩემსა დაფარული იდებთან...“ 1r—11r.

9. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I

შენიშვნა: 1. 42 სტროფიდან ბოლომდე ტექსტი მისდევს გამოცემას (იხ. ან-თოლოგია, ტ. II, რედაქტორი ია ეკლაძე, ტფ. 1928 წ.).

2. ტექსტს აკვლია პირველი ოთხი თავი (შდრ. S—1511, 1111r—117v).

2. „ქ. თქმული ლექსი სამიჯნურნი (!), რომელსა ეწოდების ეშხი ხონია.— ჩახრუხაული.

ქ. ზანზახის პირი, მნახავთა ჭირი, კეკლუცს მახე წარებით...“

11r—19r

შენიშვნა: მისდევს S—1511 ხელნაწერის ტექსტს.

3. „კარი პირველი ნარგიზოვანისა.—

ქ. შე საყვარელო, შენის გონებით

ხილ ვარ მინდორსა თავის ღონებით...“ 19r—26r

შენიშვნა: ტექსტი სრულია, მაგრამ თავების თანმიმდევრობა არ მისდევს ნაბეჭდ გამოცემას (იხ. „ნარგიზოვანი“ ალ. ბარამიძის რედაქციით, ტფ. 1936 წ.).

4. [ლექსი].—„აღმართნა ბროლნი სვეტისა, რა მზემან ნახა, იამა, უფურჩქუნელსა(!) ვარდსა კოკობსა ჯარით შეედგა, შეისიამა...“ 26rv.

5. «ხილთა ქება».—უყურეთ ხილთა ქცევასა, რისა ანბისა მთქმელია, ფერ-შეწინიერი, ძირ-წვრილი ცოტახან მდგომელია, უხუცესი და პირველი მარწყვი მიწას მდგომელია...“ 26v—28v.

6. [ლექსი].—„სიყვარულისა პირ-მთვარეობა, მოხდომით გაშლა, მით არეობა,

კვიპაროზისებრ ტან-სარეობა ნაძვისა, ზანზახნი ვარდთ ნარეობა...“ 28v—29v.

7. [ლექსი].—„არა გიცნია და აქებ, ესე ვით მოგიგონია, მრავალთა ჟამთა განჩხრიკე, თუ ვითა საყვარელნია...“ 29v—30r.

8. [ლექსი].—„ნორჩნი, ახალ სანუკვარნი, ვაი დაზრდეს აწ უდაროდ, სიყმის ვარდნი დამერთვილნეს, გაქსე (!) ყოველთა საშუდაროდ...“ 30rv.

შენიშვნა: კრებულის ბოლოს სხვა ხელით დართულია სასიყვარულო წერილის ნიმუში. იწყება: „აჰა, თვალთა ნათელთ ჩემო! სვედისა ჩემისა წამალო, დაწყურულბულისა გულისა ჩემისა, ჩემისა მკურნელო, ჩემო სა[ა]ქაოს ცხოვრებაე...“ 31v—32v.

ანდერძი: „მე ღრიად ცოდვილმან და უღირსმან დიაჩოქმა ზაქარიამ დაეწერე წიგნი ესე მიჯნურთ ბადე. რომელმაც წაიკითხო წიგნი ესე და შეცთობა პოვით ვინმე, ნუ გუწყევთ, არამედ ლოცვით მომიხსენებდეთ, და თქვენცა მოგიხსენოთ უფალმა ჩვენმა იესო ქ[რ]ისტემა მეორედ მოსულასა უკუნისამდე, ამინ“ 30v—31r.

(119)

119

მხითარ სებასტიელი, რიტორიკა. XVIII

374 გვ.; 18,6×12; ქალაღი; დაზიანებული; მუყაოს ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები და აბზაცების დასაწყისები ასომთავრულით; [XVIII]; დაუწერელია: გვ. გვ. 15—18; 355—356; 363—374.

„თუს გელოვნებისა სარიტორიკოსა (ესე იგი სამქვერმეთქვოვას): წიგნი ა. თუს საზღურისა სამქვერმეთქვოვასა და წუალებისა ნაწილთა მისთასა. თავი

ა. — მქვერმეთქუშობა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს ჯელოვნება საკეთილმეთქუო. ითქმის ჯელოვნებად, რომლითა ეზიარების სხუათა ყოველთა ჯელოვნებათა. ითქმის საკეთილმეთქუოდ, რომლითა სხუაობს სხუათაგან ყოველთა ჯელოვნებათა...“ 19—354 გვ.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. თავფურცელი 1 გვ. (თავფურცლის ტექსტი იხ. S—48 ხელნაწერის აღწერილობის შენიშვნაში). ბ. „წინასიტყუაობა—ეპისტოლე, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართულოჲსა დავითიან-ბაგრატიონისა ირაკლის მიმართ...“ 2—14 გვ. (ტექსტი იხ. „H კოლექც. ხელნაწერთა აღწერილობა“ 1 ტ. № 256; გვ. 183—184).

2. „რიტორიკის“ ტექსტს დართული აქვს „პინაქს-სიტყუაობა სარიტოროჲსა ჯელოვნებისა...“ 357—362 გვ.

(120)

120

კრებული. 1794

412 გვ.; 21×18; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები მთავრულით; მეორე ნაწილში სათაურები გვხვდება სინგურით; გადამწერი: პეტრე მოძღვარი და მისი ძმა გიორგი (202 გვ.); 1794 წ. (202 გვ.); დაუწერელია: 203—206; 410—412 გვ.

1. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩნისა ბასილისი. პირველი. სიტყუსა მისთჳს, ვითარმედ „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუშყანა“. რომელსა ენებოს „დაბადებისათჳს სოფლისა“ მითსრობად, დასაბამად ხილულთა ამათ შემკობისა ესევეითარისა სიტყუსა შუშნის დაწყებად, რამეთუ ცისა და ქუშყანისა დაბადებასა ჰნებაეს უწყებად, რომელი-იგი არა თუ თავით თჳსით წარმოიჩინა, ვითარცა-იგი ვიეთმე ეოცნა, არამედ ღისაგან მიიღო მიზეზი დაბადებისაჲ—რომელიმცა უკუშ სასმენელი ღირს იყო სმენად სიდიდისა ამათ თქმულთასა...“ 1—201 გვ.

შენიშვნა: ეს ხელნაწერი წ. ლიტერით გამოყენებული აქვს მ. კახაძეს (იხ. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, თბ. 1947 წ.).

ანდერძი: „დიდება და მადლობა ბრძენსა ღმერთსა. სრულ იქმნა ექვსთა დღეთა მადლითა პეტრე მოძღვრისა და ძმისა მისისა გიორგისითა, ამინ.“

ესე აღვსწერე 1792 წელსა, ქორონიკონის უბ. შვეთის კოროლი დუხსტავ მესამე მოიკლა დამბაჩითა მასკარეთს შინა შვეთელისავე აზნაურის ანკერსტრემისაგან“, 202 გვ.

2. „წმიდათა შორის მამისა ჩნისა დიდისა ვასილისა კესარია კაბადოკიისა არხიეპისკოპოსისა თქმულთაგან ღთიე-შუშნიერთა სწავლანი, რომელსა ეწოდების სუფევა. სწავლა ა. სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა.—ღისა მარადის ხსენება კეთილ არს და განუძლომელ სულისა მის ღრის მოყუარისა...“ 207—408 გვ.

შენიშვნა: 1. ერთვის „ზანდუკი“, 409 გვ.

2. სუფევა შედგენილია გაბრიელ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1941, გვ. 582).

მინაწერები: 1. „სეინდოროსი არს ვაქილი“, 295 გვ.

2. „მდაბალი დეკანოზი ვასილი ადრიანოვისა არს“, 1 გვ. აქვე არის ბერძნული მინაწერი.

3. „დეკანოზი ვასილი ადრიანოვი“, აქვე ბერძნული მინაწერია 409 გვ.
 4. „ბერძნის დეკანოზი და ბლალორინი ვასილი მლუდღის ანთიმოსის ძე-
 მისავე მლუდღის ანდრიასი ანდრიანოვისა არს წიგნი ესე“, 202 გვ.
 (იგივე მიწერილია ბერძნულად).

(121)

121

ანტონი I, წყობილსიტყვაობა. 1820

302 გვ.; 23×19; ქალაღი; მუყაოს ტყავადაკრული ტეფრული ყდა (ქვედა ყდა-
 მოვარდნილია); მხედრული; სათაურები და სტროფის დასაწყისი ასოები სინგურით-
2. „წიგნი პირუშლი ცათათვის და ნივთათათვის მრავალთა სრულებათათვის და უალრესობათათვის უწმიდისისა ქალწულისათა იველყოფებიან, რომელნიცა პირად-პირადისა შემჰსგავსებითა მზისა, მთოვარისა, ვარსკულავთა წათლისა, განთიადისა, ღრუბლისა, ზღუსა და ქყანისათა. მერმეცა უკუშთუთებითა სინას მთისათა გონიერებრივ იჩუშნების. თავი ა.—მარიამ, დედა უფლისა, შემსგავსებულ არს მზისა...“ 364 — 466 გვ.

წყდება: „რამეთუ ანგელოსი შეახლებითა ძალისათა ითქმის ადგილსა შინა მყოფად, რომელსა არა ძალ...“

(158)

158

ლოგმატიკონი. 1802

I-II. ფ.; 394 გვ.; 33,5 × 21,5: ქალღმერთი; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; გადამწერი: დიმიტრი; 1802 წ., ადგილი ყარაბულახი (391 გვ.); დაუწერელი: ფ.ფ. I-II. 392—394 გვ.

„მისივე იოანე მონაზონისა ხუცისა დამასკელისა, ოქრორ-ნეკტარად(!) სახელდებულისა სიტყუა-ნამუშავევი დასამხობელი ღრის მოძაგებულისა წუთალებისა იაკობითასა.—არცა კეთილი კეთილ არსო, რაჟამს არა კეთილად იქმნებოდეს ბრძენთა სიტყუა...“ 1—391.

ანდრძი: „აღვსწერე დ ო ლ მ ა ტ ი ესე ყოვლითურთ სასური და მწუალებელთა ბაგეთა დამაყოფელი უღირსმან მლუდელ-მონაზონმან და უმრწემესმან ძმამან ბრძანებითა ნამდვლ-საყუარელისა სქესით ენ დ რ ო ნ ი კ ო ვ ი ს იოსტოსისათა, მომცენებელმან მოციქულისა ბრძანებისამან, რომელიცა ბრძანებს: სიყუარული თვნიერ საქმისაო. გარნა ჭორციელთა სახმართაგან ვიყავ გლახაკი, ვითა მონაზონი, და შენცა შეგეცა ნივთნი სოფლისანი არარად, თვნიერ წერილისა, რომელიცა გაქუნდა საზრდელად და სიცოცხლედ სულისა. ამისთვის დავეშუქრ და აღვსწერე ყ ა რ ა ბ უ ლ ა ხ ს ყოფას ჩემსა ბრწყინულე ესე წიგნი სახითა და საქმითა, ძალითა და ხედვთა, პირი მართლ-მკუთხელი ქეშმარიტისა აღსარებისა და კეთილმორწმუნეთა სიქადული ესე. დ ო ლ მ ა ტ ი კ ა დ სახელდებული; შენ ჟსასურველესო ძმაო, ვითარცა შენ შენმან ქრისტემან შეიწირე, ვითა ქურივისა მწულილი. და გავსოვდე განწმენდილსა შინა სინიდისსა უმდაბლესი ძმა და მეგობარი დ ი მ ი ტ რ ი. ერთის კალმით სრულ ვყავ 1802 VI.23“, 391 გვ.

(159)

159

დიონისე არეოპაგელი, თხზულებანი. XIX

II ფ. 416 გვ.; 33,5 × 20,5; ქალაღი მოლურჯო ფერისა; ტყავადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა. (ყდის შუა ამოტიფრულია ღვთის მშობლის მიცვალების სცენა); მხედრული. სათაურები მთავრულით: მთარგმნელი ეფრემ მცირე; ჰვირნიშანი 1809 წ. დაუწერელია: I-II ფ.; 10 გვ. გვ. 408, 409, 410, 413,—416.

1. „დ ი ო ნ ს ი ო ს ა რ ი ო პ ა გ ე ლ ი ს ა ათინელთ ეპისკოპოსისა ტ ი მ ო თ ე ს მიმართ ეფესელთა ეპისკოპოსისა საღმრთოთათვის სახელთათვი ა. რაჲ არს პირი სიტყუსა და რაჲ არს მოცემულ საღმრთოთა სახელთათვის. თანამლუდელსა ტიმოთეს დიონისიოს მლუდელი.—ხოლო აწ ჰოი, სანატრელო, (1) შემდგომად ღის მეტყუჴლებითთა სახის-შემოღებათა საღმრთოთა სახელთა თარგმანებასა მოუჯდე რაოდენ დასატევენელ არს...“ 11 — 174 გვ.

2. „დ ი ო ნ ს ი ა რ ი ო პ ა გ ე ლ ი ს ა ათინელთა ეპისკოპოსისა ტ ი მ ო თ ე ს მიმართ ეპისკოპოსისა ზეცათა მლუდელთმთავრობისათვის.—ესენი არიან ზეცათა მლუდელთმთავრობისათვის, თქმულთა სიტყუათა ათხუთმეტნი თავნი...“ 175—265.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მოთავსებულია იროკო, რომელსაც ეფრემის შემდეგი შენიშვნა აქვს მიწერილი: „და ესეცა ი რ ო ნ ი კ ო ვ ო რ-მუხლი შუდმეტ მარცუალია. ენისა უგრძესობისათვის და დასდებულად უნაკლულობისათვის ათორმეტ მარცულად იამბიკოდ მიითჴალეთ და უსასყიდლოდ ლოცუაჲ ჰყავთ ე ფ რ ე მ ყ ო ვ ლ ა დ საწყალობელისათვის“, 265 გვ. (ამ შენიშვნის შესახებ იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ეფრემ მცირე და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსწყობის საკითხები. სტალინის საბელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXVII 46B, 1946 წ., გვ. 67.).

3. „დ ი ო ნ ს ი ა რ ი ო პ ა გ ე ლ ი ს ა ათინელთა ეპისკოპოსისა ტ ი მ ო თ ე ს მიმართ ეფესელთა ეპისკოპოსისა საეკლესიოესა მლუდელთ-მთავრობისათვის. თანამლუდელისა ტ ი მ ო თ ე ს დ ი ო ნ ს ი ო ს მლუდელი. თავი ა.—რაჲ არს საეკლესიო მლუდელთ-მთავრობისა მოცემად და რაჲ არს პირი მისი?...“ 266—350 გვ.

4. „დ ი ო ნ ა ს ი ა რ ი ო პ ა გ ე ლ ი ს ა ათინელთა ეპისკოპოსისა ტ ი მ ო თ ე ს მიმართ ეფესელთა ეპისკოპოსისა საიდუმლოდ ღის მეტყუჴლებისათვის. თამლუდელსა ტიმოთეს დიონასიოს მლუდელი. თავი ა.—ვითარმედ რაი არს საღმრთო ვმა...“ 351—364 გვ.

5. „დიონისი არიოპაგელის ათინელთა ეპისკოპოსისა ეპისტოლენი თითო-სახენი. ეპისტოლე ა. გაიოსის მიმართ მოწესისა.—ბნელი უჩინო იქმნების ნათლითა...“ 365—412 გვ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ დართული აქვს: „შეწვენითა უფლისა ჩნისა იესუ ქრისტესითა წინა-ბჭე სიტყუსა თბრობა დიდისა დიონასისთჳს და წიგნთა მათთჳს მის მიერ აღწერილთა, გვაკურთხენ, მამაო...“ 1—9 გვ. ამ ნაწარმოებთა შესახებ იხ. კ. კეკელიძე. ქართ. ლიტერატურის ისტორია. ტ. I², გვ. 601.

2. კრებულში შესული ნაწარმოებების კიდევბზე მიწერილია კომენტარები.

ანდერძი (მთარგმნელისა): „დიდება და მადლობა დასაბამსა და სრულმყოფელსა ყოველთა კეთილთასა ღმერთსა, რომლისა წყალობითა სრულ-იქმნა ერთი ესე ხუთთაგან წიგნთა წისა დიონისისთა. პირველი წიგნი—თარგმანება საღმრთოთა სახელთა—მეოხებითა წსა ღის მშობელისათა და წისა სიმეონ საკრველთმოქმედისათა და ლოცუთა ბერთა ჩნთა საბა და ანტონისითა და მათ თანავე მოლუაწებითა და ზრუნვითა კირილე ალექსანდრიელისათა, რომელთა ხსენება და ნეტარება საუკუნო იყავნ. ლოცუთა ჰყავთ, ქწნ მოყუარენო, იონანესთჳს საღმრთოდ ფილოსოფოსისა და ჯორციელად ღრამმატიკოსისა, რამეთუ ლოცვასავე თანა ზემოხსენებულთა მამათასა იგი იქმნა პირ და გონება და სიტყუა პირუტყუთა უფუნურების ეფრემ მცინისა, რომელი აღვიარებ, ვითარმედ არა თუმცა იგი ყოფილიყო მოძღუარ და ძალ-მწე ჩემდა, მიხედუადცა ვერ ვიკადრებდი მზის თუალსა ამის წიგნისასა, რომელსა შინა ჩემი ცთომილება ოდენ არს, მომიტყვეთ და ლოცუთა ჰყავთ“, 174 გვ.

(160)

160

კრებული. 1829

IX ფ.; 266 გვ.; ქალაღი; ტყავგადაკრული ხის ტეიფრული ყდა; მხედრული, სათურები სინგური; გადაწერილია 1829 წ. II. 20 (178, 247 გვ.); დაუწერელია: I-IX ფ.; გვ. გვ. 179, 180, 248—266.

1. „კარი პირველი. ბახტიერ კელმწიფისა ჰამბავი ტკვილად და ამოდ გასაგონი მსმენელთათვის, რომელსაცა ეწოდების წიგნსა ამას სახელად ჩარდავრიშიანი. —იყო კელმწიფე კოსტანტინეპოლეს შინა, მორკმული, განმდიდრებული და ყოველსა ქვეყანასა ზედა სახელგანთქმული. არა იყო შექირვება გულსა მისსა, მარადის ლხინობდის, ასპარეზობდის, გაჰსცემდის და შექცეოდის...“ 1—178.

2. „აქა ამბავი და დასაწყისი ჩინეთის კელმწიფისა და ძისა მისისა მირისა, რომელი მისცა ღმერთმან ფერიისა ასულთანა. —იყო კელმწიფე ერთი ხოსრო შაჰ, მფლობელი ჩინეთისა, დიდებული, მაღალი და ყოვლითა ბედნიერებითა სრული. ამისთანა ძლიერი და მაღალი კელმწიფე უშვილოებასა ასე შეეწუხებინა, რომელ ყოველივე საკელმწიფო თვისი არა-რადლა ნიაჩნდა...“ 181—247 გვ.

ანდერძები: „სრულ იქმნა ჩარდავრიშიანი ფებერვალს კ-ს დღესა, ჩყკთ-სა წელსა“, 178 გვ.

2. „წელსა 1829 მარტისა 2 დღესა“, 247 გვ.

12. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I

უღუღბეგი, ვარსკვლავთა კატალოგი. 1735—1737

557 გვ.; 30,5 × 21; ქალღი; მუყაოს ყდა, რომელსაც გადაკრული აქვს ხელნაწერის ძველი ტვიფრული ტყავი; მხედრული, სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები სინგურით (ტექსტის ძირითადი ხელისაგან განსხვავებით არის ნაწერი 554—556 გვ.); [1735—1737 წწ.] აქვს ჭვირნიშანი. დაუწერულია: გვ. გვ. 27—36, 289, 519—521, 537—553, 557.

[**უღუღბეგი, ვარსკვლავთა კატალოგი**]. „ასე იტყვის უღუღბეგ შაჰრუხას შვილი, რომელი არს შვილიშვილი თეიმურისი, რომ მე, ნიადგ ჩემი დღენი სწავლასა და მცოდინარობაზედ დავალამე და ბოლოს, ღმერთმან მომცა შეძლება და ვარსკულავნი გავყავ და ვიანგარიშე ჩემსავე ოსტატთა თანა, რომელსა ეწოდა სახელად ერთსა ყაზიზად რომი, მეორესა მოლა ჯიმშიდ. პირველად რომ მინდოდა დამეწყო ამ წიგნის გამოღება, მოლა ჯიმშიდ მიიცვალა და ჯერ ეს წიგნი არ დაწერილიყო, ჩემი ოსტატი ყაზიზადე რომ მიიცვალა, მას უკან მოლა ალი იყო, მაჰმადი ბაზიერის შვილი; მე და იმან ეს წიგნი დავასრულეთ და გავათავეთ. ეს წიგნი ოთხი კარი არის. სახვეწარი ჩვენი ეს არის, რომ, რომელმაც ამ წიგნში მრუდი და საწუნარი ნახოს, შეგეინდოს და თვით გა[ა]სწოროს, პირველი კარი ქორანიკონების ცოდნისათვის არის...“ 37—556 გვ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის შედგენილობა: ა. [კარი პირველი] „პირველი თავი. იჯარის ქრონიკონის ცოდნა...“ 39—68 გვ.

ბ. „კარი მეორე. აღმოსვლის ცოდნისა და იმის შეფერებულების საქმის შეტყობისა. ეს ოცდაორი თავი არის. თავი პირველი.—ერთი რიცხვი რომ არა ჩნდეს...“ 69—288 გვ. (ამ კარში შესულია: „სახელების თარგმანი“—„ქ. თარგმანილი ბერძენთა და ფრანგთაგან.—შეტყობა სიგრძისა და განისა გამორჩეული ქალაქებსა და ქალაქებსა, ვითარცა მოგვეცა ჩვენ და ვიბოვეთ პირველთა ფილასოფოსთაგან, რომელთა ქუეყანა აღწერეს...“, „რუსულისაგან თარგმანილი ქალაქნი...“¹).

გ. ქ. კარი მესამე. ვარსკულავთ სიარულისა, იმათი სადაობის, განისა და სიგრძის, რაც ამათი მგზავსია. ეს ცამეტი თავი არის...“ 290—475 (ამ თავში 329 და 330 გვ. ერთიდაიგივე ტექსტია შეცდომით დაწერილი).

დ. „დასაწყისი მეოთხე. ვარსკულავთ მრიცხველობისა, რაც ძირს დანარჩომია. იმის რიგების სწავლა. ეს ორი თავი არის...“ 476—536.

2. ტექსტს წინ უძღვის: „ქ. ვარსკულავთ მრიცხველობის საქმეების სახელები თათრულისაგან ქართულად თარგმნული მეფის ვახტანგისაგან...“ 1—26 გვ.

3. სხვა ხელით დართულია: „...ამით კვრა გინა განრავლება. თუ სამოც-ქმნილი ჯაზვარი არ არის, ცოცა(!) ძნელი არს. სამოც-ქმნილი ჯაზვარი ამას ქუიან: ერთი-დამ სამოცამდინ დასამენ...“ 554—556 (ამ ტექსტში მოთავსებულ ცხოილებში ასოები და მინაწერები ვახტანგის მიერ უნდა იყოს გაკეთებული).

4. ხელნაწერი უთარიღია. „გადაწერილი ჩანს რუსეთში (1737 წლამდე) იმ დენიდან, რომელიც ვახტანგის ხელით არის ნასწორები და დატულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საახიო მუზეუმისეულ ფონდში (საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა გზამკვლევი, 1953 წ., გვ. 37).

¹ რუსული ქალაქების სიგრძე და განი ნაჩვენებია ტექსტისაგან განსხვავებული ხელით მხოლოდ სამ ქალაქზე.

5. ხელნაწერის ტყავის ძველ ყდაზე ამოტვიფრულია გეომეტრიული ნახაზები გარშემო რუსული წარწერით, რომელშიაც მოხსენებულია ვახტანგ VI.

ანდერძები (მთარგმნელისა): 1. „მე, მეფემ ვახტანგ, ეს ზიჯი ქართულად ულუყბეგის ზიჯი დამ ვთარგმნე და ეს ქართული თვის დადგი დავსწერე“, 43 გვ.

2. „ქ. დასაწყისი ზიჯისა ამის სწავლისა, თარგმნილი მეფის ვახტანგისა. ეს ულუყბეგის ზიჯი, მე, მეფე ვახტანგ გამოვილე პირზე აბდურბა თავრიზელის შეწვევით. ეს ზიჯის სწავლის რიგები, როგორც იმათში იყო, ისე გარდმოვსწერე და სახელები იმათისავე ენით არის, რომ ქართულს ენაში არც მცოდნე ვინმე იყო და არც წიგნი, და შესატყობრად მოსწავლეს გაუჭირდებოდა, და იმათი სახელებისა ერთი თარგმანი და მეორე, რომელი რასა ქვიან, იმას ქვეით დაგვიწერია. ჯერ ეს ისწავლეთ და მერმე ქვეითი, მაგრამ უოსტატოთ ცოტა ამ წიგნის საქმე ყველა რამ ძნელია. და თუ ვინმე ამას წალმართ ისწავლით, გაქადვილდება და ქართულის სახელებით დასწერეთ ესეცა. და თუ რამ დაგვეკლოს, ისიც ამა ზეით, თარიხებისა და თვის დადგები კარგა გამოგვილია, მაგრამ სხვას ანგარიშებს ვერცა ვინ შეიტყობდა და არც მაგთონი სახმარია, მაგთონს არას გამოვეყენდით, და ვისაც ამის წალმართ გინდოდეს, ჯაზვალი სწორად გამოგვილია და როგორც უნდა, იმის სწავლას სისწორე აკლია. ამას ქვეით სამი დასაწყისი რომ არი, მეორე, მესამე და მეოთხე, სწორია. მაგრამ ეს სწავლეები, როგორც ეს ზიჯი გამოუღიათ და ან რომელი როგორ უბოვნიათ, ის დაუწერიათ, რომ თუ ვისმე ახლის ზიჯის გამოღება უნდოდეს, იცოდეს, რომ ასე უნდა, თვარემ რაც მოსახმარისა ყველასათვის, ჯადვალი გაუკეთებია და ამ წიგნში დაუწერია. იმ ჯადვალადამ რომ იმ საქმის გამოღება ისწავლოთ, თაღუმის დაწერა თუ სხვა მასკულაების საქმე, ყველა შეგძლებათ შეს[ატყობრად მნათობთა თუ დამტკიცებულთა“, 68 გვ.

მინაწერები: 1. „ივანე ანდრონიკაშვილი“, ზემო საცავი ფურცელი.

2. „ვარსკვლავთ-მრიცხველობა თათრულიდამ ნათარგმნი მეფე ვახტანგისაგან“, ზემო საცავი ფურც.

(162)

162

პორფირის შეყვანილება. 1740

410 გვ.: 31×20; ჭალადი ფრიად დაზიანებული (დამწვარია მელნისაგან): ტყავ-გადაკრული ხის ყდა, დაზიანებული: ნუსხური, სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები სინგურით.

„პორფირისა შეყვანილება. ნათესავისათჳს. — ხოლო ჰგავს, უკეთუ არცა ნათესავი და არცა სახე მარტივად ითქმინან, რამეთუ ნათესავად ითქმის და ვიეთთა ჭონებითა რაჲმე ერთისა რაჲსამე მიმართ და თუთულისა მიმართ შეკრებაჲ...“ 1—409 გვ.

შენიშვნა: უძღვის შესავალი: „ნანდილ საჭიროსი ხურისაორე და არისტოტელისა მიერთსა(!) შინა კატელორითა მნებავი მასწავლელობათა ცნობად...“ 1 გვ.

ანდერძი: „ნებითა და წყალობითა საღთოსა არსებისათა აღწერა წიგნი ესე სრული ღრისმეტყულება, თქმული წინა იოანე დამასკელიისა. ძალითა ღრისათა ვიმუშავე მე, ფრიად ცოდვილ-საწყალობელმან ზებედე; ძემან იესესიმან, ზებედე ვანმან. უკეთუ ცთომილი იპოვებოდეს, ნუ მწყვეთ, უფალნო, უწყოდეთ, რამეთუ. რაოდენ მიგწუთებოდი გამართვად, სიცონილსა არ ვერჩდი, ხოლო ცთომილება არა მხოლოდ ჩემ მიერ, არამედ ნათესავთა მთავართაგან ვჭურეტო, იტყოდა. და სრულ იქმნა ქყნასა რუსეთსა, ქალაქსა ნოვგოროდს, რომელ არს ახალ-ქალაქი, მეფობასა ანნას იოანესისა, ქრისტეს აქეთ ჩემ 1740, მარტსა კა“, 409 გვ.

(163)

163

ფსალმუნთა თარგმანება (გამოკრებილი). 1815

II ფ.; 428 გვ.; 33 × 21; ქალაღი; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; გადაწერის თარიღი: 1815 წ. XI. 18. (423 გვ.); დაწერულია: I-II რვ, 10, 372, 42 4 — 428 გვ.

„კანონი ა. სიტყუანი ფსალმუნთანი, შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებულნი მრავალთა წიგნთაგან. ფსალმუნი ალილუია.—ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა განზრახუასა უღმრთოთასა და გზასა ცოდულთასა არა დასდგა...“ 11—371 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერს წინ უძღვის სიმბოლოთა განმარტება: „ელუა ღისა არს მოსწრაფედ მოვლინება ძალსა საკვირეულებათა და შეწვენათა მისთასა...“ 1—9 გვ.

2. ბოლოს დართული აქვს: „გალობა მოსესი გამოსლუათა შინა, განმარტება. — გალობა არს თვისსაებრ უკუშ სიტყუსა...“ 373—423 გვ.

3. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „სრულ იქმნა წელსა 1815, თბუშსა ნოემბერსა 18“.

(164)

164

ყარამანიანი. 1820

722 გვ.; 26.5 × 18; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); გადამწერი ანდრია [ალექსიშვილი]; 18 20. VII. 8; პეტერბურგი (722 გვ.).

„თავი პირველი. ყარამანიანი.—ქ. პირველ ჟამად სპარსეთშიგან იყო ჯელმწიფე ერთი, რომელსაც ეწოდა თანხმურად. ესე იყო მორჭმულა და აღსრულებული ყოველსა ზედან სპარსეთსა. ჟამსა მისსა მეფობისასა ქაჯთა და დევთაგან კაცთა ნათესავთა მრავალი ზიანი ეცემოდათ...“ 3—722 გვ.
წყდება: „...ყარამან და სარეიხურამან მარადის სიხარულსა და შვებაში იყვნენ და მწუხარება არღარავის რა ჰქონდათ იმათში ლხინის შვებისა და შექცევისა და განცხრომის მეტი“ 722 გვ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს მისდევს დ. ლაზარევისა და ნ. კობლაძის 1875 წ. გამოცემული ყარამანიანის I, II, III და IV კარებს.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание рукописей, ტ. II, გვ. 607).

3. ხელნაწერის გადამწერის გვარი აღდგენილია მომდევნო ხელნაწერის ანდრძის მიხედვით.

ანდრძები: 1. მთარგმნელისა: „ქ. ამბავი ყარამანისა თურქთა ენისაგან ქართულსა ენასა ზედან თარგმნილი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა, სარდლის ძის ქეშიკრიბაშისა და ვ ი თ ი ს ა გ ა ნ. თუმცა არა რიტორთა ენითა შეწყობილი არს, მაგრამ ამისთვის დაწვევრ თარგმანსა ამას ზედა, ვინათგან წიგნი ყარამანისა ქართველთა ენასა ზედან დღესაქამომდე არსად იპოებოდა. და აწ ვისცა უკეთ გენებოსთ გაკეთებათ თქვენ გამართედ“, 2 გვ.

2. გადამწერისა: „სრულ იქმნა წელსა ჩყკ. ელისის წ, სამეფოს ქალაქს პეტერბურღში. ღმერთო, მშვიდობაში და ბედნიერებაში მოახმარე მეფის ძეს ფარნავაზს და მეფის სძალს ანნას. მკითხველნო, მეცა შენდობას მიბრძანებდეთ და ბრალთა ჩემთა მოტყუებას, ანდრია [ალექსიშვილი]“, 722. გვ.

მინაწერები: 1 და 722 გვ.

(165)

165

ყარამანიანი. 1820

669 გვ.; 29 × 19; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); გადამწერი: აღუქსიშვილი ანდრია (669 გვ.); პეტერბურგი 1820 წ. (669 გვ.).

«ყარამანიანი». «კარი მეოთხე. ყარამანიანი და ამბავი ყარამანისა, კვალად იწყება ამბავი ყაპრისა, შემდგომად სულეიმანის ბალისა, მერე აღლან აჰანდისა, ჩალაქ აიარისა, არყას სალიმისა, ჯანსუზ აიარისა, სულეიმანის ბალისა და ფარიმანია ციხის ამბავი და ზღვის კოშკის ამბავიც დროსა ინდოეთის ჯელმწიფის რაიაზამისასა, რომელსა ეწოდებოდა შამალშა.—იმ ჟამად, ოდეს ყარამანის შემწეობით უშანგშამ ინდოეთი და სინდეთი დაიპყრა და საბრძანებლად თჳსად ჰყო...» 1—668 გვ.

წყდებ: რადგან ესე სწორეთ ასეა, ყოველთავე განმზადება გმართებთო, მარად ჟამს მომლოდნე იყენითო და გახსომდეთო, რომ ღმერთია უკვდავი და არა კაციო*, 668 გვ.

შენიშვნა: 1: ხელნაწერი შეიცავს დ. ლაზარევის და ნ. კობლაძის 1877—78 წ. გამოცემული ყარამანიანის V, VI კარებსა, და VIII კარის დასაწყისს (იხ. ხსენებულ გამოცემის გვ. 329—548).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს. (იხ. Описание..., ტ. II, გვ. 607.). ანდრძი: «წელსა ჩუკ გარდმოვსწერ[ე] დიდს სამეფოა ქალაქს პეტრებუხსა ყარამანიანი ესე. ორი კარი სრული არს. ღმერთო, მშვიდობაში მოახმარე ბატონისშვილს ფარნაოზს და მეფის სძალს ანანას. მკითხველნო, მეცა შენდობას მიბრძანებდეთ, მათს მონას, საქართველოს ახნაურსშვილს, ხიდისთავს მოსახლეს აღუქსიშვილს ანდრიას», 669 გვ.

(166)

166

თვენი. XVIII

318 გვ.; 34 × 20; ქალაღი; დაშლილი, ნაკლული; მხედრული (სათაურები ასომთავრულად, სინგურით); [XVIII ს.]; დაუწერელია: 308 გვ.

«თთუშსა დეკემბერსა აქუს დღე ღა. პირუშლსა დღესა. წმიდისა წინასწარმეტყულისა ნაომისა ალილუია ანუ ტროპარი. დასდებელი ჳმა ბ. დიდ-არს ძალი ჯურისა.—მადლი სულისა წმიდისა დაემკვდრა შენ თანა, წინასწარმეტყუელი...» 1—4 გვ.

2. «თთუშსა დეკემბერსა ბ. წმიდისა წინასწარმეტყულისა ამბაკომისა. ამასვე დღესა წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ისე წილკანის ეპისკოპოსისა ათორმეტთაგანისა, აკოლიტია ამისი წერილ არს. შემდგომად ამის აკოლოტიისა «უფალო ღაღად ვჰყავსსა» ზედა დასდებელი წინასწარმეტყულისა, ჳმა დ. მწენონი.—ბრწყინულე მადლი სულისა შეიწყნარა დიდებულმან ამბაკომ საკრულმან და იჰმნა ლთივ შუშნიერ...» 4—23 გვ.

შენიშვნა: აქვე შეტანილია სხვა საგალობელთა შორის: «ა. აკოლოტია წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ისე წილკანის ეპისკოპოსისა...» # ბ. «კანონი ღწის მშობლისა, რომლისა კიდურ-წერილობა[ა]: ეტლო მზისა სიმართლისაო, განმანათლევ. ან ტონისა...» გ. კანონი მღუდელ-მთავრისა, კმნილი უფლისა ბესარიონ კა-

თოლიკოსისა...“ დ. „სხუაკანონი მლუდელ-მთავრისა, ქმნილი ანტონისა...“
ენიკოლოზტფილელიისა და ვ. იოანე ფილოსოფოსის საგალობლები.

3. „თთუშსა დეკემბერსა გ. წმიდისა წინასწარმეტყულისა სოფონიასისი. «უფალო ღალად ვჰყავსსა» ზედა დასდებელი წინასწარმეტყულისა გ, ჯმა დ. რომელი იწოდე.—რომელმან შარავანდელი სალთოსა მის ბრწყინუალები-სა შეიწყნარე...“ 23—26 გვ.

შენიშვნა: სხვა საგალობლებთა შორის არის: „ცისკრად კანონი, რომლისა კი-ღურ-წერილობა[ა]: სოფონიას დიდებამან განმბარწყინვოს მე. თეოფანესი. ჯმა გ...“ 24 გვ.

4. „თთუშსა დეკემბერსა დ. წმიდისა დიდისა მოწამისა ვარვარასი და ღირსისა მამისა ჩვენისა იოანე დამასკელიისა. «ოღალად ვჰყავსსა» ზედა დასდებელი წმიდისა, ჯმა ბ.—რაქამს ძელისაგან.—რა ქამს იხილა-სამსჯავროსა მას საშინელსა...“ 27—34 გვ.

5. „თთუშსა დეკემბერსა ე. ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუშნისა საბზ განწმედილისა მცირესა ზედა მწუხრსა დასდებელი დ-ჯმა ა. ყოვლად ქებულნო.—მხილულ იქმენ გონებითა ძლიერ საცნობელითა, ვითარცა მუშაკი სალთო სიტყუსა...“ 34—47 გვ.

6. „თთუშსა დეკემბერსა ვ. წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა ნიკო-ლაოს მთავარეპისკოპოსისა მირონ-ლუკიისა საკვრულთ-მოქმედისა...“ 47—64 გვ.

7. „თთუშსა დეკემბერსა ზ. წმიდათა შორის მამისა ჩრისა ამბროსი მედიოლანელ ეპისკოპოსისა...“ 64—68 გვ.

8. „თთუშსა დეკემბერსა შ. ღირსისა მამისა ჩუშნისა პატაპისა. უკეთუ ჰნებავს უპირატესსა ალილუია ანუ ტროპარი და ჰგალობს ტიბიკონისაებრ...“ 68—72 გვ.

9. „თთუშსა დეკემბერსა თ. მუცლად-ღეზა წმიდისა ანნასისი. რაქამს მუცლად იღებდა წმიდასა ღრის მშობელსა...“ 72—80 გვ.

10. „თთუშსა დეკემბერსა ი. წმიდათა მოწამეთა მინა, ერმოგენი და ევლრაფოსი...“ 81—86 გვ.

11. „თთუშსა დეკემბერსა იგ. ღირსისა მამისა ჩუშნისა დანიილ მესუტისა...“ 86—102 გვ.

12. „თთუშსა დეკემბერსა იბ. ღირსისა მამისა ჩუშნისა სპირიდონ საკვრველთმოქმედისა ეპისკოპოსისა ტრიმიოზენტელისა...“ 102 — 105 გვ.

13. „თთუშსა დეკემბერსა იგ. წმიდათა მოწამეთა ევსტრატე, ავქსენტე, ევდენი, მარდარი და ორესტისი და წმიდისა მოწამისა ლუკია ქალწულისა...“ 106—117 გვ.

14. „თთუშსა დეკემბერსა იდ. წმიდათა მოწამეთა თვრასო, ლევკი ფილიმინ და მისთანათა...“ 117—121 გვ.

15. „თთუშსა დეკემბერსა იე. წმიდისა მლუდელ-მოწამისა ელევთერიისი და ღირსისა მამისა ჩუშნისა პავლე ლათრელიისა...“ 121—130 გვ.

16. „თთუშსა დეკემბერსა ივ. წმიდისა წინასწარმეტყულისა ანგია-სისი...“ 130—133 გვ.

17. „თთუშსა დეკემბერსა იზ. წმიდისა წინასწარმეტყულისა და ნი-
ლისა და წმიდათა სამთა ყრმათა ანანია, აზარია და მიხაი-
ლისი...“ 133—140 გვ.

18. „თთუშსა დეკემბერსა იმ. წმიდისა მოწამისა სევასტიანესი და
მოყუასთა მისთა...“ 140—161 გვ.

19. „თთუშსა დეკემბერსა ით. წმიდისა მოწამისა ვონიფანტესი...“
161—165.

20. „თთუშსა დეკემბერსა კ. წინა-დღესასწაული კორციელად შობისა
უფლისა ღისა და მაცხოვრისა ჩუშნისა იესო ქრისტესი და ჯსენება წმიდისა
მლუდელმოწამისა ეგნატი ღმერთშემოსილისა. «უფალო ღალად ვჰყავსსა»
ზედა დასდებელი. წინა-დღესასწაულისა გ. და წმიდისა გ დასდებელი წინა-
დღესასწაულისა, გმა ა. თუთ-წმოვანი ანატოლისა...“ 165—179 გვ.

21. „თთუშსა დეკემბერსა კა. წინა-დღესასწაული ქრისტეს შობისა და
წმიდისა მოწამისა იულიანასი, რომელი იყო ნიკომიდიელი...“ 179—188.

22. „თთუშსა დეკემბერსა კბ. წინა-დღესასწაული ქრისტეს შობისა და
წმიდისა დიდისა მოწამისა ანასტასიასი მწამლუსლობათა დამკსნე-
ლისა...“ 189—200 გვ.

23. „თთუშსა დეკემბერსა კგ. წინა-დღესასწაული ქრისტეს შობისა და
წმიდათა ათთა მოწამეთა, რომელნი იყუნეს კრიტელნი...“ 200—210 გვ.

24. „თთუშსა დეკემბერსა კდ. წინა-დღესასწაული ქრისტეს შობისა და
ჰხსენება წმიდისა ღირსისა მოწამისა ევდენიასი...“ 210—238 გვ.

25. „თთუშსა დეკემბერსა კე. კორციელი შობა უფლისა ღისა და მა-
ცხოვრისა ჩუშნისა იესო ქრისტესი...“ 239—256 გვ.

26. „თთუშსა დეკემბერსა კვ. კრება ყოვლად წმიდისა ღის მშობელისა
და ჯსენება წმიდისა მღვდელმოწამისა ევთიმი სარდიის ეპისკოპოსისა...“
256—271.

27. „თთუშსა დეკემბერსა კზ. წმიდისა მოციქულისა პირველ მოწამისა
და არხიდაკონისა სტეფანესი და ღირსისა მამისა ჩუშნისა და აღმსა-
რებელისა თეოდორე გამომწერალისა და მამისა თეოფანე გალობათა
მთქმელისა...“ 271—281 გვ.

28. „თთუშსა დეკემბერსა კმ. წმიდათა ორთა ბევრთა მოწამეთა, რო-
მელნი ნიკომიდიას დაიწუნეს...“ 281—287 გვ.

29. „თთუშსა დეკემბერსა კთ. წმიდათა ჩჩლთა ათოთხმეტ ათასთა
ქრისტესთჳს მომწყდართა ჰიროდის მიერ ბეთლემს ჰურიასტანისასა...“
287—295 გვ.

30. „თთუშსა დეკემბერსა ლ. წმიდისა მოწამისა ანუსიასი და ღირსი-
სა დედისა ჩწისა მელანიასი და ღირსისა ოტიკესი...“ 295—305 გვ.

31. „თთუშსა დეკემბერსა ლა. ღირსისა დედისა ჩუშნისა მელანი-
სი...“ 306—307 გვ.

შენიშვნა: დართული აქვს: ა. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა
გრიგორი ღისმეტყულისა შობისათჳს უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესსა წმიდი-
საგან ქალწულისა. — ქრისტე იშუშბის, ადიდებდით, ქრისტე ზეცით მოვალს, მიეგებ-
ვოდეთ...“ 309—318 გვ.

ბ. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა გრიგორი ღისმეტ-
ყუშლისა კოსტანტინეპოლელ მთაწარეპისკოპოსისა ნათლის-ღებისათჳს უფლისა
ჩუშნისა იესუ ქრისტესსა დღესა განცხადებასა...“ 318 გვ.

წყდებ ა... „ჟამი არს მეორედ შობისა, ვიშუენეთ ჴუბგარდამო. ჟამი არს გა-
ნახლებისა, პირველი იგი ადამი შევიმოსოთ, ნუ დავადგრებით, ვითარ...“

(167)

167

კრებული. 1725

247 ფ.; 31 × 20; ქალაღი, დაზიანებული, ბოლონაკლული; I—29 ფურცლები დაზიანებულია. ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; არის მრავალი ჩანახაზი და ჩანახატი. მთარგმნელი მიხ[ე]ილ ელივიჩი (1r); ადგილი მოსკოვი (1 r); 1725 წ. (1 r); დაუწერელია ფ-ბი: 9 v, 110 v, 112 r v, 118 v, 119 r, 122 v, 125 v, 128 v, 129 v, 133 v, 134 v, 135 v, 137 v, 138 v, 142 v, 144 v, 145 v, 146 r, 148 v, 149 v, 150 v, 151 v, 158 v, 160 v, 161 v, 163 v, 166 r, 168 r, 169 v, 170 r, 171 r, 182 v, 185 v, 191 v, 219 v, ნახატებისათვის დატოვებულია თავისუფალი გვერდები: 116 r, 123 v, 124 r, 126 v, 127 r, 136 r, 159 r.

1. „მცირე რამ გამოკრებული ანგარიშის ცოდნისა.— პირველად დათელის ცოდნა არის, რომ ერთისათვისაც ერთი დაისმის, ათისათვისაც ერთი დაისმის...“ 1 r — 111 v.

2. «საარტილერიო წიგნი» „... სარქველი და თავი კარგათ მოუგლისე, რომ ქარი არ ჰაგარდეს, მასუკან ოთხი სა[ა]თი რომ გამოვიდეს, რათაც გინდა, იმათ მოიგმარებ შესაქცევისათვის თუ სხვა საცეცხლოს საქმისათვის...“ 113 r.

წყდება: „... ქ. და რამდენჯერაც ზარბაზნის სროლა გინდოდეს, ყოველ[ე]ლთვინ უნდა გამოსწმინდო და მერმე ისე გასტენო ამისთვის, რომ არც ცა თერაკად ცეც...“

შენიშვნა: 1. ამ კრებულშივეს ორი ნაწარმოები სხვადასხვა ხელთ არის დაწერილი.

2. მთელი კრებული ნასწორები უნდა იყოს ვახტანგ VI-ის მიერ.

3. ამ კრებულის შესახებ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი, თბ., 1951 წ., გვ. 37.

4. «საარტილერიო წიგნი» ეს ტექსტი ალექსანდრე ბატონიშვილის ნათარგმნია (იხ. დასახელებული გზამკვლევი, გვ. 39, შდრ. H—1069).

ანდერძი: „ქ. ეს წიგნი მე მიხილ ელივიჩ ვათარგმნე(!) რუსულისაგან ქართულად, ოდეს მობაძანდა მეფე ვახტანგ ქალაქსა მოსკოვს. მან მიბრძანა და თვით მანვე ქართულის ენით გაქსწორა და ვრცლად დასწერა, საუკუნომცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრების მისისნი, ამინ. ქრისტეს აქათ ჩლკე, სეკდენბერს ი განსრულდა წერილი ესე“ (1r). (ანდერძი ეხება «ანგარიშის ცოდნის წიგნს»).

მიწაწერი: „ქ. ლთისაგან ამ[ა]ლღებულმან მეფეთ-მეფემან და თვით ხემწიფემან, მპყრობელმან ქართლისა, კახეთისა, შამშადინისა, ყაზახისა და ბორჩალოსმან მეორემან პატრონმან ირაკლი მ მიბძანა რუსულს დასტურზე არტილერის გაკეთება საქართველოს კაცს გიორგი თარხანს. სახელითა მლთისათა, მეწეწენით პატრონისა ჩემისათა გავ[ა]კმთე, გავ[ა]წყე ზარბაზნები, რომ რუსთაც დიდათ მოსწონსთ, ქართველთა და კახთ[ა]ც დიდათ იმედათ უჩანსთ, ვინც წ[ა]რიკითხვიდეთ, შენდობას მიბძანებდეთ, ლთი შეგინდობსთ თქვენს ცოდვ[ა]ს“ (ქვედა ყდის შიდა მხარე).

(168)

168

კრებული. 182ა

378 გვ.: 21 × 16.5; ქაღალდი; მუყაოს ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული; გადამწერი: ბეჟან ფავლენიშვილი (325 გვ.); 1825 იანვრის 5 (325 გვ.).

1. «მარკოს ავრელიუსი, —საყოფაქცეო ჰსჯა». „თქმული მარკ ავრილისა, რომის კეისრისა. წიგნი პირუშლი.—§ 1. პაპისა ჩემისა ვერუხისაგან ვისწავლე სიმდაბლე და უშურველობა...“ 1—324 გვ.

3. „მოკლედ სიტყვს-გება სოგრატიისა. სწავლა პირუშლი. სხუათა თარგმნული ფილოსოფოსთა რუსულისგან ქართულსა ენას ზედა.—ნიშანი კეუისა ის არის, კაცს კაცის განსაცდელში ჩაგდება უმძიმდეს. სიკეთე უქულ (!) (არ იქნება), ცალიერი არის...“ 327 — 342 გვ.

3. „იგავნი კეთილგონიერისა არისტოტელისანი.—შენ თავს ნურც აქებ და ნურც აძაგებ. თუ თავს იქებ, არაფერი იქმნები, და თუ იძაგებ, ქუსყანასა ფარისეველად აღმოსჩნდები...“ 342—354 გვ.

4. „მოკლედ განოსახსნელი ამბავი, წიგნი მეორე ჰრომის კეისრებისა, სხუათა მეფეთა და მხედართა მთავრობისა.—ივლიანე კეისარი ერთხელ ნავში იჯდა და დიდი ღელვა აუღდა...“ 355—377 გვ.

ანდერძი: „ჩემ ბეჟან ფავლენიშვილისა მიერ წელსა 1825-სა იანვრის ე-სა,“ 325 გვ.

მინაწერი: 1. ხელნაწერის 378 გვ. და ქვედა ყდის შიდა მხარეს მიწერილი აქვს: „ხელნაწერი წიგნები უფალი ზაქარია კიკინაძისი“ (ტექსტი გადახზულია). 2, 325. გვ.

(169)

169

ტროადის ისტორია. 1829

XIII ფ.: 238 გვ.; 33.5 × 21; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; გადამწერი იოანე იალღუხისძე; 1829. I. 20. (209 გვ.); დაუწერელია: I—XIII r v 210 გვ. 216—238 გვ.

«ტროადის ისტორია», „მეფისა პელეისათვის, რომელმან გაგზავნა იაზონ შონად ოქროს მატყლოანისა მის ვერძისა.—თესალონიკისა სამეფოსა შინა, რომლისა ქვეყანისა კაცნი მირმიადონენდ იწოდებოდენ, მეფობდა მეფე ვინმე გვარიანი და მართალი, სახელით პელეი, მეუღლით თუსით ფეთიდა დედოფლითურთ, რომელთაგან იშვა კაცი ეგოდენ ძლიერი და ეგოდენ კადნიერ, სახელით ახილეს..“ 1—209 გვ.

შენიშვნა: დართული აქვს: ა. „საძიებელი წიგნისა ამის ტროადის ისტორიისა...“ 211—215 გვ. ბ. „მატიანე, რომელსა შინა წერილ არს დარღუშვა ქალაქისა ტროადისა (!) ფრილიისა საკლემწიფოასა და აღშენება მისი და დიდნი აშვედრებულნი ბრძოლანი, ვითარ იბრძოდენ მისთვის მეფენი და მთავარნი ქვეყანისანი და რაჲსათუს გარდუბრუნდათ ესეოდენნი და ესევითარი სამეფოა ტროიანელთა მფლობელთა და ნათხარს მინდვრად დაიდვა სრულისა გაოხრებითა. და კვალად რომელნი მეფენი და მთავარნი ებრძოდენ მას, და რომელნი მას ეშველებოდენ, და რაოდენნი ჟამნი იბრძოდნეს, და ვინ მათგანი დაეცა ბრძოლასა შიგან, და ვითარისა საჭურველითა და ვისის კვეთებითა—ყოველნივე ესე აქა თათოფულად აღწერილ არიან. აღსწერეს ესე პირველად მემატანეთა დით(!) ბერძენმან და ფრილინდარიამ ჰუმარიტთა მოწამეთა ტროიანელთა ბრძოლისა ამდ, რომელ დამწრენი (!) იგი თათ

იუუნეს ბრძოლათა შიგან და თვთმზილველ არიან ყოფილისა მის დაწყებითგან საქმეთა მათთა, ამისთჳს მართლიადცა აღსწერეს იგი. და მერმელა პირად-პირადთაჲთა შინა ომირ. ვირლილიამ და ოვიდი სოლომონელმან დაჰსწერეს იგი თვთაეულთა მათგანთა, გარნა არა მართლიად, რომელთა შორის მრავალნი სიტყვა უსწორობანი და ტყუილზღაპარი მოიპოვენეს; და უფროსლა ოვიდი სოლომონელმან ფრიადისა ცრუ სიტყვა-მოზღაპრებით აღსწერა, ვინათგან შთაურენადმერთნი, რომელთაცა ძველნი ელლინი პატივ-ჰსცემდენ, მაშველებელად ბერძენთა და მბრძოლველად ტროიანელთა და მათ თანა ყოფილად ბრძოლასა შიგან, ვითარცა კაცნი-ცხოველნი და სხვანიცა ბევრნი მოზღაპრებულნი, და ესე ჳეშმარიტი მატანე დით(!) ბერძენისა მიერ აღწერილ არს“, XIII r.

ანდერძი: „სრულ-იქმნა ძალითა ყოველთა კეთილთა მასრულისა ღთისათა ჳეღითა ღებერსკის სკვარტრისა იოანე იალღუზის ძისათა იანერის ჳხა დღესა, ჩჳყთ ხაწელსა“, 209 გვ.

(170)

170

ბარამგულიჯანიანი. 1621

XIII, 128 ფ.; 33 × 22; ქალაღი მოღურჯო ფერის; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათურები სინგურით; გადამწერი: დავით რექტორი (101r); 1821 წ. XII, 15 (101r); დაუწერელია; I—VIII ფ.; 101 v, 106 r, 109 r—128 v.

«ბარამგულიჯანიანი». «კარი პირუშლი დასაწყისი. ჯონშერ ჩინელთა მეფის ჰამბაენი, რომელსა ზედან იწყების მიჯნურობა გულიჯანისა და ბარამ ჳაბუქისა, ისმენდინ, მეფეთ მეფეო, ცხონდი უჳუნისამდე. ესრეთ უხმობენ წიგნსა ამას ბარამიანიად, ისმინეთ და გულისგმა ჳყავით, წარმკითხველნო—არსებით ვჰხადი ერთ უფლად; სამ-სახედ გვამოვენბასა, მამისა მიერ ძესა და ეგრეთ სულისა თნებასა...» 1r—101r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს ეროვის: „საძიებელი წიგნისა ამის ბარამ ჩინელთა მეფისა და გულიჯან დედოფლისა“, 107 r—108 v.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს: E. Такайшвили. Описание рукописей...ტ. I. 1902—1904 წ., 531—540 გვ.; იხილეთ აგრეთვე კ. კვეციმიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. II, თბ. 1952, გვ. 311—316.

ანდერძი: 1. ანდერძი გამლექსავისა: „დასრულდა წიგნი ესე ბარამიანი და იქმნა ამა მიჯნურობა ჰამბავთა ლექსი რვაას ათორმეტი, რომელმან გავლექსე თვისა სამსა და დავსწერე დღეში რვეული ერთი და მისთჳს ვერარაი კაი ჳელი. ამბთ-ჳებას ცალჳე უნდა წაიკითხვდეთ, ამაში ნუ შერთავთ“, 101 r.

2. «ანდერძი წიგნისა ამის მთქმელისა».—

„ჳა სწავლის მოყუარენო და მოთბრობისა მოსაწადენო, სიბრძნის მეძიებელნო და მეცნიერებისა საუნჯენო, რომელიმე ჰხადით ჳეშმარიტებისა მცნებათა და უპირველესთა მათ ბრძენთა სიტყურ-ყოფასა, ყურად-იღებთ წერილთა მათთა. შეიძინებთ მიმოდამფენელთა თქვენგან, გემოვან იქმნებით ბუნებისა სიმბურვალითა და სჯულიერ ყოფად კაცყოფილებისა ჩვენისათჳს. რომელიმე ზადით მიბაძთა უწინარეს განომეტყუშლთა საღმრთოთა სამიჯნუროთასა, ნეტარ ზართ და კეთილი გეყოს თქვენ. და რომელნი მემცალა იურები მსოფლიოსა ამის საშველად ნასიტყუსა კველუცთა ზედან ყმა ქალთა მიჯნურობასა, იგი არა სარგებელ გეყოს სასწრაღ სულთათჳს. ვინადგან ყოფილან ზოგადნი ბრძენნი სოფლისა ამის ნივთთა მღალადებელნი, რომელთამე უთჳვამსთ საქმენი საერთოთა ვაჳთა საკეთილნი, პირმზეთა თანასიყვარულნი, დაუტკობით ლექსითა გემოვანიოთა და ჰამბითაცა შვენიერითა; ვჰსთჳნეთ ესეცა მათ თანა, ვითარცა იაგუნდთა შორის კენჭნი, ანუ მთოვარეთა შორის ვარსკულავნი, ნათელსა შორის ბნელი და ვარდთა თანა ასკილნი, ესრეთ შორს არიან საერონი საღმრთოთა წერილთა მიერ, ვითარცა ესე ესრეთ...

არიან წიგნები საერთო კაცთა შესატკბობელნი, ბრძენთა და ფილოსოფოსთაგან თქმულნი სამღერებლად და სალაღობელად მსმენელთა მისათუჳს, ვინადგან ნივთიერნი და მსოფლიონი კაცნი საწუთროსა შიგან რასმე შერებოდიან. მაშ არ დაჰსწორდენ იგი ფილოსოფოსნი, რომე ზოგადთა კბაუტთა პირმზეთა ქალთათჳს რაოდენნი ძლიერნი საკაცობონი ღვაწლნი დადვიან, ანუ მიჯნურთა რა პატკიენი ნახიან და მნათობნი მკლავით გამოიყუანიან. აბა მათსა ეზდენსა კეთილსა თუ ბოროტსა საქმესა არა ცუდათ რასმე დაჰკარგვიდენ და იტყოდენ ვაჟთა კბაუტობისა სასწავლებელად და თჳსისა სიბრძნისაცა გამოსაცხადებელად. და მერმე, მათ სამღელელთა წერილთა ყოველთა კაცთა ბუნება ვერსადა მისწვდებოდა და მისთჳს მოიგონეს, რომე ერისკაცნი უსწავლელნი და ცოდნა დაკლებულნი არ დარჩენ და ამაზედ იხალისებდენ და საკბაუტოსა საქმესა ყურს მიუპყრობდენ. ზოგმან სხუა ჰსთქუა და ზოგმან სხუა, და ერთი ესე მე მითქუამს.

აწე ესე დიდისა ჩინელთა კელმწიფის ჯონშერისა ჰამბავნი იწყებოდა და მუნ მყოფთა კვლუტთა ქალთათჳს უსწოროთა კბაუტთა მიჯნურობა ითქმოდა და ბარამ კბაუტისა და გულიჯან ჩინელთა მეფის ასულისა, მათნი სურჯლი დაუცბრომელი და საკრველი. ესე ბარამ იყო სახლელუთაგან ტომი და ნერგად ყვავილი ფურცლოვანკმნილი მისი დიდისა ჩინელთა მეფისა და მისგანვე ძედ ნახარდი და შულად ნახმობი უნაყოფეობისათჳს მის კელმწიფისა. და იგი პირმზე და კმელთა ზედა მანათობელი გულიჯან ასული იყო მის კელმწიფისა. და ამით დაუცბრომელი ერთმანერთისა სურჯლისა ცეცხლისა სიმზურვალითა დაალეზულნი იყუნენ უმიჯნურესად ყოველთა სოფლისა შემბჭულულთა ძეთა კაცისათა. და მიწვენილ იყო ყოველსა ქვეყანასა საქმენი მათნი, და ოდეს ჰსენეს სპარსთა ფილოსოფოსთა და მოიწივა ჰამბავნი მათნი სპარსეთად, ბრძენთა გულნი მიუძღვანეს და მეცნიერთა ცნობანი განუზუნეს, შეიწვიეს და შეინაწვეგრეს, დაწერეს ჰამბად სპარსთა ენათა ზედან. მან ჰბრძენმან კაცმან კეთილად, არა თუმცა უსწავლელმან და უგბილმან, ჩუბინ ბრძენმან, რომელი იყო თემისაგან ქირმანელთასა, ჰსთქუა მათ მიჯნურთა საქმენი. და იცით ყოველთავე, რომელსაცა ქვეყანასა შიგან ლომთა კბაუტთაგან პირმთავრეთა ქალთა ზედან მიჯნურობანი იკმნებიან და ანუ შევნიერთა ქალთაგან კაცთა შორის ნახნი და ხარინფნი სიყუარულნი განეცხადებიან, იგი სპარსნი მეცნიერნი ტკბილისა გემოვანისა სიტყუთა დაჰსწერენ და გააუბნებენ მათ მოყუარეთა, და მათგან სხვანი მეცნიერნი ქართულად გარდმოიღებენ, და ესეცა იყო სპარსთა ენათაგან გარდმოთარგმნული.

აწე მენება და სურვიელ ვიყავ. ვეძიებდი, რომელ კელთ მეგდო. ოდეს ვჰპოვე მე, ყოველთა უნაკლულესმან და კეთილთა მეტყუელმანთა არღლილთაცა მიბაძვად, არა ღირს მჩენელმან ძემან კახეთის მიდინისამან და თეთ მ დი ვ ა ნ მ ა ნ ო ნ ა ნ ა მ. გავალექსე მათ მიჯნურთა სატრფიალონი ამბავნი, ნათქუამნი, რომელი არს ჰამბავნი მათნი კაცთა ერობისა მახალისებელი, ჯომარდობისა ეტლთა ზედან მაგალითად შემასრულებელი, ყმათა გაუობისა სიმენე გოლიათობისა მასწავლებელი, პურადობისა საბოძვარსა ზედან ბუნებისა გამჰსნელი, მოისარ ასპარეზთა ზედან ოროლისა მღერითა და ბურთისა გარდათურგენითა მაწინავებელობისა მამგონებელი, რომელი ახარებს კბაუტობასა ზედან კაცყოფილებასა ჩვენსა და მეცა მისთჳს კელ-ვჰყავ.

აწე ისმინეთ და გულსიკმა ჰყავით მცირესა ამას ნაშრომსა ზედან და სარწმუნო იკმენით. რომელიმე ამა ამბისა წიგნსა შიგან წერებულყო და მიგზუდით, დაუკლებელად ვეცადენით და მთლად შესრულებად გამოვიძიეთ, და იმ რიგად გავლექსეთ იგი ტკბილნი და გემოვანი ჰამბავნი, მაგრამ ბევრი რამე დამიშთა ამაღ, რომე ჩვენად დასახედავად ბევრნი ვინმე თავადნი, დიდებულნი თუ მცირენი, მობრძანდიან და საუბართა შეექცეოდნიან, ზოგნი ლაღობდიან და იციინდიან, ზოგნი ნარდსა და ჰადრაკსა ზედან იმღერდიან და მათმან ტკბილმან საუბარმან გული მიმიღის და წერაში ლექსი ველარ გავსჩალხი, და მე, რომელიც მენება, იმრიგად ვერ დაეგვარიანი. და რომელსაც არ მაიწონებთ, ამრიგათ აკლია სიკეთე. და მერმე არც კელის სიკეთეს გავუფრთხილდი, ამაღ რომე კალმად ბატის ფრთე მქონდა და ქალღელსა და მელანს თქვენც დახედეთ, არა ცუდნი და არს ჳელისანი არიან, და ამისთჳს და კარგი ჳელი არ მოვიდა და მერმე, რომელიც ტრიტონი მოფხევილი და მეორედ გაცთებული არის, ისიც სხვის საუბრის გონების გართუთ სხვა სიტყუა დაეჰსწერი. და გვედრები ყოველთა მეცნიერთა, რომე არა უგულუბელს ჰყოთ ღვაწლი მონისა.

თქვენისა, რომე ახალი ნათქვამი წიგნი იყო და ეს მრავალ გზის მოფხევილი ტრიკო-
ნი ამისთვის მოვიდა, რომე მას უკან გავაკეთე. ზოგი რამ გაუჩაღლავი ლექსი დამრჩო-
მოდა, ცალკე სადგომი ვერ დავინებე და ვერცა თავი წელთ მივიღე. ყოველთა დღე-
თა მსხდომარეთა, მათ შორის მიმოთქმითა გული ძლივ ვიპოვენი და კეთილნი სი-
ტყუანი მიმელის. ვაშურებდი შესრულებასა, დიდმარბუსა დღესა ვჰსწვრდი და სა-
ცელსიოსს განწესებულის ლოცვასგან ყოველნი ერნი შემოვბრუნდით. დღეში ერთი
რვეული დავჰსწერი ოთხმოცდათექვსმეტი ლექსი, რომე მრავალთა ნახიან სწრაფობა
კალამთა ჩემთა, მაგრამ ჯელის სიკვამ არ დამაჯერა. ბუზმა წამიხდინა ასო მრავალ
გზის და შეჰამა, და შეკვრაშიც ერთმანერთს ფურცელი მიეკრა და მელანი გაეცხო,
და ესეოდენი მანებელი და არა ჯელისშემწე რას კარგს წიგნს მოიყვანდა? ვიწყვე
ამ წიგნის გალექსვა ფებერელის დამდგეს, და დასრულდა გასულს აპრილს, და დაწე-
რით შესრულდა იე მაისს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უიდ. ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდა
ექვსსა, დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდი ათას ორას ოცდა თოთხმეტსა", 102r—
104 v.

3. „ანდერძი აღმწერლისა. —

იეეს ძირთა მეფენი ტომობენ დასაბამითა,
არიან ფილოსოფოსნი, რიტორებ დასაბამითა,
მამაბან თოკი სიბრძნისა, მე მასთან დასაბამითა,
ვჰკადრი ვარდისებრ სიტყუანი, ძმა უძღვნი დასაბამითა.

მწიგნობარს მართებს მეფეთ წინ დაჩოქილითა წერანი,
ალარსად მამხვდა ტყვექმნილსა, რა ვიოგო მე აწე რანი.
მოვშორდი საგაზდილოსა, სახლი მაქეს ოჯერ-ვერანი.
აწ მმართებს მისა მგონესა ძაძა და ამოწერანი.

ვიწყვე ამ წიგნის გალექსვა, ვიქმენ აშტარხანს რებული,
შევაძვე ტკბილად სიტყვანი, რაც მქონდა გულსა დებული,
ჯახეთით კიდევან ვჰქმნილვარ, კვლავ კიდევ იმედებული,
ონანად მიხმეთ, იქ ვიყავ მდივნობით სახელდებული.

ლარიბსა მომიგონია მე წამლად ცუდის დებისა,
არა მაქეს ნიკი კეთილი სამწერლოს იმედებისა,
კალამს მიზიდავს მურიწევი, ოდეს ფრთა დეარდებისა,
ცუდი მელანი ქალაღსა უმალ შიგ გავარდებისა.

მელანი მქრქალი. უსამყე, ცუდმან ქალაღმან გაისვა,
ფრთის კალამს მოსდის ბეწვი და უმალ წაგრზედან გაისვა,
დალონებულა მწერალი, ადგეს, იძაზოს გაისვა,
ამად არს დაქმუნებული, გულსა ლახვარი გაისვა.

წელი ვერ გამოვიჩინე, ქალაღმან მიყო ზიანი,
მელანმა იკლო ფერთა, მან შემქმნა მიზეზიანი,
ასო ვერ დავსტი გაწყობით, ვერ ჰოჯ ლამაზიანი,
მაშინცა ვჰსწვრდი ყოველდღე, რა დილა ენახი მიხიანი.

ნეტამც მწერალსა სამწერლო ვითა ჰსწადს, ესრეთ უნება,
მელანი, სპარსთა ქალაღდი, კალამი ჯელად უნება,
გამართვით ჰსწერდეს, მის გამო ბევრგან არ გაეთხუნება,
სიწყნარით ასო გააწყოს, არც ჯელი დაეწუნება.

ღვარძლი დავჰსთესე ასოთა, მოიმკის პურის ალოდა,
დავჰყარნე სწრაფად მარცვალნი კვალთა სიმრუდეს ალოდა,
მომკალსა მისცეს ნაყოფი იმედად გამოსალოდა,
ავს მიწას ცუდი ქვა ყრილი მუშაკმან ქებნა, ალოდა:

ჩინელთა მეფის ჰანბაგსა აწ ვიტყვი გალექსულობით,
 ჯარეგან ანბანთ-ქებასა დაუწერ თანშექსულებით,
 სხვადასხვას ვმასა ანბანთა თავით ბოლომდი სრულებით,
 თუ დამიწუნებთ მჰსმენილნი, შევიქნა გაბასრულებით.

ჰვამს მწერლისაგან სიმართლე, ჯელისაგანცა სრულისა,
 ქეშმარიტებით საკითხი, ყველას მოსწონდეს სრულისა,
 სახსენებელად ცოცხალთა, თუ ოდენ აღსასრულისა,
 აწ შემოკლდების სიტყუანი აწ წიგნის დასასრულისა“, 105 rv.

4. ანდრძი (გადამწერისა): „აღესწერე ესე ბარამგულიჯანი იანი მისი
 ბრწყინვალეების სტატისკის სოვეტნიკის და კავალერის თავადის გიორგი ვგნატის-
 ძის თუმანოვისათვის მე, კეთილშობილმან აღექსოვმან აღექსისს-
 ძემან და კახეთის სამეფოს თელავ ქალაქის სემინარიის რექტორმან და სიბრძნის-
 მოყვარემან დავითმან, და საძიებელიცა მევე გაუკეთე თთვისა დეკემბერსა
 იე, წელსა, ჩუკა, ქკს ფთ. დავით რექტორი“, 101 r.

(171)

171

ვახტანგ VI, ლექსთა კრებული, 1734—1737

130 გვ.; 32 × 20; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და აბჯანის
 დასაწყისი სიტყვები სინგურით; [1734—1737 წწ.], გადამწერი: დემეტრე ორბელიანი-
 (34 გვ.).

1. „მეფე ვახტანგ სამეფოსაგან კიდევან ქმნილი საღბუნად
 გულისა წყლულებათათვის მკურნალ თავისა თვისისათვის იქმნების და
 სწერს ესრეთ ისპაანს.—

აშკმული პირი სასარჯლო სარჯელისაგან იცოდა...“ 1—15 გვ.

2. „მოცალებასა შინა მყოფსა კმუნვა ნაღვლისა მაქარებლად იწერების-
 საქართველოს მეფის ვახტანგის მიერ დიდსა ქალაქსა პეტრებუხსა წე-
 ლისა.—

კაეშანმა დამიმონა ნაღველი მცა მისთვის წამლად...“ 15—16 გვ.

3. „ქ. აქა იწყებიან ტრფილისაგან სატრფოსათვის შაირობა დიდსა.
 ქალაქსა მოსკოვსა და მკითხველთა უჯმს გულისწმიერება, თუ ვისდამე.
 ტრფიალებს მეფე. საჯმარ არს ყური სმენად და გული გამოკველევად.—

ლექსი თქმულა გვარიანი, სასწავლოთი გამახარად...“ 16—34 გვ.

4. „ქ. მოკლედ სიტყვის-გება სოგრატიისი. სწავლა პირველი,
 თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანისშვილი-
 საგან და ლექსად ნაბრძანები მეფეთ-მეფის ვახტანგისაგან, რომელსა-
 ეწოდების სიბრძნე მალაღობელი. მრავალიჟამიერ(!)ყოს უფალმან.—

ტკბილმოუბარსა რუსთველსა დაუფრქვევია მკობანი...“ 35—107 გვ.

5. „ქ. წიგნი პირველი ამირნასარიანი სპარსულისაგან ქართუ-
 ლად ნათარგმნი მეფეთ-მეფის ვახტანგისაგან და ბოლოდ მოსკოვს.
 მის მეფისაგანვე გალექსული.—

დავიაარსენით არსისგან სანივთო უნივთელები...“ 107—130 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერი აწერილი აქვს ჳქვ. თაყაიშვილს (Описание рукописей...
 ტ. II, გვ. 406—408).

2. ხელნაწერი გამოყენებულია ვახტანგ VI-ის ლექსებისა და პოემების გამოცემისას (ვახტანგ VI, ლექსები და პოემები. აღ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, 1947 წ.).

ანდერძი: „ეს აქა იქ ნათქვამი ლექსები მე დემეტრემ ორბელიანმა შეეკრიბე“, 34 გვ.

შინაწერები: „პეტრე უმიკაშვილისა“, ზემო ყდის ვ.

(172)

172

მარმონტელი, ველიაზარ. 1787

118 გვ.: 33 × 21; ქაღალდი; ნაკლული; ტყვის ტვიფრული ყდა; მხედრული მთარგმნელი: არქიმანდრიტი გაიოზი (თავფურცელი): 1787 წ. (თავფურცელი).

„ველიაზარ. თავი ა.—მოუძღვრებული განგრძობულითა მძრულთა პრომის იმპერია (სახელმწიფო) დღეთა იუსტინიანეს მოხუცებულებისათა დაუახლოვდა უკუ სრულსა შემუსრუასა...“ 1—118 გვ.

წყდება: „...ბედნიერობისათჳს ქუცნიერთა მცხოვრებთასა და დიდებისათჳს იუსტინიანესა უსუსურებით...“ 118 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტი წყდება XVI თავზე.

2. დართული აქვს თავფურცელი: „ქმნილი ველიაზარიონი უფლისა მარმონტელი საგან, რომელიცა იყო წვერი ფრანცუზის აკადემიისა, თარგმნილი რუსულად იმისის იმპერატორების დიდებულებისა ეკატერინა მეორისა იმპერატრიცისი და თომპკობდლისა ყოვლისა რუსეთისა და სხუათა და სხუათა და სხუათა ვოლგასა ზედა, ხოლო რუსულით. ქართულსა ზედა ვიწყე თარგმნად არქიმანდრიტმან გაიოზს წელსა ქრისტესით 1787, ოკტომბერს 24 კრემენჩუკს. კრემენჩუკს ვოლგასა ზედა თარგმნილი იმპერატრიცა ეკატერინას მიერ“ (თავფურცელი).

3. გააჩნია კრიპტოგრაჲა (თავფურცელის ვ.).

შინაწერები: 1. „სულხან. ქ. აწ ფარისევის ლოცვასა ვინ იტყვის...“ ზემო ყდის შიდა მხარე.

(173)

173

ორბელიანი სულხან-საბა, სიბრძნე სიცრუისა. 1835

192 გვ.: 35 × 21.5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; 1835. III. 8. (183 გვ.); გადამწერი: შარმადინოვი გიოოგი (183 გვ.); ადგილი: სანკტპეტერბურგი (183 გვ.); დაუწერელია: 184—192 გვ.

„წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სიკაბუკისასა თვისისასა.—იყო ჯელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისაგან მოიგონებინან, რომლისა სიკეთისა და სიქველისაგან ეგეოდენნა მოწყალეზანი შეკრიბნა გულსა თვისსა, თავად არა აღირიცხოდა. სიფიცხლელ და უწყალობა ჯავრისანი გულისაგან ღთისა შიშისა ნიკითა განეკარებინა...“ 1—183 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი მისდევს სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე სიცრუის 1938 წ. გამოცემის ტექსტს.

ანდერძი: „ალიწერა წიგნი ესე მალხენელი და მარტოს გამაძლებინებელი სიბრძნის სიტუისა ხელითა საქართველოს მეფის ირაკლის ასულის ანასტასიას მსახურის გიორგი შარმადინოვის მიერ სამეფოსა ქილაქსა სანკთ-პეტრე ბურღსა შინა წელსა 1835 იოია, მარტის 8 დღესა სრულ იქმნა,“ 183 გვ.

(174)

174

„ჯამი აბასი“ ქართულად. XVII—XVIII

280 გვ.: 31 × 22; ქალაღი (სხვადასხვა. დიდი ნაწილი ჰვირნიშნით: გვირგვინზე გამობმული მტევნით); დაშლილი, დაფურცლული; პირველ ფფ-ბს კიდებები შემოკვეთილი აქვს; ტვიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა ირანულ ყაიდაზე ნაკეთები; იგი (ყდა) მოცილებულია და დაშლილი; მხედრული; XVII—XVIII ს; თარგმნილი; „არაბული[თ] სპარსულად და სპარსულით ქართულად“ ფარსადან გორგიჯანიძის მიერ 112 გვ. საგანგებოდ ოთხკუთხედ ჩარჩოდ შემოხაზული ადგილი დაუწერელად არის დატოვებული: დაუწერელია აგრეთვე .1 ფ. 254, 272, 273—280 გვ.: თავკახმულობა არაბული წარწერით—1 გვ.: 1 გვერდზევე ხელნაწერის ფურცლის კიდებები მოხატულია ოქროს ვარაყით, ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტით; ტექსტი ყოველ გვერდზე ჩაწერილია საგანგებოდ ოქროთი და ფერადებით შესრულებულ ჩარჩოში. შემოწირულია ალექსანდრე როინაშვილის მიერ.

„ჯამი აბასი ქართულად“ (არაბული წარწერა 1 გვ. თავკახმულობისა). „ქ. ნებითა მღთისით, ჩვენ, უმცროსმან, ყველათ უმცირესმან და ცოდვილმან და დამნაშავემა, ყოველს ცოდვილთა და დამნაშავეთ უმეტესმან, პირშავემან და მონანავმა ნაქმართა ჩემთა ფარსადან გიორგი ჯანიძემან, მღთის ძალითა და შეწევნითა ჯელი მივჰყავ მუსურმანთ სარჯულო წიგნისა და ყანუნის სათარგმანებლად—არაბული სპარსულად და სპარსული ქართულად. ზოგი ვაჯუბია, რომ სარჯულოს საქმის გარდახდა მართებულია და არ გარდახდა ცოდვა და მოვალე შეიქნება. და ზოგს სუწათს ეძახიან, რომ მისი ქნა დიდი მადლია და არ-ქნა ცოდვა არ არის, და ზოგს მაქრუს ეძახიან—თუ ქნა, ცოდვა არ არის, მაგრა არ-ქნა სჯობს. ამაგებს უკადრისი საქმეს ეძახიან და ზოგს ჰარამს ეძახიან—საცოდავი საქმეებია, დარიდება და არა-ქნა სჯობს და თუ იქ, ცოდვილი და მოვალე შეიქნები და გარდუხდელი ვერ მორჩების. და ამაგების ცოდნა მუსურმანთ მართებს და არცა რას ქრისტიანს დაუმარცხებს და კიდევ უჯობს ყოველს კაცსა, რომ ყოველის რჯულისა რამე იცოდეს და კარგისა და ავის გარკვევა შეეძლოს.

თავი დასაწყისი. რაც სიწმიდეს უწესებს, ის ორი საქმე არის: აბა, უწინ, რომ გინდოდეს ქნა, რამე გასაწმენდ-გასაბანელი, ესეები ან წყლით იქნება, ან მიწით. აბა მიწით გაწმენდა თეიმომს ლოცვას ზედან ხან ჯელპირთ დაბანა ეყოფის და ყუსლი არ უნდა... ხან ორივე უნდა, რომ ლოცვა მართალი იყოს და ჯელპირთ დაბანა და თეიმომიც უნდა; ხან ყუსლი და თეიმომი უნდა, რომ ლოცვა სწორი იყოს...“ 1—230 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტს დართული აქვს დამატებანი:

ა. ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი. — „ქ. დიდება დიდებულსა, არვისგან გადიდებულსა! ვსთხოვე ძალი და შეწვენა მძღეთა-მძღესა, მე, ცოდვილმან და უღირსმან ფარსადან გიორგი ჯანიძემ, რომ არაბული და სპარსული და ქართული სიტყვანი და სახელნი. თუ რომელს რა ჰქვიან... ამაში დავსწეროთ: დმერთს არაბულათ ილჰ, სპარსულათ—ხუდა... [ჰქვიან]“... 231—249.

ფარსადან გორგიჯანიძის ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი გამოქვეყნებულ-
ლია: იხ. მ. ჯანაშვილის გ-მა: „ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი“. თბილ-
ლისი. 1896. და ვლ. ფუფურიძის გამოცემა 1941 წლის.

ბ. „თვისა და მთვარისა წლისა და ძასკვლავის საქელები და...
ან არაბულთა ქრონიკონს სიღამ დაიწყებს.—ერთსა მაჰრამსა, ორსა საფარსა...“
249—250 გვ.

გ. „ცის თორმეტი ბურჯები და მათი სახელები ეს არის: და სრულ ცა-
სა და ქვეყანასა დღედაღამეს ოცდაოთხს ჟამს გარშემოწველიან და ყოელი საწუთრო,
საქმის მორთვა და მოსავალი ღმერთს ამათით უბძანებია და მუნჯჯიმთათვის
უსწავლებია მზე და მთვარის ამალღებ-დადაბლება...“ 250 გვ.

დ. „სახელი და საქციელი შვიდის ეტლისა.—ყამარ[მაჰ] მთვარე,
ოთარიტ...“ 250—251 გვ.

ე. „არაბულის ქრონიკოს ანგარიში ქართულის ანბანით ანითა
დაქირული ჭომედისინ ათჯერ ათასი იტყვის და არაბული ალიფე-ბე ათასის მეტს
არ იტყვის; ამიტომე, რომ მკედრულის ანბანისა ცხრა ასო მეტი აქვს არაბულს-
ასოზედან, რომ ორთავ ან ერთი აქ დაიწერების: ალიფ ერთი, ბი ორი, ჯიმ სამი,
დალ ოთხი, ჰი ხუთი, ვოფ ექვსი, ზი შვიდი...“ 251—252.

„ქ. აბათე მჭედრული ქრონიკო რასთვის ათი ათასია და არაბული
ათასის მეტი არ არის. ეს ასოები გა[ა]ცხადებს: ან ერთი. ბან ორი...“

თავდება: „ჯ.—რვა ათასი, ჰაე ცხრა ათასი: ჭოე ათი ათასი“. გვ. 252.

ვ. „ვისაც სამალავათ ერთმანერთ[თ]ან წიგნის მიწერა გინ-
დოდეს, ამას ქვეით, რომ ანჯანის ანბანი დაიწერების, ან ზეპირათ-
ისწავლეთ და დამხსოვნეთ და ანჯანის ანბანთან იქონიეთ, რომე იმით მისწერდეთ
და ან მოგწერდენ, წაიკითხვის. ფარსადან გორგიჯანიძეს შეუწყვიდა
რაც ასო თქმასა და გაგონებას მოუნდების, ყველა არის.

ანჯანის ანბანი ეს არის:

ქ. აჯ. ბბ. გგ. დდ. ეე. ვვ. ზზ. ჰჰ. თთ. იყ. ვლ. ლქ. მმ. ნუ. ოტ. პს. რყ“. 252 გვ.

ზ. „სასიზმრო მართალი და ჭეშმარიტი...“ 253.

შ. „ქ. ასოთსამღერელი მართალი და ჭეშმარიტი[!] და დაცდენ-
ნილი[!] დანიელ მოციქულისაგან და ალექსანდრე მაკედონელისაგან და მოწამეთაგან
და ურუმთ და არაბთ ჰაქიმთაგან გარდანახადი და დაცდენილი[!] ფარსადან გორგი-
ჯანიძისაგან ასრე არის: თუ სრულ თავი ემღერდეს, ყოელი მისი საქმე კარგად მო-
ხდეს...“ 255—266 გვ.

თ. „ქ. ანბავი ოსმან ჯუგის ნათესავისა თუ რამდენმან იკემწიფა
ურუმში. თავით ოსმან ჯუგ აჯობა ბერქნთა. თავის ბატონს ალაღინ სულთანს
წა[ა]რთვა ველმწიფობა...“ 267—271.

თავდება: „ორმოცდერთი წელიწადი იკემწიფა და მრავალი ქვეყანა დაი-
ჭირ[ა] და ბოლოს თვითან და თავის შვილი დიდის პატივით საქმწიფოს სარაი[ა]-
ში ოთურალი უყვეს და მისი ძმა სულთან სულემიან გააქმწიფეს არაბთ ქრონიკონ-
სა ათასს ოთხმოცდა ცხრასა“.

მინაწერი: 1: „მუსულმანთ სარწმუნოება, შემოწირული ალექსანდრე როი-
ნაშვილისაგან“. 1 გვ.

2. არაბული ოსმანაწერი „ასოთსამღერალის“ ტექსტისა: „ასოთსამღერის
ეპისტოლეს თარგმანი“. გვ. 255, ზემო კიდებზე. შავი მეღნით. (მინაწერი ქართულად
თარგმნა რუსუდ ან გვარამიამ).

3. სპარსული ოსმანაწერი „ოსმანჯუგის“ ამბისა: „მდგომარეობათა (ამბე-
თა) ჯაჭვი, [რომლითაც] ოსმანჯუგი რამდენიმე კაცმა ფაიდშაჰად გახადა (სპარსუ-
ლიდან თარგმნა ცისანა აბულაძემ).

ბიბლიოგრაფიული ცნობა: ფარსადან გორგიჯანიძის ხელით და-
წერილი, მისგანვე თარგმნილი „ჯამი აბასის.“ ეს ნუსხა მთარგმნელის ერთ-ერთ
ავტოგრაფთაგანს წარმოადგენს.

მეოლე ნუსხა, დაწერილი მთარგმნელისავე ხელით, დაცულია საკავშირო მეცნიე-
რებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის საახიო მუზეუმისეულ
ხელნაწერებში.

შდრ. P. P. Орбели. Грузинские рукописи Института востоковедения. В. I. М. Л. 1954, оп. 107.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა (S:174) განსხვავდება ლენინგრადულიდან თავისი შესავალით (მთარგმნელის ავტობიოგრაფ. ცნობები) და, განსაკუთრებით, დამატებებით.

(175)

175

თვენი (ანტონ I-ლის რედაქციისა). 1805

II, 540 გვ. 34,3 × 22,7; ქალაღი (მოლურჯო); ტვიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა (ჭიებისაგან დაზიანებული; დაზიანებულია აგრეთვე ხელნაწერის პირველი და ბოლო ფურცლები; მხედრული; სხვადასხვა. ორ-ორ სვეტად; სათაურები და გამოსაყოფი ადგილები სინგურით; დასაწყისი ასოები და ზოგიერთი სათაური—მთავრულით, ზოგან ჩართულად (1 გვ); კვირინიშანი: 1804; დაუწერელია: I—II, 533—540გვ.

„თ თ უ მ ს ა ს ე კ დ ე მ ბ ე რ ს ა ა ქ თ ს დ ლ ე ლ. პირველსა დღესა დაწყება ინდიკტიონისა, ესე იგი არს ახლისა წელიწადისა და ჰქსენება[!] ღირსისა მამისა ჩნისა სიმეონ მესტუტისა არხიმანდრიტისა და დედისა მისისა მართასა და კრება ყდ წისა ღის მშობელისა, რომელი იყო მასიანეს, და წისა მოწამისა აითალასი და წთა მოწამეთა მ—დედათა და წისა ამმონა დიაკონისა და მოძღვრისა მათისა და წთა მოწამეთა: კალისტე, ევოდ და ერმოგენისი და მოყუასთა მათთა; და ჰქსენება მართლისა ისოსი, ძისა ნავესი. მწუხრად: „ნეტარ არს კაცი“, ა აღსავალი; ხოლო უკეთუ არს შაბათი, წარეკითხავთ კანონსა სრულად „უფალო, ლაღად ვჰყავსა“ ზედა; აღვიღებთ მუ[ხ]ლთა ი და ვჰგალობთ დასდებელსა ინდიკტიონისასა გ. ჯმა ა: „ზეცისა განწესებულთა“.—თავადისა ქრისტეს, ღთისა მოძღვრებისა მიერ ლოცუბა გვსწავიეს ჩნ ყოველთა დღეთა ესრეთ მისა მიმართ ჯმობად: „მამაო ჩნო, რომელი ხარ ცათა შინა...“ [1]ა—[532] ფლბ გვ.

შენიშვნა: 1. „თვენი“ იწყება სეკდემბრის 1-ით და თავდება ნოემბრის 30-ით

2. „თვენის“ ან ნუსხაში მასალის დიდი ნაწილი განლაგებულია მოსკოვს დაბეჭდილი „სამთვენისაგან“ განსხვავებით.

3. ტექსტში მრავლად არის შეტანილი ანტონ I-ის „დასდებელი“, მაგ. იმ გვერდზე: „ს ხ თ ა დ ა ს დ ე ბ ე ლ ი წ ი ს ა ქ ე თ ა ვ ა ნ ი ს ა, ჯმა ბ. მსგავსი. ეპა, გვრგვინოსანო ქებისანო“; ანტონის ავე: პა გვერდზე II სვეტში; პდ. გვ. I და II სვეტში, პე, გვ. II სვ. და წსხვ. მრავალი: შეტანილია აგრეთვე ნიკოლა აოს ტფილელიის „კონდაკი“ (უ გვ. II სვ), უმა გვ. დასდებელი, უზ გვ. და უმა გვ. იოანე ჭილოსოფოსის „ქეტრი წისა“ და იოანე მონაზონის თხზულებები, არსენი კათოლიკოსისა ბულმაისის ძისა—უკმ გვ., რომლებსაც ვერ, ვხედავთ დაბეჭდილ „სამთვენში“.

(176)

176

კიტაიის სიბრძნე. 1795

I—VIII, 106 გვ.; 21×16,5; ქალაღი (ცისფერი); დასაწყისში ამოხეულია ორი აუ-ნუსხავი ფ.; ტყავით შემოსილი მუყაოს ყდის ზემო ფრთა მოცილებულია; მხედრული; 1795 წ. [ყდის საცავ ფურცლებზე, ბოლოში]; ადგილი: მოსკოვი; გადამწერი: თეოდორე მღვდელი; დაუწერელია I—IV, VI, VIII გვ.

13. ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. I

„კიტაიის სიბრძნე, ანუ სწავლა ქვეყანასა ზედა ბედნიერად ცხოვრებისა. შესავალი.—ისმინეთ ქვეყანასა ზედა მცხოვრებნო, ქვეყნიერნო! იყავით მღუმარებასა შინა და მიიღეთ პატივით მცნება მალლისა... ნაწილი პირველი. თავი ა. განხილვისათვის თავისა თვისისა ანუ თანამდებობათათვის კაცობრივთა, თუ ვითარი განუყოფელი წევრი არს საზოგადოებისა ანუ ქვეყანისა ერთობისა თვითოეული კაცი. იფიქრე თავსა შორის თვისსა, ჭი, მოკვდავო კაცო და გასინჯე, თუ რასათვის დაბადებულ ხარ...“ 22,24—105 გვ.

ტექსტის ბოლოს: „დასასრული კიტაიის ბრძნის აზრისა მთარგმნელისგანვე არის გარდაწერილი. მაშ ჭეშმარიტი და სწორე დედანიც არის.“ 106 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის. ა თავფურცელი (ნაბეჭდი გამოცემისა):

„კიტაიის სიბრძნე, ანუ სწავლა ბედნიერად ცხოვრებისა, თარგმნილი რუსულით ქართულსა ენასა ზედა არხიდიკონის გაიოსის მიერ წელსა 1777, თვე[ესა იანვარ-სა[!], 12, სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს.“ V გვ.

ბ. მიძღვნა „მეფის ქაიხოსროს ასულს ანნასა“ მთარგმნელის გაიოსისა. 1—2 გვ.

გ. „წინასიტყვაობა მკითხუშლოთადმი“ გაოზისა. 2—7 გვ.

დ. „მიწერილი ანლიელის მთარგმნელისაგან რომელისამე დიდის ბრიტანიის ღრაფისადმი“, წელსა 1723., 8—18 გვ.

ე. „შესავალი კიტაიის სიბრძნისა“ (ნაწილების აღნიშვნა და დასათაურების ნუსხა). 19—22 გვ.

ანდერძი (გადამწერისა): „წელსა ქრისტეს აქეთ ჩღჟე, მარტის ა—აღვსწერე წიგნი ესე სიბრძნე კიტისა[!] სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს, თეოდორე მღვდელმა.“ II ყდის საცავი ფურცელი.

მინაწერები: „ო ბოზე ი ღუგებ—ღვთისათვის და სულისა. 1. „დედო ვტ სპირიტბუს.

„ბოლ ღმერთი“.

„ბოლ ოტეც ღმერთი მამა...“ 1 გვ.

სულ განმარტებულია 14 სიტყვა.

2. „კარბს სოფელს, ქართლში, მერედსა [მერეთსაჟ] და კულბით შტა, ამ სამ სოფელს საშუალ არის ძველი ნასახლარი დაქცეული, რომელსა შინა ოსმალთაგან არის მუნ ხაზინა დაფლული.“ VIII გვ.

3. „ეს წიგნი შვესწირე წერა-კითხვის ქართველთ-შორის წიგნთ-საცავს. გიორი ვასილისძე ხალიკიანი“, 7 გვ.

გაიოზის ამ თარგმანის ტექსტი დაბეჭდილია თბილისში, ერეკლე II-ის სტამბაში, 1784 წ. (დაცულია კ. მარქსის სახელობის სახელ. საჯარო ბიბლიოთეკაში—თბ. დასაკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სახიო მუზეუმისეულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში № C 10).

შდრ. P. P. Орбели. Грузинские рукописи Института востоковедения. В. 1, М.—Л. 1956, опис. 117, სადაც შეცდომით თარგმნის ადგილად თელავია დასახელებული, ხოლო დაბეჭდვის ადგილად—მოსკოვი.

ამვროსი ნეკრეხელი. ქადაგებანი. 1795—1808

360 გვ.; 22×16,6; ქაღალდი (სხვადასხვა); მუყაოს ყდა; მწედრული; ზოგიერთი სათაური სინგურით; დასაწყისი ასოები მთავრულით; 1795 (79 გვ.)—1808 წ.; ავტოგრაფი; 345—350 გვ.—თავდაყირა არის ჩაკინძული. შეწირულია წ. კ. საზოგადოების წიგნთსაცვისათვის გიორგი ვასილის ძის ხალიკიანის მიერ.

„სწავლითი ქადაგება აგვისტოს იე, მიცვალებასა ღის მშობლისა-
 შა. შემეწიე სულო, ყდ წო, ნეკრესელს ამე როსის.—ქემშარიტნო
 ქრისტეს მადიდებელნო...“ 1—360 გვ.

შენიშვნა; 1. აქ მოთავსებული მთელი მასალა გამოქვეყნებულია: „ქადაგებანი და
 მოძღვრებანი, თქმულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ, გამოცემული ალექს-
 სანდრე ეპისკოპოსის მიერ, ქ. თბილისი, სტამბა ექვთიმე ხელაძისა. 1881.“ წინ
 უძღვის გამომცემელის წინასიტყვაობა და მღვდლის დიმიტრი ჯანაშვილის: „ნეკ-
 რესის ეპარქია და ამბროსი“.

2. „როგორც ხელნაწერის ფფ.-ზე თანქრით მიწერილი შენიშვნები მოწმობს,
 აბ გამოცემას დედნად სწორედ ჩვენი ხელნაწერი ჰქონია.

3. აწყობის შემდეგ ცალ-ცალკე დაწერილი ქადაგებანი ერთად შეუკრავთ, ხულ
 სხვა თანამიმდევრობით.

178)

178

[ბაუმეისტერი]. ზედ-დადგინებანი მეტაფისიკისანი. XVIII

I—IV; 184 გვ.; 19×13,5; ქალაღი: ქალღდებისაგან შეწებილი რბილი ყდა;
 მხედრული; სათაურები მთავრულით, XVIII ს.; დაუწერელია 175—184 გვ.; იერო-
 ნიმე ალექსის ძის [მეხსიშვილის] წიგნებიდან.

„ზედ-დადგინებანი მეტაფისიკისანი. წინასიტყვაობა
 ბუნებისათს და თსებისა მეტაფისიკაჲსა. § I.—დალათუ გულისმსიტყულობენ
 რომელნიმე, ვითარმედ ყრმათა[დ]მი სხოლათა შინა აზნაურთა სწავლათა
 მსწავლელთა არ სათანადო არს გარდამოცემად მეტაფისიკაჲ, მით, რ თავსა
 შორის თსსა ურიცხუთა და ძნელთა წინადადებათა იპყრობს იგი, რომელთა
 უმჯობეს სადამე არს არა ცოდნად, მაგრა მეცნავ ვარ ნამძღლ, ვითარმედ
 ყრმათა სამეტაფისიკოჲსაგან სიტკბოებისა შეუგუანებელ არს განყენებალ...“
 1—174 გვ.

თავღება 144 §-ით.

შენიშვნა: ტექსტს სქოლიოებში მრავლად აქვს დართული ანტონ I-ის გან-
 მარტებანი (15, 19, 28, 32, 35—36, 37 და სხვ.), შღო., H—2244, 2245

მინაწერები: 1. „ზედ-დადგინებანი მეტაფისიკისანი, ანტონ დიდისა,“ მხედრუ-
 ლი. გვ. III.

2. „წიგნი ესე ეკუთნის [!] იერონიმე ალექსიევს.“ IV გვ. მხედრული.

179)

179

დასდებელნი და ძლიხპირნი აღღგომისანი. 1814

106 გვ.; 15,5×10,5; ქალღღი (მოღურჯო); ტვიფრული ტყავით შემოსილი მუ-
 ყაოს ყდა (II ფრთას ჰიის კვალი ემჩნევა); მხედრული; სათაურები სინგურით, ნაწი-
 ლობრივ მთავრული ასოებით, დასწყისი ასოები სინგურით, მთავრულით: 1814;
 გადამწერი: დავით ჯანდიერი; ადგილი: დავით-გარეჯის მრავალმთის მონასტერი;
 დაუწერელია: 86—90, 92, 96, 97, 100—103 გვ.

„დასდებელნი აღღგომისანი. შაბათსა, დღისა მწუხრსა ზედა,
 ჰმად ა.—სამწუხრონი ლოცვანი ჩვენნი შეიწიონ, წმიდაო, უფალო და მოგვ[ც]-“

მადლე ჩვენ მოტევება ცოდვათა, რ შენ მხოლო ხარ, რომელმან უჩვენე სო-
ფელსა აღდგომა...“ 1—106 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერი შეიცავს რვა ხმაზე დაწერილ აღდგომის საგალობლებსა-
და აღდგომის ძლისპირებს.

ანდრძი (გადამწერისა): „ალიწერა წიგნი ეს, რომელსა სძლისპირი, მრავალ-
მთის მონასტერსა და ვით გარეჯისასა, ჯელითა უღირსის კერძო დიაკონის
და ვით ჯანდიეროვისათა, იელისის ო, ჩვიდ-სა წელსა“ 91 გვ.

მინაწერები: 1. „წიგნის პატრონის ილუმენის დიონისიოსის“, 104, 106 გვ.
2. „დიაჩოქისა დეკანოზოვისა“, პირველი საცავი ფ. 1-ზე და 105 გვ.

(180)

180

მოკლე ჰაზრი ყოველთათჳს სწავლათათა, საჯმარად ყრმათა
საქართუშლოხათა. XVIII—XIX

30 გვ.; 16,8 × 10,5; ქალაღი; რბილი კანი, ქალღდებისაგან შეწებილი; გაკრუ-
ლი მხედრული; სათურები ნუსხური; უთარღი; ჳვირნიშანი: „17[9]9“ (25—
26 გვ. და I საცავი ფ.); |ავტორი და დამწერი: „მოძღუარი ჳილოსოფიისა რეკ-
ტორი დავით“, (25 გვ.). დაუწერელია 26—30 გვ.

„მოკლე ჰაზრი ყოველთათჳს სწავლათათა, საჯმარად
ყრმათა საქართუშლოხათათა. შესავალი“—კი[თხვა]: რად უმეტეს
თანა-ადს კაცსა ცნობად?

მი[გება]: სამი ნივთი—1. თავი თჳსი. 2. ღმერთი, ვითარცა შემოქმედი-
თჳსი და 3-ე. ქმნილი, დაბადებულნი კაცისათჳს...“ 1—25 გვ.

შედგენილობა: 1. „თავი ა. ქმნილთათჳს.“ 2—6 გვ.

2. „თავი ბ. კაცისათჳს.“ 6—13 გვ.

3. „თავი მესამე ღოჯისათჳს.“ 13—17 გვ.

4. „თავი მეოთხე. სარწმუნოებისათჳს.“ 17—25.

ავტორის—დავით რექტორის—მინაწერი მხედრული ჩართული ასოებით, ტექ-
სტის ბოლოს:

„მოძღუარი ჳილოსოფიისა რექტორი დავით“.

შენიშვნა: კანის 11 ფრთაზე, შიგნიდან ძიკრულ მოღურჯო ქალღდზე მოთავ-
სებულია მხედრულად ნაწერი ტექსტი, რომელიც იწყება: „გულისა ჩემისაებრ
შავსა ზანგსა თუ [მწ]ითურსა(?) ორ ენისა ქალღდისა გაწლობილითა თაბორულისა-
სპეტსა, ჳელთანის ნუნის მწმრუალითა ვარუკებ და უყორნესსა ნაკრტანსა მაღლია-
დისა მუსკულისა შეძრვითა დავასხამ... და ხუთეულისა სამერიდიანოსა ცისა სწორ-
თა გაეკლიბტიკებასა და ბედითად ორობათა ზრქელსა და მარტივსა გაბედიობებასა
ტინ საღაეროსა საგოდოსა ნარგიზისა ნამთა დაგტუარავ...“ 31 r.

ტექსტში იხმარება ანტონ I შემოღებული გასო (14.22 გვ.).

(181)

181

მხილება სჳნიდისისა. 1798

მწ[48] გვ.; 17,7 × 11,5; ქალღდი; მუყავს ყდა, ქალღდი და მოშლილი, ყუა-
დაზიანებული ყდაც ძალზე დაჭმულია კისისაგან (ა—იწ, შა—მწ გვ.); მხედრული;
1798 წ. (მწ გვ.); ბაგრატი ბატონის შვილის დიაკვნის—სვიმონის
ხელით (მწ გვ.).

„მხილება სჯნი დისისა და მოვსენება სახიერებათა ღწისათა ბუნებასა ზედა კაცთასა. თავი ა.—ღმერთმან, წამისყოფით დამბადებელმან, არა არსისაგან არსად მომყუანებელმან და ყოვლისა კეთილისა მიზეზმან, ჯელითა თუსითა შეგქმნა, თავო ჩემო, და სულითა პირისა მისისათა განგაცხოველა და ხატებითა თუსითა პატივს-გცა.. ხოლო შენ, უბადრუკო თავო ჩემო, ვერცა ერთი კეთილი შეიფერე! ურჩ ექმენ ღმერთსა და მორჩილ ეშმაკსა...“ ა[1]—მშ [48] გვ.

შედგენილობა: 1. „მხილება სჯნი დისისა და მოვსენება სახიერებათა ღწისათა ბუნებასა ზედა კაცთასა. თავი ა.“ ა—ბ გვ.

2. „ქუშლის მოქმედება ქრისტეს მიერ ჩემს ზედა. თავი ბ.“ ბ—შ.

3. „ვითარმედ ვერ ვხედავთ ღმერთის მოწყალებათა.“ თავი ე.“ შ—ი გვ.

4. „რათა არა ვაწუხებდეთ კაცთა.“ თავი დ. ი—იგ გვ.

5. „მხილება სჯნი დისისა, რათა არა განუკითხვდეთ კაცთა.“ თავი ე, იგ—იე გვ.

6. „რათა არა ვჭფარვიდეთ აღსარებასა.“ თავი ვ, იე—კა გვ.

7. რათა არა აღთქმისა გარდავქმედეთ ცოდვსათს.“ თავი ზ. კა—კვ გვ.

8. „რათა არა უშიშ ვიყუნეთ სიკუდილისაგან. თავი შ.“ კვ—ლვ გვ.

9. „ქრისტეს მეორედ მოსვლისათს. თავი თ.“ ლვ—ლშ გვ.

10. „ცოდვილთ შესულა ჯოჯოხეთს და გამოუსვლელობა“. თავი ი. ლშ—მბ გვ.

11. „ლოცუა ღმერთის მშობლისა მიმართ დღითი-დღე სათქმელი.—ჟ ყოვლად წმიდაო დედოფალო...“ მბ—მვ.

12. „ეთომბა სოლომონისი.—ოდეს იგი სცოდა კერპთმსახურებითა...“ მვ—მშ გვ.

ანდრძი: „წიგნი ესე სჯინი დისისა ღამე მუკლზე დაეჩხაბე, მკითხუშლნო! ნუ მწყევთ. დედანიც ასე იყო და მეც ასე დავწერე, რათა თქუშნცა შეგინდუნეს ცოდუანი თქუშნნი... მჩხაბავი ამისი ბატონის სველის ბაგრატიის დიაკუანი სჯმო ნ.

ადიწერა წელსა ჩლქშ, ქწნსა უპვ. თქშსა მარტსა კვ; აღდგომის ღამე თენდებოდა“.

„(182)

182

დაუჯდომლები და გალობანი. XVIII

80 გვ.; 16×11.3; ქალღი; რბილი მუყაოს ყდა, ტვიფრული ტყავით შემოსილი (კიისაგან დაზიანებულია ყდაცა და ხელნაწერის ფურცლებიც—1—10 გვ.); მხედრული; XVIII ს; მესნიშვილთა კალიგრაფიული სკოლის ერთ-ერთი უფროსი წარმომადგენლის [ალექსისა თუ გიორგის?] ხელით (შდრ. A—1443 ხელნაწ.ხელ).

1. „იბაკონი წმიდისა ღმრის მშობელისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების. კმა ღ გი.—ხესთა მბრძოლისა ჩემისათვის და მოღვაწისა უძლეველისა, ვა შენ მიერ ხსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა აღესწერთ, ღწის მშობელო ქალწულო, შენდა მომართ, მონანი შენნი...“ ვ—74 გვ.

შედგენილობა:

2. „კანონი უფლისა ჩწისა მიმართ იესო ქრისტესა. გალობა ა, კმა ვ. სძლისპირი: „ხლუა მეწამული...“—იესუ. ტუბილო...“ 43—47.

3. „იბაკონი უფლისა ჩწისა იეს[ო] ქრისტესი, თქმული თ ეოქ დის ტესტოდ ი ელი ს მონასტრისა. იბაკო ა.—ხესთა მბრძოლო უფალო, ჯოჯოხეთისა დამორგუნველო...“ 47—54.

4. „დასდებულნი სინანულისანი...—იესუ, ყოვლად ტუბილო, სულთა და გონებათა ჩემთა წმიდამყოფელო...“ 54—55.

5. „დაუჯდომელი ჯუარისა, ბერძელისაგან ქართულად თარგმნილი.—ხესთა მბრძოლისა და მოღვაწისა ჩვენისა...“ 55—61.

6. „გალობანი სინანულისანი, თქმულნი და ვით მეფისანი. უგაღსდლისპირი: „წამის ყოფითა, ღმერთო...“—„რომელისაცა წინაშე ზედ-დადრეკილ არს ყოი, მუხლი მოდრეკების და ენა ყოველი შენსა წმობს აღსარებასა!...“ 61—65 გვ. თავდება: „მართალნი ნეტარებდენ. ცოდვილთა ჰგემდეს ცეცხლი, მაშინ შემიწყალე. იესო ჩემო.“

7. „ტინ ტიმო. ტერან ტონ ხერუემ...“ ბერძნული ლოცვა ქართული ტრანსკრიპციით, 4 სტრიქონად. 66 გვ.

8. „პარაკლისი სავედრებელი ... იოანე ნათლისმცემელისა.—მოვედით, თაყვანისვცეთ; გ. „უფალო, შეისმინე,..—წინამორბედა და ნათლის-მცემელა და უდაბნოსა მოქალაქეო...“ 67—74.

შენიშვნა: ძველ ხელნაწერთან ერთად ჩაკინძულია ორი ფ. სხვა ქალაღდი, ცისფერი [დაწერილი დავით რექტორის ხელით]:

„მისის უმაღლესობის სუდ საქართუშლოს მეფის ირაკლისაგან თქმულნი ლოცუანი ესე, რომელი იყო ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე: „სინანული საზოგადო ეკკლესიასა შინა ერთგან, ყოველსა დღესა პარაკესსა. წმიდათა ორმოცთასა და წმიდათა მოციქულთა და ყუდ წმიდისა ლის მშობელისა. მარხუთასა; იწყების ოპირატესისაგან, ესე იგი მღუღელ-მთავრისა ანუ მღუღლისაგან, ესრეთ:

ვაე ჩუენდა, რ შეგცოდეთ შენ, ღმერთო!...“ 75—77.

მინაწერები: 1. „დაუჯდომელი პარაკლისი ესე ეკუთვნის კოლლეჟსკის სეკრეტარს იერონიმე ალექსიეს.“ 1 გვ.

2. „დაუჯდომელი ღვთის მშობლისა“, იქვე.

(183)

183

ალაპიტ დიაკონი. სამეფო ქარტა ანუ ტომარი. 1776

XII, 76 გვ.; 16,6×10,5; ქალაღდი; ტფიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა. (ყუა დაზინებული აქეს); მხედრული (თ-ვეფურცელი და სათაურები მრგვლოვანით); გაიოზის მიერ თარგმნილი რუსულიდან 1776 წელს (1 გვ.); აღგილი: მოსკოვი-

„სამეფო ტონარი. უსამღდელოესსა და უკეთილმსახურესსა მეფესა ჩუენსა, იმპერატორსა იუსტინიანეს, ალაპიტ, უმცირესი დიაკონი კრძალულებით შრომასა ამას უძღუნი. თავი ა, „ღმერთი არს ყოთა მეფობათა შემოქმედ.“—მყოფი უმაღლესსა ღირსებასა შინა, ჰი, იმპერატორო, უმაღლეს ყოველთა ღირსებასა აღგიყუანა შენ ღმერთმან...“ 1—73 გვ.

შენიშვნა: 1. „სამეფო ტომარის“ ტექსტს წინ უძღვის ა. თავფურცელი: „სამეფო ქარტა ანუ ტომარი, მირთმეული ბერძნის იმპერატორის იუსტინიანესადმი ალაპიტ კოსტანტინეპოლის სოფიაწმიდის ეკკლესიის დიაკონისა მიერ. სასარგებლოთა სხოლიებთა სრულქმნილი და გარდმოღებული რუსულით ქართულსა ენასა ზედა რხიდიაკონის გაიოსის მიერ, წელსა 1776, მოსკოვს.“

ბ. მთარგმნელის გაიოზის მიძღვნა ერეკლე II-სადმი. „უმოწყალესო გელმწიფეო სრულებით ზედმიწევნამან სიბრძნისმოყვარების თქმუნისამან..“ III—VII გვ. („მიძღვის“ ტექსტი იხ. H—70 ხელნაწერის აღწერილობაში).

2. ტექსტს დართული აქეს ქვემო ნაპირებზე მრავალი სქოლიო („სასარგებლონი სხოლიონი“), რაც თავფურცელზედაც აღნიშნულია.

3. ტექსტის ბოლოს მოთავსებულია გაიოზის ბოლოსიტყვაობა (ტექსტი იხ. H—70 ხელნაწერის აღწერილობაში).

4. ხელნაწერის 74 გვერდზე, გაიოზის ბოლოსიტყვაობის ტექსტის 'ხემოთ დატოვებულ დაუწერელ არზე, დასმულია პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკის წიგნების ექსლიბრისი: „ბ.პ. უ. ქ. ს.“ ბიბლიოთეკა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა“.

5. „სამეფო ქარტა“, ს. გორგაძის განმარტებით, „შეიცავს ზნეობის სწავლას, თუ როგორ უნდა მოიქცეს მეფე“.

(184)

184

ეფრემ მცირე. უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისა. 1609

12 გვ.; 21×17; ქალაღი: ქალაღდებისაგან შეწებილი ყდა; მხედრული; სათაური და ზოგან დასაწყისი ასოები სინგურით; „ქახეთის სამეფოს რეკტორის და ვ ი თ ი ს“ ხელით; 1809 წ.; იერონიმე მესხიშვილისეული; მესხიშვილთა ოჯახიდან.

[ეფრემ მცირე].

„უწყება მიზეზისა ქართულთა მოქცევისასა, თურლთა წიგნთა შინა მოიხსენების.—სულიერსა მამასა ჩემსა და პატიოსანსა ეკკლესიარსსა ჩრ ქართულთასა, მღჭდელსა უფლისასა იოანეს კჯრიაკოსსა ყდ მცირე და უღირსი სახისა და სახელისა ეფრემ მონოზონი (!) თაყვანის-ცემით მოგიკითხავ.—ვინათგან მადლითა ღრისათა სრულიქმნა გულსმოდგინება შენი წიგნისა ამისთჳს სადღესასწაულოდსა, რომელი შენ იწროებასა შინა ჟამთასა უხუტებით განვრცომითა გონებისათა მოუგე საზოგადოსა მაგას ნიქსა ნათესავისა ჩრნისასა, ეკკლესიასა წმიდისა სუმეონ საკურტულთ-მოქმედისასა, რომელი ვა საწყაული კეთილი და განმყოფელი იფქლისა ცხოვრებისა ქეშმარიტებით წმიდად მოდად სახელდებულ არს...“ 1—9გვ. შდრ. ხელნაწერ A—24-ს (146v—148r).

იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტ., ტ. I², გვ. 238—239.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს

„კეთილშობილი ა ღ ე ქ ს ი ს ძ ე, ქ ა ხ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო ს რ ე კ ტ ო რ ი დ ა ვ ი თ. მაის[ს] ვ, წელსა 1809.“, 9 გვ.

2. შდრ. ე. თაყაიშვილი. ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ტფილისი. 1891. გვ. XXXVII—LVII, სადაც მთლიანად გამოკვეთებულია ეფრემ მცირის ეს ტექსტი ამ ხელნაწერის მიხედვით. იხ. აგრეთვე: ეფრემ მცირე. უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების. თ. ბრეგაძის გამოცემა, 1959 წ.

(185)

185

ისტორია ალექსანდრე მეფისა. 1820

174 გვ.; 35,5×23; ქალაღი: უყდო, რბილი ქალაღის კანით აკინშული; მხედრული (დასაწყისი ასოები ნუსხურით); 1820 წ.; აღგილი: პეტერბურგი; გადამწერი იოსებ ბასტამოვი; ალექსანდრე ლაზარეს ძის მაისურაძისეული.

„ისტორია ალექსანდრე მეფისა, მაკედონისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოვლისა სამხრეთისა და თვთმპყრობელისა მეფეთ-მეფისა.—იტყვიან უკულ ძედ ყოფად მისა მაკედონის მეფისა ფილიპპესად, არამედ არა არს ესრეთ და ცრუ არს ესე ყოველი; არამედ არს იგი ძე ეგიპტის მეფისა ნავთანაფისა, ფილიპეს ცოლისა, დედოფლისა აღიმპიადეს მიერ, რამეთუ საქმენი მისნი მოიხსენებინან ესრეთ: იყო მეფე ეგიპტისა ნავთანაფ, მისნობისა და ვარსკულავთ-მრიცხულობისა ქელოგნებითა განჰსწავლული ფრიად...“ 1—174.

ანდერძი: „აღწერილ არს ისტორია ესი[!] ველთქმნილი იოსებ ბასტა-
მოვისი. რომელთ იხილოთ წერილი ესი[!]; ბრძანეთ: მიიღოს წყალობა ღთისი“.
ალიწერა დიდსა ქალაქსა შინა ს. პეტერბურღსა, წელსა 1820.

შენიშვნა: „წიგნი ესე ეკუთვნის ალექსანდრე ლაზაროვიძის მი-
სურაძისა“, კანის II ფრთის შიგნიდან.

შენიშვნა: ხელნაწერში ჩადებულია თბილისის პოლიცემისტერის ბუხალტრის,
ქანანოვის ხელმოწერილი ხიმართვა ცნობილი მესტამბის (მოკვლეს 1905 წლის
დეკემბერში, რეაქციის დროს) ე. ხელაძისადმი ბლანკების დაკვეთით; მეორე გვერ-
დზე სტამბის ანგარიშებია (ქართულად)—1878 წლისა.

(186)

186

ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია და ისტორია. XVIII—XIX

502 გვ.; 29,5×20; ქალაღი (თხელი—ძირითადად; აღდგენილ გვერდებზე სხვა
მდარე ხარისხისა — 1—2, 15—16, 135—160, 497—502 გვ.): უყდო; მხედრული
(სხვადასხვა); XVIII—XIX ს; მეტად დაზიანებულია 489—496 ფუ.

ვახუშტი: „ტომობა და შთამამავლობა ქართუღლთა
და ცხოვრება მათი, რომელსა ეწოდების წიგნსა ამას ცხოვრება ქარ-
თლისა, ნოეს ძის იაფეთის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მის-
თამდე, და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთანი.

— აწ ზნეთათვის ვიწყით ძველთაგან ახალთამდე, საქართველოსათა ზნე-
თა, ჩვეულებათა და წესთა მათთა, პირველ განყოფილებისა და შემდგომად
განყოფილებისა, რამეთუ წესნი მთავრობათა საქართველოსათა არიან დასა-
წყისითაგანვე, ვითარცა ვიუწყებთ: რაჟამს მისცა ჰოს[!] ძმათა თვისთა წი-
ლნი ქვეყანათა და შემდგომად ქართლოსის ცოლმან ძეთა თვისთა...“ 1—502.

წყდება: კახეთის ცხოვრების (ისტორიის) შემდეგ აღვიღებ: „ხოლო
ჟამთა ამათ მოწინებულ იყო კახეთი და მთავრობდნენ მთავარნი და არა ნე-
ბისაებრ მისისა მსახურებდნენ ხანსა. იხილა რა სიამაყე ესე კახთა ხანმან მან,
იწყო მოწამლვით და რომელთამე ცხადადცა სიკვდილი. ამისთვის კახთაცა
იწყეს კრძალვა“.

შდრ.—ტექსტის დასაწყისი მეორე აბზაციდან ვახუშტის გეოგრაფიის
1941 წლის თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემას, გვ. 12, 12
სტრიქონიდან (ზემოდან), ხოლო ბოლო ვახუშტის „საქართველოს ცხოვრე-
ბის“ 1913 წლის გამოცემის 194 გვ., სტრ. 2—5 ქვემოდან.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ზოგადად აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. Описание,
ტ. II, გვ. 675, № 403 (=186).

2. „აღწერა შერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთი-
სა“ ნაბეჭდი (1941 წ.) გამოკემის 86—89 გვერდები (89 გვერდის 31 სტრიქონამ-
დის: „პავით მშენი, ხოლო ზაფხულს ცხელი, ხაშშიანი და გაუძლიისი. იორის
პირს“) ორჯერ არის გადაწერილი ხელნაწერის ძირითადი ხელით. შდრ. გვ.
433—436 და 493—496.

განმეორებით არის გადაწერილი აგრეთვე დამატებითი ფ.ფ.-ბის 498 გვ. მე-5-ე
სტრიქონიდან (ქვემოდან) ბოლომდის ძირითადი ხელით გადაწერილი 489—493 გვ.
ტექსტი.

3. საერთოდ ხელნაწერი, რომელიც ძირითადად XVIII ს. ხელით გადაწერილი
ჩანს, ალბათ დაზიანების გამო, შეესებულება XIX ს. ბოლო ათეულების ხელით
(1—2, 15—16, 135—160, 497—502 გვ.).

4. XVIII ს. ხელიც ორ მწერალს მაინც უნდა ეკუთვნოდეს (შდრ. 347—349, 421—431 გვ. დანარჩენებს).

(187)

187

კურასი ლილმარ. საყოველთაო ისტორია. 1776

162 ფ.; 33×21; ქალაღი; დაშლილი, დაფურცლული, კიდევბ-დაზიანებული; ტყავბადაკრული მუყაოს ყდის ორივე ფრთა მოცილებულია; მხედრული; სათაურები სინგურით; 1776 წ.; ადგილი: პეტერბურგი; რუსული თარგმანიდან თარგმნილი აღექსანდრე ამილახერის მიერ (იხ. ანდერძი); იერთონიმე მესხიშვილისეული.

„ლილმარა კურასი, შემოკლებულად საყოველთაო მოთხრობა, რომელსა უპყრიეს ყ[ოველ]ი ღირსად სახსოვარი ქვეყანისა შინა დროთა, შექმნიტგან ქვეყანისა ვიდრე აქამომდე ჟამისა; მრავლითა გამოძიებითა ახლად თარგმნილი, შეერთებითა მოკლისა რუსეთისა ამბავთათა, კითხვით და მიგებით, სარგოდ მსწავლელთა ყრმათა, მეორითა ბეჭდითა დაბეჭდილი თვით პეტერბურგსა შინა, სახელმწიფოსა ზედა აკადემიისასა სასწავლოსა წელსა 1762.

შემოყვანება ისტორიისა, რომელ არს ამბავი გინა მოთხრობა. რასა გვაუწყებს ჩვენ მოთხრობა ესე?—გამოგვიცხადებს ჩვენ იგი სახესა ქვეშა, რაიცა ქვეყანისა ღირს არს სახსოვრად ჩვენდამდე წარსულისა.

ვითარისათვის განზრახვისა?—ცნობისათვის საკვირველისა ღისა განგებულებისა და ამისთვისცა, რათა მაგალითებითა შეუძლოთ სხვათაცა დასწავლულ ყოფად გულისწმიერად...“ 145 ვ.

შენიშვნა: 1. „საყოველთაო მოთხრობა“ ანუ ზოგადი ისტორია მოთავსებულია 1 რ—145რ-ზე.

2. 145 ვ—161 რ-ზე—„შემოკლებულად მოთხრობა რუსეთისა, სადეთგან შემოიყვანს ვარი რუსეთისა დასაწყისს(ს)ათვისისა?—რუსნი გამოვიდნენ სლავანი, რომელნიცა გამოხდნენ დუნაით და დაეშენნენ სამხრისა და ჩრდილოეთისა ადგილთა—აწინდელნი რუსნი, მცხოვრებელნი შორის ნოვგოროდისა სლავანნი, ესრეთ, ვითარცა და სხვანი, მმართველ იყუნენ პირველად მთხუცებულთაგან ერსა შორის. გარნა შექმნისათვის შორის ერთმანერთსა აღრეულებისა, მოუწოდეს თვისად სამთა ძმათა ვარგითგან რუსუთა, რომელთაგან უხუცესი იყო რურიკ...“

3. 155 ვ—161რ-ზე მოთავსებულია ქრონოლოგიური ცნობები პეტრე დიდის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, დაბადებიდან (1672?) გარდაცვალებამდე (1725, იანვრის 28).

4. „საყოველთაო მოთხრობა“, როგორც ეს აღნიშნულია ანდერძში (იხ.), თარგმნილია: რუსული თარგმანის 1762 წლის გამოცემიდან. ეს არის მეორე (შეესებული) გამოცემა, სათაურით: „Введение в генеральную историю, изданное на немецком языке от Гильмара Кураса и на российской язык переведено канцелярии академии наук секретарем Сергеем Волчковым. СПб., 1762.“ იხ. Сопиков В. С., Опыт Россииской библиографии, под редакцией В. Н. Рогожина. т. III. № 4929: СПб.. 1904.

ანდერძი: „ალიწურა ფებერვალს, 1776. ზ. გ.“

„დასრულდა წიგნი ესე, შეწევნითა მღვთისათა, თარგმნილი რუსულითგან ქართულსა ზედა აღექსანდრეს მიერ ამილახვაროვისა, ძისა დიმიტრი-

სა *, და ითხოვს მკითხველთაგან მოტყუებასა შეტომილთასა, ამისთვის რ' ოდეს-
რა მოიწივა ჩრდილოეთს, სახელმწიფოსა რუსთასა, ვითარებისაგან ჟამთასა, წელსა
1772, თვესა იანვარს 1 და არა უწყებდა ** წერასა, არცა კითხვასა რუსულთასა,
მცირესათვის დაყოფისა მუნ ჟამთასა; გარნა რჩევითა ვიეთთამე მოყვასთასა იწყოს
სწავლად წიგნთა რუსულთასა და თანაშეუდგა მას თარგმნაცა, რ' ჯერეთ არცაღა-
ძალ-ედგა ლაპარაკად რუსულთა და არცა ჰყვა მასწავლებელი, თვინიერ მცირესა
ჟამთასა—ძე ყარაბუღახისი, თავადი იოანე. იგი აუწყებდა, რავდენ ჟამ და რაოდენი-
ძალ-ედგა, გარნა, რ[ომელმან] მოსცა ცნობა ბოროტისა და კეთილისა, იგივე თანა-
შემწე ეყო მას დაწყებასაცა და შესრულებასა და ექმნებისმცა უკუნისამდე. ზოლო
დაწყება ორთავე, კითხვისა და თარგმნისა, თვესა ოკტომბერსა იე, და დასრულება
იენის თ, წელსა 1773.

ვინცა მიიღოთ ხელად, ბრძანებდეთ მისთვის მიტყუებასა, რათა მოგიტყუენს-
ღმერთმან თქვენცა შეცოდებანი თქვენნი“. 161 r.

მინაწერი: „წიგნი ესე ეკუთვნის კოლლეჟსკი ასსესორს იე რ ო ნ ი მ ე ა ლ ე ქ-
ს ე ე ვ ს“.

(188)

188 ა, ბ

მონტესკიე. გულისხმისყოფისათვის ჰსჯულთასა. 1816.

(წიგნი ა. და ბ.); თარგმნილი ნ ე ფ ი ს ძ ი ს დ ა ვ ი თ ი ს მიერ.

ა

XIV, 254 გვ.: 31,7×19,7; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1816 წ., მარტის-
1-ს; მთარგმნელის დავით ბატონიშვილის ხელით; იერონიმე მესხიშვილისეული-
დაუწერელია I-XIV გვ.

[მონტესკიე], „გულისხმისყოფისათვის ჰსჯულთასა-
წიგნი ა. სჯულთათვის საზოგადოდ. თავი ა. ჰსჯულთათვის ნაცვალგებისა
შინა, ვითარცა აქვსთ მათ სხვანი და სხვანი არსებანი.—სჯულნი სივრცესა
შინა შენიშვნისასა სხვანი არარაჲმენი არიან, გარდა საჭიროთა ნაცვალ-
გებათა ბუნებისაგან ნივთთასა გამოსრულსა...“ 1—254 გვ.

ტექსტის ბოლოს. „დასასრული პირველისა წიგნისა; წელსა ჩყივ-სა, მარ-
ტის ა-სა.“

ბ

IV, 253 ფ. [506 გვ.], 31,5×19,8; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1816 წლის-
აპრილის 28-ს; ადგილი: პეტერბურგი; მთარგმნელის დავით ბატონიშვილის ხელით-
დაუწერელია I—IV გვ.; იერონიმე მესხიშვილისეული.

„ნაწილი ბ. წიგნი ი. ჰსჯულთათვის ნაცვალგებებასა შინა, ვითარცა
აქვსთ ძალისა თანა ზედადასხმისა. თავი ა. ძალისათვის ზედადასხმისა-
—ძალი ზედადამსხმელი დაწესებულ არს კანონთამებრ ერთა სამართლისათა,
რომელიცა შეადრგენს ერთა საპოლიტიკოსა შესმენილებასა...“ [5—503] გვ-

* „ძისა დიმიტრისა“ ჩაწერილია ზემოდან.

** ტექსტში: „იწყებდა“.

ტექსტის ბოლოს: „დასასრული მეორისა წიგნისა. „შევასრულე ორივე წიგნი მონტესკიუ პეტერბურხს, წელსა ჩყვი აპრილს კჳ და მოვბლაჯე. ეგლითა ჩემითა დედანი ია.“ [დავით ბატონიშვილის ხელით].

„გაემართე ალექსისძემან კეთილშობილმან დავით რექტორმან“.
(252 r.)

შენიშვნა: დავით რექტორის ეს განცხადება არ არის სწორი; მხოლოდ ერთადგილას გაუყუთებია მას სქოლიო, სიტყვა ტრიბუნის განმარტებით: „ტრიბუნის არს ლათინური ლექსი, ხოლო არს ქართულად საზოგადოთა ერთა ზედა ზედამხედველი. რექტორი დავით“.

შდრ. დავით ბატონიშვილის განმარტება ბ. 41 v-ზე: „ტრიბუნნი“. შდრ. „ხელნაწერთა აღწერილობა“ ტ. III. თბ.—1948. II—1424, გვ. 361. მონტესკიეს თხზულებას სქოლიოებში მრავალი შენიშვნა ახლავს. ავტორის შენიშვნების გარდა ქართულ თარგმანს დართული აქვს მთარგმნელის შენიშვნებიც, დაწერილი ტექსტის ხელით და ხელნაწერით: დავით.

ა ნაწილში:

1. „გულისხმიერსა სოფელსა აქა ავტორი კაცსა უწოდს“ ა, გვ. 4.
2. „იეროკველნი არიან რომელნიმე ერნი ამერიკისანი. ესენი სკამენ ტყვეთა თვისთა“ ა. გვ. 10.
3. „სოფისტნი იყვნენ ამაო ფილოსოფოსნი, რომელთა ყოველი ფილოსოფიად შედგებოდა რათამცა ეყბდრათ შათ ამაოთა საგანათუის“. ა. გვ. 57.
4. ევროპასა შინა მონაზონთა აქვთ სხვადასხვა ორდენი, რომელნი განიყოფებიან ვითარცა საცმელითა. ეგრეთვე კანონითა. მაგ. ორდენი ვასილიანთი, ანტონიანთი, იესუიტებისა, კაპუცინებისა, და სხვანი. ა. გვ. 82
5. არიოპაგად იწოდებოდა ათინასა შინა უპირველესი რჩევა, გინა სენატი. ა. 95.
6. ეფორნი ლაკედემონიასა შინა ეწოდებოდნენ მსაჯულთა, დაწესებულთა აღვირსმისათვის ჟწესობებათა მეფეთასა, ჩინებულთა გვამთასა და ერთასა. ა. გვ. 103.
7. „ლოგისტინი ათინასა შინა იყვნენ ესევიტარნი მოხელენი, რომელნიცა მოჰსთხოვდიან ანგარიშსა მათგან, ვისცა ხელთა შინა ექმნებოდის ხაზინისა თეთრი“. ა. გვ. 104.
8. „ედლინი მართედნენ თანამდებობასა, ვითარცა აწ პოლიცემისტერი ანუ ნაცვალი. ა. 190.
9. „გრაკხნი იყვნენ ძენი სემპრონიოს გრაკხისანი და ასულის წულნი სციპიონისა, აფრიკელად წოდებულისანი, რომელთაცა ეწოდებოდათ ტიბერიოს და კაიოს. იხილე ჰრომის ისტორია. დავით“. ა. გვ. 229
10. „პატრიკი—წოდება არს, ვითარიმე აზნაურება რომელთაცა აქნდრათ შთამომავლობათა რომულოსისა სენატორთაგან, ვითარცა ჩვენში აზონისაგანთა აზნაურება“. ა. გვ. 230.
11. „თუმცადა ღონისძიებდა ესე „იზმიეს რუსთა პირისპირ ფრანცუცთა წელსა ჩყიბ, გარნა ვერა დააყენა ამან მოწვა მოსკოვისა.“ ა. გვ. 250

ბ ნაწილში:

12. „ევფორნი იყვნენ მსაჯულნი, გამორჩეულნი ლაკედემონიასა შინა, რომელნიცა განწესებულ იყვნენ აღვირსმისათვის თვითნებობისა მეფეთასა. ხოლო უკანასკნელ შეიქმნენ იგინი გამომეძიებელად ყოველთა სამოქალაქოთა და სამსჯავროთა საქმეთა“. ბ. 37 v.
13. „სეთიმი ეწოდების თვითოეულთა განთვისებულთა სამპრობელოთა და სამეფოთაგან აღრჩეულთა დეპუტატთა, მოლაპარაკებისათვის საქვეყნოთა საქმეთასა“. ბ. 39 r.

* იგულისხმება საზღვრებზე მდებარე ადგილების გაწირვა მტრის შემოტევის დროს, შიგნითა ქვეყნის დაცვის მიზნით.

14. „ტრიბუნნი ეწოდებოდა მოხელეთა რომსა შინა, რომელნიცა დასცევდენ სამართალთა ერთასა პირისპირ პატრიკთა.“ ბ. 41 გვ.
15. „კოსმინი იყვნენ მმართველნი, გამოჩრჩეულნი კრიტელთა მიერ მდაბიოთა შედგმულებათაგან განმგედ და ამა კოსმთაგან გამოირჩეოდინ სენატორნიცა.“ ბ. 45 რ.
16. „ქვეტორი იყო რომსა შინა მოხელე და ესე იყო საზოგადო ერისა მოლარე და ამისი თანამდებობა იყო მესტუმრეობა და მემანდრობაცა.“ ბ. 65 ვ.
17. „ელიოი სახელოა რომსა შინა, რომლისა თანამდებობა იყო ჭკრეტა საზოგადოთა შენებულებათა და ქუჩათა.“ ბ. 66 რ.
18. „კაპიტოლია იყო ტაძარი იუპიტერისა, სადაცა აღსრულდებოდნენ ყოველნი დღესასწაულობანი და დამტკიცდებოდნენ ყოველნი წესდებულებანი რესპუბლიკისანი; სადაცა იყო შენებულებაჲ ესევითარა, რომელიცა მსახურებდა მათ ციხედცა.“ ბ. 70 რ.
19. „ტრიუმფი ეწოდების სადღესასწაულოთა შემოსვლათა მძლეველთასა.“ ბ. 74 რ.
20. „ლეგეონი ეწოდებოდა პოლკსა, გინა გუნდსა ერთსა, შედგებულსა სამი ათასთაგან კაცთა, გინა ექვსით ასთაგან.“ ბ. 75 რ.
21. „ჟეზაოთი ეწოდების ამაღლებულსა ტახტსა, მსგავსსა ანბონისსა, სადაცა აღიყვანენ დამნაშავეთა და მას ზედა დაჰსჯიან; სახილველად ერთათვის“ ბ. 96 რ.
22. [როლი] თამაშობა, რომელიც ერგება წარმოსადგენად.“ ბ. 126 რ.
23. „ილოტნი ეწოდებოდნენ მხოლოდ ლაკედემონიასა შინა დამონებულთა მათგან მეზობელთა. რომელთაჲცა გამოიყვანდნენ მსახურად და უმეტეს მიეწერებოდა ერსა მესინელთასა, რომელიცა ლაკედემონელთა დაიპყრეს და ვეთინმე გარდასახლეს ადგილთა თვისთა. ხოლო მონანი ესე იყვნენ მათგან დიდსა შემჭივრებასა და ტანჯვასა ქვეშე.“ ბ. 137 ვ.
24. (ბარკის აკრეფისათვის რუსეთში) „უფალს მონტესკუს არა სცოდნია, თუ ვითარი სახივი აძევს მუჟიკთა რუსეთსა შინა და ანუ ვითარი შემჭივრება და ძალი ადგასთ, და ამისთვის ჰსჯის ესრეთ.“ ბ. 139 ვ.
25. „ტალანტი იყო ორგვარი: დიდი და მცირე. დიდი შეადრგენდა ოთხმოცსა მნასასა და მცირე—სამეოცსა. სადაცა იხსენიების ტალანტი და არა დაჰყვების დიდი, მცირე ტალანტი იგულისხმების.“ ბ. 140 რ.
26. „მნას ბერძული თეთრის სახელოა. ერთი მნას შეადრგენდა ასოც დრამსა ვერცხლსა ანუ ჩვენსა აბაზსა.“ ბ. 140 ვ.
27. „ქუნტ სტერლინგი არის ინგლისური მანეთი და ერთი ქუნტ სტერლინგი იქმს ოთხ მინანთულს და. ათ შაურს თეთრს ფულს.“ ბ. 151 რ.
28. „აქტია არს ლექსი ლათინური. ესე ნიშნავს თეთრსა დადებულსა, გინა მათსა სამხანაგოსა ვაჭართაგან, საზოგადოდ პირობითა. ამით მოიყიდვენ და განსყიდვენ საქონელსა და ზიანი და სარგებელი არს სამხანაგო.“ ბ. 157 რ.
29. „აქა სტეების აეტორი. არავინ არს ეგრეთ შურისმგებელი, გულმანკიერ, იჭენეულ, მზაკვარ, მცბიერ და უყვარულ, ვითარცა ცივსა ჰაერსა შინა მცხოვრებნი, ანუ ჩრდილოელნი.“ ბ. 161 ვ.
30. „სტეები, უფალო მონტესკუ! იარანალ რტიშჩევი და კნორინგი არიან მცხოვრებნი ცივისა კლიმატისანი და ბონაპარტე და მარშალ ნეე ცხელითა კლიმატისანი. ნუუმე ზემონი სჯობდენ ქვემოთა ბიკად ანუ სარდლად!“ ბ. 162 რ.
31. „სიქსუსა ანუ ქერის პურის არაყი და შავი პურისა, სხვადასხვაფრად შეღებილი ბაყმითა და ესევითარითა!“ ბ. 165 ვ.
32. „მანდარინი არს ღირსებასა წოდებამ და ანუ ტიტული სახელოესა კიტაიას შინა. ხოლო ესე არს ლექსი პართოვალიული. ესე განყოფილ არს მრავალ კლასად.“ ბ. 172 ვ.
33. „პოლუს ლექსი არს ბერძული. ხოლო ესე ეწოდების ორსა დასასრულსა ღერძისასა, რომლისა გარემო შარი მიწისა, გინა სფერაჲ, ოცდაოთხ საათში ერთგზის გარდატრიალდების. ხოლო ერთსა მათგანსა ეწოდების პოლუსი ჩრდილოეთისა და მეორესა—პოლუსი სამხრისა და ორთავე თანასწორი აქვსთ განშორებულებაჲ ეკვატორისაგან.“ ბ. 175 რ.

34. „ჩრდილოეთისა შინა, იტყვიან, ესრეთ არს სიმთვრალე განდიდებულ. რომელ არათუ მამაკაცი, ად დედანიცა რაცრაცებენ მთვრალნი ქუჩათა შინა და ვგრეთ ურცხვადრე დასთხვევენ წყალთა ზედგომით. და მრავალნი იტყვიან: გვიხილავსა რეცა მშვენიერად მორთულნიცა გორვიდიან ლაფთა შინა“.

35. „პირველი ჯვარით ლაშქრობაჲ იყო აა საუქუნესა, წელსა ჩუგ. ხოლო მეორეჲ ჩრმზ—და უკანასკნელი—ჩხმშ, სადაც ვეროპელნი, განღვიძებთა პაპისათა, შეკრბენ განსადიგენელად საოცინთა (სარკინოზთა) იერუსალიმით და ბრძოლასა ამას უწოდებენ ვეროპელნი ჯვართ-ლაშქრობასა“. ბ. 177 v.

36. „რუსეთსა შინა გაახატებულნი მონანი და ლაქიანი (მსახურნი) და ძენი უგვანთა და მდაბალთა კაცთანი ჰხშირად შეიქმნებიან დარბაზ-ბატონად“ ბ. 112 r.

37. „ავსპიცად უწოდდენ ჰრომსა შინა. რომელნიცა შიგნეულთა ზედა კურატი-სათა მკითხველობდენ და ჰსცნობდენ ნებასა ღმერთთასა და წინასწარმეტყველებდენ.“ ბ. 237 r.

38. „ქვეყანისა შარასა [!] ზედა იპოების სარტყელი ხუთი: ერთი—ცხელი, ეკვატორსა ქვეშე; ორი—ზომიერი აქით და იქით ეკვატორისა და ორი—ცივი, თავსა და ბოლოს პოლუსისასა“. ბ. 244 r.

39. „აქა იგულისხმების ჩრდილოეთისა აზნაურება; ვინათგან უარეს მუშიკთა არს დამონებულ.“ ბ. 245 v.

მინაწერები: 1. „წიგნი ესე ეკუთვნის კოლექსიი სეკრეტარს იერონიმე ალექსი-დეს.“ 3 r.

2. „პაპა პაველ ქიოდორიჩ არღუთოვ.“ 11 ყდის შიგნით.

(189)

189

გაბაშვილი ტომოთე. მარწუხი. 1810

VI, 246 გვ.; ჩართული აქვს ორი ფ. 6—7 გვ. შუა. 1—31.5 × 19.5—ფერადებით ნახატი მსოფლიო კრებათა ნუსხა. 22,7 × 17,5; ჭალადი (ციხფერი); უყდო (ოდესლაც აკინძულს და ყდიანს შემოცლილი აქვს ყდა); მხედრული; სათაურები სინგურით, დასაწყისი ასოები მთავრულით; 1810 წ.; დავით რექტორის ხელით; დაუწერელია: 1—VI, 5—6, 6—7 შუა (აუნუსხავი), 39—40, 190—193, გვ. იერონიმე მესხიშვილი-სეული.

ტომოთე, ქუთათელ არქიეპისკოპოსი. „შემოკრებული შუდთა მსოფლიოთა საღმრთოთა და სამღუდელთა წთა კრებათა ერთად წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა ჩტშნთა აღწერილთა წთა წერილთაგან, რომელიცა უცთომელად გეუწყების წმიდისა ამის წიგნისაგან, რომელსა ეწოდების მარწუხი. იქმნა მადლითა და წამისყოფითა ღისათა წმიდა და პირველი მსოფლიო კრება ქრისტეს აქეთ ტიშ, მისისა კო, მეფობასა დიდისა კოსტანტინესსა, რომელი დაჯდა დასაბამითგან წელთა ხუთი ათას რეაას და მეთაურამეტესა, განჯორციელებითგან სამას და მეთაურამეტესა, ქალქსა ნიკიას. ალექსანდრესითგან, წელსა ქკივ, კალანდრასა იულისისასა. — ბრძენმან და ხუროთმოძღვარმან, სასიერმან და შემოქმედმან ღმერთმან ჩტშმან, ცთუნებითა გარეკემნით ედემით ბუნება ესე ჩტშნი არა დაივიწყა...“ 7—237გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. „ანდერძი მშრომელისა: .იქველისმეტყუტლედოდენ და იდიდებოდენ ჩტშნ მიერ პირველი ერთი მბადი და მარსებელი ნამკისა..... შუდნი მსოფლიონი რა იქმნებოდენ კრებანი, აღიწერებოდა სიმტკიცე სარწუნოებისა და წარეცემოდა სასებასა სოფლისასა. ხოლო მრავალგანთქმული ესე მართლმადიდებლობითა დიდი ივერია მრავალგზის წარმართთა ოხრებითა შემცირებულ იყო ამა წიგნთაგან და ეკლესიათანი საგანძურნი დაცარიელებულ იყვნეს საღმრთოთა წერილთაგან. და კრებისა ესე წიგნი სრულებით არღარასადა იპოებოდა.“

თუ ქრისტეს აქეთ რაოდენს ეამსა იქმნენ ჩუნი კრებანი, ანუ რომელნი მეფენი ჰსუფევდენ, ანუ პაპანი რომელნი ჰსცხოვრებდენ და პოტირიტნი, რომელნი მოიწეოდენ კრებასა, და ანუ პატრიარხნი, რომელნი ჰმწყსიდენ მას ეამსა, და ანუ რომელსა ქალაქსა იქმნებოდენ კრებანი, ანუ წინააღმდგომნი მწუალებელნი ვინა იყუნენ. მღუდელნი თუ ერისკაცნი...

ხოლო მე, მდაბალი ქუთათელ არხიეპისკოპოსი ტიმოთე ვიძულე მართლმადიდებელთაგან, რომელთა იქუ ედვათ ჩემდა შეკრებასა ამთსა არა მეცნიერთა უსწავლელობისა ჩემისათა, და ვერ ურჩ ქმნილი ბრძანებისა, ვიწყე შეკრებად საღმრთოთა წერილთაგან, რომელი თვთ მაშინვე კრებასა ნათქვამნი და ზოგი შუდ კრებისა აღწერილინი... არა თუ შემწყვეცეს რამე წესა ამას კრებასა, არამედ თვთ ღირსთა პირისათა ნაბიჯენი აღმომივსიეს. და უწოდე წიგნსა ამას მარწუხნი მტვრთმული შუდთა ნაკვტრცხალთა...

ხოლო თქუნი, წუნო ღისანო, უკეთუ ცთომი ლება იხილოთ, ნუ უგულებელს-მწყაფთ. უნებელი უმეცრებისა და სიკინე ფრიადი ზედან მედუა მე.

აწ, ყრბანო საქართუმლოდსანო! ისწავლიდეთ რაჲ და იკითხვდეთ, უცებად მხრეკელისა ჰქსენებასა ნუ უგულებელს-მწყაფთ“. 1—4 გვ.

შდრ. „საქართველოს სახელმწიფო მუხეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, H კოლექ. ტ. 1, თბ., 1946. № 393, გვ. 292—294.

იხ. კორნელო კველიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. 1, 1941. გვ. 323—324.

2. ტექსტს დართული აქვს:

„საძიებელი წიგნისა ამის მარწუხნისა“, გადამწერის დავით რექტორის შენიშვნით:

„ამ მარწუხს საძიებელი არა ჰქონდა და მე, დავით რექტორმან ესგვარ-მოკლე დავუკეთე. მკითხმული მალ იპოვიან, რაჲსა ეძიებენ ამა მარწუხნისასა. რექტორი დავით“. 239—240.

ანდერძი (გადამწერისა): „დიდება ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოველთასა, სრულ-იქმნა ძალითა ღისათა.

აღვსწერე მარწუხი ესე შუდთა მსოფლიოთა კრებათა და ქქალად ათთა ადგილობითთა კრებათა ცნობანი კეთილშობილმან ალექსოვმან ალექსის ძემან, სიბრძნის მოყუარემან და სრულიად კახეთის სამეფოს რექტორმან დავითმან; რაკოდენ ძალ-მედვა, მის-მის ადგილს გასწორებას ვეცადე. დია ავი დედანი მქონდა და უმეცრის მწერლისაგან უკანონოდ აღწერილი. თთქსა დეკემბერსა, რიცხტსა კ; ქრისტეს აქეთ წელსა 1810; ქკს უფშ. რექტორი დავით“. (ჩართულად). 237 r.

(190)

190

უზოპეს ცხოვრება და იგავნი მისნი. NIX

117 გვ.; 22×17,6; ქალაღი (ცისფერი): მუყაოს ყდა, ყუაზე გაცვეთილი, დაცბრილული (ჭიებისაგან), კიდებშემოცვეთილი. მხედრული; სათაურები სინგური; დასაწყისი ასოები მთავრულით: XIX ს. (კვირნიშანი: „1804.“); გვ. 117 დაკრულია ყდის II ფრთაზე, შიგნიდან.

1. ცხოვრებანი მოდგომობითი გონება მახვილისა ესოპესი.—მოდგმა იგი საქმეთა, რომელ არიან, ყოველნი გამოცვადენ, და სხვანიცა რაჲმე მრავალნი, და მივეცი მისთჳ განწრაზებასა თჳსსა და ვგონებ მე ამას, ვითარმედ ევსაე[!] არა იყო ბრძენი ბუნებით, არამედ განგებითა ღთისა სიბრძნითა, ვინადგან მიიწია სიბრძნითა საზომსა ძველთა მათ მოძღვართასა..“ 1—89 გვ.

ბოლო: „აწ უქმ დაღაცათუ წაგრწყმდები მე თქვენ მიერ, არამედ ამიერიდგან ჩემ ნიერცა. კრულ და წყეულ იქმნეთ თქვენ და მამულიცა

თქვენი. და მაქვს სასოება, მოვკუდები მე და მრწამს, რ თვით ღმერთთანაცა გეკმნების მოპოვნება“.

2. „ი გ ა ვ ნ ი ე ს ო პ ე ს ნ ი. იგავი ა. მელისა და ჩიგვისათვის.—უყურეთ ესოპეს!—აღვიდა ოდესმე მელი ერთი ღობესა ზედა და დაუსხლტეს მას ფერხნი მისნი...“ 91—117 გვ.

წყდება: მ [40] იგავის „თარგმანზე“: „იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ როდესცა ღმერთი მისცემს მართალთა შეწვენასა, ეგეოდენსავე ცოდვილთაცა წინააღუდგების“. 117 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი თარგმნილი უნდა იყოს XVIII ს. ერთ-ერთი (1747 წ.) რუსული გამოცემიდან.

2. ყოველ იგავს ახლავს „თარგმანი“.

(191)

191

თეიმურაზ, გიორგი XII-ის ძე. მოოხრება თბილისისა 1795 წელს. XIX

88 გვ.; 21×18,5; ქალაღი (მეტად მდარე ხარისხის); უყდო, რვეულად აკინძული; მხედრული; სათაურები მთავრული; [XIX ს.]

1. „მ ო ო ხ რ ე ბ ა ქ ა ლ ა ქ ი ს თ ბ ი ლ ი დ ი ს ა ს პ ა რ ს ე თ ი ს ყ ა ე ნ ი ს, ყ ა ჯ ა რ ი ს-ა ლ ა მ ა ჰ მ ა დ -ხ ა ნ ი ს ა გ ა ნ.—წელსა ქრისტესით ჩღუე, ქქსა უპგ-სა მოვიდა ყაჯარი აღამაჰმადხან, რომელმანცა დაიპყრა სპარსეთი, სრულადითა სპარსეთისა მხედრობითა და მოუვლინა მოციქულნი მეფესა ირაკლის, რა ზავ-ჰყოს მის თანა და შეერთოს მას. და აღუთქმიდა მრავალსა წყალობასა და სრულიად ადრიბეჟანისა მიცემასა ველმწიფებასა ქვეშე მეფისა მის ირაკლისასა. ხოლო მეფემან ირაკლიმ არა მიიღო არცა ერთი წინადადებაჲ მისი, ვინაჲთგან მეფესა ირაკლის სხვათა მეზობელთა თუსთა თანა აქუნდა ერთობაჲ, რომელნიცა აღუთქმიდეს შეწვენასა მტერთა ზედა მისთა, მხედრობითაცა და ფულითაცა, რომელთაცა ზედა იმედოვნებდაცა...“ 1—32 გვ.

2. „შ ე მ დ გ ო მ ა დ ტ ბ ი ლ ი ს ი ს [!] მ ო ო ხ რ ე ბ ი ს ა მ ო ს ლ ვ ა ლ ე კ თ ა. ლაშქრობა ლეკთა ზედა.—ოდეს სცნეს ლეკთა, კავკასიის მთათა შინა მცხოვრებთა დაღისტნელთა, აღება თბილისისა სპარსთაგან, შეკრბეს გამოორჩეულნი და გამოცდილნი ბრძოლასა შინა კაცნი, უმეტეს ორი ათასთა...“ 34, 35—38 გვ.

3. „ა ლ ე ბ ა მ ე ფ ი ს ი რ ა კ ლ ი ს ა გ ა ნ გ ა ნ ჯ ი ს ა და შურისგება ჯავად-ხანსა ზედა.—ოდესცა მოიწია გაზაფხული, მეფემან ირაკლი უბრძანა და წარავლინა ძის ძეჲ თუსი დავით მეწინავეთა მხედრობითა განჯასა ზედა...“ 39—44 გვ.

4. „მ ო ს ლ ვ ა რ უ ს ე თ ი ს მ ხ ე დ რ ო ბ ი ს ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ.—ამასვე ჩღუე წელსა, ოდეს მოიქცა მეფე ირაკლი განჯით თბილისად, მოვიდეს რუსეთის მხედრობანი მრავალნი...“ 45—47 გვ.

5. „უ კ უ ნ ქ ც ე ვ ა რ უ ს ე თ ი ს მ ხ ე დ რ ო ბ ი ს ა რ ო ს ს ი ა დ ვ ე და წარგზავნა მეფის ირაკლისაგან შვილისშვილისა თუსისა დავითისა რუსეთის იმპერატორის კარზედ.—ჯერეთ არა უკუნქცეულ იყვნეს რუსნი, ოდეს მოიქცა აღამაჰმადხან ერანად და ვითარცა ესმა მოსლვაჲ რუსთა მხე-

დრობისა და დაპყრობა ადგილთა მათ გარემოთა საქართველოვსათა...“ 47—49 გვ.

6. „მეორედ წამოსვლა აღამაჰმად ხანისა დიდისა მკედრობითა საქართველოსა ზედა.—ხოლო მომავალსა გაზაფხულსა, წელსა ქრისტესით ჩლუჳ, მოიცალა რა აღამაჰმადხანმან ხორასნის საქმისაგან...“ 49—52 გვ.

7. „მოკულა აღამაჰმად ხანისა მსახურთაგან თვისთა ყუშის ციხესა შინა.—მას ჭამსა, ოდეს იგი იყო აღამაჰმადხან ციხესა შინა ყუშისასა და ენება დღეთა მათ შინა წარმოსვლად ყოვლითა ძალითა თვისითა, მაშინ შეითქვნეს მსახურნი მისნი...“ 52—63 გვ.

8. „სიკვდილი მეფისა ირაკლისა ბ-სა.—ოდეს მივიდა მამასა თვისსა თანა მეფის ძე გიორგი, თუმცა შეპყრობილ იყო მეფე ფრიად უძლურებითა და სენითა მით წყლით-მანკიერებისათა, არამედ ფრიად განიხარა ხილვასა ზედა ძისა თვისისა...“ 63—68 გვ.

9. „გამეფება მეფის გიორგისა მეათეცამეტისა.—წარმოვიდა მუნითგან მეფე გიორგი, ყოვლითა წარჩინებულებითა თვისითა და მოვიდა ქალაქსა თელავს...“ 68—74 გვ.

10. „სიკვდილი მეფის გიორგისა იგ-სა.—და შეეძინოს მცირედიცა ესე უწყება, რომელ ოდეს გარდაიცვალა მეფე გიორგი იგ, განსვლასა წლისასა ქრისტესით ჩყ, ქკს უჰჳ, თვესა დეკემბერსა კჳ, ქალაქსა შინა თბილისს...“ 74—75 გვ.

11. „სიკვდილი საქართველოს მემკვიდრის მეფის გიორგის იგ-ს ძის დავითისა.—ესე და უმეტეს ამისა სიკეთენ მისნი ყოველნივე სოფლისათვის ბოროტმოქმედებათა და დაუდგრომელობათაგან საწუთოსათა უკანასკნელ იქმნენს ყოველნივე დაფარულ მიწასა შინა...“ 76—77 გვ.

12. „ეპიტაჳია, წარწერილი საფლავსა ზედა საქართველოს მემკვიდრის, მეფის გიორგის იგ ძისა დავითისასა, გაღეჳსულ კულ-კვეცილ ლეჳსად, ესე იგი იამზად ანუ იამბიკოდ:

1. „შექმნილი კაცად კეცისაგან თიხისა...“ 77—79 გვ.

შენიშვნა: აქ წარმოდგენილი მასალის ნაწილი გამოქვეყნებულია. იხ. მ. ბროსეს ლითოგრაფიული გამოცემა: თეიმურაზ ბაგრატიონის „შემოკლებული მოთხრობა საქართველოსი“. პარიზი 1833, § 39—203.

(192)

192

პროკლე დიადოხოსი. კავშირნი. 1809

024; 264 გვ.; 22×17,5; ქალაღი (ლურჯი); უყდო; მკვიდრად აკინძული; ქალაღის კანი; მხედრული; სათაურები სინგურით; სათაურები და დასაწყისი ასოები მთავრულით, ზოგან ჩართულად (017); 1809 წ. (255 გვ.); გადამწერი: დავით რექტორი [მესხიშვილი]; დაუწერელია: 01—03, 012—016, 023—024; 256—258, 262—264; იერონიმე ალექსის ძის [მესხიშვილის] წიგნებიდან.

პროკლე დიადოხოსი, კავშირნი ღვთისმეტყველებითნი, სვიმეონ ჯულფელის რედაქციისა. „პროკლესი დიადოხოსისა, პლატონურისა ფილოსოფოსისა, კავშირნი ღვთისმეტყველებითნი. თავნი 211. თავი 1.—ყოველი სიმრავლე ეზიარების ერთსა. ხოლო უკეთუ არა

ეზიაროს, არა ყოველი ერთ იქმნება და არცა თვითოეული, რომელთაგან არს სიმრავლე...“ 1—254 გვ.

შენიშვნა: 1. პროკლე დიადოხოსის „კავშირნი-ს“ ეს ტექსტი სვიმეონ ჯულაფელის რედაქციისა არის.

2. იგი თარგმნილია სომხურიდან ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ, იოანე ორბელიანისა და ნიკოლოზ ქიჩიყელის მონაწილეობით.

3. ამ თარგმანისათვის იხ. კ. კველიძე. ძველი ქართული ლიტერატურა. I, 1941 წ. გვ. 331—332, 349—350.

4. ტექსტს წამდღვარებული აქვს:

ა. „იოანე სმიერ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა, ქართულ-მსაჯულისა მიერ სიტყული წინასიტყუა პარტული.—ეტრფიან და ესურვიანო მყოფნი ყოველნი კეთილსა და არათუ ურთიერთისა მიშორისებულსა კეთილსა...“ 05—07 გვ.

ბ. „თუ რომლისა მიზეზისათვის ითარგმნა წიგნი ესე.—ვინაეთგან მრავლით უამითგან ფრიად ვსაწადნოდი სწავლად ამა ზესთა ღრის-მეტყუტლებისა წიგნსა პროკლე ფილოსოფოსისა (რომელიცა ჩრ. სპანთ მოსახელეთა, ქართულ-მსაჯულისა ენითა კავშირად სახელ-იდების), მაგრა არა იპოებოდა მოძღვარი, რათამცა საწავლად ჩემი სრულქმნილიყო...“ 07—011 გვ.

დავით რექტორის მიერ „გამართული“ იოანე ორბელიანის წინასიტყვაობის ეს ნუსხა (1809 წლის) ალაგ-ალაგ დიდად განსხვავდება A—1164 ხელნაწერის იმავე ი. ორბელიანის წინასიტყვაობის 1760 წ. გადაწერილი ნუსხისაგან.

უნდა ვიფიქროთ, რომ დავით რექტორს ან სხვა დედანი ჰქონა ხელთ, ან მეტად ფართოდ გამოუყენებია გადამწერისა და „გამართველის“ უფლება, ზოგან აზრის საზიანოდაც.

აქ გამოტოვებულია სომხურიდან 1757 წ. თარგმნილი „კავშირნი“ ტექსტის წინ მოთავსებული მიმართვა იოანე ჯამბაკურიან-ორბელიანისადმი (იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა“—A კოლექცია—ტ. IV, თბ. 1954, გვ. 212—213).

შესამჩნევად განსხვავდება ი. ორბელიანისეული ტექსტის ავტობიოგრაფიული ნაწილისაგან დავით რექტორის ხელით გადაწერილი წინასიტყვაობის შემდეგი ადგილი:

„და ესერა ესრეთ იყო, მივიწადე და მივიტრუე მისდა მის და უმოქნეოსა მარად მოქნე მე, დედის დისწულის ძე მეფის ერეკლესი, რომელ ამა ყოვლად ბრძენსა მეფესა ემცნო დედის ძისად მამისა ჩემისად, ქართულ-მსაჯულთა ამირსპასალარის ლუარსაბ ორბელიანისად, რათამცა ესწავებინა ჩემდა წერილნი. და დედის ძმისწულის ძე მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა, რომელ ძმისწულმან ამა მეფეთამან, მეფემან ვახტანგ ფრიად შრომა ჰყო ჩემ ზედა და მასწავა თუთ რომელიმე სწავლად ქალღმერთი ვარსკულავთ-მრიცხველობისა.

და ესე სახელით იოანე ორბელიანი ჯამბაკურიანი, ქართულ-მსაჯულად დადგინებული, მივედ მოწაფედ სწავლისა ზემორე ჰსწავებულისა ეპისკოპოსისად და ესეცა მიზეზ-მეკმნა, რ' ფრიად ტრფიალინი სიბრძნისანი მეფენი ჩნნი: მეფე ქართულ-მსაჯულთა თეიმურაზ და ძემისი მეფე კახთა ირაკლი მაწმუტვედენ და მაიძულებდენ სწავლად წიგნისა ამის.

და მოვიდა თანა-მესხოლედ ჩემდა ნიკოლოზს, მღვდელი კახთა მეფის კარისა და კ[?]ლად სიყრმით სიჩოთგან მოწაფე ყოვლად ბრძნისა მის ეპისკოპოსისა გიორგი ნათლის ძე, რომელიცა განისწავლა წიგნითა და სწავლისმოყუარებითა სომეხთათა და სომეხთა მღვდელი ფილიპე, აზნაურთა ჩუშთაგანი, ტრფიალი სწავლისა“.

თავდება: „ხოლო ესაცა აღიუწყეთ, რ' მამხვესა ენისა ჩნისასა, იოანე ფილოსოფოსისა, ელადელთა ენისაგან ჩუშნსა ზედა ენასა რა გარდმოუვიცა, შუქნიერ-ლექს-უნებობითა ათრობს მსმენელთა, მაგრა ფრიად ღრიტოვს. არამედ ესე ადულ სასმინო ლექს-აზრ-გუბართა აღვსწერე, რათა არალარა ეხვანჯებოდეს მსმენთა, რამეთუ ამის მიერ ცხადდების ღრიტოვ პეტრიწულისა. ხოლო ჩუშნი მიერ არმანთა, თუ ვითარ გარდაუღიეს-ყვ. მათ მიერ აღწერილ არს აქა, რაველიცა ჩუშნი

გარდამოვიღეთ წელსა ათას შვიდას ორმოცდაათ შუდმეტსა. 1757; თთქსა აპრილისასა, რიცხუსა 20“. 08—011 გვ.

გ. „სკმეონისა, გარნისი [ს] ეპისკოპოსისა განგანმარტებულნი წიგნი პროკლესი.—პირ[ვე]ლთა მთარგმნელთა ჩვენთა—მოსეს ვიტყვ და დავითს და მოყუასთა ამითა, რომელნიცა ათინურისა სწავლითა იყუნეს განსწავლულნი, არა აქუნდათ გარდმთარგმანებული წიგნი პროკლესი...“ 017—018 გვ.

ამ განმარტების სრული ტექსტი იხ. „საქართველოს მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“, (A კოლექცია) ტომი IV, თბილისი, 1954, გვ. 213 (N1162).

დ. „პროკლესი დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღრისმეტყუტლებითნი, ნაკუჭთნი 211.

დიადოხოსი არს ენათამებრ ელლენთასა, რომელი ქართულსა ენასა ზედა გამოითარგმანგზის მონაცუალედ, რეცა თუ პროკლე შემდგომად პლატონისა მოსაყდრე იყოს ადგილსა პლატონისასა...“ 018—020 გვ.

ე. „საძიებელი წიგნისა ამის.

1. ერთისა და სიმრავლისათჳს: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7...“ 020—022 გვ.

ტექსტის ბოლოს გაგლებული ჰორიზონტალური ხაზის ქვეშ, დავით რექტორის კალიგრაფიული ხელით, მოზრდილი მხედრული ასოებით, ჩართულად, დაწერილია:

„მაღალ-კეთილ შობილი ალექსისა ძე რექტორი დავით“ 022 გვ.

აქ დაუწერლად დატოვებულია 022 გვერდის შვიდი სტრიქონი და მომდევნო—023—024 გვ.

5. ტექსტს დართული აქვს:

ა. გადამწერის დავით რექტორის ხელით საგანგებოდ დახაზული გრაფებით გაფორმებული: საძიებელი მეორე, უმჯობესი „კავშირისა“, პინაქს-სიტყუაობა, რომელ არს საძიებელი წიგნისა ამის“ (259—261 გვ.)—განმარტებით: „ამ საძიებელს, რომელსაც კიდურის ნაპირზედ მკედრული ასო უჯდეს, ის ფურცელს მიგასწავლის და მეორეს კიდურზედ, რომელზედაც ხუტური ასო ზის, ის თავს გაცნობებს და ამ ხუტურს ასოსთან, რომელიც ციფირი ჯდეს, ის თითო თავი რამდენს განმარტებდ განყოფილია, იმ თავის ნაწილთ რაოდენობის რიცხუს შეგასწავებს. დავით.“ 261 გვ.

ბ. „შმა დ. ლოცუამამან ანნა. —მიზეზ-მეერთსა ეტრფიან მარად საერთნი;

ესურვინ-ეტრფინ... ეწად-ეყოვლადებიან*... 2b 3 გვ.

ოთხ სტროფიანი (20 სტრიქონიანი) ლექსი თავდება:

„ესე აღკრვამ, აღსურვით აღნათლვამ
მბადისა ერთის უოცნოსა ნათლისად
არა სხუა რა არს თუნერ მოკრთოლვისა
მის ერთობისა, ნათლისა კეთილობა,
რომელს ისავესებს ყდრთ მყოფთ დასოვნება“.

ეს სქოლასტიკურ-რიტორიული ლექსი დავით რექტორის უნდა იყოს.

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ იქმნა, ძალითა ღრისათა, წიგნი ესე პროკლე დიადოხოსის კავშირით მაღალ-კეთილშობილის სიბრძნის-მაცუარის ალექსის ძის, სრულიად კახეთის სამეფოს რექტორის, ფილოსოფიისა და ღრისმეტყუტლების მოძღურის დავითის მიერ, თთქსა ჭებერუარსა, რიცხუსა ნ, წელსა განვორციელებითგან სიტყუსა ღრისა ჩუთ: 1809, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა ზედა უჟჳ. რექტორი დავით“ (ჩართულად). 255 გვ.

„მაღალ-კეთილ შობილი სიბრძნის-მოყუარე ალექსის ძე რექტორი დავით“. 254 გვ. (022 გვერდზე მოთავსებული მიწაწერისებურად, ჩართული მხედრული ასოებით).

(193)

193

[ბაგრატიონი] თეიმურაზ, მეფის ძე. წამება ქეთევანისა. XIX

I—II, 22 გვ.; 20,5×18; ქალღიმი; უყდო; ქალღიმი კანი; მხედრული; სათაური და დასაწყისი ასოები—მთავრულით; დაუწყებელია 21—22 გვ.

„წ ა მ ე ბ ა წ თ ა შ ო რ ი ს დ ე დ ი ს ა ჩ ნ ო ს ა ქ ე თ ე ვ ა ნ ი ს ა , კ ა ხ თ ა დ ე -
დ ო ფ ლ ი ს ა , ს პ ა რ ს ე თ ი ს ქ ა ლ ა ქ ს ა შ ი ნ ა შ ი რ ა ზ ს . — ო დ ე ს ლ უ ა რ ს ა ბ
მ ე ო რ ე , მ ე ფ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა და მოწამე, ძე გ ი ო რ გ ი მ ე თ ე რ თ მ ე -
ტ ი ს ა [!], ქ ა რ თ ლ ი ს მ ე ფ ე ს ა , ლ ტ ო ლ ვ ი ლ ი ლ ი ხ თ . ი მ ჭ რ ე თ ი დ ა ნ გ ა რ დ მ ო ი ყ ე ა ნ ა
შ ა ჰ ა ბ ა ზ . . . “ 1 — 20 გვ.

შენიშვნა: შდრ. H—1288 ხელნაწერის 2r—19 v. იხილე აგრეთვე „ხელნაწერთა აღწერილობა“ (H კოლექცია), ტ. III; თბ. 1948. გვ. 238—239—სადაც გარკვეულია, რომ ქეთევანის წამების ამ მოთხრობის ავტორ-გამომკრებელი არის მეფის ძე, თეიმურაზ; თეიმურაზსვე უნდა ეკუთვნოდეს ტექსტისთვის დართული საყურადღებო სქოლიოები.

თავფურცელზე: „აღწერა წამებისა წისა ქეთევან დედოფლისა“ (ძველი №: 45).

(194)

194

ანექლოტები ბალაკირევისათვის. XIX

II, 36 ფ.; 20,5 × 18; ქალღიმი; უყდო; ქალღიმი კანი; მხედრული; XIX ს.; და-
უწყებელია II; თარგმნილია რუსულიდან იერონიმე მესხიშვილის მიერ.

„ ა ნ ე კ ლ ო თ ნ ი გ ი ნ ა ა ნ დ ა ზ ა ნ ი ბ ა ლ ა კ ი რ ე ვ ი ს ა თ ზ ს . ა .
შ ი მ ხ ვ ე რ ე ლ ო ბ ა და გ ო ნ ე ბ ა ბ ა ლ ა კ ი რ ე ვ ი ს ა , რ ო მ ე ლ ი ც ა და ი ნ ა ხ ვ ე ბ ა შ ე მ დ გ ო მ ი ს
ანეკლოტისაგან. — ერთმა სასახლის კაცმა, რომელსაც სრულებით არა ჰქონდა
არარაჟსამე ნიჭი, თავისის მცბიერის მეძიებლობით უკანასკნელ მიაწია იქა-
მდისინ, რომელ პეტრე დიდმან აღუთქვა მას ერთი საკმაოდ თვალსაჩინი
ადგილი... “ 3—36 გვ.

შენიშვნა: 1. თავფურცელი: „ანექლოტები (ანუ ანდაზები) ბალაკირევისათვის, რომელიცა იყო ხუმარა სასახლესა შინა პეტრე დიდისასა, შუკრებილნი ვ. ა. მოსკოვს. 1836“.

2. ტექსტს წინ უძღვის: „შესავალი. ვ. ი. ბალაკირევი, პეტრე დიდის სასახლის ხუმარა, იყო მდაბალის გვარისა...“ 1—2.

3. ხელნაწერის ტექსტი 28 ანექლოტისგან შედგება.

ანდერძი (მთარგმნელ-გადამწერისა): „ითხოვს წარმკითხველთაგან დაუბრალებლობასა მთარგმნელი კოლლეგისკის. ასესორი იერონიმე ალექსეევ-მესხიევი“, 36 გვ.

(195)

195

მირიანი

120 გვ.; 22×18; ქალაღდი; უყდო; ქალაღდის კანი (ბოლოში მობეულია); მხედრული; XIX ს.

„მირის წიგნი. თავი პირველი. კარი პირველი, დასაწყისი ჩინეთის ჯელმწიფისა და ძისა თვისისა, რომელი მოსცა ღმერთმან ფერიის ქალისაგან.—იყო ხელმწიფე ერთი ხოსროვშა ჩინეთს...“ 1—120 გვ.

ბოლო: „... მირი მორქჳული იჯდა ტახტზედ, სამართლობდა, ნადირობდა, ასპარეზობდა, ბურთაობდა, შეექცეოდა, ხარობდა ქვეყანასა ზედა და ნომიავთაბსა ზედა. ისეც თქვენ ეწიოვით[!] კეთილსა საწადელსა, მკითხველნო და დამწერნო, როგორც ისინი ეწივნენ სიხარულითა თვისსა.

დასრულდა ესე წერილი ჩინეთის ჯელმწიფისა და თვისისა პირმოც[!] საყვარელისა შვილისა მირის წიგნი.“

შენიშვნა: 1. იბ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ნწერლობის ისტორია. ტ. II, 1952, გვ. 334—337.

2. მირიანი გამოცემულია: „მირიანი ანუ ზღაპრული მოთხრობა მაშრიყის ხელმწიფისა ხოსროვ შაჰისა და შვილისა მისისა მირისა.“ სულ სამი გამოცემა: პირველი—ტფ., 1876 წ. ე. ხელადის გ-მა; მეორე—ა. ზარგაროვისა, ტფ. 1894, მესამე—ამავე გამოცემლისა. ტფ., 1900.

„მირიანის“ ფრანგული თარგმანი გამოსცა მ. ბროსემ „Le miriani ou histoire du roi Miri, conte géorgien“, 1839.

მირიანის ვრცელი შინაარსი რუსულად გადმოცემული აქვს ა. ხახანაშვილს იბ. А. Хаханов. Очерки истории грузинской литературы“, III, 182—190.

(196)

196

[საქართველოს] მახლობელთა ადგილთათვის. XVIII—XIX

II, 10 გვ.; 21×16; ქალაღდი; სქელი ქალაღდის კანი; მხედრული; XVIII—XIX ს.ს.; დაუწერელია; 10 გვ.; იერონიმე ალექსი-მესხიშვილის წიგნებიდან.

„ინსტრუქცია ჩვენდა მომართა მახლობელთა ადგილებთა. (აღწერა ახალციხისა).—ახალციხის ქვეყანა, რომელიც არის ქართლის ქვეყნისა ნაწილი ერთი, რომელიც უჭირავს ახლა ხვანთქარსა...“ 1—10 გვ.

შინაწერები: 1. „ინსტრუქცია ჩვენდა მომართა მახლობელთა ადგილებთა“, 1 გვ.
2. „წიგნი ესე ეკუთვნის კოლლეჟსკი სეკრეტარს იერონიმე ალექსი-ვიცს“. II გვ.

შენიშვნა: შდრ. H—1082:2 (1791 წ. თარიღით), H—1292:2, H—1361:2. იბ. „ხელნაწერთა აღწერილობა“ (II კოლექცია), ტომი III, თბ, 1948, გვ. 71, 242, 320, სადაც „აღწერის“ ტექსტს წინ უძღვის: „მე, უმცირესი ვინმე, ძე ალექსისა და თელავის ქალაქის სემინარიის რექტორი დავით მოვახსენებ, მეზრთოვისა მათისა და რომელთამე საქართველოვსა მებობელთა მჭარეთა ადგილთა ამის უკუშ წერილითა აღწერ [ბრწყინვალებასა] თქმსნა ლეილარაჭიურებ, რომელ არს ინსტრუქცია...“

197 გ

ხერხეულიძე ომან, მეფობა ირაკლი მეორისა. XIX

25 ფ.; 22×17; ქაღალდი ლურჯი ფერისა; ბოლონაკლული; მუყაოს ყდა, აკინძულია 197 ა, ბ და დ ხელნაწერებთან; მხედრული, საი აურები სინგურით; [XIX-ს.]

[ხერხეულიძე ომან], „შემოკლებული ისტორია ქართლისა მეორისა ირაკლი მეფისათვის იწყების, თუ], ვითარისა შრომითა მიიღო მეფობა ქართლისა.—წელსა 1722 დაჯდა ყაენად ძე შ[ა]ჰსულტან უსეინისა შაჰთამაზ და ამჟამად იჯდა ქართლში მეფედ ვახტანგ ლეონის ძე...“ 1 r—25 v.

წყდება: „...რაოდენსამე თვესა ქარში დარჩა ომარ ხან, გარნა ველარა იკადრა მოსვლა ქიზიყხედ, არამედ ხოლო მეფობასა აზისა, რომელი დაესწერე ძღვევანი, სახელდობ ვგონებ ოცდათამდინ უმეტესიცა...“

მინაწერი: „ხაქარია ჭიჭინაძის ბიბლიოტეკისა“, 1 r.

197 დ

ხერხეულიძე ომან, მეფობა ირაკლი მეორისა. XIX

15 ფ.; 22×17; ლურჯი ფერის ქაღალდი; მუყაოს ყდა; აკინძულია 197 ა, ბ და გ ხელნაწერებთან; მხედრული; [XIX ს.]

[ხერხეულიძე ომან], „საქართუშლოს მეფის თეიმურაზის ძის ირაკლის მეფის ცხოვრება.—წელსა ჩღებ, ქ[ორონი]კ-[ონ]ს უი დაჯდა ყაენად ძე შასულთან უსეინისა შაჰთამაზ. ამა ჟამზე იჯდა მეფედ ქართლში ვახტანგ ლეონის ძე...“ 1r—15r.

მინაწერი: „ჭიჭინაძის ბიბლიოტეკისა“. 1r

(198)

198

აღწერა იერუსალიმისა (თარგმნილი რუსულიდან). 1836

IV, 42 გვ.; 22,5 × 18; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1836 წ. სექტემბრის 10-ს; რუსულიდან თარგმნილი იერთონიშე ალექსი [მესხიშვილის] მიერ; [მთარგმნელის ხელით].

„აღწერა ქალაქისა ღუთისა იერუსალიმისა.“ მოკლე ცნობა ქალაქისათვის იერუსალიმისა და სხუთათა, გარემო მისსა მდებარეთა წმიდათა ადგილთათვის.—წმიდა ქალაქი იერუსალიმი, ვითარცა ნოუთხრობს წარმოცენაჲ, აღშენებელ არს მელქისედეკის მიერ, მღუღლისა ღრისა მალღისა. ბრძოლით დაიპყრეს რა იგი იებოსელთა, ჰფლობდენ მას... 7—40 გვ.

შენიშვნა: 1. შედგენილობა: ა. „მოკლე ცნობა“ (ისტორიული). 7—10 გვ;

ბ. „ღიდისა ტრულასათვის, გინა გუმბათისა.“ 11—13 გვ.

გ. „თუხ საღმრთოსა ნათლისა და მისთვისც ოდესცა იგი იქნებოს.“ 14—15 გვ.

დ. „სობოროს ტაძრისათვის.“ 16—19. გვ.

ე. „ტაძრისათვის ყდ წმიდისა ღრისმშობლისა“. 20—26 გვ.

ვ. „ტაძართათჳს, მყოფთა აწ წმიდასა ქალაქსა შინა იერუსალიმსა“. 23—40 აქ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „... სავანე უჭირავსთ აწ სომეხთა. მათ დაიქირეს იგი მაშინ, ოდესცა ქართველთა, დამფუძნებელთა ამა სავანისათა, დაუტევეს იგი, მიზეზის გამო გარდახდად შეუძლებელისა ვალისა...“ გვ. 27.

2. ტექსტს წინ უძღვის: ა. „პლანი ტაძრისა ქრისტეს აღდგომისა იერუსალიმსა შინა, ჩტქნებითა, თუ რაჲ ეკუთნვისთ თუთელსა აღმსარებელთაგანსა.“—ზომით: 34×40, შენიშვნით: „გადმოვიღე დაბეჭდილიდგან უბრალოს ფრთის კალმით და მელნით ჩჳლვ წელსა სკადემბრის ი დღესა. იერაზიმე ალქაქეჲ.“ მარჯვენა ნაპირზე. I. გვ.

ბ. თავფურცელი: „აღწერა ქალაქისა ღმთისა იერუსალიმისა და წმიდათა ადგილთა, თუთ მას შინა და მახლობელ მისსა მყოფთა, რომელთაცა შინა აღსრულებულ იქმნენ სხტადასხტანი საქმენი კაცობრივისა ნათესავისათჳს საცხოვრებელნი, მოსკოვს. უნივერსიტეტის სტამბასა შინა. ჩჳლვ.“ III გვ.

გ. „შესწავებთა. აღწერა ქალაქისა ღმთისა იერუსალიმისა, რომელიცა აქა წინადადეგების ყურადღებასა ქრისტესმოყუარისა მკითხველისასა, უწინარეს (ჩლოა წელსა) იყო დაბეჭდილი სლავიანურსა ენასა ზედა იერუსალიმის არხი მანდრიტის სიმეონის მიერ. ხლო აწ გარდმოთარგმნილი არს რუსულსა ზედა და გამოცემულ ქტქანაზედ გულსმოდკინებითა და წარსაგებელითა ... თაბორის არხი ეპისკოპოსის იეროთეოსისათა...“ 1—2 გვ.

დ. „წინა-იტყუობა. ყოველთაჲ კეთილ-მსახურთა მკითხველთაჲ მსურის მშვიდობა.—არა მეფისა საქმენი და ღვაწლნი, არა დიდმშენიერებაჲ სამეფოთა პალატთა აღწერებთან მცირესა ამას წიგნსა... არამედ კეთილ-შენიერებაჲ სახლისა უფლისა...“ 3—5.

მთარგმნელისა და გადამწერის მინაწერი:

„გადმოთარგმნილ არს რუსულის ენისაჲ ქართულზედ ჩჳლვ წელსა, სკადემბრის ი-ს დღესა, კოლლექციის ასსესორის იერაზიმე ალქაქევეისაგან“. 40 გვ, ტექსტის ბოლოს.

(199)

199

სახარების თარგმანება. XIX

104 გვ.: 24×18,8; ქაღალდი; უყდო, უკანო; პირველი 2 ფ. დალაქავებულია; შეკრულია მსხვილი ძაფით; მხედრული; XIX ს; დაუწერელია 102—104 გვ.

„თარგმანება სახარებასა ზედა ლუკასაგან. კვირიაკესა მეთურამეტესა.—მრავალნი, იხილვენ რა ლტოლვილთა თევზთა წყალსა შინა ჟამსა თვით უმცირესისა ობრვისასა, დაამტკიცებენ, რომელ იგინი მქონებელ არაჲნ უკვეთრესთა სმენათა. ვარნა თევზნი მოკლებულ-ყოფილნი ორღანოთა სმენითია გრძნობისათა, არავეთარისამე მქონებელ არიან სმენისა, არამედ სრულებით იპოვებიან ყრუდ.“ 1—101 გვ.

წყდებთ: „... და თქვენ, მყოფთა სატანჯველთა შინა. ხოლო ესე არს მისთჳს, რათამცა ვერცა მართალნი ვერ შემძლებელ იქმნენ.“

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს სულ ხუთ „თარგმანებას“ ლუკას სახარებისასა (თავი ე. მუხ. დ და სხ.); XVII—XXII კვირიაკემდის (ჩათვლით).

2. ყოველ ცალკე „თარგმანებას“ მისდევს „ასწავლა“.

3. მეხუთე თარგმანებას „კვირიაკისა ოცდამეზრისასა“ აღარ ახლავს სწავლა (მეხუთე „თარგმანი“ დასრულებული არ არის).

შენიშვნა: 1. „ბეჟან-მანიჟიანი-ს“ ტექსტის ეს ნაწყვეტი თავდება: „სტავრითა
სახურვიანი ჩვენი საჭურჭლე მისია, ბრძოლად ვინც წავსაქმოა[?]“.

2. ბ ე ჟ ა ნ ი ა ნ ი. [ცხენსა შესხდნენ, გაემართნენ; მათ გრძელი გზა შეა-
მოკლეს;

ფიცხელის ამაყობითა, სადაც [ნ]ახეს მხეცი, მოკლეს.
ქორი, ავაზა თანა ჰყვანდათ, კელთ მშვილდები მოიმაგრეს;
მიისწრაფეს სადურსა ადგილს, იქ ტვირთები დააბარგეს].
რა შევიდნენ ქალაშია, მოგებნენ ლორნი წინა.

ბეჟან მშვილდი გარდაიცვა, მათ ისარი დაუშინა...“ გვ. 1—36.
თ ა ვ დ ე ბ ა: „ვეშის პირსა ვინც აბია, იმის ტახტი არ მიჰხუდების.
აწ იყვენით თქვენა ამოდ: მტერი თქვენი მოცაწყუდების“.

შენიშვნა: 1. „ბეჟანიანის“ წინამდებარე ტექსტი წარმოდგენილია: ა. ძირითადი
ტექსტის (თავნაკლულის) წინ მოთავსებული ფრაგმენტით (სხვა ქალაღდზე, სხვა
ხელით)—§ 1 და ბ. ძირითადი ტექსტით (გვ. 1—36), რომელსაც ზემო კიდევ, ფან-
ქრით მიწვილი აქვს (ტეხილ ფრჩხილებში მოთავსებული) ოთხი სტრიქონი—§ 2.

(240)

241

გურამიშვილი დავით. ქაცვია მწყემსი. XIX

44 გვ.; 22 × 18; ქალაღი; უყდო, უკანო; მხედრული; XIX ს.; [ტრასი მესხი-შვილის ხელით].

„[ქაცვია მეცხვარე დ. გურამიშვილისა]. „ლექი მხიარულებისა, დალექსული ქაცვია მეცხვარისა.

„მხიარულს ზაფხულს მოჰყავს ყვაელი. მოწყენილს ზამთარსა თან განჰყვა რთვილი...“ გვ. 1—44.

თავდება. „ადამ ხმა ჰყო მალე შიშით:“დავიმალე შიშელის გამო შიშით“ პრქვა ღმერთმან ადამს; რათა ხარ შიშველი,უკეთუ არ სქამე შენ ისა ხილი?“.

შენიშნა: მისდევს 1955 წ. (მეცხრე) გამოცემის 265 გვ. III აბზაციდან 342 გვ. III აბზაცამდის (ჩართვით). დანარჩენი სტროფები არ უდგება გამოცემულისას შემდეგი ადგილიდან: „თუ კაცსა გული არა აქვს მრთელი. ცუდია მისთვის თვალთა ნათელი.“ (42 გვ.).

(241)

242

ციციანოვის ასული რახაილ. ამბავი სლავენისა და სონიჩკასი. 1859

1, 37 ფ.; 22 × 17,5; ქალაღი; უყდო (ქალაღის თხელი კანი); მხედრული; 1859 წ. როსკანა ერისთავი-წულუკიძის ბრძანებით გადაწერილი [ბიჭია მასხაროვის—მიერ?] I რ.

„აჰა, ამბავი სლავენისა და სონიჩკასი. —სამეუფოსა ქალაქსა ევროპიისასა, პეტერბულსა, მისის იმპერატორებითის დიდებულებისა შტაბსა შინა იმყოფებოდა მოსამსახურედ მინისტრი პაულე ლულიაკოვი, სიმდიდრითა ყოვლითა სრული და მოხუცი, ნამსახური...“ I რ—36 ვ.

თავდება: „უბედური დოლგერდ დაბრუნდება; დიდი მწუხარე მოვა პეტერბურლში და უამბობს ყოველს სონიჩკას მოქმედებას და აღსასრულს მინისტრს ბულაკოვს და მის მეუღლას კესარიას, რომელნიც დიდს გლოვას განატარებენ იმ წელს.“

ანდრეჟ-მინაწერები: I. „წიგნი ეკუთნის ელისაბედ ჭუბაბრიას ასულს. ღმერთმან მოახმაროს ასი წლის სიცოცხლეში, სრულს მესხიერებაში, რათა არა დავიწყდეს ახლად შექმნილი სულიერი შვილი და მარად მორჩილი ბიჭია მასხაროვი. ჩუგ-ს წელსა...“ I რ.

II. ამბავი ლეკთა სლავენისა და სონიჩკასი, ესე იგი ბულაკოვისა მინისტრის ასულისა.

ამბავი ესე ნათქვამ არს, მსგავსად ზღაპრისა. კენინა რახაილ ციციანოვის ასულის მიერ კნიაზის გრიგოლ ციციანოვისადმი ჩუგ-სა წელსა შინა; ხოლო ამის მიერ გამწვენიერებულ არს სიტყვანი და ლექსნი და შემდგომ გარდმოწერილ არს, ბრძანებისამებრ კენინა როსკანა ერისთავის ასულისა წულუკიძისა ჩუნთ-სა წელსა, ოკდომბრის იგ-სა დღესა.“ I რ.

16. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I.

(242)

243

ქართული გრამატიკა. 1822

92 გვ.; 22 × 18; ქალაღი (მოცისფრო); უყდო; სამ რვეულად შეკრული; მხედრული; სათაურები და დასაწყისი ასოები—მთავრულით; 1822 წ. (47 გვ.); გადამწერი ალექსანდრე ჩიქოანი (47 გვ.). დაუწერელია: 13, 14 48, 50. გვ.

„ქართული ღრამატიკა. — ღრამატიკა არს ჰსწავლა კელთმძღუნტშლი კანონიერ უბნობისა და მართლ-წერისადმი. ღრამატიკა განიყოფების სამთა ზედა ნაწილთა: ეტიმოლოლიასა ზედა, ესე იგი ლექსთწარმოებისა; სინტაქსისა ზედა, ესე იგი ლექსთ-თხზულებასა; ორთო-ღრამატიკისა ზედა, ესე იგი მართლწერასა.

ნაწილი პირუშლი. ეტიმოლოლიისათჳს.—ეტიმოლოლია არს ნაწილი პირუშლი ღრამატიკისა...“ გვ. 1—46, 53—71, 79—85.

ანდერძი: (გადამწერისა): „ღმწერი ესე პირუშლი ნაწილის ღრამატიკისათჳსადი ალექსანდრე ჩიქოანი. წელსა 1822. ხოლო ქართულსა ზედაჲ, თჳსა დეკემბერსა, რიცხუსა 27.“ გვ. 47.

(243)

244

მეტაფრასი. XIX

232; 21 × 18; ქალაღი (მოცისფრო); უყდო; მხედრული; დასაწყისი ასოები ნუსხა-ხუცურით; თავბოლო-ნაკლული; XIX, ს; დაუწერელია: გვ. 11—12, 124; ამოხეულია გვ. 52—53 შუა.

1. „ეკატორინას წამება...“ — „ცეცხლსა შინა უვნებლად ცეცხლისა მისგან არცალა თუ თმა თავისა მათისა შემწვარ იყო. და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდეს კაცნე ლთის მოშიშნი.... ხოლო იგინი რა აღესრულნეს, თჳეა მეფემან წრისა მის მიმართ: ყოვლად ბრძენო ეკატორინა, განგვისვენე და აღიარენ ლთნი...“ გვ. 1—10.

თავდება: „ესე მე, ათანასე, მალე-მწერალმან, მონამან წმინდისა ეკატორინასა მან აღესწერე... და აღესრულა... ეკატორინა თვესა ნოემბერსა, ოცდახუთსა, დღესა შაბათსა, ჟამსა მესამესა, საღიღებლად მამისა და ძისა...“

2. „თუშა აგუისტოსა ათუთხმეტსა მიცვალე ბაჭყყანი თეცად ყოვლადწმინდისა ღისმშობელისა. გ. მ.—რაჟამს იგი სულისაგან წმინდისა ლთისმშობელისა ჟამი განსელისა თჳსისა ამიერ სოფლით [ეუწყა], მაშინ მხიარულ იქმნა...“ გვ. 13—53.

წყდება: „ხოლო მარხვისათჳს ესრეთ: რ სამნი მარხვანი არიან ჩემ მიერ განწესებულნი. ხოლო რომელთა ლთის.“

3. წმ. ნინოს ცხოვრება (თავნაკლული). „კაბ[ა]ლუკიელი, სახელითა ზაბულონ, რომელი ვახსენეთ შესავალსავე, მიიწია რომედ...“ გვ. 53—122.

შენიშვნა: ტექსტი თითქმის ზედმიწევნით მისდევს მ. საბინინის მიერ გამოქვეყნებულს; „მოქცევა მირიან მეფისა და მისთანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუშნისა ნინო მოციქულისა მიერა“ 120 გვერდის მესამე სტრიქონიდან ბოლომდის (155 გვ.).

შდრ. „საქართველოს სამოთხე“, გამოცემული საბინინის მიერ. პეტერბურგი 1882 წ., გვ. 119—155.

4. „ცხოვრება და მოქალაქობა წიწსა და ნეტარისა მამისა ჩინი-
ბა ანდრიასი, რომელი იქმნა ქრისტესთჳს სალოს. გ. მ.—ძვანო
ჩემნო საყუარელნო, მონანო ღთისანო! ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და
გაუწყოთ თქნ რ არს საქმე ესე, ვითარცა თაფლი ტკბილი...“ გვ. 125—232
წყდება: „მოუგო ანდრია: შეილო ჩემო! ესრეთ გულისგნა ჰყავ—სული
არს||| მათ ჯორცთა ამათ და ნაწევართა ძალსა შინა სულისასა. და რაჟამს
განეშოროს სული ჯორცთაგან, ჯორცნი ესე დაშთებიან, ვითარცა ნაცარნი
და თიხანი უქმად. ჰრქუა.“

შენიშვნა: 1. შდრ. H კოლექციის ხელნაწერებს: №№ 1025, 1064: 1; 1345 (H კოლ. „ხელნაწერთა აღწერილობა“. ტ. III. თბ., 1948).

2. შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I: თბ. 1941, გვ. 396, სადაც ხსენებული ავტორი აპოკრიფული ლიტერატურის ერთ-ერთ ნიმუშად მიგვითითებს ჩვენს ხელნაწერს.

(244)

245

ამინდის წინასწარმეტყველება და „სამთვარო“. XIX

20 გვ.: 22 × 17; ქალაღი; უყდო, დაშლილი, მეტად კუჭკიანი (ლაქებიანი) მხედრული; სათაურები ნუსხურით; XIX ს. პრიმიტიული შემკულობანი.

1. „ზედნადები საკითხავი, მართალი და ქეშმარტი.—
უკეთუ იყოს ზედნადები ია, მას წელიწადსა იყოს ზამთარი თოვლიანი, ყინუ-
ლი და მავნე. ფებერვლით ოცითგან ტფილ იყოს და მოვმე, გაზაფხული—
—წვიმიანი...“ 1—5 გვ.

2. „ძრვისა და ქუხილისათჳს.—იანვარსა თუ იქუხნეს, ყოვლისა
კ[ე]თ[ი]ლისა ნიშანი იყოს, თუ იძრას, სწორად ყოველსა ქყანასა ზედა სი-
კვდილი იყოს...“ 5—6 გვ.

3. „კალანდრა ეზრა წწმეტყველისა.—უკეთუ იანვარსა კკე-
სა დადგეს, ზამთარი კეთილი, ზაფხულისა არე ქარიანი, ცხოვართა სიკვდი-
ლი...“ 6—7 გვ

4. [მთვარისა და მზის დაბნელებისათჳს]—„თვესა სეკდემ-
ბერსა თუ მთვარე დაბნელდეს, დიდი შიში იყოს, თუ მზე დაბნელდეს, დიდი
პაცი მოკვდეს...“ 7—15 გვ.

5. „კვიმატნი ყოველთა თვეთა, ღღე ოროლი.—თვესა სეკდენ-
ბერსა გ...“ გვ. 15.

შენიშვნა: 1. 16 გვერდზე—სათაური: „სამთვარო მართალი და ქეშმარტი“.

2. 19 გვ.—ადამისა და ევას პრიმიტიული სურათი.

3. 20 გვერდზე [„ასთო სამღერალის“] ფრაგმენტი—„თუ საჯდომი ს'დ ვის ემ-
ღეროს, ნება თუხსა: თუ მარჯვენა ბარკალი [ეშღერდეს], სიხარული მიხედეს...“

(245)

246

პანტეონ—დიდებულითა გვამთა ცხოვრება. 1824

66 გვ.; 23 × 18 ქალაღი; უყდო, რვეულად შვეკრული; მხედრული; სათაურები-
მთავრულით; 1824 (. (62 გვ.); ადგილი: ტფილისი; ლურჯი ქალაღია: 45—52,
63—66 გვ.; გაღამწერი და მთარგმნელი რევაზ ყორჩიბაშოვი (3 გვ.);
იერონიმე მესხიშვილის ბიბლიოთეკიდან.

„პანტეონ.“ „ღომერ იწოდებოდა კვალად მელისინად, ხოლო ღომე-
რად სახელიდო მისთვის, რომელ შემდგომად იქმნა ბრმა...“ 5—62 გვ.

შენიშვნა: 1. „პანტეონში“ აღწერილია: ღომერის, საჭოსი, ვირლილიოსის, არის-
ტოჭანისა, ტერენციოსის, თეოკრიტესი, სოფოკლეს, ევრიპიდესი, ანაკრეონისა,
ალკეის, ლეზიოდის, ასპაზიასი, ციკერონის, მარკ ბრუტოსისა და სხვ. ცხოვრება.

2. „პანტეონი“ თავდება „ღჳონ ლოკის“ ცხოვრების აღწერით.

3. ტექსტს დართული აქვს: „ამაში რომელიც სხვათა ენისა სახელები არის, ისი-
ნი უნდა განიმარტოს ქართულად, ან რომლის ქვეყნის სახელია და ან რას დანი-
შნავს: ქ: პანეონ[!]...“

სულ შვეულად ჩამოწერილი და განმარტებულია 88 სიტყვა. 63—66 გვ.

4. ტექსტს წინ უძღვის თავფურცელი: „პანტეონ[!] ყრმათათაჳს;“ ანუ აღწერა-
ცხოვრებათა დიდებულითა ძველთა—ორისავე ნათესავისა გვამთა, ესე იგი დიდთა
ბრძენთა ჳელმწიფეთა, ზანაკთ-მძღვენთა, ჰსჯულის-მდებთა, ორატორთა, სტინმოქ-
მედთა და სხვათა. რუსულისაგან ენისა ქართულსა ზედა თარგმნილი ტფილისის
სასულიეროს სემინარიას მოწაფის რევაზ ყორჩიბაშოვის მიერ.“ (გვ. 3)

ანდერძი: „დასასრული პანტეონის აღწერა ცხოვრებისა წეულსა 1824-სა, მარტის
10-სა დღესა. თავადი რევაზ ყორჩიბაშოვი.“

მინაწერი: „წიგნი ესე ეკუთვნის[!] ტიტულარნი სოვეტნიკს იერონიმე
ალექსიხეცს.“

(246)

247

ორხელიანი ხ. ხ. „ლექსიკონი ქართული“. XVIII

339 ფ. (ძველი გვერდობლივი პაჳინაციით 678 გვ.); 21 × 15,5; ქალაღი (ჳვირ-
ნიშანი: სამი ნახვევარ მთვარე); მაგარი ფიცრული ყდა, გარედან ტვიფრული ტყა-
ვით შემოსილი, შიგნიდან—ძველი ტილოს ქსოვილით, ლითონის ორი შესაკრავი
მოტეხილი და დაკარგულია; გაზეულია 1,331 ფ.; სინესტისაგან დაზიანებულია
172—204 ფფ; ნუსხური; სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით; XVIII ს-
(ჳვირნიშნის მიხედვით მე-18 ს. დასაწყისი წლებისა). დავით დადიანის ბი-
ბლიოთეკიდან, გორდის სასახლიდან.

„ლექსიკონი ქართული“. აქა იწყებინ ლექსიკონი ქართული,
რომელთა თანადართვით უწერია ენანი იტალიელთა. თურქთა და სომეხთა.—
— ა: 18. კავშირში. აქა დასჳკრიტენ სწავლის მოყუარემან, ვითარ ძნელ
არს ფილოსოფოსთა ენანი... ესევითარად სათანადოჳ თანა-განვლის სახედ,
განსჳკრიტე.

აბადონ ებრაელებ, ხოლო ბერძულად აპოლიონ... 9.11.

აბაზანა დიდი ტაშტი სააბანოე. კონკა

აბაზი ოთხი შაურჩი.

აბანო დასაბანი სახლი. ბალნეუს. ჰამამ. ბალნის... 9რ—333 v.

შენიშვნა: 1. ლექსიკონის ძირითად ტექსტს აქვს დამატებანი თავსა და ბოლოში:

ა. ღ რ ა მ ა ტ ი კ ა თ ა რ ო მ ე ლ ო ბ ა ნ ი. ნომენატო სინგულარე... 1 რ—2რ.

ბ. „ანბანი სასწავლებელი ყრმათანი.“—ქართული ანბანი, ორ ჰორიზონტურ სტრიქონად და იგივე ქართული ანბანი, ვერტიკალურად ჩამოწერილ ექვს სვეტად. ყოველი ასოს სახელწოდებით, სათაურით. „პირველად ესრეთ ჯერ არს სწავლათა დაწყება“... აქ ყოველ ასოს მიწერილი აქვს მისი სახელწოდება: „ა ან ბ ბან“... 2რ.

როგორც ვხედავთ, ამ ნუსხაში „ანბანი, სასწავლებელი ყრმათანი“—მხოლოდ მისი I ნაწილის სახით არის წარმოდგენილი.

გ. რ ი ც ხ ჯ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ა ნ ბ ა ნ თ ა ნ ი.—ა ერთი ბ ო რ ი... 2 ვ.

დ. „ნულა და ქართული რიცხვ, ვისცა სწავლა უნდათ.—1 ა 2 ბ 3 გ...“ 3 რ—4 ვ.

დართული აქვს შენიშვნა: „ესე ნულა...“

შღრ. „ხელნაწერთა აღწერილობა.“ (A კოლექც.), IV, №№ 1113, 1157.

ე. „საქცევნი ხუთთა ქმნიანთა ასოთანი და სხვათა თავბოლოთანი.“ 5რ—7.

ვ. „ანდერძნამაგი მუშაკისა ფრიად დამაშურალისა, მოსწავლეთათჳს. ხოლო მრავალნი მოსწავლენი მგმობარ და მოკიცხარ ექმნებიან შრომისათჳს და არა სარეწავად მისცემენ შენდობასა.—ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა, რამეთუ ქართულთა ენათა აღარ იბოებოდა ლექსიკონი; ეამთა ვითარებისაგან დაკარგულიყო და ენა ქართველთა თჳსთა ნებაზედ გაერყუნათ. სომხური ენაზე ერთი მომცრო დ მეც მათის ბაძით აღვწერე და, რაოდენი ძალმედევა, ანუ წერილთა შინა ენაზე, გამოვწერე საღთო წერილთა და ღთისმეტყულებათა შინა. რომელიმე ღრმათა ფილოსოფოსთა წიგნებთა და ღთისმეტყულებისა კავშირთა პროკლე პლატონურსა დიდოფოსთა, არისტოტელისა კათილორიათაგან გამოვიღე. ნემსიოსისა და იოანე დამასკელის პლატონური სიტყჳს საქცევები აღვწერე; რომელიმე, არა მათებრ ღუღარქნილად, არამედ მათთავე წთა მამათაგან, სადა საადვილონი ვპოვე, საადვილონი აღვწერე, რათა ისწაონ ენა ქართული, შესრულებული და განრკეუელი ფარნაოხ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო წარმართი, ძეთაგან ქართლოსიანთა, სასწავლოდ კეთილგონიერთა მოსწავლეთათჳს.

ხოლო რომელიცა ვიცოდით, დავსწერე და რომელიცა ძნელი სიტყჳა არა ვიცოდი, ღრმათა წიგნთა შინა ვიძიე, რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე და რაოდენი ვპოვე, გამოწულილვით ადვილად თანა დაუწერე. რომელიცა ვერა ვპოვე, საცილობელად არა დავწერე, არამედ მუნვე კიდეთა ზედა წითლით ნიშნად მოვაწერე; და ვინცა ჰპოოთ სიტყჳ უცხო, ანუ მათი თარგმანნი, ანუ ღრმათა წერილთაგან გამოიღოთ, ამა წიგნსა თანაჩაურთევით, რამეთუ მე მრავალი სიტყჳ დამიშთა: რომელიმე დაღიწყებითა, რომელიმე არასმენითა, [რომელიმე] დაწერილთა უნახაობითა, რომელიმე —ნუსხათა დაკარგვითა.

ხოლო რაოდენი ძალმედევა, ვეცადე—ელღენთა, ლათინთა, ფრანცისთა, სომხურთა და რუსთა წიგნებთა შემოწმებითა გარდმოვიღე, და უმრავლესი დამიშთა; ამისთჳს, რ[ომე] მე ქართულისაგან კიდევ სხვა ენა არ ვიცოდი და ამით ენათა რომელიცა ყ[ოვე]ლთა სწორედ თქუეს, ანუ რომელმან მე დამაჯერა, იგი დავწერე და რომელი არა ემოწმეს, არცა მე დავირწმუნე. თქვენ იგულსმოდგინეთ, რომელთა

მოკცეს უფალმან სიბრძნე და მეცნიერება, თქვენ შესრულეთ. არა უცებსა გიტყჱ არამედ ბრძენთა მოგახსენებ ვედრებით.

მე უწინარეს ლათინური და ელლენური ლექსიკონი ვერ გნახე, თუ არა უკეთს-რიგით აღწერდი.

არიან ამა წიგნთა შინა სახელნი კეთილნი და ბოროტნი, უბადონიკა და ცუდ-ნი. არა თუ კიცხვესათჳს აღმიწერია, არათამცა საქირდლად იპყრათ, არამედ ენის-სისრულისათჳს აღწერე: უკეთუ უბადო სახელი აღმოიკოცოს, მერმე უდარესი მოაკლდეს უადრესსა და უკეთესი არარაჲ არს ლთისაგან კიდე. და შემცირდების-ენა ქართული.

ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ამა ნაშრომსა ჩემსა. მათ, თუცა წე-რილნი უყუარან, მრავალნი სხანი არიან საღოთონი და საერონი და იგი იკითხენ; ესე ჩემებრ უცებისათჳს აღიწერა და დაუტეონ.

აჲ იუწყე, რ' პლატონის თანამოსაყდრეს პროკლეს და იონეს, დიდთა ფილო-სოფოსთა სიტყუაჲ პეტრიწი ქართველს რომელსამე ადგილს მრთლად აღუწერიათ რომელიმე სიტყჲ მეტ და რომელიმე ნაკლებ და სხუაგან შუაგანკუშთილ ერთი იგივე სიტყჲ, რომელნი ძნელ ჰყოფენ ენათა და წერილთა, რ' სიტყჲ მრთელი არს ახლოს, ხოლო მეტი—ახლოხრე და ნაკლები—ახლო, ხოლო განკუშთილი—ახს; აგრეთვე მრთელი მოვედ, და მეტი— მოვედი, ნაკლები— მოდი, ხოლო განკუშთი-ლი— მო, ესევეითარად არიან მრავალნი სიტყუანი და საქცეენი მათნი." 5 r—6 v.

ჲ „არიან ქარაგმანიცა ათნი..." 6 v—7 r.

ჳ. „შეისწავე, რ' ქვეყნისმზომელობათა კელოვნებანი არიან ესე ნიშანნი-ოთხნი: ა..." 7 r.

თ. [სხვა პირობითი ნიშნები]. 7 v—8 r.

დამატებანი ლექსიკონის ტექსტის ბოლოს.

ი. „ქ რ ის ტ ე ს ი ე ს უ ს სა მ ო ც ე და ა თ ო რ მ ე ტ ო მ ო წ ა ე თ ს სა ხ ე ლ ე-ბ ი და ვ ი ნ ა ი ე ვ ნ ე ს: 1 წ მ ი და ა ბ ა ო..." 334r—335r.

ია. „თ თ უ ე თ სა ხ ე ლ ე ბ ი ს ხ უ ა და ს ხ უ ა ე ნ ა თ ა ნ ი" 335v—337r.

იბ. „ა თ ო რ მ ე ტ ო ა ზ ო დ ი ა ქ ო თ ა სა ხ ე ლ ე ბ ი." 337 r.

იგ. „მ ო ტ ე ლ ე ნ ი' ქ ა რ თ უ ლ ნ ი და თ ა თ რ უ ლ ნ ი, რ ო მ ე ლ ნ ი შ ე ე-მ ო წ მ ნ ე ს." 538r—59 r.

იდ. [კალენდარული ხასიათის მასალა]. „დასაბამიდაჲ ქრისტესამდე ქართულის-რიცხუთ გარდაჲდა..." 339 v.

იე. „გეომეტრი—ქენის მზომელი..."

„ჩარჩავი: ზანჯაფილი: კოქი;"

2. ხელნაწერი, პროფესორი ა. შანიძის დასკვნით, C რედაქციისა არის; ი. ყიფ-შიძეს კი რედაქციული თვალსაზრისით BC-დ მიაჩნია.

3. ს. ს. ორბელიანის ნუსხების: A-1113, A- 1157-მსგავსად, ეს ნუსხაც ნასწორე-ბია, რასაც მოწმობს ნუსხურ ტექსტში მხედრულით, ჩამატებული განმარტებები და შენიშვნები:

53 r ტექსტში:

„გუგუბა დიდრონი დილები“.

118r „კიპორკი წანწალა“

138r. „მარნა წვლილი ტირიფი, ვენაჯის ასაკრავი.“

237r. „ტატაბო დიდი დილი, ბრტყელი“.

„ტატანი ვარსკლავ-მორბედი, რომელი განფრინ-დების.“

248 r. „ოტურა გრძელი დილი.“

264v. „კოტი ქაფქირი“

მინაწერი:

„საყურს უწმობენ თუშნი“.

„აგს გზასაც კვიან კიპორკი“.

„ყოვლის ახლის ხის ყლორტსაც კვიან.“

„საყურსაც კვიან. თუშნი უწმობენ.“

„ცის იერზედ რომ კაცი დაინახო გო-რაზედ.“

„საყურსც კვიან. თუშნი უწმობენ.“

„თუშნი კოვზს უწმობენ.“

3. საფიქრებელია, რომ ნუსხური ხელით შესრულებული სამი ხელნაწერი: S—247, A—1113 და A—1157—დახლოვებით დროის ერთსა და იმავე ნაკვეთში უნდა იყოს დაწერილი, რასაც მოწმობს ერთისა და იმავე კვირნიშნიანი ქალაღდის გამოყენება ხსენებულ ნუსხებში. აქედან S—247 მთლიანად ასეთ ქალაღდესა დაწერილი, ხოლო დანარჩენებში მხოლოდ ნაწილობრივ ურევია ეს (სიმნახევარმთვარიანი) ქალაღდი: A : 1113-ში—63—139 ფფ.; A—1157-ში 175, 192, 195, 210, 220 ფფ.

4. ხსენებულ ხელნაწერებს S—247 და A—1113-ს გაკეთებული აქვს გვერდობლივი პაგინაცია არაბული ციფრებით, ხელნაწერების გადაწერის დროსვე. არაბული ციფრები იხმარება ამ ნუსხების ტექსტებშიაც ყოველგან. რიცხვების აღსანიშნავად.

ჩამოწერილია არაბული ციფრების ნუსხა I ამოკრილი ფურცლის ნაშთზე.

5. S—247 ხელნაწერის გვერდობლივ პაგინაციაში (არაბული ციფრებით—1—673) რამდენიმე შეცდომა შეიძინება: 93-ს მისდევს 96, რაც გასწორებულია 98 გვერდზე; 214-ს მისდევს 219; 287-ს მისდევს 286; 297-ს—296.

პირველი ორი გვერდი (ტექსტით: „ღრამატიკათა რომელობანი“) პაგინაციის გარეშე არის დატოვებული.

7. ხელნაწერში ჩადებულია ქალაღის პატარა ნაქერი (12,5 × 11), რომლის ორივე გვერდზე ჩამოწერილია (ნუსხურით) ორმოციოდ სიტყვა, განმარტებითურთ

„უგანმსჯელობა: განუყოფელი[?].

შიშნეული: ამპარტავანი[!].

ზეშთმჩენობა: ღთის უარისყოფა[!].

პალმოს. ასოს იტყვს...“

რომელსაცა წიგნსა შინა სწერია, მუნით გამოლებასა. ეცადენ. მე ვერ გამოვიღე.“
მინაწერები: 1. „ეს ლექსიკონი გორდის სასახლის არის“, 1 რ. მხედრულით.

2. „დათვი იშვათ[!] გასძლებს ოც წელიწადს უმეტეს.

მგელიც და ძალიც დათვს ოდენს.

მელი ათოთხმეტ წელ და თექუსმეტამდისაც გააწევს. კატა ათშვდმეტს.

თორია და კურდღელი ხუთს წელს და ეგებ რუამდისაც გასძლოს.

სპილო—ოთხასს.

მარტორქა—ორმოცდაათსა წელსა.

ცხენი მიაწევს სამოცდაათსმეტს წლამდის, მაგრამ ოცდახუთს და ოცდაათს სძლებენ, უმეტეს იშვათ.

ორბი მოკვდა ვენაში ასოთხის წლისა.

ყორანი ას წელ ცოცხლებს.

გედი ცოცხლებს სამასს წელ.

ერთს რკუს გაუძლია ვეროპაში ასოთხმოცდაათი წელიწადი.

ცხვარი ათს წელიწადს ძლივ გააწევს.

ძროხა თუთხმეტს[!].“ 125 რ-ს ცარიელ არეზე, მხედრულით.

3. „ოდვისყო, მეფე ითაკისა, ბრძლისსაგან ტანზედ ქონებულისა იცნობა—და-ვი ით.“ 243 რ.

ეს მინაწერი მოწმობს, რომ წინა მინაწერებიც, ამავე ხელითა და მგლნით დაწერილი, დავით დადიანს ეკუთვნის.

4. „ქ. პატარა ხორაზან—ხუთს მარტს.“

5. უფრო ძველი, XVIII ს. მხედრულით, 1 რ-ზე, ტექსტის სტრუქტურებშია დატოვებულ ცარიელ არეზე:

„ეს ლექსიკონი ნაობ დეკანოზისა არის.“ 315 ვ-ს მარჯვენა არეზე, დასწერივ, წინა მინაწერის ხელით.

6. „ანდრია ხერხეულიძე“. წარწერილია II ყდის შიგნიდან გაკრულ მწვანე ტილოზე, მსხვილი, ლამაზი მხედრულით.

(247)

248

დოგმატიკურ-პოლემიკური და კანონიკური კრებული. XVIII

1—II, 278 გვ.; 21 × 17; ქალაღი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ფიცრული ყდა, ოდნავ მორღვეული; მხედრული; სათაურები სინგური, დასაწყისი ასოები ასომთავრულით (სინგური); XVIII ს. მოცილებულია 1—II, 1—12 ფფ.

1. „ამა წიგნსა შინა იპოების მრავლად საძიებელი მართლმადიდებელთა სიტყვს გება ჰურიათა.—ჰრქუა ქრისტიანემან: „ვის ეტყოდა ღმერთი: „ვკჳმნეთ კაცი ხატებად ჩნდა და მსგავსებად...“ გვ. 1—3.

2. „მის თვსვე თეოდორე ავუკურასი.—ჰურიამან: „მე, ჰრქუა წერილთაგან, სიტყუა გიგებ შენ...“ გვ. 3—7.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის მთელი ტექსტი გადმოწერილია 1541 წელს მესხეთში, საფარას, საბას ლავრას გადაწერილი კრებულიდან, რომელიც დაწერილებით არის აწერილი ამავე სკოლეციის 312 ნომერ ქვეშ (იხ. ქვემოთ).

2. სხეებული S: 312 კრებულისაგან განსვავებით წინამდებარე ნუსხაში არ არის შეტანილი:

ა. „თსა სეკდენბერსა დღესასწაულნი, რომელნი დაცადებენ საქმესა“. 91r—v.

ბ. აბუსერიძე—ტბელის ცნობილი ასტრონომიული ტრაქტატი (S: 312 ხელნაწერის 92r—101r.)

გ. კალენდარული ნახაზი (მხატვრულად გაფორმებული. ფერადებით). 103v—104r. დ. „სიტყუა ართონათუს“. 106r—108v.

3. XVIII ს. გადაწერილი ნუსხა (S: 248) განსვავდება მეთვრამეტე ს. II ნახვარის ორთოგრაფიული წესების დაცვით.

4. წინამდებარე ხელნაწერის ტექსტი ემთხვევა აგრეთვე თ. ჟორდანიასეული-ხელნაწერის A: 1132 ნაკლულ, დაზიანებულ ტექსტს და ავსებს მას. (შდრ. A კოლექც. IV ტ. აღწ.)

მინაწერები: 1. „ქეს წიგნი ჯუმათელ მიტროპოლიტის ნიჟარაძის მაქსიმეს შეწირული არის. ღმრთმან საუკუნო განსვენება მისცეს“, II გვ. მხედრული ხელით.

2. „ეს წიგნი. [ჩემმა შეიღმა] იქიქი მთხა და მივე და ნუ ვინ | ორნ | ბით...“ ნაწილობრივ ამოფხვკილი მინაწერი 277r-ზე, XVIII ს. ლამაზი მხედრულით).

(248)

249

სამხედრო ტიბიკონი და სამხედრო არტიკული. 1784

298 ფ.: 21 × 17; ქალაღი (შიგნით—ჩინებულად შენახული ფურცლები); ხელნაწერის დასაწყისი და ბოლო ფურცლები მეტად ჭუჭყიანია: 1—23, 291—298; ტვიფრული ტყავით შემოსილი მაგარი ფიცრული ყდა; მხედრული; სათაურები ასომთავრულით; რუსულიდან თარგმნილი გაიოზ რექტორის მიერ; 1784 წ.: ადგილი: ტფილისი; დაუწერელია: 139, 247—250 ფ.ფ.; მოოქროვილი კიდევით. იოანე ბატონიშვილის წიგნთსაცვიდან.

1. „სამხედრო ტიბიკონი.“ „თავი ა. ვოლუნტერთათუს.

— ყმაწვილნი და მდიდარნი კაცნი, ჩინებულნი პირნი და რომელნიმე მღაბიერნიცა, რომელთაცა აქჳსთ აჰზრი, რათა იყუნენ სამხედროსა რასამე ხარისხსა შინა, არიან პოლკთა შინა...“ 3r—127v.

შენიშვნა: 1. „ტიბიკონის“ ტექსტს დართული აქვს „ზანდუკი“ 128r—138v

2. „ტიბიკონის“ თავფურცელი: „სამხედრო ტიბიკონი, თანამდებობათათუს ღენარალთა, ფერდმარშალთა და ყოველთა ღენარალიტეტთა და სხუთა ხარისხთა, რომელნიცა სამხედროსა შინა სათანადო არიან ყოფად და სამხედროთა მათ საქმეთა და ქცევათა, თუ რაჲ ვის თანაჲძს.

დაიბეჭდა ბრძანებითა მისის იმპერატორების დიდებულებისათა სანკტ-პეტერბურგს, მესამითა დაბეჭდითა, საიმპერატოროსა აკადემიისა სასწავლოსა შინა, წელსა 1753.

ხოლო ქართულსა ზედა ენასა ითარგმნა ბრძანებითა მისის მეფობის სიმაღლისა ირაკლი მეორისათა, არხიმანდრიტის და თელავის სემინარიის რექტორის გაიოსის მიერ, ტფილისს, წელსა 1784.“ 1r—v.

2. „სამეცედრო არტიკული.“ „ფიცისათჳს. თუ ვითარითა ხატითა ფიცი ანუ აღთქმა იქმნების ლენარალიდამ ვიდრე ჭენდრიხადმდე.—დაჰსლუას შარცხენა ჯელი სახარებასა და მარჯჴსნე აღიპყრას...“ 142r—235r.

შენიშვნა: 1. 206—235r ფფ. უპირავს; „მოკლედ გამოხატუა სამსაჯულოთა გამომძიებლობათა“-ს.

2. „არტიკული“ დართული აქვს „ზანდუკი“ 236—246 ფფ.

3. თავფურცელი: „სამეცედრო არტიკული, მოკლითა განმარტებითა და სამსაჯულოთა გამომძიებლობათა. დაიბეჭდა ბრძანებითა მისის იმპერატორების დიდებულებისათა სანკტპეტერბურდს. საიმპერატოროსა აკადემიისა სსსწავლოსა შინა წელსა 1755.

ხოლო ქართულსა ზედა ენასა ითარგმნა ბრძანებითა მისის მეფობის სიმაღლისა ირაკლი მეორისათა, არხიმანდრიტის და თელავის სემინარიის რექტორის გაიოსის მიერ. ტფილისს, წელსა 1784“.

3. „ეგზერციცია“. „ნაწილი პირველი ეგზერციციისათჳს ანუ (სწავლისა).—ჩჴშულებითი სწავლა მოკლითა განმარტებითა, რომელიცა ჯერარსრათა აქჴნდესთ ინჴანტერთა, თუ ვითარითა უკეთესითა ხატითა თანა-ადსთ ჯმარება თოფთა სამთა დროთა შინა...“ 253r—293r.

შენიშვნა: 1. „ეგზერციციის“ ტექსტს დართული აქვს ზანდუკი 294r—296v.

2. თავფურცელი: „ეგზერციცია. განმზადება მარშისადმი, წოდება და თანამდებობა პოლკის მოვლეთა. დაიბეჭდა ბრძანებითა მისის იმპერატორების დიდებულებისათა სანკტპეტერბურდს; საიმპერატოროსა აკადემიისა სსსწავლოსა შინა, წელსა 1756.

ხოლო ქართულსა ენასა ზედა ითარგმნა ბრძანებითა მისის მეფობის სიმაღლისა ირაკლი მეორისათა არხიმანდრიტისა და თელავის სემინარიის რექტორის გაიოსის მიერ. ტფილისს, წელსა 1784.

შინაწერები: I „ამა წიგნსა მრთ[მე]ლობს შენდამი და შენ... მამაჲ შენი... პეტრე-ბურლით, 1836-ს წელსა“. I საცავი ფურცლის v-ზე. მხედრულით. II „საქართველოს მეფის ძის იოანეს იარის წიგნი ესე“. 2r-ს ქვემო კიდებზე. III. „მეფის ძის იოანეს ია.“ 296r-ზე, I სტრიქონზე, იოანე ბატონიშვილის ხელით.

(249)

250

ფილოსოფიურ თხზულებათა კრებული. 1754, 1764, 1776

424 ფ.: 21,5 × 16; ქალაღი (სხვადასხვა, უმეტესი ნაწილის—15—424—კვირნი-შანი სამი ნახევარმთვარე); 310—424 ფფ: ზემო კიდებები შეწებლილი ყოფილა (სინესტისაგან?) და დაზიანებულია: მწვანე ტყავით შემოსილი ფიცრული ყდა ყუაზე ოდნავ დაზიანებულია; ორი შესაკრავის ტყავი დაწყვეტილია; უმეტესი ნაწილი (15—424 ფ) ნუსხურით; 1754 (4r), 1764 (15r.) და 1776 (189 v); 1—13v—ზაქარია ხუცესის ხელით (4r); 15r—184r—ერეკლე II-ის ბრძანებით თარგმნილი სომხურიდან ფილიპე ყაითმაზაშვილისა და დოსითეოს ნეკრესელის მიერ (15r); 187—418. კაცია დადიანის ბრძანებით, იმავე ფ. ყაითმაზაშვილის და ანტონი ცაგერელის მიერ.

1. „მოქმედებითი რაიმე მარად მოძრავად მიბუნებულ, მსგავსად აღმსრბოლისა ცეცხლისა, სიტყვიერი ცნობა კაცისა, არ მქონე მდგომობისა, ვიდრე განკიდებულ გეზისადმი აღსრულებად თვისისა. ხოლო არს აღსასრული სიტყვასა შინა ქეშმარიტება, ვითარცა საქმესაცა შინა კეთილი და ამითვე ხედვითთა და საქმითთა შეიმკობიან სულნი ჩვენნი...“ 1r—2v.

თ ა ვ დ ე ბ ა: „რ ყოველნი მყოფნი შეზავებულ არიან ურთიერთისა მიმართ ანუ ნივთებითი არს ხუთ საყოველთაო ხმა პორფირისა: მოქმედი პორფირი, აღსრულებითი არს ათი შესმენა, ხოლო სახითი არს კერბი თქმისა და ანუ ნაცვალსიტყვაობა წერილთა.“

2. „ვითარცა იტყვის ფილასოფოსი მესამე წიგნსა შინა სულისასა, ვითარმედ სული დასაბამსა თვისსა არს, ვითარცა უწერი ფიცარი...“ 3r—4r.

თ ა ვ დ ე ბ ა: „აწ უკუ შ პირველისა. საქმისა შორის არს წერილი ათ შესმენათა და ექვს დასაბამათა, რომლისა მიერ შეყვანილობა საქირო არს წერილნი პორფირისანი; მეორე საქმისა მიერ არს პერიარმენიასი; მესამისაგან არს ყოვლითურთ, რომელ არს ლოჯიგა.“

შენიშვნა: 1. პირველი და მეორე უსათაურო, ანონიმური წ-ი დაწერილია ერთნაირ ქალაღებზე, ერთისა და იმავე ლამაზი მხედრულით.

2. 4r-ზე, 10—11 სტრიქონს შუა, კალმის მსუქანი დაჭერით, მხედრულით, დაუწერელ სტრიქონზე სწვრია; „უღირსი ხუცესი ზაქარია ვსწერ ჩუდნა.“

აქედან ცხადია, რომ ხელნაწერის ეს ნაწილი დაწერილი ყოფილა „ზაქარია ხუცესის“ [გაბაშვილის] ხელით, 1754 წელს.

3. „პორფირის შეყვანილობა. — ნანდვილ საქირო ხურისაორიე და არისტოტელისა მიერთსა შინა კატილორიათა მნებავი მასწავლელობათა ცნობად: რაე ნათესავი, რაე განყოფილებად, რაე სახე, რაე თვისი და რაე შემთხუჭვითი...“ 5r—13v.

შენიშვნა: 1. ს. გორგაძეს „პორფირის შეყვანილობის“ ეს ტექსტი (S—250) მოხსენებული აქვს, როგორც სომხურიდან ნათარგმნი ზ. შანშოანის მიერ, ვაჭტანგ VI ბრძანებით: „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში.“ ე. „ჩვენი მეცნიერება.“ 1923, 3—4, გვ. 145.

2. ხელნაწერის ეს ნაწილიც მხედრულით არის ნაწერი.

3. ს. გორგაძეს 1—13 ფ.ფ. ერთ, I-ლ, ხელნაწერად მიაჩნია.

4. [კოვიდი ანტონი ლევმოაკელი]. „ნაცვალ-სიტყუაობა.“

.. პირველი ნაწილი ფილასოფოსობისა, წოდებულ ლოლიკად, ანუ დიალიკტიკად, იგი არს ნაცვალ-სიტყვაობა. — ლოლიკა ანუ დიალიკტიკა სახელი არს ელინურ, არამედ ქართულ კმად ითარგმნების ნაცვალ-სიტყვაობად. ესე სახელი არს ფილასოფოსობის ნაწილისა, რომელი მართებს გონებასა ანუ სიტყსა ცნობად ქეშმარიტებისა...“ 64r—418r.

შენიშვნა: 1. „ნაცვალ-სიტყვაობას“ დართული აქვს: „პინაკსი ზემო წერილთა.“ 419r—423v.

2. „ნაცვალ-სიტყვაობის“ ტექსტს წინ უძღვის:

ა. მოკლე წინასიტყვაობა: „სიტყვა პირველი, წინა ქებისათჳს ფილასოფოსობისა.“ 15r—16r.

ბ. ვრცელი წინასიტყვაობა: „ნებითი პირველი. საჭირო არს ფილასოფოსობაჲ კაცისა, რომლისამებრ არს კაცი აღსრულებად გონებისა მისისა.“ 17r—62r.

თავდებთ: „აწ აჰა, ესევეითარნი იქმნენ მოძღვრებანი ფილასოფოსთანნი ელინითა ძიმართ, რომელთაგან სხუთა გვართა მიეფინნენ. გარნა ყოველსა ამათსა წასწერს დაშრეტილად და მხოლოდ პერიპატოელთანნი აწ აღყვანებულ იხილვების უფროსლა შემდგომად განმარტებისა მათისა ბრძნისა თომასაგან, მალამოძღვრებისა გულითად აღთქმითა შეერთებისა თანა“.

3. „ნაცვალ-სიტყვაობა“ ორი ნაწილისაგან შედგება:

ა. „ნაცვალ-სიტყვაობა მცირე“, რომელსაც წინ უძღვის ორგვერდიანი შესავალი (64r—v)—თხზულების I და II ნაწილისათვის, და საკუთრივ „მცირე ნაცვალ-სიტყვაობა“, სამგვერდიანი შესავალით (65r—66r).

„მცირე ნაცვალ-სიტყვაობა“ იწყება 65r-ზე, თავდება 184r-ზე.

ბ. ნაწილი II: „დიალიკტიკობა დიდი.“ 190r—418r.

4. ანტონი კოვიდის თხზულების ამ ერთადერთი ნუსხის დაწვრილებითი აღწერილობა იხ. ს. გორგაძე, „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში“, ჟურ. „ჩვენი მეცნიერება“. იხ. აგრეთვე კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატ. ძს-ტორია. I თბ. 1941. გვ. 335: 361.

5. თავფურცელი: „ფილასოფოსობა მებრ უცთომელ და უბრკელ მოძღვრებისა თომასი, განწვალბულ ოთხ ნაკუთხთად, რომელი ქმნილ არს ანტონი კოვიდისა, ლევმთაკელისა ღისმეტყუელ-მოძღვრისა ფარეხ ქალაქსა. ნაცვლითი პირველი: „ნაცვალ-სიტყვაობა“. 15 r.

6. წინასიტყვაობა ყოვლად-სამღვდელოსა და დიანის ძისა, ცაგერელ მიტროპოლიტისა ანტონის მიერ.

— აშუაბაჲ საჭიროდ რაცხვა გონებაჲმან ჩემმან გარდამოლება დიდისა ამის ლოლიკისა ორთათჳს-რე მიხუზთა: მეცნიერებათა სრულყოფისათჳს და ძმათა სიყუარულისათჳს, რომლითა ისრულების სჯული საღთოჲ, ვითარცა არს თქმულბა: „ყოველი სჯული ერთითა სატყუთა აღესრულების: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი.“

ესე თქმულ არს ტეტრტიქსისა პავლე ჩრმისა მიერ.

ესთქუ—მეცნიერებათა სრულ-ყოფისათჳს, რამეთუ სრულება არს მეცნიერებისა წრფლივ ცნობაჲ, ხოლო წრფლივ ცნობაჲ იქმნების აღმოჩინებითითა სიტყუთა და აღმოჩინებაჲ ამის წინამდებარისა წიგნისა მიერ, მაშასადამე, საჭირო არს მეცნიერებათა სრულებისათჳს.

ამის აღმოჩინებისა მნებაჲს განრჩევაჲ უდიდესისა და უმცირესისა წინადადებისა-სრულება არს მეცნიერებისა წრფლივ ცნობაჲ.

აღიარების სახოგადოდ, რომელ უწრფელო ცნობა ნაკლ-ყოფა არს ცნობისა. და უკეთუ ესე ნაკლ ცნობა არს, რომელ ვსცნა კაცი ცნოველ სიტყუარად და არა მოკუქდავად, წრფლივ ცნობა ამისი მოკუდავებითურთ ირაცების სრულ-მცნობელობად. მაშასადამე, ცნობა არს. სრულება მეცნიერებისა. ხოლო უმცირესი არს წრფლივ ცნობაჲ; იქმნების აღმოჩინებითითა სიტყუთა და აღმოჩინებითი ამის, წინამდებარისა წიგნისა მიერ—ესეცა არს აღსარებადი, „რ არა რაჲ წრფლივ ცნობაჲ არს თჳნიერ აღმოჩინებითისა სიტყუსა. რ რაჲ უკჳ აღმოჩნდეს წრფელად, უკეთუ არა აღმოჩინოს სანანდილომან სიტყუამან, უკეთუ ბუნებითი და თუ შესაბუნებითი ანუ სამოქალაქო და ყოფაქცევითი.“

რ. ბუნებითთა ზედა თუმცა არა ითქუეს ესე აღმოჩინებითი და სხვათაცა ზედა მებრეე არა იქმნების კანონებრივ ცნობაჲ, ვითარ ესე: „ყოველი კაცი არს არსება. პეტრე არს კაცი; მაშასადამე არს არსება“.

ესრეთვე შესაბუნებითთაცა ზედა: „ყოველთა მყოფთა გარეშემცველი არს პირველი მიზეზი. ხოლო ერთი არს შთამყოფთაქი გარეშემცველი. მაშასადამე ერთი არს პირველი მიზეზი.“—მებრეე სამოქალაქოთა დაყოფა კეცევითთაცა ზედა სახილველ. და ესენი იქმნენ ჰუმარიტ ცნობილ აღმოჩინებითითა სიტყუთა. მაშასადამე, წრფლივ ცნობაჲ იქმნების აღმოჩინებითისა მიერ სიტყუსა.

ხოლო აღმოჩინებითიცა ამის წიგნისა მიერ. რ' ცხად რაჲვე არს ესე ყოველ-
თათჳს, ვითარმედ დიალიკტიკობითი ველოვნება ასწავებს აღმოჩინებითსა კელზება-
სა, რომელ არა სხვაჲ რაჲვე არს წინამდებარე წიგნი ესე, გარნა თუ ველოვნება
დიალიკტიკობითი, ვინაჲ ნანდვილსაჩინო, რ[ომელ] არს საჭირო მცენიერებათა
სრულებისათჳს. ამისთჳს გარდამოცემა ამისი შეირაცხა ჩემ მიერცა საჭიროდ.

ქველად ხედვითთა მცენიერებათა ჰსწვალვენ ოთხად: ესეგიგი—დიალიკტიკობი-
თად, ბუნებათ-მე ზუსტლებითად, ყოფა-ქცევითად და ზესთა-ბუნებათ-მეტყუშლე-
ბითად.

ხოლო აწ ამათ ოთხთა ჰრაცხულს სრულ მცენიერებად. და თუ მოვსოთ დიალიკ-
ტიკობად, არლარა იქმნების სრულ. მაშასადამე, ესე დიალიკტიკობა არს სრულება
მცენიერებათა, რომლისათჳს კეთილად შეირაცხა ჩემ მიერ საჭიროდ გარდამოცემა
ამისი.

ქველად ვსდევ მეორედ მიზეხად გარდამოცემისა სიყუარული ძმათა, ვითარ იგი
ვსთქუ ზემორე, და ესე მიზეხი არა მცირეობს, არამედ უმეტესობს თავსა შორის
თქვისსა, ვითარცა იტყუს მოციქული პავლე: „ჰვიეს სამი ესე—სარწმუნოება, სასო-
ება და სიყუარული; ხოლო უფროს ამათსა სიყუარული არს.—ქველადცა არა მცირე
არს ესე მიზეხი, არამედ უდიდეს და უძლიერესცა, რამეთუ თუთ თავადიცა:
ქრისტე სიყუარულად იწოდა, ვითარ იგა სთქქვად იოანე: „ღმერთი არს სიყუარულ-
დი, და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მასთანა ჰვიეს და იგი ღ'თისაჲ
თანა“.

ქველად სანეტარო, რ' ამის წინამდებარისა სიბრძნისა მიზეხ მექმნა კელ-ხეობი-
სათჳს და რაჲ უსაწადელეს სიბრძნისა, რ' თქმულ არს ბრძნისა სოლომონის მიერ
„სიბრძნე უფლისაჲ განანათლებს პირსა გონიერთასა“.

ესრეთ მრჩობლ სანეტარო ჩემდა აქმნა რაჲ სიყუარული, მივედ სულთ დამა-
მებელისა ამის ღ[მერთისა]ჲ მიერ გამომდინარისა წყაოთა, რომელ არს სიყუარული
ძმათა, და ირმებრ სურვებულმან, თქმისაებრ დაეთისა: „ვითარცა სურინ ირემსა
წყაროთა მიმართ წყალთასა“, ეგრეთცა ვიმებე მე სმად სასმელი, ესე კელ-ვწყავ
გარდამოცემად დიდისა ამის ლოლიკისა.

ხოლო უქველად ძმაცულებითა ჰსწმასანიდეს ვინმე მეტყუშლი: „რაჲჲ სარაცხველ
სიყუარულად ძმისა გარდამოცემა ლოლიკისა, რ' არა სხ[უ]ადითა, არამედ თავისა
არს თჳსისა.“—ესე მთესელობა არს ღვარძლისა იფქლსა შორის მტერთა მიერ,
ვითარ იგი თქმულ არს წმიდასა შინა სახარებასა: „მტერმან კაცმან ჰყო ესუ.“

გარნა ჩვენ, თანაშემწეობითა კეთილმოყუარისა ქრისტესითა, აღმოვფხვრათ
ღვარძლი ესე, რათა დაშთეს იფქლი წმიდაჲ, რომელ არს სიყუარული და ერთბა-
მად გჯაროდეს მთესვარსა და მომკალსა, ბრძანებისაებრ საღმ[რ]ტოსა: „უქველად
ვინ ვისამე წადებული აღუსრულოს, კეთილ არს სიყუარული.“ რ'[ანეთუ] კეთილისა
სრულყოფა არა არს სიძულილი, არამედ უქვეშარიტესი სიყუარული.

ხოლო ყოველდსამდედელოსა ძმასა ჩემს დოსითეოსს ნეკრესელსა ეწადა
კეთილობაჲ ამის წიგნისა, რ[ათამაც]ასრულ ეყომცა ნაცვალ-მეტყუშობაჲ ესე დიდი
და ვერ ეწიფა წადილსა ამას, რათამე გარეშეთა მიზეხთა მიერ. ხოლო მე აღვავსე
წადილი მისი, რამეთუ გარდამოვეც ლოლიკა ესე. მაშასადამე, გარდამოცემა ამისი
არს სიყვარული მისი.

ესთქუ: ეწადა კეთილობაჲ ამის წიგნისა, რ' ესე ცხად არს ყოველთათჳს, რო-
მელსა ჰსურის სიღვა და გემება მცირისა სიტკბოსი, იგი უდიდესისა უმეტეს
სურვიელ არს, რამეთუ უმეტეს აღავსებს სიტკბობითა. ხოლო დოსითეოს, თანა-
ძმასა ჩემსა, ესურვა მცირისა დიალიკტიკისა სიტკბოსა გემებაი, რ' თუთცა გარდა-
მოვეცა. მაშასადამე ამის, უდიდესისაცა სიტკბოსა სურვიელ იყო.

ქველად იგი სურველ იყო ამის წიგნისა გარდამოცემად, ვითარცა ითქქვად. ხო-
ლო რომლისათჳს მას ჰსუროდა, მე დავშვერ და გარდამოვეც წიგნი ესე. მაშასადამე,
გარდამოცემა ამისი შემერაცხების სიყუარულად მისდა. და თუშეცა იტყოდეს
ვინ: „არა მხოლოდ გილუაწის მისთჳს, არამედ შენთჳსცა.“—ესე უქვეშარიტესი არს
სიყუარული, რ' რომელი მიწებდა ჩემთჳს კეთილი. იგივე ზიარად ვყავ მისთჳსცა,
და ქრისტეს მიერცა ესრეთ ბრძანებულ არს: „ყოველი, რაოდენი გნებაეს, რათა
გიყონ თქვენ კაცთა, ეგრეთცა თქვენ ჰყავთ მათდა მიმართ.“

ნუ უმე ქველად მაწყინებდეს ვინმე და მეტყუადეს: „ვინაჲ იწოდების დოსითეოს
ძმად შენდა, რ' სქესიცა და ადგილი ფრიად სხუქაობს თქვენ შორის!“

(250)

251

ბაუმეისტერი, ფრიდერიკოს-ხრისტიანოს, ფილოსოფიური თხზულებანი. 1762

032, 732 გვ.; 21 × 16; ქალაღი; ტვიფრული ტყავით შემოსილი მაგარი ფიცრული ყდა; მხედრული; თავფურცელი და სათაურები მრგვლოვანით; 1762 წ. [03 გვ.]; ანტონ I-ლის თარგმანი.

„ფრიდერიკოს ხრისტიანოს ბაუმეისტერი. დასაბამი ფილოსოფიის ახლისა.“ „თავი პირველი... ნაწილი პირველი ლოლიკისა სათეორეთიკო ანუ სამთათს მოქნედებათა გონებისათა. თავი პირველი. მოგონებათათს ანუ იდეათათს. § 29.—პირველსა ვიდრემე მოქმედებასა გულისხმის ჰყოფისა ჩნისასა მარტივად მოგონებად ანუ იდეად წოდებულ-ვჰყოფთ, რომელიცა არა რაჲმე სხუა არს, თჳნიერ ნიეთისა რაჲგესა გონებასა შინა გამოხატუა, გარდა დამტკიცებისა და უკუთქმისა...“ 21—731 გვ.

შენიშვნა: 1. „ლოლიკის“ ტექსტს წინ უძღვის:

ა. თავფურცელი: „ფრიდერიკოს ხრისტიანოს ბაუმეისტრისა, გორლიციურის ღიმნაზიისა რეკტორისა დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა, სარგებელად ყრმათა სხოლისშინათა ქმნილი და მრავალთა მიერ იგავთა და მაგალითთა ძეგლთაგან მწერალთა ჰრომაელთასა მოღებულთა განმარტებული.“

ქართულსა კმასა ზედა გარდამოღებით შრომილი ანტონის მიერ არხიევ სკოპოსისა, დავითიან-ბაგრატოვანისა, დროსა ყდ ჴბრწყინუაღესისა და უმპყრობელესისა დიდისა ჳელმწიფისა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსეევნასა, თჳთ მპყრობელისა ყოვლისა როსისისასა და მემკვდრისა მისისა კეთილმორწმუნისა ჳელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა მთავრისა პავლე პეტროვიჩისასა.

წელსა დასაბამითგან სოფლისა 7270.

კორციელად შობითგან სიტჳსა ღთისა 1762, ინდიკტიონსა 10,

თთქსა მეშჳდესა, რიცხჳსა 30.“ 03 გვ.

ბ. „წინა-სიტჳთობა ანტონის მიერ არხიევსკოპოსისა... ფილოსოფიისა ამის, წინა-მღებარისა.

— აღნამკსა ვიდრემე გონებისასა ვერ სადაჲმე მიჳწვი სიბრძნესა, მით, რ წოდებულ-ჰყოფენ მას ფილოსოფოსნი მეჲად ანუ უფლად სხუთათა ძილთა გონებისათა...“ 05—021 გვ.

გ. „პინაჳსი,“ ლოლიკისა, მეტაფისიკისა, [ითიკისა] და პოლიტიკისა. 023—030 გვ.

დ. აეტორის „წინასიტჳტა“ ფილოსოფიისათს და ნაწილთა მისთა. §. 1.—ვინაჲ თგან აწ შრომა ჩვენი არს ამას შინა, რათა ყოველნი ფილოსოფიისანი უმჯობეს და შესაბამ აღწერით განვეკარგენითმცა...“ 1—20 გვ.

2. ხელნაწილში წარმოდგენილია ბაუმეისტერის ლოლიკა—21—177 გვ.; მეტაფიზიკა—179—456 გვ.; ითიკა—457—688 გვ.; პოლიტიკა—689—731 გვ.

3. ტექსტს მრავალ ადგილას დართული აჳქს ანტონის სჳოლიოები, მისი სახელის აღნიშნვით („ანტონი“).

4. ხელნაწერის ძველი პაგინაციის შეცდომები გასწორებულია ს. გორგაძის ხელით.

5. ანტონ I-ის ამ თარგმანისათვის იხ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I, თბ. 1941, გვ. 350—351; ა. ფრანგიშვილი. მასალები ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიისათვის საქართველოში—„საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები.“ VII, 1950, გვ. 237 და სხვ.

მინაწერები ტექსტის ხელით: 1 საცავი ფურცლის r-ზე და 456 გვ.

(251)

252

სხვადასხვა ხელნაწერთა კრებული. XVIII—XIX

90 ფ.; სხვადასხვა ზომის (იხ. ქვემოთ), სხვადასხვა ქაღალდი. მხედრულ-ნუსხური (იხ. ქვემოთ); წითელი ტყავით შემოსილი ფიცრული ყდა (24,5 × 18,5).

252 ა

წმ. გიორგის პარაკლისი. XVIII—XIX

16 გვ.; 17 × 11; მოცისფრო ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; სათურები და დასაწყისი ასოები ასომთავრული (სინგურით); შემკულობა 1 ყდის v-ზე და 1 გვ.

„პარაკლისი სავედრებელი წისა დიდისა ნოწამისა გიორგისა.—
—მღელმან: „კურთხეულ“რი“, „მეუფეო ზეცათაო“, „წმიდაო ღმერთო...
ტროპარი ჯმა დ: „ტყვეთა განმათავისუფლებლო და გლახაკთა ჯელის.
აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო, ძეფეთა უძლეველო წინამბრძოლო...“
1—16 გვ.

252 ბ

წესი გამორჩევისა და ჯელდასხმისა მღუდელმთავრობითისა. XIX

56 გვ.; 20,6 × 16; ქაღალდი (ცისფერი); თხელი მუყაოს ყდა; მხედრული; სათურები სინგურით; დასაწყისი ასოები მთავრულით; XIX ს., კვირნიშანი; 1809, დაუწერელია 49—56 გვ.

„წესი გამორჩევისა და ჯელდასხმისა მღუდელ-მთავრობითისა.—
ოდეს დაცალიერდეს აღარ ყოფითა მღუდელ-მთავრისათა საყდარი
სამღუდელ-მთავროა, მაშინ უნეტარესი მამათმთავარი საქართუშლოასა
ჰყოფს შემოკრებასა უმარჯუშსთა ადგილთა მყოფთა მღუდელ-მთავართასა-
ბრძანებითა კეთილმსახურისა მისისა სიმაღლისა მეფისათა და იქმს გამორ-
ჩევასა კრებითურთ დაცალიერებულისა მის სამღუდელ-მთავროასა საყდრი-
სა...“ 1—48 გვ.

ანდროი ანტონი I-ლისა: „იხილე!“ „ესე უკუშ წესი გამორჩევისა და ჯელ-
დასხმისა მღუდელ-მთავრობითისა განიშართა ჩნ მიერ; წინადადებითა საბერძნეთი-
სა და რუსეთისა ეკლესიისაგან პყრობითა მღუდელ-მთავრობითისა გამორჩევისა
და ჯელდასხმისა განწესებათაგან, რ ჩნ, მომღებელთა თქმულის მღუდელ-მთავრო-
ბითისა განწესებისათა, რომელიცა ვჰპოვევით საუნჯეთა შინა წიგნის-საცავთა მცხე-
თისა ეკლესიისათა, გარდმოთარგმანებული ბერძელისაგან, ვგონებ, ვითარმედ
კჰპრინან ეს მიერ სამთავრელისა (რომელი იყო ნათესავით არაგვის
ერისრავთაგან), ნათარგმანები ბრძანებითა ნეტარისა ნამათ-მთავრისა, მამის ძმისა
და მოსაყდრისა ჩემისა მქფის ძისა დომენტი მეცხრისათა და კდ თქმუ-
ლისა განწესებისაგან, რუსთა ენისაგან გარდამოთარგმანებულიისათა, ვჰყავ განჰსჯავ
ჯულისგმის ყოფითი და ესრეთ უმჯობესისა აღმრჩეველმან, ყოველი აღსარებაჲ
სარწმუნოებისა და ლოცუანიცა ჯელის-დასხმითნი ბერძელისაგან, ხოლო თრისკია-

ნი, ესე იგი ცერემონიანი, რუსულისაგან ნათარგმანებისა შევაწყუტენ. და ესრეთ-საჰმარად ფრიად სამღუდელ-მთავროსა გამორჩევისა და ხელდასხმისა დადებად-ქოვლითა ზემოასა საქართუმლოასა ეკლესიისათვის ვიმზარკენ, ყოვლითა გამოძიებ-ბითა და გამოწულილივითა ქმნილნი.

ხოლო სათქმელ არს ესე, ვითარმედ ნუ ვინ სადამე იკადრებენ გარდასულად და-დარღუშვად კანონთა მათ საქართუმლოასა ეკლესიისა, ნეტართა მამათ-მთავართა-და მღუდელ მთავართაგან დადებულთა და ყოვლითა დამტკიცებითა აღმოჩინებუ-ლითა[!], რომელ არს: თ ვნიერ მცხეთისა დიდისა სამოციქულოასა-ეკლესიისა ქოვლითურთ დაყენებულ არს ჳელი-დასხმად მღუ-დელ-მთავრობითი სხუასა ეკლესიასა შინა. ხოლო თუ სადამე იკადროს ვინ გარდასტლად კანონისა ამის ჩტმნისა, ჳელის დამსხმელიცა იგი კრებად-და კელ-დასხმულიცა იგი განკუშთილ არნნ.

ამას ზედა მსწამებს ისტორიად წერილი მამათ მთავრისა ნიკოლოსის-სა, რომელი იყო ძმის-წული სიმონ მამათ მთავრისა“. 46—48 გვ.

№ 252 გ

„ქორონიკონი... სრული“. XVIII

26 გვ; 23.5 × 16.5; ქალაღი; ჳვირნიშანი: სამი ნახევარმთვარე: ნუსხური; ზო-გიერთი გვიანდელი ჩანაწერი—მხედრულით; სათაური და კინკლოსის ნახევარი სინ-გურით: XVIII ს.

„ესე ქორონიკონი დაიწერა სახითა იმ[რუსა]ლიმისადათა, სრულით ცთომელი.“

ა	ფბ	კე	აპ	იგ	დღშ ვ	აპ იე	ლ:
ბ	ფბ	იშ	აპ	ბ	დღშ ვ	აპ ზ	ია :...“ 2—26 გვ.

შენიშვნა: წინამდებარე „ქორონიკონი“ არის ერთ-ერთი წყაროთაგანი, რომელ-ლიც გამოყენებული აქვს თ. ჟორდანიას თავისი „ქორონიკების“ II (გამოქვეყნებ-ბული) ტომის მრავალ ადგილას.

თ. ჟორდანიას იხსენიებს ამ წყაროს, როგორც „წერაკითხვის საზოგადოების ხელნაწერს № 252“ (იხ. ქორონიკები“, II, ტფ., 1897, გვ. VI, 307 და სხვ. მრავალი.) მინაწერები: 1. „არღბ|1444|“ აქა კოსტანტ|ინეპოლი და|იჭირეს თათარ|თაჲ ჰოა. დღე რი|სხვსა| ლ|მრთისა|ა!“ გვ. 8, ნუსხურით.

შენიშვნა: 1. ჩვენი დაკვირვებით, თ, ჟორდანიას გამორჩენია ეს მინაწერი.
2. 2 გვერდზე, დასწვრივ. ქორონიკონის სათაურების დამწერისა და, საერთოდ. ტექსტის ხელით, ნიწვრილია:

„ეს ქორონიკონი რამდენჯერ არის დაბრუნებული არა სწერია.“
ეს მინაწერი მოწმობს, რომ ქორონიკონის მთელი ცხრილ-ცხავი (სათაურითა და ტექსტის ხელით ნაწერი მინაწერებითურთ) გადმოწერილი უნდა იყოს მთლიანად. სხვა, ძველი დედნიდან. იხ. § 52-ის შენიშვნები.

2. როშ[1490] „აქა დედის იმედი მიიცულა ათაბაკი“. 10 გვ. წინა მინაწერის ხელით. შდრ. თ. ჟ. „ქრ.“, II, გვ. 307.

3. რპე და რპვ-ს. შუა[1497—1498]“ აქა დიდი ყვარყვარე მიიცულა ათაბაკი.“ 10 გვ. წინა მინაწერის ხელით. შდრ. თ. ჟ. „ქრ.“, II, გვ. 312.

4. რპ[1500]. „აქა მიიტუალა ქრისტეანობისა ნათელი ქიხოსრო, ათაბაგი.“
11 გვ. მარჯვენა კიდეზე.
5. რთ [1511]. „აქა მოვიდეს თათარნი, ნოენბეოსა კჳ და დაწვეს საყდარი ქუთათისი და გაელათი.“
11 გვ. მარცხენა კიდეზე, წინა მინაწერების ხელისაგან განსხვავებულნი ნუსხურით. შდრ. თ. უორდანია“, ქრ.“, II, 327 გვ.
6. ხდ[1516]. „აქა დიდი მზეკაბუქ მიიტუალა ათაბაკი.“
11 გვ. მარჯვენა ნაპირზე.
7. სკა[1533]. „აქა გაილაშქრა მამია დადიანი და მამია გურიელი ჯიქეთს და მოკლეს მამია დადიანი და გიორგი გურიელის შვილი და ტყუჲ იქმნა გურიელი და საზნი მისნი ძანი და ლაშქარნი.“
12 გვ. მარცხენა ნაპირზე, I სტრიქონი კინკლოსის სტრიქონების გასწვრივ, II—ასწვრივი, III—V სტრიქონი—დასწვრივ, წინა მინაწერების ხელით, შდრ. „ქრ.“, II, გვ. 378—379, სადაც ეს ხელნაწერი არ არის მოხსენებული და ამავე ცნობების, ამავე რედაქციის წყაროდ მოხსენებულია: „ეკ. მუხ. პარაკლიტონი, № 49“—და „წა-ა გი“-ს გულანი“.
8. სკგ[1535]. „მურჯახეთის ომი, ქრისტიანეთა წაზდენისა მიზეხი...“
გვ. 12, იმავე ხელითა და მეღნით, როგორითაც დაწერილია მინაწერები № 4, 6 და 13 და სხვ. მარცხენა ნაპირზე, პირველი და II სტრიქონი გასწვრივ, დანარჩენი—დასწვრივ. შდრ. თ. უორდანია, „ქრ.“, II გვ. 381—382.
9. სკგ.[1535]. „აქა შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატი და ათაბაკი ყვარყვარე ახალქალაქს და გაემარჯვა მეფეს; ველთ-დარჩა ყვარყვარე და მისი-ლაშქარნი და დაიპყრა ძემან ალექსანდრესმან სქრულიაქ საათაბაკო.“
12 გვ., წინა მინაწერისაგან განსხვავებული ნუსხურით, მარჯვენა, კიდეზე, ასწვრივ. შდრ. თ. უორდანია, „ქრ.“, II, 382.
10. ხდ.[1536]. „აქა არის წელიწადი ზღდიათს ოცდაროი, ვიდრე აქამომდე.“
12 გვ., წინა (9) მინაწერის ხელითა და მეღნით, დასწვრივ, მარჯვენა კიდეზე.
შდრ. თ. უორდანია, „ქრ.“, II, გვ. 382, სადაც ჩვენ ვხედავთ, რომ მსგავსი მინაწერი ყოფილა, ორი ხელნაწერის მინაწერებში: „წა-ა გიორგის გულანი“ და ეკლ. მუხ. № 42-ში.
11. ხლგ[1548]. „აქა დაიჭირა მეფემან ბაგრატი ლეონ დადიანი.“
13 გვ. I სტრიქონი გასწვრივ, II—III-ასწვრივ, იმავე ხელითა და მეღნით.
12. ხლმ.[1550]. „და გაიპარა და მოვიდა შინა.“ წინა (№ 11) მინაწერის გაგრძელების სახით, ხლმ ქრონიკონის გასწვრივ. შდრ. თ. უორდანია, „ქრ.“, II, გვ. 389 და 391.
13. ხმდ[1556]. „აქა დაჯდა ტზეკრად ბახულარი წყმედისძე მამა საბა.“
13 გვ. № 4, 6, 8. მინაწერის ხელით, მარჯვენა ნაპირზე, შდრ. თ. უორდანია, „ქრ.“, II, გვ. 399.
14. ხნგ, [1568]. „აქა იყო დიდი ჟამი იმერეთს. ამავე ქორანიკონსა, თესა იენისსა კდ გაურისხდა ღმერთი ხოსროსა, ვახტანგის შვილსა. უღალატა მეფეს გიორგის, ძესა ბაგრატიასა, ტყვე იქმნა ძმისწული მეფისა, ძე კოსტანტინესი. განერა მეფე სწვიდობით.“
გვ. 14, მარცხენა ნაპირზე, სწორი ნუსხურით, რომლითაც დაწერილია მინაწერების უდიდესი ნაწილი (№№ 5, 7, 9, 10, 11—12. და სხვ.).
თ. უორდანიას „ქრონიკების“ II წიგნში. გვ. 411. ეს ცნობები სხვა წყაროების—„გელათის გულანი“, „ჟამნი № 3“—მიხედვით არის შეტანილი და N—252 ხელნაწერი მოხსენებული არ არის.

15. სმ [1579]. „აქა ლალა თაშა გამოვიდა“.
გვ. 14, № 4, 6, 8, 13 მინაწერების ხელით, მარცხენა ნაპირზე.
შდრ. თ. ჟორდანიას, „ქრ.“ II, გვ. 418.
16. „(ამავე თარიღით, წინა მინაწერის ხელით) „ესე არს აწინდელი ქკნი, რომელსა დაიწერა.“ მარცხენა ნაპირზე, დასწვრივ.
შდრ. თ. ჟორდანიას, „ქრ.“ II, გვ. 418.
17. სო [1582]. „აქა მან უჩარს ულალატეს ფაშებმა“.
იმავე 14 გვ. მარცხენა ნაპირზე, წინა მინაწერის ხელით (№№ 4, 6, 8, 13, 15, 16).
შდრ. თ. ჟორდანიას, „ქრ.“ II, გვ. 421).
18. სოდ 1586 „აქა ელენე დაიბადა ახალციხელი.“
15 გვ., მარჯვენა ნაპირზე, ლაშაზი მხედრულით. შდრ. თ. ჟორდანიას, „ქრ.“ II, გვ. 424.
19. სოე [1587]. „აქა დაიკირეს სამცხეისმა ელთა“.
15 გვ. მარჯვენა ნაპირზე, № 4, 6, 8, 13, 15, 16, 17 მინაწერების ხელითა და შეღწით.
თ. ჟორდანიას ეს მინაწერი გამორჩენია.
20. სოზ[277 + 780 = 1057]. „ამა ქორონიკონსა დავით აღმაშენებელს ზელათი და უწყია და ქკნი მობრუნებული არი.“
15 გვ., მარცხენა კიდებზე, I, III, IV სტრიქონები გასწვრივ (პირველი—თავდაღმა), II სტრიქონი ასწვრივ, მინაწერების უმეტესი ნაწილის ნუსხურით. შდრ. თ. ჟორდანიას „ქრ.“ II, 426 გვ.
21. სოთ [1591] „აქა შამოება მეფე როსტომს და დიანს და გაემარჯვა მეფე როსტომს და დაიპყრეს ქართველნი[!]“.
15 გვ., მარჯვენა ნაპირზე, წინა მინაწერის ხელით. შდრ. თ. ჟორდანიას, „ქრ.“ II, გვ. 427.
22. სბთ [1601]. „აქა დაიპყრა სრულებით დუვალეთ-ოსეთი და აღიღო ციხე და სოფლები მეფემან როსტომ, იმერეთისამან.“
15 გვ. წინა მინაწერის ხელით, მარჯვენა ნაპირზე. შდრ. თ. ჟორდანიას, „ქრ.“ II, გვ. 432.
23. სბა [1603]. „აქა ელენე კახ მეფემან წაიყუანა“.
15 გვ. მარჯვენა ნაპირზე, № 18 მინაწერის მხედრული ხელით.
შდრ. თ. ჟორდანიას, „ქრ.“ II, გვ. 433.
24. ტკე [1637]. „აქა საფრიძე გედეონ მტბევარს[!] დაჯდა.“
17 გვ., მარცხენა კიდებზე, დასწვრივ, № 4, 6, 8, 13, 15, 16, 17, 19 მინაწერების ხელით. შდრ. თ. ჟორდანიას, „ქრ.“ II, გვ. 452.
25. ტკე [1637]. „აქა მიიკვალა მეფე გიორგი იმერეთისა. ძემისი, დიდი ალექსანდრე, მეფედ დაჯდა.“
17 გვ. მარჯვენა ნაპირზე, მინაწერების უმეტესი ნაწილის ხელით (ნუსხურით). შდრ. თ. ჟორდანიას, „ქრ.“ II, გვ. 452.
26. ტლმ [1640]. „აქა საფრიძეს მტბევარს იშხნელობა და მ[ა]წყვერლობა მოუვიდა ხვანთქრისგან.“
18 გვ., მარჯვენა ნაპირზე, № 4, 6, 8, 13, 15—17, 19, 24 მინაწერის ხელით, დასწვრივ, II სტრიქონი—თავდაყირა, გასწვრივ.
თ. ჟორდანიას. „ქრონიკებში“ (II ტ.) ეს ცნობა ვერ მოიძებნა.
27. ტმპ [1654]. „აქა მიიკვალა დიდი მამუკა, ბატონიშვილი იმერეთისა. დადიანმა ლეონ დაშავა და იქვე მიიკვალა.“
18 გვ., მარცხენა ნაპირზე. პირველი სტრიქონი — გასწვრივ, დანარჩენი ორი—ასწვრივ; წინა მინაწერის ხელით. შდრ. თ. ჟორდანიას, „ქრ.“ II, გვ. 468.
28. ტმგ[1658]. „აქა შემოებენ მეფეს ალექსანდრეს ბანძას და დიანს. ლიპარი, გურიელი ქაიხოსრო, ფართ-ფაშა; დადიანს ქართველი ლაშკარი მეფე როსტომ ათხუვა. მეფეს ალექსანდრეს გაემარჯვა.“
18 გვ., I სტრიქონი დასწვრივ, მარცხენა ნაპირზე; დანარჩენი—გასწვრივ, ქვემო ნაპირზე, მინაწერების უმეტესი ნაწილის ხელით.
შდრ. თ. ჟორდანიას, „ქრ.“ II, 470.

29. ტმზ[1659]. „აქა მიიცვალა ყოველთა მეფეთა მჯობი დიდი მეფე ალექსანდრე იმერეთისა.“
18 გვ. მარცხენა ნაპირზე, წინა მინაწერის ხელით. შდრ. თ. ჟორდანი, „ქრ.“, II, 475.
30. ტნა[1663]. „აქა მოვიდა ლეონ დადიანი და შამოება მეფეს ბაგრატს ქუთათის, აწქილახის საყდარს უკან. და მეფეს ბაგრატს გაემარჯვა.“
18 გვ. წინა მინაწერის ხელით, მარცხენა ნაპირზე.
შდრ. თ. ჟორდანი, „ქრ.“, II, 481.
31. ტნე[1667]. „აქა მიიცვალა ლევან დადიანი.“
19 გვ. მარჯვენა ნაპირზე, წინა მინაწერების ხელით.
შდრ. თ. ჟორდანი, „ქრ.“, II, 484.
32. ტნვ[1668]. „ამა ქქქსა ფაშამ ჩამოიყვანა კახბატონის ქალი დარიჯან დედოფალი. გააბატონეს, მაგრამ ქუთათის ლეჩხუმლებმა მოკლეს და ისევ ბაგრატს დარჩა მეფობა.“
19 გვ. მარჯვენა ნაპირზე. წინა მინაწერების მსგავსი ხელითა და განსხვავებული მეღნი. შდრ. თ. ჟორდანი, „ქრ.“, II, გვ. 485.
33. ტძბ[1674]. „აქა დაესხა ქუთათის მეფე ბაგრატს ასან ფაშა, გურიელი გიორგი და შეება მეფე და ფაშას გაემარჯვა. წვრილი კაცი დაწოცეს და ცხენოსანი კუხთაშიდ გარდაყარეს.“
19 გვ. მარჯვენა ნაპირზე, მინაწერების უმეტესი ნაწილის ხელით.
შდრ. თ. ჟორდანი, „ქრძბ.“ II, გვ. 488.
34. ტძთ[1681]. „აქა მიიცვალა მეფე ბაგრატი იმერეთისა, ძე ალექსანდრესი. ვად, მემკვდრე ბატონის გარდაშენება.“
19 გვ. მარჯვენა ნაპირზე, წინა მინაწერის ხელით. შდრ. თ. ჟორდანი, „ქრ.“, II, გვ. 495.
35. ტობ[1684]. „აქა როკითს მეფეს ალექსანდრეს გურიელი გიორგი შამოება და მეფეს გაემარჯვა.“
19 გვ. ქვემო ნაპირზე, გასწვრივ, წინა მინაწერის ხელით. შდრ. თ. ჟორდანი, „ქრ.“ II გვ. 499.
36. ტოთ[1691]. „აქა შამოება გოდოგანს მეფე არჩილსა, მეფე ალექსანდრე და გაემარჯვა არჩილ მეფეს.“
20 გვ. მარცხენა ნაპირზე, წინა მინაწერის ხელით. შდრ. თ. ჟორდანი, „ქრ.“, II, გვ. 512.
37. ტპა[1693]. „ამა ქქსა მიიცვალა კბლი ბატონის შვილი მარიამ. ყოვლითა სიკეთითა გასრულებული. — უფალო! მოიხსენე სასუფეველსა შინა ცათასა ახალციხეს!“
20 გვ. მარცხენა ნაპირზე, დასწვრივ, ლამაზი მხედრულით, № 18 და 23-ის ხელით.
38. ტუბ[1704]. „აქა ეკურთხა მონაზვნათ ბაგრატ იმერეთის მეფის ასული თინათინ. იყო წლის კვ.“
20 გვ. მარჯვენა ნაპირზე. მინაწერების უმეტესი ნაწილის ხელით.
39. ტუზ[1709]. „აქა დეკენბერსა შამოებენ მეფე გიორგის მაღლას დადიანი გიორგი, ოდიშარი თანა ახლდა ემ[?], ზოგიერთი იმერლებიც თანა ახლდენ. და მეფეს გიორგის გაემარჯვა.“
21. გვ. მარჯვენა ნაპირზე, წინ მინაწერის ხელით.
40. უთთ[1731]. „აქა მიიცვალა მარიამ დედოფალი, დადიანის ასული, მეფე ალექსანდრეს მეუღლე.“
22 გვ. მარცხენა ნაპირზე, მეორე სტრიქონი ასწვრივ, მესამე და მეოთხე—თავდაღმა, ზემო ნაპირზე, გასწვრივ; წინა მინაწერის ხელით.
41. უკ[1732]. „აქა გაემარჯვა მეფე ალექსანდრეს ჩიხორს; ოტია დადიანი დაიჭირეს, რაჭის ერისთავი და აბაშიძე გაიქცა.“
22 გვ. მარცხენა ნაპირზე, წინა მინაწერების ხელით.
42. ულთ[1751]. „აქა მიიცვალა მეფე ალექსანდრე.“

43. უმე [1758]. „აქა გაემარჯვა ხრესილზედ მეფე სოლომონს; და დიანო თან ახლდა, ახალციხისა და აქარის ჯარი სულ იყო; ერისთავი, აბაშიძე, წულუკიძე ახლდენ. [გ]ოლაფაშა დაირჩინეს; აბაშიძე მოკლეს; წულუკიძე დაიჭირეს; თათარი გასწყვიდეს და ზოგი ცოცხალი შეიპყრეს.“

23 გვ., მარჯვენა ნაპირზე, წინა მინაწერების ხელით.

44. უნზ[1768]. „აქა ერისთავი წახდინა მეფე სოლომონ ჩლოგ.“

24 გვ. მარჯვენა კიდებზე, მეტად მკრთალი მელნით, მხედრულით.

45. უნზ[1769]. „აქა რუსი მოვიდა იმერეთს.“

24 გვ. მარცხენა ნაპირზე, წინა მინაწერების ხელით.

46. უნცი[1770]. აქა რუსის ჯარმან და მეფე სოლომონ ქუთათის ილიეს ფერისცვალებას.

47. „ „ ამავე წელსა, ბაღდათი, შორაპანი და ცუცხეთი ილიეს.“

იქვე, წინა მინაწერების ხელით.

48. უაბ[1774]. „აქა გაემარჯვა ჩხერს მეფე სოლომონს; ხუთიათასი ლეკის და თათრის ჯარი იყო; აბაშიძე ჩამოჰდღვა; თათარი და ლეკი სულ გასწყვიტეს და აბაშიძე გაიქცა.“

24 გვ. მარჯვენა კიდებზე, პირველი სიტყვა გასწვრივ, დანარჩენები დასწვრივ; წინა მინაწერების ხელით (მინაწერების უმეტესი ნაწილის ხელით).

49. უაბ[1776]. „აქა მიიცვალა მეფის ძე, კათალიკოზ-გაენათელი იოსებ.“

24 გვერდზევე, მარცხენა ნაპირზე, წინა მინაწერის ხელით.

50. უაგ[1778]. „აქა მიიცვალა დედოფალი მარიამ.“

იმვე 24 გვ., მარცხენა ნაპირზე, იმავე ხელით.

51. აჟ[1780]. „აქა გაემარჯვა მეფე სოლომონს. და დიანი კაცია, თან ახლდა რუხვს. აფხაზი, ჩერქეზი, თათარი თერთმეტი ათასი კაცი იყო, გააქციეს, ამოსწყვიტეს და მრავალი ცოცხალი შეიპყრეს.“

24 გვერდზევე, წინა მინაწერების ხელით, მერვე სტრიქონი დასწვრივ; მეცხრე — გასწვრივ, ქვემო ნაპირზე.

52. უობ[1784]. „აქა მიიცვალა ქრისტეანობისა ნათელი, მეფე სოლომონ.“

24 გვერდზევე, უკანასკნელი მინაწერი ნუსხური მინაწერების უმეტესი ნაწილის ხელით.

შენიშვნა: 1. მინაწერი დაწერილია უობ ქრონიკონის გასწვრივ, მარცხენა ნაპირზე, გასწვრივ.

2. ამ ხელით, XVIII საუკუნის სწორი ნუსხურით. ყოველი მინაწერის სიტყვა „აქა“-თი დაწყებით, ამ სიტყვის პირველი ასოს — ა-ს სინგურით დაწერით, არის შეტანილი ხელნაწერის კინკლოსის სათანადო ქრონიკონის გასწვრივ ცნობათა დიდი უმეტესობა. 1510 წლიდან მოყოლებული 1784 წლამდის (იხ. გვ. 11 — 24), ეს იგი XVI საუკუნის დასაწყისიდან XVIII ს. 80-იან წლებამდის.

3. ამ ხელითვე უნდა იყოს დაწერილი კინკლოსის მთელი ცხრილ-ცხავი და სათაური (სინგურით).

4. ამის მიხედვით კინკლოსის მინაწერები, შესრულებული ხსენებული ხელით (№№ 1, 2, 3, 5, 7, 9, 10, 11—12, 20, 21, 22, 25, 27, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 36, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51), დაწყებული 1444 წლით, გათავებული 1784 წლით, დაწერილია ერთი ხელით, XVIII ს. II ნახევარში.

ცხადია, ძველი ცნობები გადმოწერილი უნდა იყოს სხვა წყაროდან და S—252-ს ქრონიკები მთლიანად პირველ წყაროდ ვერ ჩაითვლება.

53. უოზ[1789]. „აქა არჩილის ძე სოლომონ მეფე იქმნა იმერეთისა, იულისის თუეს.“

25 გვ. მარჯვენა ნაპირზე, მკრთალი, მღვრიე მელნით, მხედრული ხელით, რომლითაც დაწერილი ჩანს ყველა დანარჩენი მინაწერი.

54. „ოპ“ [1795]. „აქა მეფე დავით მიიტტალა ახალციხეს.“
იმავე 25 გვ. მარჯვენა ნაპირზე, წინა მინაწერის ხელათ.
55. „ჟოდ“ [1796]. „აქა ხოჯა-ყაენი მოვიდა ტფილისს.“
იმავე 25 გვ., მარჯვენა ნაპირზე, წინა მინაწერების ხელითა და მელნით.
56. „უბე“ [1797!!]. „აქა მეფე ირაკლი მიიტტალა.“
იმავე 25 გვ. მარჯვენა ნაპირზე, წინა მინაწერების ხელითა და მელნით.
57. „უბთ“ [1801]. „აქა მეფე ქართლისა გიორგი მიიტტალა.“
იმავე 25 გვ. მარჯვენა ნაპირზე, იმავე ხელითა და მელნით.
58. „უჟა“ [1803]. „აქა ლეჩხუმი აილო მეფე მეორემ სოლომონ.“
წინა მინაწერის ქვემოთ, იმავე ხელითა და მელნით.
59. „უჟგ“ [1805]. „აქა პირველად რაქას ჟამი იყო.“
წინა მინაწერის ქვეშ. იმავე ხელითა და მელნით.
60. „უჟშ“ [1810]. „აქა რუსთა დაიპყრეს იმერეთი.“
26 გვერდის მარცხენა ნაპირზე, წინა მინაწერების მხედრული ხელითა და მკრთალი, მღვრიე მელნით.
61. „უჟთ“ [1811]. „აქა ახალციხეს შემოადგა [ხი?].“ წინა მინაწერის ქვემოთ, იმავე ხელითა და მელნით.
62. „ჟ“ [1812]. „აქა ბუონაპარტე შევიდა მოსკოვშიდ და რუსთა განდევნეს.“
„შემდგომად სამეფოდ და ხუთსამთავროდ განყოფისა ცხოვრება და ქმნულეება მეფეთა ქართლისათა. დასაბამითგან: რომელსა ჭიჭი, ბერძულსა ხმოვ, ქრისტეს აქათ ჩუაჲთ, ქართულსახუთასიანს ქორთიკონსა რწჲ, ინდიკტიონსა ბ. მეფობა ბ. — ხოლო შემდგომად მეფის გიორგისა დაჯდა ძე მისი კოსტანტინე. არამედ ვინათგან გამეფდა ბაგრატ იმერეთს...“ 207v—286r.

შდრ. „საქართველოს ცხოვრება“. ხ. ჭიჭინაძის გ-მა. თბ. 1913. გვ. 16—145.

2. ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს მეფობის თხრობა ამ სახით არის წარმოდგენილი ნუსხაში: „მეფობა ოთხმოცდამეთხრამეტე. მეფე იესე. აწან ოთხი წელი იმეფა ტფილისს, ქუეს აქათ ჩიდი. ქართულსა უბ. — ხოლო იყო მწნე, ახოვანი, ჰაეროვანი, მოწყალე, უხვი, მალალთა და მდაბალთა მიმცემი. ლხინ-სიხარულთა, განცხრომათა მოყვარე. სამდგდელთა პატივისმცემელი. და დალოცეს ყოველთა ქართველთა და გარდაყარს ოქრო და ვეცხლი მრავალი დიდებულთა და წარჩინებულთა ყოველთავე. არამედ ესე წესი ძველადვე იყო საქართველოსი და უყოფდიან ესრეთ ყოველთა მეფეთა, ხოლო ყაენისაგან აღიყულისანად წოდებულნი და იყო ესე ფრიად მოქცეული მამადიანობასა ზედა...“ 269 r-v.

(ამის ქვემოთ — გამოქვეყნებული ტექსტისამებრ და შემდეგ ისევ განსხვავებულია:) „მიუწერა მეფემ იესემ და ყოველთა ქართველთა წარჩინებულთა, ყაენსა... ხოლო იესე მეფე, მშვებელი და... შექცეული ლხინ-სიხარულთა და გაცემათა და მღერათა, გარნა მქცევი დიდებულად. ხოლო სიკაბუითა და ამაყობითა წაჰგვარა ცოლი დედის ბიძასა თუსსა ქაიხოსრო ამირეჯიბსა. ბებინს ძმისწული თუსი, ასული ერასტი მდივანბეგისა და ჯავა. იგი ხარჭად. და მოიყვანა... ყაენის ბრძანებით და მოთხოვით მეფის ირაკლის ასული... მოვიდა ლუარსაბ [სასაბეტი]... წინაშე მეფე იესესა საგარეჯოს, არამედ ესეცა [?] მოიქცა უქმი... წარმოავლინა ბტარვალი ყაენმართა შეიპყრას იესე მეფე...“ გვ. 269r—270v. შდრ. ჭიჭინაძის გ-მა, გვ. 120—122

შდრ. H—1381 ხელნაწერი, რომლის ტექსტიც აქედან (S—281) უნდა მომდინარეობდეს. იხ. H კოლექციის „აღწერილობის“ III ტ. თბ. 1948, გვ. 341. საყურადღებოა, რომ იესეს ეს გადაკეთებული დახასიათებაც არ ჩაუთვლია დამაკმაყოფილებლად ვიღაც მკითხველს და კიდევ მიუწერია: „გრცხვეიოდეს, გარდამწერო! დედანშებ ცოლი სწერა, რომლისა მახსოვარნი დღესაც არიან. თავადის ქალი სხვას ვის სჯდომოა ზასად!“

3. როგორც ეს ე. თაყაიშვილს აქვს აღნიშნული (ОПОП, ტ. II, გვ. 681) S—281 ხელნაწერის ნუსხა ზანსხვადედა ვახუშტის ნაშრომის სხვა ნუსხებისაგან: 1. ამ ხელნაწერში „ქართველ მთარგმნელთა“ შესახებ ცნობები სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვაგვარად აქვს შეტანილი, 2. აქ არის ისეთი ცნობები, რომლებიც არ მოიპოვება სხვა ნუსხებში (ხოც მათგანი, უმკველია, არც ვაჭთენის ვახუშტის—ე. თაყაიშვილის აზრით).

უფრო დაწვრილებით აქვს აწერილი ე. თაყაიშვილს ეს ხელნაწერი „არქეოლო-
გიური მოგზაურობის“ პირველ წიგნში (ტფ. 1907). გვ. 96—100.

4. ვახუშტის ტექსტს დაართული აქვს:

ა. „ხოლო ესე ქართლის ცხოვრება პირველვე მეფეს ვანტანგს თვთვე-
თებინა ქართლს მყოფობასა და მერმე რუსეთს ძველთა გუჯრებთა და ცხოვრებათა
და მოხუცებულ მახსოვარ-მეცნიერთა საქართველოს კაცთაგან დიდის გამოკვლე-
ვით და გამოძიებით გულსმოდგინედ ეკეთებინა, რომ საქართველოს ცხოვრება ნოეს
შვილის იეფეთის(!) ქართლოსიდან აქამომდე რა როგორ ყოფილა, ან მეფენი ვინა
მსხდარან და ან რა ჟამები და დრონი ყოფილან. ბატონის შვილის ვახუშ-
ტის თანხლებით ეკეთებინა და აღარ დასცალბობოდა თანამედრობისაგან სიკვდი-
ლისა. მერმე, მეფე რომ ასტრახანს გარდაცვალებულიყო, ბატონის შვილს ვახუშტის
შეესრულებინა და არს აქ მეფის ირაკლისამდე, და ამას იქით, რაც იქმნას ქვეყანასა
ამას საქართველოსა შინა, მატიანეთა მწერალთ აღწერონ.“ ტექსტის ხელით, 287r-ს
პირველ თორმეტ სტრიქონზე (დანარჩენი სტრიქონები დაუწერელია).

ბ. „მეფეთა ყოვლისა ივერიისათა, ანუ საქართველოსათა,
გინა გიორგიისათა, რომელთა ესე სამინი სახელნი ერთ სა-
ხელად ქვეყანასა ამას ეწოდა ყოველთა საქართველოთა, და
ვინცა პირველითგანვე მეფენი იყვნენ, აწამას ქვეით აღიწე-
რება რიცხვთ, ვითარ რამდენნი წელნი იმეფეს და იცხოვრნეს
ქვეყანასა ამას:

	რიცხვი მეფეთა და სახელი	იმეფა წელი	დასა- ბამით- გან	ქრის- ტეს აქეთ	ბერძულსა	ქარ- თულსა
ა	მეფე ფარნაოზ	სამ,გე	ქქე%		ქ'ხვ	ფიდ
ბ	მეფე საურმაგ	ოე	ჩღპს(?)			
გ	მეფე მირვან	ნ	ძელს			როზ
დ	მეფე ფარნაჯობ	ით	ძენვ			რჟა
ე	მეფე არშაკ არშაკუნინი	იბ	ძყდშ			სგ
ვ	მეფე არტაგ	იე	ძყოგ			სიშ

288r—290r.

თავდება: „უღ—უფ მეფე ბაქარ ვ წელი იმეფა და მეფე ვანტანგ მოვიდა
სპარსეთიდან ქ'ეს აქათ ჩღვ, ქართ. უშ. იმეფა ქართლს ყოფაში დ წელი და წარ-
ვიდა რუსეთს ქ'ეს აქათ ჩღვდ, ქართულ: უიბ.

ხოლო ოსმალთ დამპყრეს ქართლი და ფაშები მრავალნი გამოიცვალნენ მეფებად
და ბატონებად და აოჭრებდენ ქართლს. ხოლო შანადირის ჟამს ხანები სხდებოდენ
და უმეტესი მწუხარება და ჭირი იყო ქართლსა შინა.

ქ.ზ. ხოლო მოსცა მეფეს თეიმურაზს შანადირ ქართლი და ძესა
მისსა მეფობა კახეთისა, ქ'ეს აქათ ჩღმდ, ქართულ უღბ, ხოლო წარვიდა რუსეთს,
მეფე თეიმურაზ ჯელმწიფეს იმპერატრიცას ელისაბედ პეტროვნას
წინაშე, თვესა აპრილსა ა, ქ'ეს აქეთ ჩღდ, და მიიცვალა სანქთპეტრებურსს, წელსა
ჩღდბ, თთვესა იანვარსა-შ. და წარმოიღეს და დამარხეს ასტრახანს, სობოროში,
ხოლო ძესა თუსსა, მეფეს ირაკლის დაუტევა ქართლი და ჰგვის, ადიდნეს
ღმერთმან და სუფევითამცა იყოს უკუნისამდე.“ „ხოლო შემდგომად უკმოიქცა რუ-
სეთიდან, დიდის ბატონით მიღებული დიდს იმპერიაში და რუსეთის ეპარხია ერ-
წმუნა ვლადიმერისა კათალიკოზ-პატრიარხს ანტონის, მეფის ძეს. და
მოვიდა ძმასა მისსა მეფეს ირაკლის თანა სიყვარულითა მისითა წელსა ჩღდდ, ქარ-
თულსა უნა.

ხოლო ცხოვრებს ქართლსა შინა, თუსსა ტახტსა ზედა საპატრიარხოს მრწმუ-
ნებელი.“

ანდერძი (გადამწერისა): „მაღალა შვილის ნიკოლოს მდივნის ნაწერს
დედაზე გარდავსწერე წელსა ჩღოდ 1774, თთვესა იანვარსა კდ. სანკტპეტერ-
ბურსს...“ 291 r.

აბბატი მილოტი, ყოვლად ზოგადი ისტორია. I. 1833

194 გვ.; 21 × 17,5; ქალაქი (მეტად მდარე ხარისხისა); მუყაოს ყდა; მხედრული [1883]; თარგმნილი რუსული თარგმანიდან იესე გარსევანიშვილის მიერ, დავით; დადიანის დავალებით. დავით დადიანის წიგნთსაცაიდან.

„აბბათ მილოტი“, „ყოვლად საზოგადო ისტორია“. ძველი ისტორია. ნაწილი პირველი. ზოგადნი შესწავებანი ძუშლთა ერთათვის.—ძუშლნი გამოწვევნი დიდითა ნაწილითა მოუთხრობენ ესევეთარისა დროსათვის, რომელსა შინა პირველნი კაცნი განთესულნი ჰრონიებდნიან მალნარებად, გარემოცულნი საშიშოებითა...“ გვ. 23—189.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „ყოვლად ზოგადი ისტორია. ძუშლი და ახალი, დასაბამით სოფლისათ ვიდრე აწინდელ ჟამამდე. რომელი იპყრობს პირველთა ოთხთა ნაწილთა შინა ისტორიასა ეგვიპტელთა, კიტაელთა, ასსურთა და ბაბილონელთა, ფინიკიელთა, ებრაელთა, მიდთა და სპარსთა, ჰინდთა, სკვითთა და [კელტაჲ?]. ბერძენთა, ჰრომთა და კართაღნელთა, შერატამებითურთ ზოგადთა სხალითა სხვათა ძუშლთა აზის ერთათვის; ხოლო შემდგომთა ნაწილთა შინა ყოველთა იმპერიათა, საკოროლოთა, საზოგადოებათა და სხვათა სამფლობოთა, აწე ვეროპასა შინა საცნაურთა.

თხზული აბბათ მილოტისი.

თარგმნილი ჭრანცუხთა ჯმათაგან რუსულად და მიერ ქართულად იასეს მიერ გარსევანოვის, მღვდლისა. ნაწილი პირველი. მოსკოვი. სტამბასა შინა სელივანოვსკისასა. ათას რვაას მეცხრამეტე წელსა.“ გვ. 5.

ბ. „წინასიტყვეობა მთხზულისა.“ 7—9.

გ. „მოკლე წინადადება დასაბამითობითისა განცხადებისათვის... საეროდ განცხადებულისა ავტორისა მიერ ჩლდგ-სა წელსა.“ 10—14.

დ. „შეყუანილება“ 15—22.

2. თარიღი დადგენილია S—283 ხელნაწერის (იხ. აღწერილობა) დავით დადიანისეული ბინაწერის მიხედვით

ბინაწერები: 1. (მთარგმნელისა): „უგანათლებულესო სქესო! მბაძაჲ-ქმნილი ძუშლთარე უერთსულესად, ეპაწადნიო მირთუმად ნამხარკევისა ამის თქუშნისა მაგის მაღალშობილებისად, ვითა კმად მეცნავ აღრითუშ სიბრძნისა მიმართ მისურუშნისა თქუშნისა, რუ ესე ბრძენთა არს-ყუ სა[ჩუვთო], ვითარმედ საბუნებოსა ენასა მაკეთ-ჰყოფენ დაუესოითა[?] შტრეულობითა თვისითა, რომელსა ესე ცხად-ვიდრემე ვმხედვაროი გათქუშნშორისებულად და მეცა ესთაჲ ჯელ-ვჰყავ უცხოთ ჩუშნურსეა გარდომილ-ქმნად, რათა ამის ძლით იწულილ-წელავნოთ, თუ რაასა და ვითაობითის სარგოასა შემომნიეთე არს წინამდებარე ესე შრომა.

მიირთუ ესე და დასძინე სახარტოფილაქსოსა თქუშნსა, წინად უსაგულის-თქმოვისსა ჩემისა თქუშნდა მიმართისა მონებრ მსახურებისა. თქუშნი ღ[მრ]თისად მვედრი უღირსი მღვდელი იესე გარსევანოვი“ გვ. 3.

2. მომგებლის დავით დადიანისა: „მე პირველად ვათარგმნინე [საფასითა ჩემითა—წაშლილია] ქართულსა ზედა ენასა ყოვლად საზოგადოად ესე ისტორია მეოცესა წელსა შინა შობილგან ჩემისა. სამენგრელოას სამთავროს მემკვიდრე დავით დადიანი პირველი.“ გვ.1.

3. იმავე დავით დადიანისა: „ვათარგმნინე ათსამეტი ტომი ამა ისტორიისა, რომელსა სახელ-უდების ყრდ საზოგადოად ისტორიაჲ, დასაბამილად სოფლისა, ვიდრე 1818 წელამდე. სამენგრელოას მემკვიდრე დავით დადიანი.

ნამდვილ არს ესე.“ გვ. 189, ტექსტის ბოლოს.

(282)

283

აბბატი მილოტი, ყოვლად საზოგადო ისტორია. II. 1833

210 გვ.; 22,5 × 17,3; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1833 წ. (გვ. 1); თარგმნილი რუსული თარგმანიდან იასე გარსევანიშვილის მიერ დავით დადიანის დაკვეთით. დავით დადიანის წიგნთსაცავიდან. დაუწერელია 203—210 გვ.

„აბბატი მილოტი“, „ყოვლად საზოგადო ისტორია. განგრძობა ბერძენთა ისტორიისა. ნაწილი მეორე. თავი მეხუთე. აღეზილათ აზიასა შინა. მას მიუწოდებენ. სარცხუნუღი შეთქმა სპარსთა თანა. საზოგადოობა თიბაქსა, ვიდრე ლევეკტრიულ წყობადმდე. — გამოსაყუანებელად დიდთა ვიდრემე წინამიღებათა არარად ესდენ განკცხოვლებულ-ჰყოფს, ვიდრე დიდება დიდთა საქმიერებათა...“ გვ. 4—202.

თავდება: „დასასრული მეორისა ტომისა“.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის რუსული გამოცემის სწორედ ისეთივე თავფურცელი, როგორც I ტომს. (იხ. წინა ხელნაწერის—№ 282—აღწერილობა, შენიშვ. 1, ა). I ტომისაგან განსხვავებით აქ ვკითხულობთ:

„თხზული აბბატი მილოტისა. ნაწილი მეორე“

მინაწერი: „მე პირველად ვათარგმნივე საფასითა ჩემითა ქართულსა ზედა ენასა ყდ საზოგადოად ესე ისტორია მეოცესა წელსა შინა შობილგან ჩემისა.“

სამეგრელოს სამთავროს მემკვიდრე დავით დადიანი პირველი. წელთა განხორციელებითგან უფლისა 1833“. გვ. 1.

(283)

284

უბნობანი შორის გამომცდელისა და დარწმუნებულისა. 1820.

I—III 154 გვ.: 20 × 17; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით, ზოგან ასომთავრულით; 1820 წ.; გადამწერი: ოსე გაბაშვილი; თარგმნილი რუსული თარგმანიდან; ადგილი: [თბილისი], საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა (151 გვ.); დაუწერელია: 152—154.

„უბნობანი შორის გამომცდელისა და დარწმუნებულისა მართლმადიდებლობისათვის ქრისტიანებრისა. — გამომცდელისა: მე ვეძიებ ქეშმარიტებასა. მე მსურის ყოფად ქეშმარიტსა შინა ქრისტიანებრისა ეკლესიასა. მე მსურის მიმთხუცეად ცხოვრებისადმი.“

დარწმუნებულისა: უკეთეს სურვილნი ესე წრფელ არზან, მაშინ თუ უფალი მოგიგებს შენ: „მე ვარ გზა...“ 3—151.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის:

3: თავფურცელი, დაწერილი სინგურით: „უბნობანი შორის გამომცდელისა და დარწმუნებულისა მართლმადიდებლობისათვის აღმოსავლეთის ბერძენთ-როსისის ეკლესიისა, თანადართვითა გადმოწაწერისათა საზოგადოადსა—გან ეპისტოლისა ფოტი კოსტანტინუპოლის პატრიარხისა აღმოსავლეთის საპატრიარქოთადმი საყდართა. ნებადართვთა უწმიდესის ნმართველის სინოდისათა. 1818 წელსა.“ გვ. 1.

- ბ. „წინასწარ-უწყება,“ 1—2.
 ანდერძი (გადამწერისა): „იფარგმნა რუსულთი საქართველო-იმერეთის უწმიდესის სინოდის კატორასა [!] შინა.
 აპრილის 2-სა დღესა, 1816-ს წელსა.
 გარდმომწერელი: ოსე და ბაბევი, ივლისის კა. წელთა ჩუკ.“ გვ. 151.
 მიწაწერები: 1. ტექსტში დაშვებული შეცდომისათვის—95 გვ.: „მარკოზ“ მოხსენებულია ტექსტში იმპერატორად;
 „მარკოზ ეფისკოპოსმან და არა იმპერატორმან... შეუნდოთ შეცდომა... მწერალსა, ვითარცა კაცსა. ოქროპირ მღვდელსა“. გაკრული მხედრულით, 95 გვ. ქვემო კიდევუ.
 2. „გეგნათ, თუ [შევირჩენდი?]; ნეტაი მომცა, რაც ქუყანახედ[!] კარგი წიგნია, სულ თქვენ მოგართათ.“ იმავე ოქროპირის ხელით, II ყდის შიგნითა არეზე.

(284)

285

ხელაშვილი იონა, ხულიერი იფქლი. 1833

XII, 116 გვ.; 21 × 17; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1833 წ. (გვ, 17).

[ხელაშვილი იონა.] „წიგნსა ამას ეწოდების იფქლი.—ვინაიდგან გელ-ჰყავთ მოწერად ჩემდა ესე-რა მესამე წელთ არს ქარტასა ზელა დატყ-ფრულნი ამბავნი კეთილნი...“ 9—112.

- შენიშვნა: 1. იონას ეს თხზულებაც, მის თხზულებათა დიდი უმეტესობის მსგავსად, დიდაქტიკური და საღვთისმეტყველო ხასიათის არის.
 2. როგორც პირველი რვა გვერდის შინაარსი გვაფიქრებინებს, იონას დარიგებანი მიმართული არიან საქართველოში მყოფ თანამემამულეთადმი („ქისიყით მე-ქუჲსენ თქუშნი შეგვედრებ თავსა“ მიმართავს იონა გლაზაკი, იერო-მონახი სოფლის ვაჭირით, პეტრებურხითგან ბოდბისხევეს ბოხორს“, გვ. 17).
 3. იონა ხელაშვილის ეს თხზულება შეიცავს ცნობებს საქართველოს სწავლა-განათლების შესახებ XVII—XIX ს. მიჯნაზე; მაგ. ა. სწავლის დაწყების ასაკად 7 წელია მოხსენებული. ბ. დაწვრილებით არის ჩამოთვლილი სასწავლო საგნები (კატეხიზისი, რიტორება, ლოღიკა, მეტაფიზიკა—ონტოლოღია, კოსმოლოღია, ფსიქოლოღია, თეოლოღია-ფისიკა, ითიკა, იკონომია, მსოფლიო ისტორია, ლეოღრაფია ასტრონომია, „არხემეტია“, მათემატიკა, არხიტექტურა).
 4. ყველაფერი ეს ღვთისმეტყველების შესწავლას უნდა დაედოს საფუძვლად; იონას აზრით, ვინაიდან „ფილოსოფია ღვთისმეტყველების მხეველია.“
 5. თხზულებიქ ბოლოში გადმოცემულია „სჯულის კანონის“ მუხლები.
 6. იონას ეს წაწარმოები საყურადღებო ავტობიოგრაფიულ ცნობებსაც შეიცავს („აჰა, ვისწავე ახალი აღთქმა და ძუღლი შევიდისა წლითგან, სახლსავე შინა მშობელთა ჩემთასა“ (მ1) და სხვ.
 6 გვ. IX—XI, 3—8 უჭირავს იონასადმი მიძღვნილ ლექსებს: „მეფის ძის იონა-ჩქესაგან“, სოლომონ რაზმაძისაგან. „მეფის ირაკლის ძის მირიანისაგან“, იონან დემეტრავილისაგან, იონან ხელაშვილისაგან, შდრ. აღწერალობა კ. 254, შენ. 8:ბ, გ, დ, ე, ვ, ო; S—267, შენ., 11, 12.
 7. „წინასიტყვაობად“ წამდგარებულია „მეფის ძის თეიმურაზისაგან თქმულნი:—ჯ. რასაცა კაცი დასთესს, მასვე მოიმკის...“ გვ. IX—XI. ეს არის გალექსილი „წინასიტყვაობა“, „იფქლისა“ და „ლეგარძლის“ მნიშვნელობისათვის, რომელიც თავდება: ზ. აჰა, წარვსთქვი ეს, მამაო, ბოხორელო, დღითა საესეო, პატიოსნებით სრულო; აღმიჩნდა შენი წერილი მიზეზად მე; მან დამატებო-ყე და დავეფერ ამად შენთს.“

8. ა. 1—2 გვ. მოთავსებულია იონა ხელაშვილის თხზულებათა ნუსხა (სულ 44 სახელწოდება), რომელიც შეესატყვისება S—267-ში აღწერილი ნუსხის 1—43-ს, რასაც № 285-ის ნუსხაში დამატებული აქვს: „მოძღურისაგან სულიერ მოწაფისა სარჩელა“—§ 42.

ბ. ხელნაწერში განმეორებით არის წარმოდგენილი ამ ნუსხის ნაწყვეტი 17-დან § 32-დის. § 32 აქ მოთავსებულია „ლოცვათა ძალისა ცნობის წიგნი“.

9. ხელნაწერის თარიღის გასარკვევად გამოყენებულია მე-17 გვ. ბოლუსტრიქონები:

„ლოცვით მსახური უკანასკნელი ნარჩევი ძმა თქმწნი, ყოველთა მკითხველთა და არა განმკითხულთი იონა, გლახაკი იერო მონაზი სოფლის ვაჭირით, პეტრებურხითგან ბოდბისხევს, ბოხოზს. წელსა ჩყლგ-ს, თთჳშსა ივლისს, ზ. მ.მ. მ. ი.“

(285)

286

ორბელიანი ბესარიონ. გრდემლი. XVIII

139 ფ.; 21 × 15; ქალაღი; ნაკლული, დაზიანებული, უხეშად რესტავირებული (ძველადვე), წითელი ტყავით შემოსილი ფიცრული ყდა კისიდან დაზიანებულია; მხედრული; ჩანამატი ადგილები და შენიშვნები ნუსხურით; XVII-ს I ნახევრისა;

[ბესარიონ ორბელიანი. გრდემლი]. „...ხოლო ესე ყოველთა მიერ საცნაურარს, რ საღთოთა წერილთა მიერ ძუშლისა და ახლისა სჯულისა მოძღურებითა სავსე არს ყოვლისა სოფლისა ეკლესიანი, ვითარცა მუშისა ბრწყინვალეებისაგან და ჰაერისა ამის განფენილისა, რომლისა მიერ აქუს ყოველთა ცხოველობა...“ 1r—139v.

წყდება: ლვ თავის (A—119 ხელნაწერის „დედათა წიღოვანთათჳს—თუ ვითარ ჟამსა მას, ოდეს იგი ბუნებითა წესსა შინა იყვნეს, საკურთხეველად აღიყვანებენ და აზიარებენ“). შემდეგ ადგილზე: „დიონოსის ებისტოლისაგან, თავი ბ.“ „ხოლო დედობრივითა წესითა სისხლმცენარეთა[!] დედათათვის, უკეთუ უღირს მათ შესლვად.“ 138v.

შენიშვნა: 1. აწერილი ხელნაწერის ტექსტი შედარებულია ტიმოთე გაბაშვილის ხელით გადაწერილ ცნობილ ნუსხასთან—A—119, რომლის 3v—340v მისდევს S—286 ხელნაწერის ტექსტს, ცოტაოდენი განსხვავებით (იხ. ქვემოთ).

2. უკანასკნელი—139-ფ. რესტავრაციის შემდეგ შეცდომით მოუთავსებიათ ბოლოში: იმისი ადგილია 134 ფ. შემდეგ.

3. უნდა ვიფიქროთ, რომ აწერილი S—286 ხელნაწერი A—119 ხელნაწერის მიმართ დამუშავების პროცესში მყოფი პირვანდელი დედნის ნიშნების მატარებელია:

ა. S—286-ში არ არის მკვეთრად გამოყოფილი და აღრიცხული თხზულების თავები.

ბ. ხელნაწერს კიდევბზე და სტრიქონებს შუა მრავალი ჩანამატი ადგილები აქვს, რასაც არ ვხედავთ A—119 ხელნაწერის ნუსხაში, სადაც სათაურები სინჯურით, ვრცლად არის დაწერილი და კიდევბზე, გარდა ბიბლიოგრაფიული წყაროების მითითებისა (ციტატების გასწვრივ), არავითარი მინაწერები და ჩამატება არ არის.

3. ხელნაწერის ლამაზი მხედრული ხელი წააგავს ცნობილი სოლომონ მალაქიძის S—3683—ვახტანგის სამართლის წიგნების ერთ-ერთი უძველეს ნუსხათაგანის და სხვ. ხელნაწერებისა და საბუთების გადამწერის ხელს.

მინაწერი: 1. „გრდემლი“—Наковальник“. Опровержение римской веры, изложенное языком понятным, логично, спокойно, последовательно, основательно и дельно. Оригинальное произведение груз[инского] архиеереа.

ფრიაღ შესანიშნავი, საყურადღებო და სასარგებლო წიგნია.“ თ. ჟორდანიას ხელით, I სავიფ. ფ. 1-ზე.

(286)

287

რომანოზ სამთავნელის (ერისთავის) კრებული. XVIII

164 გვ.; 19,5 × 16,4; ქალაღი (კვირნიშანი, „Pro Patria“); ტვიფრული ტყავით შემოსილი მაგარი ფიცრული ყდა (შესაკრავები მოღლეჯილი აქვს, ყუაზე გადაკრული აქვს წითელი ტყავის ნაჭერი); კიისაგან დაზიანებულია ყდა და პირველი ორი ფ.; ამოხეულია (ძველადვე) ფფ.—6—7, 8—9, 34—35, 60—61, 68—69, 70—71 გვ. შუა; ნუსხური; XVIII ს. I ნახევარისა; რომანოზ სამთავნელის ხელით; დაუწერებალია: 2—2, 8, 34, 138—139 გვ.

[რომანოზ სამთავნელის (ერისთავის) კრებული].

1. —„ზედნადები მთოვარისა.

მკ	მტ	აკ	მს	ივ	ილ	ავ	სკ	ოკ	ნნ	დკ	ია	ფბ	ზე	
ა	იე	იდ	იგ	იბ	ია	ი	თ	შ	ზ	ვ	ე	დ	ია	ილ
ბ	დ	ბ	ბ	ა ლა	ლ	კთ	კშ	კზ	კვ	კე	კდ	კბ	კბ	კშ
გ	კბ	კბ	კა	კ	ით	იშ	იზ	ივ	იე	იდ	იგ	იბ	ი	ვ

„1 გვ.

2. ფრაგმენტები ბიბლიიდან. „ათ სჯული. ე. რიცხვთა.— აწ, იშლ, რასა ითხოვს ღმერთი შენგან, არამედ რათა გეშინოდის შენ უფლისაღ ღთისაღ შენსა და ხვიდოდი შენ ყოველთა გზათა მისთა და შეიყვარო იგი და მსახურებდე შენ უფალსა ღმერთსა შენსა ყოველითა გულითა შენითა და ყოველითა გონებითა შენითა...“ 4—7 გვ.

წყდება: „და მერმე არღარა შესძინა სიტყად და დაწერა ესე ორთა ფიცართა ქვისათა და მომცა მე.“

შენიშვნა: სხვათა შორის, ტექსტი შეიცავს „ათ მცნებას“.

3. „საქმენი წთა წინასწარმეტყუ[უშ]ლთანი, ვინა იყენეს ანუ საღათ მოსწყდეს ანუ საღა დაეფლნეს.—ოსე ა. [!] ესე იყო ბელამონით...“ 9—33 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტი კბ (22) წინასწარმეტყველთა შესახებ გვაწვდის ცნობებს.

2. ტექსტის ბოლოს დართულია რომანოზ სამთავნელის ანდერძი:

„ჰი, დიდნო კჳ მაღალნო, წმიდანო წინასწარმეტყუტლნო! შე[მიწყალე] გღაზაკი ესე სულით და კორცი თთავარგეფი სკოპოსი რომანოზ, კირიელვი სონ, ან. Господи помил[уй]и, подан[!] господи“.

4. კიდებე, მელნით, თ. ჟორდანიას ხელით, მიწერილია: „ერისთავი“.

4. „თქმული წი¹სა და ნეტარისა მამისა. ჩ¹ნისა ათანასე ალექსანდრიელისა. აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისა.—კითხვა: რითა ჯერითა ეზიარების ქრისტე ღმერთსა და მამასა თუსსა და რითა—ჩ¹ნ, კაცთა?...“ 35—60.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოსტრიქონებში: „შეიწყალე, ღმერთო, ცოდვილი მთავარ-ეფესიკოპოსი რომანოზ!“

5. „პაერისა, მიწისა, ცეცხლისა და წყლისათჳს.—გადინდგლდეს რაჲ, წყლად იქნების ქყანა...“

„კითხ[უ]აჲ.—რაჲ არს გარეგან კერძო ქ[რ]ი[ს]ტ[ო]სა? მიგება: ზღ[ვ]აჲ. კხა: და ქვეშე კერძო ზღუსა რაჲ იხილვების? მიგება: ალი, ვითარცა სავშილი ცეცხლისა, გარემოდებულ არს მისსა. კითხა: და ქვეშე კერძო ცეცხლისა რაჲ იხილვების? მიგება: ქვაჲ, ცეცხლებრ მოტყინარე და ქრ[ი]სტ[ო]სა კერძო მისსა დამტკიცებულ არს ბუნებაჲ წყალთა და კ[ვ]ალად ქვეშე კერძო წყალთა მათ განფენილ არს ბუნებაჲ ცეცხლისა წყვდიადისაჲ.“ 61 გვ.

შდრ. წ — 269, § 47—48.

6. „ნათლის მქონებელნი... და ნათლისა არა მქონებელნი დღენი მთავარისანი...“ 61 გვ.

7. „უკეთუ გინდეს ცნობაჲ, ესე არიან შვიდნი სარტყელნი ცისანი: ივლიოს... მზის თ[ვ]ალი, ერთ წელ მოგლის ცასა... სილინ ... მთოვარე—ერთ თვე მოგლის ცასა... ესე შუდნი მნათობნი დიდნი.“ 62 გვ.

შენიშვნა: წარმოდგენილია ყოველი მნათობის გრაფიკული გამოხატულება.

8. „უკეთუ გინდეს ცნობის: რომელსა წელსა რომელი ეტლი უფლებს: ვერძი...“ 62 გვ.

შენიშვნა: ჩამოთვლილია ზოდიაკოთა სახელები.

9. „სიცოცხლისა და სიკ¹დილისათვის.—უკეთუ ვინმე იშვეს დღესა შინა მთოვარისა...“ 63 გვ. შდრ. წ: 269, § 54.

10. „საცნაურ-ყოფა სნეულისა სიცოცხლისა ანუ სიკ¹დილისა.—უკეთუ გინდეს ცნობად სნეულისა თუ განმრთელდების...“ 64—67 გვ. შდრ. წ — 269, § 54, გვ. 300v^r—301v.

შენიშვნა: 1. ამ გვერდებზე წარმოდგენილი სნეულის სიკვდილისა თუ სიცოცხლის გამოცნობის ორივე წესი (მეორე—პითალორეს მიეწერება) ასტროლოგიური ხასიათის გამომანგარიშებაზეა დამყარებული.

2. თვითველ მათგანს დართული აქვს შესატყვისი ტაბულა.

11. „ცნობა ქართა სახელებისა, რომელ არიან იბ[12]: ბორიაჲ აღმოსავლეთისა; თრასკიაჲ ჩრდილოეთისა; ნოტ[ი]ოჲ დასავლეთისა, მესიაკონი სამხრისა. და ს¹ნი ქარნი მათ თანა მყოფნი ესენი არიან: ებრილაკონი, აჰგიონი, ღნოფოჲ, ქირითონი; ბღვარი, ათერი, ლიბაჲ და კორფლნი.“ 68 გვ.

შდრ. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის „ქარი“.

12. მზის მოქცევის ტაბულა. „მზე ივნისსა. ით საჭამტორდ იქეს; დეკენბერსა იჲ—საჭაფხულოდ.“ 69 გვ.

შენიშვნა: ტაბულაზე, რომელიც 12 X 15 უჯრებად არის დახაზული, წარმოდგენილია 12 თვე, სექტემბრიდან აგვისტომდე; ყოველი თვის დღეების, დღეთა და ღამეთა ჟამების, (სათების) დღედღამის ჟამთა გასწორებისა და კვირბრუნის აღნიშვნით.

13. წელიწადის თვეების, დღეებისა, საათებისა და სხვა რიცხვისათვის.

— „სექტემბერსა ჰქონან დღენი 30; ოქტომბერსა—31... ესე თუშნი იბდა დღენი ყოველნივე ტყე და სამი ჟამი. კარაკენი ნბ, ჟამნი ყოველთა დღეთანი წტპ და ღამეთანი წტპ. ერთ რიცხუად ყოველნი ჟამნი დღეთა და ღამეთანი ჯღმ. წენტილნი ორბევრ ჩზ, რ[ამეთუ] თითოეულადსა ჟამსა ჰქონან წენტილნი ე და თითოეულსა წენტილსა წამნი იბ.

ჰქონან უკუშ დღესა წამნი შუდასოცნი. კვეტი[!]არს და კ: ნონებრსა მ და იზ... სამსჯავროდ მისრული, სირცხულელ ქმნილი და კდემული უკუნ რქცეს...“ გვ. 71—72.

14. „აღრიცხ[ვა], ესე იგი არს სახელის-დებრა თითოეულთა თუშთაჲ.—თ[უშ]სა იანვარსა გ—განცხადებაჲ, აღორძინდების ნათელი.

თსა თებერვალსა ზ—დასაბამი არისაჲ.

— მარტსა კდ—ს[წ]ორდღეობაჲ.

— აპრილსა მ—თრთული პირველი.

— მასვე კბ—თრთული მეორე.

— მაისსა ა ავრაჲ სამწუხროჲ აღმოვალს.

— ამასსავე ვ—თრთული პრტიტი დიდი.

— მასვე ზ—აღმოსლვაჲ პ[ირვე]ლად თჲ, რომელ არიან ჯომნი.

— მასვე კე—არკტუროჲ[?!] აღმოვალს.

— ივნისსა მ—ვარსკვლავი ხორლუმაჲ[!],

— მასვე ი—დასაბამი მკისაჲ.

— მასვე კდ—მზისა ქცევაჲ აღორძინდებიან.

— ივლისსა მ—არკტუროჲ შთავალს.

— მასვე იდ—ვარსკვლავი ბრისაჲ[!].

— მასვე იმ—წელიწდეულნი იწყებენ.

— მასვე ით—ძალღვარსკვლავი აღმოვალს.

— მასვე [კ]მ—კვენოსისა[?] აღმოვალს და წელიწდეულნი იწყებენ.

— აგუსტოსა გ—დასლვაჲ კვენოსისაჲ.

— მასვე ე—დასაბამი გრდახლისაჲ.

— მასვე იგ—ებანი შთავალს, ხოლო ცხენი აღმოჰქდებიან.

— სექტემბერსა ე—წელიწდეულნი დასცხრებიან და არკტუროჲ აღ-

მოვალს უკანასკნელი.

თა მასვე[სექტემბერს]კდ—სწორდღეობაჲ გარდახადილისაჲ.

— ოქტომბერსა მ—თიქანნი სამწუხრონი აღმოჰქდებიან.

— მასვე ი—პლიანნი სამწუხრონი აღმოჰქდებიან.

— მასვე იდ—ვარსკვლავი კუროსა კული.

— ნონებრსა იბ—პირველნი ქცევანი ზამთრეულნი.* გვ. 72—74.

შდრ. წ—269. § 51.

15. „მოთხოვნა და სულ მცირე ვასილოდრაფისაგან რიცხვითა და დასაბამითგან გარდასრულთა წელთასა. — და მისითგან წყლით [რ]ლუნა[დ]მდე გარდაჰდეს წელნი ცხმბ...“ „... ხოლო დასაბამითგან ვიდრე აქამომდე გარდასრულ არს წელიწადი, ხქპთ, დასაბამითგან [ვიდრე] აღსასრულამდე, ვითარცა იტყვს წმინდნი ოქროპირი და სხუანი მამანი, წელიწადი შვიდი ათასი არს, შვიდთა დღეთა კურიაკისათა ზედა უკუნ განჩინებით არს ათასი...“ გვ. 74—76.

შდრ. S—269, § 53, შენ. 1.

16. „სიბრძნისაგან [ფილოს]ოფოსთაჲსა, აღწერილი წინასწარმეტყულები და ქამთა და [თუშთა?] წელიწდისათა მოწვენადთათვის, თუ ვითარ იქმნენ. — უკ[ე]თუ იყოს ზედა ნადები, რომელ არს ია-ეული, ესრეთ არს: მას ქამსა წელიწადი იყოს—თიგა ძკრად, მთანი მარჯუშდ, ბარნი ზომად...“ გვ. 76—85.

თავდება: „მაისსა მთრთვლმან ავნოს ვენაჲთა, ზამთარმან[?!], თუცა თოვლიანი, ტფილი იყოს. გაზაფხული წუმანი, სთუშლი გრძელ და შეზავებული... მარტსა იდ დაბნელდეს მთოვარე და სეკდენბერსა იზ დაბნელდეს მთოვარე.“ შდრ. S—269, § 56.

17. „მარტსა[?] გმცხ[ა]დ[ე]ბითგან წინასწარ ცნობაჲ ჰაერთკეთილთათვის—სამ[ი]სა იყოს მთოვარე, წულილად და წდად ბილული კეთილად...“ გვ. 85—85.

შდრ. S—269, § 59, გვ. 307r--v.

18. წინასწარ ცნობაჲ ჰაერ-კეთილისაჲ მზისაგან.—მზე წმიდაჲ, მარტივად აღმობრწყინებულნი, კეთილ-დარობაჲსა ცხად ჰყოფს...“ გვ. 86.

შდრ. S—269, § 58.

19. „წინასწარცნობაჲ ზამთრიანისა ჰაერისაჲ. მთოვარისაგან.—სამ რაჲ იყოს მთვარე, უნათლოდ მქონებელი მწუშრვალთა და არმურიანად—წკმასნა მოასწავებს...“ გვ. 87.

შდრ. S—269, § 57.

20. „წინასწარ ცნობაჲ ზამთრიანისა ჰაერისაჲ მზისაგან.—მზე, წითლად აღმოსრულ და დაშავებული, წკმასნა ცხად-ჰყოფს...“ გვ. 87—89.

შდრ. S—269, § 60.

21. „წინასწარ ცნობაჲ გრძელისა ზამთრისაჲ.—თხანი და ლორნი, ... ნი და კუალად მკინებად მნებებელნი, ზამთარსა გრძელსა მოასწავებენ. უკეთუ პირუტყვ[ე]ნი მიწასა აღმოსთხრიდენ, ხოლო თავნი მათნი ჩრდილოეთით იყვნენ, დიდისა ზამთრისაჲ მოლოდებაჲ ჯერ-არს და უდიდესისაჲცა, უკეთუ უმეტესად აღმოსთხრიდენ.“ გვ. 89—90.

შდრ. S—269, § 61.

22. „ბუნებრივი წინასწარ ცნობაჲ წეროთაგან.—წერონი, ანასდათ გამოჩენილი, მეყსეულად ზამთარსა მოასწავებენ, ხოლო მიყოვრებითრე და მცირედ ბილულნი, გარდაღებაჲსა ზამთრისაჲსა ცხად ჰყოფენ.“ გვ. 90.

შდრ. S—269, § 62.

23. „კალანდრაჲ, თქმული ეზრა წინასწარმეტყულისა.—უკეთუ დადგეს იანვარი დღესა კურიაკესა, ზამთარი იყოს ნოტიოჲ...“ გვ. 90—93.

შდრ. S—269, § 63.

24. „სამთოვარე მართალი და ქეშმარტი.—ა. მთოვარისა-სა დღე კეთილ: თესვა, ნერგვა, ცხოვართა რისვად; წარწყმედილი იპოს...“ გვ. 93—110.

შდრ. S—269, § 65.

25. „სეკუნდოსნი ან დრიანოს მიმართ.—რა არს ღმერთი?—სამარადისო არსება...“ „რა არს დღე?—სტადიონი ძვრ-ხილულობისად ათორმეტა ეამთა. გზა, დრითი-დღე დაწყებადი...“ „რა არს მზე?—ზეციერი თვალი, ღამისა წინააღმდეგი, ეთეროვანი სიმრგულე, განუხრწნელი საჯმილი, ნყუთა შემცველი, აღნთებული სანთელი, ზეციერი მოგზაური, მოუკლებელი მნათობი, დღისა შემკრებელი.“ „რა არს მთოვარე?—ღამიერი ნუგეშინისმცემელი მენავთა, სანთელი მოგზაურთა, მხიარულ[ე]ბად, მზისა მონაცვალე; ზეციერი მოგზაური, ბოროტის-მოქმედთა მტერი, სასწაული დღე-სასწაულისად თვსთა-[თ]ვეული მოციქული, კ[უ]ალად უკუნ-ქცევისა მომქსენებელი...“ გვ. 111—115.

შენიშვნა: განმარტებულია აგრეთვე რაობა კაცისა, დედაკაცისა, სიმდიდრის, სიგლახაჲის, მოყვრისა, შეწიერების, მიწის, მუშაკის („ნაყოფთა მსახური...“), ნა-ვის, აგებულების, უკიანოსი (ოკენისა).

26. „გამოთქმად მამათ-მთავართა, სახარებთგან სულისა წმიდისა—მათე—ლუკასაგან.—წმიდა ქალწული, რომელმან შვა უფალი...“ გვ. 115—117.

27. „სიტყუა იაკობ; ძმისა უფლისა.—თქვა წელიწადისა მომკველმან იაკობ, რომელი იყო უწინარეს ყოველთა პატრიარქთა...“ გვ. 117—119.

28. ეპიფანე კვრელი სა უფლისა მთვს.—წინადასკვთეს ქრისტესა ქებასავე შინა, დღესა მერვესა...“ გვ. 119—120.

29. „თქმული აბუკურადსა.—[რ]ქვერ-იხინა შემოქმედმან წყალობით განახლება უსახურებით მოწყურდრისა მის კაცისა, გარდამოვდა ქვეყნად სახიერი სიმდაბლით, შემდგომად ჭფისა წლისა, მეფობესა ჰეროდეს, ანთიპატრასა...“ გვ. 121—122.

30. „ესე ჩნ დერეთეოზ საწარმართოსა და ებრაელებრისაგან ერთად შეკრებილი მოგუცა, ჰრომაელებრითა წერილითა, რომელი ჩნ, ვითარცა საწმარი და ადვილად შესწორებული, ერთად შეკრებული ესე, საცნაურ ყოველთა ვყავთ და ქადაგებად წმიდათა მოციქულთა ვითარ, ანუ სადა ქმნილა—პეტრე—გალილას...“ გვ. 122—126.

შდრ. S—269, § 31.

31. „ნათლის-ღებისათვს წთა მოციქულთასა, დედისა ღთისა და ნათესავთ-მეტყულებად ქრისტეს ქადაგისა და მახარებლისა.—გამომეძიებელთა შრომის-მყუარებობით, ვითარ და ვის მიერ ნათელ-იღეს...“ 126—128.

შდრ. S—269, § 32.

32. „აღწერილი საეკლესიო სამეოცდაათთა მათვს მოწაფეთა უფლისათა დორეთეოს მიერ, ტვრელ ეპისკოპოსისა, პირველისა მის კაცისა მოხუცებულისა და სულითა შემოსილისა, რომელი იწამა ეამთა მათ ივლიანე განდგომილისათა.—იაკობ, ძმა უფლისა...“ გვ. 128—136.

33. პატრიარქნი რომისანი და წელნი მათნი. — პეტრე მოციქული კბ წელ...“ 139—161.
შდრ. S—269, § 37.

შენიშვნა: 1. რომის პატრიარქთა ქრონოლოგიური ნუსხის გარდა აქ არის ნუსხები სათაურით: „პატრიარქნი იმლისმისანი!“ 142—144; „... ალექსანდრიისანი“ გვ. 144—146; „... ანტიოქიისანი“ გვ. 146—149. „პატრიარქნი კოსტანტინეპოლისანი“ გვ. 149—153. „მეფენი რომთანი“ გვ. 153—156. „მეფენი ასურიასტანეთისანი!“ გვ. 156—158. „მეფენი ქრისტიანი კოსტანტინეპოლისნი!“ გვ. 158—160.

2. წინამდებარე S—287—ხელნაწერის მასალის დიდი ნაწილი ემთხვევა ამავე S კოლექციის № 269 ხელნაწერის მასალის ნაწილს, რაც აღნიშნულია თავ-თავის ადგილას.

3. ხელნაწერი გადაწერილი ჩანს ვახტანგ VI-ის თანამედროვე კულტურული მოღვაწის რომანოზ სამთავნელის (ერისთავის) ხელით (იხ. მისი ანდერძი (§ 3) და მინაწერი 1.

მინაწერები: 1. „მათთა მეოხებითა შემიწყალე მე, ცოდვილი ბერი რომანოზ არქიერი“.

2. „მათთა მეოხებითა შემიწყალე მე, ცოდვილი ბერი სვიმონ და ნუ მიჩ.“

გვ. 136, რომანოზ სამთავნელის მინაწერის ქვემოთ, ლამაზი მხედრულით, შავი-მელნით.

3. „ერისთავი [რომანოზ, სამთავნელი]. ცოლის ძმა ვახტანგ VI-ის ქართლის მეფისა, იყო რუსეთში. თ. ჟორდანიძე.“ იქვე, 136 გვ., რომანოზის მინაწერის ქვეშ, ფანქრით.

თ. ჟორდანიძე აქ შეცდომით იხსენიებს რომანოზ ერისთავს ვახტანგ VI-ის ცოლის ძმად. ერისთვიანთ სახლიდან იყო ვახტანგ VI-ის ძმის სვიმონის მეუღლე; აზრთვე ვახტანგ VI-სვე ვაჟის; ბაქარის მეუღლე; თვით ვახტანგის ცოლი, რუსეთადან დედოფალი, როგორც ცნობილია, „ჩერქეზთ ბატონის ასული“ იყო.

3. „მეფენო! რით ვერ იცანით,

ვინც რომ გვრგვნი დაგადგათ?

ყთილ მწყემსისა მცნებასა

თვთ-სჯულობითა არა სდგათ!

ჰგონებთ სიცრუით სიბრძნესა.

კიბენი ზეცად არა სდგათ.

თვალდებით ნუ სჯით სამართალს!

მრჩობლ არ იტანჯოთ, აღრა სდგათ!”

გვ. 161, ტექსტის ხელით, 5—6 სტრიქონი წაშლილია სინგურით.

4. „ესე წიგნი წულუკიძის ნიკოლოზისა არის“ გვ. 162 (იხ. 164-ყ).

{287}

288

ხელაშვილი იონა. ზღინი. 1834

X, 210 გვ.; 21 × 17; ქალაქი; მუყაოს ყდის ტყავით შემოსილი ყუა დაზიანებულია; მხედრული; 1834 წ. (61 გვ.); ადგილი: პეტერბურგი, სქოლიოები შესრულებულია ავტორის მიერ, დაუწერელია I—V, 173—210 გვ.; შემოსული ჩანს დაზიანებისეული ხელნაწერების ფონდთან ერთად (იხ. მინაწერები, გვ. IX).

„(წიგნსა ამას ეწოდების რომინი მღუდელ მონაზონ იონასი)... —გმადლობ ღმერთსა ყოვლითა გულითა ჩემითა..., რომელ ვიშვე მართლმადიდებელ ქრისტიანელ ბერძენ-ქართულთ სარწმუნოებისა ენბაზითა, დაბასა დიდსა ვაჟირს შქისიყისასა...“ გვ. 1 (სათაური), 19—168.

შენიშვნა: 1. ტექსტს დასაწყისში წამძღვარებული აქვს ვრცელი „შესავალი“ [?], ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებიდან უხვად ამოწერილი ციტატებით: „არავინ წინასწარმეტყულებს შეწყნარებულ არს თუსსა მამულსა“ და სხვ. 1—2 გვ., რასაც მისდევს საკმარისად არეული ღვთისმეტყველური მსჯელობა, ლატინსა და განდგომილების მაგალითებით შეხავებული. 3—18.

2. თხზულების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ავტორის თავგადასავლის თბრობა, ალავ-ალავ იმ ამბების გადმოცემით, რამელთა მოწამეც ყოფილა იონა 1796—1834 წწ.: „ესე დაწყება ჰსწავლისა ჩემისა იქმნა უწინარეს ტფილისის წარტყუშისა ექესითა თუშებითა“ (24 გვ.)

3. იონა ხელაშვილის ამ თავისებური ავტობიოგრაფიის დაწერის საბაბად, როგორც ჩანს, უნდა გამხდარიყო 1829 წლის ცნობილი „შეთქმულები“ გამოქვეყნება და მის მონაწილეთა დაპატიმრება 1832 წ.

შეთქმულთა ჯგუფის ერთი მთავარ პირთაგანი, სოლომონ დოდაშვილი რომელიც იონას მემუარებში ს.დ.-ს ინიციალებით იხსენიება, დაახლოებული ყოფილა იონასთან. იონას გადაუცია მისთვის საკმარისად დიდი ფულადი თანა—3.500 მანეთი—„ერთბაზად სამას ორმოცდათი თუმანნი ვეცხლნი“ მიუცია „ქელთა კაცისა მის ს... დ...“ მისთვისვე გადაუცია მის (იონას) მიერ შედგენილი ლექსიკონი დაუჯალბებია ლექსიკონისა და სხვ. წიგნების ბეჭდვა საქართველოში სწავლა-განათლების გასავრცელებლად.

ს. დოდაშვილს იონა თავის აღზრდილად იხსენიებს.—„რომელი სამ წელთა შინა აღზარდე დღე და ღამე რჩეულთა მასწავებელთაგან პეტრე დიდისა ქალაქსა შინა, მრავალთა ვეცხლთა წარგებითა. რათამცა განსწავლა მქისიყისა ყრმანი სიღნაღსა შინა...“ ამბობს იონა (გვ. 67—70).

მაგრამ მოწაფეს არ გაუმართლებია მოძღვრის იმედები; არ შეუსრულებია მისი დავალებანი და „განუზრახავს ბოროტნი დიდნი“. ამ ამბით შემფოთებული იონა თავის „რონინში“ მკვეთრად იმიჯნება სოლომონ დოდაშვილისაგან და ქებათა-ქებას ასხამს მონარქიულ წყობილებას: „გული მეფისა ჯელთა შინა ღთისასა არსა“, ირწმუნება იგი.

გაუგებარია ზოგიერთი ბრალდება, მიმართული სოლომონ დოდაშვილისადმი... მაგ., თითქოს მან „მელნითა და ქარტითა მიულა არსობისა პური“ იონას.

„რონინის“ იმ ნაწილში, სადაც ავტორი შეთქმულთა დაპატიმრებას მოგვითხრობს, ის მრავალგზის აღვლენს ცხარე ლოცვას მათთვის: „ღმერთო!—ჭკოდებს იონა... შემწყნარებელს მოუვლინე შეპყრობილთა ქართულთა თუსთა უფუნურბათა... ღმერთო წყალობისაო!—დასძენს ის, ჯელითა ცხებულისა შენისათა გამოიყუანოს საპყრობილთა შინა ნახევარ მკუდარნი, მონღოლდნელი საუკუნო სიკვდილისათანა, ვორციელთა სიკვდილისაცა...“ ეს ადგილი მოწმობს, რომ იონა შეპყრობილ ქართველთა შემწყნარებლად იმპერატორ ნიკოლოზს-1 გულისხმობს („ქელითა ცხებულისა შენისათა“—გვ. 100, 103).

საყურადღებოა აგრეთვე, რომ იონას მოწმობით „გონება-შერეულითა მათ პყრობილთა იწყეს შინა-განცემა მძინარე მართალნი!!“ — 105 გვ.

განსაკუთრებით დამოფიქრებელია იონას მიმართვა: „აჰა, ვსერა, ვწრტხალე და ვკრტინავ თქმნთავ, დიდესა შინა დამდნარნო, გარეგან ოთხთა კვდელთაგან დადნობილნო... თქმნე ძლით მეცა წელიწადნი სამნი წარეწყმინენ“—110—111.

იონას „რონინი“ შეიცავს საყურადღებო ფურცლებს, რომლებსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების გასათვალისწინებლად XIX საუკუნის დასაწყისში აქ იონა მკვეთრი მუქი ფერებით ხატავს მაჰმადიანი ქრეყნების შემოსევების შედეგად დაცემულსა და განადგურებულ აღმოსავლეთ საქართველოს უწევო, სასოწარკვეთილ მდგომარეობას და რუსეთთან კავშირის აუცილებლობას მიუთითებს.

„შიშით და ძრწალით თანა-გუაძს მწირობისა მცირე ჟამნი განვლად-ჲ“, ამბობს იგი (79 გვ.).

„რონინში“ მხოლოდ აგრეთვე შეჭად საყურადღებო ცნობები სწავლა-აღზრდის შესახებ საქართველოში XVIII—XIX სს. მიჯნაზე.

3. როგორც ამ ავტორის სხვა თხზულებებს, „რონინსაც“ წინ უძღვის იონა მონაზონის 43 თხზულების ნუსხა (გვ. VI—VIII).

4. „რონინს“ დართული აქვს იოანე გიორგის ძის ბაგრატიონის, პეტრე ლარაძისა და სოლომონ რაზმაძის მიერ იონასადმი მიძღვნილი ლექსები (იხ. ზემოთ, აღწერილობანი) გვ. 169—172.

მინაწერები; 1. „სხოლიო: ძირის ქტქანასა მას, სადა-იგი გუდასა უბერტმ, პირტულ მეცნიერებისა სწავლად აქვან ლექსნი ესე:

ელასა, მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა.

ამისა მაყურებელსა ძილი გაამოს ყტშლასაო.

საგინაშვილი ზურაბ, IX გვ.

2. „სხოლიოს სხოლიო: არა თუ გუამოს ძილი, ას უტკვან შორს გაგვ[ი]ფრთ; ხობსო, ლმერთმან დაგვიცოს წაკითხვისაგან თორეშაო. გრიგოლ დადიანი.“ (იქვე, ქვემოთ).

3. „სხოლიოს სხოლიოს სხოლიო: „არავინ წინასწარმეტყუტელი შეწყნარებულ არსო თუსსა მამულსა,“ თვთ ავქსონი უბნობს. მაშა თქტმ ბრძენაკობას რა გრჯისთ დაჩუდით და ავიც რომ იყოს, კარგათ მიითვალეთ, რამეთუ ითქუა, ვითარმედ „არავინ წინასწარმეტყველი შეწყნარებულ არს თუსსა მამულსა!“ „და ვი თ და დიანი.“ იქვე, წინა მინაწერის ქვეშ.

(288)

289

ციცერო, მ. ტულიუსი, ლელი ანუ მეგობრობისათვის. 1817

01, 88 გვ.; 20,5 × 16,5 ქალაღი; მაგარი მუყაოს ყდა; მხედრული (სხვადასხვა) სათაურები სინგურით; 1817 წ. (02); თარგმნილი რუსული თარგმანიდან ივანე ბახლიძის მიერ; გადაამწერი ერთი ნაწილისა იგივე ივანე ბახლიძემ (38—88 გვ.) ადგილი: პეტერბურგი; ადრინდელი პატრონი: იოანე ბატონიშვილი; დავით დადიანის ბიბლიოთეკიდან.

„მარკ ტულლი ციცერონი. ლელი ანუ მეგობრობისათვის. ჭანნი სცევილლა და ლელი. ჭანნი.—და ესრეთ ნანდვილ არს, ლელი, რონელ არა იყო არცა ერთი ოდენ კაცი, აჭირიანისა კიდე, არცა უალრეს და არცა უდიდებულეს. გარნა თანამედებ ხარ შენ დარწმუნებად, რომელ შენზედაცა ყოველნი ნოაქცივენ სახედველთა თუსთა...“ გვ. 1—88.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის:

„უგანათლებულესო მეფის ძეო იოანე, ყოვლად უმოწყალესო ჯელმწიფეო! ძენი ივერიისანი აღტაცებულნი დღესასწაულობდიან დღეს შობისა და სახელწოდებისა თქვენისა უგანათლებულესობისასა, მყოფნი მზიარულ მძლეველობითა მფარველობასა ქვეშე წინაპართა თქვენთასა, რომელნიცა კდ ჰპოვებდიან თქვენ შორის, მსგავსად მათისა, სიმზნესა და სიბრძნის მოკვარებისა, განსანათლებელად მშობლისა მამულისა თვისისათა და განვრცელებად მას შინა ყოველთა გუართა ჰსწავლთა, ფიცხელითა მოსწრაფებითა განმანათლებელთა გულთა და გონებთა ერთგულთა შვილთა მამულისა თვისისათა, რათა მი[თ] გამოეცნოთ მათ თვი თვისი და სიყვარულიცა მამულისა თვისისა.

თქვენ, უგანათლებულესო მეფის ძე, მზილველნი კეთილგონიერებითა თვისითა ერთგულთა შვილთა მამულისათა ესევეთარსა ტრფიალებასა შინა ჰსწავლისა და გვამისადმიცა თქვენისა, მეცადინეობდით ყოვლით-რე შეძლებითა თვისითა სრულყოფად და განმართლებად წადიერებისა მათისათა და დაუცხრომელისა ღვაწლისა გამო თქვენისა, კეთილდღეობისათვის ერთგულთა თვისთა არა მხოლოდ განმაცისკროვნებულნი სიბრძნითა შარავანდელნი მიმოეფინებოდნიან მათზედან უგანათლებულესისა გუამისა თქვენისა. არა! თქვენ კვალადვე მიურულელებლად მეცადინობდით

ზეგარდამო ნიჭიერებითა თვისითა განათლებად და ნუგეშინის, ცემად გულთა, არა მხოლოდ თვისთა მონათა, არამედ სხვათაცა მრავალთა ნათესავთა, შეიწროებულთა მწარისა ხვედრისა გამო თვისთასა.

უგანათლებულესო მეფის ძვე იოანნე! ივერია, ოდესმე მყოფი დროსა კურთხეულთა ნეტარსენებულთ და ძღვეამოსილთა წინაპართა თქვენთასა, მსგავსად ელლადისა განვრცელებული და აღყვავებული მძღვეელობისა საჭურველითა წინაპართა თქვენთათა, ხოლო დღეს იგი მოკლებული ნამყოფსა მდგომარეობისა მის, ვითარცა ელლადა, და კ'დ იგივე კპოებსცა დღეს დამარობლებით თქვენ შორის მასვე სიბრძნის მოყვარებასა და სხვანიცა მრავალნი მის თანა ერთბამად, რომელსაცა განიცდიდა იგი ნამყოთა მდგომარეობათა შინა თვისთა და რომელსაცა ეძიებთ თქვენ დაუცხრომელად, არა მრიდებელნი განსვენებისა თვისისა, სასარგებლოდ შვილთათვის მამულისათა.—მით, რამეთუ განიცადაცა მან, თუ რაოდენ კეთილარს და სადიდებელ რტოჲ აღმონაზარდი მტილისაგან დავითისა და ნანდვილ კეშმარიტი მეგობარი კაცთა ნათესავისა: განიცადა და გრძნობანიცა აღზნებულისა სიყვარულისანი გუამისადმი უგანათლებულესობისა თქვენისა დაბეჭდულ ექმნენ გულთა შინა აღზრდილთა მისთა.

ხოლო მე, განღვიძებულმან ესევითართა მგრძნობელობითა, ვიკადნიერე მორთმევად თქვენდა დღესა ამას შინა სახელწოდებისა თქვენისასა, რომელმანცა ვერა ვიძლე ამის უმჯობეს ნიჭისა შემოწირვად თქვენდა, მით რამეთუ ესე ყოველვე თქვენ მიერ არს ჩემს შორის წარმოებულთა და მოწყალეობითაცა თქვენთა მექონ არს მომდინარეობისა თვისისა.

ნიჭი ესე არს ჩემ მიერ რუსულისაგან კართულსა ენასა ზედა ნათარგმნი წიგნაკი, რომელიცა იპყრობს თვის შორის მეგობრობასა ყოვლისა გვარისასა: ელლინთა ბერძენთ[?!] და ჩინებულთა გუამთაგან შეთხზულ, ვინიღგან თქვენიცა თვისებებულ ხართ მეგობრობისადმი კაცთა ნათესავისა და მგვაჯიებულ[!] ყოველთა უკუშე ჰსწავლათა. მით უმეტეს ვზრდი თავსა ჩემსა იმედით, რომელ ღირს იყოფვის თ. მიმთავალეობის თქუშნისა უკინენსი მსხვერპლი ესე.

უგანათლებულესო მეფის ძეო იოანნე! ყოვლად უმოწყალესო ჯელმწიფეე! თქვენისა უგანათლებულესობისა უმორჩილესი მონა ივან რომანიჩი ბაბლიძე. ჩიჲ წელსა, იენისის კდ-სა, ს[ანკტ] პეტერ] ბუხსა“ გვ. 01—02.

2. თხზულების ლათინური სახელწოდება; *Laelinus de amicitia*.”

3. ტექსტის ბოლოს: „დასასრული. იქანე] ბ[ახლიძე].“

4. ხელნაწერის ყდაზე დაკრულ ტყავის წითელ ნაჭერზე დაბეჭდილია (ოქროთი): „Лелій или о дружестве“.

მიწაწერი: „1836 წელსა. წიგნი ესე ეკუთნვის [გრიგოლ?] და დიანს და [უმრთმელებს?] პეტრებურლით ძმასა თვისსა დავით და დიანსა.“ II ყდის შიგნითა არეზე.

{289}

290

დიმიტრი, მიტროპოლიტი როსტოვისა (ტუბტალო). წვერთა პარსვათათვის. 1707

58 ფ. (ძვ. პაგინაციით—ა—ნ); 20 × 15,5; ქალაღი; ოდესღაც ტვიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა, დაშლილი და გაცვეთილი, თითქმის მოცილებულია; 1707 წ. (55 v). დაუწერელია: 56—58 ფფ. მხედრული; სათაურები სინგურით; რუსულიდან თარგმნილი გაბრიელ ჩხეიძის მიერ; ადგილი: მოსკოვი.

[დიმიტრი, მიტროპოლიტი როსტოვისა (ტუბტალო)].
„წვერთა პარსვათათვის. ხატებისათვის და მგზავსებისაღკისა კაცთასა, წერილი, წმინდისა წილმ[წ]ვალეებელთა ცრულ ნათარგმანევი, რათა აქა მოვიტყნოთ.—წიგნსა პირველსა მოსესსა, თავსაა სწერია: „თქუა

უფალმან: ექმნათ კაცი ხატად ჩვენად და მგზავსად. ამას წერილსა მცვალე-ბელნი იგი უგუხურებითა თვისითა იტყუიან გორცითა ხატად კაცთასა, ვითამცა იყოს ღმერთი სახე კაცისა და აქუნდეს თავი და წვერი და თვალი და პირი...“ 2r—55r.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: „განსამზღვრა ხატებისათვის მღთისა და მგზავსებად კაცისა.—წინარე უწყება კეთილის მყოფელისა და კეთილად მოსაჯულისა მკითხველსა უფლისა მიერ გიხაროდენ!

დიმიტრი, წმინდა მიტროპოლიტი როსტოვისა და ეროსლავისა, კაცი სარწმუნოებითა და გონიერებითა სავსე, რომლისათვისცა სწამებს შრომა მისი „ჩეთი“ „თვეთა“ შინა და სხვათაცა, ყოფილთა მის მიერ პირად-პირადთა სასულიეროთა სწავლათა, ხოლო იბილა ამან თვისსა მას ღმრთისა მიერ მიცემულსა სამწყსოსა შინა პირად-პირადთა მრავალთა ადგილთა განმანათლებელთა აღმოსავლეთისა წმინდათა ქრისტიანეთა სარწმუნოებისა ეკლესიათა შინა შერყეულად რომელნიმე ზაკუითა-ცვალეებისათა გესლითა ყოვლითურთ შემწიკულბელნი, აღიძრა სულითა შურისა მის ელიასითა აღწერად ყოვლისავე მცვალეებელთა! წინააღმდეგობისა წიგნისა რომელსა უწოდა „გამოძებნა“, რომელსაცა შინა ამხილა სულთა მავნებელი სიბრძნე მათი და შორის სხვათა შერთო და პირველად რომელ აქა იხილვებისა „წვერთათვს“, განსამზღვრებით მითხრობა მათდა მიმართ, რომელნიცა ჰგონებენ წვერთა პარსვათა დიდად და შეუნდობლად ცოდვად და სხმა წვერთა—დიდათ საცხოვნებელად და რომელსაცა წიგნსა გამოძებნასა, შეწვენითა მღთისათა, გამოეცასაბეჭდავით დაბეჭდული და წინარესა ჟამსა იხილავს რუსეთისა ერნი.

ხოლო აწ, სისწრაფისათვის ჟამთა, ბრძანებითა მპყრობელისა კელმწიფისა ჩვენისათა, გამოეცა ჯარნა მხოლო ესე მცირე ნაწილი წვერთა პარსვათათვის მითხრობა, არამტკიცეთა დამტკიცებად მცირისა მრავლად შერყეულ არიან-რომელთაცა შეიწყნარონ სიყუარულით და განსაზღვრონ მარჯვენად, ცხონდინ უფლისა მიერ.“ 1r—2r.

2. დიმიტრი, როსტოვის მიტროპოლიტის (გვარად ტუპტალო-ს) ეს თხზულება მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს პეტრე I (დიდის) ცნობილ რეფორმებს და შეებრძოლოს იმ მოძრაობას, რომელმაც თავი იჩინა ე. წ. „რასკოლნიკებში“—მწვალებლებში—პეტრეს მიერ წვერის პარსვისა და სხვ. სიახლის შემოღების გამო.

ანდერძი (მთარგმნელისა): „გადმოითარგმნა ეს წიგნი რუსულისაგან მოსკოის იმერეთის მეფის არჩილის სახლში გაბრიელის გაბრიელ ჩხეიძის აგან. წელსა ჩლ.“ 55r. გაბრიელ ჩხეიძის ავტოგრაფი, მსხვილი მხედრულით.

შინაწერი: „ეს წიგნი გაბრიელი იელორევიჩს! არის. ეს დასწერს, იმისი შვილის! მათვე ჩხეიძის.“ 55r-ზე, პირველ სამსტრიქონზე, ნუსხურით.

(290)

291

ნიკოლოზ დადიანისა და ანტონი კუონდიდელის ქადაგებანი. 1827

128 გვ.: 22 X 16,5; ქალღი; ტვიტრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; ნუსხური 1827; ვადამწერი გრიგორ [დადიანი?] 125 გვ.

[ნიკოლოზ დადიანი პირველი, ქადაგებანი].

1. „პირველსავეირიაკესა მარხუათასა ქადაგება სინანულისათვს.—იტყუს დიდი წინასწარმეტყველი დავით პორფიროვანი: „მძინარემან არლარა ნუსხესძინოსა აღდგომა...“ 7—22.

2. (ნიკოლოზ დადიანი). „გეორგია კვრიაკესა წთა მარხუათასა ქადაგება მარტუ[ლი]სათს.—ბრძანებს უფალი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: „მარხუა—უქმი დღესასწაულობა თქვენი, სძავს სულსა ჩემსა...“ 22—43.

3. (ნიკოლოზ დადიანი) „მესამესა კვრიაკესა მარხუათასა ქადაგება მოწყალეებისათს.—სული წმიდა გვბრძანებს...“ 43—58.

4. „თქმული ყოვლად ნეტარისა კაცისა, ყოვლად სამღწელო ანტონ ქყონდიდის მიტროპოლიტისა, დადიანის ძისა. მეოთხესა კვრიაკესა მარხუათასა. ქადაგება აღსარებისათს.—იტყვს წინასწარმეტყველი დიდი დანიელ: „ვსცოდეთ, ვიუსჯულოეთ და განვსდევით მცნებათაგან შენთა და მსჯავრთაგან შენთა...“ 58—69.

5. „თქმული მისიევი... ანტონი, ქყონდიდის მიტროპოლიტის, დადიანის ძისა, მეხუთესა კვრიაკესა მარხუათასა. აღსარება მღწელობათს.—ბრძანებს უფალი პირითა მალაქია წინასწარმეტყველისათა: „ბაგენი მღწეობანი იწურთიდენ მეცნიერებასა...“ 69—82.

6. (ნიკოლოზ დადიანი). „კვრიაკესა მეექვსესა მარხუათასა. ქადაგება შურისათს.

— წინასწარმეტყველთა შორის წარჩინებული დიდი ისაია იტყვს: „შურმან შეიპყრას ერი უსწავლელი და აწ ცეცხლმან შესქამნეს წინააღმდგომნი...“ 82—102.

7. (ნიკოლოზ დადიანი) „დიდსა პარასკევსა. ქადაგება მაცხოვრებითსა ვნებასა ზედა.—მაცხოვარი და უფალი ჩვენი იესუ ქრისტე ბრძანებს მტილსა შინა გეთსამანისასა: „შეწუხებულ არს სული ჩემი, ვიდრე სიკუდილადმდე.“ ეს ჯმა საშინელი და საზარელი სასმენელი არის...“ 102—125.

შენიშვნა: ქადაგებების ტექსტს წინ უძღვის: „წინასიტყუალობა წინამდებარის ამის წიგნისა.

მაღალთა ღირსთა არხიმანდრიტო და მოძღუართ-მოძღუარო გიორგი და წთა უდაბნოთა წინამძღუართ და მამავ, მრჩობლთა არსებათა ჩემთა სასოებაე!

ვინაიდან ახნაურებითისა სულისა შენისა არსებად საღმრთოთა დოღმატის ორდანიობითა განბრწყინებულ არს და ვითარცა სჯვისა დიადიმითა განშტმნებულ და ზესთა-ცნობად იგი ჭილოსოფოსური, ესე იგი ხედვითი და საქმითი სრულად მოგიგის და საუნჯისა სიბრძნის-მოყუარებისა შენისა გარდმონაკადთა წყაროთაგან მოირწყულებიან პირ-მეტყუელნი ქრისტეს ცხოვარნი და მით აღორძინებულნი აღფრინდებიან ზესთა უშრომელოესადმი, ესევეითარსა სრულსა მამაკაცსა საღმრთოთა და კაცობრივთა ცნობათაგან განშტმნებულსა რაჲ საკიროება გქონდათ თხოვად ჩემ გლახაკისა გონებისადმი უმაღლესისა საქმისა ხელხლებად? გარნა გწადს თქვენ სრულება მოწაფეობისა ქრისტეს, მაცხოვრისა ჩვენისა. რათა სიმდაბლისა და სიმშუდისა სათნოებითა განუშვენო მას განსასტნებელი და სულისა შენისა სართულისა ქტშე შემოიყუანო საღთოთა იგი ყოვლად-წმიდათა სული, რომელსა თუთ დაამტკიცებს უბინდოთა პირითა მისითა და იტყვს: „განუსტმნო მშუდსა და მდაბალსა ზედაო.“

ესევეითართა მაღალთა ჰაზრთა შინა მყოფსა გეთხოვნათ ჩემთს, რათა შევთხზა მე რაოდენიმე სწავლითა ქადაგებანი, წარსაკითხველად თქვენთა ჯელ-ქტშეთა უდაბნოებთა შინა, დღესა მას წმიდასა დიდსა მარხუათა შინა. და თუთ თქვენ წინადაგედვით ჩემთს ჰაზრნი: 1. სინანულისათს, 2. მარხუსათს, 3. მოწყალეებისათს, 4. შურისათს, რომელსა შინა რაოდენიმე ვაქმიო[?] ბერობისათსცა წესთა. 5. აღ-

სარებისათვის. 6. მღვდლობისათვის და 7 ვნებისათვის ქრისტეს, მაცხოვრისა ჩწისა. და არცა ქადაგებანი ესე იქმნას მაღალსა ჭრასსა ზედა, არამედ უმეტეს დაბიოდ[!] იქმნას შეთხზულ, რათა უმჯობეს იქმნას სასმენელად საზოგადოებისათვის.

თუმცა საქმენი ესე, თხოვილნი თქნგან, უზესთაეს იქმნა საზომისა ჩემისა და ეგრეთვე მრავალნიცა მიზნნი ნაყენებელ, გარნა უმეტეს სიზრქე და სიმძიმე ცნობისა ჩემისა და... მრავალნი საქმენი, რწმუნებულნი ჩემდა... ვიტყვ: კინლა და ერთისა ცა წამისა არა ძალ-მედვა პოვნად დროსა... გარნა, ვინათგან წდაწნი... მამანი დამტკიცებენ, რომელ მორჩილება არს დედა ყოველთა სათნობათა... ვიწრომე და ვაქმენ ხუთნი ქადაგებანი თქვენ მიერ წინადადებულსა ჰაზრსა ზედა... ესე ხუთნი ქადაგებანი, ახლად ქმნილნი ჩემგან... დაბიოთა ჭრასთა... ხოლო ორნი ქადაგებანი აღსარებისა და მღვდლობისათვის, უწინარესვე თქმულწი ნეტარისა... ანტიონი ტყონ დიდის მიტროპოლიტისა, ოტიას და დიანის ძისა დავსდევე, რომელიცა იყო ლამპარი მოძღურებისა და მქადაგებელ ახალ ოქროპირ... სხუათა ქადაგებულთა მისთაგან მხოლოდ ესე დაშენილი ვიპოვე წიგნის საცავსა შინა ჩემსა...

და ესე შვდნი ქადაგებანი... ერთ წიგნად შემიერთებეს... და მოვიძღვნი...

... ვინცა აღმოიკითხავდეთ, შენდობით მომიხსენებდეთ... ნუცა ამას წინასიტყუაობასა ჩემსა დაუტევეთ და სახელსა ჩემსა...

ხოლო შენ, მაღალ-ღირსო მამაო, გახსოვდე... ლოცვათა შინა შენთა...

თქვენი მაღალღირსების, მსასოვებელი და მოსამსახურე ლენერალ-მაიორი, მსაჯულთ-უზუტესი, სარდალ-მოურავი და კავალერი ნიკოლაი დადიანოვი პირველი, წელს 1826, თთვეს დეკემბერს, 28. ნოლას."

ანდერძი (გადამწერისა): „ღმერთო, აცხოვენე დამწერი უღირსი გრიგორ; ჩყვ წელს, დეკემბერს 0.“ ტექსტის ბოლოს, 125 გვ.

მინაწერები: 1. „ქადაგება ყოვლად ნეტარისა კაცისა ნიკო დადიანოვისა.“ ნუსხურით, სხვა ხელით. გვ. 126.

2. „წელს ჩყლა-ს, ნოემბრის 0ა.—ეს სულთა განმანათლებელის ქადაგების წიგნი არხიმანდრიტის გიორგის არის და ღმერთმან ახმაროს სიცოცხლესა მისსა და მერე ეს ხელშიდაც დარჩეს, ყოველნი ამის აღმოშობიხველნი შენდობას უბრძანებდეთ...“

3. „წელსა 1858-ს, ფებერვლის 6-ს, პეტრებუგი. დიდათ ცივა...“ გვ. 127.

4. „ქინაზ გრიგორ დადიანოვი. Маия 12, 184წ.“ ფანქრით, 128 გვ.

(291)

292

კრებული. XIX

296 გვ.; 16,5 X 11; ქალაღი (ლურჯი), სინესტისგან დაზიანებული (283—296. გვ.); მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. ჰეირნიშანი: 1809, 1813; დაუწერელი; 56—58, 146—156, 283 გვ.

1. „მოცემისაებრ და სარწმუნოებისა წწისა კათოლიკე ეკკლესიისა, თქმულნი გამოკრებულნი კლემენტოსისაგან და ღირსთა მამათა, რომელთა სათანადო არს პირველ სხვსა ყოელისა სასწავლელისა გახეპირება მათგან, რომელთა ენებოს ნებითა ლთისათა კეთილად-მსახურებისა სიტყუსა წინამძღუარ-ყოფა. თავი ბ.—ხოლო გამოწულიღვითისა მოცემისათვის ამისი შესაწავება საწმარ-არს, ვითარმედ ყოვლისავე ვითარ სახეცა ძიებას ანუ კითხუასა სამნი რაჲმე გამოკულევანი და კითხუანი ჰქონან, ესრეთ ულონობით წინა დასხმულნი ჩწ მიერ წინააღმდგომთა მიმართ: ვითარ იგი, ვითარმედ—რაჲ არს ღმერთი და რაჲსათვის ითქმის ღმერთი და რაოდენ სახედ გულისგმა იყოფიების ღმერთი...“ 1—55 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტში, გარდა ცნების ღმერთი, განმარტებულია: „რ ა ა რ ს ს ა ზ ლ უ ა რ ი“, მამობა, „რ ა ა რ ს ძე“, სული, სანარადისობა, თვთება, ბუნება, გუამი, ნება (ნებება), მოქმედება, შეერთება, თანაარსობა, გონება, გრძნობა, ხრწნი-
ლება, „სახლტუარი უხრწნელისა“, სარწმუნოება, სიტყვა, „რ ა ა ს ა მი მ ბ ა რ თ ი“.

2. ტექსტში წითელი ფანქრით არის დანიშნული ფილოსოფიური ტერმინები.

3. შდრ. S—269 ხელნაწერის § 16, შენიშვნებითურთ, რომელიც ემთხვევა წინა-
მდებარე ტექსტის მცირედ ნაწილს.

4. S—292 ხელნაწერის § 1 უნდა იყოს ამოღებული კლემენტოსის ნაწარ-
მოებიდან: „სახლუარნი თითო სახენი მოცემისაგებ და სარწმუნოებისა წმიდისა
კათოლიკე ეკლესიისა“, რომელიც 23 თავს შეიცავს (იხ. კ. კეკელიძე. ქართული ლი-
ტერატურის ისტორია. I, თბ. 1941. გვ. 652, § 112—3).

2. „წი ა შორის მამისა ჩნისა იო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა მ ა თ ე ს
თ ა ვ ი ს ს ა ხ ა რ ე ბ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი ს ა გ ა ნ გ ა მ ო კ რ ე ბ უ ლ ი, ს ა წ მ ა რ ა დ
ჰ ს ჯ ი ლ ი და გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ი კ ი თ ხ ჭ ა - მ ი გ ე ბ ი თ ა, რ ო მ ე ლ ს ე წ ო დ ე ბ ი ს მ ა რ ტ ი ე - თ ქ მ ა.
წ ი გ ნ ი ა . 1.— კ ი თ ხ ჭ ა: რ ა ა ს ა თ უ ს ი ტ ყ უ ს მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი მ ა ტ ე თ ი ო ს ე ბ ი ს მ შ ო ბ ე ლ -
თ ა, ვ ი ნ ა თ გ ა ნ ა რ ა ქ ო ნ დ ა ზ ა რ ე ბ ა ა შ ო ბ ა ს ა შ ი ნ ა ქ რ ი ს ტ ე ს ს ა ?“ 59—131 გვ.

3. „წი გ ნ ი მ ე ო რ ე . თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ ი ო ა ნ ე ს ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ა
ა ლ მ ო კ რ ე ბ ი ლ ი.— რ ა ა რ ს ა მ ი ს ს ი ტ ყ უ ს ა ძ ა ლ ი, რ ო პ ე ტ რ ე, შ ე მ დ გ ო მ ა დ ე ს ო -
დ ე ნ თ ა ს ა ს წ ა უ ლ თ ა ხ ი ლ ჰ ს ა, ჰ ს თ ჭ ო რ, ვ ი თ ა რ მ ე დ— „შ ე ნ ხ ა რ ძ ე ლ ო ს ა...“
131—145 გვ.

თ ა ვ დ ე ბ ა: „ე გ რ ე თ ე ვ ე ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ ს ა ხ ლ ი რ ა ა მ ე დ ა რ ლ ტ შ უ ლ ი გ ა ნ ა ა ხ ლ ს
ჩ რ ნ ი ე ს ე გ ჭ ა მ ი.“

4. „ე პ ი თ ა ნ ე კ ი ბ რ ე ლ ი ს ა თ ქ მ უ ლ ი . ე პ ი თ ა ნ ე ე პ ი ს კ ო პ ო ს ი კ ო ს -
ტ ა ნ ტ ი ა ქ ა ლ ა ქ ი ს ა, რ ო მ ე ლ ა რ ს დ ე დ ა - ქ ა ლ ა ქ ი კ ი ბ რ ო ს ქ ა ლ ა კ ი ს ა, რ ო მ ე ლ თ ქ ო
ა თ ო რ მ ე ტ თ ა მ ა თ თ ჭ ა ლ თ ა თ ე ს.— უ ფ ა ლ ს ა ჩ ე მ ს ა პ ა ტ ი ო ს ა ნ ს ა ძ მ ა ს ა
უ ფ ა ლ ს ა დ ა ს ა ქ მ ი ს თ ა ნ ა - ზ ი ა რ ს ა თ ე ო რ ო რ ე ს, კ ე თ ი ლ ა დ - მ ს ა ხ უ რ ს ა ე პ ი ს კ ო -
პ ო ს ს ა, ე პ ი თ ა ნ ე ე პ ი ს კ ო პ ო ს ი უ ფ ლ ი ს ა მ ი ე რ გ ი კ ი თ ხ ა ე! დ ი დ ს ა ნ ი ქ ს ა მ ა დ ლ ი -
ს ა ს ა მ ი ს ც ე მ დ ა და ა რ ა თ უ მ ო ი ლ ე ბ დ ა, რ ა ჭ ა მ ს ჰ ს თ ხ ო ვ დ ა უ ფ ა ლ ი ი გ ი ც ხ ო ვ რ ე -
ბ ი ს ა ს მ ა დ დ ე დ ა კ ა ც ი ს ა მ ი ს გ ა ნ ს ა მ ა რ ი ტ ე ლ ი ს ა, რ ა მ ე თ უ ი გ ი, თ ე თ თ ა ვ ა დ ი,
ი ე ო წ ყ ა რ ო ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა...“ 157—276 გვ.

თ ა ვ დ ე ბ ა: „ა წ ყ ო ვ ლ ი თ ა პ ი რ ი თ ა ი დ ი დ ე ნ მ ა მ ა, ძ ი ს ა მ ი ე რ და ძ ე, მ ა -
მ ი ს ა მ ი ე რ, ე რ თ ო ბ ი თ ა ს უ ლ ი ს ა წ მ ი დ ი ს ა თ ა. უ კ ე და უ კ ი, ა მ ი ნ.“

იხ. კ. კეკელიძე ქართული ლიტერატურის ისტორია. I, თბ. 1941, გვ.
607, § 57-2.

5. „მ ე ა თ ე რ თ მ ე ტ ე გ ა ნ წ ე ს ე ბ ა რ ი ც ხ ჰ ს ა და გ ა ნ ყ ო ფ ა ძ ე თ ა მ ა თ ი ს რ ა ი ლ ი ს -
თ ა, ვ ი თ ა რ ტ ა უ ბ რ ძ ა ნ ა მ ო ს ე ა თ ო რ მ ე ტ თ ა მ ა თ ნ ა თ ე ს ა ვ ე თ ა დ გ ო მ ა დ ე ქ ე ს ი ს ა
მ ი ს ნ ა თ ე ს ა ე ი ს ა მ ო თ ა ს ა ზ ე დ ა გ ა რ ი ზ ი ნ ს ა და ე ქ ე ს თ ა მ ა თ — მ ო თ ა ს ა მ ა ს გ ე ბ ა ლ ს ა...“
272—286 გვ.

თ ა ვ დ ე ბ ა: „ა წ გ ა მ ო ვ ა ც ხ ა დ ნ ე თ მ თ ა ნ ი ე ს ე ყ ო ვ ლ ი თ ა ქ ე მ მ ა რ ი ტ ე ბ ი თ ა -
ა ქ ა - ო დ ე ნ კ მ ა ი ყ ა ვ ნ თ ქ მ ა დ და გ უ ლ ი ს ხ მ ი ს - ყ ო ფ ა დ ა მ ი ს ყ ო ვ ლ ი ს ა თ ე [ს].“

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს, ჩართულად [როსტომ?].

6. „ი ო ლ ი ტ ე ს მ ი ე რ გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა კ უ რ თ ხ ე ვ ა თ ა მ ა თ თ ე ს
მ ო ს ე ს თ ა ა თ ო რ მ ე ტ თ ა მ ი მ ა რ თ ნ ა თ ე ს ა ვ თ ა. კ ი რ ი ე ლ ე ი ს ო ნ.—
ნ ე ტ ა რ ი ს ა მ ი ს ი ს ა კ ი ს ი უ წ ლ თ ა მ ა თ თ ე ს ძ ე თ ა მ ი მ ა რ თ თ ე ს თ ა პ ი რ ე ვ ლ თ ა მ ა თ
წ ი გ ნ თ ა შ ი ნ ა გ ა მ ო თ ქ მ უ ლ...“ 284—296 გვ.

წყდება: „და რებეკა ჰრჭუა თვსა შას ძესა მრწემსა: აჰა, მესმოდამამისა შენისა, რ ეტყოდა ესავს, ძმასა შენსა: მინადირე მე ნადირი და მიქმენ ჰამადი და ესჰამო და გაკურთხო შენ წინაშე უფლისა. აწ ისმინე, შვილო, სიტყუათა ჩემთა და მივედ სამწყსოდ...“

(292)

293

ბაუმეისტერი ფ. ხ., დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა. XVIII

XII, 394 გვ.; 16,3 × 10,5: ქალაღი; სადა ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა; მზედრული; თავფურცელის ტექსტი და სათაურები ასომთავრულით, სინგურით: XVIII ს.; თარგმნილი ანტონ I, კათალიკოსის მიერ; დაუწერელია: I—VIII, X, XII. 392—393 გვ. „ღიმიტრი ყიფიანის წიგნთაგანი.“

(ბაუმეისტერი ფ. ხ. დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა).
„**ფილოსოფია ახალ-პაექრობითი, მპყრობელი თვს შორის განსაზღურებათა და დადებულებათა. განსაზღურებად ლოღიკისა.**—1. ცნობა ისტორიკებრი არს ცნობა ნივთთა მათ, რომელნიცა იქმნებთან ანუ ნივთიერსა-შინა სოფელსა და ანუ არსებათა შორის უნივთთა შემთხტულ-იქმნებთან. მოკლედ: ცნობა ისტორიკებრი არს ცნობა საქმეთა...“
გვ. 1—329.

შენიშვნა: 1. შედგენილობა: ა. „განსაზღურებად ლოღიკისა.“ 1—105.

ბ. „განსაზღურებად ონტოლოღიისა.“ გვ. 105—169.

გ. „განსაზღურებანი კოზმოლოღიისანი“. 169—192.

დ. „განსაზღურებანი პსიხოლოღიასანი“. 192—258.

ე. „განსაზღურებანი ბუნებითისა ღრთის-მეტყუტლებსანი.“ 258—276.

ვ. „განსაზღურებანი ფილოსოფიისაგან საყოფაქცეოსა.“ 277—314.

ზ. „განსაზღურებანი საპოლიტიკონი.“ 315—324.

თ. „განსაზღურებანი საფისიკონი.“ 325—329.

ი. „პინაქს-სიტყუათაჲ ახლისა ფილოსოფიისა განსაზღურებათა და დადებულებათა—ანბანთა ზედა.“ 331—391.

2. ტექსტს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „ფრიდერიკოს ხრისტიანოს ბაუმეისტრისა, გორლიციურის ღიწნაზისა რეკტორისა „დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა.“ სარგებელად ყრმათა სხოლის შინათა ქმნილი წიგნი განსაზღურება ფილოსოფიისა, მგაყრობელი თვს შორის საზღურათა ჩხგ.

8. «ნოემბერ[სა] კდ». „ცხორებაჲ და საკვრველებანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ეპისკოპოსისა აკრაკანტელთა ქალაქისაჲ, რომელ არს სიკილიისაჲ, აღწერა ლეონ ხუცესმან და მონაზონმან წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲს ლავრისა მამასახლისმან, რომელ არს ქალაქსა შინა დიდსა ჰრომსა. ხოლო თარგმნა ენასა ჩუენსა დავით ტბელის ძემან, მშო გკზნ.—საშინელი და მიუწლომელი საკვრველებაჲ და სარგებელი სულისაჲ...“ 58r—140r.

9. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და აღსარებაჲ და ღუაწლი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სტეფანე ახლისაჲ, რომელი იწამა კოსტანტინეს უს...“სა მეფობსსა, მშო გკზნ.—კეთილ არს და სამართალ და სათნო წინაშე ყოველთა ღმრთისმოყუარეთა სიტყვსა მისებრ პავლე დიდისა მოციქულისა...“ 140r—165v.

წყდება: „...და ესრეთ მისცა სული თუისი უფალსა განსუშ...“

10. [თუესა ნოემბერსა კზ, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ალკბი მესუეტისაჲ, გკზნ მშო]. „...ხლსა მას აღავსებდეს. ხოლო ბრწყინვალეობაჲ იგი ნათელთაჲ მათ ეგო განუქარვებულად...“ 166r—173v.

11. «თუესა ნოემბერსა კზ», „წამებაჲ წმიდისა იაკობ სპარსისაჲ. მშო გკზნ.—არკადი საბერძნეთისა განაგებდა შარავანდსა...“ 173v—177v.

წყდება: „... და დედად იცნობდეს მას ჭემშარიტისა მის სიმდიდრისა და...“

12. [თუესა იანვარსა კშ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ტიმოთე ანტიოქელისაჲ]. —„...მისი და გონებაჲ თუისი ყოვლით კერძო...“ 178r—192r.

შენიშვნა: ეს თხზულება გამოქვეყნებულია კ. კეკელიძის მიერ (იხ. აკად. ნ. მა-
რის სახ. ენის. ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, VII
1940. გვ. 26).

13. «ფევრუარსა კვ». „ლუაწლი წმიდისა მღუდელ-მოწამისა სადოთ-
ეპისკოპოს-ქმნილისაჲ და მის თანა ასოცდარვათა მოწამეთა მეორესა წელსა-
ღვეწულებისასა წამებულთაჲ. მშრო გკზნ.—შემდგომად წრისა სკმეონისა
წამებისა აღსრულებისა...“ 192r—195r.

14. «ფევრუარსა კვ». „ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა პოლკარ-
პოს ზმჯრნელისაჲ, მშრო გკზნ.—რაჲამს ღეკიოს ბოროტ-მსახური ჰრო-
მაელთა სკიპტრასა ჰმართებდა და ბრძანებანი განვიდოდეს...“ 195r—198v.

15. «ფევრუარსა კვ». „სიტყუაჲ პოვნისათჲს პატიონისა თავისა წმი-
დისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანისაჲ
მშრო გკვ.—კუალად სანდდლოჲ და საკვრველი წინამორბედი...“ 198v—204v.

16. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარე-
ბელისა, სტუდიელთა წინამძღურისაჲ, სიტყუაჲ შესხმისაჲ პოვნისა პატიონ-
ისა თავისაჲ დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანე-
ისა, მშრო გკზნ.—მესამე არს წოდებაჲ ესე...“ 204v—210v.

შენიშვნა: ხელნაწერს აკლია 24—25, 26—27, 29—30; 155—156, 156—157,
158—159, 159—160, 162—163, 165—166, 171—172, 177—178 ფურცლებს შორის.

მიმაწერი: „ღმერთო. შეიწყალე ფრიად ცოდვილი ბენეტიქტე დიაკონი,
ამ წიგნის მადლო, შეიწყალე. თრვამეტს ოკდომბერს ვისწავლე, ქათმის. ნამტკნით.
დავსწერე“; 45v—46r.

(376)

383

გრიგოლ დვთისმეტყველი, კრებული. XI

442 ფ.; 37 × 29; ეტრატის: თავბოლონაკლული, დაშლილი; ტყავგადაკრული ხის-
ტვიფრული ყდა; ნუსხური, სათაურები მთავრულად, სინგურით; [XI ს.]; მომგებე-
ლი აღდგომის ეკლესიის (იერუსალიმი) დიაკვანი კვიციე(443v); ეტრატის მთელრიგ
ფურცლებს ჩამოჭრილი აქვს კიდევები: იხ. 8—17, 19, 21, 48, 56, 84, 86, 88, 98, 99,
118, 120, 130, 133—140 ფ. 144, 145, 146, 148—154, 159, 161—169, 172, 173, 174
176, 179, 184—185, 187, 189—196, 198—212, 214, 216—220, 222—224, 227—231
233—239, 241, 243—245, 247, 257—266, 268—271, 27, —282, 285—288, 291—293,
295, 297—300, 303, 341—342, 344, 347, 348, 373, 379, 382, 388, 393, 394, 395,
401, 402, 403, 406, 408, 415, 416, 430, 432, 435, 442.

1, [შობისათჲს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲ წმიდისაგან ქალ-
წულისა],... მიმართ, არამედ ძნიად აღსაძრველ, რომელი-იგი იყო ბრწყინვა-
ლებისათჲს მისისა მთიებ, რომელი ამპარტავანებისათჲს მისისა ბნელ-
იქმნა...“ 1r—6r.

შენიშვნა: ტექსტი თავნაკლულია. წარმოადგენს ექვთიმე მთაწმიდელის
თარგმანს (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, 593 გვ.);

2. „თარგმანებად ძნიად გულსკვმის-საყოფელთა სიტყუათაჲ ქრისტეს შობისა საკითხავისათა, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსა-არებელისაჲ, გკზნ ოო.—ქრისტე იშვების, ადიდებდით. თარგმანი. არა თქუა, თუ იშვა, არამედ იშვებისო—ამისთჳს, რამეთუ ქრისტე ვინაჲთგან ერთ გზის იშვა წმიდისაგან ქალწულისა და აღასრულა ცხობრებაჲ ჩუენი...“ 61r—27r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანს. (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 658).

3. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუ-ელისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ. ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა დღესა განცხადებასა.—კუალად იესუ, მაც-ხოვარი ჩემი, და კუალად საიდუმლოჲ, საიდუმლოჲ არა საცთურენი...“ 27r—36v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანს. (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. 1, გვ. 593).

4. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუ-ელისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომელი იკით-ხვების ხვალისა დღჳ განცხადებისა, გკზნ ოო.—გუშინ, ბრწყინვალესა მას ნათლისღებისა დღესა აღვასრულეთ კრებაჲ...“ 36v—61r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანს. (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტ., ტ. 1, გვ. 593).

5. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუ-ელისაჲ აღვსებისათჳს და დაყოვნებისათჳს მისისა პონტოს, რამეთუ მას დღესა შოვიდა მიერ და მიუთხრა ესე ერსა. გკზნ ოო. ქრისტე შეიწყალე კვირიკე.—აღდგომისა დღჳ არს დასაბამი ესე მარჯუენე, განვბრწყინდეთ უკუჳ კრებასა ამას და ურთიერთას...“ 61v—63r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანს. (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტ., ტ. 1, გვ. 592 გვ.).

6. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუ-ელისაჲ, აღვსებისათჳს. გკზნ ოო.—საწუმლიავსა ზედა ჩემსა დავდგე, იტყჳს საკვრველი ამბაკუმ, და მეცა დღეს მის თანა მოცემულსა ამას ჩემდა...“ 63r—77r;

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანს. (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., ტ. 1, გვ. 592 გვ.).

7. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრ-თისმეტყუელისაჲ ახალკვრიაკისათჳს და სატფურებისათჳს, გკზნ ოო.—სატფურებისა პატივი ძუელი რჩული არს და კეთილ არს იგი უფროდსლა ახლისა მის...“ 77r—83v.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია:

„ესე საკითხავი კესარიას თქუა, ხოლო კესარიას ახალკურიაკედ წმიდისა მოწამისა მამაჲს ჳსენებაჲ იქმნებოდა და ერი ფრიადი შეკრებოდა. ამისთჳს აჳსენებს დასასრულსა საკითხავისასა სახელსა წმიდისა მოწამისა მამაჲსსა“, 83v.

2. ტექსტი წარმოადგენს ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანს (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტ., ტ. 1³, გვ. 592).

8. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელი ისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, დღისა მისთჳს მეერგასისა, რომელ არს მარტულიაჲ, ოდეს-იგი მოვიდა სული წმიდაჲ მოწაფეთა ზედა და მოციქულთა ქრისტესთა. გკზნ ოო.—დღესასწაულისა ამისთჳს მცირედ რაჲმე, სიბრძნის-მეტყუელებდეთ...“ 84r—94r

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანს (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის, ისტ., ტ. 1³, გვ. 592).

9. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელი ისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, სარწმუნოებისათჳს და წესიერებისა ეპისკოპოსთაჲსა არიანოზთა და ენრომიანოზთა მიმართ მწვალებელთა, რომელნი-იგი იტყოდეს თუ: მიწვეულ ვართ მეცნიერებად ბუნებასა ღმრთეებისასა, და სხუათა მრავალთა გამობათა ზრახვიდეს, რომელნი-იგი შეაჩუენნა წმიდამან გრიგოლ და სხუათა ღმერთშემოსილთა მამათა. გკზნ ოო.—ოდეს ვიხილო აწინდელი ესე ენოვნებაჲ და სიტყუა-მჭევრობაჲ და დღითი-დღედნ რე ფილოსოფოსნი...“ 94r—101r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანს (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ.: ისტ., ტ. 1³, გვ. 594).

10. „თქუმული დიდისა მის ღმრთისმეტყუელისა გრიგოლისი ღმრთისმეტყუელებისათჳს. თავი მეორე. ჯერ-არს უწყებაჲ, რამეთუ იყვნეს ჟამთა მათ ბორგნეულნი იგი მწვალებელნი ენრომიოს და ნავატ ფილოსოფოსნი გარეგანთა სწავლათა ზედა, ესე იგი არს ენათასა, და იტყოდეს უკეთურნი იგი, ვითარმედ ჩუენ მეცნიერებასა ღმრთისასა მიწთომით მიწვეულ ვართო და გუჲმად იტყოდეს ლუთაებასა ყოფად და აცთუნებდეს მრავალთა. ხოლო დიდმან მან ღმრთისმეტყუელმან ამით თქუმულითა მოუკერნა პირნი მათნი, ვითარცა თჳთ იტყუს. გკზნ მამაო.—რამეთუ სიტყუთა მით პირველ-თქუმულითა განეწმიდეთ ჩუენ ღმრთისმეტყუელი და თუ ვითარი ჯერ-არს იგი ყოფად...“ 101r—147v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს დავით ტბელის თარგმანს (იხ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტორია, ტ. 1³, გვ. 596)

11. „ებისტოლე წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა. გრიგოლ ღმრთისმეტყუელისაჲ კლიდონის ხუცისა მიმართ. გკზნ ოო.—პატიოსანსა და ღმრთის მოყუარესა ძმასა და თანა-ხუცესსა კლიდონიოსს გრიგულ(!) უფლისა მიერ გახარებ. განკრვებულ ვარ მე, თუ რაჲ არს ახლისმეტყუელებაჲ ესე ეკლესიასა ზედა...“ 147v—154r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს დავით ტბელის თარგმანს (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტ., ტ. 1, გვ. 595).

12. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა და განდგომილისა ივლიანესთჳს ძეგლისა აღწერაჲ უშჯულოებათა მისთაჳს, გკხნ მე, უფალო.—ისმინეთ ყოველმან თესლებმან და მერჩლით მე ყოველნი, რომელნი დამკვდრებულ ხართ სოფლებსა...“ 154r—186v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს დავით ტბელის თარგმანს (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტ., ტ. 1, გვ. 595).

13. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა. მიზეზი პონტოდ სივლტოლისა მისისა და მოქცევისათჳს მიერ კუალად, სიტყუსგებაჲ ხუცად კურთხევისა მისთჳს მისისა, რომელსა შინა მოაქსენებს: თუ რაჲ არს პატივი იგი მღდღელობისა და თუ ვითარი ჯერ-არნ ყოფად ეპისკოპოსი.—სწავლაჲ და მოძღურებაჲ, გკხნ მშმო.—ვიძლიე მე და ძღეულებასა მას ჩემსა აღვიარებ. დავემორჩილე მე უფალსა და დავემონე მას, რამეთუ ნეტარი დავით მეყავნ მე დასაბამ სიტყუსა ამის ჩემისა...“ 186r—220v.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს ტექსტისავე ხელით მიწერილია: „ლოცვა ყავთ დავითისთჳს ტბელის ძისა“, 220v.

2. ტექსტი წარმოადგენს დ. ტბელის თარგმანს (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტ., ტ. 1, გვ. 595).

14. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ანძიანძორეველისა ღმრთისმეტყუელისა შემდგომად ხუცად კურთხევისა მისისა, ვიდრე იყო-ლა სახითა მონაზონებისაჲთა, რამეთუ მამად მისი ეპისკოპოსი იყო ანძიანძორს ქალაქსა, ვითარ ჳელნი დაასხნა მას ხუცად, მიხადეს მოქალაქეთა დღესასწაულსა აღესებისასა, რაჲთა მათ თანა აღასრულოს, და ვითარ მივიდა, არა პოვნა იგინი კრებულად, გკხნ ორ.—[რაჲსათჳს, ძმანო ჩემნო საყუქარელნო, უდებ-იქმნენით სიტყუათა მომართ ჩემთა, ვინაჲთჲან იგი მაიძულეთ დატევებაჲ გოდლისა ჩემისაჲ...“ 220v—240r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანს (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტ., ტ. 1, გვ. 594).

15. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა და წყლულელისა მისთჳს სეტყუსაგან მოწვევნილისა ქუეყანასა ზედა. ხოლო ესე საკითხავი თქუა, ოდეს იყო ჯერეთ გამასა თჳსსა გრიგოლის თანა, რამეთუ მასცა ესრეთ ეწოდებოდა. იყო ნეტარი ესე მაშინ ხუცობისა პატივისა, და მოწვევნილისა მისთჳს სეტყუსა მამად მისი, ეპისკოპოსი ნანძიანძორისაჲ, შეწუხებული ღუმნა და ნეტარსა მას ძესა თჳსსა გრიგოლს ამცნო სიტყუათა ამათ ნუგეშინის-ცემისა და სულიერისა სწავლისათა წარმოთქმად ეკლესიასა შინა ნანძიანძორისასა ერისა მიმართ მორ-

წმუნისა, გკხნ ორ.—რად დაჰყნით წესსა საქებელსა. რად აღიძულებთ ენა-
სა მსახურსა შჯულისასა...“ 240r—253v.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტ., ტ. I, გვ. 593).

16. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ
ღმრთისმეტყუელისა და თავისა მამისა გრიგოლის და დიდისა ბა-
ილის მიმართ ჟამსა მას, ოდეს ეპისკოპოსად აკურთხეს იგი სასიმისა საყდარ-
სა. გკხნ ორ.—კუალადცა ჩემ ზედა საცხებელიჲდა სული და კუალად მე მწუ-
ხარებით ვალ. საკურველ უკუე იქმნების ესაიაცა და პირველ ხილვადმდე მისსა
დიდება უფლისა...“ 253v—257v.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია დავით ტბელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 595).

17. „თქუმული მისივე მათდა მიმართ მასვე ჟამსა.—არარაჲ არს უძლიერ-
რეს სიბერისა და არარაჲ არს უტკბილეს სიყუარულისა...“ 257v—260r.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს ტექსტისავე ხელით გრძელდება: „ქრისტე, მეუ-
ფო ტბილო, შეიწკალე კვრიკე მონაჲ და მსახური შენი, რომელმან ილუა-
წა ესე წიგნი“, 260r.

2. ტექსტი თარგმნილია დავით ტბელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 595 გვ.).

18. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ
ღმრთისმეტყუელისა და გრიგოლის მიმართ ეპისკოპოსისა ნოსელი-
სა, მისა წმიდისა ბასილისა, რომელი-იგი მაშინ მისრული იყო სტუმრად
ნეტარისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა, ოდეს-იგი ღმერთშემოსილმან ბასი-
ლი დაადგინა იგი ეპისკოპოსად საყდარსა მას სასიმისასა და შემდგომად კურთ-
ხევისა მისისა ესტუმრა მას გრიგოლი ნოსელი და მისა მას ღუნ ყოფასა აღმო-
თქუა ესე საკითხავი, გკხნ ორ.—მეგობრისა სარწმუნოჲსა არარაჲ არს ნაც-
ვალი არსთაგან ამის სოფლისათა...“ 260r—265r.

შენიშვნა: ბოლოს ტექსტის ხელითვე მიწერილია: ა. „ლოცუა ყავთ ღმერთზე-
მოსილისა ეფთჳმესთჳს, რომელმან ესე თარგნა“.

ბ. „ქრისტე, შეიწკალე მონაჲ შენი კვრიკე და სულიერად ავმარენ წმიდაჲ ესე
წიგნი. აწ“, 265r.

19. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი
ღმრთისმეტყუელისა და თავისა მამისა გრიგოლის და ერისა მის ანძი-
ანძორისა მიმართ ჟამსა მას, ოდეს-იგი ევედრა მამაჲ მისი თანა-დგომითა და წუ-
ვეითა დიდისა ბასილისითა, რაჲთა თავს იღვას წინამძღურობაჲ და ლუწაჲ
ანძიანძორისაცა საყდარისაჲ, რამეთუ ეპისკოპოსი იყო მას ჟამსა ღმრთისმე-
ტყუელი სასიმისაჲ და ანისცა ეკლესიისაჲ მიიღო ზრუნვაჲ და აღმოთქუა მაშინ
ესე საკითხავი, გკხნ ორ.—პირი ჩემი აღვალე და მოვიღე სული და მივეც ყოვე-
ლი, რაჲცა არს ჩემი, და თუთ თავიცა თუხსი სულსა წა...“ 265r—269v.

შენიშვნა: 1. ბოლოს ტექსტისავე ხელით მიწერილია: „ლოცვა ყავთ ღმერთშემოსილისა და ვითისთჳს [ტბელისა], რომელმან ესე თარგმნა“, 269v.

20. „თქუმული წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა და თავისა თჳსისა მიმართ და მათა მიმართ, რომელნი-იგი იტყოდეს: ჰნებავს და ჰსურის მას კოსტანტინოპოლისა საყდარიო, ითქუა მრ კოსტანტინეპოლის გკნენ ორ.—მე განკჳრვებულ ვარ, თუ რაჲ არს ეგე, რომელ შეგემთხჳა თქუენ. და თუ ვითარ იძლიენით ჩუენისა ამის ჳმისაგან მშორობელისა და ნუუქუე კნინისაგანცა და რომელსა-იგი არარაჲ აქუს საწადელ...“ 269v—276v.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია და ვით ტბელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. ისტ., ტ. I, 595).

21. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა და ეპისკოპოსთა მათ მიმართ ეგვბუთით მომავალთა და ერისა, რომელნი ჟამსა მას მოსრულ იყვნეს ნავებითა ფრიად მრავლებითა. თევედოსი მეფისა დიდისა და მოელო მათ იექლიცა ფრიადი განსავარებულად და ხარკიცა იგი სამეუფოჲ, და მო-რაჲ-ვიდეს იგინი მეყსეულად, ხოლო აღვიდეს საუფლოდსა ამის დიდისა მოძღურისა წინაშე და მან აღმოთქუა საკითხავი ესე მათდა მიმართ. გკნენ ორ.—ეგვბუტელთა ამათ მიმართ ვმეტყუელებდეთ ჩუენ, რომელნი-ესე აწ მოვიდეს, რამეთუ ჯერვე ესრეთ არს, ვინაჲთგან უქუე მოსწრაფედ შემომიკრბეს ჩუენ და შურიტა შურსა მძლე ექმნენს...“ 276v—296v.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია და ვით ტბელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტ., ტ. I, გვ. 596).

22. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა და სიტყუათა მათთჳს წმიდისა სახარებისათა.—რომელმან მეთევზურნი წინაჲსწარვე ფჩინნა იესუ ქადაგად სიმართლისა და ჳეშმართებისად...“ 296v—307v.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ექვეთიმე მთაწმიდელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტ., ტ. I, გვ. 594).

23. „სწავლანი სულიერნი წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისანი, თარგმნილი ნეტარისა მამისა ეფთჳმისი, გკნენ ორ.—დასაბამად და აღსასრულად ყოველთა საქმეთა შენთა ღმერთი გაქუნდინ...“ 307v—320v.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ექვეთიმე მთაწმიდელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., ტ. I, გვ. 594).

24. „სწავლად წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა და გკნენ მამაო.—მოვედით, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ვისწრაფოთ სათნო-ყოფად ღმრთისა, ვიხილნეთ ქველის მოქმედებანი მისნი...“ 320v—324r.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია და ვით ტბელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 595).

25. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ. გლახაკთ მოყუარებისათჳს, გკ^ნნ ო^რ.—კაცნო, ძმანო და თანა-დავრომილნო, რამეთუ გლახაკნი ვართ ყოველნი და საღმრთოჲსა მადლისა მოქენნი...“ 324r—354v.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს მთავრულით მიწერილია: „ქრისტე ადიდე მონაჲ შენი კვირიკე თრთავე შინა ცხოვებათა, ამინ, იყავნ“, 354 v.

2. ტექსტი თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ., ისტ., ტ. I³, გვ. 593).

26. „შესხმაჲ წმიდათა მაკაბელთაჲ. თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, გკ^ნნ ო^რ.—რამდე ვთქუათ მაკაბელთათჳს, რამეთუ მათი არს ღღესისა ესე კრებაჲ...“ 355r—362v.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტ., ტ. I³, გვ. 592).

27. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, შესხმაჲ და ქებაჲ წმიდისა ათანასესი, ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაჲ, გკ^ნნ ო^რ. ლგ.—ათანასეს რაჲ ვაქებდე, სათნოებასა ვაქებ, რამეთუ ერთ არს მისი სახელი[ს] დებაჲ...“ 362v—391r.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ., ისტ., ტ. I³, გვ. 593).

28. „ცხოვრებაჲ და შესხმაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისი, კესარიელ კაპადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ რომელი აღწერა წმიდამან და ნეტარმან მამამან ჩუენმან გრიგოლი ღმრთისმეტყუელმან, გკ^ნნ ო^რ.—ფრიად მაძილოებდა შედიდი და ღმერთშემოსილი ბასილი აღწერად სიტყუათა: სწავლისათა...“ 391r—434v.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია ტექსტისავე ხელით: „წმიდანო და ყოვლად ქებულნო დიდებულნო მოძღუარნო, ბასილი და გრიგოლი, მეოხ ეყვენით წინაშე ქრისტესა მონასა და მადიდებელსა თქუენსა კვირიკეს, ადგომისა დიაკუნანა, რომელმან დიდითა სურვილითა მოიგო წმიდაჲ ესე წიგნი, და სულიერთა ძმათა მისთა მქ^ლ, გ^რის მთაწმიდელთა დიაკონთა“, 434v.

2. ტექსტი თარგმნილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ., ისტ., ტ. I³, 592 გვ.).

29. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ შესხმაჲ და ქებაჲ თავისა დისა გორგონიასი. გკ^ნნ ო^რ.—დასა რაჲ ვაქებდე, თჳსობაჲ დამიკვრდების, გარნა არა ესრეთ...“ 434v—441v.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია დავით ტბელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ., ისტორია, ტ. I³, 595 გვ.).

30. „ცხორებად და განგებად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ, გკზნოწ.— მომიწოდეს ჩუენ, ძმანო, სულიერსა მას ტაბლასა გრიგოლი დიდი იგი ღმრთისმეტყუელებისა ნესტჲ...“ 441v—442 v.

წყდება: „...ხოლო ვითარ იქმნა ათორმეტის წლის, კესარია ქალაქად მოვიდა...“

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს გრიგოლ ღვთისმეტყველის შესხმას, რომლის ავტორია გრიგოლ ხუცესი. შესხმა თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, „ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია“, სტალინის სახელმძღვანელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX-B—XXXI-B, 1947წ.).

მინაწერები: 1. „ღმერთო, შეიწყალე იოანე დიაკონი. ამ წიგნის მადლო, ღირს მუყავ ორსად ცხორებასა შინა. უფალო ღმერთო, მეუფეო ჩემო, შემიწყალე მე ცოდნით“, 104r.

2. „ცხორება შეგინებულ არს და ყოველივე გუვაში ჩემი, ხატი ჩემი, და ამისინწყალობს მე ცოდვილს“, 109r.

3. „წმიდაო ღმთისმშობელო, შეგვეწიე და გვაცხოვე ჩვენ“, 142r.

4. „ქ. ღმერთო და წმიდაო გრიგოლი და რაც ამაშიდ წმიდანი სწერიან იმის მადლო და ძალო, შენის მადლისათვის აქ შენი სამსახური მალ[ი]რსე. და რომ მივიცვალო, ეღეშმიდ დამამკვიდრუ(!) მე, ც[ო]დვილი კაკარავა იოვანე, და ვინც შენდობა ბრძანოთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან, ამინ და კირალესონი“, 142r.

5. „ქ. სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამოსა ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმინდისა, თავდებობითა, მინდობითა, შუობითა და შუამდგომლობობითა ყოვლად უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ღმთისმშობელი-სა, მარადის ქარულისა მარამისა; თავდებობითა, მინდობითა, შუობითა და შუამდგომლობობითა, ძლიერებითა და ცხოველსწყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა; თავდებობითა, მინდობითა, შუობითა და შუამდგომლობობითა წმინდათა და ხეცისა ძალთა ანგელ[ო]ხთა და მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელისათა; თავდებობითა, მინდობითა, შუობითა და შუამდგომლობობითა და რანიცა წმინდანი დიდსა და საუფლოსა სუენაქსარსა(!) შიგან სწერია, ან დღე ყოველ მოიხსენებინ, ამათ ყოვლთა წმინდათა თავდებობითა, მინდობითა, შუობითა(!) და შუამდგომლობობითა ესე აუბრებელი და საბოლოთ გასათავებელი, უმიხეზო, უხერზო, უტყუარი, არას დროსა და ეამში არ მოსაშალი წიგნი, პირი და საფიცარი დაგიწერეთ და მოგართვი[ი]თ ჩვენ სეხნია ჯოლამა თქვექნ დიდსა წმინდას გიორგი[ის] და ბატონს ჭყონიდელს ევდემონს და სულანოდისს, მაცკავას, ასრე დაამა პირსა ზედა, რომ გაბრიელისნოდისს, და რადგან ჩემს კაცს პაკტკორიას ცოლათ მიეცი, არც მოჯალაბოთ მოვანდომოთ, არც შინ ჩოუდგე, რაც გარე არ ვისამსახურო. ამისთა გასათავებლათ მომიცემია თავათ ღმერთი და ყოვლი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელი და უხორცილი. კაცთაგან არის ამისი მოწამე: კადელაკი ხოშტარა. კაკულები გეგეშონია და სულა საყციონდლო. ხელიც მართლის გულით ჩამირთავს“, 157v—158r.

6. „[წო] გიორგი, მხედარო, შენ შენწე ექმენ ძამკას ყოფილსა გიორგი გრიგოლიას“, 173v.

7. „ქ. ღმერთო ცცხლებით, ცხოვებით, დღეგრძელობით დაიცვე გრიგოლიას“, 174r.

8. „ქ. ღმერთო, შეიწყალე იესობ ჭიჭინაძე“, 188v.

9. „ღმერთო და წმინდაო გიორგი, შეიძლე უძლეველო, მხნეო მხედარო, ღვაწლით შემოსილო, ქრისტესო დიდო წმინდა გიორგი, შეიწყალე ცოდვილი და ყოველთა კაცთა უცოდვილეს ჭყონიდელი ევდემონ. ვინცა შენდობა ბრძანეთ, ღმერთმან თქვენც შეგინდოს, ღმერთმან თქვენცა შეგინდო(!), ამინ და კირალესონი“, 252r.

მინაწერები მოთავსებულია აგრეთვე: 36v, 37r, 117r, 255r, 308r, 372r.

კრებულო. XI—XII

888 გვ.; 30,5 × 25; ქალაღი; ნაკლული; ტკავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; ნუსხური; სათაურები მთავრულად, სინგურით. აქვს სახედაო ასოები: 258,535 გვ.; [XI—XII ს.ს.]

2. [საკითხავი ჯუართა ამალღებისათჳს]. „...რომელთა ამის-თჳს განვიციღღეთ, ვითარცა მტკიცეთა მოწამეთა ქეშმარიტებისათა...“ 1—12 გვ.

2. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიღისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა [იოანე ოქროპირისა, კოსტატინ[უპო]ლელ მთავარებისკოპოსისაჲ, გუაკურთხენ მამო.—და ყოველთაჲვ საღმრთოდ ცხორებულთა ცხორებაჲ სარგებელ არს კეთილად მსახურთათჳს...“ 12—121 გვ.

შენიშვნა: ერთვის მთარგმნელის ანდერძი: „ღიდებაჲ შენდა, ღმერთო, მიხუხო ყოველთა კეთილთა, დასაბამო და სრულ-ყოფელი ყოველთა არსთაო, სამგუაოვ-ნებით და ერთარსებით ცნობილო სამებაო, რომელმან ჯერ-იჩინე სრულ-ყოფად ცხორებასა იოვანე, ნამდღვე ქეშმარიტისა მწყემსისასა მწყემსთა და უსრულე-სისასა მოძღუართა შორის, რომელი-იგი დადაცათუ ოკროვანად სახელ-ღიდების, არამედ ესოდენ უბატონანგს მისსა არს, რაოდენ-იგი ვერ ეგოდენ თიქისა დამწკრი-სასა, რომლისა მეობებითა და ლოცვითა ბერთა ჩუენთათა საბაჲს და ანტონი-სითა აწცაითარგმნა ესე ახლად ბერძულისაგან მეტაფრასისა ყოვლად წადიერებითა და მჭურვალედ სურვილითა ჭაბრიელ სტეფანეს ხუცისა ჭულევეღისაჲ-თა, რომელმან უმეტეს ზომისა აიძულა პირუტყუთ სახე ესე გონებაჲ ჩემი ყოვლად მცირისა და რეცა უნარჩევისა რაჲსმე თარგმანთაჲსა ეფრემისი და კანნიერ მყო სხუთაჲვ თანა ამისდაცა თარგმნად და კადრებად.

უკუეთუ რაჲმე კეთილი არს იგი ღმრთისაჲ და ზემოცხებულთა ამთ ლოცვისა და მადლისაჲ, ხოლო ნაკლულევაგებაჲ ყოველი ჩემი არს. და უღირსისა ამის ბრალთა მიერ განფრდილისა გონებისაჲ გვედრები უკუე ყოველთა მკითხველთა და მსმე-ნელთა, რაჲთა ლცვა ჰყოფდეთ პირველმოცხენებულთა მათ მამათა ჩუენთა მოძღ-უართა და მშობელთა, ძმათა და შვილთა მათთათჳს, ხოლო მე ყოველივე ცთომილე-ბაჲ სახარებით მომიტვეით და თქუთ წმიღითა პირითა თქუენითა აღვოცაჲ ცოდ-ვათა და უშჯულღებათა ჩემთაჲ, რაჲთა თქუენცა ჰპოვოთ მადლი მოწყალებისა ჩე-მისა ღმრთისა მიმართ ჰრავალ მოწყალისა, ან“, 121—122 გვ.

3. „წმიღისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ანდრია იპრუსალიმელისაჲ, კრიტელ მთავარებისკოპოსისაჲ, სიტყუაჲ აღმალღებასა პატროსნისა და სხოველსყოფელისა ჯუარისასა.—აღმძრნეთ დღეს, საყუარელნო, ბავენი სა-ხელ ბობლნისა, აღვილოთ საფსალმუნე და ორღანოჲ...“ 122—128 გვ.

4. „ღღესასწაულსა ჯუართა აღპკობისასა საკითხავი, თქემული წმი-ღისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ, გკზნ მშო.—ყოველივე უღარესთაგან უმჯობესთა მიმართ შეკვაღებაჲ ფრიადისა შუებისა და მხიარულებისა მომატყუებელ ექმნების ნათესავსა კაცთასა...“ 128—133 გვ.

5. „თუესა სეკტემბერსა იზ. წამებაჲ წმიღათა დედათაჲ სოფიჲსი და სამათა ასულთა მისთაჲ პისტისი, ელპიდისი და აღაპისი, გუაკურ-თხენ, უფალო.—შემდგომად ყოვლით კერძო განფენისა ქადაგებისა მას ცხო-

რებისასა და ყოველთავე აღსებებისა მეცნიერებითა უფლისაჲთა, ვითარცა სამარემან რამანმე უღმრთოებისამან დაშთომილმან, ესრეთ დაიპყრა მეფობაჲ ჰრომთაჲ ანდრიანე...“ 133—146 გვ.

6. „თუესა სექტემბერსა ით. წამებაჲ წმიდათა მოწამეთა ტროფიმე და დორიმენდონ და სავატისი, გკზნ ორ.—ჟამთა მათ, რომელთა შინა ეპყრა მეფობაჲ ბერძენთაჲ პროვოს უშჯულოსა, აქუნდა მთავრობაჲ, ანტიოქიას პისიდიისასა...“ 146—159 გვ.

7. „თუესა სექტემბერსა კ. წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა ევსტათისი და თეოპისტიასისი და ორთა შვილთა მათთაჲ: ალაპისი და ლეოპისტიისი. გკზნ მმრ.—ტრაიანეს ჰრომთა სკიპტრისა მპყრობელობასა და კერპთა სიბორგილისა ყოველსა სოფელსა შორის მიმოგანფენილობასა...“ 159—192 გვ.

8. „თუესა სექტემბერსა კბ. შესხმაჲ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მღდელ-მოწამისა ფოკაასისი, აღწერილი ნეტარისა ასტერიოს ამასიელ ეპისკოპოსისაჲ.—დიდებულ არს უკუე და ღთვე განწესებულ ყოველი კრებული წმიდათა მოწამეთაჲ, რამეთუ ვნებითა ვნებისათჳს მადლი შეწირეს...“ 192—199 გვ.

9. „თუესა სექტემბერსა კზ. წამებაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა [ღის]-მოწამისა კალისტრატესი და მის თანა წამებულთაჲ, გუაკურთხენ უფალო.—დღითი-დღედსა მას განმრავლებასა სამწყსოთა ქრისტესთასა ხედვიდა რაჲ ბოროტი იგი მტერი, ფრიადითა სიბორგილითა მათ ზედა აღიძრვოდა...“ 200—213 გვ.

10. „თუესა სექტემბერსა ლ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ამისსა შემდგომად წამებაჲ წმიდისა მღდელ-მოწამისა გრიგოლი პართეველისაჲ, გუაკურთხენ მამაო.—რაჟამს იგი მეფობაჲ სპარსთაჲ პართთად მიიცვალა...“ 213—257 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. ცხორებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ გამოცემული ლეონ მელიქსეთბეგის მიერ, 1920 წ.).

11. „თუესა ოკტომბერსა ა. მოსაჯსენებელი წმიდისა მოციქულისა ანანია მღდელ-მოწამისაჲ. გკზნ მმრ.—რომელსა-იგი ეპყრა სიბორგილეკერპთა საცთურისაჲ...“ 258—262 გვ.

12. „თუესა ოკტომბერსა ბ. წამებაჲ წმიდათა მოწამეთა კვბრიანე მღდელ-მოწამისაჲ და იოსტინა ქალწულისაჲ, გკზნ მმრ.—მრავალნი მრავალსახედ და დიდად ანტიოქიისათჳს განმაკვრევენ მე...“ 262—295 გვ.

13. „თუესა ოკტომბერსა გ. წამებაჲ წმიდისა მღდელ-მოწამისა დიონოსიოს არიოპაგელისაჲ, გკზნ ორ.—ძუელსა მას შინა პირველ სახით და ანრდილით იყო ქეშმარიტებაჲ სარწმუნოებისაჲ...“ 295—309 გვ.

14. „თუესა ოკტომბერსა ე. წამებაჲ წმიდისა მოწამისა სარიტონისი. გკზნ მმრ, მპყრობელ იყო ოდესმე საცთური უღმრთოებისაჲ...“ 309—314 გვ.

15. „თუესა ოკტომბერსა ვ. მოსაჯსენებელი წმიდისა და დიდებულისა მოციქულისა თომასისი. გკზნ მმრ.—...შემთხუევედ მათ და საქებელ ფრიად. მამინ შემოკრებოდეს მსახურნი იგი კერპთანნი...“ 314—322 გვ.

შენიშვნა: ტექსტი თავნაკლულია.

16. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ პელაგია ღირსისა ანტიოქელისაჲ. გკზნ მმრ.—დღდობრივისა სათნოებისა, რომელი არა-რათ ნაკლულევენ იყოს მამათაჲსაგან...“ 322—329 გვ.

17. „თუესა ოკტომბერსა მ. შესხმაა წმიდისა ქალწულისა და მოწამისა პელაგიაჲსი, თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ. გკ^ნნ მშო.—კურთხეულ არს ღმერთი, რამეთუ დედანიცა სიკუდილსა ემღერაიან და ქალნი ამიერიტგან აღსასრულსა ეცინიან...“ 329—339 გვ.

შენიშვნა: 329 გვ. კიდევზე ტექსტისავე ხელით მიწერილია: „თარგმნილი ეფრემისი“.

18. „თუესა ოკტომბერსა ი. წამებაა წმიდათა მოწამეთა ქრისტესთაჲ ევლამპი დი ევლამპიაჲსი, გკ^ნნ ო^ო.—აღვსებულ რაჲ იქმნა სოფელი ქადაგებითა ღმრთის მეცნიერებისაჲთა...“ 339—349 გვ.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, „ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია.“ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX-ბ—XXXI-ბ, გვ. 100).

19. „თუესა ოკტომბერსა იბ. წამებაა წმიდათა მოწამეთა ტარახოს, პროკო და ანდრონიკესი. გკ^ნნ მშო.—ეპყრა უკუე დიოკლიტიანეს მეფობაჲ ბერძენთა თვთმპყრობელობისაჲ...“ 349—360 გვ.

20. „თუესა ოკტომბერსა იგ. წამებაა წმიდათა მოწამეთა ქრისტესთაჲ კარპო და პაპილესი. გკ^ნნ მშო.—მოვსენება ქრისტესთჲს წამებულთაჲ უმჯობეს არს სხჲსა ყოვლისა და უმეტესად სარგებელ კაცთა...“ 360—377 გვ.

21. „თუესა ოკტომბერსა იდ. წამებაა წმიდათა მოწამეთა ქრისტესთაჲ ნაზარისი, გერვასისი, პროტასისი და კელსისი, გკ^ნნ ო^ო.—რაჲამს-იგი აქუნდა ნერონის საყდარი ჰრომთა მეფობისაჲ...“ 377—387 გვ.

22. „თუესა ოკტომბერსა იე. ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა მლუდელ-მოწამისა ლუკიანესი. გკ^ნნ ო^ო,—სამოსატი ქალაქი არს ასურეთისაჲ, ხოლო ეფფრატი თანა-წარმდინარე არს სამოსატისაჲ...“ 387—402 გვ.

23. „თუესა ოკტომბერსა ივ. წამებაა წმიდისა მოწამისა ლონგინოზისი რომელი იყო ასისთაჲ ჯუარცუმისა უფლისაჲსა, გკ^ნნ ო^ო.—სათნო იყო რაჲ სიტყუამან ღმრთისამან მსგავსებაჲ ჩუენი...“ 402—410 გვ.

24. „თუესა ოკტომბერსა იშ. მოსავსენებელი წმიდისა მოციქულისა და მახარებელისა ლუკასი. გკ^ნნ მშო.—უკეთუ სავსენებელსა მართლისაჲსა საღმრთოდ ვინმე და ბრძენი კაცი საღმრთოდ შჯულის-მდებლობს...“ 410—419 გვ.

25. „თუესა ოკტომბერსა ით. წამებაა წმიდისა მამისა და მოწამისა ანდრიაჲსი, რომელი არს კრისეს. გკ^ნნ ო^ო.—მრავალ არს სიბოროტე ეშმაკისაჲ ქრისტეს მოწამეთა მიმართ...“ 419—433 გვ.

26. „თუესა ოკტომბერსა კბ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა აბერკი ეპისკოპოსისა იერაპოლელისა. გკ^ნნ ო^ო.—მარკოზს, რომელსა ანტონინე ეწოდებოდა, და ლევკიო ვიროსს. ეპყრა თვთ-მპყრობელობაჲ ჰრომთა მეფობისაჲ...“ 433—461 გვ.

27. „თუესა ოკტომბერსა კგ. მოსავსენებელი წმიდისა იაკობ მოციქულისა, ძმისა უფლისაჲ. გკ^ნნ ო^ო.—არარაჲ არს ესრეთ საწადელ სათნოების მოუყარეთა და არცა ერთითა სიმამღრითა შემაშობელ...“ 462—474 გვ.

28. „თუესა ოკტომბერსა კვ. წამებაჲ წმიდათა მოწამეთა მარკიანე და მარტუროსი, რომელნი იყვნეს მწიგნობარ და მოწათე პავლე აღმსარებელისა, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, გკ^ნ მმ^რ. — მოცულ უკუე იყო და პლ^{ცა} საბრძანებელი ბერძენთაჲ წვალებითა არიანოზთათა და კერძონი მისნი განიხრწნებოდეს საცთურისაგან მისისა...“ 474—476 გვ.

წყდება: „...რამეთუ მზაკუვარებაჲ თჳსი დაფარეს შინაგან თჳსსა, ვითარცა ცეცხლი ნაცარსა, და პირველად იწყეს განცდად მათდა სიტ...“

29. „[თუესა ოკტომბერსა კვ. წამებაჲ დიმიტრი თესლონიკელისაჲ]: „...ხოლო ჩუეულებისა მისგან კეთილისა და წესთა დაქცევათა შემკულებისა და კრძალულებისა არავე განეშორებოდა...“ 477—488 გვ.

შენიშვნა: ტექსტს ბოლოს ერთვის: „გვედრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხნეთ წამებასა ამას, რაათა უწყებულ იყნეთ, ვითარმედ არა თუ ამისთვის დაწერილ არს, ვითარცა უმეტესსა რასმე მეტყუელი პლ^{ცა}სსა, გარნა რამეთუ ყოველთავე ამათ დიდთა მოწამეთა ორ-ორი აქუს წამებაჲ—უძუელესი და უახლესი. არა თუ უმრუდესი და უმართლესი, არამედ უცხადესი და უღრმესი. [ეგრეთვე აქუნდენ ამასცა მეორე ესე პლ^{ცა}სავე თანა, რამეთუ ესე ბერძენთაჲცა ესრეთ აქუს, რაათა რომელიცა ვის სთნდეს. მას იკითხვიდეს და ლოცვასა ჰყოფდეს განმგებულთათჳს და შენდობასა მკადრებელთათჳს. ამისი მთარგნნელი მცირე ეფრემ ადიღე სულითა, ქრისტო, მეუფეო დიდებისაო, ამინ“ 488 გვ.

30. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა და ღმრთისმეტყუელისაჲ შესხნაჲ წმიდისა და ჟოვლად დიდებულისა მოწამისა დიმიტროსი, რომელი თქუა შემდგომად დღესასწაულისა მისისა დღისა ერთისა გარეთ შემოსრულმან ქალაქად, გკ^ნ მმ^რ. —კინდა და დიმიტროსი დღესასწაული დაგვრჩა, ჟ, დაქირვებაჲ ესე...“ 488—496 გვ.

31. „თუესა ოკტომბერსა კთ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა აბრაჰამისი. —კაცთა სათნობის მოყუარეთა ცხორებაჲ და მათისა მოქალაქობისა მოთხრობაჲ...“ 496—521 გვ.

32. „თუესა ოკტომბერსა ლ. წანებაჲ წმიდათა ნოწამეთა ზინობ მღუდელ-მოწამისა და ზინობია, დისა მისისაჲ, გკ^ნ მმ^რ. —ეგეაჲ ქალაქიარს აღშენებული ლელესა იონიასსა...“ 521—528 გვ.

წყდება: „...და ვითარცა ერთისაგან საშოასა გამოსრულ იყვნეს, ეგრეთვე ერთსა ადგი...“

33. [„თუესა ოკტომბერსა ლა. წანებაჲ წმიდისა ეპიმიხოასი]. — „...ეპიმიხოასი განმზრახ კეთილ და წადიერ-წყოდელ წამებისა მიმართ...“ 529—532 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტს დასაწყისი აკლია. 2. ტექსტის ბოლოს: „ზანდუკი თჳსა სექტენბერისაჲ“ და „ზანდუკი თჳსა ოკტომბერისაჲ“, 533—534 გვ.

34. „თუესა ნოემბერსა ბ. წანებაჲ წმიდათა და დიდებულთა ქრისტეს მოწამეთაჲ აკინდჯნოასი, პილასისი, ანემპოდისტოასი, აფთონისი და ელპიდოფორესი, გკ^ნ ო^რ. —დადაცათუ პირველთა მათ სპარსთა ქრისტესა, ქალწულისაგან შობილსა, თაყუანის სცეს...“ 535—553 გვ.

30. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1

შენიშვნა: 1. ტექსტის დასაწყისში ასომთავრულად სინგურით სწერია: „იესუ ქრისტე, მფლობელი ყოველთა სუფევათაო, ადიდე ორკერძოთავე დიდებითა შენ მიერ გზრგვნოსანი, ბრწყინულე და უძლეველი მეფეთა-მეფე გიორგი და მალა-ლი კესაროსი, და განაძრავლენ წელნი მეფობისა მათისანი ნებისებრ მათისა და [შენ] მიერ მონიჭებული ძე მათი დავით ძეფე და პანიპერ სევასტოსი ადიდე და მძლე ყავ ყოველთა ზედა მტერთა და წინააღმდეგობთა, ან“, 535 გვ.

2. ტექსტი თარგმნილია თეოფილეს მიერ (კ. კეკელიძე, „ზიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია“, გვ. 43—44).

35. „თუესა ნოემბერსა გ. წამებაჲ წმიდათა და დიდებულთა ქრისტეს მოწამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაჲსი, გკნ მშო.—განცოფებულ რაჲ იყო ქრისტეანეთათჳს საბურ, განლაღებული იგი მეფე სპარსთაჲ...“ 553—572 გვ.

36. „თუესა ნოემბერსა ე. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და წამებაჲ წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა ქრისტესთაჲ ლაღაკტიონ და ეპისტიმისი, გკნ ორ.—ლიბანით კერძო მითთ ფინიკიისაჲთ მრავალნი უკუე არიან ქალაქნი...“ 572—582 გვ.

37. „თუესა ნოემბერსა ვ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა პაველ აღმსარებელისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, გკნ ორ.—რაჲამს-იგი კოსტანტინეს, დიდისა კოსტანტინეს მესამესა ძესა, კელთ ეღვა სკიპტრაჲ იგი ბერძენთა მეფობისაჲ...“ 582—590 გვ.

38. „თუესა ნოემბერსა ზ. წამებაჲ წმიდათა და დიდთა მოწამეთა ქრისტესთაჲ იერონისი და სხუათა მისთანათაჲ, რომელნი იწამნეს მელიტინის სომხითი[ს]ა, გკნ ორ.—იერონის მკნისა და ახოვნისაჲ მამული უკუე არს მეორე სამთავროჲ კაბადუქიისაჲ...“ 590—597 გვ.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1², 1951 წ., გვ. 341).

39. „თუესა ნოემბერსა ც. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და ყოვლად ქებულისა წმიდისა თეოქტისტის ლეზველისაჲ, გკნ ორ.—გამოსახულნი ხატნი და ძეგლნი და მსგავსებანი სახილველნი ამისთჳს განიწესნეს“, 597—612 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოსა: „საცნაურ იყავნ, რომელ ცხორებაჲ ესე ამის წმიდისა თეოქტისტისი სტეფანეს სანანოჲს ძესა უთარგმნია ბერძულისა-გან ქართულად. საუქუნომცა არს საწენებელი და კურთხევაჲ მისი“, 612 გვ.

2. ტექსტის დასაწყისში მარცხენა კიდეზე მიწერილია: „სტეფანეს თარგმნილი“, 597 გვ.

40. „თუესა ნოემბერსა თ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და მოლაწებაჲ ღირსისა დედისა მატრონაჲსი, გუაკურთხენ ორ.—ბრძენთა და წმიდათა ცხორებასა და სათნოების მოყუარეთა მოქალაქობასა ძალისებრ შესხმაჲ და ქებაჲ ერთბამად ღირსა(!) არს...“ 612—635 გვ.

41. „თუესა ნოემბერსა ი. წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა მინა მეგვპტელისაჲ, რომელი იწამა ქალაქსა კოტჯაოს, გკნ მშო.—მეფობდეს რაჲ დეოკლიტიანე და მაქსიმიანე, ზეცათა მეუფისა მბრძოლნი იგი და მტერნი, წარავლენდეს წიგნებსა ყოველსა ქუეყანასა...“ 636—643 გვ.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოსაა: „წმიდანო მამანო, ესე წმიდისა მინაჲს წამებაჲ იყო ძუელადცა თარგმნილი კიმენისგან, რამეთუ ესრეთ ეწოდების პირუშულ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა, ხოლო აწ ესე ითარგმნა ახლად მეტაფრასისაგან ბრძანებითა კალიპოსელთა წინამძღურისა ბასილისითა, რამეთუ მას უწმიდა მინა წმიდისათჳს და ესე ირჩია ლოლოთეტი სკამეონის შეკაბმულისა მოწამეთასგან, რომელსა მეტაფრას ეწოდების. შეგზნდევით და ლოცვა ყავთ“, 643გვ.

42. „თუესა ნოემბერსა იდ. მოსაჯსენებელი წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა ფილიპესი, გკ^ნნ მმ^ო.—ღმრთისაგან ღმერთი სიტყუაჲ მარადის მამისა თანა იყო...“ 643—649 გვ.

43. „თუესა ნოემბერსა იე. საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისაჲ. კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისაჲ, შესხმად წისა და დიდებულისა მოწამისა რომანოზისი. გკ^ნნ მმ^ო.—კულად მოწამეთა ჯსენებაჲ, კულად კრებაჲ და დღესასწაულობაჲ სულიერი, რომელსა შინა იგინი დაშურეს...“ 649—657 გვ.

შენიშვნა: ტექსტის დასაწყისში კიდევ ტექსტისავე ხელით მიწერილია: „თარგმნილი ეფრემისი“, 649 გვ.

44. „თუესა ნოემბერსა იე. წამებაჲ წმიდათა სამთა აღმსაარებელთა: გურიი, სამონა და აბიბოქსი, და თხრობაჲ სასწაულსა მათ მიერ აღსრულებულსა ეფემიამს ზედა ქალისა, გკ^ნნ მმ^ო.—წელსა აღექსანდრე მაკედონელისა შეფობითგან მეექუსასესა და დეოკლიტიანეს პრომითა სკიპტრისა მპყრობელობისასა მეცხრესა...“ 658—679 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოსაა: „წმიდანო სამნო მოწამენო სამებისა ყოვლად წმიდისანო, მისსა მიმართ მეოხებითა თქუენითა და ლოცვითა ბერისა ჩუენისა ანტონისითა მითუალულ ყავთ მესამე ესე ნაყოფი ჩუენისა ყოვლად განახლებულისა მეფუდისა არსენისი და კინისა ამის წილ-ძღუენისა მიძაღლეთ ნათესავსა ჩუენსა წარმართებაჲ თარგმნობისა მისისაჲ, რამეთუ შეუძლებელი კაცთაგან მისდა და მის მიერ თქუნდა შესაძლებელ არს. ამას გლახ ეფრემ იტყჳს მცირე, მონაჲ მისი და უფროსდა მოძღუარი“, 678—679 გვ.

2. ტექსტი თარგმნილია არსენ იყალთოელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე ძვ. ქართული მწერლობის ისტ. 1, 1950 წ., გვ. 256).

45. „თუესა ნოემბერსა იე. მოსაჯსენებელი წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა მათესი, გკ^ნნ მმ^ო.—უკეთუმცა და მბადებელისა მიერ მოცემული იგი ჩუენდა მცნებაჲ...“ 679—682 გვ.

46. „თუესა ნოემბერსა იზ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა გრიგოლი საკვრველთ მოქმედისაჲ, აღწერილი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელიისაჲ, გკ^ნნ მმ^ო.—ერთი უკუე არს სახე ჩუენისაცა ამის სიტყჳსაჲ და აწ ქმნილისა ამის შესაკრებელისაჲ...“ 682—728 გვ.

ანდერძი: ტექსტის ბოლოსაა: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, რომელნიცა მიემთხვნეთ აღწერილსა ამას წმიდისა გრიგოლი ნოსელიისა ცხორებასა დიდისა გრიგოლი საკვრველთ მოქმედისასა, რომელი დაიწერა ბერძულისაგან ქართულად მოსწარაფებითა მღუდელისა გაბრიელისითა და ხელითა ყოვლად

უღირსისა ეფრემისითა, ხოლო ბრძანებითა ზოგადისა მამისა: ჩუენისა ბერისა საბაჲსითა, რომლისა იყავნ საუკუნე საცხენებელი და კურობეჲვა მისი, ამენ იყავნ.

ხოლო ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ ცხოვრება ამის წმიდისა, რომელ ჩუენ ძუელად გუქონდა, სხუად არს, და ესე გრიგოლი ნოსელიისა თქმული—სხუად და ესეცა გუასმიოდა, ვითარმედ. . . . ილსავე თანა ნოსელიისა წიგნისასა ესეცა საკითხავი უთარგმნია წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგი მთაწმიდელსა, გარნა ჩუენ ჯერეთ[არა] გუენილვა, არცა შავსა მთასა მოწუენულ იყო. ამისთჳს იძულებითა მდღელისა გაბრიელისითა ვთარგმნე, ვითარცა არა მომლოდემან მის წიგნისა აჲა მოწუენისამან სიჲავისაგან ჟამთაჲსა და უდებებისაგან გონებათაჲსა და ესე დაეწერე, რათა უკუეთუ ოდესნე მოიწიოს, არა ჰგონოთ, თუ კადნიერებით ვყავ თარგმნაჲ თარგმნილსა დიდისა მოძღურისა და ეკლესიისა მნათობისასა, რომლისა უმჯობესი ნუჲჲვე და არცა თუ უპირატესისა მისისა და ზოგადისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისაგან საგონებელ იყო მეორედ თარგმნაჲ, ვინაჲცა იყავნ სკნჲჲსენებაჲ და კურობეჲვა მათი, ანჲ, 728 გვ.

47. „თუესა ნოემბერსა იმ. წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა პლატონისი, გუაკურობენ მშო.—არა უცნაურ არს სახელი გალატელთაჲ...“ 728—739 გვ.

48. „თუესა ნოემბერსა კა. საკითხავი თქუმიული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი ნიკომიდიელისა რიტორისაჲ ტაძრად მიყუენებისათჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის მშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისსა, გუაკურობენ მამაო.—ბრწყინვალე არს მიზეზო ამის კრებისაჲ...“ 739—750 გვ.

49. „გიორგისი [ნიკომიდიელისა], რომელი იყო კოსტანტინეპოლით წიგნის მცველი წმიდისა ღმრთისა ეკლესიისაჲ, სიტყუად ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისათჳს, რაჲჲამს მიყუენებულ იქმნა სამისა წლისაჲ ტაძრად უფლისა მშობელთა მიერ მისთა, გუაკურობენ მშო.—კეთილთა მიზეზთა სიტყუად დაწყებისათა მიჩუენებს ჩუენ მოწუენული ესე დღესასწაული...“ 750—763 გვ.

შენიშვნა: დასაწყისში, გვერდით კიდებუა: „თარგმნილი ეფრემისი“, 750 გვ.

50. „თუესა ნოემბერსა კგ. ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ამფილოქეიკონიელიისაჲ, გუქხენ მშო.—და რაჲლა ვინ კეთილთაგანი მისცეს თხრობასა...“ 763—771 გვ.

51. „თუესა ნოემბერსა კდ. ცხოვრებაჲ და საკრველებანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ეპისკოპოსისა აკრაკანტელთა ქალაქისაჲ, რომელ არს სიკილიისაჲ. აღწერა ლეონ ხუცესმან და მონაზონმან წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲს ლავრისა მამასახლისმან, რომელ არს ქალაქსა შინა დიდსა ჰრომსა, ხოლო თარგმნა ენასა ჩუენსა დავით ტბელის ძემან.—საშინელი და მიუწლომელი საკრველებაჲ და სარგებელი სულისაჲ...“ 771—856 გვ.

52. „თუესა ნოემბერსა კე. წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს, მოწამისა ეკატორინისი, გკნ ოო.—მეფობასა უღმრთოჲსა მაქსენტიისა...“ 856—873 გვ.

53. „თუესა ნოემბერსა კზ. ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ალჳბი მესუეტისაჲ, გუაკურობენ მამაო.—კეთილ უკუე არიან და მოწამეთაცა ლუაწლნი...“ 873—888 გვ.

წყ დება: „...და წინაშე სუეტს წმიდასა საყოფელს რასმე შ...“

შენიშვნა: ხელნაწერს აკლია ფურცლები: 16—17, 132—133, 314—315, 476—477 და 528—529 გვერდებს შორის.

(378)

385

ლევან ბაქარის ძე ბატონიშვილი, მსოფლიო ისტორია. 1763

1044 გვ.; 34 × 21,5; ქალაღი; გვ. 1015—1042 დაზიანებულია, კიანაპამია. ხის ქალაღდადაკრული ტვიფრული ყდა; ძხედრული, სათაურები სინგურით. შემდგენელი და მთარგმნელი ლევან ბაქარის-ძე; 1763 წ. გადამწერი მელქისედეკ კავკასიძე (1017 და 1020 გვ.), დაუწერელია: 8, 36, 365—370, 444—450, 488, 670—674, 714, 1018, 1021—1026, 1036—1038 და 1041—1043 გვ.

[ლევან ბაქარის ძე ბატონიშვილი]. „ანბავნი გინა ისტორიანი, რომელიცა არს ძველი აღთქმა. თავი I. ეკლესია ღმრისა ძველს სჯულსა ზედა. —ღმერთმან შექმნა ცა და ქვეყანა და ყოველივე, რაჲცა დანიშნავს ცასა და ქვეყანასა...“ 1—1040 გვ.

- შენიშვნა: 1. შედგენილობა: ა. „თავი I, ეკლესია ღმრისა ძველს სჯულსა ზედა“, 1—7 გვ.
 ბ. „თავი II. გამგებლობა ღმრის ერისა 22 მამათმთავართა მიერ“, 9—35 გვ.
 გ. „თავი III. გამგებლობა ერისა ღმრისა 22 წინამძღვართა ანუ მსაჯულთა მიერ“, 37—68 გვ.
 დ. „თავი V(!). გამგებლობა ერისა ღმრისა 22 მეფეთა მიერ, ესე გამგებლობა იყო 507 წელ“, 68—112 გვ.
 ე. „თავი V. გამგებლობა ერისა ღმრისა 22 მღვდელთმძღვართა მიერ ჰერიათა ქრისტესამდი“, 112—150 გვ.
 ვ. „სამეფო ოჯახისა“, 151—156 გვ.
 ზ. „კითხვის საკემწიფო“, 156—162 გვ.
 თ. „პინდოეთი“, 163—167 გვ.
 თ. „ასურთა ანუ პირველი მონარხა“, 167—177 გვ.
 ი. „ბაბილოვანი ანუ ქალდეუელთა ქუეყანანი“ 177—180 გვ.
 ია. „სირია“, 182—196 გვ.
 იბ. „სპარსეთი“, 197—215 გვ.
 იგ. „არაბია“, 216—274 გვ.
 იდ. „მცირე აზია“, 275—310 გვ.
 იე. „დიდი ტარტარია“, 311—320 გვ.
 ივ. „სამეფო ციბირისა და ოსტაგთა ჩამომავლობა“, 320—358 გვ. ამ თავში 357 გვ. ტექსტის ხელით მიწერილია: „ალიწერა ესე ანბავი ციბირისა იოან ბელურ დრაგუნის კაპიტნის შეეტისა, ვიდრემდის იყო იგი ტყვედ ციბირსა“.
 იზ. „ბისლორი გინა ბოსორია, ყირიმია, ძველადგან ხერსოვნეთად წოდებული“, 360—363 გვ.
 იძ. „კვიპრის კუნძული ანუ ხერთუსის“, 363—364 გვ.
 ით. „ვერობა“, 371—372 გვ.
 იკ. „მაკედონია“, 373—380 გვ.
 იქ. „საბერძნეთი“, 381—443 გვ.
 იკ. „სამეფონი ნორდისანი, სკანდინავიად წოდებულნი, ანუ ჩრდილოეთისა სამეფო მეროე ვერობისა“, 451—461 გვ.
 იგ. „სამეფო მესამე ვერობისა, ბოლო მეროე ნორდისა შვეთი“, 462—472 გვ.

- კდ. „სამეფო ნორვეგიისა“, 472 გვ.
 კე. „სამეფო უნგრისა ანუ ვენგრია“, 472—479 გვ.
 კვ. „სამეფო შპანიისა ანუ ჰიშპანია“, 479—504 გვ.
 კზ. „სამეფო პორტუგალიისა“, 505—510 გვ.
 კწ. „დიდი ბოიტიანია“, 510—534 გვ.
 კთ. „სამეფო ფრანცუტა“, 535—604 გვ.
 ლ. „იტალია“, 605—858 გვ.
 ლა. „გამგებლობა გერმანიის საწვლმწიფოსი“, 859—948 გვ.
 ლბ. „ნიდერლანდი“, 948—950 გვ.
 ლგ. „ლალანდია“, 950—955 გვ.
 ლდ. „შვეიცარია“, 955—957 გვ.
 ლე. „პოლციის ქვეყანა“, 957—966 გვ.
 ლვ. „ლიტოვი“, 967—969 გვ.
 ლზ. „იაფეთის ტომისა, რუსუს, ამისგან გამოვრდა სახელწ რუსეთისა და რუს-ნი—ძენი რუსუნის...“ 970—1017 გვ.
 ლწ. „ახალი სპარსთ საწვლმწიფო აღმოსავლეთად“, 1027—1035 გვ.
 ლთ. „ახია“, 1039—1040 გვ.

ანდერძები: 1. „ანდერძ-ნამაგი(!) ლე უან საქართველოს მეფე ის ბაქარის ძისანი. აჰა სიბრძნისა ტრფილწონა და გულისხმის-ყოფით მეცნიერების გამოძეძიებულწონა, უცხოთა და მრავალ საყვირველთა ამბავთა გონებათა აგანხედველეთ, თუ ვითარნი კეთილნი სანოვაგენი სანოვაგენი(!) სუნნელგებითაჲშეზავებულ-შემეკულნი შე-აგბნა, და დაგივრთა ტაბლანი სიბრძნისა გემოვნებათა მოყუარეთა კეთილშობილთა ქართველთა ერთა ლე უან, მეფის ბაქარის. ძემან, რაჟამს სიბრძნითა და ყოვლისა სწავლულგებითა აღზარდნა თუისმან კეთილად მოხსენებულმან მამამან ძენი ძენი(!) თუ-ისინი და განასრულნა სწავლითა, ვითარცა ბრძენთაგან კეთილმაგალითად ხსენებულთა ფუტკართათუის თქმულ არს: რაჟამს მართვენი ფუტკარისანი თუისთა ჟამთა მოწი-ფებისა გამოვალნ სკით თუისით და მიმოვალნ ჰაერკეთილობათა შინა ბუნებისაებრ თუისისა განმსტრობად ყუავილოვნობათა და კეთილგემოვნებათა მისთა და ნიშტი-ანობათათა განმხილველობად, ხოლო რომელიცა კეთილსაქმრად აღუჩნდის და სარ-გოდ მისთა, ყუავილთაგან მოიხუამნ თუისდად და კეთილსა რასამე ნივთსა შეამ-ხადებს ყოველთათუის მრჩობლ საჭმრად, გინა ემლასტროდ, ეგრეთვე ამა სიბრძნი-სა ტრფილწონან, რაოდენისამე ენისა წიგნისა და წერის ზედმიწევნით მცოდნემან, მიმოვლნა გონებისა თვალითა ფრანგთა სწავლისა წიგნი სიბრძნითა აღსავსენი, კრონოლოგია, რომელ არს მეფეთ ცხოვრება, ისტორიანი და სხვაინცა მრავალნი წიგნი დასაბამითგანნი, ვიდრე მოდღეინდელად დედმდე აღწეოილნი დიდის. გა-მოძიებითა დიდთა ფილასოფოსთაგან. დიდის სასჯლით შეკრებულნი ესე ძვირფასნი საუნჯენი რა განიმსტრონ და განიხილნა, მათთვის იშურენა და ქართველთათვის ისურენა. არა სცა ცხრა წელ თვალთა თუისთა რული და თავთა თუისთა განსვე-ნება, ვიდრემდის ლათინურისა, ფრანცუტულისა და ნემწყურისა დიალექტისაგან ქართულად გარდამოაენითნა. და თუ ვითარ ქართულსა კილოსა ზედა, კეთილშობი-ლობამან თქვენმან განიხილოს ცოდნა და სმენა მისი წიგნისა ქართულისა ამისთვის, რათა არა უმეცრად ვისმე აღუჩნდესთ თვით მათ ფრანგთაგანვე კებით ხსენებულ-აღწერილნი ისტორიათა მათთა შინა სახელოვანნი ქართველთა ერნი.

ხოლო ჩვენ პირველსავე მაგალითთა მივხედნეთ, ვითარცა ფუტკართა. მეფეთა და მეფეთა ჩამოშავლობათა არა აქუნ საწერტულნი, არამედ ბრძანებანი მახვილნი, და მისთა ჯართა აქუნ საწერტულნი საომრად განმზადებულნი ბრძანებისაებრ. ეგრეთვე მე, მონას მისსა, ნეტარხსენებულის მამის მათის ბრძანებისაებრ ზედამხედველად დადგინებულს მათის სწავლისათვის მათის სიმაღლის მამა-პაპის მდივანს კნიაზ მელქისედეკ კავკასიძეს მებრძანა სასასჯლონი სასჯელნი და აღმორჩნა მისმან კეთილწყაფიერობისა გამობუტკუნამან და რაცოდენ ძალ-მედვა, ვიმუშაკე მცოვანებისა ჟამსა, ვინათგან თუისნი ნამუშაკევის ნუსხანი გარდასაწერ-გასამართა-ვად მებოძა. და აღვსწერენ 65 რვეულნი. აჰა, იხილეთ, უკეთოს უდებად ცყოფილკო მათის ბრწყინვალეების სასწავლოსა და სამსახურსა ზედან. განიხილენ კეთილგო-ნიერობამან თქვენმან შეუმრღვეველის გონებითა და ეგრეთი სასყიდელი ებრძანოს თქვენ მიერ მოქსარსა და მომკალსა.

ხოლო აწ მწადს სანწუხარონი სიტყუისა მოხსენებანი: ოდეს განასრულა წიგნი ესე ყოვლითურთ, ანაზდათ მიგვტაცნა უხვანიშნომან და ყოველთა შეუწყალებელმან სიკუდილმან ყოვლით სრული და ძვირფასი იგი საჯნჯე 1763, ივლისის 23, წლისა 35, დღესა ოზნშაბათსა. აწ თუ უნწუხარო ვიყო, საუკუნომცა არს ცსენება და კურთხეუა მისი, ამინ“, 1019—1020 გვ.

2. „ღმერთო, განუსენე ამის მთარგნელს, საქართველოს მეფის ბაქარის ძეს ლეუანს, აძინ, და მწერალს მდივანს მელქისედეკს კავკასიძეს, 1763, სექტემბრის 30“, 1017 გვ.

მინაწერები: 1. „ყოვლად მოწყალედ ჳელმწიფისა ვარ“, საც. ფურც. v.

2. „ვად მწუხარება კმნილსა მწერლისასა“, 950 გვ.

3. „და ვით ლეონიძეს ვაჩუქე ჩყლხ-სა აღსავსებლად მისისა კარტოფილაქსისა, კნიაზი გრიგოლ წერეთელი“, 1044 გვ.

(379)

386

ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი. 1784

II ფ. 556 გვ.; 27,5X 18,5; ქალაღი; თანაკლული, დალაქავებული, ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები სინგური; გადამწერი მიხაილ (554 გვ.); 1784. XI-11 (554 გვ.); დაუწერელია: IIr, 547, 555, გვ.

[ლექსიკონი].—

ა. ანი არს პირველი ასო და კმიანი და ართრონი...

ა ა ბ ი ა ბ მ ა უ ყ ა ე .

ა ა ბ ნ ი ე ზ ე შე ა ბ ნ ი ვ ე .

ა ა ბ რ უ ნ უ შ ჴ ე შე ა ქ ც ი ე ...“ 1—547 გვ.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის:

ა. ქარაგმანი Ir.

ბ. ქვეყნის მზომელობის ნიშნები Ir.

გ. ცხოველთა, მცენარეთა, ქვეწარმავალთა, პლანეტებისა და სხვათა პირობითი ნიშნები Ir.

დ. „იესო ქრისტეს 72 მოწაფეთა სახელები, ვინ იყუნეს და სად ეპისკოპოს იქმნენ...“ Iv.

ე. ლექსი ჯცნობი ავტორისა საბას მიმართ—„სიბრძნის წყარო ხარ მდინარე უფასოდ ასუამ ყოველთა...“ IIr.

ვ. [სულხან-საბა ორბელიანი].—„ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმა დამიწუნოთა“ IIr. (ლექსი გადაკვეთილია და სხვდასხვა ადგილას არის მოთავსებული):

ზ. ლექსი მარიამ ყოფილი მაკრინასი—„ეს ლექსიკონი ჩემი საკონი, ესრეთ სასურვო ვით ვარდის კონი...“ IIr.

თ. [ვახტანგ VI].—„რადგან დაჰშურა ასრე საბა, ქება მმართველს აწლა მეცა...“ IIr.

თ. [ვახტანგ VI].—„სიყრმიტგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახულელი...“

IIr.

ი. უცნობი ავტორის ლექსი.—„მოვედ, მსწავლულნო სიბრძნისნო, მე ამ წიგნის-თვის ვხადილობ...“ IIr.

2. ხელნაწერს ბოლოს ერთვის: ა. „მოკვლენი ქართულნი და თათრულნი, რომელნი შეემოწმნეს...“ 549—551 გვ.

ბ. „საქმართ სახელები“, 551—552 გვ.

ბ. „ქორონიკონები“, 553 გვ.

დ. ასურელ მამათა სახელები, 553 გვ.

ე. ლექსი.—„საბა სულხან ორბელისძე სიბრძნის აღჭდა ორბების ზე“, 554 გვ. (ეს ლექსი ვეჟუანის მ. კაკასაძის: ია. ე. ლორთქიფანიძე, „ლატერატურული გახე-თი“, 1953, 4 დეკემბერი).

ვ. ლექსი.—„საბასი ვნახე ნალვაწი ნამჭვერი შემოკრებული...“, 554 გვ.

ანდრძი ა. (ავტორისა): „ამა წიგნისა მომღუაწებელსა სულხან-საბა ორბელიანს ლოცვით მოიქსენებდეთ, მეფის არჩილისა და მეფის გიორგის და ბატონის ლეონის დედის ძმისწულსა, საქართულთს მსაჯულთს ბატონის ორბელის ძესა. ამა მეფეთა ბოძანებითა აღწერა ესე წიგნი ფრიადი-თა შრომითა და რულუნებითა, რამეთუ ქართლის ქუშქანას ლექსიკონი აღარ იბო-ბოდა და ოცდაათს წელიწადს ძლივ შეაწყო განმარტებით, რამეთუ ერისკანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო იყო, მაშინ ქორონიკონი იყო 1695. ამისა შემდგომად მონაზონ იქმნა და გარესჯას მრავალ მთის წმიდის ნათლისმცემლის მონასტერს დაადგრა, ქკს 1703, მარტს მ მონაზონ იქმნა. ქკს 1710, დეკემბერს 1 ხუარასანს წაეიდა,—მეფეს ქაიხოსროს ვემო, და ფებერუალს 20 გამოისტუმრა მრავლის ნიქითა. მაისს 11 ქართლს მოვიდა. ქკს 1712, აპრილს 23 ისპანს წაეიდა, მეფეს ვაბტანგს გაჰყუა, 2 ნოემბერს ვაშობაზუნა. დეკემბერს 20 ქართლს მოვიდა. ქკს 1713, აგვისტოს 17 საფრანგეთს გაიპარა: ფრანცია, ჯენევა, სიცილია, ჰრომი ნახა. ფრანციის მეფე, ჰროპის პაპა, კრანდუქა უცხო კარგ დახუდენ. ყოელი კაცი გაჰკვრდა. რაც იმ ქვეყანაში უცხო და ძვირად სანახავი იყო, ყველა აწულნეს. პაპამ წმიდის ჯვარის ძელის ნაწილი, წმიდის კლემენტოს მოწამის თავი და სხუა მრავალი წმიდა ნაწილი უბოძა, 18 მარამოზის თვეს გამო-ისტუმრა. გზებზე წმიდა სახლი და მრავალი წმიდა ადგილი მოილოცა. 20 ღვინობის თვეს მალთისს მოვიდა. 8 დეკემბერს ფრანციისს მეფის ხუამლიდი მიუვიდა, წამოვიდა. ქკს 1713 იანუარს 19 კოსტანტინუპოლისს მოვიდა, იქ დეკემბერსა ის წელიწადი. ფრანციისს დესპანისას იღვა ჯელის შეწყობითა“, 547 გვ.

ბ. გადაწერის: „სრულ იქმნა, იყავნ სადიდებულად შენდა, სიტყუაო ღთისაო, და უბიწოდ მშობელისა შენისა. 1784. XI II მიხაილ“, 554 გვ.

მინაწერები: 1. ტექსტის ხელით: „მოჟრნე მარამ განსწმედს ვეცხლისებერ ბერ-თა, მვნედ არს. მიუწვეგნელ მოსავთა მისთა, მწედ ერთა, კაცი გ. კენჭი კდ.“ ადემ ბეგან, შავი ცხენი ქიტას მიეც“, 553 გვ.

2. სხვა ხელით: „საქართველოს დედოფალი დარეჯან მიიცვალა პეტრებურსს ნოემბრის 8, წელს 1807. მეფის სძალი ქეთევან მეუბრანბატონის ასული მიიცვალა პეტრებურსა მარტს 4, წელს 1808“, 554 გვ. მინაწერები მოთავსებულია 555 გვ.

(380)

387

პეტრე ლარაძე, მრავალფერყუავილოვანი. XIX

166 ფ.; 36,5 × 25; ქალაღი, ტკევადაკრული ხის ტვიჭრული ყდა; მხედრულა. სათურები სინგურით: ავტოგრაფი(!) პ. ლარაძისა: [XIX ს.].

1. „აქა იწყების სიტყუა პეტრეს მიერ ყარობის ლარაძისა შემქმნასათს სოფლისა და ადამ, პირველისა მამისა ჩვენისა, შაირად თქმულნი.—სულო, ღმერთ-სრულო, ათორთად განბრძნობად გარდმოსრულო და, სახედ ცეცხლასა ენათა ნათლად განბრწყინებულო და...“ 2r—108r.

შენიშვნა: პეტრე ლარაძის ეს თხზულება ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, „დავითიან-ბაგრატიონთა მატინელ“ (იხ. ტო. რუხაძე, „ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში“, 1939, გვ. 154—157).

2. „შესხმა თამარ დამყარებულისა წელმწიფასა, მეფის გიორგის ასულისა, გიორგიელთა თვთმპყრობელისა და მონარხასი, თქმული ხუთ ტაეპ იამბიკოდ, ბოლოებ განწყობილად, ათშვიდმეტ მუხლედად კეთილშობილის პეტრეს მიერ ლარაძისა, გიორგის ძის, ყარბისა, რომლისა მიერ ჰამბაენიცა ზემორენი გალექსილ იქმნნეს ჩყკე-სა წელსა.—

ცისა სფეროთა ქვემფლობელთა ყოველთა...“ 108v—109v.

3. „თქმული მისვე პეტრე ლარაძისა მიერ ყარბისა იამბიკოდვე იესოს ქრისტეს შობისათჳს.—

აღვიმსითო, ვეტრფნეთ ყოვლთა არსთა საქებს...“ 110r.

4. „სიზმართათჳს განსაზღურა იამბიკოდ თხზულნი ესე პეტრეს მიერ ლარაძისა.—სამე ქვეშარიტ იცით ზომიერ, მხედნო, არს რაიმენი, თუ რაულად აღძრვანი...“ 110r.v.

5. „ეს ჩახრიხაულად(!) რველ-წყობილნი და შაირნი მწირობასა შინა ჰსთქვა პეტრე ლარაძემან, ვითა რითაცა მხნედ-მორბედლობით ჰჰსახურა მეფის ძეს თეიმურაზს და ძლიერის წელოვნებით გამოიყვანა სპარსეთით.—

აჰა ესერა, უბიწო სძალო, მოვილტვი შენდა, მრჩობლ დედოფალო...“ 110v—114r.

6. „ესე შაირნი მაშინ ჰსთქვა პეტრე ლარაძემან, ოდეს მეფის გიორგის ასული, მენგრელიის დედოფალი ნინა მობრძანდა პეტერბურღს და თანმყოლთა მისთა თავადთა და აზნაურთა ჰსთხოვეს პეტრეს დაწერა შაირთა რეცა მათ მაგიერად.—

 4. და ყოფაქცევით ძუშლთ მამათ შენადარსა,
 5. მონოხოვნების კანონსა, სრულ დაცულსა.
1. მსურს მიძღვნად მისდა დღეს ეს იამბიკონი,
 2. ვინადგან ესე ილუწის ყოველთა ქართუშლთათჳს,
 3. ამისთჳს ჯერ-არს ჩუშნდაცა სიხარული,
 4. მხიარულება მის ანღელ სენობისათჳს.
 5. და ნექტართ შესმა დღეგრძელობისა მისთჳს“ 308ვ, ქვემო ყდის შიდა გვერდი.

შენიშვნა: ლექსები შეადარე S—254-ს.

მინაწერი: „რუსის მეყდესა შეცდომით შეუკრავსა წინასიტყუაობა, მომიტევეთ“ 55r.

(407)

417

კრებული. XII

235 ფ.; 23,5 × 34; ქალაღი, გაცვეთილი, დალაქავებული და დაჩვრეტილი; ყვითელი ფერის ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ზემო ყდა და ყუა მოცილებული აქვს და ჳიის მიერაა დახიანებული); აქვს ყდის საცავი ფურცლები; ნაკლული; ნუსხური (გაცხოველებული), სათაურები სინგურით; [XII].

[მე ტ ა ფ რ ა ს ი]. 1. [თუესა იენისსა ბ, ცხოვრებაჲ ნიკიფორე კონსტანტინეპოლელპატრიარქისა და აღმსარებელისა.]—... და სასურველისა მიმწვენელ ჰყოფს, რამეთუ კეთილმსახური მამათა სარწმუნოებაჲ, ვითარ უწყით, ახალ მშუშლელ...ათა მიერ ნობრყულებასა არასადა თავსიდებს, არამედ უფროჲსლა განძლიერებასა ჩუშულ არს...“ 1r—3r.

2. „თუესა იენისსა გ, წამებაჲ წმიდისა ლუკილიანესი და მისთანათაჲ და წმიდისა პავლისი, მ. გ.—ავრილიანეს მეფობის მთავრობისა რომეონთაჲსა მორტყმულობასა კომი, ესე იგი არს მთავარი, სიღვანოს ნიკომიდიელთა ქალაქსა ზედამდგომელობდა...“ 3r—21r.

წყ დ ე ბ ა: „...ხოლო მიერთუა კეთილმსახურისა კონსტანტინეს კრებისა ესე განჩინებაჲ, რომელსა ვითარ ლთივმოვლენილსა ჰმსახურა და შეიწყნარა...“

3. [„თუესა იენისსა დ, ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდათა მამათა და ეპისკოპოს-ქმნილთაჲ ლივ დაცვულსა და სამეფოსა ამას ქალაქსა შინა მიტროფანე და ალექსანდრესი და მას შინა კერძობითი ცხოვრებაჲცა კეთილ-მსახურისა და დიდისა კონსტანტინე მეფედ ჩუშნდა ქმნილისაჲ და თხრობაჲ ნიკეას. შინაჲსა პირუშლისა წმიდისა კრებისათჳს.]—...ელთა

და მიტროფანეს ცხრისა განმასრულებელთა და ალექსანდრეს მომკითხველთა ხოლო მეფისაგან მჯმნელთა თჳსთაში აღსლვაჲ ისწრაფეს...“ 22r—24r.

4. „თუესა ივნისსა ე, ლუაწლი წმიდათა და დიდებულთა ქრისტეს მოწამეთა მარკიანესი და მისთანათაჲ, მ. გ.—კეთილ უფლისაჲ, საყუარელნო, მწყობრიცა ეგვპტეს შინა ღისა მწამებელთაჲ, კეთილ და მოთხრობისა ღირს...“ 24r—25r.

5. „თუესა ივნისსა ვ, ცხორებაჲ და წამებაჲ დოროთე ეპისკოპოსისა ტკრელისაჲ, მ. გ.—მრავლით კერძო ჩუენდა უფლისაჲ, საყუარელნო მსმენელნო, დიდისა და დიდებულისა მღღელ-მოწამისა დორეთეოჲს შესხმაჲ სათანადო...“ 25v—27r.

6. „თუესა ივნისსა ზ, ლუაწლი კეთილად მძღისა თეოდოროი ანკვრელისა და მისთანა წამებულთა ქალწულთაჲ, მ. გ.—მბორგელობდა რაჲ მრჩობლ ეშმაკეულთა კერპთმსახურთა დევნულებაჲ ძკრად ქრისტეანეთა...“ 27v—32r.

7. „თუესა ივნისსა ც, წამებაჲ წმიდისა დიდისა მოწამისა თეოდორეს ტრატრილატიისაჲ, მ. გ.—ლიკინნიოს მეფე, მრავლისა მომგებელი კერპთათჳს ცთომილებისაჲ, ბრძანებათა ყოველთაგან განავლენდა...“ 32r—36v.

8. „თუესა ივნისსა თ, ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდათა შორისისა მამისა ჩუენისა კვრილე მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ, მ. გ.—ესე უკუშ ყოვლად ქებული მამაჲ ჩუენი და დიდი ღისა მღღელთ-მთავარი კვრილე აღმოემორჩა ალექსანდრიელთა დიდ ქალაქით...“ 36v—41r.

9. „მასვე დღესა, ლუაწლი წმიდისა, კეთილად მძღისა ქალწულ-მოწამისა ანტონინაჲსი და ალექსანდრესი, მ. გ.—დედაკაცისა სიმენესა მკვრებელმან სოლომონ, ვითარ მრავალთა ზედა სამცხორებლოთაგან წარმართებათა შეკრიბა მისთჳს შესხმაჲ...“ 41r—47v.

10. „თუესა ივნისსა ი, მოსაჯსენებელი წმიდისა მღღელ-მოწამისა ტიმოთე პრუსისა ეპისკოპოსისაჲ, მ. გ.—უკუეთუ მართალთა ვსენებისა შესხმით გვსწავიეს ქმნაჲ, რაჲთა იგინიცა შესატყვისსა ჩუენ მიერ დიდრსნენ პატივსა...“ 48r—50v.

11. „თუესა ივნისსა ია, მოსაჯსენებელი წმიდისა მოციქულისა ვართოლომეონისი, გ. მ.—დიდი და საჩინოჲ შესხმაჲ და ზოგად ყოველთა მორწმუნეთაგან ღმრთის მსახურთა და დიდთა მოციქულთად არს ღირს-ყოფაჲ მათი...“ 50v—54r.

12. „მასვე დღესა, მოსაჯსენებელი წმიდისა მოციქულისა ბარნაბაჲს მიმართ, ერთისა საპოცდაათთაგანისაჲ, რომელსა შინა მიმოვლანიცა მისნი, მ. გ.—დიდისა ქრისტეს მოციქულისა ბარნაბა სახელდებულისა და გარდასახელებულისა ძლითნი ცხად-ყენეს უკუშ მისთაცა თანამოწაფეთა და თანამოლუაწეთა...“ 54r—65v.

13. „თუესა ივნისსა იბ, ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა ონუფრისი და მისთანა სხუათა განშორებულთაჲ, მ. გ.—მე უდაბნოს უპირატეს მრავალთა ჟამთა ქცევასა მყოფელისა გონებასა მოვიდა(!) ოდესმე უშინაგანესთაცა მისთა მიმართ შესლვაჲ...“ 65v—79v.

14. „თუესა იენისსა იგ, ლუაწლი წმიდისა და კეთილად მძლისა ქრისტეს მოწამისა აკკლინისი, აღწერილი ანდრიაჲს მიერ კრიტელ მთავარეპისკოპოსისა, მ. გ.—დედათა შორის პატიოსან-წუწნიერება, რომლისა ქსენებასა დღესასწაულობად ვიღირსენით დღეს...“ 79v—85r.

15. „თუესა იენისსა იდ, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა სელევეჰკიელისაჲ შესხმაჲ წმიდისა წინასწარმეტყუელისა ელისესი და სომანიტელისა მიმართ, მ. გ.—წინასწარმეტყუელთაგანთა რომელთამე სიტყუთ ქადაგეს ქრისტე, ხოლო რომელთამე მათ მიერთა საქმეთა მიერ ჩუენეს...“ 86r—88r.

16. „მასვე დღესა, ქსენებაჲ წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გეთოდო მთავარეპისკოპოსისა კონსტანტინუპოლელისაჲ, მ. გ.—დიდ ვიდრემე თავით თჳსითცა და ქების ღირს მოღუაწებითი ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ სახარებისებრისა სიმკაცრისა მცველი და ანგელოზებრისა ქცევისა მობაძავი...“ 88r—95r.

17. „თუესა იენისსა იე, წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა დულაჲსი, მ. გ.—პირველთა მათ ჟამთა შინა კერპთმბორგელობაჲ რაჲ მპყრობელობდა და ყოვლით კერძონი მთავარი ქრისტეანეთა დევნულებისაში უმეტესად უცალოებდეს...“ 95r—99r.

18. „მასვე დღესა ნეტარისა თეოდორიტე ტჯროსს ეპისკოპოს-ქმნილისაჲ მიზეზი დიდისა ამოსის წწყულებისაჲ, მ. გ.—დამბადებელი მხოლოდ გულთა ჩუენთაჲ და თანაშემავალი ყთა მიმართ საქმეთა ჩუენთა...“ 99v—115v.

19. „თუესა იენისსა იგ, ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა ტჯხონ ამათუნტელ ეპისკოპოსისაჲ, მ. გ.—მრავლისა და დიდისა სულიერისა საარგებელისა შექმნასა მსმენელთასა ჩუეულობს მოქალაქობისა სათნოებით მცხოვრებელთაჲსა მოთხრობაჲ...“ 115v—120v.

20. „თუესა იენისსა იზ, წამებაჲ წმიდათა ქრისტეს მოწამეთა მანუილ, საბელ და ისმაილისი, მ. გ.—სხუანი უკუშ მღვვარნი და მძლავრნი, დალათუ კერპთა შემდნარნი იყვენს...“ 120v—128r.

21. „თუესა იენისსა იძ, წამებაჲ წმიდისა ლეონტისი და მისთანათა ჰპატისი და თეოდულოჲსი, მ. გ.—უესპასიანოსს სკიპტრანი რაჲ რომეონთა მპყრობელობისანი აქუნდეს, და ბოროტ-მსახური და საძაგელი ელლინთა სამსახურებელი მპყრობელობდა...“ 128r—141v.

22. „თუესა იენისსა ით, ლუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა ზოსიმოჲსი, მ. გ.—აქუნდეს უკუშ რომაელთა სკიპტრანი ტრაიანოსს, სახელოანსა მგედართმოდურებითა და ამისთჳსცა შესაძრწუნებელსა...“ 142r—145r.

23. „თუესა იენისსა კ, ქსენებაჲ წმიდისა მამისა და აღმსარებელისა ევსევი სამოსატელთა ეპისკოპოსისაჲ, მ. გ.—აწლა კეთილმსახურებამან მკვდროანი ყოველი მოიცვა რაჲ კეთილთ ნებითა და წამისყოფითა ღმრთისაჲთა დიდისა კონსტანტინეს მეფობითა და თანამოქმედებითა...“ 145r—149v.

წყუდება: „...და დასასრულსა არა მსმენელობისათჳს მარჯუენისა მისისა მოკუშთასა...“

24. [თუესა იენისსა კა, წამებაჲ ზენონ და ზინაჲსი]—„... მთავარო, ვითარმედ სოფლისა ამის ჰელმწიფეთა ჰმორჩილობთ თქუენ წუთიერისა კეთილმოქმედებისათჳს...“ 150r—154r.

25. „თუესა იენისსა კზ, „ლუაწლი წმიდისა მღდელ-მოწამისა ევსტოქიოაქსი და შვილთა მისთა პროვისი, ლულისი, ურვასიოაქსი და გაიანოს, ძმისწულისა მისისაჲ, მ. გ.—იყო ვიდრემე ყოვლად ქებულისა ქრისტეს მოწამისა ევსტოქიო ქალაქით უსადონით შთამომავალისა...“ 154r—157r.

26. „თუესა იენისსა კგ, ლუაწლი წმიდათა და დიდებულთა ქრისტეს მოწამეთა ორენტიოს, ეროტოს, ფარნაკიოს, ფირმოს, ფირმინოს, კვრიაკოს და ლონგინოაქსი, მ. გ.—დიდ ვიდრემე მოწამეთა შორის და განთქმულ ორენტიოს, გარნა არა მხოლოჲ, არცა თავით თვისით თსაგან ცნობილი და სახელდებული...“ 157v—169v.

27. „თუესა იენისსა კდ, ანტიპატროვოსტრელთა ეპისკოპოსისა სიტყუაჲ შობისაძვს წმიდისა წინაჲსწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლის-მცემელისა იოანისა, მ. გ.—ნაშობთა შორის დედათაჲსა არაჲენ უფროჲს იოანისა მაცხოვარისა სიტყუამან განაჩინა...“ 169v—177r.

28. „თუესა იენისსა კე, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ლუაწლი წმიდისა და ღირს-მოწამისა ფებრონიასი, მ. გ.—დიოკლიტიანე ყოვლად უღთოჲსა და უსჯულოჲსა რომთა სამეფოჲსა მმართველობასა ეპარხოზობისა პატივითა ანთიმოს მორტყმულობდა...“ 177v—200v.

29. „თუესა იენისსა კვ, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა დავით თესალონიკელისაჲ, მ. გ.—არარაჲ ესრეთ სარგებელ და კაცობრივთა სულთა ცხოვნებისა მიზეზ, ვითარ ღის სათნოთა ცხორებათა მოთხრობაჲ...“ 200v—209r.

30. „თუესა იენისსა კზ, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა და საკვრველ-მოქმედისა სამფსონ უცხოთ შემწყნარებელისაჲ, მ. გ.—იქმნა უკუშ პირველთა ჟამთა და ძუშლისა აღთქმისა დასასრულსა მსაჯულთა შორის იმრუსალიმისათა სამფსონ სიმენესა ზედა განთქმული...“ 209r—215v.

31. „თუესა იენისსა კძ, ლუაწლი წმიდისა და დიდებულისა მღდელ-მოწამისა ბასილისი, მ. გ.—იყო ესე ბასილი შემთხრობელ ყოვლისა კაცისა ქრისტეს მიმართისა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა და მომაქცეველ საეშმაკოჲსა გზისაგან და ყოვლისა მოქმედებისა მისისა მეტყუელი...“ 215v—220v.

32. [თუესა იენისსა კთ,] „ნიკიტა ფილოსოფოსისა შესხმაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულთა თხემისა პეტრესი, მ. გ.—რაბამ საწადელ მადლი დღისაჲ, რაბამ შუშნიერ მიზეზი დღესასწაულისაჲ, ხოლო ფრიად ჰაეროან და ღთივ ბრწყინვალე წინამდებარე კრებისაჲ...“ 220v—225v.

33. „თუესა იენისსა კთ, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე მთავარეპისკოპოსისა კონსტანტინეპოლელისა ოქროპირისაჲ შესხმაჲ წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, მ. გ.—პეტრე და პავლე, მოწაფეთა უფლისათა, შესხმაჲ, ვიდრემე საქებელ და სანატრელ, ხოლო მიმოხუშვაჲ წადილისაჲ ძნელ და ძნად საწდომელი...“ 225v—235v.

წყდება: „...შუებასა შინა თავითა თვისითა მაშუშებლნი დღითი... მიიღელ საწერტელმან და წაებება ღმერთ-შეძოსილთა სხ...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერი წარმოადგენს იენისის თევში საკითხავ წმიდათა მეტაფორასულ ცხოვრებებს.

2. ხელნაწერის კიდევზე მიწერილია განმარტებები. ბევრი მათგანი დაზიანებულია კიდების ჩამოჭრის გამო.

3. საკითხავების თვე და რიცხვი აღნიშნულია სინგურით ხელნაწერის ზემო კიდევზე.

4. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს ნაკლები ხელნაწერიდან; ამაზე მიუთითებს ტექსტში გამოტოვებული თავისუფალი, დაუწერელი ადგილები (იხ. 21v, 74v).

5. ზემო ყდის საცავ ფურცელზე მოთავსებულია თედოქორდანის მინაწერი: „მეფე დიმიტრის (დ'თ აღმაშენებლის ძის) დროასი. დიმიტრი მოხსენებულია ჩართულ-წერილობაში. თ. უ“.

ასეთი ჩართულ-წერილობა ხელნაწერში არ არის.

მინაწერები: 1. (ნუსხური). „სულსა თედორეს ბაკურაძესა შეუნდონ ღმერთმან“, (46v).

2. (ნუსხური). „დავით შეუნდონ ღმერთმა“, 50r.

3. „ღმერთო, შეიწყალე სული თედორესი ბაკურაძისა“ (იხ. აგრეთვე მინაწერები: 21v; 59r; 64v, 74v).

(400)

418

კრებული. XVIII

96. ფ.; (192 გვ.); 31,5×19,3; ქალაღი, შეყვითლებული და დალაქავებული. (ხო-გიერთ გვერდებზე კიდები მოჭრილია); ყვითელი ფერის ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ზედა ყდა მოვარდნის აქვს); თაენაკლული; მხედრული, სათაურები და სტროფების დასაწყისები სინგურით; [XVIII], კვირნიშანი აქვს.

[არჩილი, 1. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა].—

„... დილა გათენდა, ჯმა გაჰქდა ყოველგან მოსვლის ჩემისა,

მუნ სიხარული შეიქმნა გულით არ შესაჩემისა.

ვინცა მნახევდა, მკერეტელნი ნახვამან გააჩემისა,

და სხვანი ნახულნი ჩემთანა უკუირდის, არ ეჩემისად...“ გვ. 1—177.

შენიშვნა: 1937 წლის გამოცემასთან შედარებით აკლია სტროფები: 1—160, 725 781—976, 982, 1053, 1054 (იხ. არჩილიანი, ტომი მეორე, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით).

2. [თეიმურაზ I], „აქა ქელმწიფეს ნეფეს თეიმურაზს გრემის სასახლეზედ ლექსები ეთქუა და ბალის სასახლეზედ დაეწერა, ამ კუალად ისმინეთ.

ღმერთი არს თავი ყოველთა, იგ ვაქოთ; განვადიდოთო,

სამნი ნათელნი ერთად ვთქუათ—მამა, ძე, სული წინდოთო,

მისის ცნობითა განენათლდეთ, გონება განვიწმიდოთო,

და განვაგდოთ უსჯულოვება, ნუ ვემსგავსებით დიდოთო...“ გვ.

179—180.

შენიშვნა: 1934 წლის გამოცემასთან შედარებით აკლია სტროფები: 6—9.

3. [არჩილი]. „ლექსნი ას ორი მუტლნი მისეე მეფის არჩილისაგან თქმული. პირველი.

ასნი ორმუტლნი შაირნი ვართ მეფის გამოთქმულია,
არჩილის, ვახტანგ მეფის ძის, ბრძენთა სანუკურად თქმულია...“
გვ. 181—192.

შენიშვნა: 1. 1936 წლის გამოცემის მიხედვით აკლია მუსლები: 96—100. (იხ. არჩილიანი, ტომი პირველი, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით).

2. ხელნაწერის კიდევებზე სხვადასხვახელით მიწერილია ლექსები. ლექსებს არაფერი აქვთ საერთო ტექსტთან. (ლექსები იხ. ქვემოთ მინაწერებში).

3. 80, 81, 82, 84, 85, 89 გვერდებზე მოთავსებულია ოთხხუთხოვანი ბეჭდები მხედრული ლექსებით: „მონა ღვთისა ნინო“.

4. 17 და 93 გვერდებზე მოთავსებულია კრიპტოგრამები.

5. ხელნაწერი, სხვა ხელნაწერებთან ერთად, გამოყენებულია გამოცემაში: იხ. არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტყილისი, 1936—37 წ. გვ. XIV.

6. ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: Описание рукописей, II, გვ. 241.

მინაწერები: 1. [თეიმურაზ I, მაჯამა, ტურფა ხარ მშვენიერებით].

„ვარდი ამას ვით იაზრებს: მზე მამშორდეს, არ დაეკენო.

ქ. გული წამართვი ცნობათურთ, მითხარ ნაცვალ მომე რა?

უვარდოდ წალკორტისათვის(!) თვალნი გიშრისა მომე რა,

— დამწვი და წყალი არ მომე, დამწვარსა გულსა მომე რა,

და ველარა გპოვე საჩემოდ, გაყრისა სევდა მომე რა.“ გვ. 1.

შენიშვნა: მინაწერი წარმოადგენს თეიმურაზ I მაჯამის ერთ-ერთი სტროფის ვარიანტს. (იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, 1934 წ., გვ. 116. სტროფი 11).

2. „ქ. დავკრთი, რა ვნახე მნათობი ბრწყინვალე, მჯობი მთვარისა,

აღვას მოარულს უხდება მირზევა საროს ტანისა,

ზამბახს პირს სურნელიანზე ზილფები აქვს ამბარისა,

და სულ ქვეყნად მიღირს, მისმა მზემ, მე მისი შედგმა თვალისა.“ გვ. 5.

3. „ქ. ვარდთა, ჯინჯველთა შეყრილთა, უგვანდა ღაწვთა არენი,

შროშანზედ ამბრის მარცვალი ეყარნეს მისაჯარენი,

რკინის ჯაჭვითა შეპყრობით შუა შეეგლო მთვარენი,

განციფრდის მის[ი] მჭვრეტელი, თუ ნახის მოცი[ინარ]ენი“. გვ. 15.

4. „ქ. ზურმუხტის კრიალენსანო, არა ხარ ოქრო მყარია,

არცა რამ მძიმეს ფასისა, არც ქვეყნის შესაყარია,

მაგრამ ზანანას თითებსა ეშუუსულ დაყარია,

თამარის სევ გულს ელენეს რასათვის გაეყარია“. გვ. 16.

5. „ქ. თვალთ მიმდემ, მარად მწინაო, სულის შავს ფერად შენაო,

პირისპირ უცხოდ მცინაო, კაც სიშორითა მწყინაო,

სად დახედ, ნათლად მბრწყინაო, მზევე, შარავანდთა მფინაო,

და კაცთაგან დაუცინაო, ტან-ლერწამ, წერწეტ მინაო“. გვ. 16.

6. „ქ. არხაჭრობის მასარშია დაიდებენ მათარესა,

დღეს ელენემ შემომჩივლა: მუსაიბი მომპარესა,

რას ნახობით ცრემლეოდა, ვერ მოგიოხრობ სიმწარესა,

შეზე, შეზე, დამკარგავსა მას მნათობსა პირმთვარესა“ გვ. 17.

7. „ქ. მოშორებითა შენითა სევდა წარმესქვენითა,

მით აღარა ვარ ლხენითა, გული არ არის თენითა,

გარე მომიცევ ბნელითა, თვალნი სველდების ცრემლითა,

ვერზედვით დამამკმუნვარებ, ვაი რა ჩემის მკველვითა.

თვსა ფებერვალსა კზ. გვ. 23.

8. „ქ. აქვან ნავები შავები, ინდთაგან დანაცავები, კავები ნაფუტკავები, პირ ქუფურად ნაფურჩავები. ლაწე-ვარდი ანაყვები, ხელქმნილთა საქმუნავები, უცხოთ არს ნამუშავები, შჯობს მორთულ-სოფროთავები“. გვ. 27.
9. „ქ. არ ვიცოდო, შენმა მზემა, შენი გაყრა მევენებოდა, რად გაგიშვი, რად გაგწირე, გული ჩემი ვისკენ რბოდა, უშენოსა ცეცხლი ცხელი შენის გაყრით მედებოდა, და შენთან ჯდომით მომელხინა, შენი ნახვა მბედებოდა. ქ. ცეცხლს მიდებს შენი სიშორე, თვალთა მაქვს ცრემლთა დენა მე, გული, ვამხმარი სევდიოთა, ლალის ბაგითა შენამე“. გვ. 33.
10. „ქ. შენცა იცი, შენგან მჭირან წამწამთაგან ლახვარ სობა, შენვე გიჭკვრეტს თვალნი მაშინც, რახომცა სჭირს ცრემლთა ვსობა, შენი მწადს და შენი მსურის საუბარი აღერაობა, და შენთვის ვმკლელობ, შენთვის ვხელობ, მაქვს მიჯნურთა კვალი წესობა. ქ. ჩემი ნება საყვარლისა სინახესა შორავს ხახთა, მოვინატრებ, თუცა ბედად შეყარა(!) ნახი ნახთა“. გვ. 36
11. „ქ. კუმუნგია ტახტსა ვინათგან გულნი დაისუნეს გლოვებით, გიხილენ, მოყმე, სძვრიდი რა ლალისა კართგან თოვებით, მაღალმან ბაგეთ სიმტკიცე დასდვენ და უხვებრ მოვებით, და ჰოი, კენარი სალხენთა მონანი აქ გეპოვებით“. გვ. 46.
12. „ქ. გელიან გული სალხენთა, უთქვენოდ ვერ იხარიან, დადრკეს ლერწმისა ელატნი. თავნი ტერფამდე ხარიან, მუსიკმან ჭორჭთა ორდანო ძახილით გულნი თხარიან, და გულთა ქვე გიფენთ, ველინე, ეჭა დღე მიიფარიან“. გვ. 47.
13. „ქ. ვეცხლი ყვლად, ვერხვი წვლად, შეენახა აღვა გემლად, ვარდნი სველად, სათნი მცველად, მელნის ტბათა მისაშველად, თმანი გველად, ტერფთა მგველად, ტრფიალთათვის დამდაგველად, დაიწყებდი რბოლას ველად, თუ გენახა თავშიშველად. ქ. არს ნახ-ქალად, ბროლ-ფიქალად, ზილფ-ნაშალად, შემაშალად, კარგ თვალ-ტანად, დაუთვალად, შევენებანი ჰქონან მრავლად, ბაგე ლალად, ფერად ალად, ხანგნი ხალად, დაუხალად, ტრფიალთ ხალად მოეცალად, წმინდად წყალად შეუწყალად“. გვ. 48.
14. „ქ. სურნელი, მუშკო, ამბარი, ალვისა ნორჩი და ხეთ, მაშინვე დანწვი, როს ვნახ მე შენი მზებრი სახეთ, შეყრით წამართვი გონება, გაყრით ვუშე და ვახეთ, მე შენთვის მკდარი კვლავ მამკალ: გულსა ლახვარი მახეთ.“ გვ. 49.
15. [შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი], „ქ. ვარდი ჰკნებოდა. ღერებოდა, ალვისა შტო ირხეოდა, ბროლი და ლალი გათლილი, ლაქვარდათ გადიქეოდა, გამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ უმხნეოდა, და იტყვის, თუ ბნელი რას მიკვირს, რადგან დამაგდე მზეოდა.“ (სტრ. 954) გვ. 62.
16. [თურქული ლექსი], „ქ. ილა იდან შექრელერამ, ქოზილამ სათავ ჯამასან რაო ნაოლ ზიბათა ოზ ყადირნი თაბელასან, მურა ჯაბათ ელიანდა აღამდერსუნ ფიროსან, ეჩ, გეთ მაღუმ ლახიმ დეგუმ ულაშერდა მიხდისასან“. გვ. 63.
17. „ქ. თითებთა ქება ვითა ვთქვა, ფრჩხილთა სიმსგავსე ლალისა, მაჯათა სუფთა გაწყობა, არ შეუდგამი თვალისა, წვლმან წერწებთან მომიდვა ცეცხლი უშრეტი ალისა, და შენმა სანდომან ქეცემან კავშირად დამახალისა“. გვ. 64.
18. „ქ. კაცმან უგვარო გამოვყენო დარიოთა, ესე მასა გავს—სიბი ქვა მზესა გაუდვა დარიოთა, გონას, შეიქნას აღმასად. იაგუნდისა დარიოთა, რამდონი წელი გაიარს, არ შეიცვალოს არიოთა“. გვ. 65.

19. „ჩნდების ლამაზის ნაკვეთით, უცხოდ მკრთოლვარე,
სად ინდოელთგან ტბა,
მელნის ტბანი ვარდ-ხამბახით,
წყობილნი მანგნი ლალით,
ვარდზე თლილი მანგდნი(!) ლალით, მდიდრად შევნიერ არია,
აამებს გულსა კაცისას, ვითა წალკოტში არია“. გვ. 67.
20. „ქ. მუნ დღეთა მისთა მტმუნავმან, ვეროდეს ლხინთა მპოველმა,
ამად იტირა განწირვით, ფიქრათ სიკვდილის მოხოველმა“. გვ. 68.
21. „ქ. ვარ უბედობით მტირალი, შორის უცხოთთან სარები,
ამით შემქვევი თავისა, რომ ფიქრთან მოუბარები,
აწ სიცოცხლე მაქვს საჩემოდ, სევდითა გაუხარები,
მე დღეთა ჩემთა მტირალსა ცეცხლი მედება მწარები.
ქ. თქმული სევდემბერს იბ.“ გვ. 69.
22. [თ უ რ ქ უ ლ ი ლ ე ქ ს ი]. „ქ. აგერ დერიამანი ბიძანი ფიშიმანი
ფიშიმანი ბიძანი დერიამანი“. გვ. 69.
23. [შოთა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი],
„ჩემნი გმუნვა ჭირსა ჩემსა არცა მატს და არცა დიდობს“. გვ. 69.
24. „არს ჩემთვის მარად სალხენი. ცის მნათობი არიან,
ვარდი შლილი მარგალიტით შეწყობილი არიან“. გვ. 76.
25. „მ რ ი ბ ლ ე დ ი.
ქ. მისი პირი, ტრფიალთ ჭირი, ანთრაკთაგან უსაწადლე,
მისი ბაგე, მთვრალთა მარგე, ღვინის უფრო დასამადლე,
მისი გუამი, საროს მგვანი, აღზრდილი და ნახარდი,
მისი ვარჯი, ღამეთ ბარჯი, ღაწვთ გიფლევებს, ჭგონო ვარდი,
მისი ენა, შაქრის დენა. თავი ჩივის დამაქმწარა.
მისი ბაგე ლალთ სადაგე, ძოწსა მერცხვა გა[ა]მწარა.
(ვარჯი. შეგრველი(!). ბარჯი—იაოალია, თევზს მოჭკვლენ)“ გვ. 76.
26. „ქ. სად ბროლ-ფიქალსა შევნიან მორთვა ინდისა ჯიღებ,
სად მათ მოუცთ მელნის ტბანი, გარემო გიშრის ისრებ,
სად ლალნი სცვენ მარგირტსა
სად...“ გვ. 77.
27. „ქ. დილისა ნამით პკურვილსა შევხარ ვარდისა კონასა,
შეედარები ისწრით(!) ნიხანში, არა ნანასა,
მიკვირს ეზდენი სიბრძენი ვინ მოქცა მცირეს მონასა.
და შენმა ყრმებრივმა ჭიჭიმა ბერი რ უ ს თ ვ ე ლ ი მონასა“. გვ. 80.
28. „ქ. ვარდსა ქვეშე, თავმოდრეკით, მორცხვად ყვავის ია ნასად,
პირს მათქს ნათლად შუქი მზისა, მე ვლირსე არმცა ია ნასად,
სოსან-ხამბახ-იასამან უჩ სურნელი ია ნასად,
და ვარდს უნმოვენ სულ ყუაილნი მეფეთ მათად სვიანასად“. გვ. 81.
29. [ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა], „ქ. ან ამას გეტყვი; ბან ბროლის სვეტო,
გან გული მითქვამს, სიამეს ველი,
ღონ დილის ვარდსა ენ ესრეთ გადრი, ვინ ვისა შევხარ ნამეთა სველი,
ზენ ზენარითა შე გვაჯები, თან თვალთ განცდის სურვილით გელი,
და ინ იადონსა კან კვლავე სჩაგრავ, ლას ლამკულთა და ვინ მორწყე ველი.
მან მოდი განხო, ნარ ნულარ ყოვნი, ონ ოროპრობითი ნულარ ხარ მკვლელი,
პარ პირი გიგავს ეან ჟამთა მზესა, რაე რომელსა ნათლად გაქვს მწველი,
სან სულმონთა ტარ ტურფა სახით, უნ უფრო მეტობ, მისთვის ხარ
მსვრელი,
შარ ფრიადობით ქან ქებას ვიწყებ, დან ღიმილითა ვარდი ვასველი,
ყარ ყურთა ჩემთა, შინ შემომესმა, ჩინ ჩინელთ აქუს ქება სათქმელი,
ცან ცნობა მისი ძილ ძალათ ვპოე, წილ წერილითა ვინ ვარდი ვთელი.
ქარ გმუნვა მქონდა, ხან ხმატკბილისა, ვარ გვავით იყო სიტყვისა მთქმელი,
ჯან ჯერანისა ჭაი თვალები, ში მჭვრეტელთა სულისა მდგმელი. გვ. 86—

30. „ქ. შენი ჰირიმე. ჩემო ძალუავ, თქვენი მული ბატონიშვილი ... ჩემს სა-
ტრფიალოს ბრწყინვალეს გულს გაკოცებ, შენმა მზემ, დიად ვიცი, ბევრი რიგათ
გაბიზღებენ ჩემს თავს, ვიცი თქვენის მოწყალის გულისაგან სხვის ენას არ აწყვებთ
და იმიტომ არ შემიძულებთ. ღთმა მშვიდობა მისცეს, ვინც ჩემს თავს გაძულებს“.
გვ. 89.

31. „ქ. ანას ვსწუხ ესრეთ, ტირილითა ინდონი ქროლვენ,
მონხრილან მშვილდნი, დაისრულან, საკუდავად სობოლვენ,
ვაკენი, ველნი, მთანი და ბორცენი ბრწყინვალედ ბროლვენ,
მას ზედან წითლად ჩემნი სისხლნი ყირმიზად წთოლვენ,
შუქს გამოსცემენ, ხელსა შემაბმენ, მზის შუქად კრთოლვენ,
ქ. მე ვაქე შენი ამაშენი დიდის ქებითა,
მტერნი გიოტენ, განვინატენ განქიქებითა.
ვინცა გეტრფოდა, თვით შეტრფოდა ვაებებითა,
შენი მაქებნი მრავალ არიან მალა ცებითა,
თუმცა აქებენ, შენ გაქებენ ტკბილის წმებითა,
რასაც გეტყუიან, ტკბილად ყვიან, სულენლად ბოლვენ,
ქ. შენ მზისა შუქო, არა უქო, რად მწვავე ალითა,
მიბძანე ერთხელ, ჰირნი მითხელ, ცრემლიც თვალითა.
თუ უყვარ, მიყვარს, მაჯნუნი ვარ იდუმალითა,
მე მივე თავი, ესე ვექენ ავი დიდის ძალითა,
წშირად ვარ შენი, არე ფერბთა მალითა,
შენს მიდამოსა, კარგ ამოსა, რაყიფნი ლტოლვენ.
ქ. მე ვგონებ სოფელს, ამ საყოფელს. გაჯდი სულელსა,
ვიცი ბრძენთაცა, კარგ ენათაცა, შენ ყოფ სულელსა
პლატონ, დიონოს, დიდსა მცოდნეს, შეიქ სულელსა,
ისე გვმობ მე, ისე ვამბობ. ვითა სულელსა,
რა არის ესე, და აწ ესე მეც მკლავ სულელსა.“

თუ კიდევ მგონებ, მოგიწონებ, გუგანი ოლენ.“ გვ. 90—92.

32. „ქ. მოდიტ მიჯნურნი, სოფლიერნი. ვინც ხართ დაგულნი!
ისმინეთ ჩემნი ჯჰირნი(!) მკვლელნი. რაგვარად რგულნი!
აწ მნახეთ ხელთა შემბრალელთა, მიმრთელეთ წყლულნი!
ხედავთ ინდელთა, შვილდთ მზიდველთა, დაისრეს გულნი,
მადგან ტყვექნილსა, მკვდრად მიხდილსა. მიბრუნეთ სულნი!
ქ. პირთა მთვარეთა. მცინარეთა, შვენიან ხალნი,
ვარდნი ვაშლილნი, მისგან შლილნი, არის მრავალნი.
მათ თანა ქმნილნი. უცხოდ თლილნი, ძვირფასნი ლალნი,
როს გაელები, მოედგების ტრფიალთა აღნი,
ესწყვე ბედსა ჩემსა, ასაჩემსა. მისგან ვარ კრულნი!
მათგან ტყვექნილსა, მკვდრად მიხდილსა. მიბრუნეთ სულნი!
ქ. რა ვნახე ტანი, მეცნეს ხარნი მოარულია,
ხარიფნი წელნი, ქვეყნის მწველნი, მომარულია,
ბროლის ფიცარნი. საფიცარნი. არ შემკულნია,
ორნი ობოლნი. ეშხის შქონი, ნახედ ბმულნია—
ხანს ყოვლნი ბრძენი, მისად ქებად იყოვნენ კრებულნი!
მათგან ტყვექნილსა. მკვდრად მიხდილსა მიბრუნეთ სულნი!
თმანი გიშენი, ელვარენი, ტერფთამდ მგველნი,
ვინცა შეხედვით, მტერად გახდვით. ნისნი მნახველნი!
მისთა მიჯნურთა წამს შეიპყრობს სენი მომსვრელნი,
მზე ცუდ მაშვრალობს, ამით ნათობს მთანი და ველნი,
მას თუ არ შორავთ, შეიქნებთ ზღვაში დანთქმულნი!
მათგან ტყვექნილთა, მკვდრად მიხდილთა. მიბრუნეთ სულნი!
ჟი, რა დიდად საკვირველ არს ჩემებრ გაძლება.
მარადის სულთქმა და ტირილი და ქვეყნად რება,
მისგან უწყალოდ ჰრა და ხევა და სისხლში ღება,
ეს მაქვს ნუგეშად, ჩემი ცოდვა მას ეკითხება,

იყავით ჩემთვის მგლოვარენი, ცეცხლ-მოგზებულნი.

მათგან ტყვექმნილსა, მკვდრად მიხდილსა, მიბრუნეთ სულნი“. გვ. 94—96.

შენიშვნა: S—1508 (მინაწ. 27) და S—1543:56 ამ ლექსის ავტორად ასახელებს ვახტანგ ბატონიშვილს, ხოლო ბენიკის თხზულებათა სრულ კრებულში, 1932 წ. გამოცემაში, შეტანილია სადავო ლექსებში.

33. ქ. რა წალკოტსა გულისასა სურვილისა სარო დარგი,
თუ არ მისად მოსარწყავად თვალნი არა, არცა დაგი,
ანალიფხვარ(!) სოფლიდალმე(!), გოლი(!) გაღმა გაიშარგი(!),
გულსა სევდა სიშორისა მწვევე და ძნიად არა მარგი“. გვ. 99.
34. „ქ. ჩამავლითა ჩვენთაგან ჩანს ჩვენი ჩვეულობანი,
ჩემობა, ჩხუბი, ჩივილი, ჩინჩობა, ჩალიჩობანი,
ჩქარად ჩოხითა ჩიტობა, ჩექმითა ჩაუტობანი,
ჩაბალახისა ჩამოცმა, ჩემად(!)ჩანს ჩურჩულობანი“. გვ. 102.
35. „ქ. მზეო, სრას ძეობისასა, თავს დაჯე მეჯლიშისასა,
ბაგრატიონთა ქალისა. მეფეთა ასულისასა,
სოლომონისა ნაყოფის, წმინდის დავითის სძლისასა,
და ბატონიშვილის თამარის, ტან სარო, პირ ნათლისასა.
ქ. მუნ ქალი დაბადებულა ქალაქსა ტფილისასა,
მეფის შვილისა, სულისა სიცატცხლისასა,
უფლის წულ თეიმურაზის, ძე მეფის ირაკლისასა,
და ყოლია ტურფა ნაყოფი, გჯობს გითხრობ ყმაწვილისასა“. გვ. 103.
36. „ქ. სატანამ მტერმა სახელი ანტება. ჩემად მტერობა და ქრთამი გაიღო,
მისი წყალობა, არ მიწყალობა, უფალმა მომცა, მანვე წაიღო“. გვ. 104.
37. „ქ. აღმას ბასრი, ვალესილი დაკვეთს ენით ვაი თუ ზნნათა,
შე, თვით იტყვის: კმარის ღმობა მის ნათქვამთა ორპირ თქმათა,
ჟამად რას თხოვს. ტვირთს უმძიმებს ფრიად ქებულთ, ღირსთა ყრმათა;
და შლის ჩირთს(!) ცა მალღვ წვიმით ჭებით, ხე ქველ ჯირკვთა, ჰი, ჰი, იმათა“.
გვ. 105.
38. „ქ. სევდი[ს] სადგურს—გონებასა რამც უშველე, რამც უპოე,
ცისა შვიდთა მნათობებსა შეივხვეწე: მარგეთ, მოვე,
მკურნალთ ეტლსა ვეაჯები. ჩემთვის შველათ ვერ ვიშოე,
და ვარდი რამე სატურფაჟი ლხენად ჩემთვის მოვიპოე“. გვ. 106.
95. „ქ. ვიყნოსებ სულსა, სიამით სრულსა, გაკურნებს გულსა ჩემს მისთვის
წყლულსა.
ქ. ვარდ მშვენიარსა, ჩემსა სალხენსა, მე მისთვის ხელსა თვით მამაღხენსა.
ქ. მკლავს სურნელების სულები ჩემისა სატრფოს ღალისა,
სამოთხის მისის თვალისა, ვინ სევდა განმიქარვისა.
ქ. გული ვერ გასძლებს. სიშორეს მის [ს]ამოთხისა ბალისა,
გული დამეხზა ვერ კერეტი მის უზადოსა ნახისა,
მისთვის დატყვევდა გონება, ვინ გული დამირაზისა,
და ყმა ვინმე კვლუც სალხენი, მისთვის გონება რაზისა“. გვ. 106—107.
40. „ქ. ტან კენართ ლერწამო, ჩემო მომკვლელო ერწამო,
რა შენ გიყურო, ვიხარო, რა მომეშორა ვეწამო“. გვ. 107.
41. „ქ. სუნთული ტურფად ფუნჩვილი, საყვარლის მოსასურები.
მისის ტრფიალის ბელმწიფე, მალაში(!), კარგ უსულები,
მნახავთ სამკოში ღარიბი, უზადოდ დანახულები,
და მისთვის განმსტობი გამზდარვარ, შეყრისა განასურები.
ქ. ლამაზი ნახად ნატიფად, აღნაგი, აღმოსულები,
ნებიართობით მიძინარი, ვის ვატრფიალუ სულები,
ჩემის გულისა სალხენი, ტურფა რამ კარგ უსულები
და იას ვამგზავს სურნელად, მისა რამ უგავ სულები. გვ. 107.
ქ. სიხარულ, შევბავ, სინათლევ, ჩემგან ხარ მოსასურები,
წახვალ. წამოგყვეს გულები, სევდითა დადაგულები,
ვაი. რა შესაძრწუნები, გაყრით შედამდეს სულები
და თუ ნახვა დამიძვირდება, სიკვდილსა დავეშურები.

ქ. თვალთა ჩენა არად მსურის, თუ არა ვსტრეტ სასურველსა, საკუდავათვე(!) მივიწურვი, თუ სიშორეს მიმეცმს მველელსა, თუ ხმას მასმენს საქამოსა, ტკბილათ მალხენს მისთვის ხელსა და კუშტობითა შემადრწუნებს, მევე გამხდის ველთა მსველელსა“. გვ. 108.

ქ. ლომსა მტერთ შესაზარავსა. ერთგულთ წყალობით მფარავსა, უხვად მიმფენსა მზეთაებრ, უღრუბლოთ ყოვლის მდარავსა.

ქ. ვარდი ხარ ტურფად გაშლილი, ყვა[ვი]ლთა მეფე სვიანი, ყველას ანასებ სიტურფით, დასჩაგრე თალხი იანი.

ქ. საგონებელო მარადის, შებებე და შეენიარობავე, ლაღობავე, სიამოვნებავე, სამოთხის ნერგიანობავე, მიუწითამელო ლხინო და შენ, ჩემო ნებიარობავე.

კარი დამიხშე სევედისა, ლხინს მიმეც დარიანობავე“. გვ. 108—109

42. „ქ. ვარ უბედობით მტირალი, შორის უცხოთთან მარები, ამით შემქცევი თავისა, რომ ფიქრთან მოუბარები, მე დღეთა ჩემთა მტირალსა ცეცხლი მედება მწარები, თუ ვერ გიკვრეტ მზიანსა, დამიძვირდება დარები“. გვ. 111.
შენიშვნა: უკანასკნელი სტრიქონი სხვა ხელითაა დაწერილი.

43. „ქ. ანო, აღვისა სახედ დაესახო, ბანო, ბოლოს უგავს პირი და ყელი, განო, გული მაქვს მისთვის მოკლული, დონო, დღევ და ღამ მის მოსვლას ველი, ენო ელვარეთ გულს გამინათლებს, ვინო, ვიტრიო თვალი მაქვს სველი, და ხენო, ზენარი აჯა ისმინე, წაე, ში და ოხვრით მკვნესელი.

ქ. თანო, თვალითა განცდასა ვნატრობ. ინო, იასა ვიყნოსებ მსველელი, კანო, კვლავცა მწვევს სიშორის ალი, ლასო ლომისა გული, აქვს ქველი, მანო, მარტივად ვეაღერებები, ნარო, ნარნარით მკობისა მთველელი და ონო, ოტარიდს შევებრალედი, პარო, პირს მიცემ მე ჭირთა მთველელი.

ქ. ეანო, ეამამდის მოვეყრძალედი. რავე, რომლისა სახმითა გაველი, სანო, სურვილი ძნიად სათმენი, ტარო ტურფისა მჭირს დასამალი.

უნო, უფროსად შევეწყნარები, ფარო, ფრიადათ მე შევეწყალი და ქანო, ქება ვთქვი ნათლად ვაგი, ღანო, ღამითა მწვევს ცეცხლთ[ა] ალი, ძილო, ძლივედ ქვე. წილო, წერილთა არ დავიშალი.

ქ. ვარო ყმა ნაზი მკვრეტელთ საკაზმი, შინო შემიტყე კლდეა თუ სალი, ჩინო, ჩემთანა დავისადგურე, ცანო, ცნობითა ჭირი გავყრძალი, ხანო. ხმა ტკბილი უსულიანი, ვარო. ვმალ მარჯვე მკლავთ აქუს ძალი, ჰია, ჰაივე ტურფა რამ არი, ში და ში დამწვევს სამალი“. გვ. 114—115.

44. „ქ. ჩემი გონება მას ემონება, ვინ არის ტურფა სამკობ-სვიანი, მიდაგავს გულსა მე, მისთვის წყლულსა, ტანად აღვის ხე, თვალად მზიანი, დავეკონებ ცრემლთა მეღნები, ვის დაუჩაგრავს ვარდნი, იანი, და უღრუბლოდ მნათობს, აერს ანათობს, კამკამებს ვითა დღე დარიანი“. გვ. 114.

45. „ქ. შენ, ჩემო საგონებელო, სულის უტკბესო სულოდა, შენის ტრფივალთ მეტყველი ნუ გონებ დამასულოდა, უნდა სულთა დგმა დამიტკბე, კარგ სახევე, კარგ უსულოდა და სურნელებითა აღმავსე სამოთხით გამოსულოდა“. გვ. 115.

46. „ქ. ლომი ლომგული, ტურფა ყმა, ღარიბათ არის მსველელია, მისმა გონებამ მიმილო სული, მის მოსვლას ველია, ნატივი, ნარგიზ ნარევი, უცხოთ უხდება ცრემლია, კმუნვარებისა სვედითა გლაზ გული გადამელია.

ქ. მისი მკობა ვერვის ძალ-უცს, საალერსოთ შაქარია, მის ტრფივალსა დაუტყვეობს, გულს აღზინებს, იგ დარია, მის მსახვესა უცხოთ ვაქებ, კარგი რამე მზატვარია და გვამებს, თუ სულს გვაყნოსებს მის სურნელსა. ეს ქარია“. გვ. 117.

47. „ქ. ვარდი მწადი სასურველად, საკონებლათ ვით შაქარი, ტურფათ რასმე მოხდომია ია სუნბულს, აფრქვევს ქარო, ოდეს ტკბილათ შემომხედავს, სევედებიან მინა ქარი, და მურასაობს, იკაზმება, ღამაზობს ვით მინაქარი.

ქ. ვარდო, მოდი, დამემონე და შემწვრე ცრემლთა ფონე,

- თვალთ, მოდი, შემიწყალე, მიმიმხველე, დამიმონე,
ტანო, მოდი, შემიხვიე თვალთა ჩემთა მოსაწონე,
და ჩემგან კიდე სასურველი ნუშცა გივის მოსაგონე“. გვ. 118.
48. „ქ. ვარდ-მშვენიერი საშოთხე არი, მისათ სამკობად აღედრა ბაგენი,
მე მისი სწორი ვერცადა ვპოვი, ღარიბათ მსუველი ტრფიალთ მდაგენი,
რა სვედიანობს, ზედ ნამიანობს, ნარგიზთ უხდების...
თუ ველარ ვჭკვერეტ მე, კარს დაურეკ, მისის ცრემლთა დავიდაგენი“. გვ. 118.
49. „ქ. შენმა მზემა ვერ გაგაგდებ გონებიდან ერთსა წამსა.
გარდვიგდებდე, მეცა მინდა, ვერ გადგიგდე შენა წამსა,
თვალთა წინა მომინდები, მომეხლები ზე წამწამსა,
იქნა სიგიჟლა(!), არ იქნების საცნობელით, ესე მწამსა“. გვ. 119.
50. „ქ. საშოთხე მშვენიერი, ყვავის ვითა ვდემია,
ვაი თუ დაჭკნეს მისი ვარდი, მაწუხებსო ესე მია,
ნამიან ალს ტურფა ვარდი კირსა მიმცეა მესამეა,
და მის ტრფიალსა მისი კმუნვა გულსა ტკინებს, კლავსა მეა“. გვ. 119.
51. „ქ. ვინ სარდიონს უფერ-ლალებს, რად უშაგებ გიშერ თვალმდს,
რად უფარავ ინდურ ბალებს, ხედავ ისერის სხივილს(!)ალებს,
მოიზანგის ფერის ქალებს, მაგრამ გულით ბროლ-ფიქალებს,
თუ რომ უქებ კარგ ტან-თვალებს, მოგიტევებ მაზედ ბრალებს“. გვ. 121.
52. „ქ. თვალთა ჩენა არად მსურის, თუ არა ვსჭკვერეტ სასურველსა,
საკუდავათვე მივაწურვი, თუ სიშორეს მიმცემს მკვლელსა,
თუ ხმას მასწენს საამოსა, ტკბილად ნალხენს მისთვის ხელსა
და ქუშტობითა შემადრწუნებს, მევე გამზღის მისთვის მსკვლელსა“. გვ. 122
53. „ქ. ესე დღე არის ჩენისა სიკეთის მაზარობელი,
გამარჯვებისა საქმიითა, ქნართა ასრიგად მძნობელი,
ესე დღე გულთა სალხენი, განსაცხრომელთა მხმობელი,
ესე დღე დღეგრძელობისა მტერთა ნიადაგ მფლობელი.
ქ. გამარჯვებისა დილამა სასოდ იმედი გვიანმა,
ბოროტმა მოსაწყინამა გაგურადა გადამდინამა,
ქ. მეფეო, გაკადრებ, მყეფეო, ღონ სულის გზით ნებამ, გიპყრას
მტერთა მისად მძლეთ რაზომისად, ვითა ნადირი ხელთა დაგვიყრას.
ქ. რომელმან ცანი კარვად მალალმან დართნა მზიანი,
კარნი გაგიხვას, მეფეო, გასამარჯვებლად მზიანი“. გვ. 136—137.
54. „ქ. სად ბროლ-ფიქალსა შევნიან მორთვა ინდისა ჯილებით,
სად მათ მოუცთ მელნის ტბანი, გარემოს გიშრის ისრებით,
სად შლილი ვარდი ზამზახით დაშვენებულა დიდებით
და სად... სცვენ მარგარიტსა, მინდა მე დავშრე მის ქებითა“. გვ. 138.
55. „ქ. ნატირებსა, ფერწასულსა მიმეძინა ვარდთა ძირსა,
ერთი კაცი მამდგომოდა ბედისაგან განაწირსა,
შეგბრალდი კარგსა კაცსა, ყოველი საქმე კარგა სჭირსა,
გამადვიძა, რად მოკვდები, რად მისცემოთ თავსა კირსა“. გვ. 140.
56. „ქ. ჩემსა მნათობსა ძოუტავს სამყოფთა შიგან არეო,
შეხედენ, დავკრთი, მეგონა—თხუთმეტის დღისა მთვარეო,
გული წამართვა ცნობითურთ, ცეცხლი მომიდვა მწარეო,
თუ შურით ვერვინ მარგოთ, მომკალ მით მომეზმარეო.
ქ. მზებრ დასწვავ ჩემსა გულსა, მიწყვი შენთვის დადაგულსა,
თვალს წამართმევე განა სულსა შენსა შენთვის მონასურსა,
სადით აქებ კარგს უსულსა, შენი ნახვა დიდათ მსურსა,
სიკველუტე გიგავს სრულსა არ საწუთოსგან გასულსა“. 141.
57. „ქ. შეგვადრებ მცირეს საძნობსა ზარისხს მალლობით სვიანსა,
წითელსა მზისა და მანასა მიწუთ თვალთ მზიანსა,
მოწყალებისა უფსკრულსა ჩემებრ თვის ნუგეშოანსა,
მხეველი მათი ბარბარე ვტრფიალობ დავეითანსა“. გვ. 141.

58. [ბესიკი, ჰაერო ცივ-ნამიანი],
 „ქ. ჰაერო ცივ-ნამიანი ჩემთვის აღარა დღიანი,
 მას ვშორავ გულსვედიანი, ვის მოლოდინა მაქვს გვიანი,
 ქუფო კვევით, თვალცრემლიანი, აღარა სადა ჯმინი,
 თავმოხრით იყო იანი, სვიფნი კლებოდეს მზიანი. იანერის კგ.“ გვ. 142.
- შენიშვნა: იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, 1932 წ. გვ. 24.
59. „ქ. ჩემა მზემან განმინათლოს გლახ საბრალოთ ბნელი გული,
 ჩემან ნწველმან განმითელოს მისთვის ცეცხლებერ დადაგული,
 ჩემან მკველმან მაცოცხლოს, მისთვის ვიყო სავარგული,
 ჩემან ვარდმან შემერიგოს, მასთან ვიყო დანერგული...“ 142.
60. [ბესიკი, სევდის ბალს შეველ].
 „ქ. სევდის ბალს შეველ შენალონები:
 მოკრებად მსურდა ვარდის კონები.
 ვარდმან შემრისხა თავმომწონები,
 ისაოი მტყორცა დასაჰონები:
 სრულად მიმილო ყლი ღონები,
 მითხრა: „იფიქრე გულს ნაქონები,
 მისთვის იქნები დასაყენები!“
 ვერ მივხვდი მახვილ განაწონები,
 მისთვის შევიქვენ ცრემლ საფონები...“
 გვ. 143—145.
61. „ქ. ჰაბუა შორავს ქალასა, ლამაზსა ბროლ-ფიქალასა,
 ნახვა მოუნდა თვალასა, მით მიაშურა ვანასა,
 მაგრამ ვერ დაჰყოფს ხანასა, რა ნახავს იმისთანასა,
 გული დაუწყებს ნანვასა, ვერ ირბენს ბანის-ბანასა.
 ქ. ჰაბუა სძებნდა ქალასა, ბრწყინვალეს, მზისა გვანასა,
 შეხვდა მას დიდსა გვარასა, ცუდსა და მას უგვანასა,
 ხედვა მოაკლდა თვალასა, გული სევდითა დანასა
 მალმალ ვაჭრობდა კალასა, პირისა დასაბანასა“ გვ. 150.
62. „ქ. ვაი, ვარდი სასიხარულო ძირით გამიხმა უდაროდ,
 ვაი, ლხინთა რტონი მომიტყდეს საშვებლად, იგ სამუდაროდ,
 გულო, ვაებდი სულითურთ, შექმნილხარ აწ სასუდაროდ,
 ეჭ, თვალო, სისხლი აწვიმე, თევზთა არ დასაბუდაროდ.
 ქ. აწ რასაც ბძანებ, გავაგებ, შენ სიტყვას არსად წავაგებ“ გვ. 153.
63. „ქ. თუ უნისოდ სოფელს ყოფნა რადგან ჰირად არ მიღირდა,
 მაგრამ ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამივივრდა.
 ქ. მისის უზადოთ აღმკულებისა შეწირულად ვქმენ გული ჩემია,
 ვერ მოვაშორებ, თვალს დავამონებ, სიტკბოებით მყვას ანა ჩემია,
 ვინც მხედავს, ჰვივრობს, თვალნი ცრემლს ხშირობს, საკუთრათ მივა ანა
 ჩემია,
 განცვიფრებულან, ჩემთან რებულან, ჩემს სევდას ყოვლინი განა ჩემია“ გვ. 155.
64. „ქ. გემონები მეცნიერსა, ფილასოფოს, ბრძენსა გულსა,
 ნუ აღმოფხვრი ჩემგან შენსა სიყვარულსა დანერგულსა,
 აცოცხლებდე გულსა შენთვის, დამწვარს ვითა დადაგულსა,
 მოწყალეებით მომალხენდე, მაღირსებდე თვალთა რულსა.
 ქ. რას გამსგავსო, რათ დაგსასო, ვერ მიგია შენი დარი,
 სამოთხე ხარ პირმეტყველი, მისი მზგავსი, მისი დარი,
 ოდეს სადმე შემოგხედავ, გულსა ვეტყვი: მოიღარი.
 და ცას კვეფ ყოვლი სულიერი შენი მსგავსი არცა დარი.
 ქ. აღძვრა ბაგენი, ვითა მდაგენი, სამკობო ტურფავ, ვარდო დილისა,
 რა მოგშორდები. დავიდაგები, ცრემლი დამალტობს თვალთა მილისა,
 სამოთხე ხარი. ტურფათ დაგხარი, ვდამობითა ტურჰთ ღიმილისა,
 ტრფიალი ვიქმენ საყვარელისა, ლამაზად მშვენის...“ გვ. 156—157.
65. „ქ. ასიათასი ფურცელი კოკობთა ვარდთა სადარი,
 ყაყაროს ხელთა მქირაო, მწოდო, ეგ ტანი სადარი,
 ჩდილოს ნიავი ამბართა მალე მომიძღვნის სადარი,

- და მასთანა მუშკა მონიტანს, დართა ვიყოფი სადარი.
ქ. მწვანესა გაღვიძებოდა, წყალთა მოსლოდა რულია,
ათასი ფერი ყვაილი დგა ვარდის წყალით რწყულია,
ერთს ეჯზე კაცს ეცემოდა მათს ფშვათა სუნი სრულია,
და მისთა მნახეთა ეკურნის ხრმალთა ნაკადი წყრულია(?)“ გვ. 161(!).
66. [თ უ რ ქ უ ლ ი ლ ე ქ ს ი], „ქ. ბეგანურამ იქიმსე იქი ფალაგდადან ილა-
ლდურსუნ.“
ელგათუსუნ დუნიანდა ონუნ იშლარი ლაგერსუნ...“ გვ. 168.
67. „ქ. სიზრმად ვნახე, წამოვიქერ, ესინეაობა(!), ტანადობა,
ვნახე ჭელთა აღარ მყვანდა, ავდეგ, უცხო ანაგობა,
ღამე ასრე გავათენე, არ მეგონა ჩემი რჩომა,
და დადეგ გულო, ნუ მოკვდები... უმისობა“ გვ. 169.
68. „ქ. ღმერთმან ბევრჯელ დაგახვედროთ აღდგომას და ამალღებას,
თუცა ჩემი ლხინი გინდათ, დაპატიჯეთ ელენებას,
ეცადეთ, რომ მოიყვანოთ ეგ სტუმარი ჩემსა ნებას,
და კოცნასა და ანბორებას ი გ ო რ იწყენს ხელის ზღებას...“ გვ. 169.
69. „ქ. ბაგე ვის გაქვს ფერად შინდი, თვალად შავი, ინდი მინდი,
შენთვის სიკუდილს არ შევშინდი, უკდავებას რომე სდინდი,
გვაჯები, ნუ შესწყინდი, გამიღიმდი, გამიცინდი,
განმინათლე თვალთა ბინდი, რომ მოვიდეს დროი ქინდი“ გვ. 172.
70. „ქ. ტურფათ შევნი, სალხინო ხარ, სურნელს აფრქვევ მინასათი,
ვინ დაგსახა აგრე ნახი, განმანათლა, ვითა მნათი,
ასრე მსურის, არ მოიწყენ, როს გვეღირსოს მოსელა მათი,
და ახლოს არის, შორს ნუ გონებ, თქვენი უცხო მოკამათი“ გვ. 174.
71. [ს პ ა რ ს უ ლ ი ლ ე ქ ს ი], „ქ. ნური ჩემში მან მისსლი ბეგტ დოხტერ ჩერა
ბიღამალი გვ. 175.
72. „ქ. ვნახე ბროლზედან მოხრილნი მშვილდნი არ ავად, ხვევითა,
მესვრის ნარგისთათ ისარსა, მიმცემს ლახვარსა ხვევითა,
ვფიცავ, ვერ ნათობს მასთანა ვერ მთვარე, ვერცა მზე ვითა,
უმჯობეს დილის ცისკრისა ტანი ლერწამობს ხვევითა.
ქ. წამწამისა ქახი უჩრდილებს მის მგლნის ტბისა გუბებას,
ბროლზედან ლალი შეთხზული სცავს მარგალიტსა ტყუბებას,
მისთვის ვსტირ სისხლის ცრემლითა, ზედა დავილტობ ყუბებას,
სულს მივსცემ სყიდვით, თუ ღირს მყოფს ხვევნას ბროლის ბუთს ტყუბებას.
ქ. შაქრისებრ სიტკბოს მწოთოლვარე ტუჩნი, პაწაწა ბაგენი,
ლაწვნი ვარდისფრად მყვანი, ვაი, ჩემი დასადაგენი,
მგლნის ტბას გიშრით ზღუდვილსა, ვით ლახვარს გული ვაშენი,
ზილფი ყარიბად ფუნჩქვნილი, მე მისთვის გავეშმაგენი“ გვ. 176—177.
73. „ქ. მოვშორდი ედემს ნაზარდსა, საროს სამოთხეს რგულებას,
პირ-გაბადრულსა მთოვარეს, რომელს უძღვნიდი სულებას,
მესვრის სიშორის ისარსა, ცეცხლს განმაწონებს გულებას,
მკლავს მისის მაყრის ლახვარი, შემძინებს წყლულსა წყლულებსა“ გვ. 180—
181.
74. ქ. მომცა სოფელმან სიმუხთლით საქმენი მოსაწყინენი,
რაც რომ ძალ ედვა, მიუხვა ქვეყნის რწყვად ცრემლი მდინენი,
ვით გავძლო ყმის მზისობა, თუცა არა ვარ კინენი,
მიჯობდა მუნვე მომესვა სასმელი სასიკვდინენი“ გვ. 180.
75. [შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი.],
„ქ. ამან დღემან დაგავიწყა, გული იგი ვინ დაბინდა,
დაგიღია სამსახური, იგი იქნას, რამცა გინდა,
იაგუნდი ვგრეცა სჯობს, ათასჯერცა მინა გინდა,
შენ გაახლო სიკვდილამდინ, ამის მეტი არა გინდა(!)“ (სტრ. 298), გვ. 182.
76. „ქ. მზე მოვშორვა მთოვარეს, გახდა საწყალვად ლარიბად,
განილია და მი-ცა-სქენა, გულებრივ არ არს ვსებულად,
არაღრა შუქობს ამისთვის, მზე მოაკლდა მუსაიბად,
ვერ გასძლებს გძლებრივ(!) სიშორეს, თუ არ ეღირსა დანახვად“ გვ. 185.

77. „ქ. ღმერთო, შეიწყალე მონა შენი შალვა“. გვ. 55.

78. „ქ. ჩემო თვალის სინათლევ, სამოთხის მგზავსო ქალო, რათა ბარ მოწყენით, სად მიხვალ, ამაღამ აქ იყავ, ღეთის მადლსა, თუ არა იქ, დიად მეწყინება. დედოფალი აქ არის, საქმე მაქვს, კარგი საქმე. თუ არ მოხვალ, აღარ მიწინდხარ შენა. ტყუილი არ არის, რასაც გეუბნები შენმა მზემა“. გვ. 175.

79. [თურქულ-ქართული ლექსიკონი], „ქ. მარდუმი ქუჯაი—სადაველი ხარ. ქ. გურჯი—ქართველი. ქ. ესმა ჩიხეს—სახელი რა გქვინ...“ 176, 178, 179, 180, 191, 192.

იხ. აგრეთვე მინაწერები: გვ. გვ. 21, 23, 37, 50, 53, 57, 59, 60, 61, 63, 64, 83, 89, 93, 101, 121, 125, 132, 144, 158, 164.

(409)

419

ანტონ I, ქართული გრამატიკა. 1767—1768

206 ფ.; 26,5 × 17,5; ქაღალდი; ტყავადაკრული, ოქროთი მოვარაყებული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1767—1768 წ. (გვ. 1, 410); კვირინიშანი აქვს; გადაწერი: მღვდელი ნიკოლოზ ალექსის ძე (გვ. 411); გადაწერის ადგილი: თბილისი (გვ. 410); დაუწერელია: გვ. გვ. 2, 6, 12, 156, 295, 296, 412.

(ანტონ I, ქართული გრამატიკა). „თვს ჴელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა. ნაწილი პირთელი. რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ჴეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკასა მოწაფე ქმნილთა. თავი პირუტლი. ბრუნუათათვს სახელთასა. § 1.—რიცხუსა შორის ჩუენ მიერ განჴსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა...“ გვ. 13—410.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის პირველ გვერდზე ჯერ სინგურით და მერე შვიი მელნით წერია: „სადიდებელად ცხოველსმყოფელისა, თანაარსისა და განუყოფელისა, სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ჴემოასა საქართუშლოასა, დავითიან-ბაგრატიონისა, ახლად ქმნილი წიგნი ღრამმატიკა ქართულისამებრ ენისა, დროსა უკეთილმსახურისა და უმაღლესა(!) ირაკლი მეორისა, მეფისა ყრისა საქართუშლოასასა და მამათმთავრობისა თვისისასა ყოველთა ქართუშლოთა ჴედა, წელსა დასაბამითან სოფლისა 7273, ხოლო განწორციელებითან სიტყუსა ღრისა 1767. თთუშსა მეთერთმეტესა, რიცხუსა 20.

2. გრამატიკას წინ უძღვის ა. „შეყუანილება წიგნისა ღრამმატიკასა, მიწერილი მოძღუართად და მოწაფეთად ღრამმატიკასთა, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისქა ყოვლისა ჴემოასა საქართუშლოასა.—, ზირაქ. 25.1. სამთა მიერ განშუშნებულისა სიბრძნისა, ესე იგი ერთ-გონიერებითა ძმათათა...“ გვ. 3—5.

ბ. ხელნაწერს აქვს „პინაქსი ღრამმატიკისა“, გვ. 7—11.

3. გრამატიკის დასასრული: „დასასრული მესამისა ღრამმატიკის ნაწილისა, მრავალ ტყვიელმოყუარებითა ანტონი ყოვლისა ჴემოასა საქართუშლოასა არხიეპისკოპოსისა დავითიანისათა, რომლისა საუყუნო იყავ კურთხევაჲ. სადიდებელად ყრმავებულისა ღრთ მთავრისა სიტყუსა ემბანუილისა და პატივად დედისა მისისა, ყრდ უკურთხეულესისა, უფროსად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღრთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისა, ყოველ გულისჴმიერთა და მნებებელთა უფალასა.

ხოლო მეუფესა მას საუკუნეთასა, უბრწუნელსა, უხილავსა, მხოლოსა, ბრძენსა, ღრ პატივი და დიდება. უკი უკმ, ამინ. (ტიმ. 1. 17).

სრულ იქმნა 17 $\frac{2}{4}$ 68 ქალაქსა შინა ტფილისს, ეზოსა შინა ჩუენსა“.

გვ. 410.

4. ანტონის ქართული გრამატიკა გამოცემულია. იხ. „ქართული ღრამმატიკა. შედგენილი ანტონ I-ის მიერ. გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით თბილისი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1885 წ.“

ანდერძი: „მუწავი ამისი ალექსის ძე უღირსი მღუდელი ნიკოლოზ“

გვ. 411.

მინაწერი; „ეს ღრამმატიკა გორდის სასახლისა აოის“ (წემო ყდის საცავი ფურცელი).

(410)

420

სტრათემანი ვილგელმ, თეატრო ანუ ასპარეზი მატიანული 1740 წ.

512 ფ.; 34,3 × 10,3; ქალაღი; ტყავგადაკრული ხის ყდა, ყუა და კიდეები შე-
მოცვეთილი, ქვემო ყდა და ბოლო 5 ფურცელი მოვარდნილი; მხედრული; 1740 წ.
(1r, 7v); ჰვირნიშანი აქეს; რუსულიდან ქართულ ენაზედ მთარგმნელის ვახუშტი
ბატონიშვილის ხელით (7v); ადგილი: „სანკთაქეტრებუხის“ (1r).

[სტრათემანი, თეატრო], „სოფლის დასაწყისი. სოფელი, თვესა ოკლონბერსა შინა (მოწმობისა მიერ ყოვლად უბრძნესთა ხრონო-
ლოღთა: სკალიღერისა, ჯალვისისა, დელვიკისა და სხვებთა).
ღსგნ შექმნული არს ექუსთა დღეთა. იწყებს შექმნად მას ჟამსა შინა, რო-
მელი დღე შაბათისა ჟამი მეექუსე მწუხრისა თანა შეეტყუების...“ 13r—481v.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა) თავფურცელი წარწერით: „თეატრო ანუ
ასპარეზი მატიანულის გამოცხადებელი ყლგნითის მატიანისა, სამღვდელსა წე-
რილისა და სამოქალაქუროსი, ათთა გამოსლვით გამო და საუყუნოთა ყლთა მეფე-
თა, იმპერატორთა, პაპთა რომაულთა და კაცთა დიდებულთა და სხვათათა. სოფ-
ლის დასაბამისაგან, ვიდრე წლისამდე ჩქპ. სიმოკლესა შინა უადვილესის მანსოვ-
რობისათვის ვილდელმის სთრათემანის გამო შეკრებული, ხოლო აწ
რუსულსა ენასა ზედა ლათინურისაგან გარდმოღებული სანკთაქეტრებუხისა.
შინა წელსა შობისაგან ქესა ჩლკ. რუსულისაგან ქართულს ენასა ზედა გარდ-
მოიწერა სანკთაქეტრებუღლსავე წელსა ქსა ჩლმ.

ხოლო აწ ბრძანებითა ყოვლად ზესთა-განბრწყინებულისა და ზესთა-მპყრობელი-
სა პეტრეს დიდისა, მამისა მამულისა, იმპერატორისა და თვითმპყრობელისა
ყოვლისა რუსეთისა, ხოლო კურთხევითა უუწმიდესისა განმმართველისა ყოვლისა
რუსეთის სინოდისა დაიბეჭდა წიად სანკთაქეტრებუხს, სამების
ალექსანდრე ნევესკის მონასტერსა შინა, წელსა შექმნულებისაგან სოფ-
ლისა ქსლბ, ხოლო განწორციელებისაგან სიტყვისა ღისა ჩლკდ, ინდიკტიონ-
სა ბ, თვესა აგვისტოსა“.

ბ) ლათინურიდან რუსულ ენაზედ მთარგმნელის მღვდელ-მონაზონის გაბრიელ
ბუტინსკის მიძღვნა: „ყოვლად ზესთა-განათლებულისა და ზესთა-მპყრობელისა
პეტრეს დიდისა, მამისა მამულისა, იმპერატორისა და თვითმპყრობელისა ყოვ-
ლისა რუსეთისა და მისისა ყოვლად ზესთა-ბრწყინვალისა და ზესთა-მპყრობელისა,
ყოვლად უმეტეს საყვარელისა მეუღლისა ეკატერინას ალექსის ასულ-
ისა, ყოვლისა რუსეთის სახელმწიფოს ყოვლად მოწყალის დედისა, ზესთა უმეტეს
ღირსისა იმპერატრიცისა და დიდისა ჯელმწიფისა...“ (1v—3v).

გ) ლათინურიდან რუსულ ენაზედ მთარგმნელის გაბრიელ ბურჯინსკის წინასიტყვაობა: „კეთილმეტრფეს, მატრიანის მოყვარულსა...“ (3v—7r).

დ) „სიტყვა ქართულად გარდმოწერელისა.—არა ჯერ-იყო, არცა შეგგვანდა, მკითხველნი, ჩვენ მიერ რაიმე ქებანი ანუ სიტყვანი მიმატებად ზევით თქმულის გარდმოწერელისა სიტყვიერებისა მიმართ, ვინაიდან ყოველსავე იტყვის მიზეზსა გარდმოთარგმნისასა, ანუ სიკეთე-სიბოროტესა და სწავლასა კითხვისა და შეგულისხმიერებისასა და განსაგდებელი არს ანუ შესაწყნარებელი არამედ ჩვენ მიერ ესე მხოლოდ ითქმის, რამეთუ ვინააზგან ენასა ზედა ჩვენ ქართველთასა ესრეთნი მატრიანნი ნაკლულეფანნი არიან და არა თუ ნაკლულეფანნი, არამედ სმენითაცა მწადნი, ამისთვის გვინდა და ვიმეცადუნე გარდმოწერასა რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა, რაათა არა საკდემელ ვიქმნეთ, რამეთუ არს სვეისა სარწმუნოებისა (რომელი წინააღმდეგ და საძულველ არს თემისა ჩვენისა) და შრომა ჩუენი საგმობელათ იქმნეს, გარნა ზემოთ თქმულნივე იგი მოხსენენ და მით საჯე გონიერად და ნუ თვალებით. განაგდე ბოროტი, შეიწყნარე კეთილნი, რამეთუ სასეებით არს ორისაგანვე ანუ დარწმუნებისათს, არამედ მატრიანულის ცოდნისათს, რათა უწყოდეთ ვითარებანი ყოვლისავე. ხოლო ვითხოვ ლოცვასა და არა წყევასა, რამეთუ წყევანი უკეთურებისაგან არს, ხოლო მადლი სახიერებისაგან. ვინააზგან დაეშვევრ და ვიყავ წერასა შინა ამისა მრავალტანჯულ თუსთაგან, აღვირჩივე ესევე, რამეთუ უქმობა წინააღმდეგომ არს წმიდისა პავლესა, ვითარცა განაგდეს და მომიძულეს ცუდად მშრომელი მეფის შვილი ვახუშტი. გიძღენი გონიერად მკითხველთა, არა არს ძალი, უკეთუ გთნდეს, იგემე, უკეთუ არა, იღვას წიგნი, მიტყებულ ხარ. გარდმოწერა მეფობასა იმპერატორიქს ანანას იოვანეს ასულის ყოვლისა რუსეთისასა წელსა ქსა ჩმ 1740, შესრულდა ოკდონბერს იერ 15 მასევე წელსა სადიდებულად ღვთისა ჩუენისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა საუკუნითი უკუნისამდე, ამინ.

იუწყევე ესეცა, რამეთუ წიგნი ესე სამითა წერილისა ჯელითა დაწერილი არს: მსხვილითა, საშუალითა და წვრილითა. მსხვილი სამდთო წერილი ანუ საჩინო, საშუალი—მატიანე, და წვრილი ანუ მოწმობა, ანუ ვისიმე თქმული, ანუ ავთორი სიტყვა. ხოლო სხოლიოსა ზედა წმინდათ წერილი მოწმობანი და რომელნიცა მწიგნით არნ თარგმანი მის სიტყვისა. არამედ გარდმოთარგმნულ არს ლათინურისაგან რუსულათ და რუსულისაგან ქართულად. და ვინააზგან მრავალნი საკუთარნი სახელნი ქუეყანათა, ქალაქთა, ნათესავთა და კაცთა არნ ამს ზედა ლათინურად სხვა ისახულეების, ბერძულ სხვა და რუსულ სხვა, ეგრეთვე ქართველთა, ვითარცა: ასია, აზია, მიდი, მედი, ეკთორ, ლეკთორ, ონორი, ღონორი, ფილიპპ, ფილიპპე, ღრილორი, გრიგორი, გრიგოლი, კონსტანტინ, კონსტანტინე, ირეკლე, ვრეკლე, კლიმენთ, კლიმენტ, ნიკოლა, ნიკოლაოზ. რომან, რომანოზ, და სხვანი ეგრეთნი მრავალნი, ნუ შეორგულდები, იგივეთ ჰგონე, ნუ სხვა, რამეთუ იგივე არს“, 7r-ვ.

ე) ვახუშტის გალექსილი ანდერძი:
მებრძოლთ ბრძოლათა ვით მართებს სიმაგრე, რაზმთა ცოდნანი,
მტკიცედ გულმაგრად მას ზედა, თვარ იქმნაენ მონაწყინანი,
ეგრეთ ასპარეხს აწასე მსვლელს მართებს გამოჩენანი,
და სარწმუნოება გულს ეპყრას, მერ კითხვით იცეს ლხენანი.
თვარ არა გაქუს სიმტკიცენი. მიჰყვე ყოველსა თქმულებასა,
ქელს ემგზავსავი სიბოროტით, ჰყოფ გონების აღვსებასა,
ღმერთი არის შურის მგები, გეშინილდეს ხსოვნებასა,
და შიში მისი გრწამს, განგმართებს, კეთილს მოგცემს მოსწრებასა.
სარწმუნოების მპყრობელმან და ასპარეხსა მცემელმან
ყოფლი შეიგნოს სოფლისა, რაი სწადს მონა მდომელმან,
ბოროტი გარე განახნას, კეთილთა შენამთვისველმან
და არც წარხდეს შრომა ეს ჩუენი, მადლი გცეცს მომნადლებელმან.
თეატროს მოდით მოკრბენით, თქნულისა დამმარბეულანი,
იკრბიეთ გულსა საუწუჯე. რჯულთ და სოფლისა ყველანი,
ვინც არ იმცნებდეს ამ მცნებას, ნუ ხვალ სხვა მგველანი;
და თვარ ღვთის შენ მივე მიგება, ჩვენ ვიყუნეთ უშრომელანი“. 7v.

3) „ლექსიკონი, რომელნი წიგნსა ამას შინა უცხო სახელნი არნ.—ადიაფორი—ორკერძო...“ (8r—11r).

ბ) „ღისაგან მატჩანე ძველისა აღთქმისა შესაქმისაგან სოფლისა, რომელი დაიწყების კინ არა ოთხი ათასთა წელთ გაშო, ვიდრე ქს უფლისამდე ჩამოვალს...“ 12r—13r.

2. ტექსტს ბოლოში დართული აქვს: ა) ვახუშტის გალექსილი ანდერძი:

„შევასრულეთ, წარმოითხველო, მამის ძით და სულის ძალით, ვით გამოხვედ მცემი მარჯვედ, ვით პავლე სწერს, ვხედავთ თვალით, ქარს არა ვსცემ, ნიჭი მიმაქუს, შენ რაში ხარ დასათვალთ, და იმცენ ცნება, თუ გარდაე, ვისას დასდეგ მსლველი კვალთ. ვირწმუნოთ ღთი, კრებანი, შეიდთა დავიპყრათ მცნებული, ჩუნ მორწმუნეთა გვექმარვის, სხვის რად ვყოთ მონაგვებული, ნავი ეს ლელვას არ დამთქამს, სხვად არ ვჯდე საეჭვებული, და მათ ვნერწყოთ, ჩნ ის დავიპყრათ, მშთა დარწმუნებული. ცოდნისათვის სიტყვა ვაგოთ, ურწმუნოთა მათ მათები, ვიკითხვიდეთ ესრეთებსა, ლამპრათ მნათთა აღსანთები, არ თუ ვიქმნეთ ჩნცა მათებრ, ანუ ვიმლოთ სხვა ღთები, და მით არ ვიქმნეთ უცნობელნი, ტალანტი გვხუდეს ათათები. ყლთ მერჯულეთა რჯულები, გემცნას აქ დაიწერების. კერპთ ქუანთა თათართა, მწვალებელთ ებრაელების, არ თუ ამისთვის ვირწმუნოთ, ვსცნათ ცოდნა მოგვედარების, და არც ჩუნ გვხვდეს მშრომსა გმობანი, გესურს მადლი მოგვებერების“. 481v.

ბ) ანბანური „საძიებელი ნუსხა. ეგრეთ სახელნი, ვითარცა ნივთინცა წიგნსა ამას შინა შემოაპყრობილნი უუადვილესისა მათთა მოაოვნებისათვის ანბანისაებრ შეკრებულნი...“ 482r—512v.

3. ეს ხელნაწერი დაწვრილებით შესწავლილი და აღწერილი აქვს ქრ. შარაშიძეს შრომაში: „ვახუშტი ნათარგმნ შრომებში“. 1948 წ. გვ. 214—235, (იხ. მანქანაზე გადაბეჭდილი შრომა).

4. ზოგიერთი მინაწერი გადაშლილია და არ იკითხება.

მინაწერები: 1. „ამ წიგნს სახელად ეწოდების შავი პურის ყუა“, (ზემო ყდის შიდა გვერდი).

2. „Сокращение Вильгельма Стратеммана, Немесия, История Иосифа Флавия о разорении Ерусалима“ (ზემო ყდის საცავი ფურცლის r.).

3. „თეოდორ ივანიჩი დოკტორი მოვიყვანეთ ჩუკა-სა წელს იანვრის კბ-სა ბატონის სძლისთჲს“. (ზემო ყდის საცავი ფურცელი r.).

4. „ჩუკა-სა წელს ა) ბ-სა იანვარს მივსწერეთ ოთთაშვილს წასვლა კახმინცინის ნაჩანისკს.

ბ) დ-სა იანვარს პროკუროს კილაძეს ქსენატკოცის საქმეზე“ (ზემო ყდის საცავი ფურცლის r.).

5. „ნიშოვანი—знаменитыи. ხმაყოფილება—провозглашение. ზეახდა—превозмошел. სათნო იჩინა—признать. მიხრდა—сключить (ფანქრით. ზემო ყდის საცავი ფურცლის v).

6. „ჩუკით-სა წელს ნოემბრის კვ-სა მივიღე პეტერბურგიდან მატჩანეი ესე, თვადი გრიგოლ წერეთელი“ (ზემო ყდის საცავი ფურცელი v).

7. „განსაკვირვებულად ჩემდა ფლავიოს იოსიპოს ურია სტყუის მოსეს-თჲს, რომელიც დაბადებაში არ სწერია“. (ზემო ყდის საცავი ფურცელი v).

8. „ფლავიოს იოსიპოს ურია მეათარმეტესა შინა წიგნსა იტყვის, მეოც-სა თავსა, კარგისათვის და ყოვლად კარგისა იუდასათუის მხედართმთავრისა, და ჩემდა დიდათ საყვარელისა. გრიგოლ“, (ზემო ყდის საცავი ფურცელი v).

9. „ქ. წერეთელი სახლობუცესი ზურაბისა, მეფის ძეს იოანეს მიაართვა ბოდიშით“ 1r.

„აიღე აგრეთვე მინაწერები ქვემო და ზემო ყდის შიდა გვერდებზე.

(411)

421

მაქსიმე აღმსარებელი, კითხვა-მიგება, XI

97 დ.; (194 გვ.); 42 × 31,3; ეტრათი, დალაქაეებული, კიდებმემოჭორილი და შემომწვარი; მუყაოს ყდა; თავ-ბოლონაკლული; ნუსხური, ორ სვეტად, დასაწყისები სინგურით; [XI].

[წმიდისა და ნეტარისა ნამისა ჩუენისა მაქსიმესი ნეტარისა თალასეს მიმართ ხუცისა და მამასახლისისა მრავალთა მონასტერთაჲსა სიტყუათათჳს, რომელთა განმარტებაჲ ეთხოა მას ნეტარისა მაქსიმესგან]. „...მიზეზისაჲ მისმან უმეტრებამან დაბნელა გონებაჲ კაცისაჲ და საღმრთოჲსა გულისქმის-ყოფისაგან უცხო ყო...“ გვ. 1—194.

წყდებ ა: „...შეერთებასა, რომელი სარწმუნოებისა მიერ მიეცა, ყოველივე შესაძლებელ არს ღმრთისა...“

შენიშვნა: თარგმანი ეკუთვნის ექვთიმე მთაწმიდელს.

მინაწერები; 1. „ქ. მესტ[უ]მრეო, ჩუენ მაგირადა ჩვენსა დიდსა იმედსა დარბას, ბატონსა ბატონისშვილსა სახელუნსა, სახელგანთქმულსა სიკეთეს“. გვ. 15.

2. „ქ. მონა ღთისა საბრალო ბერი ვიკადრებ თანადაუსაბამანთ(!) ღთითა, მამითა, ძითა და სულისა წმიდისა თავდებობითა, მი[ნ]დობითა და შუამდგომლობითა პატიოსნ[ი]სა და ცხოველსმყოფლისა ჯუჴარისათა, თავდებობითა, მი[ნ]დობითა და შუამდგომლობითა“. გვ. 17.

3. „ქ. ნებითა ღთისათა და შეწვენითა ესა ბოლო წიგნი მოგეცი მე ივანას-შვილმა შენ, შაუგულიძესა ივანას, ომანიძესა დათუასა. კიტუასა ბიბიჩაძესა, გოჩიასა გარბელიანსა, მახარებელსა ჯანელიძესა, მარკოზს მესირიძესა, სვიმონს სანიგოიანსა, მისლიასა ჯანელიძესა, გოგილას ჯანელიძესა, ნოვშკენასა შალაბერიძესა“. გვ. 18.

4. „ქ. თანა დაუსაბამოთა ღთითა, მამითა, ძითა და სულისა წმიდასა, თავდებობითა, მი[ნ]დობითა და შუამდგომლობითა ესა ბოლო და გასათავებელი წიგნი ფიცი და პირი მოგეცი მე, სანიგოიანმა სვიმონ შენ, ივანასშვილსა“. გვ. 19.

5. „ქ. მონა ღთსა საბრალო ბერი ვიკადრებ და... გამდელი, მერმე ჩვენს ღთიულს და მოწყალესა ბატონსა ბატონისშვილსა სახელუნსა, სახელგანთქმულსა, სიკეთეს მიუწოდმელსა, სწორუპოვარისა, ქუეყანასა ზედა ნათლ[ა]დ მოფენილსა უკდავებისა წყაროსა“. გვ. 21.

6. „ქრისტე, შეიწყალე სული იოსებისი“. გვ. 141.

ესე ლოცვა ამა საიდუმლოებათა ზედა გონების შემოკრების საგონებელით უნდა ვთქვათ;

პირველი ხარებისათვის მარიამ ყოვლად წმიდისა ერთი „მამაო ჩვენო“ და ათი „გიხაროდენი“ ესრეთ.

ღმერთმან ოდეს მოინება საუკუნითგან გამორჩეულის მარიამის ქვეყნად მოსვლა — „მამაო ჩვენო“ — ა. იოაკიმს და ანნას, ვითარ ანგელოზმან ახარა შობა მარიამისა ქრისტეს მშობლისა...“ 1r—2v.

2. „ზანდუკი ათორმეტთა თვეთა საჩინოს დღისა და საუფლოსი დაკულად დიდ-მარხვისა და ზატიკისა. — ა. მოძღვრობის წიგნი...“ 3r—4v.

3. „ზანდუკი ქადაგებისა გამოკრებული — ა. ქ. წმინდა სახარება ბრძანებს: ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცაათა. — ბოლო აკლია...“ 6r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის 5r—v-ზე მოთავსებულია ქადაგების ტექსტი, რომელსაც თავზე აწერია: „ეს ფრანგს ექადაგა სამებაზე და მიწადა, ძალი ამისი რა არის. — ქ. ასრე წმიდა სამება ერთი ღმერთი...“

2. ხელნაწერი დაწერილია ალექსი მეგსნიშვილის ხელით (იხილე ამავე ხელით გადაწერილი A 1443 ხელნაწერის ზემო ყდის საცავი ფურცლის წარწერა).

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II გვ. 500.

(450)

535 ზ

თეიმურაზ I, ლეილ-მაჯნუნიანი (ფრაგმენტი). XIX

1 ფ.: 21,8×17,5; ცისფერი ქალაღი; უყდო; მხედრული, [XIX ს. I ნახ.].

[თეიმურაზ I, ლეილ-მაჯნუნიანი]. —

„...ჰქუჴა: თუ ეს ამას გავჴყაროთ, ცოდა მოგვხვდების ბრალები,

გვერც მიუწვინეს მას მისვან, დამწვარი, დანაჯალები,
ვაჟ, ავს დროსა შეჴყარეს იგ ტურფა სიძე-სძალები,
და გამტვერდა მინა ვარდია, ნარგიზი მოცინარები...“ 1r-v.

წყდებ: „...მეფე გარდიჴრა, შვილისა მოეხვეოდა კუბოსა,
აყრიდა თეთრსა თმა-წვერსა, ზედ ცრემლი დაიგუბოსა,
თუმცა ეშოვა ლახვარი, დაეხეოდა შუბოსა,
და შვილო, დაბმულხარ სოფლისა ფათერაკისა ჩხუბოსა...“

შენიშვნა: 1. ფრაგმენტი შეიცავს პოემის 228—237 სტროფებს. იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი. აღ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფილისი, 1934 წ. გვ. 54—55.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 501.

(450)

535 Թ

Ֆարեգանի (ფრაგმენტი). XVIII

3 ფ.; 22—17; լավալდი; უყდო, დაშლილი; ფრაგმენტი; მხედრული, დასაწყისი ასოები ასომთავრულით; სათაურები სინგურით; [XVIII ს.]; ჭვირნიშანი აქვს.

„მასუ՛ժ დიდსა ხუთშაბათსა ვიტყუთ მცირესა სერობასა და მას ზედა ვგალობთ სამ-საგალობელსა, ქმნილი უფლისა ან დ რ ე ა კ რ ი ტ ე ლ ი ს ა. ვ მ ა. Թ, გალობა ე. სძლისპირი.—განჰსდევნე ნისლი, სულისა ჩემისა ნათლისა მომ-ცემელო, ქრისტე ღმერთო...“ 1r—3v.

წყდება: „... რამეთუ იშვე ნებსით ჯორცითა და ვნებანი ყოველნი. ჯორცთა მათ შინა დაითმინენ, რათა აცხოვნო სოფელი...“

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 501.

(451)

536

კრებული. XVIII

15 ფ.; 22,5×18,5; ლավალი, დალაქავებული და დაზიანებული; უყდო, დაშლი-ლი, ნაკლული, მხედრული, დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.].

1. [თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, შ ვ ი დ თ ა კ რ ე ბ ა თ ა თ ვ ი ს]. — „...და ესე სომხებსა დასცემს მებებსა, ან ვინც ირწმუნა, ან ვინ ინება. მაკედონ უღთო, წვალება ურთო, ამით ჩავარდა ჯოჯოხეთს ძირსა...“ 1r—2v. (1934 წლ. გამოცემით X სტ).
2. [თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, ს ა რ კ ე თ ქ მ უ ლ თ ა ა ნ უ დ ლ ი ს ა და ლ ა მ ი ს გ ა ბ ა ა ს ე ბ ა. ნ ა წ ყ ვ ე ტ ი]. — „პირველი წმინდა კრება იქმნა ქალაქსა ნიკეას კოსტანტი-ნეს ზე დიდისა. პირველ ნიკეას კრებანი აწ ვითხრა, იქმნა რისათვის...“ 2v—6r.

შენიშვნა: იხ. თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯა-კობიას რედაქციით. თბილისი 1939 წ. გვ. 49—54, სტრ. 392—429.

3. „აქა მეფის თეიმურაზის აგან გრემის სასახლეზედ ლექსები ეთქვა და ბაღის სასახლეზე(!) დაეწერა. — ღმერთი არს თავი ყოველთა იგ ვაქოთ განვადიდოთო...“ 6v—7r.

შენიშვნა: იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, 1934 წ. გვ. 142—143.

4. „მეფის არჩილის აგან თქმული“ [ვის რამიანი]. — „ვაი სრულად ცუდად ყოფასა, ვაი სრულ შაირობასა...“ 7r—8r.

შენიშვნა: შეიცავს სტროფებს 723-დან—743-მდე. იხ. არჩილიანი, ტ. I აღ. ბამიძასა და ნ. ბებქენიშვილის რედაქციით, 1936 წ. გვ. 221—222.

5. „მეფის ვახტანგისაგან თქმული ბატონისშვილობაბის(!) დროსა.—

ნე უმცირესმან ძმათაგან ვახტანგმან სახელდებულად...“ 8r.

შენიშვნა: ლექსი წარმოადგენს ვახტანგ VI ეპიტაფიას, რომელიც დაუწერია გივი თუმანიშვილს. იხ. ელ. მეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 43, 1951 წ.

6. [თეიმურაზ პირველი, ლეილ-მაჯნუნიანი. ნაწყვეტები].—

„...ვთქვი: მოგვესწრა ჩვენ ასული, ალვის ნორჩად გვენაყოფის...“ 9r—13v.

წყდება: „...და ერთად შევყარნე ბაგითა ტურფითა, მოლიმილითა...“

შენიშვნა: შეიცავს შემდეგ სტროფებს: 30—49; 70—75; 84—106. იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, 1934 წ. გვ. 24—59.

7. [თეიმურაზ პირველი. შამი-ფარვანიანი].—

„...ფარვანა ეტყვის ხანთელსა, მანათობელო ღამისა...“ 14r—15v.

წყდება: „... და არას მიკვირს, მისნი მკვრეტნი, იმან დაასაპყაროსა...“

შენიშვნა: შეიცავს სტროფებს: 31—40. იხ. თეიმურაზ I. თხზულებათა სრული კრებული, 1934 წ. გვ. 18—20.

8. [თეიმურაზ პირველი, მაჯამა. ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა].—

„...თქვენი ნახვა წყლულთა ჩემთა უფრო ცეცხლად მოეკიდა, მოიშალა ბროლის სვეტი, მკერდსა ზედა გარდმოჰკიდა...“ 15r-v.

წყდება: „... და არას მიკვირს, მისნი მკვრეტნი იმან დაასაპყაროსა...“

შენიშვნა: 1. შეიცავს სტროფებს: 10—19. იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, 1934 წ., გვ. 122—123.

2. ხელნაწერი წარმოადგენს S-1547-ის ფრაგმენტს.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვაიამ თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 260.

(452)

538

სახიამოვნო წალკოტი ყრმათათვის. 1842

30 ფ.; 21×17,5; ქაღალდი: ქაღალდის ყდა, დაშლილი: მხედრული; 1842 წ.(3r); მთარგმნელი: ანდრია წიწვიანიძე (3r); დაუწერელია: 1r, 2v, 33r-v.

„სასიამოვნო წალკოტი ყრმათათჳს.—მუხა და პატარა ხე. მიხა, რომელმანცა გაათავა გაკვეთილი თჳსი, სეირნობდა ბაღში თჳსსა მამასთან და ინილა პატარა ხე ძირს დადრეკილი და ჰკითხა წას: ასე რისაგან გაბრუნდებულა ესე? მიუგო მამამან: გუშინდლის ქარისაგან, მეგობარო ჩემო...“ 5r—27v.

შენიშვნა: 1. შედგენილობა: „მუხა და პატარა ხე“, 5r—6r; „დიდი და პატარა პეპელა“, 6r—v; „ვაშლი და მსხალი“, 6v—7r; „ვერდი და ხამბახი“, 7r—v; „ყმაწვილი და მთის ჩიტი“, 7v—8r; „სოფიო და სარკე“, 8r; „დედა, ქალი და ყვავილი“, 8r—v; „შროშანა ყვავილი და ლერწამი“, 8v—9r; „ცხვარი, ბატკანი და მწყემსი“, 9r—v; „ყმაწვილი, კრაზანა და გლეხი“, 9v—10r; „მთის ჩიტი“, 10r—v; „ძალი და კატა“, 10v—11r; „ვერდი და ია“, 11r—v; „შუშუნა“, 11v; „ჰანარით თევზი“, 12r; „მწყემსი, მგელი და გლეხი“, 12r—13r; „მამაშვილნი და ორი პანტა“, 13r—v; „ხარახი და მიმუნე“, 13v—14r; „ველმწიფე და პერობლინი“, 14r—v; „ვერდი“, 15r; „ვერხვი და ატმის ხე“, 15r—v; „პატარა ბუ“, 15v—16r; „ბრძენი და გლეხი“, 16r—v; „მიხა და ოსტატი“, 16v—17r; „სარკე და ტორუა“, 17r—v; „პატრონი და ძალი“, 17v—18r; „ფუტკარი და პეპელა“, 18r; „პატარა მებატონე სარკის წინ“, 18r—19r; „ჯინჭველა და ბუზი“, 19r—v; „ფლორა და მიხაკა“, 19r—20r; „მონადირე“, 20r—v; „საყმაწვილონი კუკები, ანუ გამორჩეულნი თხრობანი, ზღაპარნი და არაკენი, სახმარნი სასარგებლოდ ყრმათათჳს“: „მგელი, ბატკანი და თხა, ანუ ცთუნება და გარეწრობა“, 21r; „ორნი ბაყაყნი უწყლოდ, ანუ სიფრთხილე განსაცდელში“, 21r—v; „მამა შვილებითურთ, ანუ მაგალითი, თუ ვითარ სარგებელ არს ერთობა და ვითარ მავნებელ—განხეტვილება“, 21v; „ლომი და დათვი, ანუ ჩხუბში დაკარგული ქკუა“, 22r; „ძალი და ჩრდილი, ანუ დასჯილი შური“, 22r; „ცხენი და ვირი, ანუ დამდაბლებული ამპარტანება“, 22r—v; „ვერდი და მსხალი, ანუ მშენიერება და შრომის მოყვარება“, 22v—23r; „ჯორი და ვირი, ანუ უგნური ამპარტანე“, 23r; „ქათამი და იხვი, ანუ განუსჯველი გამბედაობა“, 23r—v; „დათვი და სნეული, ანუ დაუდგრომელობა და თავხედობა“, 23v—24r; „ორნი მებალენი მცონარენი და ბეჯითი“, 24r; „ლიოსველი ჯილდო“, 24v—25r; „მოგზაურობა ტრედისა უცხო სქუყანაში, ანუ გამოცდა, რომელ ბოროტი ყველგან არს“, 25r; „ნაყოფი სიკეთისა და ბოროტისა“, 25r—26v; „ფუტკარი და ბაბაქუა, ანუ თუ სარგებლობისა ჟმჯობეს ველოვნების შერაცხუა“, 26v; „ამპარტანება ვირისა კეთილ შემთხვევასა შინა“, 26v; „მიმუნე და კაცი“, 27r; „აკაკი და თუთიყუში, ანუ განკითხუა სხუათა ბიწიერებათა საკუთართა ბიწიერებითა თჳსითა“, 27r—v; „ძმა და და“, 27v.

2. წინ უძღვის: ა თავფურცელი: „სასიამოვნო წალკოტი ყრმათათჳს ანუ კრება სასიამოვნოთა და რჩეულთა ზღაპართა ცხადითა და ადვილისა ზნეობითისა სწავლითა. გარდმოღებული რუსულით ქართულსა ენასა ზედა ტფილისის სემინარიის ლუთის-მეტყუშლების კლასის მოწაფის მღვდლის იოანეს ძის ანდრია წიწვიანძისა მიერ წელსა ჩემბ-სა, ავისტოს კ-სა დღესა“, 3r.

ბ. მთარგმნელის ლექსი:

„ნუ მიკიხავთ, რისთჳს თარგმნა ჭაბუკმან ყრმათათჳს თქმულია,
ან რისთვის ათია ღამე, თვალთ არა მისცა რულია,
რათ არა თარგმნა კარგი თქმა, ქრისტეზედ აგებულია,
და მასზედ რად მოცდა უცები, მასზედ გართო გულია.
ესწავლიდი ყრმათა ამ დროსა, მსუროდა კარგად ესწავლათ.
სრულის ზნეობის მიღებით ღმერთი, უცხოდ შეესწავლათ,
სავენებელი ველოვნება, ღმერთო იმით არ ესწავლათ,
და მისთჳს ვთარგმნე ეს თქმანი, რომე მათ ჭკუა ესწავლათ.“

ა... წ... [ანდრია წიწვიანძიქ] 14v.

3. ტექსტის ბოლოს ერთვის „ხანდუკი“ (28r—29v).

4. „ხელნაწერი აღწერილი აქვს ეჭვთიმე თაყაიშვილს, იხ.: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 517.

- მინაწერები: 1. „სასმელი არს ღვინისა აღექსანდრესი ლხინისა“ 1v.
 2. „გაბრიჩიძე მარი“ 2r.
 3. „С разрешения Господина Главнoуправляющаго за Кавказским краем“,
 3v.

(453)

539

კატეხიზმო. XIX

16ფ; 21,6×17,5; ლურჯი ქაღალდი; უყდო; მხედრული; სათაურები მთავრულით;
 [XIX ს.]; კვირნიშანი აქვს; დაუწერელია: 1v, 19—30.

[კატეხიზმო]. „ნაწილი (პირველი) ბ. თავი ა. ლუთისა ცნობისათჳს აღძრკვლებითისა. კ'ი, რასა უწოდ შენ აღძრკვლებითითა. ხედვითა ცნობასა ლუთისასა?...“ 1r—18v.

წყდება: „...შ'ი. კადნიერებითა ნით ძეგბრივითა, ვინაჲთგან იგი არს მამა ჩუშნი შემოქმედი, მხსნელი და დამბადებელი ჩუშნი და მეორეთ ამით-ცა, რომელ ვიშევთ ჩუშნ წყლისა მიერ და სულისა, რომლისათჳსცა თვთ მაცხოვარი გუასწავებს ამას თქმად მარადის, რომლითაცა ჩუშნ ყოველნი ვითარცა ძენი ერთისა მამისნი, შეეკრუთ ძმად-წოდებასა შინა...“

მინაწერი: 1r.

(454)

540

ზატიკი. XVIII

340 ფ.; (680 გვ.) 22×15,2; ქაღალდი დაზიანებული (დალაქავებული, დაობებული და დაჩრეტლი); უყდო, დაშლილი, ბოლონაკლული. ბოლო ფურცელი დახეულია; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.], კვირნიშანი: სამი ნახევარი მთვარე; დაუწერელია: გვ. 572.

„იწყებიან წმიდანი ზ ა ტ ი კ ნ ი წმიდით და განმაცხოველებით ქრისტეს აღდგომით, და სრულ იქმნებიან კვირიაკისა ყოველთა წმიდათასა რვანივე კვირიაკენი სრულნი ყოველითურთ. დიდსა შაბათსა მწუხრი უფალო ღალადაყავსა, ჯ'ა ა.—სამწუხრონი ლოცვანი ჩუენნი შეიწირენ, წმიდაო უფალო, და მოგვმადლე ჩუენ მოტევებაჲ ცოდვათა...“ გვ. 1—680.

წყდება: „...დასასრულნი ქრისტეს მოწამეთა და კიდენი ქუეყანისანი...“

(455)

541

აღლუზიანი. XX

39 ფ.; 21,5×17,5; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული, სხვადასხვა ხელი; [XX ს.]; დაუწერელია: 78r-v.

(აღლუზიანი), „წიგნი პირველი. ავლუსტიანი, ალლუზიანი, რუსი-
ანი.—

ღმერთო, დიდო და მალალო, გონებით მიუწდომელო,
ერთო სამპიროვნებით, კაცთაგან გამოუთქმელო,
მამაო, ძიო, სულის წმიდით არსებად ქვეყნის მქმნელო,
ყოვლოს დიდებით შემეულო და სიბრძნის გამოუთქმელო...“

გვ. 1—76.

შენიშვნა: 1. ზელნაწერი ფანქრითაა ნასწორები. ეტყობა, სტამბაშია ნამყოფი.
კიდევებზე აქვს ასეთი წარწერები: „გამოშვებულა ნაბორჩიკისაგან“. გვ. 6,7.
მინაწერი (გადამწერისა): 77 გვ.

(456)

542

განგება თვეთა წელიწდისათა (მოსაქსენებელი ყოველთა წმიდათა). 1755

287 ფ.; (574 გვ.); 20,5×15; ქალღი, დალაქავებული; უყდო, დაშლილი, თავ-
ბოლო ნაკლული, წინ აკლია ორი რვეული; ნუსხური, დასაწყისები სინგური; ბო-
ლოსამკაული (გვ. 505); 1755 წ. (გვ. 565); გადამწერი: სიონის კანდელაკის შვილი
ისაკი (გვ. 565).

(განგება თვეთა წელიწდისათა (მოსაქსენებელი ყოველთა წმი-
დათა)).—„...[ბრ]ძანა ვიეთმე მალნო მთავარმან აღსლება მათდა. და ნადი-
რობა ნადირთა, რომელნიცა მიემთხვინეს წმიდასა მარკოზს და მწყსიდა
იგი სცხოვრთა ველისათა...“ გვ. 1—565.

შენიშვნა: 1. ერთვის მეფეთა და პატრიარქთა სია (გვ. 566—574).

2. ყოველი თვის წინ გამოტოვებულია თავისუფალი ადგილი, ალბათ ზოდიაკო-
ებისათვის.

ანდერძები: 1. „წმიდანო მამანო, ამას დღესა (იგულისხმება ნოემბრის 10. თ. ბ.)
დალაკათუ ბერძენნი წმიდისა გიორგისტოზს არა დიდად დღესასწაულობენ, არა-
რამ არს ყენება, რამეთა ჩუენ ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ ჩუენ პირველითგან
ესრეთ გვაქვს ჩვეულება. ხოლო ესე საცნაურ არს, რომელ თავადი დღესასწაული
წმიდისა გიორგისტოზს აპრილსა კვ-სა. აწ რომელნი დღესასწაულობდეთ, განგება
აპრილსა კვ-სა მოიპოეთ და ლოცვა ყავთ, მუნ არს, გრიგოლისტოზს“ (გვ. 70).

2. „დიდება ღმერთსა, სრულყოფელსა ყოველთა სუფევათასა. დაესრულა განგე-
ბა თვეთა წელიწდისათა, მოსაქსენებელი ყოველთა წმიდათა კელითა უღირსისა
უტებად მწერალისა სიონის კანდელაკის შულის ისაკისათა. ქრისტეს აქეთ
ჩღნე, ქორონიკონს უმდა“ (გვ. 565).

მინაწერი: „ეს წიგნი გაბრიელისა არის, ვინც მაიპაროს...“ (გვ. 518). იხ.
აგრეთვე გვ. 565.

(457)

543

ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. XVIII

45 ფ.; 20×16,2; გახუნებული მწვანე ფერის ქაღალდი; უყდო; დაშლილი, ბოლო-
ნაკლული; მხედრული, დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.]; კვირნიშანი აქვს.

[ვახტანგ VI, სამართლის წიგნი], „მყოფისა უმყოფისა, არსისა დაუარსისა და მაარსისა მქეზი, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქეზელი და მმონებელი, უდებად მქონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დლითი-დღე მრეველნი ჯელთა მარგარიტთა შინა...“ 1r—45v.

წყდება: „...სნიგ. თუ ასრე გაუტეხოს, რომ სისხლი აღინოს და, თუ უნდა, ცოტად კიდევ დააჩნდეს, იმისთჳნ ორი ქერის მარცულის სისხლი აღინონ...“

შენიშვნა: 1. S—543 წარმოადგენს A ნუსხის ტიპის ხელნაწერს. იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურაო თინა ვნუქიძემ. თბილისი 1955 წ.“

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 624.

მიწაწერი: „ვასილ ოქონელმა შესწირა ეს სამართლის წიგნი წერა-კითხვის საზოგადოებას“, 1r.

(458)

544

მიმოსლუა ქერეოსისა და კალლიროიასი. 1828

115 ფ.; 21,5×17; ქაღალდი, დალაქავებული; მუყაოს ყდა; აქვს ყდის საცავი ფურცლები; მხედრული; 1828 წ. (111v); დაუწერელია: 58v—59r; 112r—115v.

„მიმოსლუა ქერეოსისა და კალლიროიასი. წიგნი პირუტლი. ლერმოკრატს უჩინებულესსა მჯედართ-მძღუანსა სირაკუზისასა, სახელგანთქმულსა მიღებულსა გამო ძლევისა ათინელთა ზედა, ოდესცა მათ წარმოგზავნეს ფლოტი დასაპრობელად სიცილიისა...“ 1r—111v.

შენიშვნა: 1. თავფურცელზე აწერია: „მიმოსლუა ქერეოსისა და კალლიროიასი“.

2. კიდევზე მოთავსებულია განმარტებები, მაგ. ასეთი: „ფლოტი ჰნიშნავს ზღვის მხედრობას. ანუ ხომალდებს რავდენსამე ერთად შეკრებილებს“, 1r. და ა. შ.

ანდერძი: „სრული იქმნა 18 — $\frac{1}{3}$ — 28“, 111v.

წყდება: „...იზანბურ იტყვის: ყმაწვილო, საეინათ თავს რათ იგიეებ,
ტურფა ჰკვიანო,
ყური დამიგდე, პირთა მზიანო, თავი მომიკლავს—მას იტყვიანო,
დედ-მამათ დასწომ, რას იტყვიანო, ჰკვიანო...
გარწმუნებ გულს, ისინინე ყურთა, შენ ჩემი შვილი, მე შენი
დედა...“

შენიშვნა: სათაურს წინ უძღვის: „ჩუჲშ-სა წელსა, მაისის პირველსა დღესა“.

(462)

550

შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და
აზნაურთა გვარებისა. XIX

I+21 ფ.; 35×22; ქალაღი: უყდო, დაშლილი; მხედრული; [XIX ს.].

„შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რომელნიცა აღწერილ არიან ძველად მეფეთაგანცა და ოკანასკენელ მეფისა მიერ ირაკლისაგანცა, ვითარცა არს მოხსენებულ ტრაქტატსა შინა, ოდეს შეეკრა მის დიდუზულებას იმპერატრიცა ეკატერინასა წელსა 1783.—ქ. ქართლის ისტორია იპყრობს თვის შორის ორსა უკუცვლილებასა...“ გვ. 1—42.

შენიშვნა: ხელნაწერი ნასწორებია ტექსტის ხელით.

(463)

551

რუსულდანიანი (ამბავი ჯიმშედ ხელმწიფისა). XVIII

23 ფ.; 35×22; ქალაღი, დაზიანებული, შეყვითლებული, ლაქებიანი; უყდო; ნაკლული; მხედრული; [XVIII ს.], ჰვირნიშანი აქვს: ნახატი: 12r, 16r.

[რუსულდანიანი]. „...იღამ და ასეთი შეიქნა, რომ ობოლი მარგალიტი. რომ დასწვდა, გაუგორდა და უფრო მშვენიერი შეიქნა. მიგორამს ის კერცხი და მისდებს ყმაწვილი...“ 1r—23v.

წყდება: „...და ხემწიფესა ჩემი ამბავი მისწერა, რაზედაც რებული ვიყავ და ანუ სადაური, ანუ როგორი კაცი და ანუ როგორს კაცის შვილი ვიყავ. და ხემწიფესა ეგრე ებძანა...“

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. I, გვ. 409.

მინაწერი: „ეს სახე ფეოფისტემდახატა“, 12r. იხ. აგრეთვე მინაწერი: 1v.

(464)

552

იაღვარი. XI

47 ფ.: 23,5×17,5; ეტრავი, დაზიანებული და დალაქავებული; უყდო, დაშლილი, ნაკლული; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XI ს.].

[იაღვარი]. 1. [ორმეოცდახუთთა მოწამეთა].—“...ლებითა შალმრთოთა შეურაცხ-ჰყენეს ჯორცთა სატანჯველნი. ორმეოცდახუთთა მოწამეთა წინამძღურად ბოწყინვალედ მოგიგეს...” 1r—2v.

2. „იენისსა იბ, ფილიპტიმონისი. უფალო ღალადყავსა დ.—მენეთა ზედა. გამოჰბრწყინდი ბნელსა შინა ძალითა უძღვევლითა, ყოვლად ქებულო ნეტარო ფილიპტიმონ...” 2v—4v.

წყდება: „...შემდგომად მოწყუედისა უბიწოთა მშობელთა შენთა გიწყო შენ ვედრებად, ნეტარო ღუაწლთშემოსილო თევდოსა, რათაჲცა უხორე კერბთა...”

3. [წმ. ევგენისი].—“...ლებისაჲ და წესი მონაზონებისაჲ მარხვითა მით მღვდარებითა და სიმღჰბლითა, ღირსო ევგენი...” 5r—6r.

4. „ივლისსა ე, მართაჲსი, სუმეონის დედისაჲ. უფალო ღალადყავსა ბ გი. ჯუართა შენითა ქრისტე.—ჯუართა შენითა ქრისტე შეიკურა და განვლო დეღვაჲ სოფლისაჲ უბიწოებით...” 6r—8r.

5. „ივლისსა ე, ფილიპე მოციქულისაჲ. უფალო ღალადყავსა ა. ზეცისაგან წესე.—ზეცისა მგან თქუემამან შენმან ქუეყანასა ზედა იქუნა, სანატრელო სასმენელად...” 8r—10r.

შენიშვნა: კიდევ სინგურით მიწერილია: „სენი, ნონბრსა არინ იდ. მუნ ბრძანეთ უფსკრულნი.“

6. „ივლისსა ვ, იოვანე პალავრელისაჲ. უფალო ღალადყავსა. ჰ სასწაულთა ზედა. ძმაო, ბრძენო იოვანე, უბიწოებით ქცევითა ღმერთსა მოსწრაფედ შეუდეგ და მის მიერ ბრწყინვალედ ნათელითა განათებული...” 10r—11v.

7. „იენისსა(!) ზ, მამისა სისოისი. უფალო ღალადყავსა ჯმაჲ დ გი. ნესტუსა დაჰ.—ზეშთა არიან ბუნებასა კაცთასა სიმრავლენი სათნობათა შენთანი, ღმერთშემოსილო ნეტარო სისოი...” 11v—16r.

8. „ივლისსა ც, წმიდასა პროკოპისი. უფალო ღალადყავსა ა. ამორჩეულ იქმენ შენ მუტლით გამო დედისაჲთ ღმრთისა მიერ, სანატრელო...” 16r—18v.

წყდება: „...უამსა მას სიტყუს-გებისასა განჰკუეთენ მძღავრთა სიტყუანი. უგალობდ რაჲ ქრისტესა და სიქადული მათი...”

9. [წმ. ივლიტესი].—“... სამებასა, რომელნიცა დაშრიტა ცეცხლი და გვრგვნითა შეამკენა თავნი თქუენი...” 19r—21r.

10. „ივლისსა იდ, კაკრიკესნი და ივლიტაჲსნი. უფალო ღალადყავსა დ.—უშჯულოთა მეფეთა აღძრვანი არად შეპრაცხნეს ორთა მათ მოწამეთა...” 21r—23r.

11. „იელისა იე, ჭმისნივე. უფალო ღალადყავსა, ჯე ბ.—რომელი დაიცავ ჩქლთა და ჰზრდი მათ საპოხით სრულებად, ღმერთო, უზემთავს არსთა სრულებათათ...“ 23r—27v.

12. „იელისა იე, კვრიკესი და ივლიტაქსი. დასდებელნი. უფალო ღალადყავსა დ გი.—სიყრმისა ჰასაკმან და უძღურებამან ბუნებისამან ვერად დააყენა ღუაწლსა სრულსა...“ 27v—30v.

13. „იელისა იე, მარინაქსი. უფალო ღალადყავსა.—ლახუარსა მსაჯული იგი უღმრთოდ აღუთქუმიდა დედოფლობასა ქრისტეს მოწამესა მარინას...“ 30v—36v.

14. „იელისა იე, (!) ათანასი კოლიზმელსა. უფალო ღალადყავსა ბ გი, საღმრთოდათა მეცნიერებითა, ვითარცა ვენაჯი მოიწყებუნ, მოწამეო ათანასი...“ 34v—36v.

15. „იელისა კ, წმიდისა მამისა ჩუენისა ბარალასი. უფალო ღალადყავსა დ.—თანასწორთა. უმტკიცესო რკინისაო, უმაგრესო რვალისაო, მენეო მოწამეო, ბარალა სანატრელო...“ 36v—37v.

16. „იელისა კა, იოვანესი და სკემონ სალოსისაჲ. მოგუეც.—დაემკვდრენით, ღირსნო, უდაბნოს ერთითა სულითა და დააცხვრეთ აღძრვად ჯორცთაჲ, ნეტარნო...“ 38v—39v.

წყდებდა: „...კრძალულებად საღმრთოდასა ზებისად მოიგეთ...“

17. [წმ. მარიამისი].— „...უმევედ საკუმეველისა. აწცა ითხოვე ჩუენთჲს დიდი წყალობად, რომელნი შენ გალობასა შეგასხა მათ...“ 40r—41v.

წყდებდა: „...ზეცისა სუფევასა მიცვალებულ ხარ და ფართობასა სასუფეველი...“

18. [წმ. ქრისტინასი].— „...გუნ მუნ გოდოლი მაღალი და აჰმართნა მას შინა ცუდნი ღმერთნი ჯელით-ქმნულნი...“ 42r—43v.

19. „იელისა კე, წმიდისა ანაქსი, ღრთის მშობლის დედისაჲ. უფალო ღალადყავსა დ გი. მქლ მთავა.—სავსენებელსა მართალთასა ქებით აღყასრულებდეთ, რომელთაგანცა იშვა სიმართლისა მომცემელი...“ 43v—47v.

წყდებდა: „...რამეთუ ჰყევ ყოვლად უბიწოჲ ქალწული, მშობელი ცრთი...“

შენიშვნა: 1. ტექსტს აქვს მუსიკალური პუნქტუაცია (სინგურით).

2. შიგადაშიგ ტექსტში ჩაწერილია ასომთავრულით: „ქრისტე, შეიწყალე იოვა“. ან „იოვანე“. იხ. გვ. 8r, 13v, 19v, 33v, 34v.

შინაწერები: 1. „გულსიოვი“, 23r.

2. „ქ. ეს სადღესასწაულო წიგინდის(!) ნინასა არის, ვინც მაიპაროს ... წმინდანის“, 24v.

3. „ეს სადღესასწაულო ნინას...“, 27r.

იხ. აგრეთვე: 3v, 19r, 26r.

553

ხელნაწერი შეუერთდა S—540 ს

(465)

554

ითიკა. XIX

8 ფ.; 34,5×22,5; ქაღალდი დალაქავებული; უხდო., დაშლილი; ფრაგმენტოზ. ნხედრული; [XIX ს.].

(ითიკა). „კეთილთა განმზრახთათვის. თავი ი.—...თა მაშინცა შეწყნარებითა რჩევისა და დარიგებითა მისისათა არა ოდესმე დამცირდების და არცა დიდ იძულებასა მისსა მოაკლდების რაჲმე...“ 1r—8v.

წყდება: „... რომლითაცა შემეწია (!) შენ საჭიროებასა შინა შენსა. მიუგო აპელიმ: კეთილად ვჰსთქუ, რომელ არს მპარაობა, რამეთუ მეფემან ნიჭითა ამით მიიპა...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ამ ფრაგმენტში ი და ია თავეზის ნაწილია მოთავსებული.

2 1v-ზე, კიდევ მოთავსებულია ასეთი განმარტება:

„გერუსია ითარგმანების ელლინურის ენისაგან მსტოვენებად“.

(466)

920

ანტონ I, რიტორიკა. XIX

120 ფ.; 17,5×11; თეთრი და მწვანე ფერის ქაღალდი; უყდო, დაშლილი, ჭიხანგან დაჩვრტილი; თავნაკლული; მხედრული, სათურები ასომთავრულით; [XIX], ჭვირნიშანი აქვს; დაუწერელია: 119r—120v.

[ანტონ I, რიტორიკა]. „...ურჩება პეტრუსი მშობელთადმი ...ვსთა, რომელთა დროსა შინა სნეულებისასა, და დასასრულსა საჭიროებისასა არა ერჩდა დამონებად, არს ფრიად უბოროტეს...“ 1r—116r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის კიდევზე ანტონის განმარტებებია.

2. ხელნაწერს დართული აქვს „პინაქს-სიტყუაობა სარიტორიკისა ქლოვენებისა, ესე იგი სამკვერ-მეთქუოხასა წიგნისა...“ 116r—119r.

(467)

939

ქილილა და დამანა. XXIII

84 ფ.; 33×22; ქაღალდი, დალაქავებული. ბოლო გვერდები რესტავირებულია ლურჯი ქაღალდით; უყდო, დაშლილი, თავნაკლული; მხედრული; [XVIII]; ჭვირნიშანი აქვს; დაუწერელია: 80r-v, 81v—84r-v.

[ქარი პირველი]. „...ჲე, ხელმწიფეო! თუცა ესე სიტყუა მუთურბას თანა მივიდა და თვისისა საქმისა რამე შეიგნო და ამა ამბავმან მასთან ნიაწივამით შეგიშინდების და ჩხუბისა და შფოთის გაშლას ეცდების. თქმულა: ჭკუათა უფალმან საცხადო შეცოდება ფარულად აზღვევინაო...“ 1r—79r.

შენიშვნა: 1. იხ. „ქილილა და დამანა“-ს 1886 წ. გამოცემის 127—585 გვერდები.

2. კიდევზე მოთავსებულია სიტყვების განმარტებები.

3. ტექსტი საბა ორბელიანისეული რედაქციისა.

4. 79r-v შემდეგა მიმატებული. ტექსტს აკლია ვახტანგ VI-ის ნაბძანები შაირი.

5. ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинскаго населения“, том, I вып. 1—4, გვ. 297—298.

მინაწერები: 1. „ქინდო გაცევის ასული ელისაბედ დაიბადა წელსა ჩყითსა (1819-სა), თვესა ფებერვალსა იდ-სა, 12. ღამით სამი საათის შემდგომ მთოვარ ...ისა, ხლო ქართულსა ქორონიკონსა... ფშ“, (81r).

2. „ქინდოს ძე ქაიხოსრო დაიბადა ოქტომბრისა კა. დღე იყო ხუთშაბათი. ნათელს-ილო იანვრის ია, წელსა ჩყვ“, (81r).

(465)

947

„მესხური დავითნი“. XVI

30 გვ.; 17×12,3; ქალაღი; მეტად ნაკლულოვანი; ფსალმუნის ტექსტი მთლიანად აკლია—დარჩენილია ბოლოში მხოლოდ „გალობანი“; რესტავირებული და აკინძულია „ხელნაწერთა ინსტიტუტის“ ლაბორატორიაში; მუყაოს ყდა; ნუსხურით; „გალობათა“ ტექსტის დასაწყისი ასოები და სათაურები სინგურით: XVI-ს. (1—8, 10—11 გვ. კალიგრაფიული, მომრგვალო ხელით; 9—12 გვ.ჩანაწერები და 12—30 გვ. სხვა, უფრო კუთხოვანი ნუსხურით). პლატონ იოსელიანისა და შემდეგ. დიმიტრი ბაქრაძისეული.

„მესხური დავითნი“

(«გალობა»). აკურთხევდით, ყოველნი საქმენი უფლისნი, უგალობდით, აკურთხევდით, ცანი და ანგელოზნი უფლისნი...“ 1—7.

თავდება ტექსტით: „წინასწარმეტყულეზა ზაქარიაესი, მამისა წინამორბედისაჲ.—კურთხეულ არს უფალი გამოჩინებად მათ ზედა, რომელნი სხენან ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისთა... და წარმართებად ფერჯთა ჩნთა გზასა მშვიდობისასა.“

შენიშვნა: 1. ჩვენამდე მოღწეულ ნუსხას, რომელსაც ვახუშტი წყაროების ჩამოთვლისას იხსენიებს: „დავითნი მესხური, ხუთ წიგნად განყოფილი“—ამჟამად სრულებით არ შერჩენია დავითის ფსალმუნის არც ერთი ნაწილი; ხელნაწერში დაცულია მხოლოდ „გალობანი“, რომლებსაც ურთავდენ ფსალმუნის ტექსტს სამღვდელთმსახურო პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

2. 947 ხელნაწერში ბოლონაკლული სახით მოღწეულია გიორგი მთაწმიდელის ანდერძი (იხ. ქვემოთ) გვ. 7—8.

3. წინამდებარე ხელნაწერის უმნიშვნელოვანესი ნაწილია 9—30 გვ., სადაც მოთავსებულია ეგრეთწოდებული „მესხური ქრონიკა“; თავბოლონაკლულია.

ტექსტი ამჟამად იწყება: ათაბაგთა სახლის ზოგიერთი წევრის დაბადებისა და გარდაცვალების ცნობებით:

„... ია მთვარისასა.

დაიბადა [აწყვერს] თამარ, აპრილსა იშ, დღესა პარასკევსა დღისით, ჟამსა ვ. მთვარესა დ, ქკსა სმო...“

ბ. დედისიმედის(II) სახლის წევრთა—XVI ს. დასაწყისის მუხრან-ბატონთა (ბაგრატ-ყოფილის ბარნაბასი, მის ძეთა, „ქართველთა მეფეთმეფისა დიდის კოსტანტინეს შვილის შვილის მეფის ბაგრატიის შვილის არჩილისა“ და სხვ.)—მოსახსენებლები. გვ. 10—11.

გ. „ქრისტანისა და ღთისმოყუარის ქაიხოსრო“ ათაბაგის (გარდაც. 1573 წ.) მოსახსენებელი, 12—13 გვ.

დ. გაბმული მოთხრობა, რომელიც თითქოს დლიურის ხასიათს ატარებს, იწყება 11 გვერდიდან:

„ქ. მისისა კჳ, დღესა ხუთშაბათსა წავედით ახალციხეს და ბატონი თუაღ-შუღნიერი საყახმისოდ წავეყუნეთ დღესა ხუთშაბათსა, ჭკსა სგა. ივანობის-თუღს იჳ, დღესა ოთხშაბათსა ახალციხიდან გავდევით და ენკენისთუღს ლ, ოთხშა-ბათს დღესა წყაროსთავედამ გავდევით...“ გვ. 11—12, 14—30.

ეს გაბმული ისტორიული თხრობა იწყება 1573 წლით და წყდება: „და გოგორიშვილმა ბეჟან ციხიჯუარი უკუიჭირა და მისცა ფაშასა.“

შემოგუიყენეს მოლაღატენი და ვეღარც ჩნ დაუდგენით და ჩავედით ახალდაბას. მარტს ნახევარ, გაზაფხულ, ყაენი ხუდაბანდიშვილი, აბასი მირძა გამოვიდა, არდაველს მოვიდა. ოზბეგნი ხუარასანს წამოვიკინენს. დაბრუ...“—1586.—1588 წწ. ამბებზე.

„ანდერძი გეორგიისი:

წნო და ღმერთშემოსილნო მამანო და ძმანო, რომელნიცა ამით წთა დთთა მიემთხვნეთ!

ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რ ფრიადითა იძულებითა წთა და სულიერთა. მამათა ჩემთათა ვთარგმნენ ესე დავითნი ახლად ბერძულისაგან ქართულად, მე, გლახაკმან გეორგი, უღირსმან ხუცე სმონაზონმან, ფრიადითა ჭირითა და რუდუენებითა. თუთ იცის ღმერთმან, მრავალთა ბერძულთა დედათა და დავითი სა თარგმანთაგან ფრიადითა გამოწულილვითა და გამოძიებითა.

აწ უკუშ გვედრებთ ყთა, რომელნიცა მიემთხვნეთ წთა ამთ დქავითთა, რათა ჩნთს ლოცვა ჰყოთ და ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოთ, ეგრეთვე შეუცვალბებლად დასწერდეთ: ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ. ჩნ, რომელი ჯერ-იყო, ჩაგვრთავს და რომელი ჯერ-იყო, დაგვკლია, ვითა ჩნსა ენასა მოვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდა. ნუცა...“ 7—8 გვ.

(469)

950

ისტორია ანუ მოთხრობა საპყარან ამარამზასი და ბაბა აპარისა. 1863

68 ფ.; 22×17,5; ქალაღი; უყდო, დაშლილი; ბოლონაკლული; მხედრული; 1863 წ. (1r); დაუწერელია: 65v—68v.

„ისტორია ანუ მოთხრობა საპყარან ამარამზასი და ბაბა აპარისა, გარდმოღებული სპარსულიდან ქართულს ენასა ზედა შამშადინის მოურავის თავადის სოლომან თარხანოვისაგან, თანა გულს-მოღგენით შემწეობითათსა სვიმონ ალექსანდრის ძის მაყაევის თანა.—მეისტორიენი ასე მოუთხრობენ, რომელ ბელადის ქალაქში ერთი ვარსკლავთმრიცხველი იყოვო, დიდათ მეცნიერი და მდიდარი, ჯამისმის ერქვა. ერთი შვილი ჰყოლია ბებახტ, წოდებული ესე იგი უბედოთ...“ 1r—65r.

წყდება: „...ბაბა ამარ საჩქაროთ წავიდა. ცოტა რომ გაიარა, ნახა ხაიდ ლანგარი და ბაბი ყარლაფუშ, რომელიც ბაბა აპარის ოსტატები იყვნენ ყმაწვილობაში. წინ შემოეყარნენ, ჰკითხეს: ბაბავ, სად მიხვალო? უთხრა:—მადიანს მივალო. ჰკითხეს: რათაო? ბაბა ამარ უთხრა: ამათ...“

შენიშვნა: ტექსტში გამოტოვებულია თავისუფალი ადგილები ლექსების ჩასაწერად. იხ. გვერდები: 42v, 45v, 46r-v, 47r, 49r. 50r, 51r, 53v. 63r.

ანდერძი: „დავიწყებ ვადმოწერა ხელახლად ჩუგეს წელსა, იანვრის ოთხსა“ (1r).

(470)

951 ა

კრებული. 1850

7 ფ.; 22,5×16,1; ქალაღი; უყდო, თვენაკლულო; მხედრული, თვენსამკაული: 3რ, 4ვ, 5რ; 1850 წ. (7რ).

1. [მანანას თქმულნი შაირნი].—

„... და შენ ძესთან მეოხ შეყავ, ქალწულო ყოვლად წმინდაო,
არ გებრალებით მოყვასნო, მე ამ სოფლიდამ გაველო,
უნანელი და ურწმუნო, მე ამ სოფლიდამ წაველო,
ვინ ამომიყვანს იქიდამ, თუ ჯოჯოხეთში ჩაველო...“ 1რ—4რ.

წყდება: „... ბრძანდება მოციქულები ღუთისაგან მოვლინებული,
წმინდის სპეტაკით მოსილი, მზებრივ გაბრწყინებული,
ვინც ვინა ხამს შემოსილს, ღმერთია განცხადებული,
და ემსგავსება მაცხოვარს. ანგელოზს შემოკრებული...“

2. [მანანასაგან ციების ბაასი. ფრაგმენტი].—აქ ციებისი და მანანას გაბაასება, ჩხუბი.—თქუწნი მტერი და ორგული ციებამ დამაღნაო...“ 4ვ.

წყდება: „... რაღას მაწყალებ შიშითა, თვალებიც გამოგხეთქია.
ამის უარეს რას მიზამ, კბილი არ შემრჩა ერთია.
რომელმან იმ დღესა განმკურნა, კიდევ მაქუს ერთი წვეთია,
და შენ მე ველარასა დამაკლებ, თუ ჩემი შემწე ღმერთია. ამინ...“

3. [მანანა. ესეც რაღაც ღარიბად თქმული].—

„მე ერთი ჩიტი გავზარდე, ელვარე იყო წითელი,
ფეხები ქონდა ნარინჯი, ყბა და ნისკარტი ყვითელი.
მე ჩემი ჩიტი მარჯანა მყვანდა სათუთად ნაზარდი,
საუზმეს მყვანდა ნაჩვევი, არ დამიკლია სადილი.

ყოველს ღღეს მისგან მაქუს ლხინი და ხადილი,
მალლა იჯდეს, დამადგება მისი ბოლო ფრთისა ჩრდილი,
არ მეძინოს მისი ხმითა, ქალსა ტკბილი დილის ძილი,
ყველა იმას ემსახუროს ორი გამდელი.

ჩიტმა თქუა: პატრონს უქივარ, ნეტავი რით გადავიხადო...“ 4ვ.

შენიშვნა: 1. არსებობს ამ ლექსის სხვა ვარიანტიც. იხ. ლევან ასათიანი ძველი საქართველოს პოეტი ქალები, თბილისი 1936 წ. გვ. 109. დასახელებულ წიგნში მანანას სხვა ლექსებიცაა გამოქვეყნებული.

4. [გურამიშვილი დავით, სიტყვა ესე ღვთისა. „ეეო მეო, ქალო, ქალთა-მზეო“-ს სანაცვლოდ სათქმელი]—„ეეო, მეო, აქეთ მომხედო, რაც მე გითხრა, საყვარელო, ყური მომიგდო!..“ 5რ—7რ.

შენიშვნა: იხ. დავით გურამიშვილი, დავითიანი. მეტრე გამოცემა 1955 წ. გვ. 187—192.

5. [ბესიკი. მე შენმა თქრმა მიმარინდა. ფრაგმენტი].—

„ქ. თვით შენმან გულმან კარგათ იცის, ვარ შენგან მკვდარი,
შენმა სურვილმან ჩამკლა (!) გული კლდე მყარი...“ 7v.

წყდება: „... სინაზით ხელო, ტრფიალით მკლელო, ღ დანა შენი...“

შენიშვნა; 1. ეს ლექსი განსხვავებული მეღნითაა დაწერილი.

2. ხელნაწერში მოთავსებულია ეს ლექსი იძლევა განსხვავებებს 1932 წ. გამოცემულ ბესიკის თხზულებათა სრულ კრებულში დაბეჭდილ ამავე ლექსთან.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 491.

ანდერძი: „ეს წიგნი „მანანიანისა“ ეკუთვნის... ჩუ-სა წელსა. მისი ით-სა რიცხუსა“, (7r).

მინაწერი (ფანქრით): „მამამხეერისთავს სინინოზიანი(!) აქვს“, (4r).

(470)

951ბ

კრებული. XVIII

13 ფ.: 21×19; ქალაღი, დახიანებული (დალაქაებული, კუჭკიანი, ხემო ნაწი-ლი საკმაოდ შემოცვეთილი); უყდო, დაშლილი; თავნაკლული, მხედრული; მეღნითვე შესრულებული ილუსტრაციები: 1r, 13r, 13v; [XVIII ს.].

1. [წმიდა მარინეს ცხოვრება ლექსად].—

„...სხვისა არას ნათესავისა ქრისტეს სჯულზე...“

...თავარო, რაცა გასმენია, ჩვენია გამონდობილ...“

ბრძანა შეპყრობა წმინდისა, წარმოდგინება...“

მითხარ, თუ ნათესაობა, მამული შენი სად არი...“ 1r—10r.

2. [შესხმა წმ. გიორგისა ლექსად].— „... ღთისაო ...ლო მზისაო“

...ლეველი ხარ, დამთრგუნველი ეშმაკისაო“

... აღ-გიძს ვეშაპის მოყვანა, დამხსნელიცა ხარ ტყვისაო...“

10r—12v.

შენიშვნა: ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 493.

მინაწერი: [ხალხური ლექსი სოლომონზე და კუნიძულელზე].—

„...ნი ძმანი მოდიოდნენ, იყენენ ჩვენსა მოსასვლელსა,
... ზ ძმას დაულამდა, ზღვის პირზე ჩამობდება.“

[ზღვის პირზე ბადე გაშალეს, სამი თევზი ამოყვესა,

[დაჭრეს და წერილათ ჩაყარეს, ქვაბი ცეცხლსა შემოდგესა,

[დალოცვილი სოლომონი სიტყვას მოყვა მეტათ ძნელსა,

თუ ეს სიტყვა მართალია, ჩემი თევზი გაცოცხლდესა, ისევ ზღვაში ჩავიდესა.

[იმიტი თევზი გაცოცხლდა, ისევ ზღვაში შატურდესა,

[რიგით მოსდევს სამართალი, ახლა ნახირსაცა ზედესა.

[დალოცვილო სოლომონო, გამზარდე და გამაკაცე: რათ შამაბი ამ შავ დღესა.

... სამჯერ ემას ვიტყვი: მოდი, მოკლავე სოლომანსა.

... ეშმაკ შავაფურთხებ, გავისტუმრებ ცარიელსა:

[თუ ეს სიტყვა მართალია, ჩემი თევზი გაცოცხლდესა.

იმისი თეგზი გაცოცხლდა, ისევ ზღვაში შაცურდესა.
 რიგით მოსდევს სამართალი, ახლა დედოფალსა ზედესა.
 შიშითა და სირცხვილითა დედოფალი დასუტდესა,
 გულზე ასხმენ ვარდის წყალსა, აფიცებენ მამის მზესა,
 არას გერჩი, პირათ მზეო, თუმ(!) ვერ მამიკიდებ ჴელსა.
 თორმეტი წელიწადია ვყვარობ კუნწულ ჴემწიფესა,
 ჩვენ რა უყოთ კუნწულელსა ეშმაკების თავის მყრელსა.
 დაჰპატიჟეს, კუნწულელსა საგდებელი გაუგდებსა,
 ... ლხინი უჩვენეს, არ ენახა თავი დღესა.
 კუნწულელო, სიტყვას გეტყვი, სიტყვა შენსა გამამცდელსა,
 ერთი სპილენძის კოკა მაქს, მიბარია მემამუხლესა,
 ვინც [რ]ომ იმას ყმით ამივსებს, საყვარელი მას დარჩესა.
 კუნწულელი ფეჭზედ ადგა, აღარ იცდის მარშიებსა,
 ჩემ საყმოს აქ დამიძახე ნახირ-ვეზირ ვეჭილებსა
 ბებრები ... იქ მობრბოდნენ, მოათრევენ კონკის კვლებსა.

... ლელო, საყვარელიც თან ჩაყვესა,
 ჩაიტყუეს კუნწულელი, თავს ზარფუში დაზურესა,
 ოთხი კუთხივე დაბეჭდეს, შუა ზღვაში გადაგდესა,
 ორმოცი წელიწადი ავი მავნე არსად ჩნდესა,
 აკვანში მწოლიარესა გულში ხინჯი არ ჩაყვესა.
 ღმერთო, დასწყევლე მენავე, მენავე და მეზადური,
 მეზადემ ბადე გაშალა, კოკის ყელსა ამოსდევსა,
 გაიფიცნენ ამხანაგნი: ნურვინ ვეტყვით ბატონს ჩვენსა.
 ვინც რო უთხრას ბატონს ჩვენსა, სუ ცარიელი დარჩესა.
 დაუშინეს თულუხები, კოკას ყელი მოსტეხესა,
 გამოცვივდეს ეშმაკები, ისევ ზღვაში შაცვივდესა.* 12v—13r-v და 1r.
 იხ. აგრეთვე მინაწერები: 13v-ზე.

(470)

951გ

იაკობ შემოქმედელი, სიტყვის-გება ქრისტიანთა მაჰმადიანთა მიმართ
 (ლექსად). XIX

8 ფ.; 35.5 × 22,3; ქალაღი, დალაქავებული; უყდო, დაშლილი, თანაკლულია
 მხედრული; [XIX ს.]; ჴვირნიშანი 1831 (8r); დაუწერელია: 6v, 8r-v.

[იაკობ შემოქმედელი, სიტყვის-გება მაჰმადიანთა მიმართ]. —
 „...რა გარდახდა ალექსანდრე, მაკედონელ წოდებული,
 მეფედ დაჯდა მეგვიპტესა პტოლემეოზ დიდებული...“ 1r—7v.
 თავდება: „...იგი გველავს, გვეყვდრის, შვილთ გვიჴამს, მე ვით დაუ-
 წყო ფერობა,
 და ყვავთ მივხვდით ვარდნი საყნოსლად „ბულბულათ მით არ გვეჴყრობა“..

შენიშვნა: 1. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში:
 „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 493.

(470)

951 დ

ლექსები. XIX

6 ფ., 35,7 × 22,5; ქაღალდი, დალაქავებული; უყდო, დაშლილი; თავბოლო-ნაკ-
ლული; მხედრული; [XIX ს].

1. „... რად ჩემად სახმარ არე, თუ შორ კმნით განმამწარებ,
რა სუმბულს, რა ყულამბარ, რა წესთა თუ ალვადარებ...“ 1r.
 2. „ეჰა, ვარდი ვითარ გაფუჩქნულია,
მოღით, ძმანო, უძღენათ მასა სულია...“ 1r-v.
 3. [ალექსანდრე ქავჭავაძე], „თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,
ერთხელ თქვენცა ტრფიალება ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ...“ 2r.
 4. „მუხამბაზი.—აბულბულ მწუსარია, ვარდი შემამწყრალია,
ნარგის გზავნის წამლისთვის, თუმცა სამკურნალია...“ 2r-v.
 5. [თუმანიშვილი გიორგი], „ფეჟუცავ კრონოსის დიადა,
კრძალვით პირ გმონებიადა...“ 2v—3r.
 6. [ქავჭავაძე ალექსანდრე], „ჟამნი რბიან, შენცა მეღტვი,
ჟი, სურგძელო საყვარელო...“ 3r-v.
 7. „არ გებრალეები უწყალოდ, უშენოდ მყოფი,
რად გსურს, ვიტანჯო უწყალოდ სოფელსა მყოფი...“ 3v.
 8. „ბროლის მკერდმან შუქი თავსა ისარე,
რხევით ნაზო, ტან-ალვადო ისარე...“ (4r).
 9. [ქავჭავაძე ალექსანდრე], „მიველ წალკოტ სანუგეზოდ, გლახ,
ჩემ გულ სევდა ესია,
ენახე სატრფო ფერმიმხდალი, მითხრა: შენითა ესია...“ (4r).
 10. „მუხამბაზი თათრული.—
„ჯან ვერმა ყამუ ეშხაქი ეშხაფათი ჯანდურ...“ (4v).
 11. მუხამბაზი თათრული.— „... დედილარ ეილაქი ჯანინ გელ-
დი...“ (4v—5r).
 12. [ქავჭავაძე ალექსანდრე], „ჰსძგერს გლახ-გული, საყვარელო-
მლოდე შენი უწყლავს თმენას,
ჰსცემს სურვილი წამთა ჯშირად, მარამ აგრძნობს ვისა სმენას...“ 5r-v.
 13. „ეილათ სანა ბიდათ სანას ხმაზედ.—
„როს მეღირსა შენი ცნობა,
მყისვე საგნად მექმნა ტრფობა...“ 5v—6r.
 14. „ყაჯარ ბაიხთის ხმაზედ.—
„ქ. ვიძლოვ, პირ-მთვარევ, შენს სიშორესა,
დავკარგე ჟამნი შენთან შვებისა...“ 6r-v.
 15. „მუხამბაზი პისალბუჩინარის ხმაზედ.—
„მწადს, მზო, განგიცხადო აწ იგი სიყვარული,
რომლითაც აჰა დროდმდე ვარ ფარულად ტანჯული...“ 6v.
- წყდება: „... უცილოდ იმედი მაქვს, ვყო ნუგეშცემული...“

- შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ აკლია 12 ლექსი და მეცამეტე ლექსის დასაწყისი.
2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 493—494.

(470)

951 ე

კრებული. XVIII

3 ფ.; 22×18,2; ქალაღი (კუბქიანი. კიდებშემოცვეთილი); უყდო; ნაკლული; მხედრული; [XVIII ს.]; დაუწერელია: 3v.

1. [აპოკრიფული წინასწარმეტყველება მეფეებზე მეორედ მოსვლის წინ].—

„... და კაცისა პირნი თვალ კრუტნი, რომელნი შეიწყუდივნა აღექსანდრე მეფემან და მათ მოვლონ ყოველი ქუეყანა და მოაოხრონ და მოჰამონ წელსა და თახევარსა(!)...“ 1r-v.

2. „აღდგომისათჳს მკუდარ თასა, თქმული იოანე დამასკელისა.— გურწამს უკუშ აღდგომა ნკუდართა, რამეთუ არს ქეშმარიტად, შე, ნანდილვე არს აღდგომაცა მკუდართა...“ 1v-2r.

3. „გოდება იაკობ მონაზონისა, რომელი წინასწარმეტყველებით თქუა.— განიღვიძე, იერემია, განიღვიძე წინასწარმეტყველებითურთ...“ 2r-v.

4. „სიტყუჳს-გება ბერისა ეფთჳმე გძელისა სოსთენის მამართ, სომეხთ მოძღვრისა.— ... უკუშე ლთისმსახურისა მეფის ბაგრატიანათა იქმნა კრება...“ 2v—3r.

თავდება: „...და გამოძიებასა ჰყოფს წინაშე მეფისა სჯულისათჳს ჩვენისა და მათისა და ვერვინ წინა-აღუდგა მას ამის უკუშ.“

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 494—495.

(470)

951 ვ

ვაბაშვილი ბესარიონ, რუხის ბრძოლა. XIX

7 ფ.; 22,2×18; ქალაღი: უყდო, ჩადებულია ორად გაკეცილ ქალაღდში; 1 ფ. ამოვარდნილია; თავნაკლული; მხედრული [XIX ს.]; დაუწერელია: 7v.

[ბესიკი. რუხის ბრძოლა].— „... 4. მოკრბა დას-დასად, მწყობრ ბევრ ათასად შარვაშის ძეთა ეზო კარებსა...“ 1r—7r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი გამოყენებულია ბესიკის თხზულებათა სრული კრებული 1932 წ. გამოცემაში.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთ. თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 495.

(470)

951 ზ

ამბავი ჯუმჯუმ ხელმწიფისა. XIX

3 ფ.; 22×27,5 ქალაღი; უყდო; თავნაკლული; მხედრული; [XIX ს II ნახ.].

[ამბავი ჯუმჯუმ ხელმწიფისა].—„...ქ. აქ ანბავი თქმული, თუ ჯუმჯუმ ხელმწიფე გაცოცხლებული. ისმინა ეს მოწყალე ღმერთმა. გაიარა წმინდა გრიგოლმა ქალის პირსა...“ 1r—3v.

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთ. თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 495—496.

ანდერძი: „ვინც ესე წიგნი წაიკითხოს დ[ა] გულში არ ჩაინერგოს, თავისი საუნჯისაგან უქონელი და მშვიერი და სნეული და ტიტველი არ გაიკითხოს... დაიწერა თებერვლის ოცდაშვიდსა“, 3v.

მინაწერი: „აგრე ცაზე მშვიდ დარია,
და კაშკაშებს ვარსკლავთ მთვარე,
მყუდროებით დამტკბარია
საქართველოს არე-მარე.

აბა მთვარევე, ჩვენი მთვარევე,
ჩვენი მხარე გაახარე,
მტრის გულის საკლავათ
საქართველო შეიყვარე“. 3v.

(470)

951 ც

იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი. XIX

2 ფ.; 34,5×21,6; ლურჯი ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; კვირნიშანი 1818 წ.; დაუწერელია 2v.

[იოსებ თბილელი. დიდმოურავიანი (ნაწყვეტი)].—„...“

ბრწყინვალეებითა ნათელი, თვალთ, სევდითა დაგვესო,
სიტკობა გამწარდა სოფლისა, სამსალსა სამსლად დაგვესო;
შენთჳს სახმილი აღტყინდა, გულსა სამუდმოდ დაგვესო,
და გულო, ვით გასძლევ სევდასა, ან კირსა ნიადაგ ევსოო“, 1r-v.

წყდება: „...ვერსით მოვრჩები სიკუდილსა, დღეს მოვა ხვალე ის სევდა,
უბრალოდ უნდა გარდავხდე, ამით მაწუხებს ისევ და...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს შემდეგ სტროფებს: 364—374, იხ. იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი. გ. ლეონიძის რედაქციით. სახელგამი. 1939 წ.

2. 2r-ზე განმეორებით სწერია სტროფი „ბრწყინვალეებითა ნათელი, თვალთ, სევდითა დაგვესო...“

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 496.

(470)

951 თ

ვიქაკი (მკითხაობა). 1860

7 ფ.; 22×18; ქალაღი (კუქყიანი, დალაქავებული); ქალაღის ყდა; მხედრული; 1860 წ. (1r); გაღამწერი: აზნაური ელისაბედ.

[ვიქაკი. (მკითხაობა)].—„ჭი, კაცო, დიდებასა ყოველთვის და კეთილს უფლისასა მტერსა შენსა შერცხეები. უცხო ქვეყანასა წახვალ და რაც გინდა, მშვიდობით ნახამ და რაც გსურს, მიიქილებ, მაგრამ წადი, შეხვეწე ღმერთსა, რათა აგცილდეს ხიფათი. ილიასი ვიქაკი...“ 1v—7v.

შენიშვნა: 1. 1r-ზე მოთავსებულია ქართული ანბანი.

2. ზემო ყდაზე აწერია: „ჩყოფ-ს წელში, ქკს ფად. ჩყოფ-სა წელსა, ქკს ფად. ჩყოფ-ს წელსა, ქკს ფად. ჩყოფ წელსა, ქკს ფად.“

3. ქვემო ყდაზე წერია: „ჩყოფ-სა წელსა ჯდება ქკს ფად. ჩყოფ წელსა ქკს ფად. ჩყოფ წელს ქორთნიკონი ფწ. ჩყოფ-ს წელში ქკს ფად; ჩყოფ—ქკს ფად. ჩყოფ—ქკს ფად. ჩყოფ—ფად.“

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 496“

ანდერძი: „წიგნი ესე აიწერა აზნაურ ელისაბედ... ვინც მოიპაროს, გაუწყრეს ღმერთი. ჩყოფ“, 1r.

(470)

951 თ

ხილთა ქება. XIX

5 ფ.; 22,3×17,2; ქალაღი, დალაქავებული; უყღო; თანაკლული; მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი აქვს; გაღამწერი: ბერიკელანთ თვედორეს ქალი ბარბარე (5r).

[ხილთა ქება].— „...ჩემზედ ახარეთ დარღითა, ვის საყსე გქონდეთ

გული,
ხილიც ვარ, აბრეშუმიც, ყაქიცა იქეთ შეღებული,
ჩემის მიზით ქალ-ყრმანი ყოველნ სული,
ჩემგნით შევნიან ყოველნი მეფენი, გინდა მდიდარი,
ქალ-ყრმათა ტანთა ვაშვენებ, ვითაც მიწყევია, ვით არა,
უფარჩოთ თვალ-მარგალიტსა ჭელს ვინ ჰყრის მითა უღარი,
ოქროცა ჩემზედ შევენისა, ვერცხლზედ ვარ გარღამკიდარ...“

1r—5r.

შენიშვნა: 1. ერთვის ლექსი: „ძმაო, კარგათ მოგიხდება, კაბა გმცვას ატლასისა“, (5v).

წყდებდა: „შენ ხომ არ მიმიპატიებ, შენი ანბავი ვიცია“.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს, იხ. „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 496—497.

ანდერძები: 1. „ეს ხილის ქება დამიწერია ბერიკელაანთ ქალს ბარბარეს. ვინც წაიკითხოს, დამწერს დღეგრძელობა, ოსტატს ცბონება უბძანეთო გათავდა ბერიკელანთს“, 5r.

2. „ეს წიგნი ბაბალესია, ვინც მაიბაროს, ვერ მაიხმაროს“, 5v.

(470)

951ა

ლოცვები. XIX

4 ფ.; 22×17; ქალაღი, ქუჩყიანი; პირველი გვერდი თითქმის არ იკითხება, უყლო, დაშლილი; მხედრული; [XIX ს.].

[ლოცვები].— „... მამასა და ძესა და წმიდასა სულსა... უკუნითი უკუნისამდე... წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩუენ...“ 1r—4v.

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 498.

მინაწერი: 4v-ზე.

(470)

951ბ

კრებული. XIX

8 ფ.; 22×18; ქალაღი; უყლო; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 8v.

[სამღვდელმსახურო ხასიათის კრებული].— „ა. ჯვრის აპყრობა სეკდემბრის იდ-ს. ბ. ნათლისმცემლის თავი [ს] კვეთა. აგვისტოს კთ...“ 1r—8r.

შენიშვნა: I. შედგენილობა: 1. „ათნი მცნებანი“, რომელნი ღმერთმან მოსცნა სათნოსა თჳსა მოსეს“, 1r-v; 2. „ესე არიან შეიდნი საიდუმლონი“, 1v; 3. „ესე შეიდნი არიან ნიჭნი სულისა წმინდისანი“, 1v—2r; 4. „ესე თორმეტნი არიან ნაყოფნი სულისა წმინდისანი“, 2r-v; 5. „ესენი არიან შეიდნი მოწყალეაიანი გორციელნი“ 2v; 6. „ესე შეიდნი არიან მოწყალეაიანი სულიერნი“, 2v—3r; 7. „ესენი არიან შეიდნი მომაკვდილებელნი ცოდვანი და წამალნი მათნი“, 3r; 8. „ესენი ექვსნი ცოდვანი არიან სულისა წმინდისა გმობანი“, 3v; 9. ესენი ოთხნი ცოდვანი ლაღდებენ წინაშე ღუთისა“, 3v; 10. „ესენი სამნი გვიხმს აღსვლად სასუფეველად“, 4r; 11. „ესე არიან ოთხნი კავშირნი, რომლითაც წარმოდგენილი არს კაცი“, 4r; 12. „ესე არიან ხუთნი საგრძნობელნი“, 4r; 13. „განმარტება სამღვდელო შესამოსლისა“, 4v; 14. „განმარტება სამღვდელთა წირვისა“, 5r; 15. „ლოცვისათჳს“, 6r; 16. „ზიარებისათჳს“, 6v; 17. „წირვის მოსმენისათჳს“, 6v; 18. „ეკლესიაში ლაპარაკისათჳს“, 7r; 19. „ესენი არიან თორმეტნი საუფლო დღესასწაულნი“, 7r; 20. „ესენი არიან ეკლესიისაგან პატივცემულნი დღესასწაულნი წმინდის ღუთისმშობლისა“, 7v; 21. „დღესასწაულნი ნათლისმცემლისანი“, 8r.

II. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 499.

(470)

951 ოგ

დიმიტრი ბერიევის წერილი იოსებისადმი. 1837

4 ფ.; 35,2×22; ქალაღი (დალაქავებული, გაყვითლებული; ნაკეცებში გახეული); უყდო, დაშლილი, ბოლონაკლული; მხედრული, დიმიტრი ბერიევის ავტოგრაფი; 1837 წ. (2r).

„ყოვლად პატიოსანო მამაო და საყვარელო, ჭეშმარიტად ძმაო იოსებ! შექველო მწყალობელო ჩემო.—იანერის თვის ც-სა დაწერილი, საკუთართა ჯელითა ნაღვწი, ჩემდამო წარმოწერილი, იმავე თვის ით-ს რიცხვს მაქენდა პატივი მიღებისა და ვითარცა თქვენ ისურვებთ ჩემსა სიმრთელესა და ბედნიერებასა, ისრეთისავე სახითა მსურს მეცა თქვენთს...“ 1r—4v.

წყდება: „...შენს მიწერილს წიგნში სჩანდა, რომ უთუოთ ქართლისკენ აპირებ წამოსვლასა და აბა აღასრულე დაპირებული. მეც იქ ვიქმნები ყველიერებში და შენც გამოემშურე. ბიძაჩემი...“

შენიშვნა: 1. წერილში ჩართულია დიმიტრი ბერიევის ორი ლექსი, დაწერილი იოსების ნათესავის ნინოს გარდაცვალების გამო: ა) „რა მესმა, დარო, ივერთ გვარო, ქმანი გულწყულულად...“ 2v—3r. ბ) „შემიბრაღეთ, მსმენელნო, უდროოდ მოკლებული...“ 3r—4v.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში: „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 499.

952

ისტორიული საბუთები. გადატანილია Sd-ში, იხ. № 2101—2109.

(471)

953

ტლაშაძე იესე. კათოლიკოს-ბაქარიანი. XVIII

54 ფ. (108 გვ.); 14,2×19,5; ქალაღი; მუყაოს შავი ფერის ყდა, ყუაზე ყავისფერი ტყავი; აქვს ყდის საცავი ფურცლები; ნაკლული; მხედრული, სათაურები და სტროფების დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.]; აქვს კვირნიშანი; დაუწერელია; გვ. 49.

„არის წიგნი ესე კათალიკოს-ბაქარიანი. მრავალმცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრებისა მათისანი, თქმული ტლაშაძის მღდლის იესესი, ქალაქსა შინა სამეუფოსა კოსტანტიპოლის, ქრისტეს აქათ ჩღკზ, ქკს უიე.—

ღმერთო, აღძარ ენა ჩემი შენ წინაშე საქებარად,

პირველცა ჰქმენ და საწყისად, მერმე ნივთნი მთა და ბარად,

შენვე ესე ყოველივე ზღვაზედა ჰქმენ დასამყარად,

და გარდამოხედ ქვეყანაზედ, ცოდვილთათვის აღვედ ჯვარად...“ გვ.

2—108.

წყდება: „...ვახტანგ ზის თავის ტახტზედა, ელის ლთისაგან შველასა, ლთსა შესტირის ცრემლითა, ჩვენ ყხედავთ ლაწესთა სველასა, მე მამარჩინე სატანას, ამ ეშმაკსა და გველასა, და ტკბილად უბძანებს ქართველებს, გულს უღებდა ყუელასა...“

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: „არის წიგნი ესე კათალიკოზ-ბაქარიანი, მრავალმცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრებისა მათისანი, თქმული ტლაშაძის მღდლის იესესი. დაიწერა ქალაქსა შინა სამეფოთა კოსტანტინეპოლის, ქრისტეს აქეთ ჩღკზ, ქკსა უიე.“

ამე მსმენთა, კარგ ღვინის მსმელთა, აწე შენ წიგნო ბაქარიანო.

კარგა შეექცენ, არსად გაგექცენ, ვინც სუფრაზე ზის, აქ არიანო.

რიტორ რ უს თველო, კარგ გამოძთქმელო, ენა ტკბილო და შაქარიანო

და ავმა მოქმელებმა, ქურდმა მელებმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო“ გვ 1.

2. ეს ხელნაწერი უბოვია ფოტოგრაფ ა. რონინოვს დაღესტანში. იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, „Описание рукописей“, ტ. II, გვ. 592.

3. პოემა გამოცემული აქვს ექვთიმე თაყაიშვილს 1895 წ.

4. ამ ხელნაწერის შესახებ იხილე კ. კეკელიძე, „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“. ტ. II, გვ. 426—428. თბილისი 1952 წ.

შინაწერები: გვ.გვ. 1, 108.

(472)

954 ა

წერის დედანი. XIX

1 ფ.; 34×42,3; მწვანე ქალაღი; ასომთავრული, ნუსხური, მხედრული; [XIXს.]; ბოლოში ჩართული დაწერილობით: „დავით. სოლომონ. ალექსნდრე. იორთმ. იესე. იოთამ“.

შენიშვნა: ქალაღს. რბმელშიაც ჩადებულია სხვა ფურცლებთან ერთად ეს ფურცელიც, ფანქრით აწერია: ა. „შესანიშნავნი ხელნაწერნი (ნაჭრებად) დ. რეკტორის“. ბ. „არაფერი შესანიშნავია, წერის დედნებია ორი ცალი“. (ეს წარწერა ენება S 954 ბ და გ-საც).

954 ბ

ჩართული დაწერილობის ნიმუში. XIX

1 ფ.; 21,5×36,1; ქალაღი; [XIX ს.]; მრგვლოვანი; ჩართული დამწერლობით: „უფლო ძლთო ჩნთანო, იყავნ, რამეთუ“.

შენიშვნა: იხ. S—954 ა ხელნაწერის აღწერილობა.

954 გ

წერის დედანი. XIX

1 ფ.; 21,2×36; ქალაღი [XIX ს.] ასომთავრული; ბოლოში მხედრული: „ბართლომ იორდანოვისა მიერ“.

შენიშვნა: იხ. S—954 ა ხელნაწერის აღწერილობა.

40. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I

954 დ

კრებული. XVIII—XIX

37 ფ. (74 გვ.); სხედასხვა ზომისა: 8,7×5,5; 8,7×6,1; ქალაღი; უყდო, დაშლილი; მხედრული, შიგადაშიგ გამოყენებულია მრგვლოვანი, სათურები და დასაწყისები სინგურით, გამოყენებულია მწვანე მელანიც. ტექსტი ჩასმულია ჩარჩოში. ხელნაწერი დასურათებულია ფერადი საღებავებით; [XVIII—XIX ს. ს.], ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: დავით [რექტორი] (გვ. 43); დაუწერელია: გვ. გვ. 32, 34, 35, 38, 40, 42, 44, 46, 48, 50, 52, 54, 56, 58, 60, 62, 64, 66, 68—74.

1. „გალობანი ყოველთა წმიდათანი. გზებ გრი: ზღვა მეწამული. — ოგა. ჟამთა და წელთა გელმწიფებითა, ლთმთავრობით მოქმედო უფალო, სამგვამოვნებით დიდებულო, ხოლო ერთარსად თაყვანის-ცემულო. გვაცხოვნენ ქმნულნი შენნი აწცა მოწვევულნი დასაბამსა ამის ჟამის მოსრულსა მოქცევისასა. თვესა სეკდემბერსა აქვს დღე ლ. დღეთა იზ. და ლამეთა იზ. ა. ღირსი სუმიონ ყრისა დაბადებუ. სტ. მთ.; ბ. მამა—მოწამემან შენმან...“ გვ. 1—31.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს წმინდანების მოსახსენებლებისა და საგალობლების ნუსხას. თვეებზე განლაგებულს. ყოველი თვის ტექსტის თავში ფერებით დახატულია ზოდიაკოს ნიშანი.

2. [ილუსტრაციები, რომლებზედაც აღნიშნულია ყოველი თვის კვიმატი დღეები]. გვ. 33—47.

3. [სათნობათა და ცოდვათა ილუსტრაციები]. გვ. 49—67.

შენიშვნა: ხელნაწერი გახვეულია ქალაღში, რომელსაც ფანქრით აწერია: „დავით რექტორის წერილი ხელით ნაწერი.“

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი დავით“. გვ. 43.

(473)

962

ოთხთავი. 1054

266 ფ.; 14,5×11,4; კარგად დამუშავებული ეტრატი, დალაქავებული და დაზიანებული; უყდო, დაშლილი, კიდებ-შემოცვეთილი, ნაკლული; მრგვლოვანი, ორ სვეტად, ადგილ-ადგილ გამოყენებულია სინგური და ოქრო-მელანი; მოხატული კამარა (1r—4v), მშვენიერი ფერებით შესრულებული სახედაო ასოები, გამოსახულებები: მარკოზის (85r), ლუკასი (132r); თავსამკაული: 82r, 130v, 133r, 204r, 265r); ბოლოსამკაული: მოხატული ჯვარი ბერძნული წარწერით: „Ic Xc Nixa“ (84v, 131v, [1054 წ.] იხ. კვიკლოსი: გადამწერი: მიქაელი (264r); დაუწერელია: 85v, 131v; შემოწერილია გრ. გურიელისაგან.

[ოთხთავი]. „... მეფისათა, აჰა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალმდ და იტყოდეს...“ (მათე 2,1). 5r—264r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის „კანონები“ (1r—3v) და „ეპისტოლე ევსეების კარ-
პიანეს მიმართ“ (4r—v).

ბოლოს ერთეის „კვიცილონი“, რომელიც იწყება 1054 წლით. ეს თარიღი შეი-
ძლება მივიჩნიოთ ხელნაწერის გადაწერის თარიღად. „კვიცილონი“ დასაწყისთან
ყოფილა გაკეთებული სინგურით მინაწერი, რომელიც დღეს აღარ იკითხება.

2: ამ ხელნაწერის ფრაგმენტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია ნაპოვნი
(იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი,
თბილისი, 1952 წ., გვ. 33—36):

ანდერძი: (სინგურით) „ლოცვა ყავთ მქლისთუს მწარლ... წმიდანო მამანო“
264r.

მინაწერი: (მხედრული) „აჭარიდგან მოტანილია ეს თაბაბი“. 92r

(474)

964

ზატკი. XVIII

1+ 228 ფ. (458 გვ.); 10,1×15,9; ქალაღი (1 ფ. ლურჯი ფერისაა). შეყვითლე-
ბული, დალაქაებული და ჭიისაგან დაზერეტილი; ტყავგადაკრული ტვიფრული ზის
ყდა 3 ტყავის საკრავით (ამჟამად ერთი აქვს შერჩენილი). ყდის შიდა მხარეები-
სათვის გამოუყენებიათ სხვა ხელნაწერის ფურცლები (ნუსხურით ნაწერი); ნუსხური,
დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.].

[ზატკი]. „იწყებიან წმიდანი ზატკენი წმიდასა დიდსა შაბათსა. მწუ-
ხრი. უფალო ლაღადყავ. — სამწუხრონი ლოცვანი ჩუენნი შეიწირენ, წმიდაო
უფალო, და მოგუჟადლე ჩუენ მტვბე ცოდვათა, რამეთუ შენ მხოლო- ხარ,
რომელმან უჩუწენ სოფელსა აღდგომა...“ 1—455.

მინაწერები: 1. (ქიმიური მელნით). „...დაიწერა ეს წიგნი 1885 годა. მე იოსებ
გამყრელიძემან ვიპოვნე ესე ზადიკი, რომლისა...“ 1r.

2. „ესე წმიდა და სულთა განმანათლებელი ზატკი მღვდელ-მონაზონი ბუხუ-
ლის სვილის იოვანესი არის. და ვინც ხელთ იპყრათ, შენდობას ბრძანებდეთ
ჩემ ცოდვისათვის, რათა თქვენც შეგინდენეს ღმერთმან ცთომილებანი თქვენნი...“
ა“ნ. ქორთიკონს ათს რვას და ორს“. 1r.

3. (ქიმიური მელნით). „დავსწერე ესე წიგნი 1885 годა, რომელიც დასწერე
იოსებ გამყრელიძემან. უფალო, აცხონე ერი შენი...“ 1v.

იხ. აგრეთვე: გვ. გვ. 4, 9, 67, 342, 364, 403, 404, 425, 452, 456.

(475)

966

ხელაშვილი იონა, ბუნებითი კატეხიზმო. 1826—1828

09+272 ფ. (544 გვ.); 25×20; ქალაღი; მუყაოს ყდა; ხელნაწერს ორგვარი პა-
გინაცია აქვს: გვერდობლივი და რვეულებრივი; მხედრული; 1826—1828 წწ.
(04v. 05v); ავტოგრაფი; დაუწერელია: 09r—v, გვ. გვ. 536—544.

«იონა ბერ-მონაზონი [ხელაშვილი], ბუნებითი კატეხიზ-
მო» — „კითხვა: რაა არს კაცი? მიგება: სული და ჯორცი. კითხვა:
რაა არს სული? მიგება: სული არს გონიერ-სიტყვიერი. კითხვა: ვითარა
არს ჯორცი? მიგება: გრძნობიერ-მოძრავი...“ გვ. გვ. 3—535.

შენიშვნა: 1. კათეხიზნო შედგება სამი ნაწილისაგან: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული.

2. კატეხიზმოს უძღვის: ა. „წინასიტყვაობა წიგნისა ამის ბუნებითი კატეხიზმოსა კითხვა-მიგებითისა“, (01r—05). ბ. „თავთა-მეტყუშლება კათეხიზმოსა“, ანუ: სარჩევი, (06r—08r).

